

# ლიტერატურული კაფიბრა



1429  
2007

## ● პირის ფორმირება პრობა

- ვანო ხხივანიძე
- გურამ ჩუგოტიანი
- ბესო ხვეციანიძე
- თამარ ხმელიანი

## პოეზია

- შოთა თათაძე
- ავთოვან შენგელია
- როკა ბაქანიძე
- ნინო ნანუაძე
- შარვაშ სებაშვილი

## მონატრება

- ბესიკ მაღრაყელიძე

## თარგმანი

- ჯაყო წიკოიძე  
მოგვის დღიური
- ხუან კარლოს ონილი

## ლიტერატურა ინტერნეტიდან



# ბამოსელორბა ..კაფიტორბა


„მზეო, დაბრუნდი, დაბრუნდი, ნუ ჩაეშვები ზღვაში. ზღვას ცეცხლი წაეკიდება, ჩემი მამა ზის ნავში. იმას რომ რამე შეემთხვას, რა მეშველება მაშინ!...“

ნ.დუმბაძე




96 გვერდი, მაგარი გარეკანი, ფასი: **12.99** ლ.

ამ ნიგნში უცნაურ ნახატებს ნახავთ. ხეზე ამძვრალი დათვი ისე გამოიყურება, როგორც ასო „დონი“. პუმა წევს და „პან“-ის ფორმა მიუღია. ტოტზე შემომჯდარი არწივი „ან“-ს ჰგავს, გველი კი „გან“-ივით მორკალულა...



36 გვერდი, რბილი გარეკანი, ფასი: **12.99** ლ.


რას მიართმევდით თქვენს გულის მძვრობელს ამაზე უკეთესს? ნურც ნურაფერს ეტყვი, თვითონ წიგნია „მიყვარხარ“



324 გვერდი, მაგარი გარეკანი, ფასი: **8.99** ლ.

„ამ დღემაც ისე ჩაიარა უხმოდ, უბრალოდ, სულში დატოვა ღრმა იარაგაქრა უკვალოდ. ვერ შეველიე სანუთროზე დღითი დღე ჩივილს, წლები მიდიან, ემატება ტკივილი ტკივილს...“

გ. ჩხოხელი



192 გვერდი, რბილი გარეკანი, ფასი: **4.99** ლ.

წაუკითხეთ პატარებს „ტელეფონით მოყოლილი ზღაპრები“ და მისი გმირები თქვენი პატარების განუზრელი მეგობრები გახდებიან. რას არ ნახავენ აქ: ნაყინის სახლებსა და კარაქის კაცუნებს, კანფეტების წვიმას, შოკოლადის გზებსა და ნაზუქის ურმებს; და ვინ იცის, კდევ რამდენ მხიარულ და ონავარ გოგო-ბიჭს.



176 გვერდი, მაგარი გარეკანი, ფასი: **7.99** ლ.

„შენხელა რომ ვიყავი, სასაცილო, ყირამალა, აბდაუბდა ამბები ძალიან მიყვარდა და შოკოლად-მარმელადის ქვეყანაც ხშირად მესიზმრებოდა! რომ იცოდე, როგორ ვოცნებობდი იქაურობის დედოფლობაზე! გადავწყვიტე, ამ ყველაფერზე ლექსები დამეწერა და შენთვის მეწუქებინა!“

თ. ფხაკაძე



96 გვერდი, რბილი გარეკანი, ფასი: **5.99** ლ.  
96 გვერდი, მაგარი გარეკანი, ფასი: **7.99** ლ.

წიგნების შეძენა შეგიძლიათ წიგნის მაღაზიებში და პრესის გამავრცელებლებთან...

ან დაუპირაპირად სააგენტო „ელვასეკვის“ და პირდაპირ ნიგნები სასლში, ფანსაგაგის ბარეუ. ტელ: 42-43-40; 38-26-73; 38-26-74;

წიგნების ბითუმად შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით: 899-93-66-67





<b>მეორე ფონეტიკა</b>	4
<b>პროზა</b>	
ვანო ჩხიკვაძე მოთხრობები	10
გურამ პეტრიაშვილი კარადა	14
ბესო ხვედელიძე მკვდრების ქალაქი	22
მარია ექსერჯიანი მოთხრობები	32
თამაზ ხმალაძე მოთხრობები	39
<b>პოეზია</b>	
შოთა იათაშვილი ლექსები	57
ქეთევან შენგელია ლექსები	60
ლუკა ბაქანიძე ლექსები	63
ნინო ნანუაშვილი ლექსები	65
შალვა საბაშვილი ლექსები	67
<b>მონატრება</b>	
ბესიკ მაღლაკელიძე ეტიუდები	70
<b>მხატვრობა</b>	
პაულო კოელიო მოგვის დღიური	86
ხუან კარლოს ონეტი კეთილი იყოს შენი მობრძანება, ბობ	121
<b>ლიტერატურა ინტერნეტში</b>	
გიორგი საჯაია ლექსები	125
თემურ ეზუგბაია სულეიმანი საოცარი ბიჭია	128
გუსტავ მაირნიკი ნოველები	131
<b>წიგნი სტუმარი</b>	
ინა სმიტროვა „რა ამოდრავებს კიპარისის ტანს“	133
<b>ლიტერატურული სინაზონი</b>	137
<b>ლიტერატურული რევიზია</b>	141
<b>ლიტერატურული სანაწერე</b>	142

„ვეიკის პალიტრის“ ლიტერატურული დამატება

**მთავარი რედაქტორი:**

თამარ მამაცაშვილი

**მთავარი რედაქტორის მოადგილე:**

მანანა ჯანელიძე

**მხატვარ-დიზაინერი:**

ანა უთურგაიძე

**სტილისტი:**

ლია შარვაშიძე

**კორექტორი:**

ქეთი ნიკოლეიშვილი

**კომპიუტერული უზრუნველყოფა:**

დათო მოსიაშვილი

ნინო ასკილაშვილი

**მონვეული რედაქტორი:**

მიხო მოსულიშვილი

ჟურნალი გამოდის თვეში ერთხელ

იბეჭდება მხოლოდ  
შეკვეთილი მასალები

რედაქციაში შემოსული მასალები  
ავტორებს არ დაუბრუნდებათ

მისამართი: თბილისი, იოსებძის ქ. №49  
ტელ: 38-38-71; გამონერა: 38-26-73;  
web: [www.opentext.ge/literaturulipalitra](http://www.opentext.ge/literaturulipalitra)  
E-mail: [lpalitra@yahoo.co.uk](mailto:lpalitra@yahoo.co.uk)

ჟურნალის წინა ნომრების შეძენა  
შეგიძლიათ რედაქციაში

# პირის ფოტოფილი

N7 ივლისი 2007

4

## ფრთხილი

ფრთამოტეხილი ხოხობივით  
შენს სარკმელთან  
ფართხალებს დილა.

ფრთხილად!  
ამ დილას  
დამსხვერუელი სხივები სტკივა!

კარი გაუღე! —  
ნუ მიიღებ გულგრილად, ცივად!

ფრთამოტეხილი ხოხობივით  
შენს სარკმელთან  
ფართხალებს დილა.

## კინა

იყო ხოხობი და ხოხბურად  
უყვოდა ღამეს.  
იყო სიტყვა და აზრად იქცა,  
ჩუქურთმად იქცა.  
იყო ცეცხლი და იქცა შუქად,  
სინათლედ იქცა...  
ახლა თუ მკერდზე აყრია მინა,  
ეს ის მინაა, უკვდავია  
მოკვდავი რითაც!

გზა მიდის მალა... გალის ქუჩა  
მალდებდა თითქოს,  
ვით დიდოსტატი, სიტყვაში რომ  
აღლობდა ლითონს.

მზეს სისხლად ჩასულ ცრემლის ზღვაში  
მზე ჰქვია მაინც,  
გულზე იხუტებს ერი წლებთან  
ნაომარ რაინდს...  
და ისევ უყვფს ხოხობი ღამეს!!!

## კომპლენი

ცა — უსასრულო,  
ზღვა — უნაპირო.  
გზა — ატლასივით გლუვი გემბანი,  
მოგიგონებდი,  
მაგრამ ვაი რომ  
აყვირდებიან მოგონებანი.

შეაშფოთებენ  
იელებს ძილში,  
დააღვიძებენ სიზმრებს,  
ვით ბავშვებს,  
დააფეთებენ დაბორკილ რაშებს, —  
ვაით და ვიშით,  
ვაით და ვიშით...

მოგიგონებდი,  
კვლავ რომ არ მქონდეს  
ან დაკარგულის დაკარგვის შიში.



პირის ფოტოფილი

## რაც

რაც დასრულდა, რა სათქმელია,  
რა მოგდის და რა ღმერთი გინყრება, —  
არ შეგეშინდეს, არაფერია,  
აქ დასრულდება, იქ დაიწყება!

დაღამებულა... გზა დაელია  
მზეს და ნისლებში ფეხით ეთრევა, —  
რა მოგივიდა, არაფერია,  
აქ დაღამდება, იქ გათენდება!

რაც დასრულდა, რა სათქმელია?!

## მე

მზე იქით და მთვარე აქეთ, —  
ერთმანეთი ვაქიაქეთ.

მერე, არც რას ვაჭარბებ, —  
ერთმანეთი დავჭამეთ.

მერე ვილაც შორიდან  
შუამავლად მოვიდა.

აქეთ ჩემი სამარეა,  
იქით შენი სამარე...

ერთმანეთთან მოკითხვას  
ბალახ-ბუღახს ვაბარებთ.

რა მზეა და რა მთვარე, —  
ვინყებთ, რადგან ვამთავრებთ.

დრო ყრანტალებს, ვით ყვავი, —  
გახსოვს, ერთად ვიყავით.

ლექსები

## აქონაქონა

არც რას გეტყვი, არც რას გკითხავ,  
მაგრამ მინდა დარდად გქონდეს, —  
ერთხელ მაინც უნდა ითქვას  
რაც არ თქმულა არასოდეს!

სიცოცხლეში ერთხელ მაინც,  
ერთხელ მაინც, ერთხელ,  
ერთხელ მაინც უნდა შეხვდე  
ღმერთებს, როგორც ღმერთებს...  
ერთხელ მაინც სიცოცხლეში,  
ერთხელ მაინც, ერთხელ!

ერთხელ ტყვიაც უნდა მოგხვდეს,  
უნდა ჟღერდე რისხვის ზარად, —  
ერთხელ მაინც უნდა მოხდეს  
რაც არასდროს არ მომხდარა!

სიცოცხლეში ერთხელ მაინც,  
ერთხელ მაინც თურმე  
უნდა ასწვდე, როგორც ქარი  
აღზევებულ ღრუბლებს...  
ერთხელ მაინც, ერთხელ მაინც,  
ერთხელ მაინც თურმე!

ერთხელ მაინც უნდა იცნო  
მტერი მტრად და აჰყვე სინდისს,  
ერთხელ მაინც უნდა სტიკო  
სილა მას, ვინც ურცხვად გყვიდის!

ერთხელ მაინც უნდა აღსდგე,  
ან არადა, მოკვდე მაინც,  
ერთხელ მაინც უნდა ჰგავდე  
რწმენის ჯვარზე გაკრულ რაინდს!  
სიცოცხლეში ერთხელ მაინც,  
ერთხელ მაინც, ერთხელ!

## აქონაქონა

გაგიჭირდა სიარული,  
საწყლად წევხარ  
მოგონებებს შორის, —  
ერთი კოვზი სიხარული,  
ერთი კოცნა სიყვარული,  
ცხრა ფუთ წამალს  
გირჩვენოდეს, მორის!

აგვერძალა სამსახური,  
გენატრება პაპიროსის ბოლი...  
ერთი თვალით დანახული  
ერთი ჭიქა გაზაფხული,  
ცხრა სიგარეტს  
გირჩვენოდეს, მორის!

უსტვენ... მაგრამ არ აფრინდა  
შენს საწოლზე  
შემომჯდარი ქორი, —  
არაფერი აღარ გინდა...  
ერთი ბლუჯა ბალახი და  
ერთი მუჭა საქართველო, მორის!

## აქონაქონა

ფიქრის თოვა, რა აუვა ფიქრს, —  
მთავარია, ის რას ფიქრობს,  
ის.  
ქარი თითქოს ლაპარაკით გლის,  
მთავარია, ის რას ამბობს,  
ის.  
დარდის დანა ნაწილ-ნაწილ გჭრის,  
მთავარია, ის როგორ გკლავს,  
ის.  
მითი მითურ სამოთხიდან გყვრის,  
მთავარია, ის თუ გაგყვრის,  
ის.

დრო ჩვენს სათქმელს საცერივით ცრის,  
მთავარია, ის თუ გაგცვრის,  
ის.

## აქონაქონა

ვიდრე აჰყვებოდე ზვირთებს,  
ვიდრე მომიღებდე ბოლოს,  
ერთი გულის ხეთქვა კიდევე,  
ერთი გაგიჟება მხოლოდ!

ვიდრე ჩავეხრხავდე ხიდებს,  
ვიდრე მომიტხოვდე სოლოდ,  
ერთი ამღერება კიდევე,  
ერთი შეძახილი მხოლოდ!

თეთრად მიღებავენ ვიდრე  
ოთხი ფიცრით შეკრულ კოლოფს,  
ერთი გაბოლება კიდევე,  
ერთი გაზმორება მხოლოდ!

ვიდრე ვკრისტალდები ფრთებად,  
ვიდრე ვხურდავდები ხურდად,  
თუნდაც ერთი შედარება,  
ერთი მეტაფორა თუნდაც!

სულ მთლად დავტოვებდე ვიდრე  
მინას, როგორც თავი სოროს, —  
ერთი გაზაფხული კიდევე,  
ერთი შემოდგომა მხოლოდ!

## აქონა

დრომ ვით მატარებელმა  
წამი რაა, წამიც გასრისა, —  
მისვლა-მოსვლის ზარი რეკს თუ  
მოსვლა-წასვლისა?!

გზა ხსნისა რომ ხავსმა შთანთქა,  
ვინ რა მალირსა, —  
ჟამი დადგა დარდის ტყვიის  
გულზე დახლისა.

დრომ ვით მატარებელმა  
წამი რაა, წამიც გასრისა, —  
მისვლა-მოსვლის ზარი რეკს თუ  
მოსვლა-წასვლისა?!

ქ

წვიმს, ქოლგას მაინც არავინ არ შლის.  
წვიმს, ო, წვიმაშიც არ შევალ სახლში.

მე, რა თქმა უნდა, არა ვარ ბავშვი, —  
რა ვქნა, თვალები მიმიღრბის ცაში...  
მთვარის აღმასით ამოჭრილ ცაში.

მთვარის აღმასით ამოჭრილ სარკმელს  
და შუქს, რომელსაც სარკმლიდან მაკმევს  
ჩემი პატარა ცდუნების ვაშლი,  
მინდა ბავშვივით დაუჯერა ტაში...  
თუმც, რა თქმა უნდა, არა ვარ ბავშვი.  
ეტლმი მიბია ცალთვალა რაში,  
მე, რა თქმა უნდა, მოვკვდები გზაში.  
წვიმს, ქოლგას მაინც არავინ არ შლის.  
წვიმს, ო, წვიმაშიც არ შევალ სახლში.

## ჩინოვანების დრო

მზე პერანგში მესიზმრება,  
თვალს ვახელ და ვეძებ ჩეროს, —  
ჩემს ქვითინს და შენს სიმღერას  
ცა ეხსნება, ჩანგო ჩემო!

ვიდრე ღმერთი შეგვიცნობდეს,  
თავს ვერ ავწევთ ალბათ ზემოთ, —  
ჩემს სიკვდილს და შენს სიცოცხლეს  
გაუმარჯოს, რწმენავ ჩემო!

შენ ხარ ჩემი მესაფლავე,  
შენს შუბს უნდა ჩამოვეგო, —  
ჩემს სანთლებს და შენს ვარსკვლავებს  
დღეგრძელი დღე, ცაო ჩემო!

მწუხრმა ხელი შემახოცა,  
ღვარძლმა ჯოხით უნდა მცემოს, —  
ჩემს ჩასვლას და შენს ამოსვლას  
ვესალმები, ხავსო ჩემო!

გულში მიკრავს დედამინა,  
შუქით ვაფრთხოვ კერპს და დემონს, —  
კვდები, მაგრამ მაინც გიცავ,  
საქართველო, ხატო ჩემო!

ოდნავ იჭვმა შემაჩერა,  
სული სევდით უნდა ვგვემო, —  
ჩემს წასვლას და შენს დარჩენას  
გაუმარჯოს, წიგნო ჩემო!

## ქალბატონო

რაც გვინახავს, ვეღარ ვნახავთ,  
უფსკრულებზე გემართებს ხიდის გადება, —  
„ავდგეთ ფეხზე, ვადღეგრძელოთ სწორედ ახლა,  
ახლა ვინც იბადება!“

სიჭაბუკე აღმაფრენის წრიაპს იკრავს,  
მწუხრი მთებზე დაშვებულა ფარდებად, —  
„ავდგეთ ფეხზე, თაყვანი ვცეთ ისეთ ცისკარს,  
ახლა რომ ცისკარდება!“

კარგად ვიცით, რა გვექონდა და რასაც ვკარგავთ,  
მზე ამოდის, ვენაცვალე ღვთის ნებას, —  
„ავდგეთ ფეხზე და ავეკრათ ისეთ ცარგვალს,  
ჩვენთვის რომ გაიხსნება!“

ცდება, ალბათ, ვინც თითს გვიქნევს,  
ახლა გემართებს ერთმანეთის ფერება, —  
„გაუმარჯოს სწორედ იმ ლექსს,  
ახლა რომ იწერება!“

სისხლი ტვინში შუქად მიდუღს,  
მეც არ ვიცი, ღამდება თუ თენდება, —  
„ავდგეთ ფეხზე, ვუგალობოთ სწორედ იმ გულს,  
ახლა რომ აფეთქდება!“

ლექსთან ერთად ფრენას ვიწყებთ,  
ვინ რას იტყვის, ლხინია თუ გოდება, —  
„ავდგეთ ფეხზე, თაყვანი ვცეთ სწორედ იმ ერთს,  
ჩვენ რომ გვიახლოვდება!“

## ქართველი

ცხრა მზითაც რომ გვასხივებდნენ,  
რა უფლებით ვგრიანებთ და ვჯანმრთელობთ?! —  
თუ გრძნობ, ტაოს გამსხვივებელს,  
მკლავი ძირში რომ გახმება,  
**ქართველო.**

დავას როგორ დაგინწყებდნენ,  
მათქმევივინე საუფლოდ და სათემოდ, —  
დედაენის დამვიწყებელს,  
ხვალ-ზეგ დედა გეტირება,  
**ქართველო.**

ვიცი, კვლავაც გააჩუქებ —  
სავენახეს,  
სამზესს და  
სართველოს...  
არის კიდევ სხვა საუნჯე,  
ვიდრე შენი საქართველო,  
**ქართველო?!**

იქნებ გული აღარ გერჩის,  
ნაოხარო  
ნატანჯო და  
ნათმენო, —  
რატომ გიკვირს, ქართველებში  
ქართველი რომ ქართველობდეს,  
**ქართველო?!**

თვალეებს ვითხრი, თუმც არ მძინავს,  
თქვი, უშენოდ  
მწუხრი სად გავათენო, —  
ერთი დედის შვილები ვართ,  
ვაი, ხომ არ გავიწყდება,  
**ქართველო?!**

არც რა ტყვიით,  
არც რა შხამით,  
დუმილითაც შეგიძლია გამთელო, —  
ისე მომკალ, რომ სხვამ მაინც  
არ გაიგოს,  
შენ რომ მომკალ,  
**ქართველო!**

## გაგონი

როცა ელი და არ მოვა,  
 არც მტერი, არც საყვარელი,  
**ძნელია...**  
 უარესია,  
 როცა არავის არ ელი.

გსჯიან და თავსაც ვერ იცავენ,  
 არც ვინ გყავს დარდის გამგები,  
**ძნელია...**  
 უფრო ძნელია,  
 როცა კვდები და არ კვდები.

გწყურია, წყალში იხრჩობი,  
 თავზე გადაგდის ზვირთები,  
 ო, უფრო საშინელია,  
 როცა ქრები და ინთები.

მიდიხარ, ტოვებ ბრძოლის ველს,  
 მტრებს, მოშურნეებს, ბატონებს...  
**მწარეა...**  
 უფრო მწარეა,  
 როცა არავის არ ტოვებ.

## აზროვნა

ის ცა, ის მზე,  
 ის მიწა და  
 ის მაცდური ჟამი,  
 მე რომ მღრღნიდა,  
 მე რომ მშლიდა,  
 ბადაგოვან შხამით;  
 ის საუფლო,  
 ის ბილიკი,  
 ის ცრემლივით ნამი, —  
 ერთის წუთით დამასიზმრეთ,  
 კიდევ ერთის წამით!  
 იმ ბადეში,  
 იმ მორევში,  
 სულს რომ ვლევდი ლამის,  
 ერთის წუთით ჩამაბრუნეთ,  
 თუნდაც ერთის წამით!  
 იმ სიცილში,  
 იმ ტირილში,  
 იმ დრამათა დრამის  
 ერთ სპექტაკლში მათამაშეთ,  
 იქ დამკალით დანით;  
 იქ დამაგდეთ...  
 იქ დამმარხეთ...  
 იქ მომიღეთ ბოლო, —  
 იმ ხილვებით,  
 იმ ხატებით,  
 იმ ზღაპრებით მხოლოდ!!!

## თავისუფლება

ბალახი მოედება ცას,  
 თუ არ ვიოცნებეთ, სესე, —  
 ბუსთვალა შემოდგომა დგას  
 და თვლემით გვიზაფრავს ფესვებს.  
 სადღაა ბიბლიური დრო,  
 ჩვენ რომ წიქარები ვმწყემსეთ,

რისხვად აღტკინდება ბრბო,  
 ხალხი დაყრუვდება, სესე!  
 აღარ უჯერებენ გულს,  
 აღარ კითხულობენ ლექსებს,  
 კუბრი უკუნეთად დულს,  
 სუნთქვა გაჭირდება, სესე!

## ფრაზა

ჭალაში ბალანაშლილი  
 თეთრი სეტერი ქრის...  
 მწყერი ბალახში წრიალებს,  
 აფრინდება და...  
 ფრრი...  
 სანამდე არ აფრინდება,  
 არავინ ერჩის მწყერს,  
 ვაიმე, ჩემი სიცოცხლე  
 იქნებ ასეა დღეს.  
 ვიდრე მინაზე დავდივარ,  
 ყველა სიკეთეს მგვრის, —  
 ავფრინდები და...  
 ვაიმე...  
 ავფრინდები და ფრრი...  
 ტყვიაც იწივლებს შურისა,  
 მთლად მიმიმსხვრევენ ფრთებს,  
 სანამდე არ აფრინდება,  
 არავინ ერჩის მწყერს.  
 შავი საფანტი ირევა...  
 თეთრი სეტერი ქრის...  
 მე მაინც უნდა ავფრინდე, —  
 ავფრინდები და...  
 ფრრი...

## კვირისკაცი

შტოზე ვაშლი გარჩენილა,  
 ვინც მისწვდება — მისია.  
 ვინც ამ გოგოს გააცინებს,  
 გოგოს გული მისია...  
 ეს ცხოვრება ასე არის,  
 ის ცხოვრება ისეა.  
 — ეს მანდილი ვისი არი?  
 — ეს ჩანგური ვისია?  
 — ეს ხომ ჩემი დისი არი...  
 — ეს ხომ ჩემი ძმისია!  
 ვკისკისებდით მალხაზები,  
 დარდი გვქონდა რისია?!  
 თურმე დასასრული იყო,  
 მე ვთქვი — დასაწყისია.  
 როგორ გაჰქრა სიყმანვილე,  
 ველარ ამომიხსნია.  
 შტოზე ვაშლი გარჩენილა,  
 ვინ გაიგოს, ვისია?  
 ბალში გოგო დაგოგმანებს,  
 გოგოა თუ ნისლია?!  
 ვინც გაიგებს, ვინც დაიჭერს,  
 ვინც აკოცებს — მისია.  
 ეს ცხოვრება ასე არი,  
 ის ცხოვრება ისეა.

**საქართველო**

**ქაბ**

ჭადრაკის დაფად ქვეულ მინაზე არა აქვს დიდი სიცოცხლე პაიკს, არა აქვს დიდი სიცოცხლე პაიკს, მაგრამ პაიკი ოცნებობს მაინც.

დამუხტულია კეთილი სიბრძნით, ემორჩილება დედოფლის კდემას, — ყველა პაიკი მეფისთვის იბრძვის, ყველა პაიკი მეფისთვის კვდება.

მაგრამ, ო, მაგრამ, ადრე თუ გვიან მეფეს და პაიკს ერთ ყუთში ჰყრიან. ერთ მცირე ყუთში ერთად თავსდება აზრი, ოცნება, სიმართლე, ჭორი...

არის უთუოდ რაღაც მსგავსება ამ ჭადრაკსა და იმ ჭადრაკს შორის, ჩვენ რომ ვთამაშობთ ყოველთვის, ყველგან გულდაჯერებით და გამძაფრებით, — დაფაზე რჩება პატარა სევდა, პაიკის სევდა, სხვა არაფერი.

**ქაბ**

„როცა ვიტყვი „ი“  
მაშინ გამო...დი!“  
**ბალღური**

თითქოს გუშინ დასრულდა შინ და გარეთ, შინ, ჭრელკაბიან ასულთან თა...მა...ში...

„ენკი, ბენკი, სიკლისა“,  
ენკი, ბენკი, და, —  
დღენი სიყმანვილისა  
გა...ვი...და.

მოველ შენს ფანჯარასთან  
და ვდუღუნებ: „ი!“  
შენ კი, შენ კი, არა და  
არ გა...მოხვე...დი.

როგორ დაგვიწყებია  
„ენკი, ბენკის“ ხმა,  
რა ხანია, გძებნი და  
ვერ მი...პოვი...ხარ...

მოდის, მოდის, დამბუგე,  
მოდის, როგორც გსურს,  
თორემ ვინ რას გაუგებს  
გაგი...ჟებულ გულს...

„ენკი, ბენკი, სიკლისა,  
ენკი, ბენკი, და...“  
არა თქვან:  
სიჭაბუკეც  
გა...ვი...და...“

წინილა გამოამტვრევს კვერცხს,  
როგორც დილეგს,  
და ფილტვებს აივსებს აისით, —  
აისის

კვალდაკვალ  
ივლის და  
ირბენს  
თავისუფლება და ხალისი...

მე კი ვივინროვებ ოცნების გარსს,  
სასთუმლად ვიფენ ბუმბულივით  
მსუბუქ არაკებს, —

ჭაობის ყანჩა ცალ ფეხზე დგას  
და დირიჟორივით  
ჰორიზონტს განაგებს.

სიცხის საზომივით გატეხილ ღამეს  
ვერცხლისწყლის წვეთებად ეფანტება  
ჩემი ფიქრები, —  
ისევ ველოდები უებარ წამლებს  
და დღეს, როდესაც ერთად ვიქნებით.

იისფერდება ყორანივით შავი კარსანი,  
ლილისფერდება მცხეთის მინდვრები...  
შენ, სულო ჩემო, წინილასავით  
მწუხრიდან როდის ამოფრინდები?!

— თენდება! — ჩხრიალებს იმედის ღელე  
და თავქვე მიდენის ბატებივით  
ფარფატა ნისლებს,  
მზე ოქროს ნისკარტით მიკენკავს ცრემლებს,  
რომ მე გაზაფხული ვინატრო ისევ.

რწმენის ნაჭუჭიდან გავეყურებ გზას,  
ვხსნი იჭვის ძაფებად დახლართულ ქარაგმებს,  
ჭაობის ყანჩა კი  
ცალ ფეხზე დგას  
და დირიჟორივით ჰორიზონტს განაგებს.

**ქაბ**

ალაზნთან დუქანია,  
ხინკალია ცხელი,  
დახლს აქეთკენ თუშის გოგო  
დაჰქრის, როგორც შველი,  
დახლს იქით კი მზარეული  
ცომს ბუტბუტით მუშტავს, —  
ცხელი კერძის მოლოდინში  
სული მისდის მუშტარს.  
ორთქლი ასდის მარილწყალში  
ლოქოსა და ჭანარს,  
ხითხითია, ხინკალია  
და თითების ჭამა...

დაგოგმანებს თუშის გოგო  
თეთრი სინით ხელში,  
ზოგს არაყით აბრუებს და  
ზოგს თვალების ეშხით.  
მეც აღმაგზნო, მეც ამანთო,  
ველარ დავდექ ჩემთვის,  
მიველ, ვუთხარ, ლექსად ვუთხარ,  
რა კარგი ხარ-მეთქი...



დახლს იქითკენ მზარეული  
ანიწმატდა უცებ,  
უროსავით მსხვილი მჯილი  
დაიტაფა გულზე.  
ორლესულად ამომხედა,  
გადმომხედა ცერად, —  
ვერ გავუძელ მის მომდურავ  
და ნალვლიან მზერას...

ზედ თვალეზე ავიფარე  
ფარფლიანი ქუდი, —  
დახლზე დამრჩა მინანქარი  
ავსებული ლუდით;  
დახლზე დამრჩა ცხელი კერძი  
იმ ვაჟივით ცხარე,  
მივატოვე ალაზანი,  
ჯეირნების მხარე.  
ალაზნელი თუშის გოგო  
ლამაზია ძლიერ,  
კიდევ კარგი, მისი ეშის  
ცდუნებას რომ ვძლიე.  
მე რა მრჯიდა, რა მინდოდა,  
მე და ჩემი ღმერთი, —  
თუშის გოგოს ისე ვუთხარ,  
რა კარგი ხარ-მეთქი!

ახლაც ალბათ ალაზანთან  
დუქანია ერთი,  
დუქანია, დუქანია  
ხინკალივით თეთრი...  
დაგოგმანებს თუშის გოგო  
თეთრი სინით ხელში,  
ზოგს არაყით აბრუებს და  
ზოგს თვალეების ეშხით.  
არეული მზარეული  
ცომს ბუტბუტით მუშტავს,  
მუშტარს ელის, მაგრამ მაინც  
ყველას უმზერს კუშტად...

ჰოდა, ქორნილს ველოდებით  
დროზე, თორემ გზნებით  
ალაზანზე სოხბებივით  
კრიახობენ წლები.  
დრო დადგება, იმ თუშელას  
არ დასთმობენ სხვები, —  
ნახავენ და ნაიყვანენ  
საცალფეხო გზებით.



## ქართულის გაკვთიდი

შალმოსხმული, შუშაბანდის ფანჯრიდან, გამვლელ-გამომვლელს და გაქცეულ ფოთლებს უყურებს. ქუჩის მეორე მხარეს, მაღაზიასთან, პურის მანქანა ჩერდება — კაბინიდან შავტუხა ბიჭი გამოსხტება, კარს მიაჯახუნებს და აქამდე აღწევს უსიამოვნო ხრჭიალის ხმა.

მაღაზიის გამყიდველი ახალგაზრდა, მხიარული გოგოა. დახლზე ნისიად წაღებული საქონლის ჩასაწერი მათემატიკის რვეული უდევს — ფურცლავს, ითვლის, ამატებს, აკლებს და თან ღიღინებს.

ერთ-ერთ გრაფაში მისი სახელი და გვარიც უნერია, გვარის გასწვრივ — ვალი — ზეთის, ვერმიშელის, პურის... მგონი, სულ ხუთ ლარამდე... გადახდას არ აჩქარებს, იცის, პენსიას რომ უგვიანებენ.

„რამე რომ მომივიდეს, ვინ გადაუხდის? საწყალი... არა, ხუთი ლარი არ დააქცევს, მაგრამ... ვინ იცის, რამდენი ჰყავს ჩემნაირი... ზღვა კოვზით დაილიაო, ნათქვამია...“

კომოდის თავზე მალვიძარა რეკავს.

საათი ძველებურია, ლამის მისი ახალგაზრდობის დროინდელი. მონიკვლებულ, სოკოსავით ზემოდან დამხობილ ზარს გამეტებით უკაკუნებენ პანანკინტელა ჩაქუჩები.


ციფერბლატზე დროა შეჩერებული, მხოლოდ ზარი მუშაობს. როდის გაჩერდა, აღარ ახსოვს, შარშან, შარშანწინ თუ უფრო ადრე. ლითონიც დაბერდა — დაიჩხაკუნა შიგნით რომელიღაც ზამბარამ და საათი აღარ დაიქოქა.

მალვიძარასთან სანთელჩამდნარი შანდალი და ცელოფანგადაკრული საკლასო ჟურნალი დევს. ჟურნალს გარეკანზე ლამაზი, მომრგვალებული ასოებით აწერია: „პირველი საშუალო სკოლა, V-ბ კლასი. დამრიგებელი თამარ მისირელი“.

კედელზე ხისშუშთან ჩარჩოში ჩასმული სკოლის დამამთავრებელი სურათი ჰკიდია. სურათს ზემოთ ლენინ-სტალინის სახეები და საბჭოთა კავშირის გერბი ამშვენებს, ქვემოთ — სკოლის დირექტორ-მასწავლებლების, უფრო ქვემოთ კი — მოსწავლეების ოვალური ფოტოები.

ოცდაცხრანი იყვნენ და თითო-ოროლალა შემორჩა, ვინც გაუძლო, უკან ჩამოიტოვა ოთხმოცი წელი. თვითონ — მეორე რიგში, მარცხნიდან მესამეა, შუაში თმაგადაყოფილი, გაფერმკრთალებული ღიმილით. მისი მხესიერებაც ამ სურათივით გაიცრიცა, ბევრი რამ წაიშალა, გაქრა ანდა გაურკვეველ, შემანუხებელ ლაქებად იქცა, ბოლომდე რომ ვერც ივინყებს და ვერც იხსენებს.

დაწყებითი კლასის პედაგოგის ცხოვრება ოთხწლელულება დაიყო — გაზრდიდა, მოჩიტავდა,



ვანო ხსოვდა

შეჩვეოდა პატარებს და მერე სხვებს მიჰყავდათ.

ბავშვები მიდიოდნენ, თვითონ კი ტკივილი და ნალველი რჩებოდა, მაგრამ პირველ სექტემბერს ყველაფერს თავიდან იწყებდა, ახალი მოსწავლეები ავინყებდნენ წინა კლასთან განშორების სევდას — იქნებ ამიტომ გაუძლო, ვერ გამოლრდნა მარტოხელას ცხოვრებამ, სკოლამ აცოცხლა და ახლაც კი, „პენსიონერს“, ველოსიპედის სადღაც შორს დანკარუნებული, გამაფრთხილებელი ზარის ხმაც უცნაურად ააფორიაქებს ხოლმე...

მალვიძარას გამორთავს.

სარკეს წამიერად ჩაჩერებული, საპუდრედან ამოღებულ ბამბას სახეზე წაიცხებს, გათეთრებულ თმას ფრთხილად გადაატარებს ხელისგულებს და მკერდზე სასკოლო ჟურნალმისუტებული ოთახის კარს შეაღებს.

„გამარჯობათ, ბავშვებო“, — წარმოთქვამს საზეიმო, გამამხნევებელი ხმით, ზურგს უკან კარს მიხურავს და რამდენადაც შეუძლია, გაყოჩაღებული ნაბიჯებით მელნით ალაგ-ალაგ დალაქავებულ, მაუდგადაფარებულ მაგიდასთან მივა.

— დასხედით! — გადაშლის ჟურნალს, — აბა, ვნახოთ, ყველანი ვართ? — ხმადაბლა მუჭში ჩაახველებს, ცალყურმოტეხილ, დახეიბრებულ სათვალეს მოირგებს და გვარებს კითხულობს.

— ხადური ლუარსაბი! — ჩაათავებს სიას და ისე ამოიხორებს, თითქოს გული დასწყდა, ჟურნალში გვარები რომ დამთავრდა. გვარები კი სწორედ იმდენია, რამდენი ფოტოც არის კომოდთან დაკიდებულ საერთო სურათზე, რა თქმა უნდა, ლენინ-სტალინისა და მასწავლებლების გარდა.

პენსიაზე გასვლის შემდეგ მხოლოდ ამ კლასშილა „პატარებს“ გაკვეთილებს.

სათვალეს დახურულ ჟურნალზე დადებს.

— აბა, დღეს ვინ არის მორიგე? შენა, ოქრო-



ირიძე?.. ასეთ სუფთა, კომნია გოგოს გეკადრება, ნახევრად განმედილი დაფა რომ დაგვახვედრე?.. აა, ბოლომდე ვერ შესწვდი? მერე, ვერავინ დაიხმარე? ბალაშვილი გერონტი, ჭკუა თუ არა, სიმაღლე ხომ მაინც მოგცა ღმერთმა... წყნარად, ბავშვებო, წყნარად! კიკნაძე, პირველ გაკვეთილზე თავი რომ გექინდრება, ვერ გამოიძინე? — კარისკენ შებრუნდება, — ასეც ვიცოდი, მარკოზაშვილის გარდა სხვა ვინ დაიგვიანებდა!.. კიდეც სოფელში ჰყავდი მშობლებს?.. მაშ რა გემართება, სკოლიდან ორ ნაბიჯზე მაინც არ ცხოვრობდე... შეაყარე კედელს ცერცვი!.. დაჯექი, დაჯექი... ხორბალაძე, შეაღე ფანჯარა — მაინც რა იცის ჩვენებურმა გაზაფხულმა, ერთბაშად ჩამოცხება, სულს ვერ მოითქვამ! — საკინძეზე თითებს მოიკიდებს, აიქარვებს და ფანჯრიდან ერთხანს გარეთ იყურება, მერე ხელების ფშვინებით შემობრუნდება, — მაინც საოცარია, გაზაფხული ყველაფერს აღვიძებს, სიცოცხლით ავსებს... სიცოცხლეზე ძვირფასი კი არაფერია ამქვეყნად... ცოდვია, ვინც არ იცის მისი ფასი, უქმად, უაზროდ ფლანგავს... ის ხომ მხოლოდ ერთხელ ეძლევა ადამიანს, როგორც... — გამოერკვევა, საფეთქელს მოისრესს და კლასს გადახედავს, — აბა, დღეს რით გამახარებთ?!.. ყველამ მოამზადეთ გაკვეთილი? კეთილი, ძალიან კარგი... ჩახედოთ ჩვენს დავთარს, — ამოიღებს პატარა, გაცრეცილ უბის წიგნაკს, — მჭედლიშვილო, ნიშნის გამოსწორებას აპირებ თუ საშემოდგომო კუდიტ დაგასაჩუქრო?.. გამობრძანდი!.. ჩუმად, ბავშვებო! — მსუბუქად დაჰკრა მაგიდას ხელი, — მოვუსმინოთ!.. აბა, ვის მობეზრდა კლასში ყოფნა! — გაიმკაცრებს ხმას, მაგიდაზე უფრო გამეტებით დააკაუნებს არათითზე წამოცმულ, გალულ ვერცხლის ბეჭედს, — მარკოზაშვილი, ჯერ დააგვიანე, ახლა ვერაფრით გაჩერებ, აბა, კუთხეში დადექი!.. რა ხარ ასეთი მოუსვენარი!.. შებრუნდი კედლისაკენ და ხელები უკან დაინყვე.

რამდენიმე მოსწავლე „გამოჰკითხა“, ყველა შეაქო, ფრიადებით დაასაჩუქრა.

თქვენ კი ძალიან გიბეჯითიათ, მაგრამ ამ მარკოზაშვილს რა ეშველებაო, საყვედურით გააპარებს თვალს ოთახის კუთხისკენ:

— დღესაც არ იცი, ბიჭო, არაფერი? — ამოიხარა, — მოიყვანე, ხვალ მშობელი, მოიყვანე!..

ახალი მასალა ახსნა და წვრილსამაჯურიან საათს დახედა:

— ვინ მიპასუხებს, მაშ რაზე კამათობდა ორი მოსწავლე?.. ნინიკო, ძალიან პასიურობ... მართალია, ორი მოსწავლე იაკობ გოგებაშვილის შესახებ კამათობდა!.. როგორ გაცნო მათ იაკობ გოგებაშვილი?.. — სახე გაუნათდა, — მარკოზაშვილო, ეს რა ბედნიერი დღე გაგვითენდა, რაკი შენი აწვეული თითი დავინახე...

მუშაბანდზე აკაუნებენ.

— მობრძანდი, ვერა, მობრძანდი! — ნაცრისფერ, მამაკაცურ ქურთუკში ჩათბუნებულ პენსიების დამტარებელს კარი გახარებულმა გაუღო, — გვალისეს? მადლობა ღმერთს!

— ლამის უკან გაგბრუნდი... იმდენი ვაკაუნე, ვაკაუნე... — მკლავზე ჩამოკიდებული, სიცივით გაფშვკილი ცელოფანის პარკიდან უწყისი ამოიღო.

მასპინძელმა სამელნე და ჟურნალი მაგიდის სიდრმისაკენ გასწია, სტუმარს ადგილი მოუცალა.

ვერამ ხელები დაიოროტლა, სათვალე ცხვირზე დაიკოსა და უწყისი გადაშალა:

— ტამარა მიხაილოვნა, აი, აქ მომიწერეთ!.. — გააყოლა თითი.

— რამდენი ხანია, რაც საქართველოში ცხოვრობთ, ვერა? — თვითონაც სათვალე მოირგო და კალამი მოიმარჯვა.

— ორმოცდაერთში, ევაკუაციის დროს ჩამოვედით მე და დედაჩემი.

— მერე, უაქცენტოდ როგორ ვერ ლაპარაკობთ?

— არ ვიცი, რა მემართება, ადრე უკეთესად ვახერხებდი... რაც დაგებრდი... — გულის ჯიბიდან კონვერტი ამოაძვრინა, — როგორი ფული გირჩევნიათ?..

— მეც იმდენს ვიღებ, რომ... რა მნიშვნელობა აქვს... ანდა, ერთი ხუთლარიანი იყოს, დანარჩენი... —

ვერამ ფული მიუთვალა.

— ეს შენ! — ხურდიდან ოცთეთრიანი ისევ უკან მიუცურა.

— არავითარ შემთხვევაში! — იუარა სტუმარმა.

— არ მანყენინო, იცოდე, ეგ არც შენ გაგამდიდრებს და არც მე გამალარიბებს, — ჯიბეში ძალით ჩაუღო, — რითი გაგამისპინძლდე, ჩაი, შინდის მურაბით... —

— არ შენუხდე, ბევრი მაქ სარბენი, — თან მიიხედა-მოიხედა, ღუმელი არ უნთია, არც სინათლე და გაზი და ჩაი როგორ უნდა მოაღულოსო.

— გაყინული პენსიების რა ისმის?

— ჯერ არაფერი... იქნებო, გვპირდებიან...

— მთავარია, რომ გვპირდებიან...

ვერა რამდენიმესაფეხურიან კიბეზე ფრთხილად ჩავიდა.

თვითონაც ჩაიცვამს და ვალს გადაიტანს.

სარკეს ჩახედა — ახლა შეამჩნია, როგორ ჩამოებრდა, ჩამოილია. თითქოს წარსულს კი არა, უძირო ქვევრს ჩასძახის. ესეც შენი ხანგრძლივი სიცოცხლე... რა ყრია და რა კვნესის... როგორ მობეზრდა ყველაფერი, საშინლად შეჩვეული და ყელში ამოსული... საით გაეპარა სინამდვილე, წუთისოფელი, მარტოობასთან ჭიდილში, უსიყვარულოდ...

## მასო

დადის გაბლენძილი, გაყოფილებული, ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამინა — ქალამნად, უქამრო, რეზინგაყრილ შარვალზე გატიკნილი მუცელი გადმოჰკიდებია, დამოკლებული, მალა აცურებული პერანგიდან ცნობისმოყვარე ჭიპი იყურება. რა ვქნათ მერე, ჭიპის გამოჩენა ვილას უკვირს, მოდაშია. თანაც, მეხუთე წელში გადამდგარი მახოს ჭიპი მაინც სულ სხვაა. გარშემო საყვარლად შემოცომებია, შემობურცვია მუცელი და მის შემხედვარეს გინდა, მუთაქსავით თავქვეშ ამოიდო, დაზილო, დაჩქმიტო, შეულიტინო, მოეფერო.

შინაურები ასეც იქცევიან, მახოზე კარგ სათამაშოს, გასართობს სად, რომელ მაღაზიაში შეიტენენ, — ჩახითხითდება ბიჭი, ჩაეჩვრიტება ცალ მხარეს დამნიფებულ-ჩანითლებული ვაშლიკით ლოყები, აუთახთახდება მუცელი, როცა იქნება თავს დაიხსნის, გადმობობდება ტახტიდან და ზურგზე ხელებდანიყობილი გაივლ-გამოვილის.

— როგორა ხარ, მახო, როგორ გეძინა, ცუდი სიზმარი ხომ არ ნახე?

— ცუდი კი არა და... ანდა როდის მეძინა, სიზმარიც რო მენახა, მთელი ღამე შუშას ვჭრიდი... შემოიტანეთ მაინც, რაღას ელოდებით, დერეფანში მიაღაგეთ, არ დასველდეს.

— შემოვიტანთ, მახო, რაკი ეგეთი პატივი გვეცი, შემოტანას მაინც წინ რალა უდგას! — თვალს ჩაუკრავენ ერთმანეთს უფროსები.

— მომშვივდა, ოჯახში არაფერია?

— როგორ არა, დედა გენაცვალოს, ქათმის ბულიონი...

— დაასხი, შევჭამ... — მონყალებდ თავს დაუქნევს, ვითომ, სხვა რამე რომ ყოფილიყო, უარს იტყოდა.

— აბა, დაბრძანდი! — დაფაცურდება დედა.

— ჩიჩია არ დაგავინყდეს.

— არ დამავინყდება.

— ბარკალი...

— ბარკლები ხომ დილას მიირთვი?

ჩაფიქრდება.

— ჰოო, მართალია ხარ... ნეტა ქათამსაც ოთხი ფეხი ჰქონდეს, არა, დედი?

— ნეტა...

მახო პურჩაყრილ მათლაფას ახლოს მიიწევს, კოვზს დაურევს, ბარკლის ძირს ზემოდან მოაქცევს და საქმეს დინჯად შეუდგება.

ჭამას რომ მოათავებს, ხვნეშით ჩამოვა სკამიდან, გაბურთულ მუცელზე უფრო მაღლა ააცოცდება პერანგის ბოლო და ჭიპიც უფრო ამაყად და თავისუფლად გადმოიხედება.

— ყოჩაღ, ბიჭო, თეფშს ისე მოასუფთავებ ხოლმე, გარეცხვაც კი აღარ უნდა, — შეაქებს მამა.

— ესლა ხომ ამირჩევთ იქა?

— სად იქა, მახო!

— აი, იქა! — წარბანული თავს გადააქნევს ტელევიზორისაკენ, პარლამენტში, „ხალხის რჩეულებს“ დაკა-დაკა და განევ-გამონევა რომ გაუმართავთ.

— ერთხელ არ აგირჩიეთ, მეტი რა ვქნათ?

— კიდევ მინდა!

— გეყოფა, ახლა შენი ძმა ავირჩიოთ.

— არ მეყოფა, არა! — დაუშვებს ზურგზე დანყობილ ხელებს და ფეხებს დააბაკუნებს, — არ ამირჩევთ და დაჭრილ შეშას ისევ გავამთელებ! — ბრაზი და ცრემლი ერთდროულად ცვივა თვალებიდან.

— კარგი, რა, მახო, პარლამენტიც ბუხარი ხომ არ არის, სხვაც მიუშვი!

— დაყენდი, ბიჭო! — დეპუტატობას ძმას რომ არ „უთმობს“, ლამის სერიოზულად გაბრაზდნენ შინაურები.

— არ დაყენდები, არა! ციხესიმაგრე რო აგ-იშენეთ, ეგ კარგი იყო?

— ციხე შენი პაპის პაპის პაპისპაპამ თუ იმის პაპამ ააშენა!

— მერე ის პაპა განა მე არა ვარ? — ილიმება დოინჯუმოყრილი.

ისეთი სასაცილოა, აფხუკუნდებიან ჯერ თავშეკავებით, მერე ხმამაღლა, მართლაც ზედგამოჭრილი ისა ხარო.

როცა შებინდდება, მურაბიან ჩაის კარაქიან პურს დააყოლებს და საძილედ წამოამთქნარებს. თვალის დახამხამებაში გახდინა შარვალ-ხალათს, შეაგორებენ ჩამთბარ ლოგინში, მაგრამ ჩაძინებამდე კიდევ შეახსენებს უფროსებს პირობას.

— მაგარო, მაგარო, ე ციხის ამბავი მაინც როგორ გამოგვჩა, ისევ შენ აგირჩევთ, თავში ქვას კი არ ვიხლით, ოღონდ შენს ძმასთან ჩუმად, გაიგე? — მუცელზე ფხანენ, ხელს უთათუნებენ და ესეც, გათამამებული, ენას იჩლექს, ღუღუნებს, კრუტუნებს და დამძიმებული ქუთუთოები საძილედ ეწვიან.

მაინც გაიბრძოლებს, ძილს გაუძალიანდება, ძაღლის ყეფას და უცხო ფეხის ხმას აყურადებს, რა ვიცით, რა ხდება, არეულ ქვეყანაში ვინ მიდი-მოდის, რა უდევს გუნებაში.

უფროსი ძმა დაიხრება, ბალიშზე თავმიდებულს დაბაბზე კოცნის.

— დაიძინე, მახო, დაიძინე, კაცო, ქვეყანას ხვალაც სჭირდება, გენა!

# სადლას, ნისლასის ბოლოში

იმ ცეცხლთან უსხოვარ დროში ვიჯექი. ვაშლის ყვითელგულა ნახეთქს კარგი ნაკვერ-ჩხალი დაედო. ღვეღფში მიგორებული, გვიანი სიმინდის ჭყინტი ტაროები სიმხურვალისაგან იბრანებოდნენ.

გვერდიგვერდ დახორავებული ჭარხლის თავე-ბისა და ფოჩის შუაში შუაკაცივით იდგა წაღ-დარჭობილი კუნძი.

გაჰქონდათ მონამული მინდვრებიდან მოსავა-ლი, გაუპოხავი თვლების ჭრილი მიილეოდა საუ-რმეზე, გადაძახილი თანდათან შორიდან ისმოდა და ყამირზე დაგვირისტებულ ნაურმალთან ერ-თად ნისლში იკარგებოდა... ნისლი კი ნაშუადღევს მერე თანდათან ბევრდებოდა, იფოფრებოდა, სადღაც მთებისკენ აფუებული საპნის ქაფივით რომ ამოხეთქა, ჩამოველო ფერდობები, ღრან-ტეები, ცივი მიუსაფრობით დალდასმული, საყ-დარს უკან შემოლობილი სასაფლაო. მოდიოდა რბილად, უხმაუროდ, მოიპარებოდა ნანვერალზე, ნავენახარზე, ავსებდა გვალვით ჩამხმარ ხეებს.

მოსავალმოლეული შემოდგომის დაღლილი მინდვრების ზურგზე მძიმე-მძიმედ მიილანდებოდნენ ჭარხლით დაზვიწული ურმები, ისინიც ნისლები-საკენ მოიჩქაროდნენ, შიგ ეხვეოდნენ, ნისლისკენ მიიბიჯებდნენ დაკორძილი, ბებერი ვაშლის ხეე-ბი, ტოტებზე შემომსდარი აჭახჭახებული კაჭკაჭე-ბით.

თითქოს ნისლის ფარდა გადაინია, უცებ ჩვენ წინ შაოსანი მოხუცი ქალი გამოჩნდა. ქალს ერთ ხელში ჯოხის კაუჭი ჩაებლუჯა, მეორეში, მხრე-ბიდან რომ არ გადასცურებოდა, ნიკაპთან ნაოჭ-შეყრილი შალი. გვერდით პატარა, ხელკალათიანი, ჩემი კბილა გოგო ამოყენებინა, რომლისთვისაც კვეფასთან განასკვეულ ზოლიან თავსაფარში ისე გამოეკრა პირისახე, მოძრავი, სევდიანი თვალები რომ არა, თოჯინა გეგონებოდა.

გოგო მოხუცს შეჰყურებდა, ქალი — ჩვენ, მე და ბებიაჩემს.

— ღმერთმა ბარაქა მოგცეთ!

— ბარაქა კი არა და... ჭარხლის გაგონება აღარ გვინდა, გაგვწყვიტა წელში. ეს ერთი გზალა დარჩა წასალები, — სკამიდან წამოიკაკვა თქოე-ბზე ხელებდაყრდნობილი ბებიაჩემი, — დაბრ-ძანდი, დაისვენე, ჩემო დაო.

— მე არ მინდა, ცოტა ბავშვს შემიცივდა და ვიფიქრე, ცეცხლთან გავათბობ-მეთქი. მოდი, შვი-ლო, მოდი, — სკამი ცეცხლთან ახლოს მიუჩოჩა და აბაბანებული გოგო ჩამოსვა.

— აბა, მიუფიცხე ხელები... საზაფხულოდ გამოწ-ყობილხარ და შეგცივდებოდა, მაშ რა იქნებოდა... შორიდან მოდიხარ თუ... — შეხედა ბებიაჩემმა შაოსანს.

— აღარც ახლოდან! — თითქოს ამ შეკითხვას ელოდაო, ჯოხი წინ დაიჭირა და ახლა ორივე ხელით ჩამოყვრდნო, — ამის დედა ჩემი რძალი იყო — გასულ შემოდგომაზე ჭლექით დაგვეღუ-პა... სოფელში წაასვენეს, იქ დაკრძალეს მშობლებმა... ახირეს და ვერაფერს გაეხდით, თორემ ჩვენ ქალაქში ვცხოვრობთ და იმას სოფელში რა უნდა... ის უბედური დღევანდელ დღეს არის დაბადებული... ჯერ ავტობუსს გამოვყვეით, მერე ვილაც მაღლიანს დავემგზავრეთ... დავანთეთ



სანთლები, ვილოცეთ, ვივარდებოდა და წამოვედით... განა მძახლებთან არ დავრჩებოდით, მაგრამ ამან არ ქნა... გზამდე როგორმე ჩავალწვდით და რამე გამოვივლი...

გოგომ მუჭი პირთან მიიტანა, შეეცადა, ხმამალა არ დაეხველებინა.

— ძალიან თხლად აცვია! — გაიმეორა ბები-აჩემმა და ქალს საყვედურით შეხედა.

— მომიკვდეს თავი... რა ვიცოდი, ამინდი თუ შეიცვლებოდა... თანაც ეს კაბა ლოგინში ჩავარდ-ნილმა დედამ შეუქერა... დაიჟინა, სხვას არ ჩავ-იცვამო და უარი ველარ ვუთხარი.

ნაკვერჩხლიდან სიმინდი გამოვავარე, ცხელ-ცხელი ავიტაცე, სული შევუბერე, ნაცარი გავაყრე-ვინე, შევავარილე და კალთაზე დავუდე.

გოგომ დამორცხვებული თვალები ამომანათა, მადლობაო, ფერმოსული, თხელი, ყვავილის ფურ-ცელივით ტუჩებით ჩაიბუტბუტა და სიმინდს მარცვალი წააციცქნა, გემო გაუსინჯა.

ჩემი არ მოერიდოს-მეთქი, გზის გადაღმა, ვაშ-ლის ბაღში, ხმელი ნაკაფის ასაგროვებლად გავიქე-ცი. როცა მოვბრუნდი, გოგოს თეთრი, მეჩხ-ერი კბილები აცაბაცა მიჰყვებოდნენ რძიანი მარცვლების მწკრივებს და წითელი ტუჩები გამურვოდა.

გამეცინა. ხელი მოისვა, მური ახლა ლოყაზე გადაე-დღაბნა და უფრო სასაცი-ლო გახდა.

მოხუცი გვერდით მიუჯ-და, ცხვირსახოცით სახე მოსწმინდა. გოგომ გაბუტულივით მომხედა და ქალის იდლიაში შეიმალა.

— მოსცილდი, გოგო, ბაბოსა.

— ჩემი კონინია, ჩემი! — ამოიხრა მოხუცმა, — ამისთვისღა ვცოცხლობ... მიდი, შვილო, ითა-მაშე ბიჭთან.

გოგომ გამიღიმა, რაც შერიგებად უნდა ჩამ-ეთვალა.

მისი თვალების კამკამა სილურჯემ მკერდში რალაც გამითბო და მთელ სხეულში დამიარა. ხმელ ტოტს დავწვდი, მუხლზე ყოჩაღად გადა-ვამტვრიე.

ცეცხლი ახალი ძალით აბურბურდა, ავარდნი-ლი ნაპერწკლები ტკაცუნით სკდებოდნენ.

გოგოსკენ მიხედვას ველარ ვბედავდი, მეგონა, სახეზე გამომაფინა ყველაფერმა, რაც ჩემში ხდე-ბოდა.

ჩალის ღერზე თეთრინწკლებიანი მწერი დალოდავდა, თითი დავუხვედრე — ზედ ავიდა და ხელისგულზე გადმოცოცდა. მერე მეორე ხე-ლისგული მივუმარჯვე — ახლა იქ გადაბრძან-და. თან გაშლის, დაკეცავს ფრთებს, გაშლის, დაკეცავს, მაგრამ გაფრენა არ უნდა თუ ვერ ბედავს.

უცებ ჩემს ხელთან უცხო ხელისგული დავი-ნახე — დატუტული გოგო გაღიმებული დაჰყურებ-და, ჭიამაიამ როგორ გადაინაცვლა მის პატარა, ლურჯი კაპილარებით დაზოლილ მაჯაზე.

დადიოდა ჭიამაია, გვილიტინებდა პატარა საცე-ცებს. აღმა-დაღმა გაქცეულ მწერს სულს ვუბერ-ავდით, ვცდილობდით ჩვენ-ჩვენი ხელისგულისაგ-

ენ გამოგვეტყუებინა. ისიც გულს არ გვწყვეტდა. ამხელა მოღუშულ, დანისლულ მინდორში მხოლოდ გამხიარულებული გოგოს კისკისი ისმოდა. როცა მის ხელს ვეხებოდი, უცნაურ თრთოლას ვგრძნობდი, მეგონა, გული გამისკდებოდა და მილიონ ბრჭ-ყვილა ნამცეცად მიმოიფანტებოდა.

თითები ერთმანეთთან „ჩხუბობდნენ“, ეფერე-ბოდნენ, საუბრობდნენ კიდეც, მაგრამ ჩვენ გარდა არავის ესმოდა.

ჭიამაიამ, როგორც იქნა, გაშალა ფრთები, გადა-ფრინდა გოგოს ხელისგულიდან და შემჭვნარ ბალ-ახში ჩაიკარგა.

გასკდა ფერადი ბუშტი. კვლავ ნისლებით დამ-ძიმებულ მინდორში დავცვივდით.

გოგომ ხელები ზურგს უკან დამალა და ისევ მოხუცს მიეხუტა.

— ასეა, ჩემო დაო, ბევრი ვეცადეთ, მაგრამ ვერაფერს გავხდით... საბანი როგორც გავწვდება, ისე დაიხურეო. თუ საერთოდ არ გაქვს საბანი, როგორ გაიწვდენ ან დაიხურა?

— ჰო, ეგრეა, ეგრე, ტანჯვა-წამებისაა ნუთი-სოფელი, — დანალვლიანდა ბებიჩემიც და გოგოს ცხვირზე თითი მოუცაცუნა, — მოსცილდი, გოგო, ბაბოსა...

— ჩემი კონინია, ჩემი... — თქობებზე ხელებდაყრდნობილი წამოიკაკვა, — აბა, დიდი მად-ლობა. ჩვენს გზას ვენევიო, თორემ დაგვალამდება.

ბებიჩემი დაფაცურდა, ჭარხ-ლებს ტალახი გააყრევირა, გაა-სუფთავა და კალათში ჩაუნ-ყო.

— ტუბილია, გემრიელი... გინდ შეწვიო, გინდ მოხარ-შეთ...

— ნუ ნუხდებით... — რა შეწუხება... დიდი

ჩანთა მაინც გქონდეთ...

— მეტს მაინც ვერ ვატარებთ...

— მოიცათ! — რალაც გაახსენდა, თივაზე გადა-ფენილი ჩალილული ნაქსოვი აიღო, დააფერთხა და, აბა, ხელი გაუყარეო, გოგოს ჩააცვა, ჩამოუს-წორა, ნაქსოვმა გაცრეცილი მუხლისთავებიც და-უფარა.

— ახლა აღარ შეგცივა.

— უიმე, როგორ გეკადრებათ... — შეწუხდა მოხუცი.

— ბებრული კია, მაგრამ რაც მთავარია, სუფთაა და თბილი, — აკოცა გოგოს თავზე.

— მადლობა, მადლობა... მოგანვდით, როცა აქეთ მოგვინევს წამოსვლა...

— თქვენ კარგად იყავით და... — ხელი ჩაიქნია ბებიჩემმა.

მინდორს მოკლევზე, გარდიგარდმო ჭრიდნენ, ქარსაცავ ზოლს იქით ჩაყოლებული შარავნისაგ-ენ მიიჩქაროდნენ. კალათი ისევ გოგოს მიჰქონდა. ვიდრე ნისლის ფარდას გადასწევდნენ და თვალს მოეფარებოდნენ, კალათას რამდენჯერმე მოუწაცვლა ხელი.

მიიმალნენ და უმიზეზოდ, პირველად, მაშინ მომინდა გულიანი, ხმამალალი ტირილი.





# ყამადა

ქალი ლოგინში იწვა, საბნიდან შიშველი ფეხი გამოეყო და ნაზად ეფერებოდა...

კაცმა პერანგი გაიხადა და სკამის საზურგეზე გადაკიდებულ ახალთახალ კოსტიუმს გადააფარა.

— ჩქარა, ჩემო ჩიტუნავ! — უთხრა ქალმა, — რომ იცოდე, როგორ მინდისარ!

კაცმა სასწრაფოდ გაიძრო ფეხსაცმელები...

და გაისმა ზარის წკრიალი.

— ვაიმე, ქმარი დაბრუნდა! — ნამოხტა ქალი და პერანგიანი აწრიალდა ოთახში.

— იქნებ სხვა არის ვინმე? — ჰკითხა კაცმა.

— არა, ნამდვილად ქმარია. ის რეკავს ასე. არ დამლუპო, ჩიტუნავ, სასწრაფოდ შეჯექი კარადაში!

— ტანსაცმელს რა ვუყო?

— მე მოვუვლი.

კაცი კარადაში შეძვრა.

ქალმა მიხურა კარადის კარი და გასაღები-თაც ჩაკეტა.

მერე შემოსასვლელისკენ გასძახა;

— ახლავე, ჩემო ჩიტუნავ, ახლავე!

კარადიდან ბუზღუნნი მოისმა:

— მეც ჩიტუნავს მეძახი და ქმარსაც?

— ჰო, ჩემი ჩიტუნები ხართ, — გაიცინა ქალმა და კარადის კედელზე ლამაზ ღილაკს დააჭირა თითი.

გაისმა სასიამოვნო წკრიალი.

— პლუს ერთი! — ნამოიძახა ქალმა მხიარულად.

აუჩქარებლად გაიტანა მეორე ოთახში კაცის ტანსაცმელი და ფეხსაცმელები. გამოვიდა იქიდან და აუჩქარებლად გააღო ბინის კარი.

შემოვიდა პატარა კაცი.

ისიც ახალთახალ კოსტიუმში იყო გამოწყობილი.

— ჩემო ჩიტუნავ! რატომ დაიგვიანე? — შესძახა ქალმა და ფაშფაშა მკერდზე მიიხუტა.

— ზუსტად დათქმულ დროს მოვედი, — დაიხედა კაცმა საათზე, ფეხის წვერებზე აინია და სცადა, ტუჩებში ეკოცნა.

— დაიგვიანე, დაიგვიანე, ჩემო საძაგელო ჩიტუნავ! ეტყობა, არ გიყვარვარ. მე კი ისე გელოდი... ხედავ? წინასწარ გავიხადე.

— ჰო, ერთი წუთი დაიგვიანე. მხოლოდ ერთი წუთით. მაპატიე!


— ეგ ერთი წუთი შენთვის არაფერია. მე კი ვიტანჯებოდი უშენოდ... კარგი, მიპატიებია, ჩიტუნავ.

— გმადლობ!

ქალი განზე გადაგა და აათვალიერ-ჩაათვალიერა კაცი.

— სად იყიდე კოსტიუმი?

— „ელდორადოში“.



კურამ  
ჩქვნიისძვილი

— ო, „ელდორადო“! მიყვარს ეგ ბუტიკი. ფეხსაცმელები?

— ესენიც იქვე.

— სჯობდა. „ელიზუმში“ გყვიდა. მაგრამ არა უშავს... აუჰ, რას ვუდგავართ! სასწრაფოდ გაიხადე, ჩიტუნავ!

კაცმა კვლავ სცადა ეკოცნა. ქალმა აირიდა და საბანქვეშ შეცურდა.

— კოცნობა მხოლოდ ლოგინში! ჩქარა, ჩიტუნავ, გელი!

კაცმა სწრაფად დაიწყო გახდა.

— იარლიყები ხომ არ მოაცალე? — ჰკითხა ქალმა.

— არა, ყველა ზედვეა.

— უნდა მაპატიო ეს უცნაურობა, ჩიტუნავ. აბა, რა ვქნა, თუ ასე მოხდა. დაგინახე თუ არა, მაშინვე შემიყვარდი. ოლონდ რატომღაც იმავე წამს თვალწინ წარმომიდგა ასეთი სურათი: შენ მოიჩქარი პირველ პაემანზე და ყველაფერი იმ-წუთას ნაყიდი გაცვია. განსაკუთრებით კი იცი, რამ აღმაგზნო? წარმოვიდგინე, რომ ჩემკენ მომქროლავი ვერაფერს ამჩნევ და ტანსაცმელზე იარლიყები ქანაობენ... სასაცილო ვარ, ხომ? მაპატიებ ამას, ძვირფასო ჩიტუნავ?

ამასობაში კაცმა ყველაფრის გახდა მოასწრო.

— გაპატიებ, აბა, რას ვიზამ! — იღმუვლა და ეძგერა ქალს...

და კვლავ გაისმა ზარის ხმა.

— ვაიმე, ქმარი! — ნამოიკვივლა ქალმა, — დაგვხოცავს ორივეს!

— რა უნდა ვქნათ? — წაილულულა შეშინებულმა კაცმა.

— სასწრაფოდ შეძვერი კარადაში!

კაცი ნამოხტა და ტანსაცმელს ეცა.



— მაგას მე მოვუვლი. ფრთხილად, არ დაჭმუჭნო! — უთხრა ქალმა და ბიძგებ-ბიძგებით წაიყვანა კარადისაკენ. გაალო კარი, შეაგდო კაცი და გადაატრიალა გასაღები. დააჭირა ღილაკს თითი და კარადამ კვლავ გაიწვრიალა.

— პლუს ერთი! — თქვა ქალმა და მოლიმარი გაემართა შემოსასვლელისაკენ.

გაალო კარი. შემოვიდა შუახანს გადაცილებული, მალალი და ჩასკვნილი კაცი.

— ჩვენს საქმეს გაუმარჯოს! — თქვა კაცმა და ჩაკოცა ქალი.

— დათვერი, ვანო?  
— ჯერ არა, მაგრამ დღეს უნდა ვიქეიფოთ მე და შენ. ხომ იცი, დღეს რა დღეა?

— ოთხშაბათია.  
— მაგას არ გეკითხები. დღეს ჩვენს საქმეს ერთი თვე შეუსრულდა!

— მე კი დამავინწყდა ამდენი ჩიტუნების გადამკვიდვს.

— რას იზამ, ვიოლეტა, თუკი საქმე მოითხოვს...

ვანომ მოფერებით გადაუსვა ხელი კარადას.  
— კაი კარადაა, — გაუღიმა ვიოლეტამ.

— კარგიაო?! კარგი კი არაა, ყველაზე დიდებული კარადაა მთელ დედამიწაზე! არა ვარ მართალი?

— მართალი ხარ, — მიეხუტა ვიოლეტა, — ჩემო ჯადოქარო!

— დიხაყ! — შეიფერა ვანომ, — დღეს შევასრულეთ გეგმა?

— კი. ათნი სხედან შიგ.  
ვანომ კარადის გასაღები გადმოატრიალა და კარი ფართოდ გამოალო:

— აბა, ჩიტუნებო, გამოდით!  
მაგრამ არავინ გამოსულა კარადიდან.

— ვიოლეტა, შენ უთხარი, შენ უფრო დაგიჯერებენ.

ვიოლეტამ მხარი მოიშიშვლა და მინაზებულად წაიმღერა:

— გამოდით, გამოფრინდით, ჩემო ჩიტუნებო! განა აღარ გიყვართ თქვენი ვიოლეტა?

და კარადიდან მართლაც ჩიტები გამოფრინდნენ,

ფერად-ფერადი თუთიყუშები!  
გამოფრინდნენ და გუნდად მიიტანეს იერიში ვიოლეტაზე.

ვიოლეტამ შეჰკვივლა და ჩაცუცქდა.  
თუთიყუშებმა თავზე გადაუფრინეს.

— აბა, აბა, ეგეთები არ იყოს! — შესძახა ვანომ და თავზე დაადო ხელი ვიოლეტას, — ვიცი, რომ გაბრაზებულები ხართ ვიოლეტაზე, მაგრამ მისი განწევის უფლებას ვერ მოგცემთ, — წამოაყენა ვიოლეტა და მკერდზე მიიკრა, — დაწყნარდით და მომისმინეთ!

თუთიყუშებმა ერთხანს იფრინეს ოთახში და მერე ზოგი იქით და ზოგი აქეთ ჩამოსხდნენ.

— აი, ასე! — განაგრძო ვანომ და არტისტულად ასწია ხელი, — ბატონო თუთიყუშებო! ვილაპარაკოთ კაცურად. რამ მოგიყვანათ აქ? ამ ქალის სიყვარულმა, ხომ? სიყვარული უმშვენიერესი რამაა, მაგრამ, ხელოვნებისა არ იყოს, ისიც მსხვერპლს მოითხოვს. ხომ მართალი ვარ, ვიოლეტა?

— მართალი ხარ, აბა რა! — მჭიდროდ მიეხუტა ვიოლეტა.

— თუმცა კი, თუ კარგად დაფიქრდებით, რა მსხვერპლზეა აქ ლაპარაკი? — განაგრძო ვანომ პათეტიკურად, — სიყვარულმა თქვენ, უბრალო ვილაკები, ჩიტებად გაქციათ. განა ცაში ფრენა არაა ყველა ადამიანის ოცნება? ჰოდა, იფრინეთ

და იყავით არხენად. ახლა გაგიღებთ ფანჯარას და დავშორდებით ერთმანეთს. ოღონდ ერთი ცუნდა გითხრათ. ფრენა თავისუფლებაა. თავისუფლება კი მარტივი რამ არაა. ერთი მხრივ, კარგია, რომ გაფრინდები საითაც გინდა. გინდა — ზღვისკენ და გინდა — მთისკენ. მოგინდება და, ყვავილოვან ბაღებში იფრენ, მოგინდება და, შადრევანთა თავზე... მაგრამ, მეორე მხრივ, თავისუფლება სახლადღორთო რამაა. თვითონ უნდა იშოვო საჭმელი და თავშესაფარი, თვითონ უნდა დაიცვა თავი ავი ქორებისაგან თუ ვერაგი კატეხისაგან...

ვანომ ერთ წამს შეისვენა და მოზვიემ ქურთმივით ხმათროლებულმა დაამთავრა სიტყვა:

— მე გაგაფრთხილეთ, ბატონებო, ახლა არჩევანი თქვენზეა!

მერე მშვიდად უთხრა ვიოლეტას:

— გააღე ფანჯარა.  
ვიოლეტამ ფანჯარა გაალო და თუთიყუშებს მშვიდად უთხრა:

— მშვიდობით, ჩიტუნებო.  
— მშვიდობით, ბატონებო, ჩემგან მოკითხვა ყველა ფრთოსანს! — შესძახა ვანომ.

მაგრამ თუთიყუშები უძრავად იხსდნენ...  
— ეგრეც ვიცოდი, — გაეცინა ვანოს, — თუთიყუში თუთიყუშია, ცას რა თავში იხლის. ვიოლეტა, მოიტანე გალია.

ვიოლეტამ მეორე ოთახიდან დიდი გალია გამოიტანა და მაგიდაზე დადგა.

თუთიყუშები ჯერ მაგიდაზე დაფრინდნენ და მერე თავჩალუნული კაცებივით შევიდნენ გალიაში.

ვანომ გალიის კარი ჩაკეტა.  
— ახლა კი ფრიად სასიამოვნო საქმე, — უთხრა ვიოლეტას, — დავინაგარიშოთ მოგება. მაგიდას მიუჯდა, წინ სუფთა ფურცელი დაიდო და კალმისტარი მოიმარჯვა.

— მოდი აქ, — თვალი ჩაუკრა ვიოლეტას.  
ვიოლეტა მუხლზე ჩამოუჯდა.

ვანომ წელზე მოხვია ხელი და ანგარიში დაიწყო:

— მაშ ასე. ეს თვე ოცდაათი იყო. ოცდაათჯერ ათი ჩიტუნა იქნება სამასი. თითო კოსტიუმში თავის ფენსაცმელებიანად ხუთასი დოლარია. სამასჯერ ხუთასი... ესე იგი... სამჯერ ხუთი თხუთმეტი... მივუნეროთ ოთხი წული... გამოვა ასორმოცდაათი ათასი. დიდებულთა!

ვანომ მიიზიდა ვიოლეტა და გემრიელად ჩაუკოცა ყელ-კისერი.

— თუთიყუშები დაგავინწყდა! — უთხრა ვიოლეტამ და ნაზად მოუწინკნა უღვაში.

— სიკვდილსამც დავინყებინხართ, — უთხრა ვანომ დაღონებულ თუთიყუშებს, — ოცდაათჯერ ათი სამასია. სამასჯერ ორმოცდაათი... თხუთმეტი ათასი.

— ორმოცდაათად შეიძლება ვერ გავყიდოთ.  
— კარგი, იყოს ორმოცი. მაშინ გამოდის თორმეტი ათასი. ერთად კი იქნება ას სამოცდაორი ათასი.

— ჩემო ჯადოქარო! — ლოყაზე ლოყა გაუნახუნა ვიოლეტამ.

— მაგრამ ას სამოცდაორ ათასს უნდა გამოვაკლოთ რალაც-რალაცები.

ყოველი კოსტიუმიდან და წყვილი ფენსაცმლიდან ჩვენ გვრჩება თანხის ოთხმოცდაათი პროცენტი. ათი უნდა მივცეთ იმათ, ვინც გავგიყიდის.

— ხუთი არ იქნება საკმარისი?  
— უკვე ველაპარაკე „ელდორადოს“. ათზე ნაკლებად არ დაიბრუნებენ საქონელს. თუთიყუშებით შემოსულ თანხას ვაკლებ ოცდაათ პროცენტს.

— ხუთი არ იქნება საკმარისი?  
— უკვე ველაპარაკე „ელდორადოს“. ათზე ნაკლებად არ დაიბრუნებენ საქონელს. თუთიყუშებით შემოსულ თანხას ვაკლებ ოცდაათ პროცენტს.

ეს იმათ, ვინც გაგვიყიდის ჩიტუნებს. დღეში ასი დოლარი კი — სადარბაზოს კონსიერჟს.

— ორმოცდაათი არ ეყოფა, განა?

— არ იზამს. უკვე ველაპარაკე. უფრო სწორად, თვითონ გამომელაპარაკა. ამდენი კაცი რომ მოდის თქვენს ბინაში და უკან არავინ ბრუნდება, ეს ძალიან საეჭვო ამბავია და ვაითუ როდისმე პოლიციამ პასუხი მომთხოვოს, რატომ არ შეგვატყობინეო.

— ხომ არ მიხვდა, აქ რაცა ხდება?

— მაგას, აბა, როგორ მიხვდებოდა?! არც აინტერესებს... ერთი სიტყვით, კაი ფული ვიშოვეთ. ნუ დაგწვრილმანდებთ და კაპიკების თვლას ნუ დავინწყებთ. თვეში ასი ათასზე მეტი ხომ გვრჩება... გაუმარჯოს ჩვენს საქმეს!

და ვანომ ისევ ჩაკოცნა ვიოლეტა. მერე მსუბუქად გაუტკაპუნა დუნდულეზე.

— გამოიტანე შამპანური!

ვიოლეტა სამზარეულოსაკენ გაემართა.

ვანო გაუხდელად წამოგორდა სანოლზე. ხელები თავქვეშ ამოიწყო და აღილინდა:

— ასი ათასი... ასი ათასი... ასი ათასი-იი...

ვიოლეტამ გამოიტანა შამპანური და ორი ბოკალი. შამპანური ვანოს მისცა, ბოკალებით ხელში მიუწვია, თავი მხარზე დაადო და კმაყოფილი კატასავით აკრუტუნდა.

ვანომ შამპანური გახსნა და ბოკალები გაავსო.

მიუჭახუნეს ერთმანეთს.

— ჩემო ვიოლეტა, შევსვით ჩვენი სადღეგრძელო! არა, ჩვენიც და ჩვენი კარადისაც!

— ჩიტუნებმა რაღა დააშავეს?

— ჰო, ჩიტუნებო, თქვენც გაგიმარჯოთ, — გალიისკენ გაიშვირა ბოკალი ვანომ, — კიდევ გაუმარჯოს შენს ქმარს, ოკეანეებში რომ ებრძვის ქარიშხლებს. როცა ერთი წლის შემდეგ დაბრუნდება, ვაჟკაცურად გაეძლოს თავს დატეხილი უბედურებისათვის.

— რა უბედურებისათვის?.. აჰ! მე რომ დამკარგავს? მართლაც, დიდი უბედურება იქნება მისთვის. რომ იცოდე, როგორ ვუყვარვარ!..

— ჰოდა, სიყვარულისთვის ჯილდოს მიიღებს. მილიონი ჩვენი, ხოლო რაც დარჩება

— ქმარს. ასი ათასზე ნაკლები ხომ არ იქნება. მეტი რა უნდა?.. აბა, გაგიმარჯოს ყველას! შესვს.

ვიოლეტა მიეხუტა ვანოს:

— ნამდვილი ჯადოქარი ხარ, ჩემო ჩიტუნაე!

— რაო?! ეგ რა მითხარი? — ვანო წამოინია და თვალეში ჩააშტერდა ქალს, — ესე იგი, მეც ჩიტუნა ვარ შენთვის?

ვიოლეტამ კისერზე მოხვია ხელი და თავისკენ მიიზიდა...

— მაპატიე! ერთი თვეა, სულ ჩიტუნა-ჩიტუნას რომ გავიძახი, იმიტომ წამომცდა...

— კარგი... — მოლბა ვანო და ქალის მკერდს დააცხრა ტუჩებით.

ვიოლეტა თმაზე ეფერებოდა.

მერე უთხრა:

— ვანო, შენ ხომ მართლაც ჯადოქარი ხარ. ამ კარადის მაგიერ განა არა სჯობდა, ფულის მანქანა გაგვეუბნინა?


— შევანწყობდით შიგ ქალაღის დასტებს და გამოფრინდებოდნენ ასდოლარიანები, ხომ?

— ჰო...

— შენა გგონია, მე არ მიფიქრია ეგეთ მანქანაზე? მიფიქრია, ცხადია. მაგრამ ჯადოქრის შრომა მეცნიერისას ნააგავს. განა მეცნიერები იმას აღმოაჩენენ ხოლმე, რაც საჭიროა? არა! აღმოაჩენენ იმას, რაც გამოუვათ. მე ეს კარადა გამომივიდა და რა ვქნათ? განა აღარ მოგწონს ჩვენი კარადა?

— ძალიანაც მომწონს, მაგრამ...

— დაილაღე, ხომ?



— ჰო, დავილაღე...

— ახლა ერთ კვირას დაისვენებ, ვიდრე მე კოსტიუმებს და თუთიყუშებს ფულად ვაქცევ, ერთბაშად ხომ არ მიიღებს „ელდორადო“ სამას კოსტიუმს. თუთიყუშების გამყიდველებსაც მოძებნა უნდა. გრაფიკი ასეთი გვექნება: ერთი თვე შენ მუშაობ ჩიტუნებთან, შემდეგ კი ერთ კვირას მე ვმუშაობ, ანუ შენს ნამუშევარს ვაქცევ ფულად. რას იტყვი?

— ჰო, ეგრე იყოს... — ამოიოხრა ვიოლეტამ.

— გატყობ, მაინც რაღაც განუხებს.

— ვერა ხვდები, რაც მანუხებს?

— ვერა...

— ეჰ! კაცი მაინც კაცია, გინდ ბრიყვი და გინდ ჯადოქარი. მიხვედრილობა გაკლიათ კაცებს.

— მითხარი, რა განუხებს...

— ვანო, ყოველდღე ათიდან სამი ან ოთხი ჩიტუნა აგვიანებს. მაგალითად, მე ვეტყვი სამზე,



ის კი სამ საათსა და ათ წუთზე მოდის. ან სულაც თხუთმეტზე...

— მერე?

— მერე ის, რომ ლოგინში თავისი ნებით ჩანოლილი ქალი კაცს ათ წუთს თუ არ დანებდა, ეს ამბავი ორნაირად შეიძლება დამთავრდეს. პირველი ვარიანტი: თუ მამაკაცი ტემპერამენტინია და თანაც ჩემზე ძლიერი — უბრალოდ, გამაუპატიურებს. ეს კი, იცი, რამხელა ფსიქოლოგიური ტრავმაა?

— მე მგონი, ტრავმის ამბავს აბუქებ, — გაეღიმა ვანოს.

— ვაბუქებ? ესე იგი, პატივს არა მცემ და, მით უმეტეს, არ გიყვარვარ, — ტუჩები გაბუხსა ვიოლეტამ.

— კარგი, კარგი, მაპატიე... — ვანომ თავზე მოფერებით გადაუსვა ხელი, — მეორე რაღა ვარიანტია?

— რა და... ნაავლებს ის კაცი ხელს თავის პინკინა კოსტიუმს და გავარდებ... —

— ჩვენ კი დავკარგავთ ხუთას დოლარს, — თქვა ვანომ.

ერთხანს ჩუმად იყვნენ.

მერე ვანო ალაპარაკდა:

— აბა, რა ვქნათ, ყველა საქმეს აქვს უსიამოვნო მხარე... არ გაინტერესებს, როგორა ვსწავლობდი ჩემს საქმეს?

— როგორ არა, მაინტერესებს.

— ჩემი მასწავლებელი ძალიან მკაცრი იყო, — დაიწყო ვანომ თხრობა, — მკაცრი კი არა, შეიძლება ითქვას, სასტიკიც კი იყო. ხშირად მცემდა ხოლმე. ხან იმის გულისთვისაც კი, არასწორად რატომ მომმართეო. მოითხოვდა, რომ მხოლოდ „მაესტრო“ დამეძახა მისთვის, ხოლო მისი კოსტაპრუზობა იმ საკითხებში, რომლებსაც იგი მაღალფარდოვნად ზნეკეთილობის პრინციპებს უწოდებდა, მთლად სასაცილო იყო. სასაცილოც და საშინელიც... ბოლო გამოცდაზე წარუვუდგინე მრავალფეხა, რომელსაც ერთი ფეხი ზურგზე მივაბი. იცი რა ქნა? სასტიკად მცემა სახრიო.

— იმ ფეხის გამო? — შეიცხადა ვიოლეტამ.

— ჰო. როგორ თუ უმწეო არსებას დასცინეო. არადა, მრავალფეხას ხომ ტვინი არა აქვს და ვერც კი გაიგო, ის ფეხი რომ ჰქონდა ზურგზე.

— მერედა რა იყო მიზეზი იმ მაესტროს უცნაურობებისა?

— სიბრიყვე და მეტი არაფერი. ამიტომაც გავეჭეცი და მას შემდეგ თვით ვცდილობდი დაოსტატებას.

— დაოსტატდი კიდეც, ჩემო გენოსო!

ვანომ შექება შეიფერა და განაგრძო:

— შენა გგონია იმ სულელი მასწავლებლით დამთავრდა ჩემი უსიამოვნებები? აი, ავიღოთ, მაგალითად, ეს კარადა. იცი, რამდენი მოსაწყენი, სქელი ნიგნის ნაკითხვა დამჭირდა, ეს რომ გამეკეთებინა? წარმოიდგინე: ზიხარ ბიბლიოთეკაში, ჩაჰკირკიტებ აშშ-ორბულ ფოლიანტებს და ამ დროს ხალხი ქუჩაში სეირნობს, იცინის, ერთობა... ვილაც — აუზში, ვილაც — კაზინოში, ვილაც საყვარელთან ნებივრობს... ნიგნებს კიდეც რა უშავს! როგორა გგონია, გემრიელია გამხმარი და დანაყილი ბაყაყებისა და ტარაკანების ფხვნილი, თანაც ბებერი თხის შარდში მოზეული?

— ფუჰ! — წამოიძახა ვიოლეტამ.

— დიასაც რომ ფუჰ! ქათმის სკინტლით ტანის დაზღვევაზე რაღას იტყვი?! მერე ბურტყლში გორაობაზე? მერე ღამით ტყეში ბურტყლიანი და სიცივით აკანკალებული კურდღელს რომ ელოდები, ეს როგორია?

— კურდღელი უნდა დაიჭირო?

— არა, კურდღლის ახალმოკურკლული უნდა იბოვო...

— და შეჭამო?

— მადლობა ღმერთს, რომ შეჭმა არაა საჭირო. უნდა დათვალო კურკლები და თუ მათი რიცხვი შვიდზე გაიყოფა, ესე იგი კარგად მიდის საქმე...

— თუ არ გაიყო?

— მაშინ ხელახლა ქათმის სკინტლი, ბურტყლები და ტყეში კანკალი... შენა გგონია, კარადა რომ გავაკეთე, ამით დამთავრდა ჩემი წვალეზა? კარადამ რომ ჯადოსნური ძალა არ დავკარგოს, წელიწადში ორჯერ ისევა მაქვს გადასატანი ყველაფერი: ბაყაყებიც, ტარაკანებიც, სკინტლიც, ბურტყლიც და კურკლიც...

— მაპატიე, ვანო, — უთხრა ვიოლეტამ და მიეხუტა, — რა სულელი ვარ... რასა ვწუნუნებ... მაპატიე... მოდი... ჩამეხუტე... მოდი შენს სულელ ვიოლეტასთან...

ვანო მოეხვია და ის იყო ქალის თქოდან ფეხებისკენ გააპარა ხელი, რომ...

კვლავ გაისმა ზარის ხმა.

— ვაიმე! — წამოიკვილა ვიოლეტამ, — ვაიმე!

— ვინ ოხერია ნეტავ? — წაიბურტყუნა ვანომ უკმაყოფილოდ.

— ჩემი ქმარია!

— ქმარი? რა ქმარი, რის ქმარი... ავი ერთი წლის შემდეგ უნდა ჩამოვიდესო?

— არ ვიცი, რა მოხდა... ნამდვილად ისაა! გესმის, როგორ რეკავს? ერთი მოკლე ზარი, ორი გრძელი... ერთი მოკლე... ორი გრძელი...

— ხომ შემპირდი, რომ მიატოვებ. ავუსნათ, რომ აღარ გიყვარს...

— ახსნას ვერ მოვასწრებთ, მაშინვე დაგგოცავს!

— მაშ, რა ვქნათ?

— ჯერჯერობით კარადაში უნდა შეძვრე. მერე კი ვნახოთ...

— ჩვენს კარადაში?

— აბა, სხვა კარადა სადა გვაქვს?

ვანო კარადისკენ წავიდა. ვიოლეტა უკან მიჰყვებოდა:

— ჩქარა, ჩქარა! შედი.

ვანომ კარადის კარი გააღო და ვიდრე შეძვრებოდა, ვიოლეტას მოუბრუნდა:

— ეცადე, რომ შენი ქმარი კარადასთან არ მოვიდეს და ღილაკს არ დააწვეს შემთხვევით.

— ნუ გეშინია!

ვანო შეძვრა კარადაში და...

ვიოლეტამ სწრაფად მიხურა კარი და გასაღებიც გადაატრიალა.

— კარი რატომ ჩამიკეტე? — ბრაზიანად ჰკითხა ვანომ.

— ასეა საჭირო! — უპასუხა ვიოლეტამ და ღილაკს დააჭირა თითი.

კარადამ გაიწკრილა.

— ოჰ, შე კახპავ! — მოისმა კარადიდან.

— პლუს ერთი! — გაიცინა ვიოლეტამ, — ეჰ, ვანო, ვანო, ასეთი კარადის გაკეთება შეძელი და ჭკუა მაინც არა გაქვს... აბა, რა ჩემი შესაფერი ხარ... ასაკს თავი დავანებოთ, განა შემიძლია სკინტლით ტანდაზელილი და ბურტყლებში ნაგორავეები კაცი მიყვარდეს? ან რად გინდა ქალი? გგონია, შენს მაესტროსა სჯობისარ? შენც იმასავით დარტყმული ხარ... ბრიყვი მეოცნებე! განა არ ვიცი, გაგხიარდებოდა კიდეც, ფრთები რომ გამოგესხა. შენ ამათსავით არ მოინდომებ გალიაში ჯდომას. ჰოდა, ერთ წამს დამაცადე და გაგაფრენ ცაში...

შემოსასვლელისკენ გაცქრიალდა.

კარი გააღო.

შემოვიდა ახოვანი, ლამაზი ახალგაზრდა.  
— ალბერტ! — ამოიოხრა ვიოლეტამ და კისერზე ჩამოეკიდა.

ალბერტმა ხელში აიტაცა და ლოგინისაკენ გაემართა.

— მოიცა, მოიცა, — უთხრა მინაზეზულმა ვიოლეტამ, — ჯერ მინდა ჩვენი საოცარი კარადა გაჩვენო.

ალბერტმა დასვა თუ არა, ვიოლეტამ კარადასთან მიიბრინა და ზედ აეკრა მთელი სხეულით.

— აი, ამის წყალობით უკვე გვაქვს ასი ათასი დოლარი. ერთ წელიწადში მილიონი გვექნება!

— არ გვირდა მილიონი, — უთხრა ალბერტმა, — მე ის შენი ვანო ხომ არა გგონივარ. ვერ ავიტან, რომ ფულის გულისთვის ჩემი სატრფო სხვებს უწევდოდეს ლოგინში... სიტყვაზე, სადაა ახლა? როცა მოვა, პირდაპირ ვუთხრათ, რომ ერთმანეთი გვიყვარს. ნაილოს თავისი კარადა და თავი დაგვანებოს!

— დაგვანება და ეგაა. აქა ზის.

— თვითონ ჩაჯდა?

— შენ რომ კარზე დარეკე, ვუთხარი, ჩემი ქმარია და ორივეს დაგვხოცავს-მეთქი. შევაძვრინე კარადაში და დავაჭირე თითი ამ ლილაკს... ახლა ისიც ამათნაირი თუთიყუშია.

— მართლა? საწყალი! იქნებ ეგ არ უნდა გექნა?

— აბა, მომეკლა? შენ მიყვარხარ, ალბერტ, მხოლოდ შენ! საშინლად მიყვარხარ!

ვიოლეტა კვლავ ჩამოეკიდა კისერზე ალბერტს და ტუჩებზე მიაცხრა...

მერე მოსცილდა, კარადის გასაღები გადმოატრიალა, კარი ფართოდ გამოაღო და დაყვავებით წარმოთქვა:

— ვანო, ჩიტუნავ, გამოდი, გამოფრთხილდი! მაგრამ კარადიდან ჩამიჩუმიც არ ისმოდა.

ვიოლეტამ თავი შეყო კარადაში...

და იმავე წამს ალბერტმა ხელი ჰკრა და შიგ შეაგდო.

— რას სჩადი, ალბერტ, საყვარელო! — შეპკივლა ვიოლეტამ.

— ასეა საჭირო, — თქვა ალბერტმა მშვიდად, კარი მიხურა, გასაღები გადაატრიალა და ლილაკს თითი დააჭირა.

კარადამ გაიწვრიალა.

— ესეც ასე! — თქვა ალბერტმა და გადაიხარხარა.

შემდეგ საწოლთან მივიდა, ბალიშები ერთმანეთს დაადო და მაღალ სასთუმალს თავმიდებულნი გაიშხლართა საწოლზე.

ერთხანს იზმორებოდა.

მერე ოთახს მოავლო თვალი.

— ეი, საცოდავებო! — მიმართა თუთიყუშებს, — როგორ არ იცით, რომ ქალს არ უნდა ენდოთ. ქალი უნდა ატყუო და ატყუო, თორემ თვით მოგატყუებს. აი, თქვენ თუთიყუშებად გაქციეს, მე კი ეს ჯადოსნური კარადაც ხომ დამრჩა და მალე ასი ათასიც მექნება.

მერე ვანოს მიერ საწოლთან დატოვებული შამპანური დაინახა.

აუჩქარებლად გაავსო ბოკალი და თქვა:

— მაშ ასე, შევსვით სადღეგრძელო სულელი ქალებისა!

და ის-ის იყო, ბოკალი პირთან მიიტანა, რომ კარადიდან ხმა მოისმა:

— სულელი ალფონსების სადღეგრძელოც არ დაგავინყდეს!

კარადის გასაღები თავისით გადმოტრიალდა, კარი გაიღო და გამოვიდა ვანო.

— ალბერტ, არა ხარ შენ კაი კაცი. კაი კაცი

კი არა, მოსაკლავი ხარ! ქალს ნამდვილად უყვარდი, შენ კი გაიმეტე. თან ჩვენი ნაშრომიც გინდოდა მიგეთვისებინა! — უთხრა და პისტოლელი მიაშვირა.

— აკი უკვე თუთიყუშადაა ქცეულიო? — ნაილულულა ალბერტმა.

— თაღლითებსა და მამაძაღლებს ერთი უბედურება გჭირთ, — უთხრა ვანომ, — თქვენ გარდა ყველა ბრიყვი გგონიათ. ეს კარადა თუ გავაკეთე, განა იმაზე კი არ დავფიქრდებოდი, რომ თავი დამეზღვია ვიოლეტასა და შენაირებისაგან? შე ტუტუცო, კარადაშიც მაქვს საჭირო ლილაკი. იმას თუ დაანწვები, გარეთა ლილაკი აღარ მოქმედებს. მეორე ლილაკიცაა, იმას დაანწვები და კარი გაიღება... კიდევანა ლილაკი, მაგრამ ის შენ არა გჭირდება და ვერც იპოვი, ბევრიც რომ ეძებო. ახლა კი სასწრაფოდ შექვერი კარადაში. გულჩვილი ვარ და ამიტომ გაძლევ ბოლო შანსს. თუ ერთ წუთში საჭირო ლილაკებს იპოვი, კარადიდან მაგ ტუტუც ალბერტადვე გამოხვალ. თუ ვერა და, წყვილად გაგყიდით შენ და შენს ვიოლეტას. აბა, ჰე!

ალბერტი თავჩაქინდრული გაემართა კარადისკენ.

შექვერა შიგ...

ვანომ კარი მიხურა, გასაღები გადაატრიალა და საათს დახედა:

— დრო უკვე დავინიშნე. დაიწყო შენი წუთი. მამაძაღლობა და შამპანურის სმა ადვილია. შენ საქმე თქვი, თორემ...

საწოლზე წამოწვა.

— მაღალი სასთუმალი გყვარებია! თავადის ჩამომავლობისა ხომ არა ბრძანდები ნეტავ?.. ჰა, რასა შერები მანდ?

— ვეძებ, — მოისმა ალბერტის ხმა კარადიდან.

— ეძებე, ეძებე... ოღონდ ვიოლეტა არ გაჭყლიტო შემთხვევით.

— გაჭყლიტო კი არა, თავზე მაზის და ნისკარტს მირტყამს!

— აბა, რა გეგონა, ბიძია! მოტყუებულ ქალზე სასტიკი არავინაა ამქვეყნად! — მიუგო ვანომ და საათს დახედა:

— ათი წამილა დაგრჩა. სიტყვა სიტყვაა, იცოდე!.. შვიდი... ექვსი... ხუთი... ოთხი...

და უცებ კარადა ძალიან ხმამაღლა აზრიალდა.

— ამ ტუტუცმა მაინცდამაინც ის ლილაკი იპოვა, რომელიც არ უნდა ეპოვა, — ჩაილაპარაკა ვანომ და თუთიყუშებს მიმართა, — ხომ ხართ მონმენი, რომ მე არაფერი მიქნია...

კარადამ ერთ წამს შეწყვიტა ზრიალი, მერე ერთიც დაიზრიალა და...

გაქრა!

— ეჰ, ალბერტ, ალბერტ, მეც უკარადოდ დამტოვე და შენი თავიც დიდ ფათერაქს გადააპყარე, — თქვა ვანომ და საწოლქვეშ ააფათურა ხელი.

გამოიღო პატარა გლობუსი.

— აბა, ვნახოთ, სადა ბრძანდები ახლა შენს სატრფოსთან ერთად...

გლობუსის ერთმა წერტილმა ციმციმი დაინყყო.

— გასაგებია! — თქვა ვანომ და პიჯაკის შიდა ჯიბიდან მობილური ტელეფონის მსგავსი რაღაც ამოიღო.

იმ რაღაცას მოკლე სადენი ჰქონდა, რომელიც ძალიან წვრილი ნემსით ბოლოვდებოდა.

ვანომ ნემსის წვერი გლობუსის მოციმციმე წერტილში ჩაარჭო.

— ვაი! — გაისმა ოთახში ალბერტის ხმა.

— არის! — წამოიძახა ვანომ ხალისიანად და მობილურში ჩასძახა, — ფრთხილად, შე რეგენო, ხელი არ ახლო!

— რა? — იკითხა ალბერტის ხმამ.

— რა და, თავში ქვა! დუნდულაში ნემსი რომ შეგერჭო, ხელი არ ახლო. მაგის საშუალებით გელაპარაკები.

— ვინა ხარ?

— ვანო ვარ, სხვა ვინ ვიქნები, შე მუდრეგო და ვირისთავო.

— გამოომივი რა, კარადიდან, ცუდად აღარ მოვიქცევი...

— კარადიდან თვითონ გამოხვალ. ოღონდ ახლა ყურადღებით მომისმინე...

მართალი თუ გინდა, მეც არ ვიცოდი, როგორი კეთილი ვყოფილვარ... სხვა ჩემს ადგილას გეტყვოდა, ჯანდაბას შენი არამზადა თავიო. მე კი მაინც ვერ გიმეტებ და რჩევები უნდა მოგცე... ფრთხილად, რომ ნემსი არ გამოგძვრეს, ჰკარი ხელი კარს... რასა ხედავ?

— დაახლოებით ას მეტრში დიდი კლდე დგას...

— ძალიან კარგი! თქვენ ახლა ხართ წყნარი ოკეანის ერთ პანია კუნძულზე. მაგ კუნძულს ჰქვია ვკანჭტრფხაკტრუ. დაიხსომე?

— რა მინდა აქ?! გეხვეწები, დამაბრუნე!

— შენს თავს დააბრალე! შე ტუტუცო, მაინცდამაინც ის ღილაკი იპოვე, რომელიც არ უნდა გეპოვა.

— აკი ვერ იპოვიო?

— მაგარი ხარ, მეტი რა გითხრა?

უცებ ოთახში ისეთი ხმები გაისმა, ტელეფონში რომ ისმის ხოლმე კავშირის განწყვეტისას.

— ალბერტ, რას შვრები მანდ? — დაიყვირა ვანომ.

კვლავ გაისმა ალბერტის ხმა:

— ბატონო ვანო, ძალიან გთხოვთ, უკან დამაბრუნოთ!

— აი, უკვე ზრდილობიანი გახდი! კარგია! ნემსს ხელი არ ახლო-მეთქი, ხომ გითხარი.

— რა ვენა, ძალიან მენვის!

— არა უშავს, უნდა გაუძლო... მერე ვიოლეტას სთხოვე, გაკოცოს მაგ ადგილას და დაგამადება.

— კი არ მაკოცებს, ნისკარტს ჩამცხებს.

— არ ჩაგცხებს. ვერაგი კია, მაგრამ ჭკვიანია. ახლა ორივემ წყენა უნდა დაივიწყოთ და ერთმანეთს დაეხმაროთ. ხომ სწორს ვამბობ, ვიოლეტა?

და ოთახში თუთიყუშის ხმა გაისმა:

— სწორია... ვაკოცებ!

— ყოჩაღ! — შეაქო ვანომ, — შენ კი, ალბერტ, მიპასუხე, რა ჰქვია მაგ კუნძულს?

— დამავიწყდა... ვაი, როგორა მტკივა!

— გიმეორებ, თქვენს კუნძულს ჰქვია ვკანჭტრფხაკტრუ... ვკანჭტრფხაკტრუ! გაიმეორე!

— ვკანჭტრფხაკტრუ...

— არაა სწორი!

და კვლავ გაისმა თუთიყუშის ხმა:

— ვკანჭტრფხაკტრუ!

— ყოჩაღ, ვიოლეტა! ალბერტ, შე ტუტუცო, დაიხსომებ კუნძულის სახელს თუ ვერა, მაგაზეა შენი სიკვდილ-სიცოცხლე დამოკიდებული. მანდ სულ ხუთასი კაცი ცხოვრობს. ყველანი კეთილები და წყნარები არიან, მაგრამ მაშინვე რისხვით ივსებიან, როგორც კი ვინმე არასწორად იტყვის მათი კუნძულის სახელს. ხოლო მაგ სახელის თქმა შენც და ვიოლეტასაც ხშირად მოგიწევთ. ყოველ მანდაურთან შეხვედრისას ვალდებული ხართ თქვათ „ვკანჭტრფხაკტრუ“ და ცხვირი გაუხახუნოთ მის ცხვირს. ერთხელაც რომ შეგეშალოთ სახელი, მაშინვე კლდიდან გადაგაგდებენ ზღვაში.

— ვკანჭტრფხაკტრუ... ვკანჭტრფხაკტრუ... — სწრაფად გაიმეორა ალბერტმა.

— ჰეე! ვინც რა უნდა თქვას, შიში დიდი ძალაა! — გაეცინა ვანოს.

— მანდ როგორ დავბრუნდებით? იქნებ კარადაში კიდევრა რაიმე ღილაკი? — ტირილის ხმით ჰკითხა ალბერტმა.

— ეჰ, ალბერტ, რა გულშემალენებელი ვინმე ხარ. აღარაა არავითარი ღილაკი. ეგ ღილაკი, რომელიც შენ იპოვე, ჩემთვისა მქონდა, რათა ხიფათის დროს გავეცვოდი მდეგრებს. შევეძვროდი კარადაში, დავანვებოდი ღილაკს და გავვინდებოდი რომელიმე კუნძულზე... ხომ გეუბნები, ახლა ეგ კარადა უბრალოდ ფიცრების გროვაა და სხვა აღარაფერი.

— აბა, ჩვენ რა ვენათ ახლა? — ჰკითხა ალბერტმა.

— ყოჩაღ! თანდათან გემატება ჭკუა. მაგ კლდეს რომ შემოუვლით...

— რომელი მხრიდან უნდა შემოვუაროთ?

— ეჰ, ტყუილად შეგაქე... პანიკიორობას შეეშვი! პანიკისაგან მთლად გეცლება ჭკუა. განა ვერა ხედავ, რომ კლდის მარცხენა მხარე ზღვაშია? ესე იგი...

— მარჯვნიდან უნდა შემოვუაროთ!

— არისტოტელე ხარ, ჩემმა მზემ! — ვანომ თვალი ჩაუკრა თუთიყუშებს, — შემოუვლით კლდეს მარჯვნიდან და ქონხახებს დაინახავთ. ყველაზე უფრო დიდი და ლამაზი ქოხი ბელადისაა. ოღონდ მანდ მატრიარქატია და ბელადი ქალია. მიდი პირდაპირ მასთან. არ დაგავიწყდეთ, რომ ყოველ შემხვედრს ცხვირზე ცხვირი უნდა გაუხახუნოთ და... — ვანო განგებ გაჩუმდა.

ალბერტმა და ვიოლეტამ კი ხმაშენწყობილად წამოიძახეს:

— და ვუთხრათ „ვკანჭტრფხაკტრუ“!

— დიახ, ბატონო! ბელადს ჩემს მოკითხვას გადასცემ, ალბერტ. მე და მაგას კარგი დრო გვაქვს ნატარები... მაგათი კანონით ბელადი მაშინვე საწოლში ჩაგიგორებს, შემდეგ კი გამოგიყვანს მოედანზე, სადაც თავმოყრილი იქნება კუნძულის მთელი მოსახლეობა და იკითხავს, რომელ ქალს უნდა შენი ცოლობა.

— ვაითუ რამდენიმეს მოუნდეს?

— შეგეშინდა ხომ, შე მთხლე! ეგენი მტკიცედ იცავენ კანონებს. ვინ იქნება შენი ცოლი, მაგას ბელადი გადაწყვეტს. თუ მასთან საწოლში თავს გამოიჩენ, მაშინ ყველაზე ლამაზს შეგრთავს ცოლად... სიტყვაზე, მე ყველაზე ლამაზი შემტომი. მერე კი რა მიზეზს აღარ იგონებდა, რომ თავის ქოხში მივეწვიე. ამას იმიტომ გიყვები, რომ არ გეგონოს, რადგან ვიოლეტამ შენში გამცვალა, ესე იგი, მე მჯობისარ...

— რას ბრძანებთ, ბატონო ვანო! ეგ არც მიფიქრია!

— კარგი, კარგი, ვიცი, რა ჩიტიც ბრძანდები. ამას თავი დავანებოთ... მოკლედ, ყველაფერი შენზეა დამოკიდებული. თუ ბელადი ყველაზე ულამაზოს შეგრთავს, სამუდამოდ სასაცილო იქნები. ყოველი კუნძულელი დანახვისთანავე სიცილს დაგაყრის...

— მე არ ამომირჩევენ ქმარს? — იკითხა ალელევებულმა ვიოლეტამ.

ვანოს გაეცინა:

— ეჰ, ვიოლეტა! კუნძადაც რომ გადამექციე, მაშინაც ავხორც კახპად დარჩებოდი. ვერაფრით განუგეშებ. ჯერ ერთი, მაგ კუნძულზე თუთიყუშები არ არიან. მეორეც — მანდ არ არიან არც ზოოფილები. შეიძლება ითქვას, რომ მაგ კუნძულამდე ჯერ არ მოუღწევია ეგრეთ წოდებული ცივილიზებულიობასა და პიროვნების თავისუფლე-



ბას, მაგრამ მანდ შენც გექნება საქმე, ვიოლეტა. მანდ ყოველი ცოლ-ქმრის სანოლთან ქალი უზით, რომელიც ყოველი, ვთქვით ასე, ფიზიკური აქტის შემდეგ ყვირის: „ვაშაა!“ მაგათ ენაზე ვაშა არის „კრფაქანტჰაა!“ სანოლთან მჯდომს ქმრის ახლობელი ქალებიდან ირჩევენ და, რადგან ალბერტს მანდ შენს მეტი არავინა ჰყავს, ბელადი მაგ საპატიო საქმისათვის, ცხადია, შენ ავირჩევს.

— არ მინდა! — იკვილა ვიოლეტამ.

— შენ არავინ შეგეკითხება. თუ უარს იტყვი, ფრთხილად შეგიკრავენ და კლდეზე გადაგადებენ. აბა გაიმეორე, რა უნდა იყვირო?

— კრფაქანტჰაა! — თქვა ვიოლეტამ სევდიანად.

— ჰოდა, ეგრე! არ შეიშენე, ხელისგულზე რომ გატარებდი და ახლა იგემე, რაც დაიმსახურე!

— ბელადმა ძალიან მახინჯი რომ შემართოს? — ჩაერია საუბარში ალბერტი.

— არა გაქვს შენი მამაკაცური ძალის იმედი, ბიძიკო? რაო, ვიოლეტა, მართლა ეგეთი სუსტია ეგ ტუტუცი?

— ისე რა... — მოუთავა ხელი ალბერტს ვიოლეტამ.

— ეეჰ! — ამოიხრა ალბერტმა.

— ვიოლეტას რომ თავი უკარი კარადაში, მაშინ უნდა გეფიქრა... დაბოლოს, ახლავე შეეჩვიეთ აზრს, რომ შეიძლება მთელი სიცოცხლე მანდ გაატაროთ. გემები მაგ მხარეს არ დადიან. შენ იშრომე, ვიოლეტამ მაგათი ლამაზი სიტყვები ისწავლოს და გაიტანო თავს.

— რა ვიშრომო?

— დაფიქრდი. ნუთუ მამაძაღლობის მეტი არაფერი იცი?

— ბავშვობაში ლამაზ სათამაშოებსა ვთლიდი ხოლმე ხისაგან.

— ჰოდა, ძალიანაც კარგი! მანდაურებს უყვართ ხის ფიგურები. აბა, შენ იცი... გახსოვდეს, რომ უკვე უბრალოდ ვილაც ალბერტი კი აღარა ხარ, არამედ — სრულიად საქართველოსა და ქართველი ერის წარმომადგენელი. წესიერად მოიქეცი. არავის ატყევი, ეს ვინა ყოფილან ქართველებიო. გაიგე?.. შეიგნე?..

— ჰო.

— ისევ აურიე, ხომ? „ჰო“ კი არა, „კი ბატონო!“

— კი ბატონო.

— მაშინ მშვიდობით... ვიოლეტას აკოცე ჩემ მაგივრად... გამოიძრე ნემსი!

— მეტკინება?

— საშინლად.

— იქნებ ნემსიანად ვიარო? უკვე ისე ძალიან აღარა მტკივა.

— ეგ ნემსი კარადასთანაა მიერთებული. კარადიანად ხომ ვერ ივლი.

— კარგი, გამოვიძრობ. მშვიდობით, ბატონო ვანო! მაპატიეთ, თუ შეგიძლიათ. მართლაც საზიზღრად მოგექეცით, თქვენც და ვიოლეტასაც... — ალბათ, არაერთ სხვასაც ხომ?

— ჰო, მაპატიეთ ყველას მაგივრად! ამ დროს ალბერტის ხმას დაემატა თუთიყუშის ხმით ნათქვამი: „ბოდიში, ვანო!“

ვანოს გაეცინა:

— მიპატიებია. ალბერტ, ახლა რასა შვრება ვიოლეტა?

— მხარზე მათის და თავს მიხახუნებს ლოყაზე.

— კარგია! გამოსწორების გზაზე დგახართ ორივე. მშვიდობით!

— მშვიდობით! ეეჰ! — გაისმა ალბერტის ბოლო ამოხვნა.

ჩაქრა გლობუსზე მოციმციმე წერტილი.

ვანომ ნემსი ამოაძრო, გლობუსი სანოლქვეშ შედო და მაგიდასთან მივიდა:

— ახლა კი, ბატონებო, ანუ მეგობარო თუთიყუშებო, შევაჯამოთ, რაც განვიცადეთ, ვნახეთ და გავიგონეთ. ასე იქცევინ გონიერი ადამიანები და, ალბათ, გონიერი თუთიყუშებიც. რთულია ცხოვრება, ბატონებო! ხედავთ, ვიოლეტამ ბოდიში მომიხადა. მე კი თქვენ გიხდით ბოდიშს. რაც მოხდა, მოხდა. ამას რალა ეშველება! კიდევ კარგი, არა ვქენი, რასაც ვაპირებდი. მინდოდა თქვენთან შემომეგდო ვიოლეტა. ათნი რომ დაესეოდით, ხომ ღერა-ღერა გააცლიდით ბუმბულს... მოიცა, მოიცა...

ვანომ თუთიყუშების თვლა დაიწყო:

— ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი, რვა, ცხრა, ათი, თერთმეტი, თორმეტი... თორმეტი?! აკი ათნი არიანო?.. უყურე შენ! ამაშიც მათყუებდა! უჩემოდ სურდა გაეყიდა კოსტიუმების ნაწილი! ეჰ, ვიოლეტა, ვიოლეტა!

ვანომ შამპანურის ბოთლი აიღო:

— ერთიც შევსვით, ბატონებო!

დაისხა.

— აჰა, სწორედ ერთი ბოკალი შეივსო. რისი სადღეგრძელო მინდა შემოგთავაზოთ? სიცოცხლისა!.. ასე მოხდება თუ ისე, ბედს ვენევი თუ უბედურება დაგვატყდება თავს, სიცოცხლე მაინც გრძელდება. გისურვებთ სულიერ სიმშვიდეს. შეეგუეთ თუთიყუშურ ცხოვრებას. დარწმუნებული ვარ, მაგამიც შეიძლება იპოვოს ჭკვიანმა კაცმა, უფრო სწორად, თუთიყუშმა, თავისებური სიტკბო. აბა, თქვენ იცით!..

ახლა კი ჩემზე გეტყვი. შევეცდები გავაკეთო ჯადოსნური მანქანა. ძნელი იქნება, მაგრამ უნდა შევძლო. აღარ მინდა, კვლავ უსიამოვნებები და ფათერაკები მქონდეს მოლაღატე ქალებთან, უსინდისო კაცებთან თუ, ბოდიში თქვენთან, ავხორც თუთიყუშებთან. შევდებ ქალადის დასატას, დავაჭერ ღილაკს და გამოვიღებ დოლარებს ან ევროებს, მორჩა და გათავდა! ვიპოვი ქალს, რომელიც მართლა შემეყვარება და ვიცხოვრებთ სიამტკილობით... თუმცა, იცით რას გეტყვით?! თუკი ასეთ ქალს ვიპოვი, ფულის მანქანა რალა ჯანდაბად მინდა?.. ვიყოლიებთ შვილებს... სულ ცოტა შვიდს მაინც და ვიცხოვრებთ, როგორც ცხოვრობენ ჩვეულებრივი ადამიანები. რაც გვექნება, იმას ვიმყოფინებთ. დავისვამ სულ უმცროსს მუხლზე, ირგვლივ შემოვისხამ დანარჩენებს და ვუამბობ მთისა თუ ბარის ამბებს...

სდექ, ჩემო თავო! ერთხელაც იქნება, ხომ მკითხავენ, როგორა ცხოვრობდი, ვიდრე ოჯახს შექმნიდიო? რა ვუთხრა? მოვატყუო თუ ვუამბო ყველაფერი? ვერა, შვილებს ტყუილს ვერ ვეტყვი და მომიწევს ვაღიარო, რომ არიან ქვეყნად თუთიყუშები, რომლებიც ადრე ადამიანები იყვნენ და ჩემმა კარადამ აქცია თუთიყუშებად.

ვანო გაჩუმდა და ჩაფიქრდა.

ფიქრობდა და სიბრაღულით დასცქეროდა თუთიყუშებს...

უცებ სახე გაუნათდა, გაიღიმა და ბოკალი მალლა ასწია:

— მივხვდი, ბატონებო, მივხვდი, რაც უნდა ვქნა. რისი შექმნაც ახლა გადავწყვიტე, იმისთვის ღირს გამხმარი ბაყაყების ჭამაც, სკინტლიანი და გაბურტყული სიარულიც და კურკლების თვლაც...

ვანო ერთ წამს გაჩუმდა, მერე კი საზეიმო ხმით განაგრძო:

— უნდა შევექმნა ახალი კარადა! ეს იქნება, როგორც რომელიმე პროფესორი იტყოდა, ძველის ანტიპოდი. შევა შიგ თუთიყუში და გამოვა

კაცი. სამას თუთიყუშს თუ ადამიანებად ვაქცევ, ვინ ვიქნები მაშინ? ვინა და, ყველაზე დიდი ჯადოქარი ამქვეყნად. ვაშა, ბატონებო, ვაშააა!

და თუთიყუშებმაც, ზოგმა უკეთ, ზოგმა უარესად, მაგრამ ყველამ ხმამაღლა და გრძლად დაიწყეს ძახილი:

— ვაშაააა! ვაშაააა! ვაშაააა!

ვანომ პირთან მიიტანა ბოკალი...

და უცებ შეამჩნია, რომ ერთი თუთიყუში არ გაიძახოდა „ვაშა!“-ს.

— შენ რა, ძმობილო, არ მოგეწონა ჩემი სადღეგრძელო? — ჰკითხა ვანომ.

— პირიქით, ძალიან მომეწონა, — თქვა მშვიდად თუთიყუშმა.

მერე გამოვიდა გალიიდან, მაგიდიდან ჩამოხტა და...

და დარბაისელ თეთრწვერა მოხუცად გადაიქცა...

— მაესტრო?! — კინალამ სული შეუგუბდა ვანოს, — აქ როგორ აღმოჩნდით?

— როგორც სხვები, — გაუღიმა მოხუცმა, — მეც ვიოლეტამ დამპატიჟა.

— თქვენც გინდოდათ მასთან... ისა... — ენა დაება ვანოს.

— არა, ვანო, კაი ხანს იყავი ჩემს გვერდით და უნდა შეგემჩნია, რომ არ მიყვარს ქალები, სული და გული რომ არა აქვთ. ვიოლეტას განგებ შევატყუე თავი. ახლა შენზეც ვთქვათ ორიოდ სიტყვა...

საერთოდ, ისეთები ამყავდა მოსწავლეებად, ვის კაცობაშიც დარწმუნებული ვიყავი და ვიცოდი, რომ ღირსეულად მოიხმარდნენ ჩემგან ნასწავლს. მხოლოდ შენ გამაწიბლე... რომ გაიქეცი, თავს ვსაყვედურობდი, რატომ ვასწავლე, რაც ვასწავლე-მეთქი. მას მერე თვალს გადავვინებდი. გიყურებდი, თუ გულმოდგინედ როგორ ჩაჰკირკიტებდი ფოლიანტებს, მერე როგორ ამზადებდი სხვადასხვა ნარევს, ტყეში როგორა კანკალებდი... ძალიან მინდოდა, რაიმე ისეთი შეგექმნა, რაც სიკეთეს მოუტანდა ადამიანებს... ვიოლეტას რომ დაუჟავებინდი, მივხვდი — მთლად აურიე, ხოლო

როცა ვნახე, რომ ამ სახლში ვილაცები შემოდიოდნენ და უკან აღარა ბრუნდებოდნენ, ვთქვი, უნდა ჩავერიო ამ საქმეში-მეთქი. თქვენმა, როგორც ახლა ამბობენ, ბიზნესმა კი გადამაწყვეტინა, თვით თქვენ მექციეთ თუთიყუშებად...

რამ გადაგარჩინა, იცი? იმან, რომ არ ჩაიდე გულში ბოლმა და სიკეთით გადაუხადა ვიოლეტას და ალბერტს მათი სიავე, ხოლო შენმა ბოლო სადღეგრძელომ ისე გამახარა, რომ ცრემლიც კი მომადგა თვალზე. ეტყობა, სიკეთეს დროებით ეძინა შენში და ცხოვრებამ გამოაღვიძა. ახლა შენ უკვე იცი, რომ სიკეთე თვით სასწაულებრივ ჯადოქრობაზედაც ძვირფასია.

ნუ გეშინია, ჩემო შეგირდო, აღარ მოგიწევს ახალი კარადის შესაქმნელად უსიამოვნო ამბების გადატანა. გათავისუფლებ პასუხისმგებლობისაგან და თვით გადავაქცევ შენს თუთიყუშებს ადამიანებად.

მაესტრო ერთხანს გაჩუმდა და მერე თუთიყუშებს მიუბრუნდა:

— მაშ, დავიწყოთ, მეგობრებო! გთხოვთ, რიგრიგობით მოხვიდეთ მაგიდის ძგიდესთან და ჩამოხტეთ...

და, აი, ჩამოხტა პირველი თუთიყუში და იქცა მამაკაცად.

იგი ნიფხვის ამარა იყო.

— დიდი მადლობა! — შესძახა მან და მონიღომა, მაესტროს გადახვეოდა.

მაგრამ მაესტრომ შეაჩერა იგი:

— ფამილარობა არ არის საჭირო. უბრალოდ კაცურად ჩამოვართვათ ხელი ერთმანეთს.

ჩამოართვა ხელი. მერე ვანოს უთხრა:

— კოლეგავ, რას უდგახარ, ჩააცვი კაცს რამე! ვანო გაიბადრა:

— ხომ ყველამ გაიგეთ! მაესტრომ კოლეგა მინოდა! ვაშააააა!

მერე ნიფხვიანს მიმართა:

— წამოდი, ჩაიცვი, ძმაო!

მაესტრომ უღვაშებში ჩაიცვინა და ვანოს მხარზე მოუთათუნა ხელი.

მაგიდის ძგიდესთან მეორე თუთიყუში მივიდა...





# m k v d r e b i s q a l a q i (რომანი)

დასაწყისი იხ. N5-6, 2007

მარიკასა და ელენას ურთიერთობა დღით დღე იძაბებოდა. ელენა ქალური ალღოთი და გუმანით გრძნობდა, რომ რძალი რალაც მეტად მნიშვნელოვანს მალავდა და ამ ეჭვის დასტურად ყოველთვის ის სუნი ახსენებოდა, ერთხელ რომ ორივე ნესტოთი აშკარად ეცა. ელენა ირაკლისთვისაც ცდილობდა მიენიშნებინა მარიკას ხშირ და უთავბოლო „მაკლერულ“ გასვლებზე, მაგრამ, როგორც წესი, სახლში გვიან მობრუნებული და საჭის ტრიალისგან გამოსავათებული ირაკლი დედის უცნაურ ფრაზებს ყურს არ უგდებდა, ბებრულ ხუმტურებზედ მიაჩნდა და ცდილობდა, უცებ შემძვრალიყო ლოგინში დასაძინებლად.

ამ დროს ელენა იქვე დაჩოჩილებდა და აღრენილი თავისთვის ბურტყუნებდა.

— დაბრმავდა და დაყრუვდა ყველა... მაინცდამაინც ცეცხლი და პაჟარი უნდა მოგვედოს ხორცზე... ჩვენ დროს, გენაცვალეთ, სულ სხვანაირად იყო... ჭემპარიტმა ქალმა უპირველეს ყოვლისა უნდა იცოდეს ჯერ ჩამჩა-ქაფქირი, ანუ ოჯახი და სამზარეულო... აქ კიდევ რა ხდება, არ ვიცი... აღარაფერი ვიცი... ნუ, რას ჰგავს ეს, პირდაპირ გადასარევი...

— რა ჩამჩა-ქაფქირი?.. რა დაყრუება, დე?.. — გახედავდა სანახევროდ გახდილი და შემცბარი ირაკლი დედას.

— რა და ის, რომ ბრმა არ უნდა იყო ცხოვრებაში...

— რა ბრმა, დე? მოხდა რამე? — ვერაფერს ხედებოდა მოქანცული ირაკლი და თავს ბალიშზე დებდა.

— თან ასე თავხედურად? ბოჟე მოი, რა... ნუ, კარგი, რა...

— დე, ნუ შემშალე! — ბუტბუტებდა უკვე თვალბმბილულული ირაკლი.

— ოხ, ღმერთო ჩემო... ჰმ... ნუთუ სუნიც არ გესმის?..

— სუნი? — უცებ ფხიზლდებოდა და გაკვირვებული მექანიკურად იღლიას ისუნავდა ირაკლი.

— იბტერებ თავს მამაშენივით... უცხო სუნი დგას ბინაში... — თავს იტყუებდასავით ელენა და ჰაერს ხმამალა ყნოსავდა.

— დევების დედიკოს ადამიანის სუნი ეცა და... — ისევ თავისით ეხუჭებოდა თვალბი ირაკლის და ძილისკენ ნასულს ფრაზები უკვე მოზაიკურად სცვიოდა ხოლმე, — იდგება, აბა არ იდგება?.. დღეში მინიმუმ ოცი კაცია-ადამიანი მაინც მიჯდება მანქანაში... მაღალი, დაბა-



ბესო სვეტიციანი

ლი, მსუქანიც, გამხდარიც, უხელო, უფეხო... სად დაეკარგათ? ვინ წაართვათ? ამასწინებზე კაცი იყო, ვაკეში ჩამიჯდა ილიას ძეგლთან — თავი არ ჰქონდა საერთოდ...

დოინჯემოყრილი და წარბშეკრული ელენა შვილს ყურადღებით უსმენდა, თუმცა კი ნელ-ნელა ხედებოდა, აქედან არაფერი ხეირი არ იყო.

— სივალჩინა, არა, ელენა პოლიკარპოვნა?.. ქალებზე ხომ აღარაფერს ვამბობ... ყარან ნაირ-ნაირად... რას ისხამენ... რა უნდათ...

— ქალები არ ვიცი მე... — ნირნამხდარი ელენა ფანჯარას ხმაურით ალებდა, თავს რამდენჯერმე მძიმედ აქნევდა და უთქმელად გადიოდა ოთახიდან.

ელენა შემდეგშიც ბევრჯერ შეეცადა იმავე სურნელის დაჭერას, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ანზორისგან მობრუნებული მარიკა თავს უკვე თავისი ზემძღვარი სუნამოთი ინიღბავდა და ამით ერთიათად უშლიდა დაეჭვებულ დედამთილს ნერვებს.

— რალაც ძალიან მოგიმრავლდა კლიენტები ამ ბოლო დროს... რა ხდება ეგეთი?.. მეორედ მოსვლაა? — ეტყოდა ხოლმე სახლში გვიან მობრუნებულ მარიკას ელენა, რაზეც გულში აკისკისებული მარიკა მხოლოდ მხრებს იჩეჩავდა და ანას ოთახისკენ მტკიცე ნაბიჯით მიდიოდა.

— ხალხი დიდ ფულს მოულობს... ჩვენსავით ღრმად და უკიდევანოდ კი არაა სადღაც ჩარჩენილი... — ორანზოვნება უხვად იყო გარეული მარიკას გზად ნასროლ ნათქვამში, — ყველაფერი იყიდება და ქირავდება, დედა...

— მაგ ჩვენობითში, იმედია, მე არ ვიგულისხმები! — სახე ელმეჩებოდა ელენას, — და მეორეც ერთი, ყველაფერი არ იყიდება და არც ქირავდება... — ცალი წარბის აწვევით მიადევნებდა რძალს და სასტუმრო ოთახში შედიოდა.

სახეგაცისკროვნებული ანა ამ დროს ისევ თავის ოთახში იწვა და ყური რადიოსკენ ჰქონდა მიშვერილი, სადაც ამ დროს აუცილებლად ბიჭი ქადაგებდა.



„...მინდა, ყველას ვამცნო, რომ ყველა დროის რეკორდი „რადიო-ჯას ეთერში მოხსნილია. ვიქტორინა, რომელიც დღეს მთელი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა „რადიო-ჯას“ ეთერში, დასრულებულია. დასრულებულია იგი ისევ სწორი და სწრაფი პასუხით — სწორედ რომ ნახევარი კილოგრამი კოკაინი უპოვეს ნიკ ქეივს დიპლომატი 1986 წელს პარიზის გასტროლებისას. და ეს პასუხი კვლავ მოგვანოდა მართლაც რომ ერთგულმა რადიომსმენელმა სახელად ერიკმა. იგი დასაწყერდება „რადიო-ჯასა“ და ლუდ „მეველუდისგან“ ცივ-ცივი ქაფქაფა ლუდით „მეველუდი“ — ზუსტად 24 ბოთლი გამარჯვებულს, რომელსაც შეუძლია გამოცხადდეს ხვალინდელი დილის რვა საათიდან „რადიო-ჯას“ ოფისში და მიიღოს კუთვნილი პრიზები“...

სასტუმრო ოთახში მდგარი კარადის ზედა თაროზე ელენა შავ ცელოფანში გამონასკველ გვართან თანხას ინახავდა. ამ თანხის მოქუჩება ჯერ კიდევ ტბიან ქალაქში ცხოვრებისას, თედოს სიცოცხლეში დაიწყო ელენამ და ახლაც საზღვარგარეთიდან ფოსტით მოსული პენსიის დიდ ნაწილს უმატებდა ხოლმე. კარადა მუდამ სამ გასაღებზე იყო დაკეტილი და გასაღებები ელენას ჯვართან ერთად კისერზე ეკიდა.

კარადას ელენა კვირაში ერთხელ, კვირაობით ხსნიდა, შავი პარკიდან მხოლოდ ერთ მსხვილ კუბიურას იღებდა და გადასახურდავებლად ინვალიდის სავარძელში მჯდომ ანასთან ერთად გარეთ გადიოდა. ძირითადად ამ ფულით არსებობდა ირაკლი ხამანკავას ოჯახი. ამას ირაკლის ტაქსაობით შემოტანილი კაპიკებიც ემატებოდა. აგრეთვე — ის მცირე თანხა, რითაც ანზორი ყოველი სტუმრობისას ასაჩუქრებდა მარიკას და რომელსაც მარიკა მაკლერობით ნაშოვნ ფულს ეძახდა.

ირაკლი მარიკაზე პირველად ანას დაბადების დღის შემდეგ დაეჭვდა და ამ ეჭვს ზუსტი დასაბუთება მაშინვე მართალია ვერ მოუხაზა, მაგრამ პირველ ეტაპზე ეს სავსებით კმაროდა, ირაკლის სულ სხვა თვალთ შეეხედა როგორც საკუთარი თავისთვის, ასევე ცოლისათვის. ეს პირველ მოულოდნელ შემოლანუნებას ჰგავდა.

იმ საღამოს ანას სტუმრები მოუვიდნენ.

დიდ ოთახში გაშლილი ლამაზი სუფრის თავში ინვალიდის სავარძელში მჯდომი ანა მოკალათებულიყო და გულის შეკუმშვამდე ლამაზად ილიმებოდა. სტუმრები ათამდე იყვნენ — მათ შორის ანას ფეხის მოტეხაში ყველაზე დიდი წვლილის შემტანი ირმა, ასევე ანას ჯგუფელი ტანკენარი გოგობი და, რაღა თქმა უნდა, ტატო თავის განუყრელ ძმაც კონოსთან ერთად.

დიდები ბავშვებს მხიარულებაში ხელს არ უშლიდნენ — სამზარეულოში შეყუყულებს თავიანთთვის მცირე სუფრა გაეშალათ და იქ ქეიფობდნენ. ირაკლის ხელთ გიტარა ეპყრა, მარიკას ღანკები შეჰფაკვლოდა, ხოლო ელენა სიგარეტს ასრჩობდა.

— ანას კავალერი ციურისის დროით მოძრაობს? — ვითომ უგულისყუროდ და დამცინავად იკითხა ელენასგან ინფორმირებულმა ირაკლიმ და სასტუმრო ოთახისკენ ცალი თვალი წააპარა.

— მოთმინება, ირაკლი! უკეთეს ადგილას სად

წავა შეყვარებული ადამიანი... მაგდენი კი გამეგება... — შეთქმულივით ჩაილიმა ელენამ და მარიკას გახედა.

ნასვამ მარიკას თვალები ოდნავ დაეღმებოდა და ფიქრებში წასულიყო.

— ვინაა ეგეთი? — იკითხა ისევ ირაკლიმ და გიტარაზე აკორდი აკრიფა.

მარიკა ამ კითხვაზე უცებ გამოერკვა და მამინვე ენერგიულად ჩაერთო დიალოგში.

— იღამ ყველაფერი დაწვრილებით გამირკვია... ჩემი ცნობათა ბიურო... ნუ, რა გოგოა მინც და როგორ ვერ აიწყო ვერაფრით ცხოვრება... ესე იგი, წარმოიდგინეთ — უინტელიგენტურესი და ძალიან შეძლებული ოჯახი. პროფესიონალი ექიმები. ამჟამად სიერა-ლეონეში წარგზავნილები სამუშაოდ... გადასარევი ბინით ცენტრში... ზედ ტელევიზიასთან... იკა, სად ჯანდაბაშია სიერა-ლეონე?

— სერჯო ლეონე რა, კიდევ ცოცხალია? — გაუკვირდა ელენას.

— მე ქვეყანაზე ვლაპარაკობ, დედა... მოკლედ, ძვირფასი მანქანა და ინდივიდუალური პროექტის ბინა მიშენების პერსპექტივით... ყველაფერი შვილს დაუტოვეს და ესეც თურმე გადასარევად უვლის თავსა და ყველაფერს. ზოგიერთ იდიოტს კი არ ჰგავს. თან რადიოში მუშაობს დიქტორად და მთელი ქალაქის ცენტრი იცნობს... ანაზღაურებაც შესაბამისი ექნება...

— ისედაც კაი ბიჭია... — თქვა ელენამ და ლიმონათი დაისხა.

— მაგიტომ აღრიალებს ანა ყოველდღე ერთი და იმავე არსს? — ჩაეცინა ირაკლის და გიტარას ენერგიულად ჩამოჰკრა.

მაღე ელეგანტურად ჩაცმული ბიჭიც მოვიდა და თვალბებარწყინებულ ანას მინდვრის ყვავილების უზარმაზარი თაიგული მიართვა; ირაკლის, ტატოსა და კონოს — ხელის მძლავრი ჩამორთმევით, გოგონებს — ხელის აწევით, ხოლო მარიკასა და ელენას ხელზე ხაზგასმული ამბორით მიესალმა.

„ცხონებული თედოს მანერები აქვს...“ — გაიფიქრა ელენამ.

„ვა... ამას უყურე, რა ზმანია...“ — აიმრიზა ტატო და კონოს თვალი ჩაუკრა.

„კი უხდებიან ერთმანეთს“, — გაუელვა ირაკლის თავში.

„ნუ, ანას რომ მინც ძალიან გაუმართლა, ორი აზრი არაა...“ — ასეთი აზრები უქროდა თავში გაღიმებულ მარიკას.

დაბადების დღემ მხიარულად ჩაიარა. სამზარეულოში უფროსები წრუპავდნენ ღვინოს და გიტარაზე ცნობილ ჰანგებს ალილინებდნენ. სასტუმრო ოთახში წყვილები ცეკვავდნენ. შექეიფიანებული ტატო და კონო ანას დაქალებს აზზრიალებდნენ და თავბრუს ახვევდნენ. მერე კონო და ანას დაქალი ირმა სხვებისდა შეუმჩნევლად აბაზანაში შეშპნენ. იქ რა მოხდა, არავინ იცის, ერთი კი იყო, იქიდან პირველი მუხლისთავებდანიოლებული ირმა გამოვიდა და ისე ჩაება ახალგაზრდულ ღრინანცელში, ვითომც ოთახიდან სულ არ გასულიყო.

— დადიოდა? — გადაეკითხა ოდნავ მოგვიანებით ტატო ძმაც და მანაც პასუხად მხოლოდ ცალი სიტყვა მისცა:

— მონდომებულია.

ამ დღის კულმინაცია თითქოსდა ის უნდა ყოფილიყო, ბიჭიმ რომ ფრთხილად წამოაყენა



ანა სავარძლიდან და ხმაურიანი აპლოდისმენტების ფონად ოდნავ წააცეკვა, მაგრამ უფრო მთავარი მაინც შუალამის გასრულების შემდეგ მოხდა:

ირაკლის მკლავებში მოქცეულ აღგზნებულ მარიკას სანოლის ქრიალისას ნახევრად ღია ტუჩებიდან რამდენჯერმე ანზორის სახელი დასცდა. მიუხედავად იმისა, რომ ზედმეტად ნასვამს ეს თავად არ შეუნიშნავს, ირაკლიმ ყველაფერი მშვენივრად გაიგო და გაოგნებულმა დილაშდე თვალი ვერ მოხუჭა.

\* \* \*

ბიჭი საერთოდაც გაოგნებული იყო. სიხარულის მეცხრე ცაზე მყოფს ამავედროულად საშინელი ეჭვები ტანჯავდა და კითხვებზე პასუხებს ვერაფრით პოულობდა. ვაკის პარკში ანასთან შესვედრამ მის გონებაში თითქოსდა ყველაფერი ლოგიკურად დაალაგა, მაგრამ ბიჭი იმავ საღამოს გაერკვა, რომ ეს სულ სხვა ანა იყო და არა ის, ვინც მას უნდა შესვედროდა.

ელენა ხამანკავა მაშინვე მობოდიშებით (ბატბუტის შექმნის მარტივი მიზეზით) გაერიდა ბიჭისა და ანას და ერთი ერთზე შეატოვა ერთმანეთს.

ანასგან მან საკმაოდ ბევრი იცოდა მალალი და სიმპათიური ბიჭის შესახებ და ძალიან გულშემატკივრობდა შვილიშვილს. ამავედროულად, ელენა ბევრ საერთოსაც იჭერდა საკუთარ თავსა და შვილიშვილს შორის და ეს საკმაოდ აკვირებდა. უპირველესად, თავისი და თედოს გაცნობის ისტორია ახსენებოდა, როდესაც მასაც ანასავით, ოლონდ უნივერსიტეტის ბალში, მოტყდა ფეხსაცმელზე ქუსლი, რაც შემდგომ თედოს გაცნობისა და შემდგომში კი სულაც მათი დაქორწინების საბაბი გახდა.

— ყველაფერი გასაგებია... — თქვა ბიჭიმ მრავალმნიშვნელოვნად და ინვალიდის სავარძელში მჯდომი ანა ერთ-ერთ მოსასვენებელ სკამთან მიაგორა, თავად მწვანედ შეღებილ სკამზე დაეშვა და ანას თვალი გაუსწორა.

— ნუ ესე იგი — გამარჯობა... — თქვა ბიჭიმ ღიმილით.

— რამდენი ხანი გელოდი... — დახარა მზერა ანამ, ლოყაზე ცრემლი ჩამოუგორდა.

ამის გაგონებასა და დანახვაზე ბიჭის გული შეეკუმშა, თან ანას ხმაც ეუცხოვა, თუმცა ამისათვის დიდი ყურადღება არ მიუქცევია და უბრალოდ კეთილად გაიღიმა.

— ახლად ვხვდები, რატომაც მემალეობდი... — აღმოხდა ცოტა ხანში და ანას ხელისგული ხელებში მოიქცია.

ანას აღმურმა დაუარა სახეზე.

— მე ბებო ყოველდღე მასეირნებს... სულ აქეთ-იქით ვიყურებოდი, რომ სადმე დამენახე... და აგერ შენც...

— და აგერ მეც... — გაიმეორა ბიჭიმ და ანას ხელისგულზე მოეფერა.

— ქორეოგრაფიულის კიბეზე ქუსლი მომძვრა და დავგორდი... — ბავშურად ჩაიცინა ანამ, — ორივე ფეხი ოთხ ადგილას მოვიტყეხე... იმდენი ხანია ვწევარ... ასე მითხრეს, ვეღარასდროს იცეკვებო...

— არ არსებობს! — წამოდგა ფეხზე ანერვიულებული ბიჭი, მერე იქვე უკან დაეშვა და ანას თბილად გაუღიმა. — ბიჭიც სულ გელოდებოდა... გამოდიოდა ხოლმე გარეთ... მიდიოდა თავის მანქანასთან... ტრიალებდა, აქეთ-იქით იყურებოდა, დრო გაჰყავდა... სულ ფიქრობდა — ან ახლა გამოვა, ან ახლაო... იმ შენობიდან. ბევრ გოგოსთან ერთად... ანა კიდევ არ ჩანდა... მაგრამ მას

ანა არ ავინწყებოდა... ელოდა და ელოდა...

— აბა როგორ? — დაიხედა ფეხებზე ანამ და სვედიანად გაიღიმა.

— ანი სასწაულების უნდა სჯეროდეს ბიჭის, — თქვა ბიჭიმ.

— ბიჭის? — ახედა ანამ გაკვირვებით.

— მე მართლა ბიჭი მქვია...  
სწორედ ამ დროს მათ ელენა ხამანკავა დაადგათ თავზე ხელში ბატიბუტით და ვილაც სამხედროფორმიანი ჭალარა მამაკაცის თანხლებით.

ანამ ბებიას ბიჭი წარუდგინა, ხოლო ბებიამ ბიჭისა და ანას — სამხედროფორმიანი ჭალარა მამაკაცი, რომელსაც მხარზე ექვსსიმიანი გიტარა ეკიდა.

— გაიცანით... რა საოცრებაა... ჩემი ყოფილი სტუდენტი და გადასარევი ადამიანი... ანა, ბატონ ანდროს თვით თედო ბაბუაც ძალიან კარგად იცნობდა და ლექციებს უკითხავდა.

ჯერ ანამ შემდეგ ბიჭიმ სამხედროს ხელი მონიწებით ჩამოართვეს.

— ძალიან სასიამოვნოა... — თქვა ანამ.

— გამარჯობათ... — წაიბურტყუნა ბიჭიმ.

პასუხად სამხედრომ ქუსლი ქუსლზე მიირტყა და გაშლილი ხელისგული საფეთქელთან მიიტანა.

— უკდემამოსილესი მონიწებით მოგესალმებით გადამდგარი პოლკოვნიკი პოლიგლიშვილი! მხედრული საღამი, საღამი და კიდევ ერთხელ საღამი... მოგახსენებთ, რომ გახლავართ დისციპლინირებული, სახლს გარეთ მაღალხეობრივი, წესრიგისა და სამართლის მოყვარული პიროვნება ორი უმაღლესი განათლებით.

ბიჭიმ და ანამ ერთმანეთს მალულად გადახედეს და სიცილის ატეხამდე ძალიან ცოტა დააკლდათ. ბიჭიმ თავი ჩალუნა, ხოლო ანამ განზე გაიხედა. ელენამ გამომცდელი მზერით აათვალიერა ბიჭი და ბატიბუტი შესთავაზა.

— შეხვდით, ბოლო-ბოლო?... — ჩაიცინა იქვე კეთილად და ბიჭის ლოყაზე უჩქმიტა, — ჩვენი სახლში წასვლის დრო რომაა უკვე, ანა? — დაეკითხა იქვე შვილიშვილს და მისი უცებ მოღრუბლული სახის დანახვაზე თავის მართლებას შეეცადა, — დედაშენი გადაგვერევა, ხომ იცი... თან მალე ღამდება ამ დროს...

— დედას მე ვეტყვი, რომ...

— მე გაგაცილებთ, — თავი გამოიდო ბიჭიმ და ინვალიდის სკამის ცალ სახელურს ხელი მოავლო.

— მეც მზად ვარ პირნათლად გემსახუროთ! — კვლავ ქუსლი ქუსლზე მიირტყა ჭალარა სამხედრომ და გაშლილი ხელისგული ისევ საფეთქელთან მიიტანა, — რამეთუ მიყვარს სამზარეულოში ფუსფუსი, გიტარაზე დაკვრა, შინაური ცხოველები და ფეხით სიარული, რაც, რასაკვირველია, ამაგრებს ფეხის კუნთებს და ხელს უწყობს ჩვენი ჯანმრთელობის კიდევ უფრო დახვეწას.

— ოხ, რა გამოუსწორებელი ოხერი ხარ, ანდრო! — ბებრულად გადაიკისკისა ელენა ხამანკავამ და პოლკოვნიკ პოლიგლიშვილს ხელკავი გამოსდო.

— აგრეთვე თვალს მუდმივად ვადევნებ მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს... — არ ნელდებოდა სამხედრო, — გულით თანაფუგრძნობ სტიქიით დაზარალებულებს და მჯერა, რომ ყველაფერი, რაც კი ირგვლივ ხდება, თავად ჩვენს ხელთაა — ვგულისხმობ ჩვენს სიტყვასა და საქმეს, რომლებიც მყისიერად უნდა ემთხვეოდეს ერთმანეთს.

ანა და ელენა სახლამდე მიაცილეს იმ საღამოს ბიჭიმ და პოლკოვნიკმა პოლიგლიშვილმა. გზად ელენა ბიჭის კითხვებს უსვამდა. ბიჭი

მხიარულად პასუხობდა და ანასაც გული სიხარულისგან ლამის ამოვარდნას ჰქონდა.

ამ კითხვა-პასუხიდან გაიგო ანამ, რომ იმ მაღალ შენობაში მუსიკალური რადიო მდებარეობდა, რომ ბიჭი იქ მუსიკალურ წამყვანად მუშაობდა, რომ მისი მშობლები საზღვარგარეთ მუშაობდნენ, რომ ბიჭი მარტო ცხოვრობდა და ასე შემდეგ...

დამშვიდობებისას ელენამ ბიჭის შუბლზე აკოცა და ბიჭიც პასუხად ელენას ხელისგულზე ეამბოროა.

— მეც მოკრძალებით დაგემშვიდობებით! — თქვა პოლკოვნიკმა პოლიგლიშვილმა, ისევ ქუსლი ქუსლზე მიირტყა და გაშლილი ხელისგული კვლავ საფეთქელთან მიიტანა, — იმედია, დამიმახსოვრებთ, რამეთუ გახლავართ აგრეთვე 65 წლის. სიმალლით — ერთი მეტრი და ოთხმოცდაოთხი სანტიმეტრი, წონა — 77 კილოგრამი. ხოლო რაც შეეხება თმას, იგი ცხოვრებამ შემივერცხლა და არა ასაკმა!..

ბიჭი და ანა აქ ერთდროულად აფხუკუნდნენ, თუმცა ელენას თვალების ბრიალმა ორივე ერთდროულად შეაჩერა.

— ძალიან გამიხარდი, ანდრო...

— ისევ ძველებურად გეთაყვანებით, ელენაც! — თქვა სამხედრომ და წელში გაიჯგამა.

— დაგაყარე მინა... — გაიცინა ელენამ, — რაღა დროს ჩვენი ეგეთებია...

— მე ყველაფრისთვის მზად ვარ, ელენაც... ტელეფონი მაქვს, მისამართი უბის წიგნაკში ჩავინიშნე, ასე რომ, დანარჩენი ჩემი მოქმედების ხარისხსა და პერიმეტრზე დამოკიდებული... თედოს ამბავმა კი მართლაც ძალიან შემძრა...

პოლკოვნიკმა სამივეს თავი დაუკრა, ფართოდ გაიღიმა, მხედრულად გატრიალდა და მკაცრი ნაბიჯით გაუყვა გზას ავტობუსის გაჩერებისკენ.

მერე ბიჭისა და ანას გამოთხოვების დროც დადგა. ელენაც აქ უკვე პურის ყიდვის მიზეზით გაერიდა წყვილს.

— ჩვენ კიდევ უამრავჯერ შევხვდებით... — უთხრა ბიჭიმ ანას.

— ვიცი...

— ნურაფრის შეგემინდება...

— ვიცი... — გაიღიმა ანამ და ბიჭის ანას ღიმილზე გული გაუთბა.

— დღეს მე დაგირეკავ... — უთხრა იქვე. ანამაც თავისი მომცრო ხელჩანთიდან პატარა ფურცელი და კალამი ამოიღო, ზედ ნომერი დაწერა და ბიჭის გაუწოდა.

— ტელეფონი სულ ჩემს გვერდითაა, — გაეცინა ანას. — თითქმის ერთად გვძინავს და ერთნაირ სიზმრებს ვხედავთ.

ბიჭმა ანას ლოყაზე აკოცა და ამ დროს ელენაც ნამოადგათ თავზე.

— დიდი მადლობა, შვილიკო... — ელენა შეეცადა, ახალგაზრდულად გაეღიმა, — და აღარ დაგვეკარგო...

— როგორ გეკადრებათ! — თქვა ბიჭიმ და ბებია-შვილიშვილს დამშვიდობების ნიშნად ხელისგული დაანახა.

სახლში მიბრუნებული ბიჭი ბინაში ადგილს ვერ პოულობდა და კაი ხანს დაბორილებდა ოთახიდან ოთახში. მისთვის ყველაფერი ზღაპარს ჰგავდა და ძალიან სხვანაირი სუნი ასდიოდა. მერე გადაწყვიტა, ანასთვის დაერეკა და მოეკითხა, მაგრამ ტელეფონმა დაასწრო და იქით აწკრიალდა. გულაჩქარებული ბიჭი ანას ხმის გაგონების იმედით მივარდა აპარატს, მაგრამ ანა ხამანკავას ხმის მაგივრად ასე კარგად ნაცნობი ანა-ანზორის ხმა მოესმა.

— ბიჭი, მე დღეს ვერ მოვედი... — ქვითინებ-

და ყურმილში თავის ნამდვილ ხმაზე ანზორი.

— ჰა? — დააღო პირი ბიჭიმ და უმაღლესად, რომ ეს სწორედ ის ანა იყო, რომელსაც ვაკის პარკში უნდა შეხვედროდა.

— ვერ მოვედი, ბიჭი... გთხოვ... მაპატიე... — განაგრძობდა ქვითინს ტელეფონში ანზორი და თავის ბინაში, სასტუმრო ოთახის იატაკზე ფეხმორთხმით მჯდომს მართლაც ღვარად სდიოდა ცრემლი.

— კი მაგრამ... — სულ დაიბნა ბიჭი, ხმა ჩაუწყდა და გაოგნებულმა ყურმილი დაკიდა. მერე ჯიბეში ჩაიყო ხელი, ფურცელი ამოიღო და იქ წაწერილი ტელეფონის ნომერი ხელის კანკალით აკრიფა.

— გისმენთ! — მოესმა ბიჭის უკვე ნამდვილი ანას წვრილა ხმა, ტელეფონი ისევ გათიშა და პირდაღებული თავადაც იატაკზე ჩაჯდა.

\* \* \*

გადამდგარ პოლკოვნიკ პოლიგლიშვილისთვის სამოცდახუთი წლის ასაკშიც კი ყველაზე დიდ სიამოვნებას საკუთარ ბინაში დედიშობილად სიარული წარმოადგენდა და ეს — მიუხედავად იმისა, რომ მასთან ერთად ამავე ბინაში ცხოვრობდნენ მისი როსკიპი მეუღლე მარინა, ლოგინად ჩავარდნილი 85 წლის სკეროზიანი სიდდერი იზა და ხუთი წლის ცქვიტი ვაჟი იაგო.

ყველანი იმდენად იყვნენ მიჩვეულნი პოლკოვნიკ პოლიგლიშვილის ამ საშინაო ნუდისტურ გადახრას, რომ კაი ხანი იქნებოდა განსაკუთრებულ ყურადღებას აღარ აქცევდნენ და წლების მანძილზე ოთახიდან ოთახში დედიშობილად მობორილად პოლკოვნიკი პოლიგლიშვილი მათთვის ჩაცმულებით აღიქმებოდა.

პოლკოვნიკ პოლიგლიშვილს ამ დროს ხელში ექვსსიმიანი გიტარა ეჭირა ხოლმე და ცნობილ ქართველ პოეტთა ცალკეულ პნკარებს საკრავზე როკმენული განწყობით აღილინებდა.

დამჯდარმა სულ არ იცოდა პოლკოვნიკმა პოლიგლიშვილმა გიტარაზე დაკვრა, ვინაიდან ამ ინსტრუმენტის საიდუმლოებებს ბავშვობაში ტელევიზორიდან იყო ნაზიარები, მაშინდელ ტელევიზორში კი, თუკი იყო, აუცილებლად ცოცხალი კონცერტი გადმოიცემოდა ხოლმე, რომლის სცენაზეც გიტარიანი მუსიკოსები აუცილებლად ფეხზე იდგნენ. მათსავით ფეხზე მდგომი პოლკოვნიკი პოლიგლიშვილიც, რაღა თქმა უნდა, სწორედ ეკრანიდან სწავლობდა გიტარაზე დაკვრას და პარალელურად როკმენულ მანერებსაც ითვისებდა თავისი ტელეგურუებისგან.

— დე, მეც მინდა მამიკოსავით... — გიტარით ხელში უცნაურად მოსიარულე ტიტველი მამისკენ ხელს ერთადერთ ლამის ქოთანზე მჯდარი ხუთი წლის ვაჟი იაგო იშვერდა ხოლმე და სარკესთან მოკვლულ როსკიპი დედაც თავისებურად უყვავებდა ვაჟს.

— შენ ჯერ პატარა ხარ, იაგო... მამიკოსხელა რომ გაიზრდები, მერე, — და სარკესთან მდგომი ოთხ ნომერ მკერდზე ახალ, წითელ აზღუდს იზომებდა.

— და მამიკოსხელა როდის გავიზრდები, დე? — არ ნელდებოდა იაგო, რაზედაც პასუხი ჟღალთმიან დედას ასევე გამზადებული ჰქონდა:

— როდესაც ხუთებზე ისწავლი, დაამთავრებ სკოლას, მერე ინსტიტუტს, მერე მაგისტრატურას, რომ იშოვი კაი სამსახურს, რომ მოიყვან ცოლს, ხუთი წლის ბიჭი რომ გეყოლებათ და ნახვალთ ზღვაზე...

— ...ჩვენ რა, ახლა ზღვაზე ვართ? — უკვირდა იაგოს და ლამის ქოთანზე მჯდომი სევდიანად გასცქეროდა ფანჯარას. თან ცდილობდა,



წარმოედგინა, როგორი იქნებოდა იმ შორეულ მომავალში ზღვა, რომელიც ჯერ მხოლოდ ტელევიზორში ენახა, მაგრამ გიტარიანი შიშველი მამის სახების მეტი თვალწინ მაინც არასდროს არაფერი ედგა — გიტარით ხელში ტელევიზორთან მდგომი შიშველი პოლკოვნიკი პოლიგლიშვილი კი ამ დროს მთელ ხმაზე მღეროდა.

ამ დროს მარინა ტრადიციულ, კლიენტის დასახვედრ მზადებას ასრულებდა და ამას სარკის წინ ხმაურიანი ბზრიალით აღნიშნავდა.

— ჩემი ცხოვრებული ქმარი სულ ყველაფერს ხედავს!.. — უყვიროდა შვილს გვერდითა ოთახიდან სანოლში მწოლი პოლკოვნიკის სკლეროზიანი სიდედრი იდა, — შენც იქითა გაქ გზა და მოგთხოვს სტროგ პასუსს, როცა იქნება... რო გადამიქციე სახლი ბარდელად!

— მამაჩემი სამოთხეშია... — ჯიუტად ცრინდა კბილებს შორის მარინა და ჟღერ თმას კიდევ უფრო იფუხებდა, — მე ვინ შემიშვებს მანდ...

— აიკიდებ რაცხას! — ისევ უკიოდა მარინას გვერდითა ოთახიდან იდა, — მოკვტები... მე მაინც მკითხე, ვის რა ეშმაკი უშლიგინებს სისხლში...

— მე ძლიერი ვარ, დედა... ჯანმრთელი... ძუ მგელივით... — აღრქიალებდა მარინა კბილებს, — ამ ყველაფერს კიდევ თქვენს გადასარჩენად ვაკეთებ... სხვა ვინ რისი მაქნისია ამ სახლში, ვინ?..

— როსკიპო ბოზო! — კიოდა გვერდითა ოთახიდან იდა, — ეს ვინ გაგზარდე, ვინა?!

— ეს სულ ღლაპია, — იშვერდა ხელს მარინა იაგოსკენ. — ეს რაც სამსახურიდან დაითხოვეს, აღარაა ამქვეყნად და სიზმარში სულ თეთრ გველებს ან რკინიგზაზე მომხდარ გრანდიოზულ კატასტროფებს ხედავს... — ამბობდა პოლკოვნიკ პოლიგლიშვილზე, — შენ კიდევ, რა უნდა გელაპარაკო? — იქნედა ხელს, — მერე რა ხეირი, სხვანიარად რომ გაქვს ცხოვრება გატარებული?

— ვის დაემგვანე, ვის?!.. — ხაოდა მაინც გვერდითა ოთახიდან სკლეროზიანი დედა და საოჯახო ალბომს გამწარებით ათვალერებდა, — აგერ ბებიაშენი — საოცარი ქალი, მარინა! აგერ დიდდაშენი — უკდემამოსილესი ადამიანი, მარინა!.. აგერ მისი ბაბუდა — ჭეშმარიტი მანდილოსანი, მარინა! მოქცეულიყავი შენც წესიერად, მარინა... მიგხედა შვილისთვის, მარინა... დაგენყარებინა ქმარი, მარინა... ხედავს მამაშენი ყველაფერს... ხედავს და სულ მოთქმით ტირის, მარინა...

— მამაჩემს მინუს თორმეტი ჰქონდა ბოლოს!.. — ამბობდა მარინა და ლამის ქოთანზე მჯდარ იაგოს თავზე ხელს უსვამდა.

„ყველა ადამიანი შეუმდგარი ანგელოზია“, — უყვარდა პოლკოვნიკ პოლიგლიშვილს ამ დროს ხმამაღლა დამღერება და როსკიპ ცოლს გიტარით ხელში მუდამ ზურგით დაუდგებოდა ხოლმე.

— მომფხანე ერთი...

— სადა? — უგულისყუროდ ეკითხებოდა მარინა და პოლკოვნიკი პოლიგლიშვილიც თავს ზურგისკენ უცნაურად, ანუ ცნობილი გიტარისტებივით აქნევდა.

— ფრთებთან.

და მარინაც ფხანდა პოლკოვნიკ პოლიგლიშვილს ბეჭებს, პოლკოვნიკიც სიამოვნებისგან ზმუოდა და სიმღერას განაგრძობდა.

მერე კარზე ზარის ხმა ისმოდა.

კარს მარინა აღებდა და კლიენტის თამამად შემოდოდა ბინაში, თუმცა კი შიშველი პოლკოვნიკი პოლიგლიშვილის დანახვაზე უმაღლ სახეებრიცებოდა. ვერაფერს მიმხვდარი აუცილებლად

ლამის ქოთანზე მჯდარ იაგოსკენაც გააპარებდა მზერას და იქვე, გარდაუვალი იყო, არ გაეგონა გვერდითა ოთახიდან პოლკოვნიკ პოლიგლიშვილის სიდედრის ხავილი:

— შე სატანა და ნოსფერატუ, მარინა!

— რა ხდება აქ? — გადახედავდა კლიენტი მარინას, ის კი ეგრევე, დაზეპირებულივით პასუხობდა:

— არაფერი. რეპეტიციაა... წამო აქეთ... და ფული წინასწარ! — და კლიენტი საძინებელში მუჯლუგუნებით გაჰყავდა.

რა თანმიმდევრობით ვითარდებოდა მოვლენები იქ, არავინ იცის. ერთი კი იყო — აქეთიქით მოსიარულე შიშველი პოლკოვნიკი პოლიგლიშვილი გიტარას კიდევ უფრო ხმამაღლა აჟღერებდა, რათა გვერდითა ოთახიდან გამოშავალი ცოლის კვნესა გადაეფარა, ლამის ქოთანზე მჯდომი იაგო კვლავ მეოცნევე სახით ასცქეროდა ჭერს, ხოლო გვერდითა ოთახში მწოლი იდა კი სკლეროტიკულ ხავილს განაგრძობდა:

— და მოერყევა საძირკველი ამ წყეულ კორპუსს, მარინა!.. დავიმარხებით ნანგრევებში და დამტირებელიც არავინ გვეყოლება, მარინა!.. ხომ გეუბნებოდი, გამოსულიყავი მეან-პროქტოლოგი, მარინა!..

საძინებელს და მერე საერთოდ ბინასაც თმანწინილი კლიენტი ნახევარ საათში დაუმშვიდობებლად და დაბნეული სახით ტოვებდა, საძინებლის მოლიავებული კარიდან კი ქალაღის კუპიურებით ხელში შიშველ ტანზე ხალათ-მოსხმული მარინა გამოდოდა და გაბრწყინებული თვალებით აჰყურებდა ლაქებიან ჭერს.

— ფული, ანდრო... ბევრი ფული... ანდრო... — ჩურჩულებდა ამ დროს მარინა და იაგოც აღტაცებით შეჰყურებდა დედას.

— დე, „მარსი“ მინდა...

— სწრაფად ადგა, უცებ ჩავიდა და ფიცხლად ამოიტანა... — გიტარზე დაკვრას სულ ცოტა ხნით წყვეტდა პოლკოვნიკი პოლიგლიშვილი და იაგოს დასცქეროდა, — კალბასი, კონსერვი, კვერცხი...

— და სამივე კ-ზე რომ იწყება? — საწყალი მზერით ასცქეროდა იაგო მამას.

— ფული... ანდრო... ბევრი ფული... — ისევ ჩურჩულებდა თვალეზანთებული მარინა.

— ეს ცხოვრება ბუმერანგია, მარინა! — ხაოდა გვერდითა ოთახიდან სკლეროზიანი დედა იბა, — მოგიბრუნდება უკან და დაგიტყნავთ ნევნებს, კბილებს და ხერხემლებს, მარინა!

— და „მარსიც“! — ადასტურებდა პოლკოვნიკი, მარინას ხელიდან ფულს გლეჯდა და ლამის ქოთინიდან წამომდგარ ვაჟს გამონვდილ ხელში უკუჭავდა, — ხურდაში ნუ მოატყუებინებ გამყიდველს თავს, იაგო... გახსოვდეს, რომ იქითა წლიდან სკოლაში მიდიხარ!

სადილადაც დედიშობილად უჯდებოდა ხოლმე პოლკოვნიკი პოლიგლიშვილი მაგიდას და კერძს, რა სახისაც უნდა ყოფილიყო, პირის წვლაპუნით შეექცეოდა.

— პირი, ანდრო! — აძლევდა ხოლმე შენიშვნას როსკიპი ცოლი მარინა, რაზეც პოლკოვნიკი პოლიგლიშვილს ტრადიციული პასუსხი ჰქონდა გამზადებული:

— ნებისმიერი ხმა, რომელსაც ადამიანი გამოსცემს, ექოა ღმრთისა... — და იქვე აუცილებლად ამატებდა, — მომფხანე ერთი...

— სადა? — ისევ უგულისყუროდ ეკითხებოდა მარინა, რომელსაც მორიგი კლიენტის მოლოდინში ცალი თვალი კვლავ კარისკენ ჰქონდა. პოლკოვნიკი პოლიგლიშვილიც ისევ ზურგისკენ იქნევდა თავს.

— ისევ ფრთებთან, სადა...  
და მარინაც ფხანდა, ამ დროს კარზეც რეკავდა ვიღაც, ხუთი წლის ვაჟი იაგო კი ალფრთოვანებით შესცქეროდა დედ-მამას.

პირველი გაუგებრობა მაშინ მოხდა, როდესაც პოლკოვნიკ პოლიგლიშვილის სიდედრმა, სიბერისგან ჭკუიდან გადამცდარმა მოხუცმა იდამ სიზმრად ანგელოზად ქცეული პოლკოვნიკი პოლიგლიშვილი ნახა. პოლკოვნიკი სიზმარშიც შიშველი იყო, ბეჭებზე ფრთები ესხა და ჰაერში ფარფატებდა.

პირჯვრის უკუღმა წერით გამოღვიძებულ და სანოლში წამომჯდარ იდას საშინელი ხველება აუტყდა.

— მარინა! — ამოიხავლა მერე მთელ ხმაზე და მის ხრინწიან ხავილზე ოთახში ყველანი ერთმანეთის მიყოლებით შეცვივდნენ: ჯერ როსკიპი ქალიშვილი, მერე შიშველი სიძე გიტარით ხელში და ბოლოს კი ხუთი წლის შვილიშვილი იაგო.

— ანდრო გატყუებს, მარინა! — მიუთითა იდამ მარინას გიტარიან ქმარზე და დაკორძილთითება ხელი პოლკოვნიკ პოლიგლიშვილისკენ გაიშვირა, თუმცა ეს რატომღაც პოლკოვნიკის მუცლისქვემოთა მიმართულებით მოუვიდა, სადაც სიძეს უზარმაზარი მამაკაცური სიამაყე ეკიდა.

როსკიპი მარინა მოულოდნელობისგან შესტა, ქმარს მამაკაცურ სიამაყეზე დახედა, მერე მზერა ზემოთ აიტანა და პოლკოვნიკ პოლიგლიშვილს თვალი თვალში გაუყარა.

— რაო-რაო? — გამოცრა კბილებიდან და დაბნეულმა პოლკოვნიკმა ვერაფერი რომ ვერ მოიფიქრა, ცოლს მაშინვე ზურგით დაუდგა.

— მომფხანე ერთი...  
და მარინაც უმალ საშინლად აკივლდა:

— სიკვდილს მოგფხან მე შენ და არგადარჩენას, შე არანორმალურო შენა! რას მატყუებს, რას?! ის არ გყოფნის, სახლში ყველას თვალწინ ტიტლიკანა რომ დაეთრევი და ღნავი სისულელეებს?! მე შენ ნახე რა გიქნა! — და მარინამ პოლკოვნიკ პოლიგლიშვილს ზურგში ისეთი ძალით ჩასთხლიშა მუშტი, რომ პოლკოვნიკს სუნთქვა შეეკრა და გიტარიანად ადგილზე ჩაიკეცა.

— მამიკო, არ მომიკვდე, მამი... — პირველი მამას ხუთი წლის ვაჟი იაგო მივარდა.

— ანდრო გატყუებს და ფრთებს მალავს, მარინა! — დააკონკრეტა ამ დროს იდამ და მარინამაც დედას გიჟის თვალებით გამოხედა.

— რას მალავს?  
— ლამე იკეთებს და გარეთ დაფრინავს, მარინა...

მარინამ სიმწრისგან ლოყა ჩამოიხოკა, მერე დაქნდილი ქოში გაიხადა და დედას მთელი ძალით ესროლა.

— როდის ჩაძალდები და ჩვენც დაგვასვენებ და შენც მოისვენებ, დედა??! — დააყოლა იქვე და იატაკზე განრთხმულ ქმარ-შვილს მიუბრუნდა.

ქოში იდას წიკზე ასცდა და სანოლის თავზე დაკიდებულ მარინას მამისა და იდას ცხონებულ ქმრის შავ-თეთრ პორტრეტს მოხვდა. პორტრეტის შუშა დაიმსხვრა და სურათი სანოლის უკან ჩავარდა.

— მანდაც აღარ გასვენებენ, ვიტალი! — აღაპყრო ხელები იდამ და ცალი თვალით პოლკოვნიკ პოლიგლიშვილისკენ გაიხედა. ის გიტარას ჩახუტებული სიმწრით იკლავებოდა. ზედ ხუთი წლის ვაჟი იაგო გადამხობოდა, იქვე კი მუხლებზე დაჩოქილი მარინა ტიროდა.

— ანდრო, მამაკიე, ჩემო ნუგოვ... გთხოვ... —

ქვითინებდა ჟღალთმიანი მარინა მოთქმით და თავზე ქმრის მაგივრად ვაჟ იაგოს ეფერებოდა, — თუ გინდა, მეც სულ შენსავით გავიხდი და შიშველი ვივლი ხოლმე... შენ თუ გინდა... ოღონდ მამაკიე... და შიშველი დაფხვდები კლიენტებს... ა?

მარინა მეუღლის ნებართვას არ დალოდებია, ამ სიტყვებთან ერთად თავზე კაბა გადაიძრო და დედისკენ მრისხანე სახით ისროლა, მერე დანარჩენიც ზიზლით მოიშორა სხეულიდან და დედიშობილად დარჩენილი კვლავ ქმარსა და ზედ გადაამხობილ ხუთი წლის ვაჟ იაგოს მიუტრიალდა.

პოლკოვნიკი პოლიგლიშვილი მალევე მოსულიერდა და ფეხზე იაგოთი და გიტარით ხელში წამოიმართა. ჯერ სიდედრს გახედა, რომელსაც განცხადებების გაზეთის ნაგლეჯი პაპიროსივით შეეხვია და უზარმაზარ ნაფაზებს ურტყამდა, მერე შიშველ ცოლს მიუბრუნდა და ლმობიერად ჩაათვალიერა.

— ანდრო, თუ გინდა, დამარტყი, სადაც გინდა, მთელი ძალით... ხომ იცი, როგორ მიყვარს ეგეთები... — სთხოვა ცოლმა, მაგრამ პოლკოვნიკი პოლიგლიშვილი ცოლს ტრადიციულად ზურგით დაუდგა.

— მომფხანე ერთი... — და მარინამაც, ისე, რომ არაფერი უკითხავს, ქმარსაც და ხუთი წლის ვაჟ იაგოსაც ერთდროულად დაფხანა ბეჭები.

მარინას ეგონა, ამით კონფლიქტი ამონურული იყო, მაგრამ მწარედ შეცდა.

პოლკოვნიკმა პოლიგლიშვილმა ხუთი წლის ვაჟი იაგო იატაკზე დასვა და თავზე ეამბორა. მერე ცოლს მოუთათუნა ლოყაზე ხელი და სწრაფად გავიდა სანოლ ოთახში, საიდანაც ხუთ წუთში სააღლუმო სამხედრო ფორმაში გამოწყობილი გამობრუნდა.

— სად მიდიხარ, ანდრო? — ეცა ელდა შიშველად მდგომ მარინას და იქვე მდგარ ტიტლიკანა შვილს მხარზე ხელი გადახვია.

— დღეს მე ძალიან რთული დღე მქონდა, მარინა, — მიირტყა ქუსლი ქუსლზე პოლკოვნიკმა პოლიგლიშვილმა, — კიდევ უფრო რთულად რომ არ განვითარდეს მოვლენები, მარინა, მე დროებით განგვირდებით და პარკში გავისეირნებ, მარინა, ვინაიდან განტვირთვა ბუნების წიაღში ჩემნაირი სულწყობის მამაკაცს ახლა ყველაზე მეტად სჭირია, მარინა.

პოლკოვნიკმა პოლიგლიშვილმა მხარზე გიტარა მოიგდო, თავზე სამხედრო ქუდი დაიხურა და მხედრული ნაბიჯით გააბიჯა ბინიდან.

კორპუსის ლიფტში მან და კარის მეზობელმა, ქორეოგრაფიის მაესტრო ანზორმა ერთად იმგზავრეს და მიუხედავად იმისა, რომ ერთმანეთისთვის საღამის მეტი არაფერი უთქვამთ, გარეთ გამოსულები ერთურთს მაინც ხელის ჩამორთმევით დაემშვიდობნენ.

ორივეს რომ ვაკის პარკისკენ ჰქონდა გეზი აღებულ, ეს მათ უბრალოდ არ იცოდნენ. და მართლაც, ერთი უცნაურ პაემანზე მიიჩქაროდა, ხოლო მეორეს უბრალოდ სუფთა ჰაერის ჩაყლაპვა სურდა განსატვირთავად და არსად ეჩქარებოდა.

შესაბამისად, ანზორმა ტაქსი დაიჭირა, ხოლო პოლკოვნიკი მხედრული ნაბიჯით გაუყვა გზას პარკისაკენ.

კიდევ ერთ რამეს წინასწარ ვერც ანზორი და ვერც პოლკოვნიკი პოლიგლიშვილი ვერ ივარაუდებდნენ — რომ პირველს განბილებულსა და კუდამოძუებულს მოუწევდა სახლში უკან მობრუნება, ხოლო მეორე, მოლოდინისდა სანინალმდევოდ, თავის ყოფილ ლექტორსა და სიჭაბუკის სიმპათიას გადაეყრებოდა და მთელ საღამოს მას და მის ინვალიდისსავარძლიან ულაშვს შვილიშვილს დაუთმობდა.

\* \* \*

იმ ღამის შემდგომ მთელი კვირა არ გაუდგამს ირაკლის სახლიდან ფეხი და ლუკმაც არ ჩაუდგია პირში. ჯიუტად იწვა ლოჯიაში მდგარ სანოლში, თავიდან ფეხებამდე დაძაბული ძილსაც ვერ იკარებდა, დილიდან საღამომდე მარიკაზე ფიქრობდა და წარსულს იხსენებდა.

უპირველესად ის ღრუბლიანი დღე ახსენებოდა, სტუდენტობისას, უნივერსიტეტთან მდგომს ქუჩის ტელეფონიდან ლექტორთან რომ უნდა დაერეკა და ორკაპიკიანი არ აღმოაჩნდა. რომ მიმოიხედა, იქვე მდგომ შავთვალეა გოგოს მოჰყრა თვალი — მეტი იმ სუსხიან დილით არავინ იდგა გაჩერებაზე. თავიდან კი მოეხატრა, მაგრამ შემდეგ გამბედაობა მოიკრიფა და გოგოს ტელეფონ-ავტომატზე დასარეკად ორკაპიკიანი სთხოვა. გოგომ გაუღიმა და ხურდა გაუნოდა. ირაკლიმ გოგოს მადლობა უთხრა და გატრიალებულია ტელეფონზე ნომერი აკრიფა.

„თქვენ არასწორად აკრიფეთ ნომერი... თქვენ არასწორად აკრიფეთ ნომერი“... — მოესმა ირაკლის მაშინ ყურმილში. ირაკლიმ კიდევ ერთხელ სცადა და ყურმილიდან იგივე რომ მოესმა, ტელეფონი გათიშა და ორკაპიკიანი გოგოს მობოდიშებით დაუბრუნა. გოგომ თვალებით გაუღიმა და ირაკლის ეს ღიმილი დაამახსოვრდა. მერე სწორედ ამ ღიმილით იპოვა ირაკლიმ მარიკა და ურთიერთობამ აქამდეც მოიყვანა.

„მათხოვრობიდან დავიწყე და მათხოვარივით შემისრულეს...“ — ფიქრობდა სანოლში მწოლი ირაკლი და მთელი დღეები ის ძველისძველი ფრაზა დაუდიოდა გონებაში:

„თქვენ არასწორად აკრიფეთ ნომერი... თქვენ არასწორად აკრიფეთ...“

ირაკლის საქციელით გაღიზიანებული მარიკა ვერაფერს ხვდებოდა, მთელი გონებით ანზორზე იყო გადართული, თუმცა სახლიდან გასვლას მაინც ვერ ახერხებდა.

ელენა მრავალმნიშვნელოვანი იერით თუ შეიხედავდა ლოჯიაში, გაფითრებული ვაჟის შემხედვარე ერთს ამოიხრავდა და თავის ოთახში ბრუნდებოდა.

ანა გამუდმებით რადიოს უსმენდა ან ტელეფონზე ეკიდა და ოჯახური დაძაბულობისთვის სულ არ სცხელოდა — გრძნობებში გახლართული ბიჭიზე ფიქრობდა და ძალიან ხშირად სდიოდა სიხარულის ცრემლი.

ერთადერთი ტატო გადიოდა სახლიდან ადრინადა და გვიან შემობრუნებულს სამზარეულოში ჩაის სმისას აღრენილი დედის შეგონებებისგან ტვინი უდუღდა.

— რატომ დაგბადე და გაგზარდე მე იდ-იოტმა ეგეთი? რატომ დამსაჯა მამაზეციერმა ეგრე? — საოცარი სისწრაფით ატრიალებდა ხორცსაკეპის სახელურს მარიკა, — გაიხედ-გამოიხედე, შენდება ხალხი, შენ კიდევ სად ჯანდაბაში ხარ ჩარჩენილი და რას გიგავს ყოველდღე თვალები? გააჩერე ეგ კოვზი! რას ურევ ამდენს?! გადის დრო, ტატო, გადის... ვერაფერს დააბრუნებ უკან... ტვინი მეტკინა უკვე! ნუ აწკარუნებ, ისე მოურიე! შემოგადნება ყველაფერი და დარჩები ეგრე, ცარიელ-ტარიელი... სულ დაგემლება ეგეთი არანორმალური ცხოვრებით ღვიძლი და ნაღველი...

— მაიცა რა... — აგდებულად იქნედა ხელს ტატო, — კიბორცივით ვარ...

— ვეღარ უნდა მიხედე, რაა ამ ცხოვრებაში მთავარი? ნუ, როგორი დახუთულობაა ამ შუა ზამთარში... მიდი, გამოალე ფანჯარა, განიავეს ცოტა... გამოიწი აქეთ! იქნებ გადავარდე და ჩვენც მოგვასვენო და შენც მოისვენო!

— შენც ეგ არ გინდა? — ავად ილიმებოდა ბიჭი.

— ხმა და კრინტი, უზრდლო! შეფერება შენი ნიჭისა და გვარის პატრონს ასე გდება? ვილაც იდიოტებს კოსტიუმები უნდა ეცვათ, ჰალსტუხები ეკეთოთ, ყოველდღე ტელევიზორში ანახვებდნენ, შენ კიდევ ისეე მაგ გაცვეთილ ჯინსებში დაეთრეოდე?.. გამოდი-მეთქი მანდედან აქეთ და ეგრე ნუ ეყუდები, თორემ დაგისხტება ფეხი და გადაფრინდები ცხონებული ჯანიკო მკუხაძე-სავით...

— ეგ ვინ ჩემი ფეხია? — შორდებოდა ფანჯარას ტატო და ისეე მაგიდასთან ჯდებოდა.

— ვინცაა, არაა შენი საქმე... და ფეხი თავში გაქვს შენ! — განაგრძობდა სახელურის ტრიალს მარიკა, — მერე ფეხსაცმელებზე დაიხედე... რა გაცვია... ბოტასების ასაკიდან ვერ გამოსულხარ! კაი, იცი, რომ ჩვენ არ გვაქვს საშუალება, მაგრამ შენ რას აკეთებ? ვინ აღარ მირეკავს, ვინ! ჩვენი წრის ხალხი... თითო საჩვენებელი საუკეთესო ადამიანები... მანითლებენ, ისეთებს ჰყვებიან თავიანთ კრეტინ და ერთუჯრედიან შვილებზე, მე კიდევ ვერაფერს ვუბნები... რით ვიამაყო — შენი ჩანითლებული თვალებით? კიდევ კაი, ანა სანოლშია და ის არა მყავს სადევნი... შენ გარე-გარე დაწრიალებ და ღმერთმა იცის, რა ხალხთან გაქვს საქმე... იქნებ შეგეყაროს რამე და გადაგვდო ყველას...

— კაი რა...

— როგორც ვილაც საცოდავსა და უბედურს, ისე თანამიგრძნობენ...

— მეძინება, — დგებოდა მაგიდიდან ტატო, მაგრამ დედის მკაცრი ტონი ადგილზე აშეშებდა.

— იდიოტო შენ! არსად არ გაადგამ ფეხს, ვიდრე ბოლომდე არ მომისმენ! დაეთრევი ვილაც ჩამოძონძილ-ჩამოხეულებში! წესიერი მეგობარი შენ არ გყავს და ნაცნობი... ვინ არის ეგ კონო? რატომ აქვს ასეთი გრძელი თმა? ან ვინ არიან სხვები? რას ჰგვანან... სად გადაკარგულში ცხოვრობენ... რატომ აცვიათ ეგრე?! სად პოულაობ ეგეთებს, სად?!  
ტატო განახევრებულ ჩაის ჭიქას დასწვდებოდა და ხმაურით ცლიდა.

— რა ამბავია ასე ხმაურით და ველურივით მოხერხება?! ეგ გასწავლე მე?! ალბათ, სხვაგანაც ეგრე იქცევი და მჭრი მთელ ქალაქზე თავს!  
— მამა როგორაა? — კითხულობდა ტატო და ლოჯიისკენ იყურებოდა.

— გაიგე, რა ვთქვი?! თუ შენთვის სულერთია?! გამოფხიზლდი, ვიდრე დროა!.. მიმოიხედე! აღარც ისეთი პატარა ხარ, ეგეთები გეპატივბოდეს... რომელ კურსზე ხარ, თუ გახსოვს?

— მეხუთეზე.

— სულ არ ფიქრობ მომავალზე... შენხელები ტელევიზიებში მუშაობენ. გაზეთებში წერენ, შენ კიდევ ყველაფერი ფეხებზე გკიდია, მათ შორის ოჯახიც!

ტატო სწრაფი ნაბიჯით გადიოდა სამზარეულოდან და მარიკას მარტო ტოვებდა. მარიკა ხორცის გატარებას ასრულებდა და ლოჯიაში შესული ჭერში მზერაანვლილ ირაკლის საქსოვი ჩხირებითა და ძაფის გორგალით უჯდებოდა სასთუმალთან.

— რა წყალში გადავცვივდეთ, ა, იკა? — დუდუნებდა თავისთვის მარიკა და სანახევროდ მოქსოვილი მოსასხამი ცხვირთან მიჰქონდა, — რა ვქნათ, იკა? შენ ხელის განძრევა არ გინდა... არ მიხარა ახლა, რა დროს ეგეთებიაო... სულ სხვა და უარესი დრო იყო მაშინ, დედაშენის ჩამოსვლამდე, და ტაქსზე მაინც იჯექი... ორი კაპიკი ხომ შემოგქონდა?.. ახლა კიდევ... სულ



დაეცი... არც ამბობ, რა გჭირს... სიცხე არ გაქვს, — ადებდა ხელს შუბლზე მარიკა ირაკლის, — გაიძახი, არაფერი მტკივაო... ექიმს არ მაძახებინებ... დროს რა ბრალია, შენ ეგეთი ჩუიტი იყო... გადამრევთ თქვენი ყველანი და ჭკუიდან გადადგამთ... ტატოს რა ეშველება, აღარ ვიცი... იმ დღეს მთელი ქილა რალაც საზიზღრობა ვუპოვე სანოლქვეშ... შენ კიდევ სულ იცავ და არაფერს უშლი...

— რა საზიზღრობა?

— ჯანდაბა! თვითონ მიმტკიცებს — საღებავიაო... საძაგელი ფერის... ისეთი სუნი ჰქონდა. როგორ ძღვებდა ანუშკა იმ სუნში...

— მაგ სუნზე ამბობდა, ალბათ, ელენა...

— რა სუნზე?

— უცხო სუნით...

— ჰო, ალბათ, — ამბობდა უეცრად შემოთვებული მარიკა, სწრაფი ნაბიჯით გადიოდა ოთახიდან და საპირფარეშოში შეკეტილი ანზორს ურეკავდა.

— ცუდად ვარ, ანზორ... სულ ტირილი მინდება... თვალები ვეღარ შემიღებავს...

— ფერი ფერსაო, მარგო! მეც არანორმალურად მუქ დღეში ვიმყოფები... ტელეფონში ვერაფერს გეტყვი, ვაი-ვაი და ვინმე შემთხვევით იყოს ჩართული, მერე სად გადავიკარგო მე ულტრაფეთიანი...

— ეგეთი რა მოხდა, ანზორ?..

— ყველაფერს ფარდას ავხდი სულ მალე, მარგო! ახალ აქტს ვინყებ ჩემი ანდერგრაუნდ-ცხოვრებისას... სხვა უფი ალარ არსებობს! მარგოშკები, იცი, რომ თვით გი დე მოპასანზე ცუდად ვარ? არა, ანზე თუ ხარ შენ საერთოდ, მე რა გამეანშვან... ისხ... გამეანშვან... თფუი!

— ვაი... რისი თქმა გნებავთ, ანზორ?

— გადებული მაქვს-მეთქი!.. მაგას მკვდარი მაინც ჰქვია... ვისზე ვამბობ?.. ჰო... გი დე... მაგის ნათლის დავეცი... იხსენებენ, ალბათ, ნატურალური ბორდოს წრუპის ჟამს და საფლაგზე სულ ზამბახებსა და ზაფრანებს უწყობენ... თფუი! ზაფრანი რამ მათქმევინა... იმას რა ჰქვია? იასამანს კი არა... აი მერე როა... მალაღი და ბუჩქოვანი... მოკლედ, კი დევის დიდი გი დე ჰორიზონტალურად და მშვიდად საფრანგეთის ანუ-ისფერ მინაში...

— ანზორ, ძალიან მთვრალი ხართ... იქნებ შხაპი გადაგველოთ...

— და მე ცოცხალი მქვია ამ დროს?

— კარგი რა, ანზორ... ნუ მაშინებთ...

— ნაჯეკდენიელსარი ვარ უღვთოდ, მარგო! ვისკი, რომი, ვოდკა, შამპანური, ტეკილა... მოკლედ, ყველაფერი ერთად... მთელი მენდელევი და ლომონოსოვი აქ მყვანან! შენ არ იცი, როგორ ვყანალებ! და ყველაფერი მიყანალებს! ცალ თვალში სე მაქვს, მეორეში — მიზერ ბეზ პრიკ-უპა... და რატომ არ გამოხვალ ძველებურ ვიზიტად, მარგო?..

— ვერ, ანზორ... სახლში ჯოჯოხეთი მაქვს... ქმარიც ჩამინვა ჯანდაბით... ვერ...

— ო, დანტე, დანტე... პედანტე! და ახალი პორნო რომ მაქვს ჩვენთვის ბექგრაუნდად...

— ანზორ... სხვა დროს! მეტს ვეღარ დაგელაპარაკებთ... ძალიან მიყვარხართ!

\* \* \*

ანზორს ბიჭისთვის აღარ დაურეკავს. გული უგრძობდა, რომ ეს ამ ეტაპზე წყლის ნაყვა იქნებოდა და ამით საერთოდ აბურღავდა და არევ-დარევდა ყველაფერს. სახლში გამოკეტილმა გადაბმულ სმას მიჰყო ხელი და რამდენიმე დღეში თითქმის ბოლომდე გამოაცარიელა უცხ-

ოური სასმელებით სავსე განჯინა. თან გამუდმებით კარისკენ იყურებოდა და მხსნელად მარიკას ელოდა, ვინც მისი აზრით ცოტათი მაინც მოუოხებდა სიმწრით გასივებულ გულს, მაგრამ მარიკა არა და არ ჩანდა.

რეპეტიციები და ქორეოგრაფიული საერთოდ აღარ ახსოვდა ანზორს, ნომრისამომცნობიან ტელეფონზე უცხო ზარებსაც არ პასუხობდა და სხამალა აღრიალებდა რადიოს, სადაც ეთერს ისევ ბიჭი მართავდა.

„...მამ, ასე, ვიდრე პირველ ბედნიერ რადიომსმენელს გავესაუბრებოდე, მინდა გითხრათ, რომ კვლავაც გრძელდება ჩვენი ტრადიციული, საახალწლო ვიქტორინა, რომლის გამარჯვებულის, ანუ ადამიანი, ვინც პირველი დაგვიმესიჯებს სწორ პასუხს, „რადიო-ჯასა“ და ლუდ „მეკლუდისგან“ მიიღებს სპეციალურ საახალწლო საჩუქარს — სამ ბოთლ ცივ-ცივ, ქაფქაფა „მეკლუდს“. მამ ყურადღებით! მორიგი კითხვა: კერძოდ, რომელი ნარკოტიკის მიმართ ჰქონდა განსაკუთებული ანტიპათია დიდებულ მუსიკოსს, ჯგუფ „პინკ ფლოიდის“ სულისჩამდგმელს სიდ ბარეტს? ეს-ეს-ეს-პასუხები მოგვწერეთ ნომერზე 4321. ახლა კი მივესალმებით „რადიო-ჯასა“ სადამოს საზეიმო ეთერის პირველ სტუმარს, სახელად...“

— სევდა...

— ოჰო, ეს საპასპორტო სახელს არ ჰგავს...

— არა, რა პასპორტი... ყველა ეგრე მიცნობს... დედის ძვლებს გეფიცებით...

— ჰა-ჰა, ესეც ახალი ტიპისა და ყაიდის ფიცი „რადიო-ჯასა“ ეთერში... სევდა დედის ძვლებს იფიცებს...

— აღარ შემიძლია! მართლა აღარ შემიძლია... შენ ხომ მაინც გესმის, ბიჭი!.. კაი კაცი ჩანხარ... სხვებსაც უთქვამთ...

— სევდას რალაც არ შეუძლია! და რაა ეს რალაც, თუ ძალიან დიდი საიდუმლო არაა?

— ეს აღარაა ცხოვრება! რა ვენა? გადმოვხტე მეცხრე სართულიდან?.. დავიღუპო? ვის დავუტოვო მერე ვიკა იმხელა მუცელით, ვის?... ტუალეტში იკეტება და ტირის...

— აჰა, სიტუაცია აშკარად ტრილერულად იძაბება „რადიო-ჯასა“ ეთერში... სევდა თავის ისტორიას მოგვითხრობს... მეცხრე სართული, ვიკა, დიდი მუცელი, ტუალეტი...

— დედის ძვლებს გეფიცებით, მთელ ქალაქზე გაბაზრდა ჩემი ჰოლანდიური ბუჩქის ამბავი... საქმეა ეს? ყოველ ნახევარ საათში ქეშების ახალი ბრიგადა მადგებოდა სახლში... ნაირ-ნაირები... იხსენენ ჩემთან, შუა ოთახში, ღორებივით ეწეოდნენ და არ ჩერდებოდნენ! მერე სიცილით კვდებოდნენ, ეგ მართლა ღორები ეგენი! ერთი მიდიოდა, სხვა მოდიოდა...

— როგორაა — ვიდრე პავლე მოვიდოდა, პეტრეს ტყავი გააძვრესო... თუ პირიქითაა?

— არცა რცხვენოდათ... მე როგორ ვუთხრავ სტუმარს — გაეთრიეო! ვერ ვუთხრებოდი. მე სხვანაირად გამოზარდეს... ცხონებული მამაჩემი დამსახურებული პროქტოლოგი იყო. თქვენ არ იცით ჩვენი ოჯახის ტრადიციები! სტუმარმასპინძლობა! გაგიჟდა ვიკა... თან მთელი თვეა უკვე... მთელი თვე...“

აღკოპოლით გაჟღენთილ ანზორს გულჩვილობა მოსჩვეოდა და რადიოსთან წამოგორებულ ცრემლს ველარაფერზე იკავებდა. ის ფაქტობრივად ნებისმიერ რამესა და ვინმეზე ტიროდა — ბიჭიზე, მარიკაზე, ანაზე, ქორეოგრაფიულზე, ცეკვაზე, სამშობლოზე, უცხოეთზე, თავის ყოფილ პარტნიორებზე, რადიომსმენელებზე, თვით პოლკოვნიკ პოლიგლიშვილზე... ცრემლისგან ბოლომდე ჩამომბალს იატაკზევე ეძინა და არათუ საერ-

თოდ არ ჭამდა, საპირფარეშოშიც კი არ გადიოდა.

რამდენიმე დღეში სასტუმრო ოთახი ცარიელი ბოთლებით აივსო. ალკოჰოლის მძაფრი სურნელი კედლებზე შეიფრინდა, ხოლო ანზორი სმისგან საერთოდ ჩამოხმა და გადაყვიტდა, რადიო და ბიჭი კი არა და არ ჩერდებოდნენ.

„...და ვიდრე დიალოგს განვაახლებდე, მინდა გამოვაცხადო ვიქტორინის შედეგები... ამჯერად მსმენელმა მუხამორამ მოგწერა პირველმა სწორი პასუხი, რომ დიდი მუსიკოსი და ჯგუფ „პინკ ფლოიდის“ დამაარსებელი სიდ ბარეტი ორგანულად ვერ იტანდა ნარკოტიკულ საშუალებას მან-აგუას, რაც ველური კანაფის ტკბილ რძეში ნახარშს წარმოადგენს... მაშ ასე, გამარჯვებულ „მუხამორას“ ვთხოვთ ხვალ დილაადრიან მობრძანდეს რადიოს ოფისში პირადობის მოწმობით და წაიღოს, ანუ ჩაიბაროს მოგებული პრიზები ლუდ „მეველდისგან... „რადიო-ჯას“ პირდაპირ ეთერში კი კვლავაც ვინმე სევდა გვყავს, რომელიც დაუფერებელ ისტორიას ჰყვება...“

— რა, არ გჯერათ? წამოდი და თქვენი თვალით ნახავთ! მთელ სახლს გამოგაგვევინებთ... ერთი ნამცეციც არ დამიტოვებია ჩემთვის... დედის ძვლებს გეფიცებით...“

— სევდას ხმაში იმდენი გულწრფელობაა, ძალიან უნდა ვეცადოთ, რომ არ დავიჯეროთ...“

— მოვეთხარე მთლიანად, დავჭერი მაკრატლით, ჩავყარე ქვაბში და მოვხარშე!

— ოჰო, სევდა, თქვენ სიდ ბარეტის სრული ანტიპოდი გამოდისართ...“

— მეტი აღარ შემეძლო, ბატონო ბიჭი!

— ბატონობა წინისწინა საუკუნეში გადავარდა, ჩემო სევდა!

— ძალიან ცუდად ვგრძნობდი თავს... თან, ვიკა... მისი საცოდავი მზერა და ცრემლები... ცხოვრება კი არა — ეს ნამდვილი ჯოჯოხეთი და სასჯელი იყო! თქვენ ვერ ხედავთ და აი ეს გამოვიდა, დედის ძვლებს გეფიცებით... ეს და მორჩა!

— მშურს ასეთი გულწრფელობის! „რადიო-ჯას“ მაგიაც ალბათ ამაშია. რასაც ვერ ხედავ — იმას გრძნობ სწორედ!

— ბინაში ჰაერი შეიცვალა.. გესმით?! კედლებზე შეიფრინდა სუნის... იმდენი ვინმე მოდიოდა, იმდენი... ვიცი... ჩემი ბრალია... არ უნდა გამებზრებინა, მაგრამ შევცდი... ორმა იცის — ღორმა იცისო... ეგ მართლა ღორები! ვიკასთვის კიდევ ეგეთი ჰაერის სუნთქვა არ შეიძლება... ბავშვია ცოლო, დედის ძვლებს გეფიცებით... უკვე ფეხებს აჭერს ვიკას შიგნიდან... სულ დვიჟენიაშია და არ ჩერდება... რა გააჩერებს... ჯერ არ დაბადებულა და სხვანაირი რომ გაჩნდეს, სად წავიდე, სად?! თავს ვერ მოვიკლავ — ღმერთი კრძალავს... თქვენს რადიოში კიდევ, ამასწინათ გამოაცხადეს — ორთავიანები იბადებიანო...“

— ჰა-ჰა... რას არ გაიგონებ „რადიო-ჯას“ ეთერიდან...“

— არ მომესმინა მაინც... ორთავიანი შვილი მინდა მე?! და თქვენ გგონიათ ვიკამ არ იცის ეს? მაგიტომაც იკეტებოდა ტელეფონი... იჯდა იქ და ტიროდა... გასკდა გული! ჰოდა, ავდექი და მოვიწორე ყველაფერი... ან ვინც უნდა, ის მოვიდე! აღარ ანის და მორჩა! დედის ძვლებს გეფიცებით, გათავდა!“

\* \* \*

სანოლში წოლის ერთი კვირის თავზე, საღამოს, ირაკლიმ ჭერიდან მზერა ჩამოიღო, მერე თვალები მოიფშვინა და იქვე მჯდომი მარიკასკენ შლეგის მზერით გადაიხედა.

— რას მერჩი, მარიკა?

— მე გერჩი?! — ამირიზა მარიკა.

— რატომ დამბუტბუტებ ყოველდღე თავზე?

— არაფერი... — ჩაქინდა თავი მარიკამ და მოძრავ ჩხირებს დააცქერდა.

— ჯადოს მიკეთებ, ჭუკლი? — გაელიმა ირაკლის.

მარიკამ არ უპასუხა. კაი ხანს თავჩაქინდრული იჯდა, თუმცა ბოლოს მაინც ვერ მოითმინა და თავი ასწია.

— ამას როგორ ვიფიქრებდი, იკა? ფულის ნასახი აღარაა სახლში... მე დედაშენის კაპიკიც არ მინდა და არც გამოვართმევ... ვინ გაძღვეს რო? ზედ არ შეგახედებს! რა ვქნათ, იქნებ შენ მითხრა?

— რა უნდა ქნა? — იკითხა ირაკლიმ, — ვერაფერსაც ვერ იზამ... მოსახდენი კი მაინც აუცილებლად მოხდება...“

— რა მოსახდენი, იკა? — წამოუწითლდა სახე მარიკას, — სულ გაუტყე?

— და რაც უნდა მოხდეს, სწორედ ის იქნება მოსახდენი...“

— მოიცა-მოიცა, ისე გამოდის, შენთვის სულერთია, აქ ვიქნები თუ სადმე შორს და სხვაგან...“

— სად სხვაგან? — გაუკვირდა ირაკლის.

— მგონი, ცირკთან დგომისთვისაც გამიმეტებ მალე, ხომ იცი... — ავად ჩაელიმა მარიკას. ირაკლიმ პირი დანაკლავუნა, ცოლს აღარაფერი უთხრა და კედლისკენ გადატრიალდა.

— გამეცი პასუხი, იკა! მითხარი რამე! — ლამის ერთ დიდ მუდარად იქცა მარიკა.

— გინდა ცირკთან და გინდა ზოოპარკთან! — ჩაიღრინა ირაკლიმ და თვალები დახუჭა.

— ვერ გავიგე?

— ისე მოიქეცი, როგორც გინდა, სხვები მოგექცნენ... ეგრე თუ იზამ, არავის დასაცინი აღარ იქნები, სადაც უნდა დადგე... — თქვა იქვე ირაკლიმ და თავი მოიმძინარა.

ფანჯრიდან შემოღვრილ უმთვარო ღამეს მთლად მელნისფერი ედო.

— არაფერი შენ აღარ გინდა, იკა... აღარც მანქანა... — განაგრძო მარიკამ წუნწუნი, — ან მე რალა მინდა შენთან? შემოგყურებ უკვე ოცდაორი წელია... ერთი კვირა წოლა ვის გაუგონია?! ადე, იკა! გაანძრე ხელი, თორე დავწყედით შიმშილით! სირცხვილია, საშინელი სირცხვილია, იკა!

აქ უკვე ბოლომდე გაახილა თვალი ირაკლიმ და ისევ წარბი შეკრა.

— ისევ ჯადოს მიკეთებ? — გადმოიხედა კვლავ ცოლისაკენ, რის გაგონებაზეც მარიკას უცნაურად გააჟრჟოლა, — ხმა აღარ გავიგო შენი, შე... — ირაკლიმ აღარ დაასრულა და თავზე საბანი გადაიფარა.

ამის გაგონებაზე მარიკა გაკაპასებით წამოიჭრა ფეხზე.

— თფუი! — არაქალურად დააფურთხა ძირს და ჩხირებიც გამწარებით მოისროლა.

ჩხირები იატაკში ჩაერჭო და ერთ-ერთზე წამოგებული, სანახევროდ მოქსოვილი მოსასხამი დროშასავით დუნედ აფრიალდა. გაცეცხლებული მარიკას დანახვაზე ირაკლი სანოლში წამოიჯდა.

— რა მოხდა ეგეთი?

— მე წავედი! — გამოცრა კბილებში მარიკამ, კარადა გამოალო და თავისი ტანსაცმლის ჩემოდანში ჩაყრას შეუდგა.

— სად წახვედი, მარ...? — სცადა ხელზე წაპოტინებოდა ცოლს ირაკლი, მაგრამ ვერ მიწვდა და იატაკზე მოადინა ბრაგვანი.

ხმაურზე ლოჯიაში თეთრ ღამის პერანგში

გამონყობილი ელენა და თვალმდებინდული ტატო შემოცვივდნენ.

— ცირკთან! — მკაცრად და ხმამაღლა ისროლა მარიკამ. მერე ლოჯიდან ჩემოდნიანად გავიდა, სახლიდანაც დაუმშვიდობებლად გავარდა და მთელი ძალით გაიჯახუნა კარი.

— რა ეტაკა? — იკითხა ელენამ გამარჯვებულის იერით.

— შორს ვერსად წავა... — ჩაიქნია ირაკლიმ ხელი და საწოლზე ჩამოჯდა, — გადაეთრევა იმ თავის ბოზ იდასთან, დადულდება და მობრუნდება...

— რა კარგად გაქვს ცხოვრება აწყობილი, შვილი... ამისთვის იცხოვრე? აქამდე გინდოდა მოსულიყავი, რომ არ დაგვიჯერე მაშინ? — ჩაეცინა ელენას და თავისი საძინებლისკენ წაჩოჩიალდა.

ირაკლიმ იქვე მდგარ ტატოს თვალი თვალში გაუყარა.

— რაო? — შეეკითხა იქვე, თუმცა პასუხად ვერაფერი მიიღო.

ფეხზე მდგომ ტატოს ნახევრად ეძინა და სიზმარში ისევ თავისი ოცნების არქიპელაგზე იმყოფებოდა. ტატოს ზრდისა და დაკაცების მიუხედავად, არქიპელაგი ბენოთიაც არ შეცვლილიყო:

მისი ოცნების კუნძულებზე კვლავაც ხარობდა აუარება ბანანი, ქოქოსი, მანგო, კივი და ისევ პაპანაქება სიცხე იდგა. ყველა იქაურს თუ არაიქაურს: ქალს, კაცს, მოხუცსა და ბავშვს — ფეხზე კვლავაც თეთრი ბოტასი ეცვა. ისევ თეთრი ბოტასი იყო ამ კუნძულების ბორდოსფერ დროშაზეც გამოსახული და იქ მოხვედრის ყველა მსურველს კვლავაც აუცილებლად თეთრი ბოტასი უნდა ცმოდა — მის გარეშე, იქაური კანონების თანახმად, კუნძულებზე ვერაფრით დაიშვებოდა.

სადღაც ფიჯისა და ტონგას მახლობლად მდებარე ათი კუნძულისგან შემდგარ ამ არქი-

პელაგზე ხალხი ისევ მეტად მცირე რაოდენობით სახლობდა: მეტწილად ტატოს ნაცნობები, უფრო კი ისეთი ნაცნობები, რომელთა მიმართაც სიფხიზლისას, ანუ თბილისურ რეალობაში, ტატო დიდი სიმპათიით იყო განმსჭვალული. იქ ყველა უსმენდა ისევ „ბითლზს“ და, მეზობელ კუნძულელთაგან განსხვავებით, საუბრობდნენ მხოლოდ ფეხბურთზე.

ერთადერთი, რაც ტატოს უკვე დაეთმო — ეს კუნძულების იალქნიანი ხომალდის თეთროტასებიანი მეთაურობა გახლდათ. ტატოს ეს პოსტი კონოსთვის გადაეხარებინა და უკვე კონოს ხრინწიან ბრძანებებს ასრულებდნენ უსიტყვოდ კვლავაც თეთროტასებიანი მეზღვაურები.

ტატო, უბრალოდ, გემის მფლობელი იყო და გემბანზე გაშლილ ჭრელ შეზღონგზე წამოწოლილ ზღვის ხმაურთან ერთად მუდამ თოლიების ჭყვილი ესმოდა. თმა-წვერს ისევ სამხრეთის თბილი ქარი უწენავდა, კუნძულებზე კი კიდევ უფრო სამაგალითო მშვიდობა და წესრიგი სუფევდა. სადღაც კვლავაც ფეხბურთის მატჩის დანყების მოლოდინში გუგუნებდა სტადიონი. ყველაფერი რიგზე იყო. ქალი ისევ ქალს ჰგავდა და კაცი — აუცილებლად კაცს.

ირაკლიმ სწრაფად გადაიცვა, სახეზე წყალი შეისხა და გარეთ გასულმა თავისი სტაფილოსფერი მანქანის მოქოქვა სცადა.

მანქანამ ერთი დაიხრიალა და ავად დადუმდა.

— აკუმლატორი! — ამოაღრჭიალა კბილებიდან ირაკლიმ, მანქანიდან გადმოვიდა და მანქანას თავადვე მიანვა.

მანქანა ნელ-ნელა წაგორდა.

„აკუმლატორები ჯდებიან თუ სხდებიან?“ — გაიფიქრა ირაკლიმ და გაგორებულ მანქანაში სწრაფად შეხტა.

*გაგრძელება იქნება*







# იუხუცი ქეხოორის ზოაკაიხი

1.

— ეს წიგნი ჩვენი არ უნდა იყოს... — უთხრა დედამ.

— არც არის, — მაშამ წიგნი თავის ოთახში გაიტანა.

სხვისი წიგნი უკვე კარგა ხანია სახლში ჰქონდა და გულახდილად რომ ვთქვათ, სულაც არ სურდა მისი დაბრუნება.

- ჩაი არ გინდა? — ჰკითხა დედამ.
- მინდა.
- მაშინ, ჩაიდან დადგი, — მიუგო დედამ.

8 წლის შემდეგ.

- ვინმე როდისმე აალაგებს ამ წიგნებს?!
- ავალაგებ, ავალაგებ...

ოქტომბერია უკვე. ზაფხული კარგა ხანია გავიდა. შაბათი დღე დალაგებითაა გაფუჭებული. აბაზანის კარის ხმა ისმის, წყალია მოშვებული. დედის გული რომ მოეგო, ჭურჭლის რეცხვა დაიწყო, მერე იატაკიც მორეცხა, მტვერი გადაწმინდა, ყველაფერი ზედმეტი წამოკრიფა ყველგან, სადაც ეს ზედმეტი არ უნდა ყოფილიყო.

დედის თვალეში ფოლადი გაქრა, ხმაში ლითონი მაინც დარჩა. მაშამ ცოცხი აიღო და თავი თავის ოთახს შეაფარა... ღმერთო, რა საშინელება! თავს რომ მორეოდა, სიძულვილით შეავლო თვალი ოთახს. ტანსაცმელი კარადაში, ქაღალდები — მაგიდის უჯრებში, ჩემოდნები — თითქოს აქ არ არიან, საძილე ტომარა? სად ჯანდაბაში წავიღო?!

2.

რომელია მაინც? ამდენ ხალხში!

შავი თმა და შავი ტყავის პალტო მუხლებამდე. შესასვლელთან უამრავი ქალი იდგა, რამდენიმე პოლიციელი და სამი მაღალი მამაკაცი ტყავის ქურთუკებში. აი! სამიდან მხოლოდ ორია შავ ტყავში და ორიც შავთმინი. რა ვქნა? სახელი დავეუძახო და დაველოდო რომელი მოიხედავს? სისულელეა...

მაშამ ნომერი აკრიფა.

— ბოდიში, ვაგვიანებ, — ტელეფონში რალაც შიშინებდა.

— სადა ხარ?

— აქვე, — ტყუილი, აქვე კი არა მის ზურგს უკან იდგა, რამდენიმე ნაბიჯით უკან...

ხელების ქნევით მოდიოდა და მიყვებოდა რას ხედავდა, რა ხდებოდა მის თვალწინ, უფრო სწორად, ორივეს თვალწინ... ეს ყველაფერი წვრილმანია.



მარიკა ექსტრემი

მართლაც შავი თმა აქვს და მუხლებამდე შავ ტყავშია. რას ავიჩემე ეს ტყავი. მობრუნდი! გაჩერდა, წამით გვერდზე გაიხედა... ზუსტად მისკენ, მაგრამ ვერ დაინახა. „რას ვაკეთებ? დედა! ღმერთო! ხალხნო!“

- მალე მოხვალ?
- ერთ წუთში მანდ ვიქნები.

რა ლურჯი თვალეები აქვს... მე ხომ არ მიყვარს ცისფერი თვალეები. არ მიყვარს. ცისფერი არ მიყვარს, ლურჯი კი მომწონს.

3.

რა კარგი იყო ასე, საწოლზე ფეხებმოკეცილი ჯდომა. ახლოს, მასთან ძალიან ახლოს, როცა იცი, რომ ნებისმიერ წუთში შეგიძლია მისი ხელების სითბო იგრძნო. მართალია, ის ამწუთას ოთახში დადიოდა და რალაც წიგნს ფურცლავდა... იმის მაგიერ, რომ მისთვის ეცქირა თავისი აუტანელი, საშინლად ლურჯი თვალეებით.

— ეს ის მსახიობია? — თითი დაადო წიგნის გარეკანს.

— ჰო.

— არ წამიკითხავს, — გვერდით ჩამოჯდა და წიგნი მიანოდა, — წამიკითხე.

— ახლა?

— ჰო.

— წიგნი მართლაც კარგია...

— ჰოდა, წამიკითხე.

— დამცინი?

— წამიკითხე, წამიკითხე. მე მოგისმენ.

— რა წამიკითხო?... — იპოვა მოთხრობა, — „მოხუცმა იუმორი დაკარგა...“ — და უცებ რალაც საოცარი დაემართა მის ფეხს. უნდოდა, იქით მიეხედა, მაგრამ ნება არ დართეს.

— იკითხე, გააგრძელე, — აღარ უნდოდა კითხვა... მისი ხელები... ღმერთო, ნუ გააჩერებ... რა კარგია.

შობის წინააღმდეგ.  
 — ვინმე როდისმე ალაგებს ამ წიგნებს?!  
 — ავალაგებს, ავალაგებს!  
 — ეს წიგნი, ბოლოს და ბოლოს, დაუბრუნე თავის პატრონს!  
 — გაძლებს როგორმე მაგ წიგნის პატრონი უმაგისოდ.

- 31 დეკემბერი.
- ეს რა არის?
- მოთხრობა.
- შენია? ახალია? კარგია?
- ჩემია. ახალია. ყველაზე კარგია.
- წასაკითხად მომცემ?
- არ მოგცემ.

4.

— შენ? შენ მოგწონს იურული პერიოდის ზღაპრები?  
 — წავიკითხოთ?

# შობა

დღეს შობადღეა,  
 20 წლის ვარ,  
 ვუყვარვარ,  
 ახლობლები ჯანმრთელად არიან,  
 ჩემთან არიან.  
 ბუხარში ცეცხლი ანთია,  
 ოთახში ცხელა,  
 ჭიქების წკრიალი ისმის.  
 ეს-ესაა მეგობრებმა დამირეკეს.  
 ქვეყნის საჩუქრები მივიღე.  
 ბევრი ვიციინეთ.  
 გარეთ თოვს,  
 ყველაფერი თეთრია ფანჯრიდან,  
 ქუჩაში არავინაა.  
 გარეთ გავედით და ვიგუნდავეთ,  
 ბუხართან გავშრით,  
 კარტი ვითამაშეთ,  
 ვიმხიარულეთ,  
 ყველა გავაცილეთ.  
 მაკოცა და მითხრა, რომ უყვარვარ,  
 ვაკოცე და ვუთხარი, რომ მიყვარს.  
 დღეს შობაა, მე 20 წლის ვარ,  
 მე 21 წლის ვარ, 22-ის ვარ,  
 23-ის...

# ქარი ფინჯანში

— ყავას დალევ? — ყავა ჩაყარა ძველებურ მოღრეცილ ყავის სადულარში, თურქაში. კოვზმა გაინკრიალა. ბიჭმა ფანჯარაში გაიხედა, სიგარეტისაკენ წაიღო ხელი. დეიდამ ფინჯანი დაუდგა წინ.

— ჩაიხედავ? — ქალმა ხელი აუქნია, ქამარი შემოიჭირა აბრეშუმის კიმონოზე და მაგიდას მიუჯდა მეორე მხრიდან. სანთებელა გააჩხაკუნა, ვანილის სურნელი დატრიალდა. გოგას არ უყვარდა სიგარეტები არომატიტ, მაგრამ დეიდამის ვანილი უხდებოდა. ყავა მოსვა, ვინ იცის, მერამდენედ განაცვიფრა ყავის გემომ. საქმე სულაც არ იყო ყავის მოდულების რეცეპტში, სინამდვილეში არანაირ ყურადღებას არ აქცევდა რეცეპტს: იყიდე ყავა, დაფქვი, მოხარშე და დალიე, მაგრამ გემო!.. გოგამ მუდარით შეხედა

დეიდას. მან კი ტუჩებით გაიღიმა, ირონიულად, და დისშვილის ფინჯანი აიღო, ნალექი ლამბაქზე გადმოლვარა და ფინჯანი დააპირქვავა.

— ააა...  
 — გეყვარა, შენთვის მაინც სულერთია, რა ყავას სვამ.  
 საცხე საფერფლე აიღო და სუფთა დადგა მაგიდაზე. გოგა ვერ იტანდა სუფთა საფერფლეებსა და თეფშებს. აბოლებული სიგარეტი საფერფლეზე ჩამოდო და სკამის ზურგზე გადაწვა.

დეიდა სამზარეულოში დაბრუნდა გასასვლელად მომზადებული, დავარცხნილი-მოწესრიგებული.

— საით?  
 — საქმეზე, — თავისთვის დაისხა ნახევარი ფინჯანი ყავა და ნაყენით შეავსო. გოგამაც გადახედა ბოთლს, მაგრამ კრინტიც არ დაუძრავს. მაინც არაფერი გამოუვიდოდა. დეიდამ საათს შეხედა და ჩამოჯდა.  
 — მომეცი შენი ფინჯანი, — გოგამ მიანოდა და სიგარეტი აიღო. დეიდამ თვალი შეავლო ფინჯანს, კარტებს გადასწვდა, უკმაყოფილო იერით სათვალე გაიკეთა, შუბლი შეიჭმუნა, კარტები ორ რიგად გაამწკრივა.



— საქმეს მიხედე, — ისევ აურიო კარტები.  
 — ეგ ფინჯანში დაინახე?  
 — დიახ, — ისევ გაშალა კარტები სამ რიგად, ოთხ-ოთხი თითო რიგში.  
 — რა საქმე, არ ჩანს?  
 — მოგცხებ კისერში და თვითონ დაინახავ, — გააფრთხილა დეიდა და კარტები გადააწყო რიგიდან რიგში. გოგა მოჯადოებულ იყო ადევნებდა თვალს მისი ხელის მოძრაობას. კარტები უხმაუროდ, თანაბრად ეწყობოდა. საჭირო კარტები იქ რჩებოდა, სადაც საჭირო იყო, არა — საჭირო გვერდზე გადაეწყო.  
 — ვერაფერს გეტყვი, — დეიდამ ფინჯანი ონკანის ქვეშ წყლის ნაკადს შეუშვირა.  
 — ცუდია რამე?  
 — არ მითქვამს, ცუდი-მეთქი. უბრალოდ, ვერაფერი მნიშვნელოვანი ვერ დავინახე, მხოლოდ...  
 — ფინჯანი კარადაში შედგა, — მაგვიანდება, გამიყვან?  
 — აბა რას ვიზამ?!

შუქნიშანი, როგორც იქნა, აინთო და მანქანა ადგილიდან დაიძრა.

— მაინც არ მითხარი, რა დაინახე ისეთი.

— არ გითხარი? — დეიდა მუხლებზე ხელებდაწყობილი იჯდა.

— არაფერი მნიშვნელოვანი, მხოლოდო, და მეტი არაფერი გითქვამს. რა მხოლოდ?

— რა მნიშვნელობა აქვს შენთვის? მაინც არ გჯერა ამ „სისულელების“.

— ვინ მოგახსენა! მჯერა, თუ სიმართლეს მეუბნებიან.

— ან გჯერა, ან არა, რა შუაშია „თუ“?

— მჯერა, მჯერა. თქვი, რა დაინახე.

— ქალი.

— მეც არა ვთქვი?! — გოგამ მარცხენა ხელი ფანჯარაში გაყო და ვინრო ქუჩაზე გადაუხვია.

მანქანა ერთსართულიანი აგურის შენობის წინ გაჩერდა. დეიდა არ განძრეულა, იჯდა.

— მე დავინახე ქალი.

— რა იყო იმ ქალში ისეთი, თქმა რომ არ გინდოდა? — გოგა დეიდამისს მიაჩერდა. დეიდა ჩანთაში სიგარეტს ეძებდა.

— არ ვიცი. რაღაც ვიგრძენი, როცა დავინახე.

— ცუდი?

— არა, ცუდი არა, — დეიდა აშკარად სიტყვას ეძებდა და ვერ შეერჩია.

— ვინმე მოკვდება?

— ენა! სიკვდილი რომ დამენახა, ასეც ვიტყვოდი. მომეჩვენა... მოკლედ, ეს არ იყო ცოცხალი ქალი.

— ჩემს ფინჯანში რა უნდოდა?

— არ ვიცი. ერთი ამბავი გამახსენდა, ერთ გოგონაზე, რომელსაც მამაკაცი შეუყვარდა ფოტოგრაფიიდან.

— მერე როგორ დამთავრდა ეს ამბავი?

— მას თურმე შეჰყვარებია მამაკაცის პორტრეტი, რომელიც 300 წლის წინ მოკვდა.

— რა პორტრეტი?

— იპოლიტო რიმინალდის პორტრეტი, ტიციანის...

— ეს ქალი რა შუაშია?

— არ ვიცი, უბრალოდ გამახსენა.

— მითხარი მაინც, როგორი იყო. იქნებ, მიცვალებული ვიცნო ვინმეს პანაშვიდზე.

— შენ თუ არ იმამუნე, მოკვდები... შეგიძლია, გამოსულელებულ დედაკაცად ჩამთვალო, მაგრამ ეს იყო ახალგაზრდა ქალი, სწორი თმით, კარგი ვარცხნილობით. ფერმკრთალი სახე ჰქონდა, თითქოს ცივი. ლამაზი თვალები, პატარა ცხვირი და ლამაზი ტუჩები.

— ეს ყველაფერი ჩემს ფინჯანში დაინახე?

— გოგამ მანქანის სალონის ჭერს ახედა. ლაქა ეგულეობდა იქ, რომელიც მეზობლის გაქუცულ ძალს აგონებდა.

— კარგი, მე ნავედი. სალამოს მოხვალ?

— მოვალ, — დეიდა მანქანიდან გადავიდა.

თვალი გაახილა და მაშინვე დახუჭა. თავი უსკდებოდა, პირში საძაგელ სიმშრალეს გრძნობდა. თვალდახუჭული ადგა და შიშველი საბაზა-ნოში შევიდა.

— სად მიდიხარ? — მოესმა ნამძინარევი ხმა, კარს როცა კეტავდა.

თავში თითქოს გაუნათდა. სწრაფად გაიპარსა, კბილები გაიხეხა და ჩაიცვა. ჩაიდანნი უკვე იფურთხებოდა. ქურა გამოთიშა, ჩაი დაისხა. ჩაის პაკეტი არ იძირებოდა.

— სადღაც მიდიხარ და მტოვებ მარტო ამ უთენია, — ნელიმ კისერზე შემოხვია ხელები და

ყურის ძირში აკოცა. სადღაც ნაუკითხავს, აქ ეროგენული ზონა უნდა იყოსო და თვლიდა, რომ გოგას მოსწონდა, როცა აქ კოცნიდა. გოგაც არ ცდილობდა მასთან ამაზე მსჯელობას. უაზრობა იყო. განსაცვიფრებელი სხეული, ლამაზი სახე და... აბსოლუტური სიცარიელე თავში.

— ნავედი. სალამოს გნახავ, — კეფაზე აკოცა.

— სალამოს მე არ შემიძლია, — ნელი ნამოჯდა, ფეხი ფეხზე შემოიდო. გოგამ ხელი გადაუსვა, მოეფერა მუხლზე. ღვთაებრივი შეგრძნება იყო.

— სალამოს ჩვენება მაქვს.

— როდის გათავისუფლდები?

— არ ვიცი, ალბათ, გვიან, — სიგარეტი ჩააქრო. ბოლი ოთახს მოედო და მერე ფანჯრისკენ გაიწელა.

— კარგი, თუ შეგაგვიანდება, დამირეკე.

ქალმა თავი დაუქნია, მკერდზე ხალათი შემოიკრა.

ქუჩაში გასაღები დაუფარდა. დაიხარა ასადე-ბად. ზემოდან ფურცელი ჩამოვარდა.

— გუშინ დაგირეკეს, დამავინწყდა, — გოგამ გასაღები და ქალაღი ნამოკრიფა.

ნელი წელამდე გამოჩნდა ფანჯარაში.

— რამე საჩქაროა?

— დიმა გეძებდა, მერე ეს დაგიტოვა, აუცილებლად გადაეციო.

გოგამ თითი კლავიშს დააჭირა. კომპიუტერმა წრივნიით უპასუხა. ნამოდგა, მუხლმა გაიტკაცუნა, შეიჭმუნა და კოჭლობით ნავიდა კარისაკენ.

— სულ ეს იყო?

გოგონებმა ერთდროულად დაუქნიეს თავი, არც ერთს ეკრანისთვის თვალი არ მოუწყვეტია.

— მაშინ ნავედი, — თავები ისევ ერთდროულად შეარხიეს და გოგა ნავიდა.

ლიფტში ხელით მოსინჯა პიჯაკის შიდა ჯიბე. ამოიღო და გაშალა ფურცელი. მასზე ტვიფრული შრიფტით მოსანვევი იყო დაბეჭდილი გამოფენაზე. ახლახან დამთავრებული არ-ქელოგიური ექსპედიციის მონაპოვარი ძველ დედაქალაქში. მოსანვევის მეორე მხარეზე დი-მას ხელით გვერდულად იყო მიჯღაბნილი: „რვაზე გელოდები! მერე იქნება ყველაზე საინტერესო. არ დაგავინწყდეს!“ ყველაზე საინტერესო კი... სამხატვრო აკადემიის სტუდენტი გოგონები იყვნენ, სიმპათიურები და უკომპლექსოები, რა თქმა უნდა. გოგამ საათს დახედა და მანქანისკენ გაეშურა. ტანისამოსის გამოცვლა უნდა მოესწრო.

გალერეაში უამრავი ხალხი იყო. ინტელექტუალური საუბარი. დიმას მოჰკრა თვალი. როგორც ყოველთვის, ის ყველგან იყო, ყველგან ასწრებდა. ხელი შორიდან დაუქნია. გოგამ დარბაზი მოიარა. ვიდაცამ მხარზე ხელი მოუტყაპუნა, ხელი ჩამოართვა და ნავიდა.

ბოლოს მარტო „შინაურები“ შემორჩნენ. მთავარი შესასვლელი ჩაკეტეს. დიმა მიუახლოვდა და მხრებზე მოეხვია.

— როგორია? მაგარია, არა? — დიმამ ხელე-ბი ფართოდ გაშალა, — ხედავ, რა წარმატება! ორ კვირაში საფრანგეთში მიგვაქვს. ჯერ ყველაფერი არ მიჩვენებია. დანარჩენი საცავშია. საშვს გაგიხერხებ. იქ ისეთი რამეებია, გაგიჟდები.

დიმას ვილაცამ დაუძახა. მან გოგას ხელი მკლავზე მოუჭირა, — აქ დამელოდე, ერთ ნუთში მოვალ და საქეიფოდ წავალთ, ჩვენი ექსპედიცი-



ის წარმატება ხომ უნდა აღვნიშნოთ. ისეთი გოგოები იქნებიან...

— ...გავგიჟდები, — დაასრულა გოგამ მისი ფრაზა და გაცინა.

დიმამ თავი მკაცრად გადააქნია.

— უფროსებს სიტყვას აწყვეტინებ?! — და გაიქცა. შორიდან მიაძახა, — ჭურჭელი ნახე!

გოგა ნელი ნაბიჯით დადიოდა დარბაზში. მარცხნივ და მარჯვნივ სტელაჟებზე გამოფენილი იყო ოქროსა და ვერცხლის ნივთები, სანათურები და სახლის უამრავი მოსართავი. ბოლოში, შემალღებულზე, მინის კვადრატი იდგა, ლურჯი ხავერდით ამოფენილი შიგნიდან. ყველა მხრიდან განათებული კვადრატი ნელა ბრუნავდა. გოგა ახლოს მივიდა. ხავერდის ბალიშზე ორი ფინჯანი იდო. ეს იყო ექსპედიციის სენსაცია. ორი ფაიფურის ფინჯანი ჩინეთიდან. არავინ უწყის, როგორ და როდის მოხვედრილი ქართლის დიდებულის სახლში, რომლის ფერფლი, ალბათ, ორი ათას რვაასი წლის წინ გაქრა. დანარჩენი ექსპონატები ადგილობრივი ოსტატების ნახელავი იყო, უკლებლივ. გოგა კიდევ უფრო ახლოს მივიდა. ეს იყო ორი სრულიად ერთნაირი ფინჯანი. ერთი გვერდზე იყო წამოქცეული. ღვინისფერი ორნამენტი და ნახატზე — მავლებთან ერთმანეთს მიტყუებულები, გადაშლილი ხელის მტევნები, ქალის ხელისგულები. კვადრატი შემობრუნდა, დიდი შუქი გამოირთო, კვადრატი გაჩერდა.

— მაგარია, არა? — დიმამ მხარზე ხელი დაჰკრა. გოგამ მოიხედა, დიმა კმაყოფილი ილიმბოდა.

გოგა ხავერდის ბალიშს დასცქეროდა. გვერდზე წამოყრავებული ფინჯანის ფსკერზე ნახატს ვერ აშორებდა თვალს:

უკან ავარცხნილი სწორი თმა... ლამაზი თვალეები... პატარა ცხვირი... ლამაზი ტუჩები... ფერმკრთალი სახე...

# სუნი წახსურციან

სოფიომ კედლის საათს შეხედა. მალე ბიჭიც მოვა, რამე უნდა მოუმზადოს. ადგა თუ არა, მკერდს ქვემოთ უსიამოვნო შეგრძნება გაუჩნდა. ეს შეგრძნებები პერიოდულად უმეორდებოდა, ერთი თვის ინტერვალით. „არა უშავს, მე ჯანმრთელი ქალი ვარ, გამივიღს“.

ტაფა აშიშხინდა, გამდნარი კარაქი ბუშტულეზად იქცა. „ხორცს შევუწვავ, როგორც მას უყვარს“. მექანიკური მოძრაობით სწრაფად დაჭრა კიტრი და პომიდორი, მწვანე ხახვი წვრილად დაკეპა და ყველაფერი მინის გამჭვირვალე თასში ერთმანეთში აურია. კიდევ რა? მეტი არაფერი. „მოვა სადაცაა, ვიდრე გადაიცვამს და ხელს გადაიბანს, წვნიანის გაცხელებასაც მოვასწრებ. ღმერთმა იცის, რას ჭამდა იმ თავის საფრანგეთში!“

სოფიო სკამის კიდევ ჩამოჯდა, თითქოს ყოველ წამს მზად იყო წამოსახტომად და სადღაც გასაქცევად. უცებ იგრძნო, რომ დაიღალა. ისე უცებ დაიღალა, ვერც კი მიხვდა, რისგან. დღე თითქოს შეუმჩნევლად გავიდა, არც ისე ბევრი რამ გააკეთა დღეს.

„წლები, ძვირფასო, წლები... სამოცდარვა წელი, ვირის ხურმა არ გეგონოთ! ესმოდეს ახლა ვინმეს ჩემი, იტყვიან, რა ენა ჰქონდაო ბებრუხანას. რატომ „ჰქონდაო“? ჯერ კიდევ არა მიშავს, ჯერ ისევ ჭორაობენ ჩემზე. მაინც ვინ ვიყავი ახალგაზრდობაში? თავგზააბნეული თუ დიდი მსახიობი ქალი? ვინ ვიყავი სინამდვილეში? მაინც რა იყო? რა და, იყო ბედნიერი ბავშვობა მზრუნველ მშობლებთან გატარებული. მერე — ახალგაზრდობა, ფლირტები. ზოგჯერ — ფლირტებზე მეტიც! ვის ვატყუებ, ფლირტები არც ისე უფნებელი იყო ყოველთვის. რატომ არ გავთხოვდი? აი, თუნდაც იმ ახალგაზრდა კარიერისტზე? კარგი მამაძალი ვინმე კი იყო... ამიტომაც არ გავყევი. ნერვები კი დამანყვიტა! არ ღირდა ამდენ ნერვიულობად. როგორ ვაწყენინე საწყალ მაქსს. მას კი ვუყვარდი. მე კი სულაც არ ვიყავი ისეთი ანგელოზი, როგორც მას ვერჩვენობდი. ჩემი აუტანელი ხასიათი... რატომ არ ვუთხარი ყველაფერი მაშინ... მაქსი უკვე აღარ არის. მეც მალე იქით გავუდგები გზას. იქ კი გავარკვევთ ყველაფერს. ფუი, ხეზე უნდა დავაკაკუნო, ჩემს სულელ ბიჭს ვის ვუტოვებ, ვინ დაენმარება, მე თუ არა, ცხოვრებაში. თითქმის ოცდაათის ხდება, მე კი ისევ პატარა მგონია. ღმერთო, რა მახინჯი იყო მაინც!“

კარზე ზარმა გამოაფხიზლა, კიდევ ზარი, ვილაცა უკვე მუშტს ურახუნებდა კარს.

— მოვდივარ, მოვდივარ! — კართან მივიდა, ჯაჭვი მოხსნა. კარი უკვე გაღებული იყო, — რომელი ხარ?

მისი ძმისშვილი შემოვიდა.

— რა მოხდა? ცუდადა ხარ? — ხელი სტაცა მკლავში და შუქისკენ შეატრიალა.

— მეტკინა, გამიშვი ხელი. რამ გაგაგიჟა?

მაჯაზე მოისვა ხელი. „რა ღონიერია ეს მამაძალი!“

— ათი წუთია, კარს ვერ ვაღებ. ჩაგირაზავს, ხმა არ ისმოდა არანაირი, რა უნდა მეფიქრა? შემეშინდა, მეგონა, ცუდად გახდი, — ქურთუკი გაიძრო.

მამიდამ წვნიანი დაუმატა. თავიც არ აუნწვია. „საწყალი, ეს გოგოები ბოლოს მოუღებენ“. თვითონაც ჩამოჯდა მაგიდასთან. „ვის ჰგავს ასეთი შავგვრემანი? დედაც და მამაც ღია ფერის იყვნენ, ღმერთმა აცხონოს ორივე. ეს კი შავტუხაა. ვინ იყო ჩვენს ოჯახში ასეთი? მაქსი. მაგრამ მაქსი არ იყო ჩვენი ოჯახის წევრი. მოუშვი ამაზე ფიქრს. ასი წელი გავიდა, არ ღირს ამაზე... ისე კი კარგი დრო იყო. ბავშვმა არ უნდა გაიგოს არაფერი. ჯერჯერობით მაინც. მერე... იქნებ მერე ვუთხრა. ახლა არ ღირს. მთელი ეს წლები არ გამხსენებია. რას უნდა ნიშნავდეს? ბოლო ხანებში ხშირად ვფიქრობ ყველაფერზე, სიკვდილის მოახლოებას თუ ნიშნავს? ისე! ფუი ეშმაკს!“

— ყავა გამიკეთე. დიდი ჭიქით, მაგარი ყავა. გაკვირვებით შეხედა მამიდას.

— ხსნადი? — ადგა ჩაიდნისკენ გაიწოდა ხელი.

— ხსნადით შეგიძლია ოყნა გაიკეთო.

სიგარეტი ამოიღო კოლოფიდან და მოუკიდა სანთებელათი. ბიჭმა ჩაიდანი ისევ ქურაზე დადგა. გამოიღო ქილა დაფქვილი ყავით და ყავის სადულარში ერთი სუფრის კოვზი ყავა ჩაყარა, წყალიც ჩაასხა და მამიდამის მიუბრუნდა, თან ლუკმას ლეჭავდა.

— რა იყო, რა მოგივიდა? — ქალმა ბოლი გამოუშვა, — რა?

— შენთვისაც გაიკეთე, თუ გინდა, — ბიჭმა თავი დაუქნია და ყავის სადულარი ჩართო, — მე

თვითონ დავასხამ. წადი, ჩემი ოთახიდან ბოთლი გამოიტანე, საწერ მაგიდაზე დგას.

სამზარეულოდან გამოვიდა, მიიხედ-მოიხედა. „რა სჭირს? ძალიან შეიცვალა, უცნაური გახდა. რამე ხომ არ მოხდა?“ მამიდამისის ოთახის კართან შეეყოვნა. რაც ჩამოვიდა, ამ ოთახში არ შეუხედავს. რამდენი წელია ამ ოთახში არ ყოფილა?! მისი სავანე! აქ ყველაფერი ისეთივე იყო, როგორც ახსოვდა. საწოლზე — კუბოკრული პლედი. ძველი კარადა ბროლის სარკით. ძველისძველი სანერი მაგიდა. არაფერი ზედმეტი. არანაირი მოსართავი. მხოლოდ უამრავი სუნამო სარკიან მაგიდაზე. მხოლოდ სუნამოები. მეტი არაფერი. საწოლს მიუბრუნდა. ერთხელ ეძინა ამ საწოლში მხოლოდ. ახსოვდა, რა მაგარი საწოლი იყო. რა კარგად ეძინა. ერთადერთი ღამე. ღამე, როცა დედა და მამა მოასვენეს. სახლში ბევრი ხალხი ირეოდა. ზოგი ტიროდა. მამიდა არ ტიროდა. ბევრს ეწეოდა. იმ ღამეს არ დანოლილა. ახსოვს, როგორ შეიყვანეს მის ოთახში და ლოგინში ჩააწვინეს.

დილით, როცა გაიღვიძა, ადგა და სასადილო ოთახში გამოვიდა. მამიდა ფანჯარასთან იჯდა, თავიც არ აუწევია.

— მშია, — ბიჭი მასთან მივიდა. ქალმა უსიტყვოდ შეხედა, ხელში აიყვანა, მაგიდასთან დასვა. წინ ბუტერბროდი და ფინჯანი დაუდგა კაკაოთი. თვითონ სიგარეტი აიღო, მაგრამ არ მოუკიდა.

— ჩქარა ჭამე, — სიგარეტი დასრისა და ხელში ჩაატყდა.

— რატომ, დღეს გაკვეთილები არა მაქვს. ქალი ადგა. ბიჭმა კაკაო მოსვა და მას გაჰყვა დერეფანში. დიდი ოთახი ჩაკეტილი იყო. ორივენი შეჩერდნენ. მამიდამ ჩაიტყუტა მის წინ. თვალები მოისრისა, ჩანთილებული ჰქონდა.

— რალაც უნდა გითხრა. უბედურება მოხდა, საშინელი უბედურება. ორივეს გვეხება, მეც და შენც. გუშინ დედა და მამა სახლში მოდიოდნენ მანქანით და... — მამიდამ მზერა სადღაც ზემოთ გადაიტანა.

— მოკვდნენ? — ქალმა თვალები დახუჭა. უხმოდ დაუქნია თავი.

— იქ არიან? — ბიჭი მშვიდად მიტრიალდა კარისაკენ, იცოდა, ერთი-ორ წუთში დაინახავდა მათ. ხელი გაუწოდა მამიდას:

— ერთად შევიდეთ...

— დაგეძინა? — შეკრთა. ბოთლს ხელი სტაცა და ოთახიდან გამოვიდა. სოფიო ისევ მაგიდასთან იჯდა და ყავას სვამდა. ბიჭმა ბოთლი ხმაურით დადგა მაგიდაზე და ორი პატარა სირჩა გამოიღო კარადიდან.

— ეს ღვინოა, ბოკლები გამოიღე, — მეორე კარი გამოაღო და ორი ბოკალი გამოიღო.

— რალაცის თქმას თუ აპირებ, ბარემ თქვი, ნუ წვალობ.

— არაფერი მაქვს სათქმელი, — სოფიომ ღვინო დაისხა და მაშინვე გამოცალა. ბიჭი დაჯდა.

— არაფერი მაქვს სათქმელი, — გაიმეორა ქალმა და ისევ დაისხა ღვინო, — მერე, იქნებ მერე, როცა მოკვდები, — მერე უცებ წამოდგა და გავიდა. ბიჭმა მაგიდას მუშტი დაჰკრა, ბოთლი ნაიქცა. გაუჩრევლად იჯდა, ხელები მაგიდაზე ეწყო. ღვინო თითებშუა ეღვრებოდა და წვეთ-წვეთ ეცემოდა იატაკზე. უცებ ბოთლი თითქოს გალღვა, ვერაფერს ხედავდა. თვალი დაახამხამა და ხელებზე ცხელი წვეთი დაეცა.

საიდანღაც... კაკაოს სუნი დატრიალდა.

# ფიცის გამტეხი

დგება ისეთი წუთები, როცა ადამიანი საკუთარი აზრის დაჭერას ვერ ახერხებს, ვერ წვდება. ცდილობ, მოგვიანებით მაინც დაიჭიროს აზრი, რაზე ფიქრობდა შენი ტვინი, როცა თვითონ სადღაც შორს ცხოვრობდი მისგან ცალკე ცხოვრებით.

მერე, თითქოს საბანი გადაიძრეო, ხელს ჰკრავ გონებას და ისე იქცევი, თითქოს დღეს უქმად არ ჩაველოს.

იმ საღამოსაც ყველაფერი ისე იყო, როგორც ყოველთვის.

შელამებულზე, როგორც ყოველთვის, მარადიულზე ფიქრი ეძალეობდა — მარადიულზე. ასეთ წუთებში, ყველაფერს სჯობია, გაიქცე, დაიძინო, რაც შეიძლება სწრაფად. არაფერმა, არანაირმა ჩქამმა რომ არ შეგიშალოს ხელი, არ გამოგაფხიზლოს. ასეთი გამოსავლისათვის კომპარსაც აიტანს კაცი. კომპარი, ინგლისურად — night-mare, ღამის ულაცია... მახსოვს, ერთხელ მამაჩემმა მიჩრჩია, არქეოლინგვისტიკისათვის მომეკიდა ხელი. მაინტერესებდა კიდეც, ოდესღაც.

აქ რა ხდება...

— გმადლობთ.

ესეც ასე. სახლისკენ. ჩემი ქალიშვილის ცრემლები დილით. როგორ განანწყენდა. ჩემი გოგო კი არა, ცოლი. შვილის გამო კი არა, ჩემ გამო.

თურმე ჩემი ახალგაზრდობის შემდეგ ძალიან პოპულარული გახდა რთული, ძნელად წარმოსათქმელი ტერმინები. შვილმა კი მხოლოდ დახმარება მთხოვა საშინაო დავალების დაწერაში. მეც დავუწერე. აი ამ ჩემი სიყვარულით უბრალოებისადმი გავიფუჭე ჩემი სამეცნიერო კარიერა. გეგონება, მეცნიერ მუშაკებს სტრუქტურების მიხედვით უხდიან...

— შეჭამ რამეს?

— კი.

— მოხდა რამე?

— არაფერი, რატომ მეკითხები?

— ისე.

ვინ თქვა, რომ გრძნობა ქორწინების მერე, წლების განმავლობაში ჩლუნგდება? სისულელეა.

— ლიზა სკოლაშია?

— არა, მეგობართანაა.

— რვა საათია უკვე...

— საკონტროლოსთვის ემზადებიან.

— რატომ მიყურებ ასე?

— მე?

— ჰო, შენ.

— უნდა წამოწვე და დაისვენო.

— მოგვიანებით.

— ჩაი გინდა?

— შენც დალევე?

— კი.

— კი.

ლიზა გვიან მოვა.

— სალაპარაკო მაქვს.

— თქვი.

— მოკლედ, ასეა საქმე.

საინტერესოა, სხვები როგორ აკეთებენ ამას? უნდა მეკითხა... ვისთვის?

— ახლა, რა იქნება?

— მე...

ისტერია არასოდეს მოუწყვია, მაშინაც კი, როცა ეს ერთადერთი გამოსავალი იყო.

თავიც რა ვაუკაცურად უჭირავს. ბევრი ქალი ვერ შეძლებდა ამას, იმის მერე, რაც უთხრეს, რომ მალე დაქვრივდება. უნდა დაქვრივდეს? ეს აზრი ბოლოს მომიღებს...

რა სისულელეები მომდის თავში, ღმერთო...

— ღიზა მოვიდა.

— არ უთხრა არაფერი.

რა კარგია, რომ ხვალ შაბათია. სამსახურში არ ვარ წასასვლელი. ღიზა შეიძლება ბებიებთან გავუშვათ.

— გძინავს?

— არა.

— რატომ?

— ვფიქრობ.

— რაზე?

— ყველაფერზე ერთად.

— არ გინდა, სიხარულო, ყველაფერზე.

— რა ვქნათ? კიდევ ერთხელ უნდა ჩაიტარო გამოკვლევა.

— კარგი.

— თანახმა ხარ?

— რა თქმა უნდა, არ დავნებდები, ყველაფერს გავაკეთებთ, რაც საჭიროა ასეთ შემთხვევაში... გვირგვინებსაც შევუკვეთავთ...

— ახლავე შეწყვიტე.

— მაპატიე, სისულელე ვთქვი.

სასაცილოა, არა? მეტი რა დამრჩენია, ვხუმრობ მოახლოებულ სიკვდილზე.

სიკვდილი კი ძალიან ახლოა. ჩემი საყვარელი ქალი კი ვერ ხვდება, რომ ეს დიაგნოზი ერთი ექიმის დასმული არ არის მხოლოდ. კარგი, ვნახოთ, რა იქნება. დროზე ადრე ვინ მომკვდარა... ისე კი, მართლა სულელური ხუმრობა გამომივიდა.

— ვინ იყო?

— დედამ დარეკა.

— რაო?

— ღიზამ, აქ დავრჩები სამშაბათამდეო.

— მერე?

— შენ დართე ნება.

— დავრთე?

ყოჩაღ მე!

— ვიყოთ ცოტა ხანს მარტო. ორივეს აზრზე მოსვლა გვჭირდება.

— ახლავე მოგიყვან აზრზე.

— გაგიჟდი?! შენთვის ეს შეიძლება მავნე იყოს!

— ვითომ რატომაო? იქ მე სიმსივნე არა მაქვს...

— ისევ დაიწყე?

— დავიწყე, მაგრამ მალე მოვრჩები.

საყვარელო, საყვარელო... საოცრად საყვარელო.

— გიყვარვარ?

— ძალიან

— კარგია.

— შენ?

— კი.

— რა, კი?

— კი-მეთქი, მიყვარხარ.

— ასე რატომ გაღიზიანდი?

— მომხედე ერთი აქეთ!

— კარგი, კარგი...

ქალი ვერ ხედავდა, როგორ გაეღიმა კაცს. რატომ არის ასე მნიშვნელოვანი გესმოდეს, რომ უყვარხარ? თუმცა ვის ვატყუებ, სანამ მისგან არ მოისმინა, რომ უყვარდა, სიცოცხლე არ უნდოდა... მერე კი... დღემდე სიცოცხლე მინდა. ღმერთო, როგორ მინდა სიცოცხლე, არ მინდა სიკვდილი.

— ცუნცულ, მატკინე... თმა.

— მაპატიე.

ცოლის თმა გაასწორა, გამოათავისუფლა, მიეფერა. სძინავს. არა, არ სძინავს, წამწამები უთრთის. ესლა აკლდა.

— რა გატირებს?

— ...

— გეკითხები, რა გატირებს?

— ცუნცულ, რა იქნება?

— ნუ ფიქრობ, მოგვარდება ყველაფერი.

— შენ არ გეშინია?

— რისი უნდა მეშინოდეს? მე კარგად ვარ. უბრალოდ, ძალიან მოულოდნელი იყო.

— ხელს ნუ იკვრევინები.

ღმერთო, როგორ მიყვარხარ, როგორ მიყვარს შენი ღიმილი.

— მომეხვიე.

— უყურე ამას, წევს მოზრდილ კაცთან ტიტლიკანა და მოთხოვნებსაც მიყენებს!

— გახსოვს, რას დამპირდი?

— რაო, რას დაგპირდი?

— ისე, ოქროს მთებს, თუ გახსოვს, მაგრამ მე შენს ძმაზე გელაპარაკები ახლა.

— ჰოო... დავურეკავ. დილით გამახსენე მხოლოდ. ახლა კი დაიძინე.


ოდესღაც, დიდი ხნის წინ, იმ ცხოვრებაში, რომელშიც სიცოცხლე არ იყო, მე შევხვდი მას.

— იცი, რაზე ვფიქრობ?

— რაზე?

რაზე უნდა ფიქრობდეს ეს ჩურჩუტი გოგო?

— დავშორდებით ერთმანეთს (გეგონოს!)... ორივე ჩვენ-ჩვენი გზით ვივლით. შენ გეყოლება ოჯახი, ცოლი, შვილები. მეც გავთხოვდები. გავა წლები, წლები და ჩვენ ორივე მივხვდებით, რომ არ უნდა დავშორებოდით ერთმანეთს (რას ჩურჩუტობს?). მივხვდებით, რომ ცუდად ვიცხოვრეთ უერთმანეთოდ





და რომ ნებისმიერი, ვინც არ არის შენ ან მე, უცხოა. გესმის?

— ...

— ვიცი, არ გესმის. მოვა დრო და გაიგებ, მაგრამ მაშინ გვიან იქნება. მოდი, ნურასოდეს ნუ დავშორდებით ერთმანეთს. აი, ახლა, ამ ნუთიდან, ნუ დავშორდებით ერთმანეთს.

ოდესღაც, დიდი ხნის წინ, იმ ცხოვრებაში, რომელშიც არ იყო სიცოცხლე, მე შევხვდი არსებას, რომელიც არავის არ ჰგავდა. არსებას, რომელსაც ვჭირდებოდი მე. მხოლოდ მე. სხვა არავინ!

მაპატიე, ძვირფასო, მე სულ მალე დავარღვევ ჩემს ყველაზე მნიშვნელოვან დაპირებას.






„დიდხანს, დიდხანს ფიქრობდა გამორჩეულობისა და თავისთავადობის ახალგაზრდულად მონადინე: თუ ღმერთი ინებებს და ჩემი დღევანდელი ყოფის გადამკიდე ოდესმე რამენაირად რომანის დანერას მოვახერხებ, უეჭველად ასე დავიწყებ და შიგაც ალაგალაგ, აი, ეგეთ ჩემეულ რალაც-რალაცებს გამოვურევო.“

ჰო, ჩემეულსაო, ეგრე ფიქრობდა. და რადგან ეს წინათ იყო, წლების წინ, ჭაბუკობის ასაკში, ამიტომ ჯერ კიდევ გულუბრყვილოდ სჯეროდა, რომ მწერლობაში ასეთი რამერუმეებით ბურჭალ-თამაში საკუთარი თავის დამკვიდრების აუცილებელ პირობას წარმოადგენდა.

თუმცა, ჰაი-ჰაი, რომ ის დრო სჯობდა — იმედოვნებდა მაინც...

იმედოვნებდაო... ეჰ, გაჩერდი, თუ ძმა ხარ, რომანი კი არა, დედასთან წერილის მიწერას ვერ ახერხებდა, აბა, ეგ რა რომანის დამწერი იყო!“

თამაზ ხმალაძე, რომანიდან „დროის მკვლელები“



თამაზ ხმალაძე

# სამი კაცი დუქანს არი

## ციკლიდან „ღვთა ძარავანი“

ბოლო ხანებში ერთი უცნაური ზნე დასჩემდა ქუხილას — დუქანში დროსტარება შეუწყარდა. სხვაგან რამდენიც უნდა იპურმარილოს, ის დუქნის მაგივრობას ვერ უწევს. რა ქნას, არ ებრება და რალაცა ძალა მაინც სილნალისაკენ, ზურიევის სარდაფისაკენ მიაქანებს. თავიდან მეგობრებმა მხარი ვერ აუბეს: რა უნდაო, კაცო, ახლა ეს რა აიხირა და ამოიჩემა, სულ მაგის ხუშტურებზე როდემდე უნდა ვიაროთო, — დურდურებდნენ ნიკაცა და ლუკაც, — თვითონ თუ გამოსალოცია, ჩვენგან რა უნდა, ჩვენ რალას დაგვათრევს ზევი-თა და ქვევითო, მაგრამ მალე ისინიც მიეჩვივნენ — ეს იმისთანა საქმე იყო, არ შეიძლება იოლად არ მიჩვეულიყვნენ.

ჰოდა, ყოველ კვირას თუ არა, ორ კვირაში ერთხელ მაინც თავისი თავის მაგინებელი ქუხილა ძმაკაცებთან ერთად სიბნელეში მთვრალი შემოუყვება ხოლმე ზედაშიანის აღმართს: შე მუდრეგოო, — იტუქსავს თავს, — ვითომ არ იცოდე, ვისთანა გაქვს საქმე. რაო, რას ელოდი, ან ერთი და ან მეორე მაინცადამაინც დღეს გამოიცვლებოდაო? ფუუუჰ... ანდა ის არ იცოდე, რა „ზისტოქსიტი“ დაგელოდებოდა გარეთ და ფეხით არ მოგიწევდა ამხელა აღმართის ამოთრაქვაო. მეორე დღესაც უგუნებობა აწყვება ხოლმე, ნიკასა და ლუკასაკენ გახედვაც აღარ უნდა, მაგრამ გაივლის რამდენიმე დღე და ისევ დუქნისაკენ მიუწევს გული, ისევ იქ ქეიფი ენია-ზება.

თავის დროზე სილნალი, სხვა ბევრ რამესთან ერთად, სანაქებო დუქნების სიმრავლითაც იყო განთქმული. იქაურების მეხსიერება ერეკლეს ხან-

ამდე სწვდება და ირწმუნებიან: იმდროიდანვე აქ კაი პური იჭებოდაო. აბა ფეხითა და აბა ცხენით, აბა ფაიტვებითა და აბა „პრალიოტკებიტ“, ეტლები გინდა თუ „ლინიეკები“ — მოდიოდა დიდ-პატარა, თავადი და აზნაური, გლეხი და ხელოსანი, იყო ერთი გნისი და აურზაური.

ნეტავი იმ დროს სილნალისათვის!.. მერე თანდათან, როგორც სხვა ყველაფერი, დუქნებიც ერთიმეორის მიყოლებით დაცოტავდა, გაიშვიათდა, გაქრა.

ამათ მაგივრად სულ ახალთახალი, ცემენტისე-პოლეტებიანი შენობები გაჩნდა — სასადილოები, ფანჩატურები, რესტორნები — „მოდი, ნახე“ და „ლენე“, „ქიზიყი“ და „ფანტაზია“, საიდანაც ალაზნის ველი ფარდაგივით გაქვს ფეხქვეშ გაშლილი და თუ ძალიან მოინადინებ და მოაჯირს კარგად გადაეყუდები, შეიძლება კავკასიონსაც მიაწვდინო ხელი. მაგრამ ქუხილას იქით არ მიუწევს გული, არ უნდა, არ ეჭაშნიკება. მისთვის სხვა ეშხი აქვს მინის სიღრმეში ქეიფს.

ვისაც არ უნახავს, იმათთვის ვიტყვი: სილნალში, ვანო სარაჯიშვილის სახლიდან სულ ოციოდე ნაბიჯზე, ბებრების ბალის კუთხის გადაღმა ერთი სარდაფია, ზოგი ზურისა დაუქანს რომ ექახის და ზოგი — ზურიევისას. ოდესღაც ეგებ ეკამათებოდნენ კიდევ ერთმანეთს: იმის კი არა, ამისაო, მაგრამ დღეს ეს უკვე აღარავის ენაღვლება, რადგან ის ზურია თუ ზურიევი, ანდა სულაც ზურია ზურიევი ასი წლის წინ ჩაჰპარებია პატრონს და იმისი მნახველიც აღარავის ახსოვს.

სსოვნას რაც შეეხება, რომ დავიჩემო, აქაუ-

რებს რაც არა სჭირდებათ, ისეთი რამე ბევრი ახსოვთ-მეთქი, ტყუილი იქნება, მაგრამ ეს შენობა რომ ერეკლეს დროინდელია, ამაში არავის ეპარება ეჭვი. იმასაც გუშინდელივით მოგაყვებოდა, ამ დუქანში ვის არ უმღერიაო, — შავ პაატა ბალაშვილსა და თეთრ ქაქუცა ჩოლოყაშვილსაო, მიშელ დარიალსა და ვანო სარაჯიშვილსაო, ლუდა ქუფარაშვილსა და ჰამლეტ გონაშვილსაო. ჰა და ჰა, ერთ ამდენსაც თუ დაამატებენ, სულ ეგ არის. ნეტავი აღარავინ მიემატებო? — აინტერესებს ქუხილას, — ნუთუ დუქანს ისე გამოჰკეტავენ, ან შენობას ისე დაანგრევენ, რომ ჩვენს მხარეში ამ ჩამოთვლილი ხალხის ღირსი აღარავინ გამოჩნდება? ბოლო ხანებში ვინც აქედან აფრინდა, დუქანს ყველამ გვერდი აუარა და ისე გაინავარდა მსოფლიოს სცენაზე. აქ კი ახლა ყოველდღე უფლიკას დასტა უკრავს და კვირაში ან ორ კვირაში ერთხელ ლუკა მღერის.

ლუკა ქუხილას ბავშვობის მეგობარია, კალატოზი. ღვინოს მაინცადამაინც ვერ იტანს — შუა სმამდე, ზოგჯერ ცოტა იქითაც მიჰყვება ხოლმე ქუხილასა და ნიკას, თავიანთ მესამე ძმაკაცს. იქამდე თუ იმისი სიმღერის სმენას არაფერი სჯობს, მერე უკვე სხვებსაც ხელს უშლის — აუტყდება სლოკინი და მორჩა, იმ ერთი ნაქები მეტეზისა არ იყოს, ყველაფერს ფსუტში ჩაყრის ხოლმე.

ახლა დუქანში სამი კაცი ზის, სამი თანაკლასელი, სამი ზედაშიანელი — ნიკა, ლუკა და ლუარსაბი, ანუ ქუხილა. ამათი სუფრის გარდა ორი-სამი სხვა მაგიდაც არის გაშლილი. ერთმანეთს უკვე შეეხმინან, სუფრამ სუფრის სადღერძო ქოლ მესვა, ჩვეულების მიხედვით თითო წარმოშადგენელიც გაგზავნეს მცირე ხნით ერთმანეთთან და მერე უკვე ყველა თავის პურ-ღვინოს ჩაუტკბა.

ჩაუტკბა-მეთქი, ვამბობ, მაგრამ ეს ერთი შეხედვით, თორემ ისე ყურები ცქვიტადა აქვთ აქეთ-იქით მიმართული: მეზობელ სუფრაზე ნათქვამ ყოველ საეჭვო სიტყვას იჭერენ და ღვინიან თავში დიდხანს აღაღლალებენ, არაფერი გამოგვეპაროსო, — სიღნაღელები და ზედაშიანელები ხომ გაჩენის დღიდან ერთმანეთს კრიჭაში უდგანან და გამუდმებით პაექრობენ. მართალია, ნიკაც, ლუკაც და ლუარსაბიც — იგივე ქუხილა — სიღნაღში მუშაობენ, სიღნაღელებთან ძმობა აქვთ ნათქვამი, მაგრამ ეგ დღისით, ღამდამობით დუქანში ერთმანეთის მეტოქეები და მოჯიბრეები არიან.

იმ ცხოვრებულმა პირველმა ბარის დამკვერელმა, ვინც სიღნაღი ამ კლდეზე დააარსა, ალბათ, არ გაითვალისწინა, როცა მოიზრდებოდა და მხრებს გაშლიდა, გასაქანი არსაით ექნებოდა. მინა უჭირს ქალაქს, სახლები ერთმანეთზეა შეხორხლილი. სხვა რა ჩარა აქვს და ესეც ზედაშიანისაკენ იწვევს, იმის ფერდობის კალთებს ებლოტება. ზედაშიანი კი ხელსა ჰკრავს და ჯიუტად იგერიებს. სიღნაღი მაინც არ ეშვება, ცდილობს, თავის ჭკუაზე მოაქციოს, გააქალაქელოს, ვითომდა სიკეთე გაუკეთოს, მაგრამ ზედაშიანი ამ სიკეთეს უარობს, ჯიუტრ ჰაშას ჰკრავს და არასდიდებით არა თმობს ბოძებულ თავისთავადობას — იმას გაქალაქებასა და სიღნაღად ქცევას სოფლობა და ზედაშიანობა ურჩევია.

და არის ამის გამო დუქანშიაც განეგ-გამონევა, დაპირისპირება, პაექრობა, მაგრამ ჯერ ადრეა, ჯერ ლუკას „ჭონასა“ და „სუფრისა თავსა მჯდომელოს“ დროა, ყველა რომ გაუერთიანებია და თვალში ცრემლჩამდგარნი უსმენენ. აჰ, ერთი სამი-ოთხი მობანეც თუ ეყოლებოდათ, სიმღერა

მერე გენახათ! თუმცა ესეც კარგია, ეგეთს სხვაგან სადღა მოისმენ. ჩამოსასვლელ კიბესთან მედუღუკეები მოწყენილები სხედან, ხმა არც იმათ ამოვლენათ — იმათი რასტი და შიქასტა, შალახო და ბაღდადური ლუკას მეორესთან რას მოვა.

სიმღერასა და სადღერძოქოლს შუა, როგორც კი ცოტაოდენ დროს იპოვის, ნიკა ლუკას არ ასვენებს:

— ლუკავ, სიმღერაც კარგია და ქეიფიც, ძმაკაცებში დროსტარებასაც რა სჯობია, მაგრამ ცოლი უნდა შეირთო, ჯო, ცოლი! უცოლო კაცი და მგელი ერთია...

— რაო, რა და რა არი ერთიო? — ჩაეკითხება ქუხილა.

— შენ არავინ გეკითხება, ლუარსაბ, შენ შენს საქმეს მიხედ.

— საკვირველია, რა დიდი მონდომებით უმარჯვებ ცოლსა, ეგრე ძალიან რა გრჯის?

— მა როდემდე უნდა იაროს ირაოსავით, ჰა? მე თუ მყავს, კაცო, შენ თუ გყავს? ესეც ჩვენი ხნისა არ არი?

— მყავს და მყავს, ვაჰ, ეხლა რაღა ვქნა, თორემ... ეგეც სამხედრო ვალდებულება ხო არ არი, თანატოლებმა ყველამ ერთდროულად მოვიხადოთ? როცა იქნება, მოიყვანს.

ლუკა ხმას არ იღებს, ხან ერთს შეხედავს თვალების ხამხამითა და ხან მეორეს.

— როცა იქნება რასა ჰქვია, ლუარსაბ, როცა იქნება რასა ჰქვია, შე კაი კაცო, — ცხარობს ნიკა, — როცა იქნება, ვინ იცის, ვინ მოიყვანოს, განა ყველა ქალი ერთია? აი, ჩემი ცოლისდა...

— კარგი, კარგი, ნიკავ, მორჩი ეხლა და ჭიკა აიღე ხელში! ლუკავ, შენც მომხედე და დამიგდე ყური, თვალებს რას აცეცებ აქეთ-იქით. მოდი, იცი, ვის გაუმარჯოს? ვინც ამ დუქანში ყოფილა, სამშობლოს სადღერძოქოლ უთქვამს, ღვინო დაუღევია, უმღერია, უცეკვია და გადასულან, დღეს აღარ არიან...

თლილ მოზრდილ ჭიქას მოიყუდებს ქუხილა და თან დუქნის ჩამოშავებულ კუთხეებს გაჰყურებს. ნუხილი შესჯდომია გულში: ეს ოხერი და ტიალი, სასწაული სადღა აღარ ხდებაო, ხან გაზეთში ამოიკითხავს ისეთ რამეს, თმა ყალყზე დაგიდგება, ხან კალენდრის ფურცელზე, ზოგჯერ — ნიგნშიც. ეს კი ერთხელაც ვერ შეესწრო, ერთხელაც ვერ მოიხილა — ვერც გარდასულთა აზრდილები დალანდა ქარაგომოდებულ თაღებზე და ვერც იმათი ნამღერი თუ ნაჩურჩულევი მისწვდა იმის ყურს. განა მაინცადამაინც იმ სახელოვანი ხალხისა? არა, თუნდაც ერეკლეს დროინდელი ერთი ჩვეულებრივი შექეიფიანებულ ჯველისა. რა თქმა უნდა, იცის, რომ ეს შეუძლებელია, მაგრამ კალენდრის ფურცელი ირწმუნება, თუ ძალიან მოინდომებო... თქვე დალოცვილიშვილებო, ქუხილაზე მონდომებულს სადღა ნახავთ?! აგე თვალი და აგე ყური, ან დაანახვეთ, ან გააგებინეთ რამე! კარგი, თვალთა და ყურით თუ არა, ცხვირით მაინც მომასწრო სასწაულსაო, იმდროინდელი სუნი მაინც მომანვდინაო, — ნატრობს ქუხილა, — მაგრამ ამაოდ, შეისუნთქავს და ნაცნობი ჭუჭყის სუნი ნაცნობი კერძებისა და ღვინის სუნში არეულა. დღეს თუ არა, ხვალე... დღეს თუ არა, ხვალე... მაინც არა კარგავს იმედს.

ნიკა ლუკას ჩასცივებია:

— ...მორცხვი ქალი — ერთ ქალაქად, მორცხვი კაცი — ერთ ქალამნადო, ნათქვამია. ვითომ რა დიდად მოსარიდებელი ქალთან გამოლაბარაკებაა? თუ არადა, აქ არა ვარ? მა ძმაკაცი რისთვის გინდა? იგეთი ქალი შეგიჩიო, ქვეყანა შემოგნატროდეს!



— მაიცა, ნიკავ, თუ ძმა ხარ, ქალი არა ბალი, ქალი რათ მინდა...

— რას ამბობ, ვერან! მოსაციქვლეს დაჰხედე და საციქვლებზე უარი ისე უთხარიო, არ გაგიგია? უძილოდ სიზმარი ვის უნახავს? ჯერ ითხოვე, ძმაო, და თუ არ მოგეწონება, მერე გამამტყუნე.

— ნიკავ, რა არის, რა ენის ქაველი აგიტყდა დღესა, — აწყვეტინებს ქუხილა, — ვერ ატყობ, რო შეალონე ეგ ადამიანი? დააცა ცოტა ხანს, ამოისუნთქოს, რა ანდაზებად დაიცაღე, შე დალოცვილო, აიღე, აბა, ჭიქა აიღე, ხასიათზე არა სჩანხარ და ღვინო მოგიხალვათებს გულსა.

და აი ხათაბალა! ჭიქის ბოლომდე დაცლას ვერ მოასწრებს ლუკა, რომ სლოკინი აუტყდებო. ახლა მორჩა, იმის სიმღერას ვინლა ჩივის, უკვე სხვებსაც შეუშლის ხელს. ეგეც არაფერი, მაგასაც გაუძლებს კაცი, მაგრამ იმისთანა უაზრო შეკითხვებს დაინყებს, გული გაუწყალდებათ თანამეინახეებს.

თითქოს იგრძნეს დუქნის ძარღვის მობოშებაო, სილნაღვლების სუფრიდან მოკლე, ერთხმიანი სიმღერა წამოვე:

**დიმიტარო, დამპიტარო,  
იმ თამადას დიდი ტარო,  
მოადგილეს, სუფრის წევრებს  
მოხრილი და ჭყლინტი ტარო.**

ვაჰ, კაცო, რანაირად მიხვდნენ ეგ სახეძალღები ეგრე უცბად ლუკას დაუძღვრებასო, — ჩაეცინება ქუხილას და დამთავრებასაც არ აცლის, თვითონაც შეუბერავს:

**ახ, საქო, საქო,  
შენ ჩვენო საქო,  
ძალიან ფინი ხარ  
და როგორ გაქო?**

ნიკავ ასდევს ასე თუ ისე, ეხმარება, მაგრამ მალე ბეზრდება და ლუკასკენ მიიწევს:

— შენ მაგ სლოკინს თავი დაანებე და მე დამიგდე ყური. ყველაფერს თავისი დრო აქვს, შენი ხნის კაცის უცოლოდ ტარება გაგონილა?

— ნეტავი შენა, ცოლი რა ოხრობად მინდა, ჯო? — სლოკინი უწყდება ცოტა ხნით ლუკას.

— ერთი ამას დაიხედეთ! ვირსა სჭედავდნენ და ის კიდევ ტლინკებს ისროდაო. რანაირად შეიძლება, კაცს ცოლი არ უნდოდეს, შე მართლა ვირო, შენა!

— ცოლი არა, ბოლი... ჰო, იგრე კარგია, მაგრამ სახლში რო მიხვალ და გაგიჭირებს საქმეს, ეგ როგორილაა, ჰა?

— ვაჰ, მა როგორ გინდა, შე მამაცხონებულო, ვირის მადეგარი იმის ტლინკებსაც უნდა უძლებდეს. ისე, რო იცოდე, რალაცაში შენც მართალი ხარ, ქალიც არის და ქალიც. აი, ჩემი ცოლისდა...

— ბიჭო, შენ ფუშინი ხო არა ხარ, რამდენსა ლაპარაკობ. ნუ მოაჭამე ცალი მხარე მაგ კაცსა, არ გესოლობითლება შენს ცოლისდაზე და ძალა-სა ხარ? — გაბრაზებამდე ბევრი აღარაფერი უკლია ქუხილას.

**თათრების ნაბინავარზე  
მგელმა დაიწყო ბაბანი,  
ი თეთრი გოგო როგო გყავთ,  
სუ მარწყვის საპნით ნაბანი?**

მღერიან სილნაღვლები და რას იზამ, რანაირად მოედავები, გინდა თუ არა, ამასა და ამას გულისხმობთო? ვინ იცის, როგორი თეთრია ის მარწყვის საპნით ნაბანი გოგო? შენ სხვა უნდა უთხრა და ქუხილაც მაშინვე იწყებს:

**ვარსენიკას ტუფლი უჭერს,  
ჩუსტი განიერია,  
„ზაპოჟნიკსაც“ ერხუბება:  
ეს რა შაგიკერია?!**

აჰ-აჰ-აჰ, აკი ვამბობდი, ნეტავი ეგ არ იმღერონ-მეთქი! რა ღმერთი გაუწყრათ, რა დაემართათ? აი, თვითონაც შეცბნენ... სილნაღვლების სუფრაზე დუმილი ჩამოვარდა, გაისუსნენ. ნიკამ ამ სიჩუმეში დრო იხელთა და ისევე ლუკას მიუტრიალდა:

— ბიჭო, მაშ არ იცი, რომ ცალი ხელით ტაში არ დაიკვრება? უქალოთ კაცი ვის დაუფასებია? ეგეთ ადამიანზე ათასი ჭორი დადის...

— ჯერ ძროხა უნდა ვიყიდოთ, ჯო, ცოლი რათ მინდა, ძროხა არა გყავს.

— არ იქნა და თავის გასამართლებელი არ დაგვლია, მიზეზ-მიზეზ მარილს მატლი გასჩენიაო.

— რაო? მატლი გასჩენიაო? რასაო, კაცო?

— ოქროს ყადრი, ძმაო, ოქრომჭედელმა იცის, მე ვინ რა უნდა გამომაპაროს ჩემი სიმამრის ოჯახისა? ქალსაც ვერავინ მოუძებნის ნაკლსა...

— დაიცა, დაიცა, დაიცა, ერთი მეც დამაცადე, — სლოკინს ძლივს არიდებს ცალკეულ სიტყვას ლუკა, — შენ ის მითხარი, კაცო, თმანვერი თუ მივეშვით თავის ნებაზე, იმხელა გაიზრდება, შეიძლება კოჭებამდე მოგვწვდეს. აი, მკერდს თუ გავიპარსავთ, ისევე წამოიზრდება ბალანი, თავის ზომას მიაღწევს და გაჩერდება. რათა? ილღიებიც ეგრეა... წარბებიც... მაშ თმანვერმა რატომ არ იცის თავისი ზომა?

— მაგას გარეთ კი არ უნდა ჰკითხოლოდდე, ვინმე ჭკვიანი უნდა გყავდეს ოჯახში. ჭკვიანი ადამიანი კიდე სად არი, განა რამდენია? აი, ჩემი ცოლისდა...

— სვინდის-ნამუსი აღარა გაქვს, კაცო, რა ღმერთი გინყრება? აქაურობას მაინც ეცი პატივი, იცი, სადა ზიხარ? — კბილებს აკრაჭუნებს ქუხილა.

— სადა ვზივარ, თორემ, შენმა მზემ, პირველადა ვარ ამ ჩახუთულ სოროში. ვითომ შენც რესტორანი დაგიკეთინებია!

— მართლა არა ხართ ამისი ღირსი, თქვენნი... კამათს სილნაღვლების სიმღერა აწყვეტინებთ;

...რომ მანვები, რას მანვები, ვირო, ვირის სოფლისაო, თავზე ქუდი დაგიხურავს თითქოს გოგრის ფოთლისაო...

— მოდი, ერთ სადღეგრძელოსაც გეტყვიოთ, — ფეხზე წამომდგარი ქუხილა ვითომ მხოლოდ თავის სუფრას მიმართავს, — მოდი, ელექტროდუღუკისა და ელექტროდუღუკზე დამკვრელების სადღეგრძელო იყოს... — და უცებ გადაიხარხარებს.

— ქალი სხვაა, ძმაო, ქალი უნდა იჯდეს და ბედს ელოდესო, კაცი კიდე უნდა მიდგეს-მოდგეს, თვითონ მონახოს ვინმე, ან კიდევ მახლობლის რჩევებს დაუჯეროს. აი, ჩემი ცოლისდა...

— ვინა, ვინაა? — გეგონება პირველად ეს-მოდეს, ისე იკითხავს ლუკა.

— ქალი აშენებულ ოჯახს დააქცევს და დაქცეულს ააშენებსო. აი, ამ ჩვენს ორ რაიონში იმაზე ეკონომიური ქალი არ იქნება...

— ჭკვაზე მოდი, ნიკავ, იცოდე, არ შემაყელ-თო, — ჩაისისინებს ქუხილა. ხმამალა ვერაფერს ეუბნება, არ უნდა, ნათქვამი მეზობლების ყურსაც მისწვდეს და სახვალაოდ კიდევ ერთი საკბილო, კიდევ ერთი დაცინვის საბაბი მისცეს სილნაღვლებს, — დღეს ყველაფერი დაივიწყეთ, ნიკავ, ხო იციო, ჩვენ აქ რა საქმისათვისა ვსხედვართ. შენც ეგრე იკნიკით ნუ აცეცებ თვალებს, ჭიქები მაინც შეავსე, — ახლა ლუკას შეუტყვს.

ნიკა ჩუმდება და ლუკა იწყებს სლოკინ-სლოკინით ლაპარაკს:

— ჰო, კარგი, ლუარსაბ, რისთვისაცა ვსხედვართ, ვსხედვართ, ვისხედეთ, ძმაო, ვინ გედავება. ვისხედეთ, მაგრამ მე ის მეინტერესება: ეს ხო

ღვინოა, არა? ერთი ტიკიდან სამ სხვადასხვა ბოთლში რო გადაასხეს, სამივეში ხო ერთნაირი დარჩა ფერთაც, გემოთიც, გრადუსითაც, შემადგენლობითაც... ჩვენ კი სამივემ რო ჩავისხით ერთნაირი ღვინო, სამივეში სხვადასხვანაირად იქცევა. ჩვენში სუ შეიცვალა. რათა? ჩვენ ეგეთი რა განსხვავებული ჭურჭლები ვართ?

ქუხილა ეჭვით გადახედავს: ხომ არ გამოფხიზლდაო და კიდევ ერთხელ ცდის თანამეინახეთა აყოლიებას:

**კოპერატივის ნოქარო,  
დაბალო და სქელო,  
პალტო სახლში დაგრჩენია,  
შე არგასაზრდელო...**

შემნებოა აღარავისაგანა აქვს, ლუკა სლოკინებს კი არა, უკვე ტლოყინებს, ნიკა კი:

— ფუჰ, როცა სიმღერა არ შეგიძლიან, გაჩუმდი, რაა! ყურები ვეღარ უძლებს. აი, ჩემი ცოლისდა, სიმღერა იცის...

— შენი ცოლისდა ღმერთმა კარგად ამყოფოს, ოლონდ, ერთი ეს მითხარი, ნეტავი ზანგის ბავშვებს წითელა ემართებათ? — თითო სლოკინს თითო სიტყვას აყოლებს ლუკა, — თუ ემართე-

ბათ, იმათაც წითლად გამოაყრით ხოლმე? მაშ წითლად თუ არ გამოაყრით, წითელასაც ვერ დაუძახებ, არა?

— ფუჰ, თქვენიცა და თქვენი ამყოლისაც... ამ რეგენმა მაინცდამაინც აქ მოინდომა ცოლისდის საქმის გაჩარხვა, თითქოს ეგ არის რაა, სხვაგან ვეღარსად ნახავდა, თითქოს დღე და ღამე ერთად არ ვეყაროთ... თქვენი შემყურე რა სასწაულს უნდა ელოდეს კაცი, სირცხვილით აქ რომელი წინაპრის ლანდი გამოჩნდება?! გამოჩენაც რომ უნდოდეს, დაიმალება... — კბილებში გამოცრის ქუხილა, ხმამაღლა ამჯერადაც არაფერს იტყვის, სიღნაღელების ყბაში ჩავარდნა არ უნდა. საყველანმინდოს სათქმელად დასწვდება ჭიქას:

— ნავიდეთ, დროა უკვე.

ჰო, არ უნდა მეზობელ სუფრელებს დაცინვის კიდევ ერთი საბაბი მისცეს, მაგრამ ორიოდ დღე არ გაივლის, რომ ზურიევის დუქანში ხარხარი ისმის. რომელიღაც სუფრაზე მღერიან:

**სამი კაცი დუქანს არი —  
ნიკა, ლუკა, ლუარსაბი,  
ნიკა ლუკას ქალს ურიგებს,  
ლუარსაბი უარს არი.**

# გუნება

კარგ ქართველს — ლერი მირიანაშვილს

მოდი, სიტყვამ მოიტანა და ბარემ იმასაც გაიამბობთ, ლუკა როგორ დაეაქორწილეთ, როგორ მოვგვარეთ ცოლი. ოლონდ თავიდანვე უნდა შევთანხმდეთ: სიმართლის გაგება თუ გინდათ, სხვას არავის მოუსმინოთ, მე უნდა დამიგდოთ ყური. ამ ამბავს ნაირ-ნაირად ჰყვებიან სოფელში, ზოგი რას ნაამატებს და ზოგი რას გამოაკლებს, ეს რომ ალთას დაინწყებს, ის ბალთათი დაამთავრებს, ერთი რომ აქედან გამოაბამს ყურს, მეორე — იქიდან, თქვენ თუ ამასაც ერწმუნეთ და იმასაც, სად წავა! ეგ კია, ამბის მონანილენი ყველას მონაყოლში ერთი და იგივენი არიან.

ჰოო... მაშინ უკვე კარგად შეღერებული ვაჟკაცი იყო ლუკა — ჯარმოვლილი, დაღვინებული, საქმეზე დამდგარი, დაოჯახება კი აინუნშიაც არ მოსდიოდა. მაგის ძმაკაცებს — ნიკასაცა და ლუარსაბსაც, იმავე ქუხილას — ოთხი-ხუთი წლის ბალები დაურბოდნენ, ეგ კი ისევ ძველებურად დაღენდერობდა, ოჩნობდა და უღელში თავის გაყოფას ერიდებოდა. მარგალიტივით გოგოები აუჩინეს ქვემო ბოდბეში, კარდენახში, ზემო მაჩხანში, სხვაგანაც, მაგრამ ვერ იქნა და ვერ ჩატეხეს, ჰოობა ვერ ათქმევინეს. დღისით ქაფჩა ეჭირა ხელში, საღამოს — ხან ჭიქა და ხან ჩანგური. ზოგი რჩევას აძლევდა, ზოგი დასცინოდა, ზოგი ემუქრებოდა, მაგრამ რად გინდა — ხევრე, ხევრე, ისევ ხევრე — ამაოდ. რას იზამ, თურმე ბედისწერა ყოფილა ყველაფერი, იმას ვინ გასძალიანებია, ვის უჯობნია, ვის გადაუძალნია!

მოგეხსენებათ, ზაფხული ჩვენში მუდამაც ცხელი იცის, მაგრამ იმ წელიწადს მაინც სულ სხვანაირი პაპანაქება დაიჭირა — ბოტორო, ბულიანი — ჰაერში დატრიალებული ალხისაგან იქით კავკასიონი აღარ ილანდებოდა და აქეთ კიდევ ივრის ზეგანი. შეებზრდა ხალხი, ცერად დაინყო ყურება გადათეთრებული ცისაკენ. ჰვეე, ჯერ თურმე სად იყავი! მკათათვეზე უარესი მარიამო-

ბისთვე გამოდგა, იმან მთლად მოგვითავა ხელი. ჩაკვდა, ჩაიხარშა სოფელი, დღისით აღარავინ გამოდიოდა გარეთ, თუ ვინმე თავმოძულებული გამოჩნდებოდა, ისიც გრილო-გრილო დაიპარებოდა და ღობეებს ეგლისებოდა.

ხალხი მაინც ტოკავდა, ჩუჩუნებდა, სულს იბრუნებდა: ბახტურიძიანთ ბოსტინიდან ბავშვის ტირილი ისმოდა, ქუხილას ძალს უწადინო ღველავის საბაბს აძლევდა ვიღაცა თუ რაღაცა, აივანზე შეფრენილი შიოს მამალი მზეს შეჰყოფდა, მიხოს ეზოში, მსხალზე, ჭიანჭღურა ჭიჭიანზე სკდებოდა, მსხლის ძირას კი ლუკა იჯდა და გამტერებული დაჰყურებდა ჭიანჭველას, თავისზე ხუთჯერ დიდ ტვირთს ყოველგვარი ტრანსპორტისა და კურტნის გარეშე რომ მიათრევდა შინისაკენ.

ჰო, დაჰყურებდა, მაგრამ ვერც იმ ჭიანჭველას ამჩნევდა და ვერც სიცხესა გრძნობდა. ცნობადაკარგული და გაშეშმიშებული უღვინოდ მთვრალსა და უზანგოდ დაბანგულს დამგვანებოდა. ათ დღეზე მეტი იყო, ავადმყოფობდა — გუნება ჰქონდა ნამხდარი — აღარც მუშაობა იზიდავდა, აღარც სმა-ჭამა და აღარც გართობა-ხადილობა, ლუკას უგუნებობაღა უნდოდა ისედაც სიცხისაგან სულ-შეხუთულ სოფელს? დღისით ხვატისაგან ნიათდაკარგულმა საღამოობითაც მოიწყინა, უხალისობით მთლად ჩამოყარა ყურები.

კაცო, ეგეთი რა ეძგერა, ეგეთი რა ანანდეული სატკივარი გამოუვარდაო?! — კვირობდა დიდ-პატარა. ამან ესა თქვა და იმან — ისა. მთის იქითურსაც მისწვდნენ და მთის აქეთურსაც. ჩხრიკეს, იკვლიეს, იძიეს და მაინც რომ ვერაფერი იგუჟანეს, განბილებულები დადუმდნენ.

ადრეც მითქვამს: ლუკასნაირი ჩანგური არავინ იცოდა სოფელში. უიმისოდ ღვინს ღვინი არ ეთქმოდა და გართობას გართობა. დაკვრით ხომ საუცხოოდ უკრავდა, ხმა კიდევ უკეთესი ამოსდიოდა ყელიდან — ისეთ სიმღერას იტყოდა,

ბულბულს გააჩუმებდა და დამორცხვებულს მისვამდა ვარდის ძირში. გეგონებოდა: ღმერთს ქვეყანაზე სმენა იმიტომ გაუჩენია, ამისი ხმა რომ გაგვაგონოსო.

მაგრამ რად გინდა? ლამის ორი კვირა სრულდებოდა, აღარც ჩანგური აუღია ხელში და აღარც ეზოს გარეთ გაუდგამს ფეხი.

სხვებზე უნინ მშობლებს ეკუთვნოდათ შეფიქრიანება და შეფიქრიანდნენ კიდევაც. ჯერ შორიდან უთვალთვალეს, გარშემო უტრიალეს, უდარიელეს — ეგებ მივხვდეთ რა დაემართათო. მერე ეფერნენ, ეგურგულნენ, თავლად დაედვარნენ — თვითონ გვეტყვის თავის სატკივარსაო. გაგვიგონია! მერე იფიქრეს: ამაზე უკეთესს რა წამალს მოვუნახავთო და კაი სადილი გაუწყვეს. ყოველი შემთხვევისათვის ვაჭირიდან ქალ-სიძეც დაიბარეს, ლუკასთან სიტყვა ეთქმით და საქმეში ხელს თუ არ შეგვიწყობენ, წახდენით ხომ არაფერს წაახდენენო. მაგდანამ ერთი ბენჩივით დედალი დააკვლევინა ქმარს, მიხომ, თავის მხრივ, ქვევრს მოხადა თავი. იშტისმომგვრელი სუფრა ნიორთავათი დაამშვენეს და თავში ლუკა მოუსვეს. არც ამან გაჭრა — ორი-სამი ჭიქა დალია ძალისძაღად და მერე შეიკრა კაპინი, ველარც ლუკმა გადააცდენინეს, ველარც ხმა ამოაღებინეს, იჯდა და უშნოდ ასლოკინებდა.

ფუჭად ჩაუარათ სამზადისმა, ჩამოჟამებულეები, მოქრუშულები აიშალნენ სუფრიდან.

ქალ-სიძე რომ გაისტუმრეს, მიხო და მაგდანა ერთმანეთს იმაზე წაეკიდნენ: ჯერ ექიმი მოგვვაროთ და მერე მკითხავთან წავიდეთ, თუ ჯერ ვამკითხავებინოთ და მერე ექიმი მოგვვაროთო. დაირიგნენ, შეჰყვნენ ერთმანეთსა და მაგრად იჩხუბეს, იმათი ხმა, ალბათ, საქობოში ჩადიოდა. შეყვლთებული მიხო დინგაზე გამოვიდა, ცოტა გულს გადავაცოლებო.

ბედად, იქ ლუკას ძმაცაცები, ნიკა და ლუარსაბი, დახვდნენ, მოჰკიდეს ხელი და შეილის მაგივრად ის წაიყვანეს იფნიანებში პურის საჭმელად. ორიოდვე ჭიქის მერე ქუხილამ მორიდებით ჰკითხა:

— მიხო ძიავ, წელან რაღაცა გნიასის ხმა გამოდიოდა თქვენი ეზოდან, რა მოხდა, შენ და მაგდანა ძალო ხო არა ჰკამათობდით?

— ჰო, ეგრე იყო, — უხალისოდ ჩაიბმუჯუნა მიხომ.

— ეტყობა, ისევ იმ დუთინას გამო დაერიეთ ერთმანეთს, არა? — ნიკაც ჩაერია საუბარში.

— ჰო, ეგრეა, — უკმაყოფილოდ გახედა ჯერ ერთსა და მერე მეორეს, კაცი რის მივიწყებასაც ცდილობდა, ესენი იმ სატკივარს უმღავრებდნენ.

— თვითონ რაო, რას ამბობდა? — თავისას არ იშლიდა ქუხილა.

— ვინა?

— ვინა და შენი გამოთავყვანებული შვილი, ვინა!

— აეს ამბობს რამეს? — იმ ქვას დაჰკრა ხელი ლაჯებშორის, რომელზეც იჯდა.

— და ვითომ ვერც თქვენა ხვდებით, რა სჭირს, არა?

— ეეჰ, ერთი ეგ გამაგებინა, ლუარსაბ, და რალა მომკლავდა...

— ოოო, რა ხარ, მიხო ძიავ, რა ხარ!

— ბიჭო, შენ რა ეჭვიანად შემომყურებ, რაა, უნდა ვხვდებოდე რამეს?

— არა, ეგეთი მიამიტი ნამდვილად არ მეგონე.

— ლუარსაბ, რა იკლიბაკლოდ მელაპარაკები, რო ვხვდებოდე, ეგრე გაეჩრდებოდი? ოლონდ ვინმემ გულისხმაში ჩამაგდოს და მერე მე ვიცი.

— გულისხმაში ჩაგდება რასა ჰქვიან, რაა, პირდაპირ ვერ გეტყვი?

— შე კაი დედმამისშვილო, თუკი რამე იცი, მამ რატომ არ მეტყვი, სამახარობლოს უცდი?! — დავიჯერო, ვერ ატყობთ, რომ მაგას ისაკოს გოგო ჰყავს ათვალმაზეული, იმისი თხოვნა უნდა და იმიტომ არის ეგრე გაბაცობუცებული?

— რომელი ისაკოსი, ლუარსაბ?

— ხეჭრელიანთი.

— მაყვალას თხოვნა უნდა, ბიჭო?

— ჰო, მაყვალასი.

— აუჰ, მაგ ქვახარშიებისა, ბიჭო! მაგათ მუჭიდან წვეთი წყალი არ გავარდებათ.

— რას იზამ.

— ესლა ეგრე გადაწყვეტითაც ნუ იტყვი, კაცო, იქნება მაყვალაზე კი არა, სხვაზე აქვს გული შევარდნილი, — დამაჯერებლობა აკლდა ნიკას ნათქვამს.


— შენ გაიქრე ხმა, — შეუტია ქუხილამ, — შენ კრინტს ნუ სძრავ!

— თუ მართლა ეგრეა, ლუარსაბ, ითხოვოს მერე, წინ ვინ უდგას?! — გაიოცა მიხომ და ეჭვიანად გახედა ნიკას.

— ვაჰ! ითხოვოს, რაა, დალოცვილო, ეგრე იოლი ხო არ არი? ერიდება, ვერ გაუბედნია...

— მერე თქვენ რაღას აკეთებთ, ძმაცაცები არა ხართ, რატო არ წაეშველებით? სუფრას რომ შემოუსხდებით ხოლმე და გულზე მუშტს იბრაგუნებთ: ჩვენაო ერთმანეთისათვის ესენი ვართ და ისინი ვართო, ესლა რალა გაბრკოლებთ?

— რა ვიცი აბა, ვიფიქრეთ, მიხო ძიას არ ეწყინოსო.





— აი, თქვე ოინბაზებო, თქვენა! მეხუმრებით, არა? მეწყინება რასა ჰქვია, დღე და ღამე იმისი ნატრული ვარ, ლუკას შვილს ველიროსო-მეთქი და მაგისი ბედნიერება მეწყინება?!

— ჩვენ რათ შევაყენეთ ფეხი, იცი? ხალხმა არა თქვას: ესენი ვისი ტიკი-ტომრები არიან, ლუკას თუ თვითონ ვერ გაუბედნია, მშობლები ხო ჰყავს, უპატრონო ხო არ არისო.

— უპატრონო ხო არ არისო?

— ჰო, ობოლი ხო არ არისო...

— მშობლები ხო ცოცხლები ჰყავსო, არა?

— ჰო, რაა...

— ბიჭოოო! — გაიბადრა და ნათელი გადაეფინა შეგვრემან სახეზე, — ბიჭოოო, ე როგორი წინდახედული ხარ, ლუარსაბ, აზრიანი, გამგებიანი... ყველაფერს გაითვალისწინებ ხოლმე, საქმეს ყველა მხრიდან შემოუვლი, ასწონ-დასწონი და ადამიანს სწორ გზაზე დააყენებ... ესლა აღარა მიჭირს რა, ესლა მე ვიცი და ჩემმა კაცობამ! გავგებუე პირდაპირ ისაკოსაკენ.

— დაიცა, შე კაი კაცო, — წამომხტარს სატინის ხალათზე წაეტანა ნიკა, — რა ცეცხლის კიდებაა, ჩავათავოთ პურის ჭამა და მერე წადი. აგრილდება კიდევ და უფრო გულდინჯად ავწონ-დავწონით ყველაფერს.

— არა, არა, ეგ გადასადები საქმე არა ყოფილა, ნიკავ, როცა შვილი ეგეთ ყოფაში მყავს, აგრილებას დაველოდო? ისედაც თურმე რამდენი დრო გამიცდენია! — შუბლში ხელი შემოიკრა მიხომ და ცუხცუხით დაიძრა სოფლისაკენ.

შინ მისულმა ჭიშკრიდანვე გასძახა მაგდანას:

— ბიჭი სად არის, დედაკაცო?

— ნაკალოვრებისაკენ ჩავიდა, ვირს გადავაბამო. რა არი, რო?..

— არაფერი, არაფერი. მოიტა ერთი, ხელპირი და ფეხები დამაბანინე, საგარეო ტანისამოსიც გამიმზადე და ფრჩხილებიც დამაჭერი, სხვაგანა ვარ წასასვლელი.

— სად სხვაგან, ამბავს მაინც არ დაგვიტოვებ, საით იჩაჩნები?

— ეგ მე ვიცი.

— ნახვალ და წადი, ქა, რავი, სულ გარეგარე არ დადიხარ, ესლაც სხვაგან არ ეხირე? — ზურგს უკან ქოქოლა მიაყარა მაგდანამ.

მიხომ უხმოდ დაიბანა ხელ-პირი, გაიპარსა წვერი, ფრჩხილებიც დაიჭრა და ცოლმა რომ აღარაფერი ჰკითხა, თვითონ აძრახდა:

— ხეჭრელიანთან უნდა გადავიდე.

— რაო, ვისთანაო?

— აბა ესლა ყურსაც დაგაკლდეს! ვისთან და ისაკოსთან.

— იმათთან რა საქმე გაქვს, ადამიანო?

— ლუკასთვინ გოგო უნდა ვთხოვო.

— რა უნდა ჰქნა, კაცო?!

— გოგო უნდა ვთხოვო-მეთქი, ვერ გაიგე შენა! — ხმას აუწია მიხომ.

— დადექი, მიხომ, შინ დაეტიე, მამიჩემის ცხონებამ, შენი ჭკუის ამბავი რომ ვიცი, რამე ფათერაკს არ გადაეყარო.

— ფათერაკს არა, მათერაკს...

— მე ჩემი მითქვამს და... თანაც ნასვამი ხარ, დაიწყებ იქ აკარაკულ ლაპარაკსა და სულ წაახდენ საქმეს. მოისვენე, ნუ აიტეხავ ხოლმე რაღაცას.

— რა მოვისვენო, დედაკაცო, ხო ხედავ, როგორ ვემზადები, — ტაშტში ჩასხმულ წყალში ფეხებს ერთმანეთზე უსვამდა მიხომ, — ვინმეს ხომ არა ჰგონია, ლუკას დედ-მამა დაეხოცა და უპატრონოაო. სანამ პირში სული მიდგა, მე მაგ სიტყვებს არავის ვათქმევინებ, შვილს არავის დავაჩაგვრინებ!

— ვიმ ქა, ვინა სჩაგრავს, რო?

— ეგ მე ვიცი! რო გითხრა კიდევ, ვერ კი გაიგებ და...

— მაგ სიმართლით შენ იხარე!

მიხომ ის კაცი ნახეთ, ცოლის რჩევა ყურებში შეეშვა. კაცი იყო კაცური — თუკი ერთხელ ცხოვლად გულში რამეს ამოიჭრია, მერე იმას ძნელად თუ ვინმე გადაათქმევინებდა. ჰოდა, საკუთარ ზნეს არც ამჯერად უღალატა და ხელფენ-გალვრიჭინებულმა, საგარეოდ გამოწყობილმა და თავდაჭერილად მობანცალემ გეზი ზემო უზნისაკენ აიღო. აბა რა დიდი მანძილი იქამდე იყო, ათ წუთსაც არ გაუვლია, რომ დოსტოლრივ შეაჭრიალა ისაკოს ჭიშკარო:

— გამარჯობა, ხეჭრელიანებო, როგორა ხართ, როგორ! — და ომანინი სალამის მერე ოჯახის უფროსი მოიკითხა, — ისაკო საით არის, ისაკო, აბა ისაკო გამოვიდეს გარეთ!

მართას, ისაკოს ცოლს, ვარიკობაში გადასული რამდენიმე ჩრისვი ჰყავდა დაჭერილი და ბოლოებზე წამოზრდილ ბუმბულებს აგლეჯდა.

„ეს ვილა ოხერი მოეხეტა, ქა!“ — ცოტა წაიბეცებდა და ერთი შეხედვით ვერც კი იცნო დაუპატიჟებელი სტუმარი.

— გაგიმარჯოს, მაგრამ ისაკო რო არ არის შინა.

— რას ამბობ, კაცო, შინ არ არის რასა ჰქვიან, მა სად არის?!

„აჰ, მიხომ ყოფილა ეს სანაცლიე“.

— ვენახშია, ლობიოს საგლეჯად.

— ვაჰ, ამ სიცხეში ვენახში რამ წაიყვანა.

— საქმემ სიცხე და სიცივე რა იცის, მიხომ.

— კარგი, ჰო, არა უშავს რა, მაშინ მაყვალას დაუძახე, — დათმობაზე წავიდა მიხომ.

— არც რო მაყვალაა შინ, მამიდის სანახავად წავიდა ზემო მალაროში.

— ფუი, ჩემი ბედისა რა ვთქვი... მე რო დამჭირდა, მაინცადამაინც ესლა აიყარა დიდატარა ერთიანად, არა?

სტუმრის როხროხზე პირველი სართულის ოთახიდან ისაკოს მამამ, შაქრომ, გამოიხედა და მიხოს დანახვაზე სასწრაფოდ შეიშალა უკან.

— ვაი, როგორი იმედიანი მოკვიდოდი და რა დამხვდა აქა! მაგრამ რა გინდა, კაცი რო ჩამქრალ ვარსკვლავზე დაიბადება, მორჩა, იმის საშველი აღარსად არის!

სულ დაკარგა წელანდელი ომანი მიხომ, მობოშდა, მდურვა და წუნწუნი გაერია ხმაში. არც იყო გასაკვირი — აქეთ გულდინჯად მოდიოდა, დარწმუნებული იყო, ლუკას ამ სალამოსვე ავამღერებო და ესლა ეს აწყობილი, დამში მოსული საქმე ეცლებოდა ხელიდან.

— რა იყო, მიხომ, რა საწუხარი გაგჩენია, რატო არ იტყვი? ისაკო და მაყვალა თუ არ არიან, აგე, ჩემი მამამთილია შინ, თუ გინდა, დაუძახებ. ანდა მეც აქ არა ვარ? თქვი, იქნება მე გისაშველო.

— ეგე, აკი გითხარი: მაღლიანი ოჯახია, უარს არ გვეტყვიან-მეთქი, აკი გითხარი! — გამოხალისდა მიხომ, ოლონდ მხარს უკან ეგრე ჯიბრიანად ვის გადასძახა ეს სიტყვები, ვერავინ მიხვდებოდა.

გაკვირვებული შეჰყურებდა ქალი: რა მოხდა, ეგრე შეცრად რამ გამოუტყეთა გუნებაო.

— გეტყვი, მართავ, გეტყვი, სულ წვრილად გეტყვი ჩემს სალონის, ან კი რა მაქვს შენთან დასამალი... რაც მართალია, მართალია, თქვენი ქების მეტი არა გაგვიგია რა, ქვეყანამ იცის, რა კარგი და კეთილი გულის ხალხი ხართ, რა გულუხვი, ხელგაშლილი და გულქართლი, რა გამეტებულები...

— მოიცა, მოიცა, მიხომ, ეგრე დანვრილები-

თაც არ გინდა, ცოტა უფრო მოკლედა თქვი შენი სანუხარი.

— მოკლედ კიდევ ის არი, შენი ჭირიმე, რო ბიჭი ვერა გვყავ კარგად, ლამის არი, ხელიდან გამოგვეცალოს.

— ვიშ ქა, რა მითხარი! ლუკა გყავს ავად, შე საცოდავო?

— ავად არის კი არა, ცარიელი ტანისამოსილა დადის, ჩხირზე გადაბოტების თავიც აღარა აქვს, — სულ მოისანყლა თავი მიხომ.

— ეგრე უცბად რა დაემართა სალ-სალამათ ბიჭს, ქა?

— რალა რა დაემართა, გუნება აქვს ნამხდარი და თქვენი დახმარების იმედზე ვართ, მართავ, ესლა გვჭირდება შეშველება და ხელის გამართვა, თქვენს კარზე ამ სიცხეში გაჭირვებამ მომაყენა.

— თუკი არ გვეტყვი, რა გინდა, რანაირად დაგეხმაროთ, დაამიანო.

— ჰოდა, თუ ეგრე, გოგო რო დაბრუნდება მალაროდან, უთხარი: ჩვენთან გადმოვიდეს, მართო ის თუ გვიშველის, სხვა ვერავინ.

— რას ამბობ, მიხო, ჩემი მაყვალა ბიბლიოთეკარია, ექიმი კი არა!

— ჭკვიანი ქალი ხარ, მართავ, და როგორ ვერ მიხვდი, რო ჩვენ ექიმი კი არა გვჭირდება, თქვენი გოგო გვინდა ვითხოვოთ, ეგ თუ მოაბრუნებს ამ ქვეყნისაკენ ლუკასა.

— უი, შე რა გითხარი, მიხო, რანაირი ხუმრობა გცოდნია, — გაცინება სცადა მართამ, — თუკი გოგო იყო შენი ბიჭის წამალი, თქვენს ახლომხლო ვერავინა ნახე ხელის გამმართავი?

— ვინა თქვა, არ არიანო, არიან და მერე როგორი გოგოები, მაგრამ ხო იცი, რანაირი გაჯიქება იციან ახალგაზრდებმა, თუ რამე აჩემეს, მერე მორჩა, ველარ გადაათქმევინებ. ლუარსაბმა და ნიკამ მითხრეს: ლუკას ისაკოს გოგოს თხოვება უნდა, სხვები თვალთ არ დაენახვებიანო და მეც იძულებული გავხე, თქვენკენ წამოვჩანჩალებულიყავ, თქვენ მოგდგომოდით კარზე, — არა, ხუმრობა-ოხუნჯობისა არაფერი ეტყობოდა მიხოს.

— ერიჰაა, შენ რალაცა დაუკრფავებში მიამტვრევ! მიხო კი ხარ, მაგრამ ნათქვამს ცოტა აზრი შენც ხომ უნდა მიატანო, — სუსხი გაერია ხმაში მართას.

— რათა სცხარობ, შე კაი ქალო, განა სანყენი და გასაბრაზებელი რა გითხარი, ვთხოვლობთ-მეთქი, ხო არ გართმევთ? ნავიყვანთ, სმაქამას არ მოვაკლებთ და პატივისცემას. თუკი ბიჭს გუნება გამოუკეთდება, ეგეთ რამეზე უარი როგორ უნდა გვითხრათ?!

— ეტყობა, ნასვამია ეს მიწის ტუსალი, თორემ ეგეთებს რა ათქმევინებდა, ქა! მთვრალია, ჰო, მთვრალია, მა რა არი.

— ეეჰ, აკი გეუბნებოდი, ტლინკებს შეჰყრიან-მეთქი, აკი გეუბნებოდი! — კვლავაც მხარს უკან გადაიძახა მიხომ, ოლონდ ვერც ამჯერად მიხვდებოდით, ვისთან იწინასწარმეტყველა მოსალოდნელი შედეგი. მერე ისევ მართას მიუბრუნდა, — რა მოხდა, განა ისეთს რასა გთხოვთ, თქვე კაიდემამიშვილებო, მართლა რამე სათხოვარზე რო მოვსულიყავი, მაშინ რალას იზამდით? გაგონილა ეგეთი გაუშეტრობა!

— რეებს არაკუნებს ეს ჩემი ცოდვით სავსე, ხალხო, თუ გაგიჟდა, რალა ჩვენს სახლს დაეტაკა, რალა აქეთ აილო გეზი!

— თქვე კაი ხალხო, იგრე კი არ გვინდა, ჩვენს ოჯახს მუქთად ბენვი არ შეუტანია სახლში, თუ ვისმე რამე ურგია, სანუფქოდ ჩვენი ორი იმდენი ნასულა. ოლონდ ბიჭს გუნება გამოუკეთ-

დეს და არც ესლა ვართ არაფრის დამშურებლები. ისაკოს უთხარი: ლუკა თუ თქვენს გოგოსა თხოულობს, იმან კიდევ, აგე, ჩვენი ვირი ითხოვოს და ვენახიდან ჭერემი ამოზიდოს.

— მიხო, მე და ჩემმა ღმერთმა, ისეთს ნურაფერს მაკადრებინებ, მერე სანანებელი გაგვიხდეს შენცა და მეცა! — ხელში შერჩენილი ვარიკა გვერდზე მიაგდო და ფეხზე წამოდგა მართა. ტანსრული ქალი იყო, ჯან-ლონით სავსე, ორმოცდახუთწელს ახალმიტანებული, ხოლო თუ შეძლებაზე მიდგებოდა საქმე, ბევრ ვაჟაკს არ ჩამოუვარდებოდა სოფელში.

— კაცო, მაშ რანაირად გინდათ, ბიჭმა გემშიშებულმა როდემდე უნდა იაროს? ვინა ხართ, რა ხართ, რა ჯილაგისანი ხართ, ადამიანს სიკეთის გაკეთება შეეძლოს და არ გააკეთოს, იმას ადამიანი დაერქმევა? შენ ხო არა გგონია, მე წამოვიწყე ეგ საქმე, აგე, ლუარსაბზე ჭკვიანი ვინ არის, იმანა თქვა: ლუკას მაყვალას თხოვება უნდა, სხვა არავისიო. ესლა რალას იტყვი!

— თვალის შენც დაგიდგეს და ქუხილასაც, ქუხილა ვინ ოხერია, იმის რაკუნზე ვიარო. რაა, თამრიკო იმისი რჩევით გავათხოვე, რომ ახლა მაყვალა მივაყოლო! — ავად აუკიაფდა ახლომხედველი თვალები მართას.

— რა გინდა, ქალო, შენ ხო არა გთხოვლობთ, მაყვალას მაგივრად შენ რათ იფოფრები?

— გადი, მიხო, გადი ჩემი ეზოდან, სანამ თავი გამიტეხია შენთვის, წადი და სადაც ეგ ღვინო ჩაისხი, მონელებითაც იქ მოინეღე.

— ვაი, მაშ გიჟი არა ვარ და გიჟზეც უარესი, შენ რო აგყევი ლაპარაკში! რას გეტყვი, იცი, მართავ, გატყობ, სიტყვით ვერაფერს შეგაგნებინებ. მე კიდევ იმდენი დრო არა მაქვს, სხვისი დედაკაცები მოვიყვანო ჭკვამე. ერთი სიტყვით, შენი მოვალეობაა, ისაკო რო მოვა ვენახიდან, ჩვენი ვირის ამბავი უთხრა, მერე იმან იცის, რასაც იზამს. უცხოები კი არა ვართ, ბავშვობა ერთადა გვაქვს გატარებული... რალა ბევრი გავაგრძელო, ხვალე ათ საათამდე მაყვალა თვითონ თუ არ გადმოვა, მე მოვალ და პასუხი დამახხვდრეთ.

სანამ ჭიშკარს გაეფარებოდა, ერთხელ კიდევ გამოეძრაბა მართას:

— მადლი თესეთ, ხეჭრელიაანო, მადლი! სხვას ვერაფერს წაიღებთ ამ ქვეყნიდან.

— დიდება შენდა, ღმერთო, ყველა დამფრთხალმა ჩვენს კარზე უნდა ჩამოიაროს! — ზეცისაკენ აღაპყრო თვალები მართამ.

მზე ჯერ ახალი ჩანურვილი იყო. შინ რომ მისულიყო, რა უნდა გაეკეთებინა. მაინც გზა იქით მიდევსო და გარე ბიძაშვილთან გაიარა. იმით კმაყოფილმა მიხომ, ბიჭის საქმე მოვაგვარეო, მაგრად სვა და მოილხინა. შინ გვიან დაბრუნდა, ცოლ-შვილის შენუხებას მოერიდა(!) და აივანზე მდგარ ტახტზე მიიძინა.

მეორე დილით ახალნანათზე გაღვიძა. ვერ იყო კარგად, თავი ცარიელი თუჯის ზარივით ედგა მხრებზე და ამ ზარში ენასავით რალაცა ხან ერთ საფეთქელში დაჰკრავდა — დგაფ! ხან მეორეში — დგუფ! ხან მარცხენაში — დგაფ! ხან მარჯვენაში — დგუფ! ის არ უკვირდა, თავი რომ ცარიელი ჰქონდა, ამ სიცარიელეში რა დგაფუნებდა, იმის გაგების ნატრული იყო.

ჯეჯიმი და მუთაქა აილო, ეზოში ჩამოვიდა და მსხლის ქვეშ მინვა — ძილის გაგრძელება იქა სცადა. როცა გამოიღვიძა, მზე კარგად ამომალაურებულიყო. ძილს ვერ ეწაშლა — თავის მიტრიალ-მოტრიალებაზე დილანდელივით დგაფადგუფი გაუდიოდა რალაცას, მაგრამ ადგა და ისევ საგარეოდ გამოენყო: ი გოგო სადაც

არის, მოვა და უცხო ადამიანს ღირსეულად დავხვდეთ.

ჰო, ელოდე, მოვაო!

ემკვლელებოდა, მაგრამ გუნებანამხდარი ვაჟიშვილის ცქერას, ისევ მართასთან ჯიმჯიმი ამჯობინა და ფეხათრეული გაუდგა ზემო უბნისაკენ მიმავალ შარას.

მართას ლოგინები გამოემზეურებინა აივანზე და მოაჯირზე გადმოფენილ ნაალებს შვინდის ჯოხს უბრაგუნებდა.

იქით, ცოტა მოშორებით მდგარი გომიდან ისაკოს მამამ, შაქრომ, გამოყო თავი და მიხოს დანახვაზე სწრაფადვე შეიმალა უკან.

— რა ჰქენით, რა გადასწყვეტით, მართავ, რატო არ გადმოვიდა დღეს დილას თქვენი გოგო? — მისალმების შემდეგ პირდაპირ საქმეზე გადავიდა მიხო, — ალბათ, მამიდასთან შეფერხდა, არა?

— არა, მიხო, მაყვალა წუხელ საღამოსვე დაბრუნდა მალაროდან, ის არაფერ შუაშია. აი, ისაკოს რო გადავეცი შენი დანახვები და თქვენი სახედრის ამბავიც ვუთხარი, ეგრე მიყვირა: ქალო, განა შენ კი არ იცი, რომ ვენახში ჭერეში არ გვიდგა, სხვითა ვირი რა ოხრად მინდაო!

— აუჰ, უჭერმოდა ხართ დარჩენილები, ხალხო, ეგ როგორ დაგემართათ?

— მაგის მეტი სხვა ვერაფერი გაიგე ჩემი ნათქვამიდან, მიხო?

— გავიგე, გავიგე, მერე?

— რალა მერე, შე კაი ადამიანო, ისიც გინდა გაიგო, რა მოხდა მერე? მერე კიდე კაცმა მთელი ღამე ვეღარ დაიძინა, განიადაგებულად იმეორებდა: მე მაგათი ჯიში და ჯილაგიო... გაიგე?

— ჰო, გავიგე, გავიგე, როგორ ვერ გავიგე: კაცი უჭერმოხას ეგრე გაემნარებინოს, პირველად მესმის. სამომავლოდ მაინც დარგეთ კაი ჯიშისა, ყაისი.

როგორც ატყობთ, ისაკოს უძილობას სწორად აართვა ალლო მიხომ, ოღონდ ის კი ვერ იქნა და ვერ გაიგო, ზარივით თავში ეგეთი დგაფადგუფი რას გაუდიოდა.

\* \* \*

შებინდებისას დაბრუნებულ ნახირს ლამაზო მოჰყვა, თაფლო — არა. აბა იმ ღამით რალა იქნებოდა და მეორე დღეს დილასისხამზე გაიღვიძა შაქრომ. იმის დედაბერს კედლისაკენ გადაბრუნებულს ეძინა. არც ისაკოსი და მართას ხმა ისმოდა მეორე სართულიდან. მაყვალა ხომ მზის ამომალაურებამდე არ ინებებდა აბრძანებას. შაქრო ნამოდგა, ჩაიცვა, არც შენანილებულა — ხელში რაც მოხვდა, ის საჭმელი ჩაინყო აბგაში და ძროხის საძებრად გასწია. სად არ იარა, ღამის შუადღე ნამოვიდა, აჰა, აი, ნაპრასლამდეც გადმოვიდა, ძროხისა კი ვერაფერი შეიტყო. მონასტრის ხევისაკენ რომ ჩამოუხვია, ლაპარაკი შემოესმა. ყურები ცქვიტა: ემანდ ჩემს თაფლოს ხომ არა ხდიან ტყავსაო! ბუჩქები ფრთხილად მისნი-მოსნია და შეიჭყიტა. პატარა მდელიზე ბებერი პანტა იდგა და საუბარი იმ მხრიდან ისმოდა. ოცდაჩვიდმეტი წელი ასწავლიდა შაქრო ზედაშიანის სკოლაში, ორიოდე წელი იყო, რაც პენსიაში გავიდა, სოფელში ისეთი ვინ უნდა ყოფილიყო, რომ ხმით ვერ ეცნო, ყველამ იმის ხელში არ გაიარა? ერთი იცნო კიდეც იოლად — მიხოს ლუკა იყო, აი, მეორე კი ვერავის მიახს-გავსა, რალაცა უცნაურად პრანჭავდა კილოს:

— მაშ არც ჭრიანტელი გინდა? ზაფხულში მშვენიერი გრილი საჭმელია.

— არა, არა, რას ამბობ, მერე გულსა მძმარავს ხოლმე, — იუარა ლუკამ.

შაქრომ ჯანიანად გაბარჯულ ხეს ააყოლა თვალი. ლუკა კარგა მალა, განზე გაშვერილ ხმელ ტოტზე გადამჯდარიყო, ფეხები აქეთ-იქით ჩამოეყარნა და ზურგით ნებიერად მიჰყუდებოდა პანტის ტანს.

— არც გარფა გინდა? გარფას მაინც არ შესჭამ? ის ხომ შემრგოა.

— მომაშორე იქით, მაშ ერთი მაგრად გამო-საშუპრი არა ხარ! რაც შენ თვითონ არ მოგწონს, მე რატო უნდა შემომთავაზო?

— კარგი, შეჭამანდებიდან რომელს აირჩევ-დი: შვინდის შეჭამანდს, დოლოშეჭამანდს, კალ-ტის შეჭამანდს, ხირხიტოს...

— წვნიანები არ გამაგონო, წვნიანები არ დამანახვო, ესლა რა დროს წვნიანებია, — იყვირა ლუკამ, — თანაც ხირხიტომ ციების აშლა იცის.

ვინ არის, კაცო, ვის დასჭყივის ეგრე გულადოდ, — გაიოცა შაქრომ და კიდეც წადგა ორიოდე ნაბიჯი იქით, საიდანაც ლაპარაკი ისმოდა.

— ნუკი გაბრაზდები, ლუკავ, შენ რაც მოგე-გუნებება, იმას მოგართმევთ, ჩემო ბატონო.

— ჰოდა, ეგრე ჰქენი!

— ეს ენკენისთვეც ხო განახევრდა, წინამხარ-ში რთველი ჩამთავრდა: ახალი კაკალი, შოთი, მაჭარი... ჰაა, როგორია? ნიგოზი ნება-ნება დაფც-ქვენი და...

— შენი არ მიკვირს! რათ მინდა მაგ ღარიბულ საჭმელებს რომ მაძალებ, მეტი არაფერი გეშ-ოვება?

— რა მოხდა მერე, განა სიღარიბე სირცხ-ვილია? მაშ შენზეც რომ თქვან, ხელმოკლედ ცხოვრობსო, მოგენონება?

— მაგას როგორ იტყვიან, რა ხელმოკლე მე მნახე! მანქანის ფული შეგროვილი მაქვს, აი, რთველს ჩავათავებთ და ვიყიდი.

„რას ამბობს, რასა! — კინალამ გადაიხარხარა შაქრომ, — მანქანა კი არა, ნეტავი თითო წყვილი ნიფხავი გაყიდინათ შენცა და მამაშენსაც, რომ ამ ზამთარს გაყინული გავები გაითბოთ“.

— კარგი, თუ ეგრეა და რთველი მოდის, ერთი კარგი თხა დავკლათ, ნაწილი ხაშლამად გავუშვათ, ნაწილი ჩავაყაურმოთ, ნაწილი ჩავხრა-კოთ...

— მოაშორე იქით, თხის სუნს ვერ ვიტან.

— ვაჰ, რა მიზეზიანი ვინმე ჰყოფილხარ, ლუკავ, წვნიანები შენ არ მოგწონს, თხის ხორცი არ გიყვარს, მაშ მხალეულზე რას იტყვი, ჰა?

— რაო, რა სთქვი? მხალეულიო, შენ მასხარ-ად ხომ არ მიგდებ, ხმა გაიქრე, თორემ თუ ეს ალმასისპირიანი წალდი გადმოგიშვივლე ზევი-დან, ერთ წუთში სულს დაგალევინებ!

— კარგი, კარგი, რა უცებ იცი აპილპილება, შე კაი კაცო.

ეგრე ვინ დაუყმევებია და დაუწოლოფოტებია მიხოს ბიჭსაო, — გაიკვირვა შაქრომ და კიდეც ორიოდე ნაბიჯი წადგა პანტისაკენ. ფეხის წვერე-ბზე აინია და ჯაგრცხილების იქით გადაიხედა, ფალანდადგმული თეთრი ვირი შეიყურებოდა მალა, სხვა იქ მეტი არავინ ჩანდა.

ბიჭოს!

სიბერემდე რა სასწაულს არ შეასწრებ, ღმერ-თო, ადამიანს!

გაოცებისაგან თვალები მუშტისტოლა გაუხ-და შაქროს: თურმე ერთიც ლუკა იყო და მეორეც — შემკითხველიცა და მოპასუხეც — რიგრიგო-ბით იცვლიდა ხმას.

რა თქმა უნდა, არც შაქრომ იცოდა და არც თავად ლუკამ, რომ მონასტრის ხევეში, ბებერ პანტასთან, ერთი მსახიობის თეატრი თამაშდე-



ბოდა, რომლის პიესის ავტორიცა და შემსრულებელიც ერთი და იგივე პიროვნება გახლდათ.

— მე ვინა მკითხავს, მაგრამ ყალიაზე უკეთესი საჭმელი ბევრი არაფერია.

— ყალია? ყალია კარგია, მაგრამ ჯერ ცოტა ადრეა, მთაზე თოვლს რომ ჩამოჰყრის, აი, მაშინ აქვს ყალიას თავისი მადლი.

— ლუკავ, ეგეთი შარიანი არ მეგონე. ვერ იქნა და შენი მოსაწონი ვერაფერი მოვამზადე. იცი, რას გეტყვი? მოდი, თვითონ მითხარი, შენს გუნებას რა ენიაზეა, რა ესიამოვნება და მერე სუფრის განყოფილება ჩემზე იყოს. დამჯერდები?

— არა, არა, განა შენი ყადრი და ფასი არ ვიცი და ეგრე იმიტომ გელაპარაკებ? აბა რა გესწავლება, რა უნდა მოიტანო. ოღონდ ერთს გეტყვი: თევზეული იყოს აუცილებლად, ყველანაირი! ხო იცი, თევზეული ძალიან მიყვარს. ჰო, ხაშლამა ორი-სამი წლის გავსებული მოზერისა, კარგად ჩახრაკული ნამთვეი თოხლი... გეყოფა, ნულარ მალაპარაკებ, დანარჩენი შენ თვითონ იცი... — ხმა ჩაუწყდა ლუკას.

შიან მამაძალსა და ეტყობა, ეს არტისტობაც შიმშილმა მოაგონაო, — სიბრალული შეეპარა გულში შაქროს. თავის აბგას ჩახედა: ხელს გამოყოლებული სანოვაგე ორ კაცს ვერ გააძლბდა, თუმცა კარგად კი მოალორლოცებდა. ის იყო, უნდა გამოჩენილიყო და საჭმელი მიეთავაზებინა, რომ ისევე შემოესმა საუბარი და ფეხი შეაყენა.

— კარგი, ეს ქეიფი ხომ მოვრჩით და მოვიტავეთ, აბა ესლა თუ მეტყვი, სმა-ჭამით ნასიამოვნებ კაცს რა ესურვილება?

— დაიკარგე იქით, რათ იცი ეგეთი რაღაცეები, გამანითლებ ხოლმე ამხელა კაცსა, — დაირცხვინა ლუკამ.

— რა იყო, კაცო, მე გკითხავ, შენ მიპასუხე, შენ ხომ არაფერი დაგბრალდება.

— რათ იცი ეგეთი ატეხვა, ადამიანო?!

— მა როგორ გინდა, ნიკაც სულ მაგას არ ჩაგჩიჩინებს: მორცხვი ქალი — ერთ ქალაქად, მორცხვი კაცი — ერთ ქალამნადაო, უცოლო კაცი და მგელი ერთთაო, ცალი ხელით ტაში არ დაიკვრებაო და რა ვიცი, კიდევ რას არა.

ეს როგორ გავიბოჯიჯგე ფეხი და ვეღარ მოვშორდი აქაურობას, როგორ მოვცდი და დავიშრიტე, ეგრე ძალიან ნამდვილი არტისტიც ვერ შემოიყოლებდა. ამ მამაძალს მხოლოდ სიმღერა კი არა, მსახიობობაც მაგარი შესძლებიაო, — განცვიფრებული უსმენდა შაქროს.

— დამაცა, დამაცა, ლუკავ, აგე, ციცილობაანთ თინაზე რას იტყვი? როგორ ლამაზად მოყვანილი ტანი აქვს, ნანწკარა ჩიტივით არის შეკრული.

— აბა რა გითხრა, მარტო ტანი ხო არ არი, ერთი მუჭა სახე აქვს, ეგ ვის მოეწონება.

— სარდიონას ელიზა? ჭკვიანი, ჭკვიანი, რომ ნიგნი არ არის ჩვენს ბიბლიოთეკაში, მაგას ნაკითხული არა ჰქონდეს.

— აუჰ, რანაირი ქუფრია, მაგის მთხოვნილი ვინ იქნება.

— შიში ნუ გაქვს, შავ ნეზს შავი ტახი არ დაეღვევა, შენ შენი იგულისჭირე.

„იფ, გენაცვათ, ამაზე ამბობენ: უგუნებობა სჭირს და აღარა მღერისო! — ხელები თავისდა უნებურად გაეშალა შაქროს, — ჯერ გემრიელად იპურმარია და ეხლა ქალების არჩევანშია შესული. აღარა მღერის რასა ჰქვია, მე მთელი სიცოცხლე არ მიმღერია, მაშ ჩემი დღენი უგუნებოდ გამითარებია და ეგ არის“.

— ის მითხარი და... ჭიჭიბოაანთ მერი?

— რას ამბობ, ვერან, რომ დადის, გარიელასავით დააქვს ფეხები.

— ბახტურიძიანთ გაიანე? ეგ ხომ თეთრია, ქათქათა, მზისუნახველი.

— სქელია, ჯო, ძალიან სქელი, ეხლა რომ ეგეთია, რომ დაქალდება, რალა იქნება.

„რა ხდება, ხალხო, ეს რა ღვთის წყრომაა, დავიჯერო, დილიდან აქნობამდე მებალის მამალივით ამ პანტაზე ზის და თავის თავს ელაპარაკება? ეტყობა, მართლა გაუგიჟებია ჩემი მაყვალას სიყვარულსა“, — თანდათან ბეზრდებოდა შაქროს ერთი კაცის სმენა.

— იოსებას მერი? მაგასაც ხომ ვერ დაინუნებ?

— ბიჭო, მე ვისი რა დამუნებელი ვარ, ღმერთმა ყველას ხელი მოუშარტოს, მაგრამ ეტყობა, სიარულის დროს კარგად არც მაგისათვის შეგიხედავს, ცოტა ლანგობს.

„უყურებ, როგორი დაკვირვებული თვალი ჰქონია ამ მაიმუნს, — გაიოცა შაქრომ, — თავის სარსად მამას კი არ დამგვანებია, ანაგის ხევის ისე რომ ამოივლის, ქვას ვერასადა შენიშნავს“.

— იიიჰ, ლანგობს რასა ჰქვია, რა დიდი ნაკლი ეგა ნახე, კურდღელს ხომ არ უნდა დაადვენო? მაშ ნადიბაიძიანთ მედიკო?

— აჰ-აჰ-აჰ, ძალიან ჟღალია, მაგფერი აპეურიც კი არ ვარგა, ხარს ახრჩობს.

შაქრო ჩაცუცქდა და პირზე ხელი აიფარა, ხარხარი რომ შეეკავებინა.

— ერიჰაა, ეტყობა, შენს მოსაწონს აქ ვერავისა ვნახავთ, ქალაქისაკენ ხომ არ ავიღოთ გეზი?

— არა, ჯო, რას ამბობ, — ისე დაირცხვინა ლუკამ, — რაა, ჩვენს სოფელში გოგოები გამოილია?!

— მაშინ კოტიტაანთ დალი. ჯერ ძუძუ-მკერდს შეხედე, ერთ ქალად მარტო ისა ღირს.

— არა, ეგ თავს ვერ დაიჭერს, ძმაო, ჩემნაირ კაცს ცოლად ეგეთი გოგო არ გამოადგება.

— პარტენას თამარი? წყნარი კიდევ ეგ არის, ჭინაჭველას ფეხს არ დაადგამს.

— ოოო, ეგ კიდევ ძალიან მჭლეა, ჭენჭიანად ვერ არის, ხელი არსად მოეკიდება.

„დაიცა, დაიცა, მაგათ მგონი ჩვენი უბნისაკენ გადმოუხვიეს!“ — სმენა გაიფაციცა შაქრომ.

— ნიკას ცოლისდაზე რას იტყვი? ნიკა აქებს: იგეთია, კაცს ცივ ქვაზე დასახლებსო. თანაც შეხედე, რომელ ქალაქელს ჩამოუვარდება?

— რას ამბობ, ვერან, ჩემზე რამდენით უფროსია!

— იყოს მერე, გარეგნულად არაფერი ეტყობა და მოსახარშად ხო არ გინდა?!

— ეგ შენ ვერ ატყობ, თორემ რამდენიც უნდა ინანთული წაისვას და გაიგლორტოს, წლებს მაინც თავისი მიაქვს.

— მაშ, აგე, ხეჭრელიაანთ მაყვალა? იმაზე რალას იტყვი?

— მაყვალა? — შეყოვნდა ლუკა, — მაყვალა... ეგ კიდევ რანაირად აბდღვრიალებს თვალებს...

— შე მამა-პაპაძალლო, თვითონ იმისთანა ვინა ჰგდისარ, შენი მოსაწონი რომ არავინ დადის ქვეყანაზედა! — გაცეცხლებულმა შაქრომ მეორე ხმას აღარ დააცადა სიტყვის ამოთქმა და ბუჩქებიდან გლაჯაგლუჯით გამოვარდა მდელიოზე, — ჩემს შვილიშვილს შენი დასაწუნი რა სჭირს, შერეგვერო, შე ხეკრევე, შენა!..

სათქმელი დამთავრებული არა ჰქონდა, რომ ვირსა და იმას შუა ზღართან მოადინა ლუკამ და როგორც დაეცა, ეგრევე დარჩა კიდევ. შაქრო მერეც ვერ მიხვდა: ბიჭმა შიშისაგან მაღლავე დაკარგა გონი, თუ ძირს დაცემისას დაიზიანა რამე — ეგდო და სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობოდა. მოხუცი ფრთხილად დაიხარა, ბიჭს

ხელში შერჩენილი წალდი გამოართვა და აკანკალე-ბული თითები შეძრწოლებულმა მოუსვა სახეზე.

— ეს რა დამემართა, ლმერთო, ვაითუ ჩემი დაუდევრობით ამ სიბერეში კაცი შემომავკვდომო, — ამოიგმინა თავზარდაცემულმა და ლუკას ზედ გადაემხო. ჯერ კიდევ თბილი იყო ბიჭი. დაიცა, მგონი, სუნთქავდა კიდევ! წამოიწია, უმწეოდ მიმოიხედა აქეთ-იქით, თითქოს ამ შუა ტყეში შემწესა და მომხმარეს ეძებსო. იქვე მდგარი ნაღვლიანი ვირის მეტი ვერავინ შენიშნა. სახედარი შავი, ჭკვიანი თვალებით შეჰყურებდა და უსიტყვოდ ჰპირდებოდა: მეც შენი მშველელი ვიქნებიო. წამოდგა, ძლივძლივობით გამართა ელდისაგან დაძახუნებული მუხლები, ვირს ავშარაში წაავლო ხელი და პატრონთან მიიყვანა. დიდი წვალებით ასწია ლუკა — მძიმე იყო მამაძალი — და თავისავე დადყურას მანდიკურად გადაჰკიდა. იქვე დაგდებულ წალდს მოჰკრა თვალი, დასწვდა და აიღო: თუ პატრონი გადაურჩება, აღმასისპირიან არის თუ რაც არის, ეს წალდუნაც დასჭირდებაო და ხელს გააყოლა.

ჯერ კარგად არ იყო შებინდებული, როცა შექრომ ზემო უზნის ორლობებით თავის ეზოში შეაპარა ბიჭი (აბა რა ექნა, ცოცხალ-მკვდარ შვილს მშობლებს ხომ ვერ მიაყენებდა კარზე).

ხელში წალდმომარჯვებული შექროსი და ვირზე უსულოდ გადაკიდებული ლუკას დანახვაზე მაცყვალამ კვილი ატეხა:

— ვაიმე, პაპავ, თვალი დამიდგეს! თუ მაგის გაკეთებას აპირებდი, ეგ წალდი ჯერ ჩემთვის დაგეკრა და ლუკაზე მერე აგწენია!

— რას ამბობ, შვილო, არავინ გაიგოს, შენს გახარებას! — თვალები აცაბაცა გაეცა შექროსი, — სანაღდე ან შენ რა დაგიშავებია და ან ამას? ეგეც არ იყოს, მე ვისთვის რა წალდის ჩამრტყმელი მნახე? ხიდან ჩამოვარდნილს მოვე-პატრონე, ვაიშავიდლით საიდან სად მოვიყვანე. მაღლობის მაგიერია! — და მელოტი თავიდან ორივე ხელით ჩამოიწურა სიმწრის ოფლი.

გონს მოსული ლუკა პირველად მაცყვალას ბრდღვიალა თვალებს შეეფუთა...

ამბის დასასრულს სხვადასხვანაირად ჰყვებიან. ერთნი ამბობენ: ისაკომ სასწრაფოდ დარგო ვენახის ბოლოს სამი თუ ოთხი ჭერმის ნერგი, ცოტა ხანში კაი მოსავალსაც იღებდა, მაგრამ მისომ ძველი წყენა ვერ დაივინყა და მძახილსათვის ვენახიდან ჭერმის ამოსაზიდად არასოდეს უთხოვებია სახედარიო.

ფინალისათვის ქუხილამ ტრადიციული ან-დაზაც კი გადააკეთა:

— სადაც არის ბედი შენი, იქ მიგიყვანს ვირი შენიო, — იტყოდა და ჭროდა თვალები სიცილისაგან ცრემლით ევსებოდა.

მაგ ანდაზისა რა მოგახსენოთ და ახალ-გაზრდებს რომ წინ ანგელოზი დაუძღვებათ, ეგ კი მჯერა.

## ტოპონიმი

თავიდანვე ცუდი უგრძნო გულმა — საათი ხდებოდა, რაც საუბრობდნენ და ერთმანეთისათვის სათქმელი ვერ გაეგებინებინათ.

— ...არა, არა, ბატონო ლადო, ონომასტიკა ფართო ცნებაა და ყოველგვარ საკუთარ სახელს შეისწავლის, მე კი მხოლოდ ტოპონიმები უნდა ჩავიწერო, ტოპონიმები და სხვა არაფერი, — კიდევ ერთხელ ცდილობდა, დინჯად, გამოწვლილვით აეხსნა საქმის არსი.

— ვიცო, კაცო, რად გინდა ამდენი ლაპარაკი, ვინც კი თქვენამდე ჩამოდიოდა, ყველა მაგას არ მიხსნიდა? — გაოფლილ თავ-კისერს ვება ცხვირ-სახოცით იმშრალებდა ზედაშიანის სოფსაბჭოს თავმჯდომარე.

— მინდა განგიმარტოთ, ბატონო ლადო, რო ჩემი სპეციალობისა დღემდე აქეთ ვერავინ იქნებოდა, მე პირველი ვარ.

— ეგეც ვიცო, ეგეც ვიცო, შენს გახარებას, — სახიდან ღიმილი არ შორდებოდა თავმჯდომარეს, — ისინიც ზუსტად ეგრე ამბობდნენ.

ვერა, ვერ იტყოდნენ!

აბა რანაირად იტყოდნენ, როცა ტოპონიმიკისა მაშინ საქართველოში ბევრს არაფერი გაეგებოდა, ჯერ ახალი ხილი გახლდათ და ფეხს იმხანადა კიდებდა ჩვენში. თუმცა სამართლიანობისათვის ისიც უნდა ითქვას, რომ სწრაფი ტემპით მიიწედა წინ და უკვე ეტყობოდა, თავის ღირსეულ ადგილს დაიკავებდა სამაშულო მეცნიერებაში.

მაშ!

მაგრამ არ გინდოდა, ამათთვის გაგეგებინებინა?

— კარგი, მაგაზე ნულარ ვილაპარაკებთ, არ გვინდა, ჩემო... რა თქვი, რა მქვიანო? ჰო, ჰო, პეტრე... — ცხელოდა. თავმჯდომარეს აქედან გაღწევა ეჩქარებოდა, საუბარი კი რატომღაც ჭიანჭურ-

დებოდა და თანდათან უფრო უაზრო ხდებოდა, — ასე რომ, ჩემო პეტრე, შენც ხომ აქ იყავი, კაცი რომ გაგზავნე ლენდერებთან, სადაც არის, მოვლენ და იმათ იციან თავიანთი საქმე. ვინც კი თქვენაირი ჩამოსულა, ყველას ისინი მასპინძლობდნენ. ზედდატანებით ესლა იმისთანა დრო უდგათ, საკეთებელი ბევრი არაფერი აქვთ. ჰოდა, განერიონ და განერიონ, რაც შენს გულს გაუხარდება.

— ჩემი სპეციალობისა აქეთ ჯერ ვერავინ იქნებოდა...

ემტიციებინა, რაა, ვინ უსმენდა?

— ასეა თუ ისე, თქვენ რომ ხალხური ლექსები გაინტერესებთ, ლენდერებზე უკეთესად ვერავინ ჩაგანერინებთ. რა გინდა სულო და გულო, მაგათ არ იცოდნენ.

ლექსები რა ჯანდაბად უნდოდა პეტრეს?!

— არა, არა, ბატონო ლადო, მე ფოლკლორისტი კი არა ვარ, ტოპონიმებს ვინერ! — ერთი დაყვირება ქვეყანას ერჩია პეტრეს.

— ეეჰ, მერე თავიდანვე ეგრე გეთქვა, შე კაი კაცო, — უკმაყოფილება დაეტყო თავმჯდომარეს, — მაგრამ რა ვუყოთ, არა უშავს რა, მაგასაც არაფერი უჭირს. რა ადათ-წესებიც თქვენ გაინტერესებთ, მარტო სუფრისა კი არა, რავი, რისაც გინდა... ფარდაგების ქსოვა იქნება თუ ვირების დანალვა, არ გაგანბილებენ და ყველაფერზე დანვრილებით გელაპარაკებინან.

ადათ-წესები რა ჯანდაბად უნდოდა პეტრეს?!

— მე ეთნოგრაფი არ გახლავართ, არა!

— ძალიანაც კარგი, — არ დაამთავრებინა თავმჯდომარემ, — ძალიანაც კარგი! თუ ვინმე ჩვენი კუთხის კილოკავზე ლაპარაკობს, სწორედ ლენდერები არიან. ზოგჯერ იმისთანა ღრმა სიტყვას გამოურევენ, რომ ხანში შესულებსაც კი პირი ღია რჩებათ.

კილოკავი რა ჯანდაბად უნდოდა პეტრეს?!  
 — ბატონო ლადო, მე დიალექტოლოგია ძალიანაც მიყვარს და ვფასებ კიდევ, მაგრამ ჩემი საქმე სულაც არ არის. ავი გითხარით, თქვენს სოფელში ტოპონიმების ჩასანერადა ვარ ჩამოსული-მეთქი. და ისიც მინდა იცოდეთ, რომ ტოპონიმოლოგია არც ერთ სხვა სპეციალობაზე ნაკლები არ გახლავთ!  
 — რაც არის, ეგ არის, — თავისას არ იშლიდა თავმჯდომარე, — ძველისძველი, მამა-პაპისაგან გადმოცემული ამბები მაგათ იციან, თუ იციან, ნახავ, არ დაგზარდებიან და ყველაფერს მოგიყვებიან.  
 ერიჰაა, ჭკად იყო საქმე.

ფუჰ, აქამდე ეგრე არსად შეფერხებულა, არსად მოსცარვია ხელი.

გამოუცდელი მეთოპონიმე არ ეთქმოდა პეტრეს — მეოთხე წელი სრულდებოდა, რაც სოფელ-სოფელ დადიოდა და ადგილსახელებს ინერდა. ის კი არა, რამდენიმე თვით ერთ-ერთ მოძმე რესპუბლიკაშიც გაგზავნეს მონინავე გამოცდილების ასთვისებლად და კვალიფიკაციის ასამაღლებლად, მაგრამ დღეს, ამ სოფელში ჩამოსულს არც იქაური მეთოდები შველოდა და არც საკუთარი განაფულობა — ყველაფერი წყალში ეყრებოდა. საბჭოს თავმჯდომარეს, ეტყობა, აქამდე არც ტოპონიმებისა სმენია რამე და არც უნდა, რომ გაიგოსო, — ფიქრობდა გულშელონებული, მაგრამ ამასთან, მცირე ეჭვიცა ჰქანრავდა: — ეს ღვთის პირიდან გადავარდნილი ხომ არ დამცინისო. იქნება ძალიანაც კარგად არის გარკვეული ონომასტიკაში და მე მამასხარავებსო. საქმე ის გახლდათ, რომ იმ მოძმე რესპუბლიკაში, სადაც კვალიფიკაციის ასამაღლებლად იმყოფებოდა, ასე მოძღვრავდნენ: თუ გვინდა, რომ საბოლოო წარმატებას მივაღწიოთ, მომიჯნავე დარგები კომპლექსურად უნდა შეისწავლოდესო — ფოლკლორიც, ეთნოგრაფიაც, დიალექტოლოგიაც... და მათ შორის ტოპონიმოლოგიაცო, გაგიხარიათ, ძალიანაც კარგი იქნებოდა, მაგრამ ამხელა საქმეს მარტოკაცი აუვიდოდა?! მაშინ თან ერთი მოზრდილი ჯგუფიც უნდა გამოეყოლებინათ. აქ კიდევ ხომ ხედავდნენ, პეტრეს მეთი არავინ იყო. ერთ კაცს ამდენი რამის კეთება რომ შესძლებოდა, მაშინ სოფელ-სოფელ სანანალოდ კი არავინ გაიმეტებდა!

— აგე, ნახე, — კარისაკენ გაახედა თავმჯდომარემ და ის სამი კაცი დაანახვა, რომლებიც ვინ იცის, რამდენი ხანია იქ იდგნენ, მაგრამ ლაპარაკში გართული პეტრე ვერ ამჩნევდა, — აგე, გახედე, ის ლუკაა, ეს ქუხილა, ანუ ლუარსაბი, ესეც ნიკა. გაჰყევი და თუ მაგათგან უკმაყოფილო დარჩები, აქ არა ვარ? მოდი და სულ თავ-პირში მირახუნე.

სოფსაბჭოს ეზოში მდგარი ვეებერთელა ნეკერ-ჩხალქვეშაც ცხელოდა. განახევრებული აგვისტო ცხარობდა და საქმის კეთების ხალისს უკლავდა, ქმედების უნარს უკარგავდა ადამიანს. ქუხილა შავ, გრძელბუნჯიანი ძაღლთან ჩაცუცქულიყო და ჩუმად უხსნიდა რაღაცას. ლუკა თვალმოჭუტული უგდებდა ყურს ხვივიდან ხევიდან მოღწეულ ჩიტის გალობას.

— წავიდეთ, რაღას ველოდებით, — თქვა ნიკამ და პეტრეს მიუბრუნდა, — რამდენი დღით აპირებთ ჩვენთან დარჩენას, პატივცემულო, რო ჩვენც ჩვენი ანგარიში ვიცოდეთ. თქმულა, თადარიგის დაჭერა ლხინსაცა სჭირდებაო.

— ბევრი-ბევრი სამი დღე დღევანდელის ჩათვლით. სამ დღეში უნდა მოვასწრო ყველაფერის აღწერა და მერე ზემო მალაროში გადავიდე.

— მოესწრება, თავისუფლად მოესწრება, — ძაღლს თავი მიანება და ამბობენ წამოვიდა ქუხილა, თან გუნებაში თითქოს რაღაცას ანგარიშობდა: — ესე იგი, ხვალეც ჩვენია და ხვალზევითიც, ჰა და ჰა, იმასზევითაც. კარგია. მოსწრებით, როგორ არ

მოესწრება, ცოტა ხომ არ არის, სამ დღეში კვიცი ცხენად იქცევა. ოღონდ ხვალდანვე დავინწყოთ, არა?

— რატომ ხვალდან, დღეს წინ რა გვიდგას? — აღარ ინდომა საქმის გადადება პეტრემ.

— მართლაც! ეგ რა კარგადა თქვი! თუკი გული გთხოვს, დღესვე უნდა დავინწყოთ. მაშ!

— მედღევანდელ კაცსაო თოვლი მოადგა კარსაო. ჯერ თოვლი რა დროსია, მაგრამ... — ჩაურთო ნიკამ.

— ჰო, სწორეა. აი, მშივრები ვართ, ცოტა პური შევჭამოთ და დავინწყოთ. ანდა ჩვენი პურისჭამა რას დაგიშლის? შენ წერე, წერე... წამოდი, წარბა, მივდივართ, — გასძახა ძაღლს.

აჰ, არა, არ ეამა ქუხილას სიტყვები პეტრეს.

მოასფალტებული გზიდან ორლობეში გადაუხვიეს.

— ამ უბანს რა ჰქვია? — იკითხა პეტრემ. ჩქარობდა საქმის დაწყებას, დროულად ერჩია მოსათავებლის მოთავება.

— ერთი ეს მითხარი, თუ ძმა ხარ, წელან მომესმა, თუ მართლა უთხარი ჩვენს თავმჯდომარეს: სახელები უნდა ჩავიწერო, ჩემი ხელობა სახელების შესწავლააო? — წინიდან შემოუარა და ნუთით შეაჩერა ქუხილამ.

— დიას, ეგრე იყო, მართლა ვთქვი, მაგრამ მე ყველანაირი სახელები კი არ მაინტერესებს.

— როგორც უნდა იყოს, შენს გახარებას, როგორც უნდა იყოს! სახელების შესწავლა დიდი საქმეა! აბა გაჩერდი და ყური დამიგდე, მე მგონია...

— იარე, იარე, შენ რა გგონია და რა არა გგონია, ვის ეინტერესება, კაცო, — სუფრისაკენ ეჩქარებოდა ლუკას.

— ჯერ იქიდან დავინწყოთ, ჩემო პეტრე, რომ, რასაც სახელი არა აქვს, არც არსებობს. ეგრე არ არი?

— ალბათ... ეგრეა...

— რაც არ დაწვებო, ის არც ადგებო. გაგებულ გეგნებათ ეგეთი ანდაზა, — ჩაერია ნიკაც.

— სახელია, ძმაო, ქვეყნიერებას რო აძლებინებს, თავის ალაგას რო აჩერებს.

— ვერ გავიგე?

— რა ვერ გავიგე, ჯო? სახელი რო არ გვიჭერდეს, სახელის გატეხასა რო არ გვეშინოდეს, ჯოჯოხეთიდან კუპრის კონტრაბანდას დავინწყებდით და იმითაც ფულს გავაკეთებდით. მაგრამ, მადლობა ღმერთს, უმეტესობა სახელის გატეხას უფრთხის.

გულსგარეთ უსმენდა. სახელების ამ კუთხით გამოუქება არ აინტერესებდა პეტრეს.

— ხოლო ვისაც ცოტაოდენი სახელი უშოვია, ის კიდევ უფრო ერიდება წუნკალი საქმის გაკეთებას, სახელის ნახდენას უფრთხის, შთამომავლობაზე ფიქრობს... გამოდი, ძაღლო, აქეთ, წარბა, წარბა, გამოდი აქეთ... ბოდიში... — ძაღლს გაეკიდა ქუხილა.

— ეგრე გეგონოს, ყველას შენი სანყაოთი რო სწყავ, შე საცოდაო, — მიაძახა ნიკამ, ოღონდ ისე, რომ იმას ვერ გაეგო.

— ვინ არის ეგ კაცი, რა მოხელეა? — დაეჭვებულმა იკითხა პეტრემ.

— ეგა? — ნიკამ თვალის ძლივს მოაცილა გაქცეულ ქუხილას, — ეგ იშვიათზე იშვიათა კაცია, ჩვენი თანაკლასელი. ცოტა უცნაური კია, მაგრამ ცუდს ნურაფერს იფიქრებ, ნურაფერი გაგიკვირდებო. ეგეთია. რაც თავი გვახსოვს, ეგ სანყალი სულ სასწაულს ელოდება, სულ რაღაცა კარგს უცდის. სადაც არი, ორმოცს მივატანთ და მაინც ვერ გადაეწვია. ეტყობა, ესლა თქვენი იმედი აქვს, ჰგონია, თქვენში აღმოაჩენს ისეთ რამეს, მაგის მოლოდინს



რო მალამოდ დაედება... ნუ მიაქცევთ ყურადღებას, რა ვუყოთ, აქამდეც მაგისტრანა იმედები გასცრუებია!.. აი, ამ ლაპარაკ-ლაპარაკში მოვედით კიდევ, ეს არი ჩემი სახლი. უცბათ თუ ვერაფერს მოვახერხებთ, პატარა პური მინც ვჭამოთ. ღარიბ კაცს უთქვამს: სტუმარს რო შემწვარი ხახვი მივართვა, ისიც მწვადად ჩამეთვლებო. ჰა-ჰა-ჰა-ჰა.

აქამდე ვერე არსად შეფერხებულა, არსად მოსცარვია ხელი.

ხვალე შუადღისას ერთი კვირა შესრულდებოდა, რაც ზედაშიანში გაიჩხირა, ზედაშიანში ჩარჩა. იდგომლა, როგორც ღენდერები იტყოდნენ. სხვა დროს ამდენ ხანში ორი პუნქტის მოვლას მოასწრებდა და სულ მცირე, სამასამდე ტოპონიმს მინც ჩაინერდა. მეტსაც. ახლა კი ათიოდე თუ ჰქონდა აღრიცხული და ისიც მხოლოდ თავში.

არადა, რა კარგი პროფესია ჰქონდა — ხალისიანი, სისხლსავსე, მრავალფეროვანი. როგორ უყვარდა. ისეთი ცხოვრებით ცხოვრობდა, მოსაწყენად რომ ვერ იცლის კაცი. ყოველ შემთხვევაში, თვითონ ძალიან მოსწონდა — თავის სამშობლოში მოგზაურობდა, უამრავ ადამიანს ეცნობოდა, უამრავ საინტერესო ამბავს იგებდა და თან საჭირო საქმესაც აკეთებდა. ყველა კმაყოფილი ჰყავდა — ხელმძღვანელებიც, ხალხიცა და საკუთარი თავიც.

აქამდე.

ახლა რაღა მომხდარიყო, რა ღმერთი უწყებოდა და რა ბორკავდა, ვერე რად გასჯანჯლებოდა საქმე. ღენდერები ვინ იყვნენ, რომ იმათ ჭკუაზე ევლო თავად ნებანართმეულს? მეექვსე დღე იყო, ესენი, ეს ერთმანეთის სადღეგრძელოებშეზღუბული ღვინისმეტეები პეტრეს ირჩევდნენ თამადად და პეტრეც გულმოდგინედ ცდილობდა თავი მოეწონებინა. ისინი კი ისე შესციცინებდნენ თვალეში, როგორც პაპუასები მიკლუსხო-მაკლას — შენ ჩვენთვის ღვთის ნაბოძები წყალობა ხარო, ციდან მოვლენილი საჩუქარიო, — თავს ევლებოდნენ. ეს კიდევ უფრო თოთხარდებოდა — იქით ადგილსახელები ექაჩებოდნენ, აქეთ ეშხიანად ნათქვამი სადღეგრძელოთი თავმოწონება. მეექვსე დღე იყო, სადღეგრძელო სძალავდა, სადღეგრძელო სჯალდავდა საკეთებელ საქმეს:

— ...ეს იმისი გამარჯვებისა იყო, ვისაც ეხლა ყველაზე ძალიან უჭირს. იმას ულხინოს ღმერთმა, ვინც ყველაზე დაჩაგრულია. იმას მოუფონოს ტკივილები, ვინც ყველაზე მეტად იტანჯება. ის გააძლოს, ვისაც ყველაზე მეტად შია. ის გაათბოს, ვისაც ყველაზე მეტად სცივა...

გაუმარჯოს!

— უჰ-უჰ-უჰ, ეგ რა კარგი სთქვი, შენი გამზრდელის ჭირიმე, — აქებდა ქუხილა, — ეგ რა კარგი სთქვი!

— კარგი ჩვენც მოგვეწონება, ცუდი არც თავის დედასაო, არა, ბატონო ლუარსაბ? — თავი მოსწონდა პეტრეს, — მაგრამ ეს დროსტარება უნდა ვიმყოფინოთ და ტოპონიმებსაც მივხედოთ, მხოლოდ ღვინის სმითა და სადღეგრძელოებით რა გამოვა?

— ეგ „ბატონო“ აღარ გამაგონო, თუ ჩემი ძმა ხარ, ხანჯალივით მერჭობა გულში. გვაშორიშორებს, ისე გამოდის, თითქოს უცხოები ვიყოთ ერთმანეთისათვის.

ფიჭვის პატარა კორომთან ისხდნენ უკვე კარგად შეზარხოშულები, შორიასლოს ჩამომავალი წყაროს ლიკლიკი ყურს საამოდ ესალბუნებოდა. აი, იქიდან მოაცუხუხებდა ლუკა ჩაცივებულ ღვინოს დაცვარული სამლიტრიანი ქილით:

— ეს ბოლოა, ძმებო, ამას რო მოვსპობთ, კიდევ შებინდდება და ჰაიდა აქედან.

— არა, არა, — გააპროტესტა პეტრემ, — ეგეც რომ დავლიოთ, ხვალისათვის ისევ ვერ ვივარგებ

და რა გამოვა, საქმე საერთოდ ვეღარ გამიკეთებია და ეგ არის. მომსპო, გამტანჯა ამდენმა უსაქმურობამ!

— ანდაზა კაი რამეა, პეტრე, ნათქვამია: პურ-ღვინის ნურც ფეხს ამოჰკრავ, ნურც გაეცქევო, — ნიკას სიმთვრალე არ ეტყობოდა, ყველაზე უკეთ იტანდა სასმელს, — რაო, შე კაი კაცო, აქ ჯდომა საქმე არა გგონია? იქნება ჩვენთან პურისჭამას სასჯელად ღებულობ?

— არა, ბატონო ნიკა, როგორ გეკადრებათ, — შეცბა პეტრე, — მაგრამ მხოლოდ ტოპონიმების ჩანერა კი არ მანაღვლებს, თქვენც ხომ მოცდით, ეს რამდენიმე დღეა, ათას რამეში შეგეშალათ ხელი და მაგას მოგახსენებდით.

— ყველაფერს თავისი დრო აქვს, ჩემო პეტრე, ყველაფერს თავისი დრო აქვს. აი, სახანძროში ვეშუაობ, სამ დღეში ერთხელ გავდივარ სამორიგოდ. შენი ჩამოსვლის გამო ორი ცვლა გამოცდა, სხვამ მიბადლა. დაშავდა ამით რამე? მერე მე ვიმორიგებე იმის ნაცვლად და სულ ეგ არი. ლუკამ თავი მიაკლა სიღნაღის სკოლის მშენებლობას, ესლა დაამთავრა და ერთი ათიოდე დღის ქეიფი არ ეკუთვნის? მითხარი, არ ეკუთვნის?

— ეკუთვნის, — მთლად დაბეჯითებით ვერ დაუდასტურა პეტრემ.

— ჰოდა, ეგრე. კიდევ გვითხარი რამე შენებური, დღეს ამასაც მოვრჩეთ და ხვალემ იკითხოს ხვალისა.

ეს ზოგი კაცი რასა ჰგავს, ან ცხოვრობს ნეტავ რისთვისა? რასაც იმოვნის, ინახავს, ვერვინ შიიტყობს — ვისთვისა. არც თავის თავზე დახარჯავს, არც სხვისთვის, არცა ღვთისთვისა, გადაბრუნდება, მოკვდება, დარჩება ეშმაკისთვისა.

აუჰ, რას არაკრავებდა ლუკა!

ისე, კაცმა რომ თქვას, ამათთან ცუდად არა გრძნობდა თავს — ზომიერად ჭამდნენ, ზომიერად სვამდნენ და საქეიფო ადგილებსაც გუნებიერად იცვლდნენ. ერთი ეგ იყო, რომ სუფრას არ ამორებდნენ, თავის ნებაზე არსად უშვებდნენ, არსაით ახედებდნენ და რომელიმე ადგილსახელის ხსენებაზე სიტყვას ხელად ბანზე უგდებდნენ. რა უნდოდათ, რა ჰქონდათ გულში, ვერაფრით ვერ მიმხვდარიყო. ნუთუ მაინცადამაინც ტოპონიმების აღერგია სჭირთო? უკვირდა და საბაბიც ჰქონდა გაკვირვებისა.

— ნუ გენყინება, პეტრე, და ერთი რაღაცა მინდა გკითხო, — უხერხულად ილიმებოდა ნიკა, — ეგ კარგია და მადლობის მეტი რა გვეთქმის, რო ჩამოდიხართ და ინერთ ამდენ რამეს, მაგრამ რატო გასათხრელად არავინ ჩამოდის? ამ ეკლესია-მონასტრებითა და ნაქალაქრებით სავსე მხარეში ეგენი რატო არ ჩამოდიან, ეს მეინტერესება. აი, ხვალე იქნება თუ ხვალზევით, ნავალთ და ჩავინერთ, რო ამა და ამ ადგილს ნეემარი ჰქვიან. კარგია. ეგა ნიშნავს, რო ადრე ნაომარი ერქმოდა. მაგას ჩვენც ადვილად ვხვდებით, სხვა რათ გვინდა? მაგრამ იქ, იმ მიწაში რა დევს, მაგის გაგებას რატო არავინა ცდილობს, აქეთ რატო არავინ იყურება?

— განა ჩვენ საქმეს გათხრა არ უნდა, ბატონო ნიკა? — სადღეგრძელოს სათქმელად აწეული ჭიქა მაგიდაზე ჩამოდგა პეტრემ, — მარტო სიტყვის ჩანერა ბევრს არაფერს ნიშნავს, ამის მერე ინყება მთავარი. იცით, როგორ გავთხრით ტოპონიმ „ნემარს“ და იცით, შიგ რამდენ საინტერესოს აღმოვაჩინეთ? შეიძლება, იმაზე ბევრად უფრო მეტს, ვიდრე მიწაშია. კიდევ გიმეორებთ: ყველაფერს გათხრა უნდა, ბატონო ნიკა, ოღონდ თავისებური.

— ჰო, ეგ კარგადა თქვი, ეგ კარგი იყო! — გაუხარდა ქუხილას.

— მოიცათ, მოიცათ, რაა, ბატონო ლუარსაბ, ეგეთი ქება არაფერში გამოგვადგება, — პეტრე თვითონაც ვერ მიხვდა, რამ ნამოუარა, ეგრე უცებ რამ გაანაწყენა, — თქვენ მე უსაქმური ხომ არა გგონივართ?!

მოულოდნელი სიჩუმე ჩამოვარდა. შარის სიო საიდან დაუბერავს, ზოგჯერ მართლაც ძნელი წარმოსადგენია. ეგეთი სიამტკბილობის მერე რა უნდა წყენოდა და რატომ უნდა სწყენოდაო? გაცუბულნი შეპყურებდნენ მასპინძლები ერთმანეთსაც და სტუმარსაც.

— რა ავებაკე ლაპარაკი იცი, ნიკავ, როგორ დაუფიქრებლად წამოისვრი ხოლმე, რაც ენაზე მოგადგება! — დუმილი ქუხილამ დაარღვია.

— ე, მე მამბრალე? შენგან ეწყინა და მე მამბრალე?! — განინმატდა ნიკა.

— ვინ მოგასენათ, რომ არქეოლოგია ტოპონიმიკაზე ბევრად საჭირო და გამოსადეგიაო? არა, ბატონო! და ეგრეც რომ იყოს, მე რა შუაში ვარ? წამოვიდნენ და თხარონ რამდენიც უნდათ, ჩემი მივლინება ვის რა ხელს უშლის?

— ეგე, ხო გითხარი, შენზე-მეთქი ნაწყენი, — გაუხარდა ქუხილას, — ამათ ლაპარაკს უგდებ ყურს, პეტრე? ამათ რა იციან, რა რა არის. თუ ნივთს ხელი მაგრად არ წაავლეს, ან კარგად არ დაინახეს, თანაც ბევრი, ისე არაფერი სჯერათ. მინაში რას ეძებ, შე კაი დედამამიშვილო, რაა, მინის ზევით მოილიე საქმე?

— აბა მაშ რატომ არის, რომ ჩემს პროფესიას თქვენცა და ესენიც აგდებით ეკიდებით?

— რა აგდებით, კაცო, ვინ გითხრა ეგა?... მოიცა, მოიცა, მე სულ სხვა რამეს გეტყვი: შენი საქმე კარგიც არის და გიყვარს კიდევ, მაგრამ მოცლილები და ფუქსავატები წურც ჩვენ გეგონებით. არც სტუმრების ნაკლებობა გვტანჯავს. არა. ესლა ჩვენ რასაც ვაკეთებთ, საერთო საქმეს სჭირდება, პეტრე, შენ ჯერ ჩვენ უნდა გაგვიცნო კარგად, გაიგო, ვინა ვართ და რა ვართ, რომ ჩვენს წინაპრებზე შეგექმნას აზრი და მერე ამის მიხედვით უნდა მიხვდე, რანაირმა კაცმა დაარქვა და რატო დაარქვა ამა და ამ ადგილს ესა და ეს სახელი. საფუძველი ეს უნდა იყოს შენი საქმიანობისა.

არა ესეთი არაფერი უსწავლებიათ იმ მოძმე რესპუბლიკაში.

— გაგიცანით, ბატონო ლუარსაბ, გაგიცანით და უკვე მეტიც არის, თავიც მოგაბეზრეთ...

— არა, ჩემო ძმაო, სანამ ან სართვლოდ, ან არყის ხდისას, ან ღორის დაკვლისას არ მოგენატრებით და შენი სურვილით არ გვესტუმრები, იქამდე გაცნობაზე ლაპარაკი ზედმეტია.

— ეგრე თითო სოფელს თითო წელი არ ეყოფა, ბატონო ლუარსაბ.

— პეტრე, ხო ვთქვით, რო ეს „ბატონო“ არ გვინდაო? ჩემს სახელს „ბატონო“ რასა ჰმატებს? განა ისე ნაკლებსაპატიოა? გინდა ლუარსაბი თქვი და გინდა ქუხილა, როგორია? მე ქუხილა მარტო ჩემი ხმის გამო კი არ დამარქვეს, ჩემი სახელი რო გაჰქუხდა ამ სამ-ოთხ რაიონში, ჩემი ადგილიდან დამძვრელი და ბეჭებზე დამდები რო არავინ გამოჩნდა, იმიტო დამიძახეს.

— არა გრცხვენინან ამ სტუმარ კაცთან, ჯო? ესლა შენი ტრაპახით უფრო ჰქუხხარ, ვიდრე გაკეთებულთ, — პირზე მიაფრინდა ნიკა, — თავის მოჭრა არ არი, ორმოც მიტანებული კაცი ჭიდაობით რო დაინწყებს ბაქიბუქს?

— სახელი ოხერია, ჩემო ძმაო, რითაც გინდა გქოდეს ნამოუენი, ძნელად დასათმობია. პეტრე, აი, სიღნაღელი კარგი პოეტი როა, ლერი ბეგიაშვილი, იცი?

პეტრემ თავი დაუქნია.

— ეგ ძირად ძველანაგელია. მაგის პაპა ძალიან

შეძლებული კაცი ყოფილა, ბევრი ცხვრისა და ძროხის პატრონი. გამოცვლილ სახელად ბუქურაული უძახნიათ. რო მომკვდარა, სამი ვაჟიშვილი დარჩენია. გაუყვიათ ძმებს ქონება. გაყრისას ლერის მამას თავის წილ მემკვიდრეობაზე ხელი აუღია და უთქვამს: მე მამანემის სარჩო-საბადებლიდან მარტო იმისი სახელი გამაქვს, დღეიდან მეტსახელად ბუქურაულები მხოლოდ მე და ჩემს შთამომავლებს გვერქმევავო. აეგეთი რამეა სახელი.

მაშ!

— იმდენი შენ რა გითხარ, ეგ ამბავი ეგრე არ იყოს, — ისევე ეძგერა ნიკა, — თქმულა: ენა ყველაფერს იტყვის, მაგრამ კაცს ნამუში უნდა ჰქონდესო.

— რათა მხრავ, მწლაკე, რა გინდა, რას ვაშავე? რაც მართლა მოხდა, თუ იმის მოვყვები, ოლონდ ცოტა უკეთესად, შელამაზებულად, მაგის გამო უნდა დამახრჩო?

— ვინ გახრჩობს, შე მართლა დასახრჩობო, მაგრამ ცხოვრებას შენი შელამაზება რისთვისა სჭირდება, სასაცილო იქნება თუ სანუხარი, შენ იმაზე უკეთესად რანაირად მოჰყვები?! შენ რო ყური გიგდოს კაცმა, ქვეყანაზე სიმართლე დაიკარგება.

— ე, მე ხო რაც ნამდვილად მოხდა, იმას ვყვები?

— მტყუნის მამას...

— ეგრე იყოს!

— ვთქვავ?

— თქვი!

— მტყუნის მამას...

— მამლის თავი!

ბავშვობის დროინდელი შემორჩენოდათ.

თითქოს საგანგებოდ ცდილობენო — გაუჩერებლად ლაპარაკობდნენ და ერთ ადგილსახელს შემთხვევითაც არ გამოურევდნენ ხოლმე. აქაც, როგორც ყველა ქართულ სუფრასთან, უპირველესად ზოგადსაკაცობრიო საკითხების გადაჭრას ლამობდნენ:

— ...ბედისა არა მწამს რა. რომ იტყვიან ხოლმე, ეს კარგ ილბალზეა დაწერილი და ის უვარგისზეო, ტყუილია. სხვადასხვანაირი ბედი და სხვადასხვანაირი ცხოვრება არ არსებობს, — შევიდი დღის წამოზრდილ წვერს იფხანდა ქუხილა, — ილბალი რა შუაშია, არსებობენ სხვადასხვანაირი ადამიანები თავიანთივე მიერ შექმნილი სხვადასხვანაირი ცხოვრებით. თუ კაცს მხიარული ხასიათი აქვს, ცხოვრებაც მხიარული ექნება მიუხედავად ქონებისა და ცოდნაგანათლებისა. უფმური თავის მსგავსი უფმური ცხოვრებით ცხოვრობს, ბედოვლათი — ბედოვლათურით და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

— ბედიც სწორედ ეგ არის, ბატონო ლუარსაბ, ვინ როგორ ხასიათისა დაიბადება, — ზრდილობისათვის შეედავა პეტრე, — ბედი განა სხვა რამეა?

— ოჰ, ეგ კარგადა სთქვი, — გაუხარდა ქუხილას, — ეგ კარგადა სთქვი.

— მოვრჩეთ, მოვრჩეთ, მოვრჩეთ, აბა რა ხდება აქა? — ტაში შემოჰკრა ნიკამ, — მარტო ლაპარაკს ნუ გადავყვებით. თქმულა: თუ მასპინძელი არ ღვინობს, სტუმარსაც მოეწყინებაო. კიდევ ერთი სიმღერა ვთქვათ, ლუკავ.

ვერაო, თვალებით ანიშნა ლუკამ. ხელისგულზე ნიკაპამოყრდობილი ხამუშ-ხამუშ ასლოკინებდა.

— რაო, ლუკავ, ველარ? უკვე ველარ, ბიჭო? დარჩი კალატოზობის ანაბარა, შე სანყალო? — ისეთი სინანულით თქვა ქუხილამ, თითქოს სამუდამოდ ემშვიდობებოდა მეგობრის სიმღერას, — ეგ კარგი, მაგრამ იქ რასა შვრები, ქვევით, მართლა მოათავე სიღნაღის სკოლის შენება?

— ჰო, რა არი, რო... — ამოთქვა ლუკამ.

— არაფერი, ოლონდ ესლა ერთი წელი მაინც აღარ უნდა ჩახვიდე სიღნაღში.

— რათა, ჯო?  
— იმიტო რო, ხო ვიცი, როგორსაც ააშენებდი, დაგიჭერენ სიღნაღელები და მკლავს დაგაჭრიან იმ ერთი მცხეთელივითა.

— გასწი, მომწყდი თავიდან, არსაითი ხარ ვი-  
ლაცა... ჩემგან რა გინდა, ეგე ნიკა აქ არა გყავს?..  
— და ისე საცოდავად დაასლოკინა, გული მოგიკვდე-  
ბოდა.

— კარგი, კარგი, სანყენად კი არ მითქვამს, —  
აროხროხდა ქუხილა, — ასლოკინე, რამდენიც გინ-  
და, ასლოკინე, ოღონდ ნიკაზე ნურაფერს მეტყვი, მე  
ის კაცი არა ვარ, მაგისთანებს გაუწყადრო თავი.

— ცოტა ჩანებს მოუჭი, შენს გაზრდას, არაფერი  
გამომტყუო, — აიფოფრა ნიკა, — რა გინდა, ყველა  
პურისჭამა ხო არ უნდა ჩამაშხამო?! თუ მიყვებ და  
მეც ყველაფერი დავფევა? ისიც შეგჩრჩეს, ხალხს რო  
ატყუებდი, ქუხილა ამიტომ დამარქვესო და მე ხმა  
არ ამოვიღე.

— რა უნდა გეთქვა, რო?..

— როგორ თუ რა უნდა მეთქვა, სიღნაღში  
პირველმაისობაზე რო იჭიდავე, მეც იქ არ ვიყავი?  
— მერე?

— რაღა მერე, ბოდბელმა ცალთვალამ რო დაგ-  
ცა, ისეთი ქარი დაგძვრა და დააქუსე, ლაგოდენში  
გაიგონებდნენ. ჰოდა, ქუხილაც მაშინ დაგარქვეს.

— ჰა, ჰა, ჰა, რას არ იტყვის კაცის ენა... მშურო,  
მშურო, მშურო, ეგ საიდანდა მოიგონე?!

— მე მოვიგონე? მე?

— ჰო, შენ, მაშ ვინა?

— მტყუნის მამას...

— ეგრე იყოს!

— ვთქვაა?

— თქვი

— მტყუნის მამას...

— მამლის თავი!

ამხნის კაცებს ბავშვობისათვის თავი ვერ დაელ-  
ნიათ.

ბოლო დღე იყო. თუ რამე მოსასწრები ჰქონდა,  
ახლა უნდა მოესწრო და ქუხილაც გამალებული  
ჰყვებოდა:

— ...ერთხელაც არის, ჩემო პეტრე, და სპორტ-  
კომიტეტის თავმჯდომარე მიბარებს: გუნდი უნდა  
გავიყვანოთ შეჯიბრებაზე, იაპონელებს უნდა შევხ-  
ვდეთ ძიუდოში და შენ უნდა წამოხვიდეო. რას  
ამბობ ე-მეთქი, მე ძიუდოსი რა ვიცი, ნახვითაც  
არსად მინახავს ეგ ჭიდაობა-მეთქი. განა ეგეთი  
ჯანიანი რო ვარ და ქართულში ჩემი წამქცევი  
არავეინ არი, ძიუდოს ჭიდაობასაც შევძლებ-მეთ-  
ქი?!

— ჰო, ბიჭო, მაგისთანა ჯანიანი რო ხარ, იმი-  
ტომაც ვერ დაგცა ბოდბელმა ცალთვალამ და ვერ  
დაგაქუსებინა!

— დაიკარგე, კაცო... აქეთ მომხედე, პეტრე, გენ-  
აცვალე, მაგას ყურს ნუ უგდებ. იცი, რას მეუბნება  
სპორტკომიტეტის თავმჯდომარე? არაო, შენს წონაში  
კაცი არა გყავს და შენ უნდა გავიყვანოთო. ჯანი  
გაქვს, ქართულის ილეთები იცი და სხვა რაღა  
გინდა, აილე და წააქციეო. იფ, შენი გულისა! რა  
იოლია, არა? მაგრამ რას ვიზამ, ხო იცი, როგორი  
დრო იყო, უარს იტყვი და აღარ გინდა რაიონში  
ცხოვრება? ისე შეგავინროებენ, სიცოცხლეს შეგა-  
ძულეებენ...

— კარგი ერთი! მართლა და მართლა, არც  
მთლად ეგრე იყო საქმე. მაშ მე და ლუკა რო არა  
ვჭიდაობდით, ციხეში იმიტომ ამოგვალაშეს?

— რა გინდა, ნიკავ, — ხვეწნა გაერია ხმაში  
ქუხილას, — რა გინდა, კაცო, რატო არ დამაცდი?  
რასაცა ვლაპარაკობ, შენთვის ხო არა ვლაპარაკობ?  
ვისაც ვუყვები, ის არაფერს მეუბნება და შენ რა  
გინდა?

— მეც ხო აქა ვარ, მეც ხო მესმის და გაძლება  
არ უნდა?

— ნუ გეშინიან, არც იგეთი მაღალი ხარ, რო  
ვერ გაუძლო... ჰოდა, ჩემო პეტრე, ეგრე იყო. ესლა  
მართლსოფლიდან არ გამასახლებდნენ, მაგრამ  
მაინც ხო იცი, ცუდად დაინყებდნენ დურდურს: აი,  
შეეძლო და არ წავიდა, რაიონისა და კუთხის ღირსე-  
ბა არ დაიცვაო. ეგრე არ არი?

— ალბათ... — შუბლი შეიჭმუნა პეტრემ.

— მეც ავდექი და დავთანხმდი, რაც იქნება,  
იქნება-მეთქი. ჩავგსხეს ავტობუსში და წავგიყვანეს  
თბილისში. ჩვენს საყურებლად დარბაზში მიღეთის  
ხალში შეყრილიყო. გავედი და დასცხეს ტაში: ლუ-  
არსაბიც აქა ყოფილაო. აბა გარეკაური და კისრუ-  
ლი, შუა სარმა და თავზევიდან გადმოლება —  
ვბრიალებ, რაა, რამდენიც გამომიყვანეს, იმდენი  
დავახებთქე და გავედი ფინალში. მაგრამ მე ჩემი კი  
არ მიკვირს, სხვების ჭიდაობას რო ვუყურებ, ის  
მაოცებს: დაეძგერებიან ერთმანეთს, დაეცემიან ძირსა  
და იქაც ბლლაძუნობენ, გორავენ ერთი სიტყვით,  
წოლელებიც ჭიდაობენ, კაცო.

სად გაგონილა!

მე არა, მე მოვავლებ ხელს, გამოვდებ სარმას  
და დავცემ ბეჭებზე. ჰოდა, გავედი ფინალში. მა-  
გრამ, ერიჰაა, იქ იგეთი მეტოქე დამხედა, დანახ-  
ვაზეც გული შეგინუნებოდა. თავიდან მაინც არ  
შევეპუე, ჩემი ვცადე; ჩავავლე ხელი და შევაჯუნ-  
ჯლუსხე. შეჯუნჯლუსხეა ეგრე არ უნდაო, გაბრაზ-  
და იაპონელი, წამაქცია და დამიწყო ხელ-ფეხის  
ტრიალი. ვაი შენს ლუარსაბსა! რა გინდა, შე  
ოხერო, ხო წამაქციე, მაშ აღარ დამეხსნები-მეთქი,  
ვფიქრობ გუნებაში, მაგრამ არა, მჭმუჭნის, მგრეხ-  
ამს, კაცო, სიკვდილი სანატრელი გამიხადა. ახ,  
ერთი ამის მაგივრად ჩვენი სპორტკომიტეტის  
თავმჯდომარე მომცა-მეთქი, ვნატრობ, მაგრამ სად  
არი? თურმე დაარტყი ხელი ხალიჩას და მორჩება  
ყველაფერი, მაგრამ მაშინ რა ვიცოდი. არადა,  
მკლავს ეს ოჯახქორი! ამომიბრუნა ხელ-ფეხი, კაცო,  
დამგრისა, თავი საითა მაქვს და ბოლო საით,  
ველარ გამიგია. სანამ მთავარი სული ამომივიდო-  
და, თვალი ერთხელაც გავახილე და ცხვირწინ  
უკანალი დავინახე. მოვიკრიფე უკანასკნელი ილა-  
ჯი და რაც ძალი და ღონე მქონდა, ჩავკბინე.  
ჩავკბინე და ისე გავმწარდი, ჩემმა ღრიალმა იქაუ-  
რობა შესძრა...

— ეგ რაღად, ბატონო ლუარსაბ? — გაიოცა  
პეტრემ.

— ჩემი გამოდგა!

— თქვენი რა გამოდგა, ადამიანო?!

— ის უკანალი ჩემი გამოდგა, ბიჭო, თურმე  
საკუთარი დუშისათვის მიკბენია და ისე ვიბლავლე,  
რო ჩემი მონინალმდევე შიშისაგან ხალიჩის იქით  
გადავარდა... ამიტომ გამარჯვება მე ჩამითვალეს  
და პირველი ადგილიც ავიღე!

— ფუი, შენი... ეს ვარიანტი ჯერ არ მოუყო-  
ლია, — გვერდზე გადააფურთახა ნიკამ.

ქუხილამ მუდარით შესხედა.

— რაში მოგცეს გამარჯვება, მოჭიდავე ხალი-  
ჩიდან რო გადააგდე, იმაში? — განინმატდა ნიკა,  
— შე უნამუსო, ძიუდო სუმო ხო არ იყო, ხალი-  
ჩიდან გადააგდებაში მოეცათ პირველი ადგილი.  
გაგონილა, ხალხო, ეგრე თავლში ნაცრის შეყრა?!

— რათა, კაცო?

— რათა და, სულ სხვადასხვანაირად ხო არ  
უნდა გვატყუებდე ერთსა და იმავე ამბავს?

— ეჰ, ნიკავ, ნიკავ, რო იცოდე, ერთი და იგივე  
ამბავი რამდენნაირად შეიძლებაოდა მომხდარიყო  
და ვერ მოხდა, გული გაგისკდება კაცს.

— ეგ კი არ არის, შენ გინდა, უფრო ლამაზი  
იყოს ეს ნუთისოფელი, მაგრამ ვერაო, რანაირიც  
არი, ამაზეც მაძლობა თქვი.



— შენ სხვა რამეზე ნუ გადაგაქვს ლაპარაკი, იმაზე რას იტყვი, ის მედალი შინ რო მიდევს? შორს ხო არა ვცხოვრობ, რა ვქნა, მე წავიდე მოსატანად თუ წარბა გაუშვა?

— წარბა გაუშვი, ის შენზე პატიოსანია.  
— ააქვს, ნიკავ, ნამდვილად ააქვს, მეც მინახავს,  
— ამოიკვნესა ლუკამ.

— შენ გაიქრე ხმა! განა მე კი არ მინახავს ისიცა და სხვაც, მაგრამ ნამდვილად რო ჭიდაობდა, იმიტომ მისცეს. მაგ იკლიკანტურ ამბავს რაღად იგონებს? უნამუსოა და მატყუარა...

— რათა, ქრისტიანო, რას მერჩი, — იხტიბარი არ გაიტყუა ქუხილამ, — მოჭიდავე ვიყავი, ძმაო? — ვიყავი. პირველი ადგილი ავიღე? — ავიღე. მედალი მიდევს შინ? — მიდევს. სხვა რაღა გინდა? იქნება მართლაც არ იყო ზუსტად ეგრე, როგორცა ვყვები, მაგრამ მაინც არ არის ტყუილი, ხო შეიძლება ეგრეც მომხდარიყო? ჰოდა, რაც შეიძლება მომხდარიყო, იმას ტყუილი არა ჰქვინან.

მაშ!  
მით უმეტეს, რო ეს ამბავი ნამდვილად ეგრე მოხდა.

— მტყუნის მამას...  
— ეგრე იყოს!  
— ვთქვა?

— თქვი.  
— მტყუნის მამას...  
— მამლის თავი!  
აუჰ!

P.S. ონომასტიკა ერთ-ერთი დარგი გახლავთ ენათმეცნიერებისა და ყოველგვარ საკუთარ სახელს შეისწავლის. იგი რამდენიმე ქვედარგად განიყოფება: ანთროპონიმია — პირთა გვარ-სახელები (ლუარსაბ ნალფარიშვილი, ნიკა ბახტურიძე); ეთნონიმია — ხალხთა და ტომთა სახელები (ჰერები, ქიზიყელები); კოსმონიმია — ციურ სხეულთა სახელები (ხარიპარია, მრავალი); თეონიმია — ღმერთებისა და მითოლოგიურ პირთა სახელები (ელია, ანყაფუზ დევი); ზონონიმია — ცხოველ-ფრინველთა საკუთარი სახელები (მერცხალა, წარბა, ელეფთრე), რაც შეეხება ტოპონიმიას, იგი ადგილსახელებს შეისწავლის...

თქვენ ახლა ფიქრობთ, რა სისულელეებს ჩმანავს, ამისი ცოდნა რა ოხრად გვინდა, სად გამოვადგებო. ნუ აჩქარდებით, დასკვნას ნაადრევად ნუ გამოიტანთ. თავიდან მეც ეგრე მეგონა, მაგრამ ისეთ ადგილას დამჭირდა და ისე გამოვიყენე, რო თქვენი მონონებული.  
მაშ!

# რეკვიამი ჭინკაბისათვის

გინდოდა თუ არ გინდოდა, სიღნაღში მიმავალს ჩავლითაც აქეთ უნდა ჩაგველო და ამოვლითაც აქეთ ამოგველო — მოკლე გზა ოდესღაც გაუქმებულ სააგურეს ჩაუდიოდა გვერდით. თავისთავად სააგურეს, გაუქმებული იქნებოდა თუ გასაუქმებელი, რა უნდა დაეშავებინა ვინმესათვის, მაგრამ ადგილსა ჰქონდა სახელი გატეხილი — ნაძრახაო, ამბობდა ხალხი, — აქაურობას ჭინკები ჰყვანან დაპატრონებულე-ბიო. აი, სწორედ ამ ჭინკების მნახველთა მნახველები ირწმუნებოდნენ დაბეჯითებით: მაგ ამოსაწყვეტებს აკლებული აქეთ აგურხანა, ზოგჯერ პირველად მიდანვე ისეთ ჩარფუზანას ჩააბამენ, იმათი ჭყვიტი-ნი და ჟივილ-კივილი გათენებამდე ისმის, გათენებამდე აღარ ჩანყნარდებიან ხოლმეო.

თქმით კი ეგრე ამბობდნენ, მაგრამ ლაპარაკი ლაპარაკად რჩებოდა, ჩვენ, მიუხედავად ძალიან დიდი სურვილისა, მცდელობისა და მონადინებისა, ვერ იქნა და ვერა ვნახეთ რა. ბავშვებს იქ თამაშს გვივლიდნენ, ოღონდ მთლად მკაცრად ვერა — დიდმაცა და პატარამაც მშვენივრად ვიცოდით, რომ მთაგორიან სოფელს ამაზე კარგი გასადევარი არსადა ჰქონდა და ჩვენც დიდიდან სადამომდე იქ ვეყარენით, აგურხანის ოდინდელი პატრონის მიერ დარგულ უკვე გადაყურებულ ხეხილს ვეხვოდით, ქვებითა და მოკლე სასროლი ჯოხებით კაკლებს ვაყრვივინებდით, ბარდებში ჩიტის ბუდეებს დავეძებდით ეკლებ-ისაგან ხელ-ფეხდაგაზულები. ის კი არა, თებერვალში ხის საქანელასაც იქ ვაბამდით, მაგრამ მთელი ყველიერი უხიფათოდ და უშარბოროტოდ ჩაივლიდა ხოლმე, ფათერავი არაფერი გვახსოვს.

ეგ დღისით, დღისით ჩვენა ვჯაბნიდით და სააშკარაოზე გამოვლას ვერა ჰბედავდნენ, მაგრამ ღამე უმეტესად იმათი იყო, ღამით ვერ ვეტოქებოდით. შებინდებოდა თუ არა, იმ არე-მიდამოს ყველა ერიდებოდა, პირუტყვს არავინ დატოვებდა, ადრინადად მოიკითხავდნენ: ემანდ ღამით იქ არ დაგვრჩეს და ჭინკებმა არა მოსწიონ რაო. რა ვქნა, ცოდვას ვერ დავიდებ და იმას ვერ დავაბრალებ,

სხვა საქონლისათვის რამე ევნოთ, მაგრამ, აი, ცხენებს კი მართლაც სიცოცხლე გაუშწარეს იმ სახსენებელამოსავარდნებმა — სოფელმა საშველი ვერაფერი მოუნახა. იმათზე არც დაკარგულის ლოცვა სჭრიდა და არც მგლის პირის შესაკრავისა: დაიჭრდნენ რომელიმე ცხენს, მთელ ღამეს ქანცის განყვეტამდე დააჭენებდნენ აქეთ-იქით და ამასაც არა სჯერდებოდნენ, თან ფაფარში ისეთ ნაწნავს გაუკეთებდნენ, ველარავინ გამოსხნიდა ხოლმე.

ეგ ხოლ აიყო ვითომ?  
ის ხომ არა, რომ კაციან-პირუტყვიანად ყველას მასხრად გვიგდებდნენ?

ატყდა მითქმა-მოთქმა, ალიაქოთი, დაიწყეს სადღაც ზევით მიწერ-მოწერა. ვისაც ამისი უფლება ჰქონდა მოპოვებული, ცხენებს იმ ნაწნავებს აჭრიდა და ქალაქში გზავნიდა. ეს არ იკმარეს, თბილისიდან განათლებული ხალხი ჩამოვიდა საქმის ადგილზე შესასწავლად. რაღაცები აწონეს, რაღაცები გაზომეს, ნააგურხანალიც დღისით ჩვენთან ერთად მიიარ-მოიარეს და ბუჩქებქვეშაც შეიხედეს. ღამითაც რამდენჯერმე ვიყავითო, თქვეს და ხალხი დაამშვიდეს:

— დღეიდან ნულარ შემოთდებით, ამხანაგებო! ჩვენ აქ თქვენს საშველად ვართ ჩამოსულები. არაფერზე იფიქროთ, ფიქრს მოუშვით და კვლავ თქვენი საკეთებელი აკეთეთ. იმუშავეთ, ძველებურად გაისარჯეთ და დანარჩენი ჩვენ მოგვანდეთ. ესლა ახლოს მოიწიეთ და რასაც გეტყვით, კარგად მოგვისმინეთ: აქ რაცა ხდება, ეგეთი რამე სხვაგანაც არ არის იშვიათი. მოჩვენებით რა გეჩვენებათ, არ ვიცით და არც გვეკითხება, მაგრამ თუ სიმართლე გინდათ შეიტყუოთ, გაგიმხელთ, რომ ეგ საქმე სინდოფალას ნაქნარია, — და საკითხის ირგვლივ მეტი ნათლის მოფენისათვის უცხოელი ავტორიტეტებიც შეანუხეს, — სახელგანთქმული ზოოლოგი მანტიფილი წერს, რომ სინდოფალას როცა მარილი მოუნდება, ცხენს ზედ შეახტება, კისერს ულოკავს და თან ფაფარს უწნავსო. დამფრთხალი და შეღონებული ცხენი კიდევ ირბენს, აბა რა იქნებაო?



მტკიცებულებას წყალი არ გაუვიდოდა, მით უმეტეს, რომ სოფლები კარგა ხანია მიჩვეულიყვნენ ზევიდან ნათქვამის შეუკამათებლად დაჯერებას. აქამდე იმისთანები დაეჯერებინათ, რომ ცხენის ფაფრის დანჯვრა რაღა იყო ვითომ? განათლებულებისათვის სიტყვა არავის შეუბრუნებია. ერთი მარტო ქუხილა იჩეჩავდა მხრებს ეჭვიანად:

— სანდოფალა ის არ არის, კაცო, ჩვენ რო დედოფალას ვეძახით?

— რა ბრძანეთ, პატივცემულო? — ინტერესით აახამხამა თვალები განათლებულმა.

— ხო ატყობ, ყურმძიმე როა, ცოტა ხმამალა უთხარი, ვერან, — შეეხმინა ქუხილას ვალასოკა.

— სინდოფალაზე გეკითხები, ქრისტიანო, სინდოფალაზე, დედოფალა არ არის ეგა? — ხმას აუნია ქუხილამ.

განათლებულმა მძლავრად დაუქნია თავი.

— მერე მაგ სამგლემ რა ისეთი აღზევანი ცხენის კისერი ნახა, ჰა? და მეორეც: გაჭენებულ ცხენზე სამკვეცი ნანწავის გაკეთება თათებით რანაირად შეიძლება?

პასუხის მოსმენა ვინ დააცადა, ნიკა და ლუკა აქეთ-იქიდან ამოუდგნენ და წაჩმუნეს, — ხმა ჩაიდევდა და ნამოეთრიე, ესლა ჩვენ სინდოფალასათვის გვცხელა? — ნიკამ მეტი დამაჯერებლობისათვის ანდაზაც მოიშველია, — თავში ვინ ჩატხლიშო და — ჩემმა ენამო, არ გაგიგია? რა გინდა, რა გალაპარაკებს, რაც შენ არ გეკითხება, იქ რათა ვარდები ტარმოტეხილი გუგუთივითა?

მერე ზევიდან ამბავი მოვიდა: — მაგ თქვენი ცხენების ფაფრის ნანწავები მოსკოვშიაც დაათვალიერეს მეცნიერებმა, საზღვარგარეთაც გაგზავნეს, მაგრამ იქაც ვერაფერი გაიგეს. ესე იგი, როგორც ჩვენ გითხარით, ყველაფერი ისე ყოფილაო. ჰოდა, ან ვინც იმ ნანწავებსა წინაეს, იმან მოისვენოს, ან თქვენ მოეშვით მამამალლობას, არაფერი გამოგვტყუოთო. თუ არადა, ვისაც ცხენები გყავთ, დაყიდეთ და ყველამ ვირები გაიჩინეთ, იმათ ვინ რაღას დაუნწავსო.

სოფელში ვირების ნაკლებობა ისედაც არ იგრძნობოდა, აი, იქამდეც თითებზე ჩამოსათვლელი ბედაურები კი თანდათან მართლაც გადააშენდნენ.

რომ გითხრათ, ხალხს ჭინკების მეტი სალაპარაკო არა ჰქონდათ რა-მეთქი, ტყუილი იქნება და არც თქვენ დამიჯერებთ. ხანგამოშვებით, რალაცნაირად, ტალღა-ტალღა ნამოვიდოდა ხოლმე ვილაცების ნათქვამი ჭინკების მახვილაკობასა და ოინბაზობაზე, გამოცოცხლებოდა, აფორიაქდებოდა სოფელი და ცოტა ხანში კვლავ ჩანყნარდებოდა, მოზომდებოდა ძველებურად. მერე ნამოვიდოდა ახალი ამბავი და ხალხიც აქაქანდებოდა მცირე ხნით, შეიყრებოდა ერთად დიდ-პატარა და ისევ მალევე მოეშვებოდა, მოფლოსვდებოდა, მიჰყვებოდა უწინდებურ მდინარეებსა.

ლენას გოგია ფოსტის უფროსის მოადგილედ მუშაობდა სილნალში და რასაკვირველია, იმასაც აგურხანასთან უწევდა სიარული. დილით რა უჭირდა, დილით სხვებთან ერთად ჩაივილიდა ყელმოღერებულში, მოკაზმული, პენიანად ჩაცმულ-დახურული, აი, ამოვლით კი გვიან ღამით უწევდა ამოვლა და ეგ გახლდათ ხათბალა. ისიც დადიოდა, აბა რა ექნა? იარა ეგრე ერთი წელიწადი, არაფერი მომხდარა. ორი წელიწადი — არაფერი. სამი წელიწადი — ისევ არაფერი... მართლა და მართლა, განა როდემდე მოიტანდა კოკა წყალსა? ერთხელაც მთვრალს, ღიღინ-ღიღინით მომავალსა და მთავრის ამოსვლის მოიმედეს ჭინკები დახვედროდნენ და სულ მურაკისა და მაყვლის ბარდებში ეგორავებინათ, ის თეთრი პერანგი ფარო-ფარო შემოეწუნნათ, თანაც ერთიანად დაეკანრათ და დაელილავებინათ.

— პირველად ეგრე მეგონა, მესუმრებიან-მეთქი კეთილძაღვლები! აბა ეს რანაირი ხუმრობაა, ხუმ-

რობას ამას ეძახიან, კაცო?! — პერანგის ნარჩენებს დააფრიალებდა გოგია.

— მაგან ხმა გაიქროს და ცოტა ენას კბილი დააჭიროს, თორემ თუ ჩამოუქროლე ალალივით, იმ ფოსტის ოხრად დავატოვებინებო, — ლენას გოგია-სთან დაებარებინა მილიციის უფროსს, — გარდა დაკანრულისა და დამკანრავისა ორიოდ კაცმა სხვადაც იცის, ეგ ნასახი ვინც დაადოო.

ესენი კიდე, მართლაც რომ ჭინკები იყვნენ, ოხრები, სახუმაროსა და სალაპარაკოს არ უღვევდნენ სოფელს, ყოველდღიურ წვრილმან საფიქრალს აფერმკრთალებდნენ, თუ ვინმეს ვინმესი წყენა და ღარღლი ჰქონდა გულში, ავიწყებდნენ, ყველას ერთად შეჰყრიდნენ და ერთად ახარხარებდნენ.

— ბოლო დროს მეტისმეტი მოსდით, თავს გაუვიდათ, აგურხანას აღარა სჯერდებიან, სოფელშიაც დაინყეს ნანწალიო, — ჩიოდა ხალხი, — ნუხელ უნდოდა ბუქანას ეზოში შესულან, უბორიალინათ, კიბესაც მისდგომიან აივანზე ასასვლელად, მაგრამ ბუქანას ნაკურთხი ლურსმნებით ჰქონია შეჭედილი მოაჯირი და ვერ მიჰპარებინაო.

— მოდგებოდნენ მოაჯირთან, აინეოდნენ პატარა ჩლიქებზე და აჭყვიტინდებოდნენ უკმაყოფილო გოჭებივით, მერე ჩაიმალებოდნენ. არ გაივლიდა ცოტა ხანი, რო ისევ მოდგებოდნენ და აჭყვიტინდებოდნენ გოჭებივით, — ამბობდა ბუქანა, — ჯერ დამეზარა ადგომა, ძილის გამწარება არ მინდოდა, მაგრამ რო აღარ მოისვენეს და აღარ მოზებრდათ ჭყვიტინი, ვიფიქრე, ესენი მეზობლებსაც გააღვიძებენ-მეთქი, ნამოვხტი, ნამოვავლე სახრეს ხელი და აბა გიყვარდეს! დავიფრინე აგურხანისაკენ.

ბუქანას ნათქვამს სიტყვასიტყვით იმეორებდნენ დილადრიანად დინგაზე შეყრილი კაცები.

— რათ იცით ეგეთი აკაბაკე ლაპარაკი, ხალხო, — გაღიზიანების სიცილით შენიღბვას ცდილობდა ქუხილა, — უნდოდა ბუქანა ისედაც ჩრდილზე ფრთხის, შიშისაგან ღამით გარეთ მოსაფსმელად ვერ გამოსულა და რა ჭინკების დამფრენი ეგა ნახეთ?!

უკვე კარგა შემგლიფერებულზელა ითქვა: კვირას ბოღბისხევის ბაზარზე ნაყიდი ორი გოჭი მოუპარავთ ბუქანას საღორიდანო.

დინგაზე შეყრილ კაცებს თავის მხრივ ფრიად ორიგინალური და სხვებისაგან ძირეულად განსხვავებული ვერსია წარუდგინა ნანწკარას ბიჭმა ირაკლიმ:

— რა გითხრათ, იცით? ცოტა თვალი გაახილეთ, გაიხედ-გამოიხედეთ და თავშიც რალაცა შეუშვით. ესლა სხვა დროა, ძმოა, გამოიჩირჩნა ქვეყანა, თქვენ კი ისევ კამეჩის რქაში სხედხართ! რალა დროს ცრუმორწმუნეობის ჭაობში ჩაფლობაა, რის ჭინკები, რა ჭინკები, ხალხი მთვარეზე მალაყებს გადადის და თქვენ ისევ ჭინკები და ქაჯები გელანდებთ?! ან გავთი და წიგნი წაიკითხეთ, ან რადიოს მოუსმინეთ და გაიგეთ რამე, ანდა თქვენზე უფრო ჭკვიან კაცს დაუგდეთ ყური.

ჰოდა, უგდებდნენ ისინიც ყურსა:

— აბა კარგა მომისმინეთ: მინდა იცოდეთ, რომ ჩვენსოფლებს ბედმა მართლაც გაგვიღიმა და ისეთ განსაკუთრებულ ადგილას მოგვინია ცხოვრებამ, სხვები რომ ვერც იოცნებებდნენ! აჰ, ამ ჩვენს აგურხანასთან ორი სამყაროს, ჩვენი და სხვა, პარალელური სამყაროს შესაყარია, ურთიერთში გამევალი ძარღვია! არ გესმით, რას გელაპარაკებით?!

აი, ამ ძარღვით ზოგჯერ იქიდან იმ სამყაროს ბინადარნი შემოდინ ჩვენი ამბების გასაგებად, ჩვენთვის თვალის შესავლება, თავიანთი ცნობის-მოყვარეობის დასაკმაყოფილებლად. ჩვენ კი ჩვენი უვიცობის გამო, ხომ არ შეიძლება, ჭინკები და ავსულები ვუნოდოთ და შეურაცხყოფა მივაყენოთ? კარგი და, თუ ავსულები არიან, რატომ არავის

არაფერს უშავებენ? დიდი ამბავი, ცხენს თუ ფაფარი დაუნნეს, ჰარიქა, მაგ ზარალს ველარ გადავიტანთ, არა? ვაი, თქვენ რა გითხარით...

მოდი, აი, დღეიდან შევთანხმდეთ, რომ სხვასამყაროელ სტუმრებს ჭინკებად ნუ მოვიხსენიებთ, ნუ ვანყენებთ, უხერხულა! ხომ არა გგონიათ, რომ ჩვენი ნათქვამი არ ესმით?

სოფლები ირაკლის არ შეჰკამათებინან. იდგენენ, ვერდაფარული შურით შეჰყურებდნენ ამ პატარა, გამხდარ კაცს და შიგადაშიგ სიფრთხილით ეჩურჩულებოდნენ ერთიმეორეს: ეგაო ღამლამობით ამერიკიდან ქართულ რადიოგადაცემებს უგდებს ყურს და, ალბათ, ჩვენზე მეტი ეცოდინებაო. ერთი თალია სხვებიც უსმენდნენ „ამერიკის ხმას“ ვაშინგტონიდან, მაგრამ ხრიალ-შხრიალში ცალკეული ბგერებისა და სიტყვების მეტი რომ ვერაფერი გაარჩიეს, მობუზრდათ და მიანებეს თავი. იმას არა და, იმის შეუდრეკლობას აქებდნენ დინგაზე შეყრილები: მონასმენიდან აზრი ვერც ნანწკარას ბიჭს გამოუტანია, მაგრამ ყოველ ღამით ისევ ისე ჯიუტად უსმენს და ნუ შეედავებოთ, ჩვენზე მეტი ეცოდინებაო.

აქ უკვე ნიკა ველარ დააკავა ლუკამ:

— ჯო, უთავბოლოდ განათლებულო, პარალელური სამყაროო, რო იძახი, ის მაინც არ იცი, პარალელური ხაზები ერთმანეთს არასოდეს ჰკვეთენ?

— მერე რაო, ვითომ მაგით რა გინდა, რო სთქვა?

— რაა და, თუ მართლა პარალელურია და ერთმანეთთან არაფერი გვაკავშირებს, მაშ რისთვის გავახსენდით, ეგრე რამ დაინტერესათ აქაურობით?

— აბა კარგად დამიგდე ყური, ნიკავ, — ხის ძირას დაგდებულ ლოდზე შედგა ირაკლი და თვალი ყინა და მოავლო მსმენელებს, — ნარმოიდგინე ორი პარალელური შარაგზა, იხინი ერთმანეთს არასოდეს გადაჰკვეთენ, მაგრამ გვერდიგვერდ არიან და ერთ შარაგზაზე მოძრავი მანქანები თუ უსუფთაო სანჯავზე მუშაობენ, იმათი გამონაბოლქვი მეორე შარაგზამდე არ მივა?

— რას ამბობ, ჯო, შენ მთლად ხო არ გარეკე, შარაგზა და მანქანები რა შუაშია?

— დააცადე, თუ ძმა ხარ, დააცადე, ბოლომდე თქვას, იქნება რას ამბობს, — შეეხვეწა ქუხილა.

— მამწყდი თავიდან! — შეულრინა ნიკამ.

— ოოჰ, შევლონდი, ნიკავ, და შენ კი ვერა გაგაგებინე რა, — ამოიოხრა ირაკლიმ, — რაკი ეგრეა, პირდაპირ გეტყვი ყველაფერს: შენ და შენი ძმაცაყვები უდარდელი ხალხი ხართ და ქვეყნიერებაზე რა ხდება, ფეხებზე გკიდიათ. დღე და ღამე გამობრუნებულნი დაღენდერაობთ და უწმინდურობის სუნს რანაირად იგრძნობთ?.. ბევრი რო არ გავაგრძელო, ეგენი აქ იმისათვის მოდიან, რომ ჩვენი ტვინებიდან გამობოლქვილი უკეთურობისა და ბოროტებისაგან განმენდაში დაგვემარონ, რადგან ეშინიანთ, ამ ჭუჭყმა და სიბინძურემ იმათ სამყარომდეც არ მიაღწიოს... ჯერჯერობით მხოლოდ გვაკვირდებიან, იმ ძარღვის საშუალებით შემოდიან ჩვენთან და გვაკვირდებიან...

— შენა, მამხედე, რა იქნება, რო გვეჩვენონ, დაგვენახვონ კიდევ ეგ დალოცვილიშვილები?! — ისე შეეხვეწა ქუხილა, თითქოს მართლა ნანწკარას ბიჭის სიტყვაზე დადიოდნენ სხვასამყაროელები.

ნიკაც, ცოტა არ იყოს, შეფიქრიანებული ჩანდა, მაგრამ არ იმჩინებდა:

— მაიცა, მაიცა, ღმერთი გიშველის! ძარღვი კი არა კიდევ ისა, რა ჰქვია... ძარღვი! თუ ეგრე ადვილია შიგ გაძრომ-გამოძრომა, რატო ერთხელ შენც არ გასძვერი, რაა, ვერ გაეტეოდით? ნადი, გადაავლე თვალი იქაურობას, ყურით მოსმენილს თვალით ნანახი არა სჯობია? ვინ იცის, მადლობლებიც დაგრჩენ საპასუხო სტუმრობისათვის, მაგრამ რაღაცა ვერ

გატყობ, რომ შენ სხვა სამყაროში გადასახლება გეხალისებოდა!

— ბნელი ხარ, ბნელი, აბა რა გელაპარაკო, — ხელი ჩაიქნია ირაკლიმ და ლოდებიდან ჩამოხტა.

ესენი ერთმანეთთან დავა-კამათს უნდებოდნენ, ამასობაში კი ჭინკები მთლად თავს წავიდნენ, — უკვე დღისითაც გამოდიან და დასცილიან ადამიანებსო, — ამბობდა ხალხი.

მონტიორი ვალასოკა ირწმუნებოდა:

— სამშაბათ საღამოს ხო ამოვარდა ქარი, არა? ხო გამოითიშა დენი და ხო ვიყავით ორი დღე უსინათლოდ? ჰოდა, აგურხანასთან რო ბოძია, სწორედ იქ ჩანყვეტილიყო მავთული. ავდექი და ავედი ზედ გადასაბმელად. სქელძირიანი ფეხსაცმლები მეცვა, კაცო, და ზედაც „კოგტები“ მქონდა წამოცმული, გაიგეთ? ის იყო, მოვრჩი გადაბმასა და მომეპარნენ ქვემოდან ეგ ოხრად დასარჩენები და დამიწყეს ფენის გულზე ლიტინი. რანაირად ახერხებდნენ, ე, როგორ ატანდნენ იმსისქეში! კინალამ გავექდი სიცილით. ველარ გავუძელ, ვკარი ფხაჭი და გადმოვხტი. კიდევ კარგი, ჯაჭვით არ ვიყავი მიბმული, თორემ რა მეშველებოდა?

— სანამ ბოძზე ასძვრებოდი, რამდენ ბოთლში იჯექი, არსაითო? — ჰკითხა ქუხილამ.

— არა, ვერან, რას ამბობ, როდის იყო, ბოძზე მთვრალი ავდიოდი, ორი თავი კი არა მაქვს, — უარობდა ვალასოკა.

იმ წელიწადს კოლმეურნეობის გამგეობის გადაწყვეტილებით მანქანა-ტრაქტორების ძველი სადგომი მრავალსულიან კომლებზე სამოსახლოებად გაიცა და ახალი სადგომი ნაგურხანალზე გადმოიტანეს. ოდინდელი ნათხარები გადაასწორეს, ბუჩქნარი გააჭყეს, გადაბერებული ხეილი აჩხეს და იქაურობიდან ჭინკების სახსენებელიც კი გააქრეს. უტყობა, ჯაჭვანერხით ხეების ხერხვისას ის ძარღვიც გადააჭრეს, ნანწკარას ბიჭ ირაკლის ნაცნობი სხვასამყაროელები რომ შემოდიოდნენ სტუმრად. დღედაღამ გაჩახახახებული იყო ნაგურხანალი, ყურთასმენა აღარ იყო მანქანა-ტრაქტორების დგანდგარისაგან. ერთმანეთში ირეოდა წამსვლელი და მომსვლელი. მეტრაქტორეთა სახლს შრომასთან ერთად არც ქეიფი და პურობა ეკლდა — იყო სადღეგრძელოების გადაძახილი და ჭიქის ჭერში სროლა.

ალალი იყოს. რასაც სვამდნენ და ჭამდნენ, საკუთარ მოყვანილს სვამდნენ და ჭამდნენ. თავიანთ ნაშრომს, როგორც თვითონ მოეგუნებოდათ, ისე მოიხმარებდნენ. თუ ვინმეს ქურდავდნენ, უპირველესად საკუთარ თავს ქურდავდნენ, სხვას ხომ არავის პარავდნენ და ატყუებდნენ. ეგეთი რამეები მერე დაინყო, მოგვიანებით, როცა ერთბაშად წახდა და აირია ქვეყანა. უცხო თვალს შეიძლება ვერც ვერაფერი შეემჩნია, სოფელი თითქოს ისევ ის სოფელი იყო — სახელიც იგივე ერქვა და ხალხიც იგივე ცხოვრობდა. ზენა ქარი ისევ დასავლეთიდან ქროდა და მზეც ისევ აღმოსავლეთიდან ამოდიოდა, მაგრამ რა — ძველებური ხალისი დაკარგულიყო, ნაქნარსაცა და ნათქვამსაც მადლი დაჰკარგოდა — აღარც სოფელი იყო ღონიერი და აღარც ვინმე ჩანდა გონიერი.

— რა მოხდა?! — უკვირდა ქუხილას, — მაინც ეგრე ერთბაშად, ეგრე ერთიანად როგორ გაქრა და გათავდა ყველაფერი? ეს ამხელა ქვეყანა მაშ აქამდე რაზე იდგა, კაცო, ეგეთი უფესვო და უსაძირკვლო როგორ იყო, რომ სიოს ერთ ნაშოქროლაზე დაიქცა და დანიავდა?

— ნამო, თუ ძმა ხარ, ნამო, რა იცი, ეგ სიო რომელი ტორნადოს ნახსლეთია, მაგის გამოსაცნობი ჭკუა არც მე მაქვს და არც შენ, — განზე ექაჩებოდა ნიკა, — ნამო, ჩვენ-ჩვენს საქმეს მივხედოთ. იმ არამკითხე მოამბესავით არ დაგვემართოს, რო მიტყიბეს და მიაგდეს.

— მაგის თავიც რო აღარა აქვთ... თუ აღარც ეგ აინტერესებს არავის.

დაუნდობლად ბრუნავდა დროების ჩარხი — აღარ-სად შუქი და ელექტრონი, ვინც პირველი მისწვდა, იმან ჩამოგლიჯა მავთული, იმან წააცუსტა შინ ბოძი. აღარც სადმე მანქანა და ტრაქტორი — ვინც პირველი ჩაებლაუჭა საჭეს, იმან აქნევინა პირი მოუსავლეთისაკენ. მიყიდ-მოყიდეს, წამიერად მიაფარეს თვალს ყველაფერი. შენობები დაანგრეს და აგურ-აგურ, ფიცარ-ფიცარ გაზიდეს სადღაც. თუ ლითონისა ნახეს რამე, პირწმინდად დაჭრეს და სხვა ქვეყნის გზას გაუყენეს. მინაში მიღები არ დატოვეს და მინის ზევით — საფლავის ჯვრები. რაც არ დაისაჭიროეს, ემანდ სხვამ არ გამოიყენოსო, დაამტვრიეს დალენეს, მოსპეს... ნახრავი და ნახორ-მასალი კი საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაში შეიტანეს.

გუშინ თავჩაღუნული, სიტყვის შეუბრუნებლად მომუშავე ადამიანები დღეს აღარავის ინდობდნენ და ეპუებოდნენ — უცხოის არ ერიდებოდათ, შინაური არ ენანებოდათ, ერთმანეთს შეჰყურებდნენ ხელებში: აცა, ვის რა წავართვით და ვისგან რა სარფა და სარგებელი ვნახოთო. მონდომებულები, გამაღებულები ჭრიდნენ იმ ტოტს კი არა, ხეს, რომელზედაც შემომსდარიყვნენ და რომელიც უფსკრულის პირას იდგა...

რა თქმა უნდა, ისეთებიც იყვნენ და არცთუ ცოტანი, დროებას ალლო რომ ვერ აუღეს, დაიბნენ, გაოგნდნენ, დავთრები აერიათ, მაგრამ პირში წყლის ჩაგუბებას ნაჩვენებმა პირველ ხანებში ხმა ვერ ამოიღეს — ატყობდნენ, რომ ამ ახალ მართულობას დასტური ზევიდან ჰქონდა დაცემული. მერე კი ალაპარაკდა თითო-ოროლა, მაგრამ რაღა დროს, ყურის დამგდები აღარავინ იყო. იქნება ზოგიერთ მალემრწმენ ადამიანს ისიც მოსჩვენებოდა, სოფელს ჭინკების წყევლამ უწია, ბუდე და საცხოვრისი რომ მოუშალესო, მაგრამ რა ვიცი, იმათ ისეთი გულღვარ-ძლიანობა არ ეტყობოდათ, ერთი სოფლის დანაშაულის გამო ამისთანა ყოფისათვის გაემეტებინათ მთელი ქვეყანა.

კაცი არსად მოიძებნა, ისეთი არავინ გამოჩნდა, რომ თუ ვერ შეძლებდა, ეცადა მაინც: ძველი წესრიგის ნანგრევებზე აფუთფუთებული ქაოსიდან ახალი წესრიგი ჩამოეყალიბებინა. ხალხი კი კვლავაც ქვევრივით იყო — ზემოდან რასაც ჩასძახებდნენ, იმას ამოიძახოდა: ჩვენაო ჩვენ-ჩვენ საქმეებს ვაკეთებთ და საწადელსაც მალე ვწვევითო. მართლაც თითოეული თავისთვის ჩალიჩობდა, თავისთვის ცდილობდა, მაგრამ მაინც ყველა მიუღწევლობას ჩიოდა და წუნუნებდა, ასახდენელის აუხდენლობას ვიშვიშებდა. დრო გადიოდა და ზოგიერთებს ეჩვენებოდათ: სხვების ყოფას ისევ წანწკარას ბიჭ ირაკლის ყოფა სჯობიაო, რომელსაც თავისი ნაგალა სხეული წმინდა გიორგის ეკლესიის ეზოსათვის მიებარებინა, ხოლო ახალ ცნობებს მონყურებული იმისი სული, ვინ იცის, ახლა ვის ხმებს უსმენდა.

ლენას გოგიას (ეგ ჯერ კიდევ ადრე მოხდა) სიღნაღში ვილაცა ქალთან შეუსწრეს იმ ქალის ძმებმა და ისე დაჩქარეს, ჭინკების დროინდელი თავგადასავალი აღურსად აგონდებოდა. კარგა ხანს ია-

ვადმყოფა და ცოტა მოიკეთა თუ არა, სადღაც გადაიკარგა. ხმა მოვიდა, ბათუმში მუშაობსო ფოსტის უფროსად.

დენი გადაავინყდა სოფელს, ბოძი აღარსად დატოვეს და მავთული, აბა მონტიორი ვილას რა ოხრად ენდომებოდა? ჰოდა, ვალასოკამაც მიაგდო თავისი ხელობა და ელექტროსაქონელს ეზიდება თურქეთში.

უნდილმა ბეჟანამ ბიბლიოთეკის შენობა შეისყიდა, შიგ მინიმარკეტი გახსნა და ვალასოკას მიერ თურქეთიდან ჩამოტანილი კვებითა და ღორის ხორცის კონსერვებითა ვაჭრობს.

ერთი კია, როგორც უკვე მოგახსენეთ, ყველამ ვერ აუღო ალლო, ფეხი ვერ აუწყო ახალ დროებას. მათ შორის ქუხილამაც. ვერ იქნა და ფერი ვერ იცვალა — იმ ერთი ანდაზისა არ იყოს: ცა და მიწა იქცეოდა, ტურა კი ქორწილს ეწეოდაო, ესეც ძველებურად ყლურჭავს თავის ძმაკაცებთან ერთად. ეგ არის, ღვინოს ისე ველარ იტანს, როგორც იტანდა და მალე ეკიდება. ბოლო დროს ერთი ზნეც დასჩემდა: წასულებს წანწკარას ბიჭ ირაკლის თამადაობით ადღევრძელებს და თვალები იოლად უწყლიანდება. მერე მოდგება და ნიკასა და ლუკას უმტიკცებს:

— ჩემმა მზემ, ბიჭებო, აის ჭინკები, ჩვენ რო გვენატრება...

— რას ამბობ, ლუარსაბ, ნუ გარეკავ ხოლმე, რა ჭინკები გვენატრება, კაცო? — გაოცებას ვერ მალავს ნიკა.

— არც მე, არც მე მენატრება, — მხარს უბამს ლუკა.

— ჰოდა, ის ჭინკები, ჩვენ რო გვენატრება, ბიჭებო...

— აჰა, კიდევ!

— ის ჭინკები მართლა აგურხანაზე კი არა ცხოვრობდნენ, — თავისას არ იშლის ქუხილა, — ჩვენში სახლობდნენ, ჩვენს ხასიათებში გვესხდნენ.

— მორჩი ერთი, თუ ძმა ხარ, ხასიათებში არა იხვის ტოლმა... — ნაძალადევად ხარხარებს ნიკა.

ლუკა უკვე თავისთვის ასლოკინებს.

— ჰო, ჰო, რა გაცინებს, მართლა ჩვენს ხასიათებში სახლობდნენ, გადაგვიბრუნდა ხასიათი და მორჩა, გაქრენ, აღარ არიან! აგე, გაიხვე გარეთ, ყველაფერი ისევ არი: ესეც არი, ისიც არი... ჭინკები კი აღარ არიან, — თვალები ეცრემლება ქუხილას.

— ამ ჩემს ფეხებს, თუ აღარ არიან! — წყრება ნიკა, — ჯანდაბამდე ჰქონდეთ გზა და ოსოქოლომდე, ბიჭოს! ეს ჭინკების მონატრება რაღა ოხრობა შეიძლება იყოს?!

მერე მშვიდდება და შემწყნარებლურად უტყაპუნებს მხარზე ხელს მეგობარს: აქაოდა, რა ვუყოთ, ვინ არ დამთვრალა და რო დამთვრალა, რა არ უთქვამსო.

— ევეეჰ! — ჩუმად იტყვის ქუხილა, თავს ჩალუნავს, თითქოს დაიმორცხვაო და ხმას აღარ იღებს.

ისტინარგატეხილი ქუხილასი რა გითხრათ და მე კი დარწმუნებით ვიცი, იმ ნაოხარ ადგილს, ოდესღაც სააგურე რომ იყო, ჭინკები აღარასოდეს გაეკარებინან. რატომღაც აღარც ხალხს მიუწევს გული იქით, აღარავის უნდა იქაურობის მიხედვა, ხოლო უპატრონო ადგილს, უპატრონო ეკლესიისა არ იყოს, მე რომ არ გითხრათ, თქვენც კარგად იცით, ვინც დაეპატრონება ხოლმე.





## ქორწინება

ჩვენ მაქცია რომეო და ჯულიეტა ვართ:  
 მას მერე, რაც ხორცი მობერდა,  
 გულის სისხლი დაინრიტა  
 და გონებას დავიწყების ხავსი მოედო,  
 ანუ მხოლოდ სამოცი წლის დაგვიანებით,  
 გადავწყვიტეთ დაქორწინება...

ხელს რომ ჩავჭიდებთ ერთმანეთს და  
 გავდივართ გარეთ,  
 გვესმის და ვხედავთ  
 ირგვლივ ყველა როგორ დაგვცინის,  
 ჩვენი კავშირი ყველას როგორ  
 გაუხდია სალაზღანდაროდ...  
 ნეტა აქამდე რას ელოდნენო —  
 ჭორაობენ, გვაქილიკებენ...  
 რა ვქნათ,  
 განა ჩვენი ბრალია,  
 რომ მაქცია რომეო და ჯულიეტა ვართ?  
 რომ ამჟამად ისე მოხდა, რომ  
 შეუღლებულთა ერთადყოფნის მოკლე ჟამი  
 ჩვიდმეტის და ცამეტის კი არა, არამედ  
 სამოცდაჩვიდმეტ-სამოცდაცამეტის  
 ასაკში დადგა?  
 ქორწინება თუ საიდუმლოა,  
 მაშინ ჩვენი ქორწინება  
 საიდუმლო არის ორმაგი...  
 და ჩვენ ვართ ბებერი სიყვარულის  
 ანგელოზები —

მიხსნილ ხორცზე ჰაეროვანი,  
 გამჭვირვალე ფრთები გვაბია...  
 მაგრამ არც ბრძენს და არც ტუტუცს  
 არ სჯერა ამის...  
 არ სჯერა, რომ კიდევ ერთხელ გადაიხსნა  
 სიყვარულის ყვავილი ორი ადამიანის  
 გულში ლამაზად!..  
 რომ ჩვენ ახლა  
 ერთთურთისადმი სიკვდილამდე ერთგულებით  
 აღსავსენი ვართ  
 და ვიცით, რომ აწი ვერვინ და ვერასდროს  
 ვეღარ გვაცდუნებს...  
 ჩვენ შევკარით საიდუმლო კავშირი და  
 მიჯნურობის ახალი წესით  
 მარადისს ველტვით...  
 ჩვენ მაქცია რომეო და ჯულიეტა ვართ...  
 მათსავით მხოლოდ მცირე ხანი  
 უნდა დავტკებთ ერთადყოფნით და  
 სასიკვდილო წყნარი ამბორით  
 სიყვარული კიდევ ერთხელ  
 განვუდიდოთ კაცობრიობას...

.....  
 ჩვენ რომეო და ჯულიეტა ვართ...  
 მაქცია რომეო და ჯულიეტა  
 ჩვენზე ადრე,  
 და ისიც ნიგნში  
 ეტროფოდნენ ერთურთს...



შთაშუალო

## ჩვენ

განუტევა ახალგაზრდობა...  
 პური იწვა მაგიდაზე აღელვებული,  
 რენტგენის ფირებს არ სჯეროდათ  
 ხორცის და სისხლის,  
 ქალებს სწამდათ დეკოლტეების,  
 ლოცულობდნენ ათეიზმები,  
 ხოლო მან კი განუტევა ახალგაზრდობა...

მშიერ ძაღლებს ქვები ვესროლეთ,  
 პანაშვიდიდან გამოსულებმა  
 მაძღარ ძაღლებს ვესროლეთ ქვები,  
 ვესროლეთ ქვები ძაღლებს მშიერს  
 გამოსულებმა პანაშვიდიდან,  
 ქვები ვესროლეთ მშიერ ძაღლებს,  
 ქვები ვესროლეთ მაძღარ ძაღლებს,  
 ქვები ვესროლეთ დალილებმა,  
 გამოსულებმა...

ახალგაზრდობა განუტევა...  
 იწვებოდა სათამაშო თევზი ტაფაზე,  
 ჩონჩხს სჯეროდა მხოლოდ რენტგენის,  
 დეკოლტეებს სწამდათ ქალების,  
 იზეპირებდნენ ცხრა რთულ  
 მცნებას კაცისმკვლელები,  
 აი, მან კი განუტევა ახალგაზრდობა...

## ქალებ

„ძე“, დაქოქილი კაიხნისნინ,  
 და თავბრუდამხვევი სისწრაფით მიმომქროლავ  
 სათამაშოებს შორის შემთხვევით მოხვედრილი,  
 თავისი შენელებული მოძრაობებით  
 ჩემს ექვსი წლის ვაჟს აღიზიანებს.



ის პულტს გამწარებით აჭერს თითს,  
 დამჯდარ ელემენტებს უცვლის „ძე“-ს,  
 მაგრამ „ძე“ მაინც კვლავინდებურად  
 და კვლავინდებურზე ზანტად მოძრაობს.  
 „ძე“ ძველი სათამაშოა,  
 ყავვლგასული,  
 „ძე“-ს ხელი დაავლო ჩემმა ვაჟმა და  
 დაუნყო ნანილ-ნანილ დაშლა.  
 ბორბლები ლოგინქვეშ შეაგორა,  
 კორპუსი ფენით გაჭყლიტა,  
 მექანიზმს თავისი ბავშვური თვლით აკვირდება:  
 — ამას თუ დავატრიალებ,

იქ ის დაბზრილდება,  
 და ის თუ დაბზრილდა, ესეც ამოძრავდება —  
 ფიქრობს ასეთ რალაცვებს ჩემი ექვსი წლის ვაჟი,  
 „ძე“ კი, მის ხელეშში მოქცეული,  
 ჭრაჭუნებს:

ე... ლი... ე... ლი... ლა... მა...  
 სა... ბა... ქთა... ნი...  
 ჭრაჭუნებს... ჭრაჭუნებს...

„ძე“, კვლავ აწყობილი,  
 დატენილი ელემენტებით  
 და კარგად დაქოქილი,  
 ჩემი ვაჟის სათამაშოებს შორის აღმოვაჩინე  
 ორი დღის შემდეგ...

## უკუდასრულებ

ადამიანები მუშაობენ:  
 მაუსს კიდებენ ხელს და ისარს  
 მონიტორზე ამოძრავებენ.

ადამიანები მუშაობენ:  
 ყვავილებს რწყავენ და ზეცაში  
 გალაქტიკებს აკვირდებიან.

ადამიანები მუშაობენ:  
 ბანკებში სხედან, ფულს ითვლიან  
 და ჩეკებს წერენ.

ადამიანები მუშაობენ:  
 არაყს სვამენ და ქაბაბს ჭამენ.  
 ადამიანები მუშაობენ:  
 ერთიმეორე მოჰყავთ მეორე ნახევრად  
 და აჩენენ ბავშვებს...

ადამიანები დაიღალნენ:  
 მაუსს კიდებენ ხელს და კვდებიან.

ადამიანები დაიღალნენ:  
 ველარ რწყავენ ყვავილებს და ბაღებიც ხმება.

ადამიანები დაიღალნენ:  
 ბანკებში სხედან და პეშვიდან სცვივით გროშები.

ადამიანები დაიღალნენ:  
 არაყს სვამენ ციროზის ნიშნით.

ადამიანები დაიღალნენ:  
 ერთიმეორე მოჰყავთ მეორე ნახევრად  
 და ბავშვს ვერ აჩენენ...

ადამიანები მუშაობენ და დაიღალნენ:  
 დაბადებიდან სიყვარულზე და  
 მეგობრობაზე მოქაქანე

ძველისძველი თუ ახალთახალი ადამიანები  
 პატიოსანი მუშაობით გადაიღალნენ  
 და ყვავილს რწყავენ,  
 არაყს სვამენ,  
 მაუსს კიდებენ  
 სიკვდილის წინ

დაქანცულ ხელს და  
 ყვირიან, რომ:  
 შრომობდნენ მუდამ!

## ფანქარი

არა და არ გამოილია ეს ფანქარი ცაში.  
 ფანქარი — დაუღლე ხელს რომ უჭირავს და  
 ხატავს, წერს, ჯღაბნის მისით  
 60-გრამიან, 80-გრამიან, 0,1-გრამიან,  
 1000-ტონიან ქალღღებზე.

გუტენბერგის ციური სამყარო  
 დღემდე მუშაობს შეუფერხებლად და  
 თანაც ისე, რომ  
 არ სჭირდება სასტამბო საღებავი —  
 მხოლოდ ფანქარი —

ერთადერთი ცის ფანქარი და კიდევ  
 სათლელი —  
 ჩვენი წინაპრების სულელების ბასრი  
 კბილებსაგან დამზადებული,

მისი ბეჭდური პროდუქცია კი,  
 ჟანრული მრავალფეროვნებით მეტად  
 გამორჩეული —  
 ფანტასტიკა, სატრფიალო ლირიკა,

სიზმრების ახსნა,  
 ანთროპოლოგია, ისტორიოგრაფია, მეტაფიზიკა,  
 რიცხვთა თეორია, დიზაინი, კულინარია  
 და ა. შ. და ა. შ. —

დაბლა, დედამიწაზე გამოგზავნილი და  
 ჰაერში მოფარფატე,  
 ჩვენს სხეულებზე შემოგრაგნილი,  
 მინაზე ფარდაგივით დაფენილი —  
 ძირითადად მაინც ნაუკითხავი რჩება.

აგერ, ნახეთ მზარეული —  
 ის ეცნობა ათასნაირ კულინარიულ რეცეპტს,  
 მაგრამ რატომღაც არ აინტერესებს  
 ზეციური კულინარია.

აგერ, მკითხავი —  
 სიზმრების ამხსნელი უამრავი ნიგნი  
 აქვს გადაბუღბუღებული,  
 მაგრამ სიზმრების ზეციურ ახსნაზე  
 წარმოდგენაც არა აქვს.

აგერ, ფილოსოფოსი —  
 თავაუღებლად რომ ჩაჰკირკიტებს  
 ათასგვერდიან ნაშრომებს მეტაფიზიკაზე,  
 მაგრამ წამითაც არ ჩაუხედავს  
 ზეციური მეტაფიზიკის არცერთ ნიგნში.

ფანქარი ცაში კი  
 არაფრით არ ჩერდება.  
 თხზავს და თხზავს  
 თანამედროვე ციურ ლიტერატურას —

ხან ეზოთერულს,  
 ხან ბულვარულს, —  
 მაგრამ მაინც საშინლად არაპოპულარულს  
 და არაკომერციულს  
 დედამიწაზე.

## ფანქარი

მესიზმრა ფანქარი.  
 არა ცაში, არამედ საკანცელარიო მალაზიაში.  
 მესიზმრა ოცთეთრიანიც,  
 რათა შემეძინა ფანქარი, კო-ჰინ-ორი,  
 დასიზმრებული მალაზიაში და

შევდგომოდი ლექსის წერას...  
 თუმცა არა —  
 თავიდან ლექსი არ იწერებოდა —

არ იყო თემა,  
 არ იყო რითმა,  
 არ იყო სიტყვათა კასკადი, თავს დატეხილი —  
 და ვიჯექი, ვჯღაბნიდი ფურცელს,  
 ვხატავდი მექანიკურ ფიგურებს,  
 მერე კი მესიზმრა ფანქარი ცაში,  
 ცისფერ ფურცელზე გრაფიკის გამომსახველი —  
 ეს გრაფიკა აორთქლებული ჩვენი ცრემლების  
 ღრუბლების მონახაზები იყო,  
 ეს გრაფიკა მუქდებოდა და  
 სანვიმრად ემზადებოდა —  
 მაგრამ ეს ყველაფერი მესიზმრა,  
 რეალურ საკანცელარიო მალაზიაში კი  
 იდო ფანქარი არაცისა,  
 რეალური ოცთეთრიანი ის მე უნდა შემეძინა,  
 მერე უნდა მივბრუნებულიყავი  
 სახლში და დამეწერა,  
 რომ ღმერთი ყოველთვის იძლევა ფანქარს,  
 და რომ ფანქარს აქვს გული,  
 და ამ გულს ჰქვია გრაფიტი,  
 და რაკი ასეა,  
 დღეიდან მე შენ სიყვარულის ახსნისას  
 გეტყვი, რომ  
 როცა გხედავ, გრაფიტი მიცემს,  
 როცა ყურადღებას არ მატყვევ,  
 უსულგრაფიტო ხარ და ასე შემდეგ,  
 მაგრამ ვიცი,  
 ამით ვერაფერს შევცვლი,  
 სიტყვების უკეთეს თანმიმდევრობას  
 ვერ მოვხაზავ,  
 მხოლოდ და მხოლოდ სევდიანად  
 ჩამოვჯდები და  
 ერთ-ერთ საკანცელარიო მალაზიაში  
 ცოტა ხნის წინ ნაყიდ ფანქარს დავაკვირდები:  
 ის იქნება გრძელი, როგორც ჩემი სიცოცხლე და  
 წვერნატეხილი, როგორც ჩემი სიყვარული.  
 გავიხსენებ, რომ შეიძლება  
 ამ წვერის წათლა იმ სამართებლით,  
 რომლითაც ცოტა ხნის წინ ვენებს ვიხსნიდი და  
 წარმოვიდგენ, როგორ მოკლდება ეს ფანქარი,  
 რაც უფრო მეტს ვწერ სიცოცხლის  
 სიგრძისეულობაზე...  
 გამოილევა ნელ-ნელა ფანქარი,  
 წანათალი ბურბუშელა ჰაერში აფრიალდება,  
 იბორიალებს ბევრს და ხეთა ტანს  
 დაუბრუნდება ბოლოს,  
 მე კი დავიწყებ ფიქრს,  
 თუ რა განსხვავება და მსგავსებაა  
 ამ ფანქრის სიცოცხლესა და ჩემს  
 სიცოცხლეს შორის,  
 დავიწყებ უკანასკნელი ნახატების ხატვასა და  
 ბოლო სიტყვების წერას,

კო-ჰინ-ორი, კო-ჰინ-ორი — ვიბუტუტებ,  
 მერე მალლა ავწევ თავს და  
 ფანქრის დანახვას შევეცდები,  
 გამიშტერდება თვალი,  
 გამიშტერდება,  
 მაგრამ ბოლოს გამელიმება —  
 გამახსენდება ჩემი ახალგაზრდული  
 ფანტაზიები:  
 საკანცელარიო მალაზიები ლაჟვარდებში,  
 ფანქრები იდუმალი სახელწოდებით  
 (კო-ჰინ-ორი, კო-ჰინ-ორი...)  
 და ჯადოსნური ოცთეთრიანი,  
 ამ ფანქრებს რომ იძენს —  
 არავინ იცის,  
 ყოველივე ეს ცხადია თუ დახატული  
 ცხადი — ანუ სიზმარი,  
 არავინ იცის,  
 ყველაზე მნიშვნელოვან სიტყვაზე  
 წასტყდება თუ არა  
 ზემოთაღწერილ ფანქარს წვერი,  
 არავინ იცის ჩემს გარდა —  
 მე კი, ერთადერთი მესაიდუმლე ამ  
 ფანქრული ბედისწერებისა,  
 ვზივარ ჩემს ძველისძველ მაგიდასთან და  
 თურქ მუშასავით ვამუშავებ ჩემს  
 შავგულა ფანქარს —  
 ჭეშმარიტი საძაგელი კაპიტალისტი ვარ,  
 ოცთეთრიანთა კაპიტალი რომ დაუგროვებია და  
 ექსპლუატაციას უწევს საფანქრეთს.  
 აუჰ, შემოიჭრა აქტუალური თემები  
 და ლექსიკა ლექსში,  
 მაგრამ სხვა რა გზაა,  
 ხომ ითქვა თავიდანვე,  
 რომ ეს ლექსია არა ცის ფანქარზე,  
 არამედ არაცის ფანქარზე,  
 და მზად უნდა ვიყოთ მინიერი პოეზიისათვის,  
 რომელიც გამოლევაგდე განუწყვეტილ  
 გამოჰყავს  
 საკანცელარიო მალაზიაში შეძენილ ფანქარს,  
 და რომელიც ბოლოს,  
 არავინ რომ აღარ ელოდება, სწორედ მაშინ,  
 ზეციურ პოეზიად გარდაიქმნება ხოლმე  
 უცნაურად მინიერი ადამიანებისათვის,  
 სიზმარს დაემსგავსება,  
 და იტყვიან ეს უცნაურად მინიერი  
 ადამიანები,  
 რომ სადღაც დაესიზმრათ ფანქარი არაცისა,  
 გალეული შავი გულით,  
 და სულით, მალლა მიმართულით,  
 რომელსაც აჰყურებენ ახალი ადამიანები,  
 მოსულები დედამიწაზე ცისაკენ მზერით და  
 ახალი ჯადოსნური ფანქრებით ხელში...



მივესალმები მკითხველს და ყველა იმ მწერალს, ვისთვისაც ხელოვნება უფრო რეალური და ნამდვილი ცხოვრებაა, ვიდრე ყოველდღიური ყოფის წვრილმანი საზრუნავი.

დღევანდელ ქართულ ლიტერატურაში „ჭრელი“ ნაკადი შემოიჭრა... რაც უნდა ბევრი ვილაპარაკოთ სამწერლო ფორმობრივ და სხვაგვარ ექსპერიმენტებზე, რატომღაც მგონია, რომ მწერლის დახვეწილი და გასაგები ენით მოყოლილი ცხოვრებისეული დიდი ამბავი თუ ისტორია ყველაზე ადვილად იპყრობს მკითხველთა გულს. ტრადიციული მწერლობა და პოეზია, ალბათ, მუდამ ხელშეუხებელი დარჩება, თუნდაც იმიტომ, რომ ყველა მიმდინარეობის, სხვადასხვაგვარი ორიგინალური და მშვენიერი ლიტერატურული ძიების სათავე თავადვეა და ამიტომაც არის მარადთანამედროვე. ამის დამადასტურებელია დღევანდელ ქართულ სინამდვილეში სწორედ ამ ორიენტაციის მიმდევარ მწერალთა შემოქმედება.

ბედნიერია ის ავტორი, ვინც ახერხებს ადამიანის დიად პრობლემებზე ჩაფიქრებას და მეგობარვით უდგას მას გვერდით.

რაც შეეხება ჩემს განწყობილებას: მინდა მოვეფერო იმ პიროვნებებს, ვისაც ცხოვრებაში დიდი ტკივილი და ცოტა სიხარული შეხვედრიათ.

### საქართველო

ჩამავალი მზე მსტუმრობს იმდენჯერ, მეც ხშირად ვკოცნი სხივებს ფანჯრიდან, უფალო, შენს ხმას რომ არ მივდევე, ამ „სიბნელეში“ რალაგამრჯიდა...

ბოლოვარსკვლავა ღვთიურკალმით, ტანჯული სალამს გიძღვნი განჯიდან, უფალო, შენს ხმას რომ არ მივდევე, ამ „სიბნელეში“ რალა გამრჯიდა?!

\* \* \*

ცა მოჭედილა ვარსკვლავებით, ცა მოჭედილა, აქეთ — ცხენები, იქით ხარი ქშენდა ჭედილა... ძლიერად სუნთქავს გაზაფხული, გრილი ღამეა, პერანგს მიმშვენებს ნაჩუქარი შენი კამეა... ვგრძნობ, ჩემს სხეულში აბობოქრდნენ

ავი ქარები, ო, ბედისწერაჲ! ახლა წინ ვერ ამეფარები... თავად დავამსხვრევ ამ ჩაკეტილ, ვინრო გალიას, მე მედარდება ის, რაც მარტო ჩემი ბრალია, სურნელი მომნონს პიტნის ფოთლის,

ცხელი ლავაშის, ქორნილი მიყვარს ჩოხაში და ჩითის კაბაში. გადარეული მოდგაფუნობს მთაში არაგვი, არ დამელევა იმედის და რწმენის მარაგი... ყვავის ატამი, ხის ყვავილი პეპლებს მაგონებს, არ ჩავაბარე ჩემი ბედი ქვეყნის ბატონებს. ვგრძნობ, ჩემს სხეულში აბობოქრდნენ ავი ქარები, ო, ბედისწერაჲ! ახლა წინ ვერ ამეფარები...



ქეთევან შენგელაია

### საქართველო

მანც ჩამდგარა ქარი აყვია, მიწყდა ფეხის ხმაც, სუნთქვაც, ჩურჩულიც, დაუნდობელი და ამაყია, ეს სიმარტოვე — თეთრი ურჩხული.

იტირებს, ღრუბელს რა უნდა მეტი?! ნისლებმა მთები ისევ დამალეს, ვზივარ და ვფიქრობ: ვინ იცის, ბედი როგორ გამითხრის გულში სამარეს.

\* \* \*

ვუძღვნი ბიძის, მინდიას ხსოვნას

იქნებ იმიტომ ვიტირე, მზემ რომ სხივები დახარა?! გავინანილოთ, ჩიტი — მე, შენ — ეს ჭადარი ჭადარა. დამნიფებული მოცხარი აფახულებდა ნამწამებს, სიზმარში გნახე ცოცხალი, ცხადში სიკვდილი დაგწამეს. იქნებ იმიტომ ვიტირე, მზემ რომ სხივები დახარა?! გავინანილოთ, ჩიტი — მე, შენ — ეს ჭადარი ჭადარა.

## ღამისღამი

იდგა დარი,  
ვიზინდარი  
ცხენებს თვლიდა თავლაში.  
დევი მწვადებს აბრუნებდა,  
კუნძზე იდო ლავაში.  
მერე ღრუბლის ერთი ფენა  
ციდან ნელა დაეშვა...  
ცეცხლის პირას  
მაყვლის ბუჩქი  
იქარვებდა კაეშანს.  
ღრუბლებიდან გადმობრძანდა  
ბურუსების ნათლია,  
ჭიქა ღვინო მიანოდეთ,  
დადლილია,  
მადლია.  
უცებ, სადღაც...  
თეთრი ელვა  
მთამ ზედ შემოიტარა,  
მომანოდე,  
საყვარელო,  
ვარდისფერი გიტარა.

## აბა

აჰა, შენგან ნიშნობისას მორთმეული მარაო,  
ნავალ, როგორც უცხო ქალი, შენი ფიქრისთანაო,  
არც მოგხედავ, არც ვიზრუნებ,  
ჩრდილებს ავეკიდები,  
ყოჩივარდის სურნელებით  
ამევესება თითები.  
ქარმა ცხრა გზით დაუბეროს,  
სხვაგან გადამაფრინოს,  
ცისარტყელას ვუსახსოვრებ  
ჩემს ძონებს და საფირონს;  
ვიცი, გზაზე ხან სემია,  
ხანაც იაფეთია,  
ათინათი ამაცილებს  
უგულოს და ფეთიანს.  
მზეო, ისევ შენ გეკუთვნი,  
გულში მზიანეთია!

\* \* \*

დღეს ძალზე მძიმე თოვლი მოვიდა,  
სიცივე იყო ისე დამლელი,  
გამომეღვიძა შიშით, ციებით,  
გულში მთისხელა, უცხო ნალველით

და მანუხებდა ამ სითეთრეში,  
ჩემს სულში ერთი უგვანო ლაქა,  
ცხოვრება ჰგავდა ჯირითის შემდეგ  
ცხენის ყბებიდან ამოცლილ ლაგამს.

\* \* \*

მოდის ყვირილა და  
გულწასული ყვავილი მოაქვს  
ტალღას პატარა...  
მზეა დილიდან,  
შენ ხომ არ გახსოვს, როდის აშენდა  
ზედა საქარა?!  
მოდის ყვირილა და  
ტაძრის ახლოს

ლოცვანს კითხულობს  
ზოგჯერ ყმანვილი.  
სანთელი,  
ბიჭი,  
მდინარე,  
ბორცვი —  
ჩემი სამშობლოს ერთი ნაწილი.

\* \* \*

მთელი ცხოვრება მოლოდინია  
და მერე დაგლის, აბა, რას იზამს?!  
გააფერმკრთალებს ცდუნების ნაყოფს,  
მარგალიტივით პატარა მიზანს.

ჩვენ ველოდებით ფრთაშესმულ ილბალს,  
სიყვარულის ჩრდილს — ხეზე ლიანებს,  
ნამდვილად მარტო სიკვდილი მოდის,  
ის არაფრით არ დაიგვიანებს.

## აბა

უკვე აცივდა. ტოტიდან ტოტზე,  
ხტუნავს პატარა ჩიტი, საწყალი...  
მადარდებს ის, რაც ჯერ არ შემშლია  
და რაზეც ფიქრი ვერ მოვასწარი.

ჩემი ცხოვრების გზაჯვარედინთან  
შემომაყარა ბედმა ნაცარი,  
მადარდებს ის, რაც ვერ გავარკვეი  
და რაზეც ფიქრი ვერ მოვასწარი.

\* \* \*

მტკრიანი გზები,  
ჩატეხილი ხიდი ილბალთან,  
დამშრალი წყარო,  
შუაგზაზე დაცლილი ქისა,  
უადგილობით გადაღლილი  
ადამის ფიქრი  
და სევდიანი სიყვარული  
ბარის და მთისა.  
როგორ ვენამე,  
უარყვავი საამო ვაშლი,  
ვცდილობ, ცდუნება მოვიშორო  
რაც კი მსმენია.  
ეს ანჩისხატის კედლებია,  
ნაზი და მკაცრი,  
ძონის ჯვარია,  
რაც ამქვეყნად შემომრჩენია.  
ხელში ყვითელი ვარდის ფურცლის  
ფერივით ძველი,  
მიჭირავს ჩვენი ისტორიის  
ნიგნის ფურცლები  
და მოდის მტკვარი  
მეტეხის წინ დინჯი და ურჩი,  
ისევ ვარსებობთ,  
ტკივილია რადგან უცვლელი.



## კრიტიკა

პურის სურნელი,  
სავეს თავთავი,  
ყანა და კალო,  
ნისქვილი,  
ვარცლი...  
ქართველზე უთქვამს უფალთან იღბალს,  
სიკვდილისწინო სიმღერას ვაცლი.  
ამდენი ფიქრი და გამარჯვება,  
ამდენი მტრობა,  
ბრძოლა და მარცხი...  
მანც ამ ცვრიან მიწას ქარგავენ:  
თიღვა, ქორეთი,  
კორტი და  
კაცხი.

## საქონი

შენ მოირწევი მშვიდად ამ მზიან,  
გზაზე და გმველის ერთი ურემიც,  
მე არ მასვენებს ეს ტრაგედია,  
გაცეცხლებული ბედაურების.

ვილაცას ისევ ამაოდ ვენდეთ,  
ჩქარა! — გვეძახის ვერხვი და მუხა  
და მიტოვებულ ნასახლარებზე,  
შეშლილი მთები ამაოდ წუხან.

## გოდება

რადგან ცუდად მაქვს სიტყვა დაცდილი,  
მე გეფერებით ჩუმად, უთქმელად,  
ქარშიც და მზეშიც უკვე განცდილი,  
ჩემო თელავ და ჩემო ურთხმელავ —

წარსულზე დარდი ალბათ ჩაივლის,  
ძეძვის ტოტებზე ქარი ბანცალებს  
და დაკანრული ეკლით ყვავილი,  
თითქოს სულიდან ამომაცალეს.

\* \* \*

სალამო მშვიდობისა,  
შენ უკვე მოხვედი?  
წინასწარ ვიცი, რომ  
ალარ დამაძინებ...  
შავებში ჩაცმულო  
ჩემო ქალბატონო:  
ხან მტანჯავ, ხან მშველი,  
მანამებ, მაცინებ...  
სალამო მშვიდობისა,  
ამაფორიაქე,  
ამალამ ხომ შევალთ  
ოცნების კარავში?!  
მოცარტი დაუკრავს  
ცრემლებით რეკვიემს,  
ორივემ ვიცი, რომ  
ინყება თამაში.  
ნიღბების საამქრო  
მოინყვეს ლანდებმა,

დილამდე ჯერ ისევ მრავალი წუთია,  
სახეზე მოირგეს ლითონის ფორმები,  
წვეთობით დაადნეს რკინა და თუთია.  
ფერადი ქალაღდით მორთეს და მოკაზმეს:  
ცისფერი ჩექმები, ეტლები, დარბაზი,  
შემოდის ცხენით და ჩირაღდნით პატარა,  
ხავერდის ბაფთებით მორთული ჯამბაზი.  
ინყება ზემიმი...  
დავეძებ მზეჭაბუკს.  
დრო გადის, ნიღბები სუყველას დასცვივდა...  
ეს ჩემი რაინდიც გაქრა და დაიფშვნა.  
თენდება... რა მძიმედ თენდება... აცივდა.  
დილა მშვიდობისა,  
შავებში ჩაცმულო  
ჩემო ქალბატონო,  
ჩემო უძილობავ,  
მე გავალ ქუჩაში  
და ისევ მკითხავენ:  
რატომ დაგჩემდაო  
ფერგაცრეცილობა?!

\* \* \*

ვაგდივარ ჩემთვის ლოგინზე მარტო,  
არც გვერდით, არც შორს არ მყავს არავინ,  
წუხელ სიზმარშიც ცეცხლში დაინვა  
ჩემი ზღაპრული თეთრი კარავი.

არაფერს ველი, მტკივა ნერვები  
და თავზე მადგას სასონარკვეთა,  
უფალო, ლოცვას ნუ მოაცილებ,  
ძალა მოეცი ჩემთა ბაგეთა.

## საქონი

არც ცრემლებია, არც საყვედური,  
ალარც უაზრო თავის მართლება,  
სადღაც ნავიდა ის შლეგი წლები,  
როცა ვიყავი სხვებზე თავნება.

ქარმა შეშალა მსხმოიარე ხე,  
ლამაზთვალა და ლამაზყურება,  
რა გულგამსკდარი ქალივით იცის,  
ბროწეულებმა შემობრუნება!..

ირწევა ტოტი და ჰყვება ამბავს,  
პირველად მივხვდი, რომ თავს ვლალატობ,  
მე სუყველაფერს თავიდან ვინყებ,  
შენ — პასუხს მოგთხოვ გულო, ჯალათო.

სინანულივით ნაზია ცრემლი,  
ოცნებასავით ურჩი და წმინდა,  
ჰოდა, ამ ცრემლით წუხელ მოვქსოვე,  
ხელთათმანი და ქათქათა წინდა...

დუელში გინვევ, დარდო, ხარივით,  
ვიცვამ მოქსოვილ ლამაზ ფაჩუჩებს,  
ყველა სიცრუის თავშესაფართან  
ციხეს დავლენავ როგორც ნაჭუჭებს.

მე ნახანძრალი და ნაჯაფარი  
ისევ გავიშლი ვარდისფერ ზენარს  
და ვერ ნამიღებს ქარი ვერსაით  
ვით მიმორხეულ პატარა ლერწამს.



# ლუკა ბაქანიძე

## კოცონი

ეს ბნელი მინდვრები, ტურების  
 ჩხავილით სავსე...  
 როცა წევხარ კოცონის გვერდით,  
 ცოტა შემთვრალი  
 და ღამე ფრთხილად, ვარსკვლავ-ვარსკვლავ  
 გადაგდის თავზე...  
 რომ არა მე და ჩემი კოცონი,  
 უჩვენოდ რანი იქნებოდნენ  
 ეს ბნელი მინდვრები?  
 მხოლოდ და მხოლოდ ტურების ჩხავილით  
 სავსე ბნელი მინდვრები.  
 ჩემო მოლექულების მოძრაობავ, ხომ ხედავ,  
 ველარ მპოულობ.  
 დაზაფრული გარბიხარ სინათლის ზოლში,  
 აქეთ-იქიდან მონოლილ წყვდიადებს ესლები,  
 გარბიხარ და შენივე თავი მოგდევს ღმუილით,  
 წინ გაუგდისხარ.  
 ოლონდ დარჩი...  
 ოლონდ მეძებე და აჰა, ეს ჩემი ბოლო  
 ბილიკიც შენი იყოს,  
 საბნის ქვეშ რომ გადაგიმაღე...  
 გახსოვს ჩვენი თამაში, სამყაროს ცხვირწინ  
 რომ გიფრიალებდი,  
 შენ კიდევ რქებით მოექანებოდი,  
 თვალჩასისხლული.  
 აღარ მოგარიდებ, წინ დაგიხვდები,  
 ოლონდ დარჩი...  
 ოლონდ მეძებე...  
 ეს ბნელი მინდვრები, ტურების  
 ჩხავილით სავსე,  
 კოცონთან მიწოლილი შემთვრალი  
 მწყემსი — ტაძარი ჩემი,  
 უკანასკნელი...

## ავტობიუსები

შუქნიშნები არც იქ გიყვარს და ახლაც,  
 შუა ქუჩაში,  
 ავტობიუსების მორევში დგახარ უმწეოდ —  
 ყურებზე ხელმიჭერილი, სიგნალებით  
 გაყრუებული  
 (მთელი სხეულით, ნავის ფსკერით შეიგრძნობ  
 ქვემოთ, სიღრმეში, რალაც ავბედიტს...)  
 აქ უკვე ღამეა, დათოვლილ ტროტუარს  
 გაჰყვები ნელ-ნელა.  
 ზევით, ვარსკვლავებს აჰყურებ,  
 კეფაზე ხელეშემოჭდობილი.  
 (რა ღამაზია სიჩუმე, როცა თოვს, როცა ღამეა...  
 მხოლოდ ლოთი ზის თავჩაქინდრული,  
 ავტობუსების გაჩერებაზე).  
 აი, შენი ასახვევიც. ამოუყვები აღმართს  
 სველი ფეხებით.  
 მაღალი თალის ქვეშ გავლისას ისევ  
 თავს დალუნავ;  
 სადაც ბრუნდები, იქ არასდროს  
 არავინ მოგყვება  
 (იქ წუთიერ დუმილს ჰგავს სიჩუმე...  
 ღამე — პირზე მიფარებულ ხელს,  
 წუთით რომ მალავს უბადრუკობას).  
 გამოიღვიძებ ავტობუსების გაჩერებაზე,  
 მხოლოდ ერთი ჩანს, დათოვლილ ტროტუარს  
 მიჰყვება ნელ-ნელა...

## ქართული

ხომ იცი, აღარ არსებობს კუნჭული,  
 შენი კუნჭული, რომ დაიმალო.  
 ის შენ მოკალი.  
 ნევხარ ცივ ოფელში განურული,  
 ხელში ჯვარჩაბლუჯული  
 და ელოდები:  
 დილით ისევ დაუკითხავად, მყრალ სინათლედ  
 შემოეჩრება შენი პირშო —  
 ის შენ შექმენი.  
 გავრვარებულ ტაფაზე დაყრილი  
 მოკვნიტილი ფრჩხილების ტკაცუნს  
 ყურს დაუგდებ და დამშვიდდები.  
 აღარც სოფლელი, მთვრალი მუშების  
 სიმღერა გიშველის,  
 შენთვის, შენი ფანჯრის წინ, სატვირთოს  
 ძარაზე რომ ალაგებენ,  
 განაკაფ ტოტებს.  
 გავრვარებულ ტაფაზე დაყრილი  
 მოკვნიტილი ფრჩხილების ტკაცუნს  
 ყურს დაუგდებ და დამშვიდდები...

## ბოგია

(ბოგია — მდინარე გურიაში)

ვიცოდი, მოვედი და ვიპოვე კიდევ  
 ფშანთან, ძველ ნანისქვილართან.  
 რიყის ქვაზე დანთხეული, მომაკვდავი  
 კიბორჩხალის შიგანიდან  
 გამოცოცებული პატარა კიბორჩხალები  
 და ეს მარნუხი...  
 კონვულსიურად მოცახცახე მარნუხილა შემომრჩა  
 აქ, ამ ორმოს ნაპირას.  
 ბოგია... ბოგია...

## N=4

რომ მიმტკიცებდი — „მივდივართ, მივქრევართ!“  
 ბეტონში ჩაშენებულს რომ მიმტკიცებდი,  
 რომ მატყუებდი.  
 აჰა, თქვენთვის მომიძღვნია,  
 რაც თქვენ გჭირდებათ.  
 თქვენთან გამომიშვია სახეტილოდ შარვალი,  
 ქურთუკი...  
 მივიპარები ჩემს ჭიშკართან, ჩემს გალავანთან,  
 მივადგები ტრაფარეტს წარწერით „4“,  
 შევევედრები,  
 იქნებ ერთხელ, კიდევ ერთხელ შემიშვას შიგნით,  
 მერვე სართულზე... მერვე სართულზე...  
 ტალახით მოსვრილი პალტო,  
 ხელში ატატებული ძაღლი,  
 წითლად მოხრეშილი სკვერი,  
 თუთის წვენიტ პირმოთხუპული გოგო,  
 ხეზე გასული  
 აგერ იქ, გალავანთან.  
 და ქარიც... ქარიც პირველად აქ შემიყვარდა,  
 მაშინ მხოლოდ ფანჯრის მინებს აზრიალებდა.  
 მერვე სართული... მერვე სართული...  
 შენამდე და შენს მერვა სხვა დანარჩენი,  
 სხვა ყველაფერი შენ გარშემო ხეტილია...





## სანაპიროზე შენი

მოსვენება ამირია ცხოვრებამ,  
მშვიდად ყოფნა შორს წასულა, შორს.  
სიკეთეს და მართალ სიტყვას დავეძებ,  
მაგრამ ვილაც ორპირობას მთხოვს.

მე ქვეყანას სულ სხვაგვარად ვეტრფი  
და ამ ხალხსაც ვენდობოდი სრულად.  
რამ შეცვალა ერის მოდგმა ღვთიური,  
რომ მზერაც კი გვეფერება მტრულად.

არა, არა, ვერ ავიტან ამდენს,  
გულზე სევდა ნახშირით მაღვეს.  
ცხოვრება რომ დაინახოთ შიშველი,  
გონზე მოხვალთ და მაშინვე მიშველით!

## სიმართლემ

თუ სიმართლემ დაზაფრა გული, —  
იფრთხილე, ბედმა არ დაგგმოს სრულად,  
ირგვლივ სამყაროს შეავლე თვალი  
ბუნების ზღაპარს ენვით უმაღ.  
„ცივის“ საქოვრებს აწვება ბინდი,  
ღრუბელი ღრუბელს არ აცდის ფშვენას,  
მოზღვავებული ნახირი, მშვიდი,  
უმაღ დაინწყებს ზღაზენას და თვლემას.  
„საცალფეხოზე“ ყმუიან მგლები,  
„საძილეს“ აწვეს ნისლი ზღაპრულად.  
მოდით, თუ გინდათ გულმა იცოცხლოს,  
გამოეშურეთ აქეთ, მაყრულად!  
ვის გაუგია ზღაპრულში შიში  
ან „ბებერ კლდეზე“ — ძილი არწივთა,  
ვის გაუგია ჯიხვების ძილი  
და იავენანა მათი დარწვითა.  
მოდით! თუ გინდათ იცოცხლოს გულმა,  
„ცივზე“ თქვენც მოსვით ცივი ანკარა,  
მთებზე ცვრიანი მდელოს დანახვით  
ბედმა სიცოცხლე სრულად მაკმარა!

## ქარი ქრის და რა ვინატრო სხვა?!

ქარი ქრის და რა ვინატრო სხვა?!  
ჩემი ტანჯვის ერთადერთი ხსნაა.  
აბობოქრებს და აცეცხლებს მიზანს,  
აბა, კარგო, ქარი სხვას რას მიზამს?!  
ქარი ქრის და ფოთოლცვენა წყდება,  
ეჰ, დასრულდა? — გული როგორ მწყდება,  
— არა, კარგო, ქარი ისევ ქრის  
და ბალებში ლურჯ ყვავილებს მკის!



ნინო ნანუაშვილი

## სანაპიროზე

მე შენს სახეზე შეფერებულს  
ვხედავ ჩემს მზერას  
და კიდევ — ღიმილს  
ახალშობილ მოთეთრო დილის.  
მე შენს სახეზე  
ფერებს ვხედავ სიხარულისას,  
ფერებს არეულს  
შიგადაშიგ სიყვარულისას.  
უფრო ზუსტად კი,  
უფრო სწორად, რომ ვთქვა, რაც მინდა, —  
სიყვარულისფრად მეჩვენები,  
მეტი რა გინდა?!

## სანაპიროზე

სანაპიროზე დავხატე მზერა  
შენი თვალების  
და გამახსენდა მოფერება  
ძველი წამების.  
სანაპიროზე, სველ ქვიშაზე  
მოგხატე ხელით  
და დავილაღე უპასუხო,  
უთქმელი მზერით.  
დაღამდა. ღამემ ცა დატოვა  
სათაკილოზე,  
წამოველ, მაგრამ გული დამრჩა  
სანაპიროზე!



**თეთრი**

ვცდილობ მოვხატო, ვლებო ფუნჯებით  
 ან გადავხლართო ნაქსოვ ლურჯებით,  
 ხან მინდვრის ყვავილს ვურევ ფერებად,  
 რომ შევძლო ყველა ფერის ფერება.  
 თეთრი, შავი, მწვანე, ლურჯი...  
 როგორ მინდა, ვიყო მუნჯი.  
 ამდენ ფერებს როგორ წნავენ,  
 იქნებ ცისარტყელას რთავენ.  
 იქნებ ნაადრევად მკიან  
 ან ფერებად ზღაპარს თლიან,  
 იქნებ პეპლის არის ფრთები,  
 ან მბრწყინავი, შმაგი მთები.  
 ველარ ვითვლი ამდენ ფერებს,  
 ბევრს სახელი ვერც შევარქვი,  
 თეთრი, შავი, მწვანე, ლურჯი...  
 როგორ მინდა, ვიყო მუნჯი!

\* \* \*  
 სიზმარმა მინაზე დაწერილ სახელს  
 ფეხი წამოჰკრა და გამომაფხიზლა.  
 მეგონა სახელი მეტყოდა რამეს  
 და მაგრძნობინებდა მთვარიან ღამეს.  
 სიზმარმა ცრემლები დალია საცერით,  
 თან მითხრა: სახელი მტვრისაგან გაცერით.  
 დილამ დამანახვა უმტვერო მინა,  
 ალბათ, იმ სახელმაც იპოვა ბინა.

**თხილქო**

მალე დაწვება მთის მწვერვალებზე  
 მთვარე, საძილედ მომზადებული.  
 ბურანს დაახვევს მოთენთილ ნაძვებს,  
 როგორც სიყვარულს მოწყენით სავსეს.  
 ცას დააწვება შავად ძაძები,  
 გადაწვებიან მწყრალად ნაძვები,  
 ღამის ბილიკზე ჩადნება ბნელი  
 და გამძაფრდება ტყის ფშვინვა, ნელი.

\* \* \*  
 ზაფხულს ქურდულად შეჰპარვია  
 საღამო ცივი,  
 ფოთლებს ფერშეცვლილს  
 დამართვიათ ადგილზე ცილი.  
 ცას დაუნახავს ხე შიშველი,  
 მორცხვად დამდგარი,  
 ჩამოულვრია სიბრალული  
 ცრემლად დამდნარი.

**პირფარეხი**

დღე დღეს მიჰყვება,  
 ცხოვრებაა მისი დღიური,  
 დრო ასე გადის,  
 წელს თავისი მიაქვს წლიური.  
 ცხოვრება ცხოვრობს,  
 ცოდვილი კი მიდის და მოდის,  
 უნდობმა მზერამ სულ დაკარგა  
 განწყობა ნდობის.  
 ცხოვრება ცხოვრობს,  
 ხალისი კი მიდის და მოდის,  
 გაუტანლობამ ჩამოშალა  
 პირბადე ტომრის.  
 ვერ შევგუე  
 პირფერობით, ლაქუცით წინსვლას  
 და დავრჩი მარტო,  
 მარტოობის ნალველი მნისლავს.

**კუთხე**

მე ჩემს თავთან  
 ვარ თავმართლად,  
 კიდევ დღესთან,  
 კიდევ მზესთან,  
 კიდევ შენთან,  
 რადგან ჩემი  
 სიყვარული  
 გადმო-შენდა.





## საკრებულო

სადღაც სიცოცხლეს დაეძებს შუქი,  
დილაა, ცვარში ბანაობს კორდი,  
იქმნება ლექსი,  
რჩება მხოლოდ ერთი აკორდი.

ნამიცი და — მოდის ბგერათა თქემი,  
ჰანგები ჰქრიან ცის სიახლოეს,  
და, გადასული სხვა სიცოცხლეში,  
ერთი სიცოცხლეს სამუდამოდ აკლდება პოეტს.

## პაპი

მე ყოველ დილით თვით მზეს შევუვლი,  
ცას რომ ებნევა ლამაზ რითმებად,  
ასე მგონია, ჩემი სხეულიც  
იქ ამოდის და მზეში ინთქმება.

მე ვუმზერ ყვავილთ, დილის ცვრით მთვრალებს,  
ხეებს და ბუჩქებს, ნიავეს უზრუნველს,  
ფერებს ვისუნთქავ, როგორც მწყურვალი,  
მერე ნასესხებს ქალაქს ვუბრუნებ.

თუ სილამაზე აღარა გოდებს,  
უცნაურ გრძნობით გული მიღელავს,  
და როდი მყოფნის, მზეს ვუმღეროდე, —  
მე თვითონ მინდა ვიყო სიმღერა!

## საქართველო

სევდას მატებს დილას სისხამს  
რუხი ფერის გაუხვება,  
ფიქრი ნაბადს წამოისხამს  
და უცნობ გზებს გაუყვება.

საწვიმარქვეშ თვლემენ მთები,  
ავთვალემა ცა კი ბორგავს,  
და ღრუბლების ნაფლეთები  
შორს გატყორცნილ ისრებს მოჰგავს.


გული, მწვავედ დანასერი,  
დილის მწვავე სევდამ დასწვა,  
და შემოდის რუხი ფერი  
სისხლძარღვებში სისხლის ნაცვლად.

ცამ განგებას მიანება  
დილა, რუხად ნასხივები,  
ღრუბლები კი ტრიალებენ,  
ვით ოცნების ნამსხვრევები.

## პაპი

ღამე თვალს ახელს, დღე თვალს ხუჭავს,  
მივყვები ქუჩას — დაფარულ ნაღველს,  
ის ნისლში მახვევს, ო, ასე ურჩად  
და ასე ლურჯად ნისლებში მახვევს,

დრო იცვლის სახეს, ბოლო არ უჩანს  
აქ შენაქუჩარ ქუჩათა ნახვევს,  
ღამე თვალს ახელს, დღე თვალს ხუჭავს,  
მივყვები ქუჩას — დაფარულ ნაღველს.



მკვლავ სხამქვილი

## საქართველო

აღვას ტანი გადაჰხრია,  
ფიქრში არის არეული,  
მთვარეს ვერცხლი გადაჰყრია,  
ბორგავს, როგორც მთვარეული.

სოფელს ჩუმი ჩრდილთა რიგი  
იდუმლობად მოვლებია,  
და სინათლის ფენები კი  
თითქოს თეთრი თოვლებია.

თითქოს თეთრი თოვლებია,  
თუმც ფიფქები არ ემოსა,  
იდუმლობად მოვლებია  
გარინდებულ გარემოსა.

ვიღაც მიძიმედ მიბარბაცებს,  
ზვარი ჭიატს უტყვერს სხივის,  
შუალამეს სევდა აწევს,  
ელოდება მამლის ყივილს.

ერთხელ დაჰყევს სადღაც ძალი,  
მერე გაბმით დაიყვფავს,  
მთა კი ზეცას თავს შეახლის  
და შემკრთალი დაიხრება.

აღვას ტანი გადაჰხრია,  
ფიქრში არის არეული,  
მთვარეს ვერცხლი გადაჰყრია,  
ბორგავს, როგორც მთვარეული.

**სურვილი**

ლექსების მდინარე;  
სადღაც ვარსკვლავები კრთებიან;  
გავქექვ ჩინარებს და ჩემს წინ მთებია.

მე ასეც ვიცოდ:   
ტყუილად დამტოვეს კარავთან!  
ხანდახან ვმისწობდი და დასკვნა მზარავდა.

მე ახლა მივდივარ;  
მიმაქვს უცნობი ხის ნაყოფი;  
სურვილი დიდია და სივრცე არ მყოფნის.

სურვილი წინ არის;  
სადღაც ვარსკვლავები კრთებიან;  
გავქექვ ჩინარებს და ჩემს წინ მთებია.

**გადიკარგა**

გადიკარგა ქუხილი, გადიკარგნენ ქარები,  
გადიქარგა ბურუსით შემოდგომის კარები.

ახლა უკვე დრო არის დროთა შემქმნელების,  
ნისლში იძირებიან კაკლის კენწეროები.

ვენახები მარადულ ფიქრში იძირებიან,  
მინას შესცივებია, ხეებს მისძინებიათ.

ცას ერთფერად ერევა, კვამლია თუ ნისლია,  
ბინა დაუქარგია ლელიანს და ისლიანს.

ველი ტკბება სურნელით,  
გამოუცნობ-მწვავითა,  
სუსხი ჯერ არ მოსულა, სითბო უკვე წავიდა.

მინამ დათმო სიუხვე, უხვად გადაფანტული,  
ილიმება მონყალედ ავსებული ფარდული...

...ყველა დაინისლება, ყველა დაიბანგება,  
დაიღვრება მისტიკა შეუღწეველ ჰანგებად.

**არ ვჩქარობ**

არ ვჩქარობ, ისედაც დამიცდის გზა,  
ნუ რეკავთ, ნუ რეკავთ, ნუ რეკავთ ზარს,  
ჯერ მხოლოდ ვენტები, არა ვარ მზად,  
ოცნებამ ჯერ ცოტა ზღაპარი თხზა,  
ჯერ არ ჩაუვლია აქ არც ერთ მგზავრს,  
ჯერ მხოლოდ ვეგზნები, არა ვარ მზად,  
მე ლურჯი თვალებით დავიპყრობ ცას,  
მერე კი გავყვები შორეულ გზას,  
მე როდი მოვუხმობ ჩემივე მსგავსს,  
არ ვნახავ საშველად მე არც ერთ მგზავრს,  
არ ავერიდები მოსხლეტილ ზვავს  
და გრიგალს არასდროს დავუდებ ზავს.  
რა ვუყოთ, მე ახლაც სიცოცხლე მწვავს  
და წვიმის პკურებას არა ვთხოვ ცას.  
ო, მალე, ო, მალე ვიქნები მზად,  
ო, მალე გავყვები თოვლიან გზას,  
დღეს კი ჯერ არ ვჩქარობ, ნუ რეკავთ ზარს,  
მე ვიცი, ისედაც დამიცდის გზა!

**დღე გადაიღალა**

დღე გადაიღალა,  
მზე გადაინვერა,  
ბორცვი გაინელა,  
ჩრდილად დაინერა.

ტყეში მზის სხივები  
მწუხრში დაიბლანდა,  
რცხილის და იფანთა  
ჩრდილი დაიფანტა.

სხივნი სალამურნი  
ოქროს ფუნჯებია,  
ტყენი მუნჯდებიან,  
მთები ლურჯდებიან.

ნახირს აცილებენ  
საბალახოები  
და გზის გაყოლებით  
თვლემენ ახოები.

შებნელდა. ქათმები  
შესხდნენ ქანდარაზე,  
სადღაც, ჭიშკარს შიგნით,  
კარი გადარაზეს.

ლამპის სინათლეზე  
ვახშამს მოიტანენ,  
ფიქრი მოითავეს,  
ხმები მოითალეს.

გარეთ ძაღლის ყეფა  
ბნელს მისჩერებია,  
მკრთალი ფერებია,  
ძილის ფერებია.

**პოეზია**

პოეზია ზარების,  
პოეზია ბზარების,  
პოეზია ცეცხლის და  
მარად არდაზარების,

გრიგალთა პოეზია  
მომდევს ცეცხლის მე ზიარს,  
მომაქვს ზღაპრულ ქართაგან,  
რაც უქარიშხლესია.

პოეზია კივილის,  
პოეზია ტკივილის,  
პოეზია ირემთა  
შორეული კივილის.

მომაქვს ცხელი ლექსები  
საოცარი შეგრძნების,  
მომაქვს და მეც ჯადოსნურ  
მზის სიცილად ვეგზნები.

პოეზია ზარების.  
სულის ურიცხვ ბზარების,  
პოეზია ცეცხლის და  
მარად არდაზარების.

## კვლევა

კვლავ ფიქრები, დაცემული ცერად,  
 კვლავ მწუხარე მოვლენების რკალი,  
 საუკუნის მოღუშული მზერა —  
 ეპოქათა შეჯახების კვალი.

ის, რაც ახლა ნათელია ასე,  
 მე ოდესღაც ჩამჩურჩულეს მგონი,  
 მე ვოცნებობ კვლავ შორეულ სმაზე  
 და სურნელზე ყვავილების კონის.

სიბნელეთა უსიერი ტევრი  
 კვლავ ანამებს შემოღწეულ შუქებს,  
 არასოდეს მქონებია ბევრი  
 და მცირედიც ჩაიკარგა უკვე.

კვლავ ბურუსი, დაქანება ცერად,  
 კვლავ მწუხარე მოვლენების რკალი,  
 საუკუნის მოღუშული მზერა —  
 ეპოქათა შეჯახების კვალი.

## კვლევა

უცხო სამყაროში ვმოგზაურობ სიცოცხლის  
 საოცარ ნავით,  
 მხედებიან ტყეები ვერცხლნარევი თუ მზენი,  
 ფერილინი შავით,  
 ზოგჯერ ცაში ფრთები დამაქროლებს, ხან  
 ზღვებს გადავცურავ მკლავით,  
 სიმშვიდე იცვლება ქარიშხლებით, ომები  
 მთავრდება ზავით.  
 მინახავს მინდვრები მოხასხასე, ფენილი  
 ურიცხვი კრავით,  
 შემომხვდნენ სანყისნი ეპოქანი, სად მინას  
 ჩიჩქნიდნენ კავით,  
 სადღაც ხომალდები დაცურავდნენ, სავსე  
 კეთილით თუ ავით,  
 იყო იმპერია თევზებისა, ლოქოს  
 შენაცვლება ღლაავით,  
 ზოგან ყრუ ვნებები გრიგალობდნენ  
 მრისხანე ატომურ ძრავით,  
 სხვაგან — ჰარმონია ევლებოდა ედემს  
 პირველქმნილი ჰავით,  
 მზერდა პანთეისტურ წიაღიდან ეზო  
 მიუვალი ქავით,  
 შორს კი ტაიგები ავსილიყვნენ ვეფხვით,  
 ენოტით და ნავით.  
 გრძელი მდუმარება იმუქრება ხანძრად  
 ამოსახეთქ დავით,  
 დაიბადებიან ტიტანები, ცას  
 შეეხლებიან თავით,  
 მილიარდწლოვანი ძილის შემდეგ ვულკანი  
 მოსკდება ლავით,  
 ჩამარხავს მარადულ საიდუმლოს მთა,  
 გარემოცული წყავით,  
 რაც მოხდა, გაცრიან დაუნდობლად, რიყზე  
 აღმართულ ცხავით,  
 ღვინით მოპოვებულ სიმართლებს  
 გააცამტვერებენ ყავით,  
 რაც კი დღემდე გული დამწყვეტია, ამას  
 შეიგრძნობდა სხვა ვით?  
 ო, სინამდვილეთა ველ-მინდვრებო,  
 გამაოგნებელად ჰყვავით!

## კვლევა

აქაც ია, იქაც ია,  
 აკაციათ მიგაცილა  
 ბინასთან,  
 დაგანვიმა ია მძივად,  
 დაგარწია, მიგაძინა,  
 გინათა.

აქაც იამ, იქაც იამ  
 აკაციას მიაწია  
 სიამე,  
 ახალ ციაგს მიგანვია,  
 დაგანია იქაც წვიმა  
 იამაც.

აქაც ია, იქაც ია,  
 აკაციათ მიგაცილა  
 ბინასთან,  
 ახალ ციაგს მიგანვია,  
 აგამძივა, მიგაძინა,  
 გინათა!

## კვლევა

ახლა სხვა ხმა ისმის გაღმა,  
 ვილაც აღმართს სწრაფად კეცავს,  
 ახლა ბაღმა, დღეს რომ გახმა,  
 შეუსახლა სული ზეცას.

ვილაც ქნართა სევდას ართავს,  
 მძიმე ფარდას არხევს ქარი,  
 ახლა ქართა სულელებს გარდა  
 ჩემს საფართან არვინ არი.

დღეს ვარ მარტო, არვინ მართობს,  
 არ წვიმს, არ თოვს, მაინც ცივა,  
 გზაა ფართო, მივალ მარტო,  
 ვამბობ: "Pardon!" — და კვლავ მივალ.


და კვლავ სხვა ხმა ისმის გაღმა,  
 ვილაც აღმართს სწრაფად კეცავს,  
 წელან ბაღმა, დღეს რომ გახმა,  
 შეუსახლა სული ზეცას.



ძნელია წერა. არწერა — უარესი, მწერლისათვის. მაინც უკითხავთ — უკაცრიელ კუნძულზე მოხვედრილი თუ იცოდ-ვილებდით? კი, აუცილებლად. თავის ძებნაა ხელოვნება და ხანდახან თავის პოვნაც. სხვადასხვა მოთხრობა ისევეა სხვადასხვა, როგორც ავტორია მაშინ: რამეთუ დრო მიედინება, ადამიანიც...

და ადამიანი ხომ სტილია. მწერლობა-შიც, რაღა თქმა უნდა.

ბესიკ მაღლაკელიძე



ბესიკ  
მაღლაკელიძე

## დავანს, დავან!

### ატიული I

დილაადრიანად მოღრუბლულიყო, ნისლში მიცურავდა ქალაქი, მერე წამოუშინა.

წვიმდა-წვიმდა რუხად, წვიმის ფარდა დაეშვა მოედნებზე, სკვერებში, ცა იღვრებოდა, იღვრებოდა თუ იზნეოდა წვეთებად, ბურუსის საფარს შხულით ცრიდა, ასფალტზე ასკინკილით მიხტოდა.

აქეთ-იქით გაჭენებული ხალხი დაბნეულ მზერას ჰკიდებდა ლევანს, კარგად რომ შეერჩია სასეირნო დრო და ამინდი, მშვიდად მიუყვებოდა პლესანოვის პროსპექტს — თავზე სახლები ჩამოსტიროდნენ: ფანჯრები დასნიკნიკებდნენ, თმაში წვეთები უბრწყინავდნენ... ეს კი მიუყვებოდა.

ათავა ქუჩა, გადაჭრა მოედანი (ლაბადა-კარავში შეეუყუთ მილიციონერს სასტვენი პირში შერჩა), გაზეთები შეიძინა და ძველ სიღზე შედგა ფეხი.

ჯიხურთან, სიღზე, ახალთახალი წითელი „ფიატი“ ენთო. საჭესთან დიტო იჯდა, ბავშვობის დროინდელი, „ხოზო“ დიტო.

შეჩერდა, დააცქერდა ეჭვით — დიტოა!.. რალაც საქმე გაეჩინა, გვერდით მიბრუნებულ-გადალა-ჯებულ სავარძელზე დახვავებულ ჭრულჭრულ ქალღმერთში ფუთფუთებდა. გამოქექავდა ერთს, ბრაზით აახევდა ყუას და — ჩუ!.. არც ერთ მდედრს არ ღირსებია ის მონინება ხვადისა, რითაც იწყებდა ბილეთის გაშიშვლებას. თვალბმინაბული და ტუჩებმოცმაცუნე, კოტიტა თითებად ქცეული — მათ უნდა მოეფათურებინათ პირველად უბინოებაზე — თვალსაც უწევდა ბოლოს და ბოლოს თავისი უსირცხვილო რიგი და — ფუ, შენი...

ფანჯრის ღრიჭოდან გაქნეული ნაგანძარი ჩვეულებრივი ქალაღმერთი მიფარფარებდა წვიმაში. უკან მისდევდა მეორე, მესამე, მეათე, მერომელილაცე.

გროვა ილეოდა, ყოველი აგლეჯილი ნიღბის უკან ისევ იმ მარადიული გონჯის ღიმილი ფარავდა მზეთუნახავის სახეს.

ლევანს წელი ეტკინა, გაიმართა, ცას ახედა — გადაღებას არ აპირებდა, ალბობდა, ტკეპნიდა ამ საცოდავ ყოფას. აცეკვებულ გუბებთან წამოყრილი ბილეთები კი მიხრწნილი ბებრის გულგრილობით ამზეურებდნენ სატყუარას.

ეჭვით დაიფაცაცა ჯიბეები, ბედაურები და მერნები თუ არა, ნაღდი ჯაგლაგი მაინც შეიგულა იქ — მთელ დღეს რომ მოაჩაქჩაქებდა პატრონს — და ხალისით შეუყვავ ვორონცოვის დასველებულ ხიდს.

### ატიული II

მატარებელი ხარხარით მიქრის, ვაგონების მძივი ღამის საფანგში იკლაკნება, ცალთვალა ელმავალი გამეხებული მისდევს სინათლეს და ტყის წამიერ ჭრილობას ისევ წყვიდადი ეხვევა. მკრთალ სალონებში გამოკეტილი ხალხი ნებიერად აპყოლია აკვნის რწევას — homo sapiens-ი ისვენებს.

მაგრამ არა, ფანჯრისაკენ გაქცეული, ჰორი-ზონტს ჩაჭიდებული მზერა კენწეროებზე მისრი-ალებს, ღრუბლებიდან გამონახებულ მთვარეს მხარიმხარ მიჰყვება. თვალბმის უკან დაძაბული, ჩახმახივით შემართული გონება ფხიზლობს, საცეცებალანძული იჭვრიტება ამოუცნობში.

სამყარო კი წყნარად იხუტებს ხარბ შემოხედვას და იდუმალად გუგუნებს. აი, ახლაც წაიჩურჩულეს ხეებმა, ქარის ირონიამ ფოთლებს გადაუქროლა, ყანაში ჩაიქვეითა, იქაურობა გაამხიარულა.

მატარებელმა ერთი შეჰკვივლა და რიხით ჩაატარა ადამიანი.

\* \* \*

— ეცადე, მთელი სიცოცხლე ის აკეთო, რაც გულით გინდა.

— მერე შევძლებ?

— დასტურ შემძლე ხარ და ეგაა, — კუპეს მებობელმა სპორტული ჩანთიდან „ბორჯომი“

ამოაძვრინა, — დაითვალე, რამდენ სპერმატოზოიდს აჯობებ, რომ გაჩენილიყავი.

შლაგბაუმთან მომლოდინე ხალხმა ჩაიქროლა. უქმურად ცრიად გარეთ.

— ბედნიერებას ნუ გამოეკიდები, ბედნიერება ქალივითაა, — თანამგზავრმა მუჭში ჩამალა მთქნარება. ერთი საათია, რაც სპინოზად გამოიღვიძა და მას აქეთ ქადაგადაა დავარდნილი, — ლამაზი ქალივითაა ბედნიერება... გალმა გელოდება მაცდური, გიცინის. შენც ერთ ადგილზე ცქმუტავ, მაგრამ რა ჩარაა — თქვენ შორის მატარებელი მიედინება. სული დაგეწურა — ჰა, როდის ჩაივლის ეს წყეული ურჩხული და ჩაიარა ხომ?... მანც რა ვართ, ბიძია, ეს ქართველები — ხაში, ხარშო, ბულამა, მუჟუჟი, არტალა, თათარიასნი, ჩიხირთმა და ბოზბაში... სულ ნაბახუსევზე შესაქცევი კერძებია, მათა... ჰო, რაზე შეგყვინდი?

— ჩაიარო ბოლოს და ბოლოს.

— ჰოოდა, ჩაუვლია შენს სიცოცხლეს. ბედნიერება ის წამიერი გამოკრთომა იყო, ვაგონებს შორის. ჩათავდა მატარებელი და ჩაილია შენი დროც.

პირზე სიყვარულით აყუდებულმა ბოთლმა გააჩუმა:

- ლიკ, ლიკ, ლიკ... პნუუუ... თუ იტანჯები?
- დიას.
- იცი, რატომ?
- არა.

— კარგია. ზოგი იმიტომ იტანჯება — ხელმოცარული ვარ ან ხელმოკლეო, ზოგი — ყისმათი არ მივარგა, უიღბლობა დამყვაო. მავანი უქალობითაა განამებული და ვილაც კიდეც — მოყირჭებული ქალიანობით. სიმდიდრით შეწუნებულიც მინახავს და ძალაუფლებითაც. ბევრი თავისი ქართველობით იტანჯება ჩვენთან და სხვა ხომ — უქართველობით...

წამოდგა, მძიმე სახელურს დაეჭიდა — ჩამოსწია. დარჩენილი ბორჯომი წვიმაში გადაღვარა და ძალოსნის სიმარდით ფანჯარა აზიდა. ბოთლი ჩანთაში შეინახა, დაჯდა, თვალებში მოაჟინდა:

— ხელოვანი ნიჭით იტანჯება და ნიჭი კი ის სამყაროა, რომელსაც ტანჯვა აცოცხლებს.

მატარებელი გვირაბში შევარდა. სარკმლიდან ახლა დაფეთებული შუქი კრთებოდა და თანამგზავრიც უცნაურად აციმციმდა. წუხელ ამოვიდა, გორში. ძმაკაცებმა ამომამხიარულეს და ზედა თაროზე აჩოჩებამიც წაეხმარნენ ქოშინით.

მთელი ღამე ყარაულობდა — არ გადმოვარდესო. მერე ქვეითათაროელი ცოლ-ქმარი სადღაც რიბირაბოში ჩავიდა და სიხარულით ჩამოაქვეითა. ცოტა გაუჭირდა, მძიმე იყო ძალიან.

მორჩა ციმციმს, როგორც იქნა, და ისევ შეუყვა, — მათ, ლევან ბატონო... თუმცა ბედნიერებაზე მე სხვა, ჩინებული გამონათქვამიც გამაჩნია.

— რომელი?

— ბედნიერება ის ვინრო საბანია, გათოშილი ადამიანები ერთმანეთს რომ სტაცებენ.

— მათ, გამოდის, ვილაცა მანც ისაკუთრებს და თბება.

— არავინაც არ თბება, — გაუჯავრდასავით სპინოზა, — ხომ გითხარი, ერთმანეთს სტაცებენ-მეთქი, ყმანვილო. ეს მუდმივი პროცესია.

აცრემლებულ ფანჯარაში იყურეს ერთხანს, სალონში სიჩუმის აბლაბუდა გაება... უცებ წინკებიანი თვალებით მოაცქერდა:

— ქალსაც უნდა მოერიდო.

— რატომ? რა დავაშავე... — უხერხულად შეიშმუშნა.

— შენ ოჯახის ქალი არ შეგიყვარდება და სხვა კიდეც...

— რა იცით, საიდან მოიტანეთ...

— ვიცი. ჩვენნიარ ხალხს მხოლოდ მორალდ-აბნეული ქალები უყვარდებათ და ერთმა ასეთმა მორალამღერებულმა შეიძლება მთელი სიცოცხლე გოჩგოჩანად გიქციოს — იცი, ალბათ, ერთ ადგილას რომ ბრუნავს წყალი, იმას ჰქვია. აბა ოჯახის ქალს რას ვერჩი, ერთგული ქალი, თუ გინდა, იცოდე, ბუმერანგს ჩამოშვავს — რამდენჯერაც უნდა მოიშორო, მანც შენ გვერდითაა.

— თქვენ, ვატყობ, მხატვრულ სიტყვას უნდა იყოთ შეჭიდებული.

— კი, წერას ვყავარ ატანილი... აფორიზმებით უფრო. თუმცა საყმანვილო ლექსიც მოვათავსე ერთხელ რაიონულ პრესაში. მგლის მამალ ლექვებზე იყო: „აბა ის რა ბავშვია, არასდროს რომ არ შია“ — საუცხოოდ იწყებოდა... მემრე ასე ვაგრძელებდი, შუაში: „სად გინახავთ ტანკისტი, რომ ტიროდეს სარკის წინ. სად გინახავთ ვირი — სეირნობდეს სტვირით“. ეეჰ, მივხვდი სხვების მიუხვედრელს.

— რას?

— ნამდვილ პოეტებს რომ ვერ ვაჯობებდი მარტოოდენ სითამამით და გავყუჩდი. დიდი რამეა გულისთქმა. შენ რას გეუბნება მხატვრებზე, ვაჯობებთო?

— ხელოვნებაში ჯობნა-არჯობნა ძალიან პირობითია...

— ეგ მე ვიცი. თუ ვაჯობებთო!

— კი.

— აბა გიცხოვრია.

### აბიუდის ვაგიარ

მისი მზერა ბრმის თითებივით დაფათურობდა ყველგან, უმოწყალოდ ქურდავდნენ სივრცეს მისი თვალები — ხალხის სახეზე, კეფაზე, ტანზე ცოცავდნენ ხარბად, სამოსს აცლიდნენ. ნაკვებებს ეძებდნენ შეფუთვნილ ხორცში და იმ ონავარ, მზისფერა ბიჭშიც, ტრამვაის დადევნებული გუბებზე რომ ამახინჯებდა.

ანდა ყვავების ნაბადმოხურული, საღამოს სუსხში შეგუნდული სილუეტები რად ღირდა!.. რად ღირდა აჩხავლებული ბავშვის სველი შემოხედვა, ლევანის დანახვაზე ჯერ მორცხვი გაღიება და მერე წრფელი, ყრუანტელამდე ნაღდი სიხარული. ან... ეეჰ, იმისი თმა! კაბა-კოპლებით, თვალები ეჭვი და უცხო სევდა; ისევ სხეული, ახლა შიშველი, ათასფერადი — თეთრი რომ სძალავს. რად ღირდა მთების მწვანე ჯაგარი, წამოყრილი მხრები, კალთები — ჩამომტირალი ნაკადულებით, ცაში მოფრიალე ღრუბლების ძონძები და წვიმა, ეჰ, წვიმა... სადღაც ბალახებში ჩქამჩქუმით მიმალული.

ხარბად იწოვდა, ნთქავდა ყველაფერს, ახალ-შობილივით გაცეცებული ჩინჩქლობდა თვალი — საით დაკარგულს სად ჩაივლებდა... რათა ერთხელაც გასხივებულზე ამოეხეთქა ეს დასიზმრება — თვალთ შემოსული თვალთვე გამოედევნა, მიეგდო ტილოზე და იქ აღესრულებინა ის, რასაც ეწერა ან არ ეწერა აღსრულება.

ტილოზე კი ხაზები სრიალებდნენ, ჩრდილები თრთოდნენ, საღებავი ფერებს ირგებდა, ჯოჯონეთის ქაოსური წესრიგი იდგა იქ — რაღაც იდუმალი საქმე ხდებოდა — ეს არ იყო ხატვა, ტილოზე რაღაც თავისით ხდებოდა.

სადღაც ბურუსში, მიეთმოეთში ჩნდებოდა თითქოს, ფსკერიდან ამოქანებული იკვებებოდა, გაჯიქებული თავს იცოცხლებდა მუჯღუგუნებით და ჰა!

იბადებოდა ჩვილი, ფაფუკი და უცხო, სრულიად უცხო. ეს დასცქეროდა გახევებულ, შიშით, ყვედრებით და იმ ამოუთქმელი, სუნთქვაშეკრული ალტაცებით, დედებს რომ მოსდით. ხვდებოდა თითქოს — ქალური სანწყისიც იმავე ძალით ფეთქავდა მასში, როგორც სარზე მიბმული ნაგავის ხვადური ვნება.

და ჩამოცლილი ალავერდივით, გამოფიტული იმ ორსულობით, თავს იწყვეტდა, ბუღად ქცეული დააჭენებდა დედამინაზე, სამდედრეთს ხნავდა-თესავდა, ალესილი ნამგლით ძირში სხებდა ყველაფერ ქალურს და ძმა-ბიჭბუჭებში კი არა სვამდა — ლოთობდა... ის წამიერი შერცხვენა რომ გამოეოხებინა.

ჩვილიცა სძულდა, არამცთუ სიყვარული, შეხედვაც აღარ შეეძლო მაშინ. აქ თავდებოდა მისი დედობა.

**აბიუღი III**

ლია არ ჩანდა.

ასფალტში გამოხვეული ქალაქის ერთი ციდა სიშიშველ, ბალი, გაბარჯულ ხეებს შორის მოკუნტულიყო და ეტყობა, მასაც სციოდა.

ფეხშერყეული მერხის კიდზე დაეშვა — ატრი-ალდა ლამის. ზამთარი შემოძარცულიყო აქაც. ანუელ საყელოში სუსხი იჭვრიტებოდა, ბუჩქებზე თოვლი იდო და საერთოდ, ასეთ ამინდში ხალხი სახლში ზის, თბილად. მზე, არა უშავს, თავისას ცოდვილობდა, ტოტებში ჩანწული ვითომ მზეობდა და არც ქარი აკლებდა ხეტიალს.

მოუკიდებ ასეთ დროს, გააბოლებ, ცერად გააპარებ თვალს გამვლელ-გამომვლელისაკენ და ვეღარც გადაიგდო იქნებ გულზე მომსკდარი დარდი. თავზეც ყვავები ჩამოგჩხავიან, მარტოობას უგალობენ და საათის ისარიც გამარჯვებული ურტყამს უაზრო წრეებს. ამისთანაზე, ძალღიჯ თუ გამოგიძვრა საიდანღაც, ისიც ხეებივით გაქუცული, ბალივით უმწეო და მზერასევედიანი — მერალას გიშველი, ჩემო ლევან, გასწორდი, ახლა მეორე ფეხი გადაიდე პირველზე, ჩამქრალს მოუკიდე და დაელოდე...

მაინც რა უბედური იყო ეს ძალღიჯ, ბავშვებს, ეტყობა, მორიგი მაძებრულ-მავნებლური თამაშის აზარტში ბანარი ჩაებათ, დედის გაანჩხლებულ ძახილზე, აბა, შეხსნა ვისღა გაახსენდებოდა — გაუიკვივებოდნენ ხელად მაკარონიან კერძთან საბრძოლველად და დარჩა ასე, კისერზე მობმული მეტრნახევრიანი თოკის ანაბარა, დაათრევდა თავისი ძალღიჯური ხვედრის სიმბოლოდ.

არ ედო არაფერი ჯიბეში, რა უნდა მიეცა. დახხარა მარტო, ხელი ბათინკებზე დაირტყა:

— პპიუ, პპიუ, მოდი, შეგხსნი მაინც...

ძალღმა გაუგო, მაგრამ არ ენდო — ამან ხეზე არ მიმაბასო სულაც, მერე ცოტა იჭოჭმანა და ბოლოს ეტყობა, ისე იყო ბედით დაყვლეფილი, გადაწყვიტა და ზანტად წამობოდილდა — ცერად ვითომ-ვითომ.

არა, ვერ მოეფერებოდა. რაღაცნაირად ბეჩავი სულიერი იყო — კუდიც კი ფეხებში ებლანდებოდა... ყულფზე რომ ჩაავლო, სიხარულისაგან ძალღიჯ ისეთი ღონით დაიქაჩა თავისაკენ, უკან გაფეთებულმა ძლივსღა შეაყენა სხეული.

ლევანმა ზიზღით დახედა ბანარს, ხელი შეუშვა და თოვლზე გაკლანკილი დატოვა.

ბედასლი ემადლიერებოდა ახლა, გაღიმებულ — ზუსტად ასე მოეჩვენა — გაღიმებული დრუნჩს უწევდა, ფეხებთან მინას უფხოჭნიდა, დახტოდა, კუდაც გამოენთო ცოტა ხნით — არ ულაპარაკია და სხვა ყველაფერი თქვა. მალე

მიუხვდა: ხასიათზე არ იყო კაცი და რიდით, დიდის მონინებითა და სიფრთხილით — ადამიანია მაინც, რა იცი, გაბეზრებულზე რას ამიტუნსო — ვითომ-ვითომ და გაეცალა.

ქარი უმატებდა უგზო-უკვლოდ, მზეც — ჩემი ვენიო და მიიმალა, ყვავები სულ დაბლა და დაბლა ჩამოშავდნენ — ზევით ადგილი აღარ ჰყოფნიდათ. ბალი უფრო მოიკუნტა და ხეებს მკლავებში ჩააკვდა.

ლია არ ჩანდა.

**აბიუღი IV**

დაქაჩული, სახის ნახევარზე გამოსული თვალე-ბი ჰქონდა, ასეთებზე ამბობენ, თვალებბრიალა ქალიაო — არაა, გადმოკარკლული ჰქონდა და ებ იყო. „ნეტა კოცნის დროს თუ ხუჭავს“, — მიესალმებოდა, გულგრილად ჩაუვლიდა, მიტრიალებული ქალი ზურგიდან ელოდა ვნებასუსხიან მზერას, სხეულს ვითომდა უთმობდა საჭვრეტად და ლევანი კი ამნაირ კაცებს არ ჰგავდა... გაანყობდა არხენად „ეტიუდნიკს“, ფუნჯით პალიტრაზე წაიჩხრიკებოდა, ტუჩმოკუმული ფონს დაადებდა — პეიზაჟს წერდა და არ გამოსდიოდა არაფერი — თვე დაინურა.

„მხატვარია“, — საიდუმლოდ ჩურჩულებდნენ ქალის ტუჩები, ლოცვასავით ორთქლდებოდა თავში — „მხატვარია, მხატვარია“, — და იქიდან გულში ჩავარდნილი: „მხატვარია, ოჰ, მხატვარია!..“

ბორჯომი დამსვენებლების ცხოვრებით მიექანებოდა, მიკუსკუსებდა, მიეღხინებოდა, მიედარდებოდა, მიზოზინებდა, მიიტანჯვებოდა, მიუდარდებოდა — ვისთვის როგორ, შეგუებულები მყოველი იჭყიპებოდნენ, მინას არაცილებულები — ლიმონათით, შეუგუებლები — ღვინო-შამპანურით.

აბა, ქურციკას გადაურჩებოდა? აბა, ბორჯომელ ნაცნობ-უცნობობას დაემალებოდა? უჩა მაისაია-მაგისნაირებს დაუსხტებოდა, აბა?

— რა დანიის პრინცივით დალაყუნობს ეს კაცი! მოდი რაღა ჩვენთან, ვააი?

„მაინც ტყუილად ვჯახირობ და...“

\* \* \*

— ძალიან ბევრი კარგი ადგილი არის საქეფო ბორჯომის ხეობაში და მაინცდამაინც პლატო, რომ დააჯდები „კუკუშკას“ საპურმარილოდ, აუყევი გინდაა ბაკურიანამდე და ჩამოუყევი გინდა ბორჯომამდე...

— ეე, ლევან! სადღა კუკუშკა, — შეანწყვტინა რეგვენმა, არრა! არ სწყენია, თვალეები გააბრიალა მარტო მიდგმულ-გადაკერებულ სუფრაზე, მერე ქალები გადაიკითხა სათითაოდ — ის ბასკერვილებისა შემოეფთა.





— მე კი გეუბნები, ნაღდი იულიუს კეისრის პროფილი გაქვს, — იქაური თანამეინახე-გადა-მხდელი, ბორჯომელი ბაზის კაცი, მართლა პროფილს უმარჯვებს, მაისაიაც მოაჯინდა, — თქვი, ლევანჩიკ, ხომ აქვს?

ქალმა კეკლუცად გამოსცინა, უცბად ჩაუმორცხვა და ახლა წარბებიდან ამოუქვეშქვემა მზერა...

ესიამოვნა ცივი შხაპით. „ბამბანერკას“ გადა-წვდა, თავი მოხადა, ამოტრიალებული წინ დაიდო და დაჯდა. ჩანთიდან გუაშები ამოაწყო.

— ეე? — მაისაია.

— გაუშვი დამხატოს, — ბორჯომბაზელმა.

ქალს სახეზე ალმური ეკიდა, აცალა გაცივე-ბა. დარდიმანდულად აწობდა ღვინიან ჭიქაში ცერსა და სალოკს — ახლა ვინღა დაუშლის ძველებურად თითებით წერას. ოქროსფერი მიუშვა სულ ოდნავიდან მსუყემდე, სწორი, ვინრო შუბლი მივარცხნილი თმით, ტუჩები ვულგარულობენ — სქელია და მოშვებული, ცხვირი — უნაკლო, ყვრი-მალები — გამონეულიდან უცბად ჩამოქნილი, ნიკაპი საშინელი სიმძიმისა, მრგვალი. ქალი ძლიერი ჩანდა, სულით ცეტი და ძლიერი. ამოუშალა თვალე-ბი, ცისფრად მისდგა, სათუთი სიჯიუტით ამოუყვანა არაფრიდან, ქუთუთო-წამწამებზეც გადაღ-ვარა ის ცისფერი და ზემოდან ფრჩხილით წარბე-ბი გადაჭიმა.

მორჩა დინჯად და გადაანოდა.

ახლა ბორჯომბაზელს ხატავდა, პეიზაჟად გადააკეთა ბოლოს მისი პროფილი და ამყად აჩუქა — ისიც ველარ გამოებუტა.

\* \* \*

დაპყურებდა გაფითრებული და ჟრუანტელი აკანკალებული მუხლებიდან სხეულზე მიცოცავ-და. დიდი ხნის მივიწყებული, საზარლად ნაცნო-ბი სახე ამოაცქერდა. უცქირა, უცქირა და შეუ-ბრუნდა. ყელგამომშრალმა ღვინო მოსვა და თითები მუყაოზე აათამაშა: „მაიმუნს დამამს-გავსა ამ ლანირაკმა...“ სურათზე ლამაზი ქალი ესაბა და მაინც შეეშინდა — ძალიან.

\* \* \*

პლატოს ჩამოყოლილ წყვილს „ეტიუდნიკი“ ფეხებში ებლანდებოდა, გრძნობააშლილი ქალი მჭლე ტანს უგრძობდა, სურვილი კლავდა, საკუ-თარ სხეულში შეეყუყუებინა ეს უცხო სული და როცა შემოიყუჟა, „ნახატს კი დაგიხევ“, — გაიფიქრა.

**აბიუდი V**

იაპონურ ბალეტს უამრავი ხალხი მოაწყდა ქალაქში — ათი საღამო ეხარებოდნენ გაღმურ სანახაობას, აჟღერტულეულ სცენას, ბრიალ-ფრიალა კოსტიუმებსა და ანთებულ სახეებს. ჰო, სულმთლად ბალეტი არ ჩანდა, უფრო შოუს ჰგავდა და კორდებალეტი ერქვა. ეს კორდე იყო სწორედ, თავგზას რომ აზნევდა და თბილისში გამოზაფს-ულეულ ოჯახის მამებს, სამოციანი წლების ძველუბნელებიჭობას, ლოყებდაბრანულ ჩამო-ქალაქებულებს, რაარნაირ ხალხს ნიაღვარივით მიაქანებდა სპორტის ახალწამოდიებული, ფი-ლარმონიად ქცეული სასახლისაკენ.

იქ კი — თავად მრავლისმნახველ-არმნახველ ვინმე პარმენსაც ძნელად დაესიზმრებოდა ასეთი ზღაპარი — ღიმილგადაფენილი, რიგზე ჩამოკოხ-ტავებული მერცხლები ბადეაჭიმულ ფეხებს ლოტბარის ნკებლასავით უქნევდნენ ატრუებულ ბრბოს.

ლევანი პარტერში ცქმუტავდა — აფორიაქე-

ბული და თვალებადქეული, კეფის ენერგიული ქექვაც ველარ შველიდა ცხვირწინ მოფრიალე ფერად-ფერად სასნაულებს, უცხოდ მოვარდნილ სექსუალურ კი არა, მაგრამ სავითოყო, ამაგიჟმა-შებელ გრძნობას — უფრიალებდა კეფა და ექნა, ესეც იცხრობდა ბეჯითად. თანაკლასელი გვერდიდან მუჯღუგუნებით ფერდებს უღებდა, წინ ჩალურსმული ბიძაკაცი მლოცველის და-ჟინებით მიჰფითრებოდა ხატებას და გატრუნუ-ლი მუჭიდან შარვალზე ნება-ნება ეღვენთებოდა ნაყინი... სცენაზე მარდი ჯველი ყველას დასანახ-ბისლით დაბაჯბაჯებდა აქეთ-იქით, მერე ისევე მერცხლები შემოცვივდნენ და აიქნიეს სადირი-ჟორო წვივები... დარბაზიც აენტო, ადულდა, აბრი-ალდა — აპყვა პარტიტურას თავის ქიციინთ, ტრიალით, სკამების ჭრაჭუნით.

\* \* \*

გამოფხიზლებულებს მტკვრიდან ამონაქრო-ლი უგრილებდათ დაბინდულ შუბლებს. ხალხი ჯგუფ-ჯგუფად დნებოდა ღამეში და მარტოლა ანთებული სიგარეტები დაფარფატებდნენ ქალა-ქის ციციანთელებივით. მაშინ გმირთა მოედანზე ტრამვაი მირაკუნობდა, ტროლეიბუსებიც უზარმაზარ „ბუხანკებს“ ჰგავდნენ, წყნარად რომ შეხიზნულიყვნენ „დინამოს“ გალავნის შუბებს, ჩამქრალი მუშტიადის სასულე ცუმპა-რამპაც ღა-მის კალთაში ყუჩობდა და მხოლოდ ყმანვილი მიბლანდებოდა იქვე, მხრებშეცივულს გრძელი ჩრდილი მისდევდა ფეხდაფეხ და ლამპიონებთან უსწრებდა კიდევ.

ზემთ გამოშლილი ფანჯრიდან პოეტი ლექსსა წველიდა ვარსკვლავებს, ვილაცა ხველებით უყვფდა წყვილადს და ცოლქმრული სარეცლებიც წყნარ-ად ირწეოდნენ ღამის ტალღებზე, ცოცხალი იყო, აუჰ, რამდენი მკვდარი, რამდენი ოცნება ფრთებს ისწორებდა და გაფრენა კი აღარ ეწერა.

\* \* \*

მიგუგუნებდა დედამინა, ბრუნვით მიქროდა წყვილადში, კოჭივით იხვევდა დროს და ჩვენკენ მოარწევდა იმ პატარა ბიჭს, სამად ჩაკეცილს რომ ეძინა ახლა და ტკბილად სიზმრობდა.

**აბიუდი VI**

— პატივცემულო მასწავლებელო, სიტყვაში „დაუყვავა“ ყვავი რა შუაშია?

- ლევან, დატოვე კლასი!
- მე რატომ, პატ. მასნ?
- აბა, რაზმაძე, შენ თვითონ მოიგონე?
- დიახ, მასნ. დაუყვავა-ყვავი...
- ლევან, გარეთ!
- ახლავე მასნ. ბიჭო, ნიპას მიხედე, დაიხ-უთება ეგ უბედური, ხომ იცი...
- გელოდებით!
- ჩანთით?
- ჩანთა დატოვე.
- მიხედე, რაზმაძე, ნიპას, იქიდან არაფერი ჩანს, ხომ იცი...

— კარი გაიხურე! რაზე გავჩერდით, ბავშვე-ბო? რაზმაძე, გასწორდი, თორემ მიგაყოლე კუდ-ში. ჰო, ლუარსაბმა ჯერ ტკბილად დაუყვავა დარეჯანს, „ოლოლო შენ, ვერ გამოიცან“, მერე დარეჯანმა რომ გამოაჯავრა, „დიად, გამოიცან... დაგივლია, როგორც იმ დღესა ჰქენი, ეგრე ხომ მეც გამოვიცნობდიო“. ოო, რაზმაძე, მოაბრუნე აქეთ თავი... თავიდან დაითვალეს და ორ-მოცდაათზე მეტი გამოვიდა, მაშინ ლურსაბმა, რომელსაც დაჩემებული ჰქონდა: „თუ კაცი ვარ,



ორმოცი უნდა იყოს“, სულელურად წამოროხა: — „გაფრენილანო!“ რაზმაძე, თავი დაანებე მაგ ყუთს, ყურით გამოგათრევე, იცოდე, კუთხეში... რომ ჩაეფუჩეჩებინა თავისი შერცხვენა, ლუარსაბ თათქარიძემ... ქიქოძე, დაფა ნაშაღე... რას ჩურჩულებ მანდ, ერთი ვიცოდე! არა, ყველაფერს საზღვარი აქვს — რაზ-მა-ძე! რას ჩაცვიებიხარ მაგ პედესტალს, რას ჩაცვიებიხარ, ბიჭო, მაგ ყუთს, მაჩვენე ერთი...

- ფრთხილად, მას., არ შეეხოთ!..
- ბრრაახხხ-ხხხ!
- ვაიმე, დედა.
- მასნ., მასნ., თქვენ გენაცვალეთ, მასნ., რა მოგივიდათ.

— ჩე-ჩე-ჩემი ბრალი არ არის, ნიპა ვარ, მასნ... ლევანამ შემაძვრინა, თორემ გცემო!

\* \* \*

- რომელი კლასიდან?
- ამ სკოლაში არ ვსწავლობ, პატივცემული დირექტორო.
- ჩამოდი ძირს!
- არა.
- ხეზე რა გინდოდა?
- მეცხრეკლასელმა მითხრა, თუ ახვალ... — რომ გითხრას, მტკვარში გადახტო?
- ეგ არ უთქვამს.
- ჩამოდი!
- არ მცემთ?
- გინახავს, ვინმესთვის მეცემოს?
- მე თქვენ ასე ახლოს პირველად გხედავთ...
- ჰო, კარგი, გეყოფა, ჩამოდი.

\* \* \*

- ქალბატონო ოლიმპიადა, რამდენჯერ გაგაფრთხილეთ... მანდ რას აკეთებთ?
- არაფერს, ბატონო დავით, სპეცკაბინეტის ავეჯს ვალაგებთ...
- მაგ პედესტალზე ფარადეის ბიუსტი იდგა... ჰოოო, რამდენჯერ ავკრძალე ბავშვების გარეთ გაგდება — გასანი, დაჯექი შენს ადგილზე — ამთაც ეს უნდათ ჯერ ერთი და მეორე ერთი, დარაჯი ხომ არ გინახავს? სად გამისხლტება ხოლმე... იმ ხეს სანამ არ მოვაჭრევენებ, მესამეც ერთი, ტოტი რომ მოსტეხოდა?... კმარა. განაგრძეთ გაკვეთილი.
- ლევან, რა გიყო?
- ხომ არაფერი იტკინეთ, მასნ?
- გა-ეთ-რი-ეე!

**აბიუდი VII**

ჟრუანტელი უვლის მხრებზე, სწორედ ლიას შემხედვარეს, თავანუელი რომ მოაშარიშურებს რუსთაველზე ხმელ ფოთლებს და ძალიან, ძალიან მკრთალი ღიმილით უახლოვდება. სიგარეტი მოიშორა, შეეგება. მოხრილ მკლავში ჩაიტოვა ნატიფი მხრები. მოსეირნობენ. წინ სახეების გამოფენაა, უფრიალებენ აქეთ-იქით და კიდევ უფრო მობლუჯა ლია, ის კი არა და კოცნის, ჰო, კოცნის — ლოყაზე, ყვრიმალეზე, თმაზე — კოცნად ეღვრება. ლია არ უშლის, არც ჰყვება, შემწყნარებლური კი არა, რალაც უცნაური ღიმილით მოსდევს. ქალია!

- სად, ლევან? — ვერაზე დგანან, აეროპორტის კარდაფენილი ავტობუსის წინ.
- ჩემთან, სიცოცხლე.
- სად?

\* \* \*

უჟმური სახით დაუხვდათ მძლოლი, აგორგოლებული ბილეთები შემოაჩეჩა.

— ჰა, დაარიგე! — ხანჯალი ეხატა მაჯაზე. ლია უკან ჩაჯდა, სავარძელზე გადაფინა თხელი სხეული — ხელიც კეფის ქვეშ.

მარჯვნივ-მარცხნივ ანვდის ბილეთებს, მარცხნივ-მარჯვნივ ვინეგრეტივით აჭრელებულ ხალხს, მალე ულუფა-ულუფა რომ ჩამორიგდებიან შორს, ცხრა მთას იქით. მიაღწია ბოლოს.

აღ-აღ-აღმუვლდა ძრავა. მიეკრნენ ერთმანეთს. გაქრა ავტობუსი.

\* \* \*

— რა უცნაური ხარ, ლევან? — ლია მკლავიდან გამოუთავისუფლდა, ცერად, ტანის ნარნარით.

- არ მოგწონს აქ?
- მომწონს.

მართლა მოსწონს, გაშლილ ველზე სხედან, თვითმფრინავები კი მიდით — გაიქცევიან, გაიქცევიან და ჰე! უკვე ღრუბლებში ფარფატებენ.

— საიდან გამოქექე აქაურობა, — წამოინია ლია, თმაში გაბლანდული მზით და, — მე კი მეგონა, სულ ჭიქა გეჭირა ხელში.

- მაგასაც დავიჭერთ მალე, — გამოისვა ბალახი პირში.
- აქ როგორ წერენ?.. ჰო...
- ???

— რა გიკვირს, სიცოცხლე, მთელ თბილისში შამპანური რომ განყდეს, ძველ აეროპორტში მაინც იქნება.

მოსხლტა ლია, წამოვიდა, მოდის, მოდის დახრილი, მხრებში ჩაავლო „რითმებივით ჩამოქნილი თითები“, აჯანჯლარებს თან, — საძაგელო, ცინიკოსო, — ოჰ, ოჰ, სიცოცხლე ღირს, ისე აჯანჯლარებს, ჩამოსცქერის ისე...

მიიზიდა ძლიერ, ჩაიზიდა, გადაგორდა და გადაიზიდა.

**აბიუდი VIII**

— შიოს სიცოცხლე, შიოს!

შიომ ბინდიანი სათვალის ზემოდან გადმოხედა, ტელევიზიის კართან შეგუდულ საეკრანე გოგონებს მოუბოდიშა და ხელგამოწვდილი აქეთ წამომხიარულდა: — ლევანა, როგორა ხარ, ძამია, როგორ?

ზამშის ქურთუკის გაყოლება-გამოყოლებაზე ფოჩები აუფრიალდა — გამოახვია ყოფილი თანაკურსელი ფოჩებში.

- სად დაიკარგე, შიო-ძველო!
- მადაგასკარზე ვყავდით ორი თვე, ანტანან-არივე, ფიანარანცუა, ამბუვეუმბე, ტამატავე... გაგიგონია?

- კი.
- აუჰ, — შუბლი დაეჭმუჭნა უცებ, — ჭიე-ბია როგორი, თუ იცი, გაფშეკილა ტოტებში — ფიჩხა ვითომ და ჭია კია, ბიჭო... ისე, ქამელეონიც იცის. ვანიჩკა როგორა მყავს?

— ლოდივით. ბინა მიიღო გლდანში, — სიგარეტი ამოიღო. გადაუხსნა. იმან მოკიდება დაასწრო და ჭრელი სანთებელა მუჭში ჩასჩარა, — იაპონურია, ელემენტებზე. სხვა? ხომ იცი, რაფრა მომენატრე... — გადაეხვივნენ ისევ.

აკადემიაში შიო გვერდითა ფაკულტეტზე სწავლობდა, მამამისს გამოექცა, მედოლეს, და თავისიც გაიტანა — ინტერიერი დაამთავრა. დოლს ვერ გამოექცა მაინც, ჯიშზე ჰქონდათ გამობმული თუ რა იყო... მშობლიურ რაიონში გაანანილეს დიპლომიან ინტერიერისტად და იქ, კადრების ინსტრუქტორმა ბევრი რომ უტრიალა „სპეციალობის“ გრაფაში გამოჯგიმულ სიტყვას — რალაცას აგონებდა თითქოს და თან არ აგო-

ნებდა რალაცას — ბოლოს, ნაფიქრალზე, მორცხვად გამოანათა: — გაბრიელა მედოლეს ბიჭი არა ხარ შენ?

შიომ ფანჯარაში კი გაიხედა, მაგრამ მართალი ბიჭი იყო და თქვა: — აბაა.

რაიონის სახელმწიფო ანსამბლში ორი წელი ადამიტიურეს, ცეკვაც გემოზე იცოდა, წაიმღერებდა ზოგჯერაც და ვილაც ახირებულმა შეუერთა ყველაფერი ეს.

ახლა ფილარმონიის სოლისტი, მალე დამსახურებული არტისტი შიო გუდასტივირელი მსოფლიოდა ერთ რამეზე იყო გამახვილებული — „დინანია“ უნდა ჰყოფნოდა. ჯერ არა უშავდა, ბავშვობიდან გამოზრდილი ფილტვები ჰქონდა — სოფელში ერთობოდნენ ხშირად — წყაროს ღარს მოაგლეჯდნენ, მიწაზე დაგდებულს აქეთ-იქით ორი ყოჩი ნაუნვებოდა, ვილაცა შიგ პინგ-პონგის ბურთს ჩააგდებდა და ესენიც უბერავდნენ თავუფლოვანივით. არ ახსოვს შიოს, რომელიმეს მაგის მხარეზე გადმოებეროს ის წყეული ბურთი.

— მოდი, ვანიჩკას დავეცეთ, შვებულებაშია.

— ვერა, ბიჭო, ჩანერა მაქვს ახლა და ხვალე კი მიფერინავ გასინჯავზე.

— რა გჭირს გასასინჯი, — გაუდგა ესეც და ათვალერებს.

— შენ რა გიშავს, ძამია, ხარ აქ, მოყვრებში. ჯგუფი დგება ცენტრში, ფოლკლორული ჯგუფი და შერჩევაა რესპუბლიკებიდან. ნამეტანი გული დამწყდა ძველ ჯგუფზე... ოცდახუთი სული ვიყავით ჩემიანა. ათი მარწყვივით გოგო, ბალერინა მოცეკვავე. აკრობატი გვყავდა ერთი კიდო, ვიტია, სპორტის დამსახურებული ოსტატი, — რატომღაც მოინყინა, — კარგი ბიჭი იყო ვიტია, ნომერში ერთად ვცხოვრობდით — თავდაყირა ეძინა ხანდისხან და ვასწორებდი ხოლმე.

— კარგი აბა, სხვა დროს იყოს, — მაჯა სიყვარულით დაუჯანჯლარა, — ისე, გასინჯულზე რალა იქნება?

— ჩადი, მალი, სენეგალი, — ნამყოფი ვარ მაგენში, — კენია, ზამბია, გამბია... მაიმუნი არ დამაბარო ახლა, ევროპის გარშემოც კი ვარ დავლილი... — უცინის, — შენ რალას შვრები, მოდილიანობ?

— დავბოდილობ, კი.

**ატიული IX**

დახორკლილი, მწვანე-ჟანგისფერი ხვლიკი თავანული ეგდო ქვაზე. ჯიქი დაფრთხო, წამით ყალყზე შერჩენილი ჯიქი — დაკვესებულ თვალებს რომ უბრიალებდა ზეცას. დედამ სიგარეტი საფერფლეში ჩაფრთხა, საჩვენებელ თითზე ბრილიანტი აინთო და ჩაქრა. „დაბერდა? არა. შეიცვალა თითქოს, მაგრამ არ დაბერებულა, — თვალი შეავლო მშობელს, — დაძველდა. რა სისულელეა და მაინც... დაძველდა. ამ პასტორალივით“.

ლევანმა მზერა ისევ კედელზე ჩამოჰკიდა — სურათზე ხვლიკი მართლაც „ეგდო“.

— რას აპირებ?

„რას აპირებ, აპირებ — პირი... ესე იგი რას დასტაცებ პირს? ჩემგან ლინგვისტი არ დადგება“. სიგარეტს მოუკიდა.

— ეს მოსწიე.

— გამადლობთ, აღარ ვწვევი, — ღრმა ნაფაზით უპასუხა.

— ვერ გამიგია... მომკალი და ვერ მივმხვდარვარ, საით უქცევ, რა გინდა — რატომ გაგვექცი, დადიხარ ამ გამოსაშვების დროინდელ კოსტიუმში, შენაირი ჩამცმელი თბილისში ერთი-

ორი... რაო, მხატვრობ?

— უბრალოდ, მიჭირს, — დედა ყოველთვის გამოგტყუებს გულჩვილობას, — „უაზრო კომპოზიციაა, ხვლიკი ვერ დააფრთხობდა... ხვლიკი მკვდარია“.

— უჭირს, უჭირს, ღმერთო! მამაშენი რას გაკლებდა? მე? მე მთელი ცხოვრება პირის ღრუების მეტი რა მინახავს?

— ხანდახან შავი ზღვისთვისაც გამოგიხედა იქიდან... —

— ჰა!.. შენ არ ბრძანებულხარ რუმინეთ-თურქეთ-ჯანდაბაში, არა, მანქანა რატომ გაფლანგე, მამაშენმა დაგითმო — ამან აიღო და გაყიდა.

— დამითმო, ახალი გამოიყვანა და ძველი აქეთ მომაცვდრა.

— მამაა შენი, რასაც ეგ წვალობს...

— ჯახირობს, ჩალიჩობს.

— ინტელიგენტობა მარტო წიგნების კარადში ჯდომა არ გახლავს, — დედა უცხად ჩაქრა, — *Когда ты на виду у всех, тут уж без дипломатий не обойтись.*

— საკუთარი თავის სასარგებლოდ მუდამ. დედა, გაიგე, საქმოსანი და მუჯღუგუნებიანი ინტელიგენტი ისეთივე უაზრობაა... როგორც ცნებები „კოსტა მახინჯი“ ან „გრძელი მოკლე“.

— საქმოსანი? — ისევ აჭიმული წარბი, ძველ-ბურად.

— მაპატიე.

„რა სისულელეა, ხვლიკი მკვდარია და მორჩა“.

— ფული რა ქენი?

— იცი, — ახლა ფსევდორენესანსული „ბებდე-ლუშკა“ უჭამდა ნერვებს.

— ვიცი, ვიცი, საფლავე გააკეთე დილომში.

\* \* \*

სამზარეულოში გასულ დედას თვალი გააყოლა. „დედაჩემი ულამაზესი ქალია, უერთგულესი, უჭკვიანესი... უ-უ-უ ყველა ეპოთეტზე“. გული ამოუჯდა ყელში და იქ გაინაბა. სახლი აღარ იყო ბავშვობის, ან იქნებ ბავშვობაც არ არის ის, რაც მუდამ ეძახის ნოსტალგიით შეჩვენებულს.

— გლაზუნი თუ ომლეტი?

— ჰამიდვრით!

„იცის, ვერ ვიტან...“

ძალიანაც ეგემრიელა. სხვა დროს არ დაპკვირებია და ბედნიერებაც ასეა, ალბათ — ბნელ საკანში ნაპოვნი უცაბედი ჭურჭრუტანა, მთელ სამყაროს რომ აგიხილავს.

— არ შემიძლია, დედა, ეფრეიტორის ბრძანებაზე ცხოვრება!

— დაიტანჯები, — ქალები რომ ნაჯაფ, მოშიებულ კაცებს აპურებენ, ისე ჩამოსცქერის დედა.

— უკვე ვიტანჯები.

— მერე? სიცოცხლე ხომ ასე ხანმოკლეა...

— ამიტომაც მინდა, ნამდვილი ვიყო. საკუთარი, ჩემი.

„მხოლოდ წამიერი ჭურჭრუტანა თუ შემოგანათებს და ისიც ჩაქრება“.

ახლა შავი ღვინო დაუდგა ჭიქით — დაბალ-წნევიანი ბალდი, შავით რომ მკურნალობენ.

— მაინც რას გეუბნებიან აკადემიაში, რაო, მანსტრომ? — მიუხვდა, ეტყობა, და ფიქრს გაარდიდა, საოცარი ადამიანია დედა, უ-უ-უ ყველა ეპოთეტზე.

— გენიოსი ხარო! ოღონდ ადრინდელი ფუფუნების გამობერტყვა, ორასი წელი ტანჯვა-შიმშილი, მოლაღატე მოცეკვავის თავანყვეტილი შეყვარება და ყოველდღე შეჟვას არ ამბობს, მაგრამ ეგეც გჭირდებაო.

— სიყვარული, მე მგონი, უკვე...

— დე-და! — ჩანგალი აღუმართა, — ის არც მოცეკვავეა და არც მოლაღალტე.

— სამაგიეროდ შენ ხარ თავმონწყვეტილი წინი... ჰო კარგი, კარგი. აიღე, გამომართვი, ოოო, ნუ იუარებ ახლა, მამაშენს არაფერს ვეტყვი... რა ვქნა, გული მიკვდება, მაგ საჯდომზე აპრი-ალეზულ შარვალს რომ ვუყურებ. იმ დღეს სედა იყო, ჯინსები მოიტანა. ავიღო?

— არ მინდა!

\* \* \*

სახლიდან შინისაკენ ბავშვობიდან გამოძევებული, სანაპიროს ქარში გამოსხვეული მილას-ლასებდა.

**აბიული X**

კვილი გამოსმა მთებიდან — ექო იყო, ექო. რა ადვილი სათქმელია — ექო. გასაგებად — გაუგებარი, ასძახებ და გამოგაძახებს... ეძნელებოდა გათოვილ ყელს მუშაობა, ფილტვებში დაქრიალებული ჰაერი მოწყვეტით ამოხეთქავდა, — ა-უუ! — და სხეულში ახლიდან იღვრებოდა მთების სიცივე.

მოლზე წამომხართეძობელი ბადრია გაკვირვებული ჩანდა, არ იტყობდა და ჩანდა კი.

„ა-უუუ“... ადი-ჩამოდოდა, ქვებზე დახტოდა, გამეხებული კლდეებს ეხეთქებოდა და უკან მოქროდა.

— ბად-რი-ააა! — როგორც კოკიდან წყალი, ისე წამორაკრავდა.

ჯერ „რია“ მობრუნდა, მერე „ბად-ბად“, მერე „რია-რია“, მერე „ბად-ბად-ბად“... ბოლოს სულ აირია და სადღაც ჩაემხო.

— ბად-რიაა, რაა დროს თვლემაა, ბიჭო, გააცოცხლდი, კახელოო, — დოინჯშემოყრილმა, ღიმილით მიუხედა.

ბადრიამაც ამოჰლიმა ლევანს, წამოჯდა — სიგარეტი ზანტად მოიძია და გაეხვია ბოლში.

სიტყვები პანტაპუნტით მოცვივდნენ, — მაგათ რაღა აანყობდათ — დალაგებულ-დავარცხნილი ჯარი უკან თავქუდმოგლეჯილი გამორბოდა...

დოინჯი წელიდან ახლა ყურებზე აიკრიფა.

ბადრიამ მუჭში ჩაიციწინა, ხველებად გადააკეთა მერე.

— ეე-ეჰ! — ლევანიც გვერდით მიუჯდა, ნაფაზი გამოსთხოვა და გულაღმა გაიჭიმა.

„კაი ბიჭია და ცეტი კია“, — ბალახს უნდოდ ჯიჯგნის კახელი, — „კაი კია და ხატოს...“ — გადაყარა, ხელისგულები შარვალზე გაისცა-გამოისცა, — „ძან ვერ კი ამსგავსებს და!.. ხალხსაც, იმ დილაუთენია გლახო რომ გამამიძვრა ნისლიდან, იმებრ გამდნარსა ხატავს“.

პრიმას გულდაგულ ჩურთავს მინაში: — „კაი-კია და...“

\* \* \*

ცას ბურუსი გადაეწმინდა, ღრუბლები გამოთეთრდნენ — გაჩეჩილი მატყლივით, და-ცურდნენ აქეთ-იქით... კეფამ დამზრალი მინა შეუგრძნო, შეაცვივა. „ისიც ხატავს, ჰო, ისიც ხატავს. ფინჯანში რომ ეძებენ, ცას ახედონ, იქ ეძებონ, იქ იკითხონ, ჰა? მე და ის!..“

ბადრია გადახედა: „ექო?.. ექო ყალბია და მარტივი — ბრბოსავით. აუუ-ს გასაძახებ, აუუ-ს გამოგაძახებს, მეტს მოინდომებ — მეტს გაგიაბ-დაუბდებს და აიკარი გუდა-ნაბადი მარტოობისაკენ“.

\* \* \*

...მასპინძელო, მასპინძელოო, მაარნის კარი გიჭრიალებს...

— აეს სტუმარი დამილოცეთ, ხალხო, — არ აისდგე — ლევანის გაუმარჯოს, ქალაქელ მხატვარსა! — ღიმილი აქვს ვალიკო ძიას, მთელი კახეთის სიტბო ეტევა შიგ.

— ბად-ჯო, გყვანდა მიზნანში?

— გაიქცევაზეა რო? — ილუკება მადიანად ბადრი.

— გამქცევსა არც დედლი ბარკალი გამდა, დაეხსენ ლოყნას, მაიცდის.

— ეე... — ვაი, პეტა? სახლი ხომ არ შეგეშალა, კაცოო, მე არ მიმიპატიჟინხარ და...

ჩაერევა აუცილებლად, უხერხულია: — ქათამი მიირთვით, ბატონო, — და მეტი დამაჯერებლობისათვის შემოსულს თეფშიც მიუწინა.

— აეგ არ დამანახო! — ცხვირი აუქნია იმან.

— რა, ბატონო? — ნითლდება.

— ქათამი, ო! — მერე ნანყენი სახე ღიმილმა გაუბზარა, სულაც გაუხლიჩა და ახლა ბავშვები რომ მასხარებს ხატავენ, ყურიდან ყურამდე პირით, ისე დგას პეტა.

სხვები კი: — ჰა-ჰა-ჰა, ბუჰ-ბუჰ-ბუჰ, ჰხახ, ჰხახ, ჰხახ...

ბოლოს ვილაცამ ულვაშები მოუმარჯვა: „რა ჰქვიან? ჰო, ლევანა... ყური მამე!“

მისცა ყური.

— პეტა ფერმაში მუშაობს, გაი?

— ააა.

— ერთი კითხე, ჯო, კითხე, რაზე მუშაობ-თქო! — და „ჰი-ჰი-ჰი...“ სიცილი ულვაშებში მიაყურა.

რატომ დაიტყობდა? ამათ ანგლობაში ჩარევა სახიფათოა... ნივრის მწნილი გადმოიღო არხეი-ნად, ფცქვისის.

— პეტაა, რაზე მუშაობსო, ო, თბილისელმა! ლევანმა დარცხვენით ახედა პეტას: „მე არა, ბატონო, მე არაფერ შუაში...“ — და გააგრძელა ნივრის წვალება.

პეტამ ღიმილი უცბად დაიმოკლა, ახლა დგას, ნევრში იქელება და წყენით ეუბნება: — დამკვლელა!

— აა, მექანიზებული დაკვლა, კი. თბილისშიც გამიგია, ძროხებს ელექტრონით კლავენო, ქათმებს, ალბათ, ეე...

— ელექტრონით მაშა!

— ქათმებს, ალბათ, მამ... აი, ტელევიზორში აჩვენებენ ხოლმე — კენკვისას თავები გამოყოფილი აქვთ გალიებიდან. „მთავარია, თავი ხელში გეჭიროს, როგორც დედა ამბობს, ჯანდაბას როგორ ხოცავენ — აუუჰ, მოკალი და ამ ღვთის-ნიერ ხალხს ნუ გაანაწყენებინებ“, — თქვენც, ალბათ, რაღაც გილიოტინის მსგავსი მოწყობილობით...

— ბეჰ-ბეჰ-ბეჰ, ჰა-ჰა-ჰა, ჰო-ჰო-ჰო...

— ბებიაჩემი წარმოშობით კარდენახიდანაა! — უკანასკნელად დაიკვება.

— მექანიზებული არა, ფეხები, მოუყვი ქალაქელსა, ჰი-ჰი-ჰი...

— როგორა და აი! — მარცხენა ხელის ქანჩებივით დასერილი თითები ცხვირთან გაუფშიკა პეტამ, აღარ ხუმრობს, — ერთს ამათში გამავიმწყვდევ კისრითა, — და სალოკი შუათითს მიატყუპა, — მეორეს ამათში, — არათითი შე-მოუმატა, — მესამეს ამათში, — ნეკიც მიაკრა.

— გონია, ეგ არი და გორი ციხე? მამა გიცხონდა, — რაღაც ცუდად იბღვირება, როლშია ძალიან, — მეოთხესაცა ამათში, — ცერა თითის ილლიას ცხვირი ნააფხანა, — მეერე დავავლებ დანასა... — დაავლო, — და ნიპ-ნიპ-ნიპ-ნიპ... დაითვალე? ოთხივესა. დღეში ათასამდე ცოდვა გამამდის,

მაშა! — სახე გამარჯვებული უღვივის, — აგრეა, ჯო, — ქათმებიანი ხელი ბეჭებზე მოუტყაპუნა და დაჯდომამდე აქეთური ხაშლამის ძვლიანიც დაიყოლა.

სიცლისაგან რომ დაიცალნენ, კახელებმა დოქში ჩამონველილი შემოდგომა ქერქიან ხელისგულზე აიფოფინეს, დასძახეს სადღეგრძელო და შერჩნენ ასე — ცხვირზე აკეცილი ჯამებით. მთაში ნაფიქრალისა შერცხვა.

\* \* \*

საბან-ლებების ყვეტელა ზვინში შეჩურთულს ძილი გაკერპებული ქალივით აღარ მიჰკარებია. ღამე ფიქრში გაცვდა, გამოსუნდა ძველი ჯინსივით, დღე მოდიოდა და მადლობა ღმერთს, ისიც აქაური იყო.

**ატიული XI**

„ბრუკლინში ჩატარებული მორიგი ჩხრევისას აღმოაჩინეს ნარკოტიკული ნივთიერებების დიდი პარტია, გადაამყიდველები და ნარკომანები ამჯერად ვეღარ დაუსხლტნენ პოლიციას და ისინი დაკავებულები არიან“. წყვილ-წყვილ პოლიციელებს ილღიებში ხელბუნავლებული, მაგრამ მაინც ჯდომამერჩენილი ახალგაზრდები გამოჰყავდათ და „პიკაპში“ აწყობდნენ. პროექტორებით აბრდღვიალებულ ფერად ქუჩაზე ობლად დაძრწოდა მილიონი ტელემყურებლის ერთადერთი თვალი — გამწარებული ცდილობდა გულგრილ ზურგებს შორის შეჭვრეტას. „...და მემვიდე შემთხვევაა მხოლოდ ამ თვის მანძილზე. ბოლო ხანებში საგრძნობლად იმატა დანაშაულის რიცხვმა ახალგაზრდებს შორის“. ვილაც ძალიან ნაზ, გამხდარ და მაღალ გოგონას ეჯავჯგურებოდნენ: „ეს ქალიშვილი უიმედოდ დაავადებულია და იმყოფება ნარკომანიის უკანასკნელ სტადიაში“, — მიკროფონი მიუტანეს ტუჩებთან: „მე, მე არ ვიცი... როგორ დაიწყო და რატომ, არ ვიცი... არ მასსოვს... სიკვდილი მინდა მხოლოდ, სხვა არაფერი. რა მემველება, ღმერთო, რა მემველება?“ — და ცისფერი, გასაგიჟებლად ახლობელი თვალები ლევანს შემოანათა, — ასე მხოლოდ სიმარტოვე იყურება.

„მარტოა და... კვდება სადღაც. როგორ სადღაც, ეს ხომ რეპორტაჟია... ახლა ხდება ყველაფერი, ამნუთას — ესე იგი, აქ, ჩემთან, ჩემში. ფილმის ან წიგნის გმირი ხომ არ არის, ყოველთვისაც რომ შეგიძლია ფეხებზე დაიკიდო. ეს — სინამდვილეა“.

სისხლი მოანვა საფეთქელში და თავი შეახსენა... „მაგრამ ხელოვნება? ფაუსტი, ვან-გოგის მოხუცი, რუბენის ქრისტე და მარიამი... ჯოკონდაც ბოლოს და ბოლოს ხომ ნამდვილია“.

სამზარეულოში გარიდებულს ის გოგონაც თან გაჰყვა: „რა მემველება, ლევან?“

მთელი ღამეც გვერდით ეწვა და სიფრიფანა თითებით კეფაზე ეაღერსებოდა: „მარტო ვარ... სადღაც... მიშველე...“

დილით მზესთან ერთად მოვიდა: „შენსავით მარტო ვარ...“

გარეთ გასული, სანაპიროზე მწყემსავდა დარდს და იქაც: „მე მოკვდები...“

\* \* \*

სალონში შესულ ლევანს ყველა ნამუშევარი შეეზიზღა, როგორც ერთხელ შეეზიზღა ნაჩვევი ქალი — ბაზარში გადააწყდა, მწნილეულის აყროლებულ რიგს ნეტარდასხმული მიუყვებოდა და გაუსინჯავს არაფერს ტოვებდა.

რუსთაველზე უაზროდ ახეტიალებული ქალ-

იშვილებს აკვირდებოდა, იმ მარტოსულის ნაკვთებსა და გამოხედვას ეძებდა მოკისკისე, არაფრად ჩამგდებ ხალხში, კინოშიც შეუხვია და შუა სეანსიდან გამოვარდა...

ვერა, ვერ ამოატივტივა ტილოს ბურუსიდან ვერაფრით, საღამოს დაესხნა საღებავებს, ტელევიზორს აღარ რთავდა — ეკრანი ახლაც იმ კადრზე იქნებოდა გაყინული.

დანვა, ღამე ისედაც ტანჯვისა იყო და ალიონზე დაფეთებული ეცა ფუნჯებს.

საოცრად ძნელია დანახულის გაგება და არც გაგებულის ჩვენება ადვილი, ჰა, ლევან?..

ოთახში უხილავ ფრინველებად დაცურავდნენ „მარტო ვარ“, „რა მემველება“, „მე მოკვდები“... ფრთების ჩუმი, მოზომილი შრიალი აფრთხობდა ლევანს, ტუჩებდაკვნიტილს აიძულებდა, ედევნა, აფრენილ გულთან ერთად ისინიც პორტრეტის თვალებში შეერეკა და იქ საიმედოდ გამოეკეტა.

\* \* \*

ქუჩაში, მანქანების გუგუნში ორი დიასახლისი საუბრობდა: „მიდიხარ ფინეთში?“ „არ ვიცი, მანანა, გენაცვალე, ჩემი დაწყველილი ბედის ამბავი ხომ იცი, შვებულებას არ მიფორმებენ“.

იქვე ახალგაზრდა კაცმა ჩაიარა უცნაურად, თვალები ჰქონდა ძალიან ფხიზელი, თორემ ისე მთვრალი ჩანდა.

„გამობრუყდებიან დილიდანვე, რა ემართებათ ნეტავი ამ ლანჩაკებს?“

„ეგ, მანანაშვილი ჩემო, მთვრალიც შეიძლება არ იყოს, ხომ იცი ახლანდელი ახალგაზრდობის ამბავი — მორფი, ანაშა, კონიაკშიც მორფს ურევინო, გაგიგია ამისთანა?“. „მადლობა ღმერთს, ჩემი კოკა აღარ სვამს — რაც ცოლი მოვყვანივთ, აა-პა-პა! არც ერთ წვეს“.

ლევანი კი დარეტიანებული მისდევდა ქვაფენილს და ზურგიდან მხოლოდ ფრთების შრიალი ესმოდა.

**...და სახე**

(al libidum)

პირველად ვინ გაიგო, ლევანს ფეხი მოტყდაო? ჰო, კაკომ და დატრიალდა კარუსელი. არა, კარუსელი მაშინ დატრიალდა, მაიკო რომ აივანზე გამობაჯბაჯდა, ფარლალა კიბეზე სანდალი მოეღრცა და თოჯინიანად თავქვე წამოვიდა. მოადინა კიდეც ზღართანი, ოღონდ ლევანზე, ხალიჩად გაგორებულ ლევანის ტანზე — როგორ მიუსწრო ბავშვს, რანაირად, მიდი და არკვიე.

თაბაშირის ლულას თვალი ჩააცილა, საფერფლეს მოხვდა, მოიჩოჩა. ქარქაშში რაც ჩაუდგეს, საკუთარი ფეხი ვეღარც უგრძენია. უქავის ობლად, სულ ბოლოში გამოყვლეფილი თითებით და მათაც ექიმი დასტრიალებს: „გაანძრე-მოლუნე, გაფარჩხე-შეატყუე, ასეე“...

ღრმა ნაფაზმა ფილტვები მოუსინჯა, მიხოც-მოხოცა ავადმყოფური სისპეტაკე და კაცობას დააბრუნა.

— ჩვენი ერთად ცხოვრება წარმოუდგენელია, მორჩა, — ლია ხანდახან ისე დაიმახინჯებს თავს, თვალს გადმოყრის, სახე გაულურჯდება... იციან კი ქალებმა ასეთ დროს რასაც კარგავენ? — მორჩა! — უთო ზენარს დააბეჭდა და მაჯით მოინმინდა ცრემლები შუბლზე, — აღარ მინდა! კაცი კლდე უნდა იყოს, ქალის დამცველი ღობე და არავეთარი ნევროზები, საღებავები, ტილოები — ღმერთო!

მოღელილ ძუძუებზე წამოგორებული ჯუჯასათვის ვერ მოუცილებია თვალი, აი ახლა მिया,



ნკიპურტით ჩამოაგდებს და ხელსაც აღარ აიღებს.  
— მომზერდა! — გაეპასუხა ქალი.  
ქმარს სულში სიცივემ დაუბერა, ახალმა, უცხო სიცივემ.

ახრჩოლებული სიგარეტი ქარქაშს მიაჭყლიტა, დაგორებული ბოლმა გუნდასავით დიდებოდა, თაბაშირივით მაგრდებოდა. აუჰ, თაბაშირი... ნამოინია, ძლივს მოერია ნივთად ქცეულ ფეხებს, საწოლმაც კბილები დაუკრაჭუნა. სხეული უმოქმედო, სული — ცარიელი, თავი — ფუთი, საქმე — არაფერი. კარგია, არა? ჰო, სახლიც ცარიელი.

— მოტეხილ ფეხს ეშველება, ჩვენს ურთიერთობას კი არაფერი, — უყვარს ლიას აფორიზმებით მეტყველება, ფრთიანი გამოთქმები, — არავინ არ მინდა, არავინ! — ყრის და ყრის ჩემოდანში თავის ჭინჭებს, — ნუ გგონია, ლევან, ჩვენ ახლა კი არა, დიდი ხნის წინ დავშორდით, — ლევანის აჭიმებიც მიაყოლა, ლამაზი, სამფეროვანი აჭიმები, — ახალდაბიდან დავშორდით უკვე. ნუ გეშინია, კოჭლობა არ მოგკლავს, — რატომღაც მოეჩვენა, ლიას აქაც აფორიზმის თქმა ენადა... — თაბაშირსაც ხვალ-ზეგ მოგხსნიან და ექიმიც ყოველდღე შემოგირბენს, — დაასკვნა საქმიანად, ჩემოდანზე დაიჩოქა — კეტავს.

მოსვლებელ მუხლისთავებსა და მშვილდით მოზიდულ ტანს თვალი გამოაბა, შეინძრა, თაბაშირის სიმძიმე იგრძნო.

თვალი გაახილა. კედლებიდან დაჟინებით გამოსცქერიან შეჩერებული წამები. „იმიხსნა ცეცხლად, რომ მეცხოვრა, დრო ჩირივით გამოვახმე და გარშემო ჩამოვიკიდე“. ფარდას წაებობლა, ინვეს, „გავილი ცხოვრება ჩამოვიკონიალე კედლებზე, დავხევე, მე მაგათი...“ ლოგინზე მონყდა უმნოდ.

ზამთრის მზემ გააყვითლა ოთახი, სხივები იატაკზე გაფანტა, მერე ისევ მოკრიფა და კედლები აათვალიერა. „ლურჯი ცუდად ტყდება მზეზე, მკვდარი ლურჯია — რა გამიხდა ეს მსხლის ხე, ვეღარ შევკარი“. მზემ გააგრძელა თვალიერება — სადღაც, კუთხეში, მარტოობამ გამოანათა... „ამ გოგონას პორტრეტი ხომ ნაღია, ყველა ნაღზე უფრო ნაღი! ცხოვრებაა, სინამდვილე და სიცოცხლე... ჰოდა საკუთარი სიცოცხლე ვიღას დაუხევი“. გაუმნეოებულ ფეხს ეჭვით ითვალეირებს: „მსხლის ხესაც გავაცოცხლებ, ავადგები და... უხს, ერთი ურო ახლა!“

\* \* \*

იქ კი, სადღაც, თოვლი მოვიდა, ცერად, მონყენით. — დე-დი-კოო, თამაზმა გუნდა მომარტყა, — მობლაკუნობს ბელურა თოვლში, განუყრელი თოჯინა თავდაყირა უჭირავს, მუჭით ინვალებს გაბუტულ თვალებს, — მომარტყა! — გადაუწია დედას ქურქი — შეეყუჟა თბილად, ხელისგული შეიგრძნო კეფაზე, — დანყნარდი, შვილო, წავიდეთ სახლში.

გადათეთრებულ ეზოში ქალი და ბავშვი გამოჩნდნენ, კიბისაკენ გაიკვლიეს, აითვალეს საფეხურები, ბაკუნით შეაღეს კარი და გაიხურეს. დარჩა თოვლი მარტო.

— ჩვენ მხოლოდ ქინძმარაულს ვსვამთ! — მაინც რა უცნაური ჯემპრეები აცვიათ ბიჭებს ბაკურიანში. თავზე? თავზე ნუ იტყვი, ოლეგ პოპოვს შემურდება.

— მე ზაზა მქვია, ზაზა, თქვენ? — ხეპრე არა ჩანს, სიცოცხლისუნარიანია მხოლოდ.

— ლია, მობრძანდით, — ეცინება, კართან

ატუზულ ნანას ჩუმად მუშტს უღერებს და გულზე ეშვება.

— ლია, კარგია, — შემოაბოტა, ბოთლები მაგდაზე დაამწკრივა. რაღაცა სასაცილო ჩანს ამ კაცში, მოუსვენარია ციყვივით — მიდი-მოდის, ოთახს ავსებს. მეგობარი სერიოზული ჰყავს, — ბო-დი-შით, — ქურქიდან უხერხულად ძვრება... ერთმანეთს უხდებიან.

— კარგია, — აგრძელებს ხელების ფშვნეტას ზაზა.

— რა არის კარგი, ბიჭო, — ნანამ ამოიღო ხმა, ლიას წამოეშველასავით, თმის სწორებით ამოუდგა მხარში.

— კოტეჯებში ცხოვრება, აი აქ! — და თავზე-მით წრე დაიტრიალა, — დედა-შვილი, გვრიტე-ბივით. ჰა, ნანანიკო? კარგია, რომ მოგვასტუმრე, — ჭროლა ქუდი მოიძრო, მაიკოს მდაბლად დაუკრა თავი. თოჯინის წენვითაა გართული ქალი, შემობრუნდა, სტუმარს ტუჩებით გაუცინა.

წამით შეკრთა — ახლა ბავშვს არ შეუწნდესო თავის ყურადღება-სიცოცხლით... მერე მოეჩვენა, რომ ეს ძალიან უნდოდა.

\* \* \*

ზარი:

ლევანმა ლექსები გვერდზე გადადო, შეისუნთქა და მთელი ჯანით ამოაგდო:

— ლიას! — მერე ბერეტი მოიძრო სასწრაფოდ.

რაც გინდა თქვი და სიცივე ხალხს მაგრად უნითლებს ცხვირს.

— პალტო მანდ დატოვე, ისე არ დამენახო!

— ბერეტი ისევ შუბლზე ჩამოიცვა.

— შეიძლება?.. — ვაჟა მარტო, — ჰა შენ მოსაკითხი, — ჩამოუნყო სასთუმალთან საპონი და „პრიმა“.

— ისე გამოიფხიკე, სხვა ხუმრობას ვეღარ განვიდი? — ხელი შეაგება. რა სისულელეა ეს ხელის ჩამორთმევა. ადრე თურმე მარჯვენას იმიტომ ართმევდნენ, იარაღი არ მიჭირავსო. ახლა რა აზრი დარჩა?

— ბიჭო, რა ცივა გარეთ?.. — ირტყამს და ირტყამს ხელებს... მხრებზე. ოქრო ბიჭია, — ფხი როგორ მოგიკითხოთ, ჰა?

ისე სერიოზულად უთვალეირებს, მოდი და ნუ ახარხარდები, — იყოს რა, მე რას მიშლის...

— ხო ჩაუშვი ღუზა, ჰა, თქვი! მოიცა, რა ჰქვია მაგას... ჰო, დრეიფზე დგახარ... ევე... ნევზარ, — კოსტად მოუკალათდა საწოლზე, — თანაც რამდენი ხანია?

— ერთი თვე, — რა ზუსტად მოარტყა, ფხი კი არა, მართლა ღუზაა.

— ერთი თვე. მდა... არც დაგიღვივია?

— თქვენს ხელში?

— ცუდად გვიცნობ, ცუდად, — თვალი მოატარა ოთახში, — საღებავებს ვერ დაღვე, ყიპიტაურსაც კი ვერ გამოხდი მაგედან...

— თქვენ ხომ ქინაქინ-ფორმულებიდან ხდით.

— ქინაქინა რად გვინდა და ფორმულა კია საჭირო, — მუხლისთავებზე დაჭიდებული წამოდგა და დერეფანში მთავარსარდლის ნაბიჯებით გავიდა. იქიდან ორთითშუა ყელგამომწყვდეული ბოთლით ეახლა.

— მაინც ჩრდილოელი ხარ, რა... ზედ ხახვი და ხამსა ვერ მოაყოლე? — სითბო მოეძალა, მალავდა.

ვაჟამ პრიმასა და საპონს შორის „сибирская“ ჩაღდა: — რაც მოვაყოლე, ეგენია მაგის ასხმა.

წიგნში მოკუნტული ლექსები, „გადაშლასა და გაფრენას რომ ითხოვდნენ“, ლეიბში უფრო ღრმად მიაყუჩა. წამოინია, ბეჭებში ბალიში ამოიღო. ვაჟა არ მიხმარებია — თვალი აარიდა. ოქროა.

— ყველია მაცივარში, კონსერვი, რაღაც კიდევ, იპოვი.

— **Есть!** — გამოეჭიმა ვაჟა და სამზარეულოში მოჯამაგირესავით გაფაციფუცდა.

\* \* \*

— სიყვარულს გაუმარჯოს!

ლია შეკრთა, ზაზას ახედა.

— „უსიყვარულოდ არ არსებობს თვით უკვდავება, თვით უკვდავებაც არ არსებობს უსიყვარულოდ!“ — ზაზამ აბრწყვიალებული მხერვაჭერზე მოასვირნა და არავისთვის ჩამოუხედავს, ჭიქა ისე ჩაიცალა, დაჯდა. უღვაშები გასწითლებოდა, დინჯად აიღო ხელსახოცი, კუთხით შეიმშრალა და ლიას გაუღიმა.

ჩანგლის წვერით მოფხოჭნა თეფში, გადადო... დასწვდა ჭიქას და თავადაც შესვა. ტუჩებიდან არ მოეცილებინა — ზაზას გახედა, უღიმოდა, დაცალა.

ნანა და ნუკრი ცეკვავენენ, ჩურჩულით, ზანტად დაიზღაზნებოდნენ ოთახში.

— ვიცეკვოთ?

— ოღონდ ჯერ მე ვიტყვი სადღეგრძელოს, — ღვინო დაედინებოდა ძარღვებში, შიგნიდან ეაღერებოდა... — სიცოცხლეს გაუმარჯოს! — ზაზას დაყუდებული ბოთლიდან გაპიპინებული ჭიქა გამოაცალა, ტუჩები შეაგება.

სხეულში ჩალვრილი სითბო ღანწებზე ამოუვიდა... გახურებული ლოყა ხელის ზურგზე ჩამოიღო — უკვე ცეკვავენენ.

\* \* \*

— გოგლიკა ჩვენ ყველას გვჯობდა, ყველას... — ვაჟა გაშავებულ ფანჯარას მისჩერებია, მოკუმულ ტუჩებს მიხეთქებული ბოღმა კი ისევ გულში ბრუნდება.

ჩამოცლილია ნახევარი ბოთლი.

— იქ გაუმარჯოს.

— იქ!

ხანდახან ხომ სიჩუმეც ლაპარაკობს? აი ამ სიჩუმისა ეშინია ორნივეს, ახლა რომ აყბედებულია და გაჩერებას ალარ აპირებს.

— ახალი რა არის შენკენ?

არსებობს ამაზე ბრიყვული, უაზრო კითხვა? ახალს არა ჰყვებიან — ახალი ხდება, თუ არ ხდება და რაღა ახალია... ვაჟა არც პასუხობს. მერე უცეხ მიუტრიალდება და უცინის, — **нет, ты все же человек в футляре**, — ხარბად იცინის ვაჟა.

— რატომ?

— აბა, გგონია ფუტლარში მარტო ფეხი გიდევს? ჯერ მოიცა, ჯერ სადა ხარ.

— ბოლო ფუტლარს თუ ამბობ, ეგ შენც არ აცდებდა, — თვალი ჩაუპაჭუნა და სასწაულად გადარჩენილი მწვანილი პირში ჩაიკვცა.

გამოაღწიეს.

\* \* \*

იქ კი, სადღაც, უკვე ჩამოღამდა. ქარი ფანტელებს აცეკვებს, გაბზურებული ძაღლი უხასიათოდ ღნავის, იმას მეზობლისა ეხმიანება, იმას კიდევ... და შუალამეს აყეფებულ ბაკურიანს მოაგარაკე ჯველების ღონიერი ყრონტებიც უერთდება: „გიინდა იყოს კოჭლი, გიინდა ბრუციანანი...“ სასტუმროს გაბრდღვიალებულ რესტორანში გაქანებული დაბადების დღეა, ის შავი აი, ამ აყლაყუდაზე მუშტებს იგრეხს, სავარძელში ჩაკუნტული მემარხილე თვალბდაყვლეფილი იბუყნება, ვიღაც ყურებზე დადის და აი, ეს ტურფა იმ ტურფას — მაპატიეთ, — იმ ჭაბუკს მუხანათურ სარეცელს უმზადებს, დაკარგული ვნებების ძებ-

ნა ყველგან, გარეთ კი უკვე გამორესტორნებულ-ლი, ჭავლით კედელზე დამიზნებული ლოთის „ერთი თქვენი...“ ისმის.

მრავლის მნახველ-არმნახველ ვინმე პარმენს ძილში ემთქნარება, ილღიას იქეჟავს და მხარს ჭრაჭუნით იცვლის — კედლიდან მოდენილი შმაშუნი თითქოს ასიზმრებს და არც ასიზმრებს რაღაც შორეულს, ძაან ახლობელს — ღამე უღვაშებში ქირქილებს, ქარი დავლურს უვლის, სოფლის თავზე სიზმრების, ალერსის, ვნების აბლაბუდას ქსოვს, ფეხის წვერებზე დგება და ფანჯრებში აქა-იქ შეყოვნებულ დღეს სულს უბერავს. ღამეა, ღამე...

\* \* \*

— ჰოდა, მეუბნება: „ოთხი ქალი რად გინდა, ვანია, დაგვითმე თითო, შენთვის ამეირჩიე, ძამა, და დაგვითმე დანარჩენებიო...“ გესმის, ბიჭო? ჩემი თანამშრომლები არიან, — ვეუბნები, — ფარმაცევტები. ის: „დამითმე, სტარიკ, რეიზა ჭინჭყლობ, კეთილად გთხოვო“... მეც ქართველი არა ვარ? ბიჭებო-მეთქი და უფრო მაგრად არ გადამიარეს?

— ეგ სად?

— კალუგაში.

— შენც რას დანონიალობ კალუგაში, დაეტეი რაღა...

— სერიოზულად ამბობ შენ, ლევან?

— ქართველი საქართველოშია კარგი, გესმის? თბილისში, გესმის? შენს ქუჩაზე, გესმის? და თუ შენს სახლში ცხოვრობს და ძალიან ახლობელ ნათესავადაც მოგიდის, მაშინ მაგისტანა ქართველს ვერავინ შეედრება ქვეყანაზე.

— ეჰე, რა მოგივიდა?

კეფაზე გააჟრიალა, რა მოხდა მერე? ჩხუბის წინ კეფა აუცილებლად უნდა გაგიცივდეს — ასეა.

„ვოლგამ“ ლევანის დაძახილზე მკვეთრად დაამუხრუჭა, ოთხივე კარი გაიღო და სამი მოზვერი გადმოლაგდა. მხრებგადაბმული დგანან, ღიმილნარევი გესლით ათვალეიერებენ.

სულ უფრო მცირდება მანძილი...

ქალები მაინც არ ახლდნენ, ქალების თვალწინ ხათაბალაა — გარედან უნდა იმონმო თავი, ეცადო, არ შეიგინო და თუ გცემეს, ხომ კარგი — მთავარია, არ გაკოტრიალონ.

— რა გულით მოდის, ერთი შეხედეთ, კაცო, — საჭესთან დარჩენილი გამოღებულ კარზე გადამაკაცებულა და თვალმოჭუტული აბოლებს.

მარცხენამ შეაგინათ, ჰო ეგ იყო. ჯერ გუბე მოანუნეს და მერე ამ გაფიჟინებულმა მოაგინათ ფანჯრიდან. რაღა დროს ლაი-ლაია, უკვე ცხვირწინ უნთია ეს უტიფარი ღიმილი — გაუქანა და მუშტს ტანიც გააყოლა.

წამით ყველა გააშეშა შუადღისას „ვოლგის“ ბორბლებთან გაგორებული კაცის დანახვამ.

მერე ატყდა.

— მილიციაა! — ჯვარზე დაიფიცებდა დღესაც, იმ დაღებულ ხახაში გლანდები გავარჩიეო. ბოლოს პირი დაიშუნა და დედაკაცის დაჭმუჭნილი სახეც აღდგა.

ფაციფუცით შეცვივდნენ მოზვერები „ვოლგაში“ — და ძრავის ბუზუნ-ბუზუნით გააქანეს.

ლიას საკინძე შეხსნია, სახელენილი ეკითხება, — დანა რომ დაერთყათ?

სისხლი გადმოაფურთხა: — ეგენი არ დამარტყამდნენ, „პურიმჭამელი“ ბიჭები იყვნენ.

მაინც ვერ ახობიალეს — უბრალოდ ბეგვეს.

— მე შემომხედე, მე ხომ თხუთმეტი წელია,

მხოლოდ თხუთმეტი წელი, რაც აქ ვმუშაობო! გაიგე, ბიჭო, ეცოტავება!

— ჰა? — „უი ვაჟა“, — ჰო.

— რა ჰო, მეც მაგას არ ვეუბნები — არა! MFGY-ში ვოლკოვთან იმიტომ ვხეხე, ჩელიაბინსკ-ში კირაკოზოვთან იმიტომ ვხეხე, ახლა სარიშვილთანაც მეხეხა კოლები?

ბრაზობს ვაჟა, ბრაზობს.

— ვაჟა-ჩემო, კანდიდატებიც თუ კიდეც კოლებსა ხეხავთ და მეყოლე აბა!.. — ხელი აუკრა ბრაზზე.

გაეცინა ვაჟას. ცალ გვერდზე გაენლა ტუჩები, ირონით უნდოდა და ნალდად კი გამოუვიდა — ჰე, ჰე, ჰე, ჰე, — აი ასე გაეცინა.

— იცი, ლევან, რა დამჩემდა იქ? სამსახურში ვიყავი და სულ დალევა, სპორტ და ქალებზე ვსაუბრობდით, თუ დალევა, სპორტი და ქალები იყო — მაშინ სამსახურზე. **BOOT!**

*ნამძინარევი თვალეები ჰქონდა მანსტროს. ბახუსთან ხელგადახვეული თვლემდა დღისით-მზისით, საკუთარი ხილვებით გარშემორტყმული, გაუცოცხლებელი სახეები კი გარეთ გამოძვრალიყვნენ და ბლუჯა-ბლუჯა ესხდნენ აჩეჩილ ჭალარაზე. სტუმარს ბუნდოვნად შემოაჩერდა, თავი გაიბერტყა — დაესხნენ მწვალელები, ალბათ, — მზერა დაეწმინდა, ამოიცნო და გაიხარა. მიყოლებით გადმოალაგა ტახტიდან ფეხები — ფლოსტებს დააცილა... დგება-დგება, ადგა, მკლავებგაშლილი: „მობრძანდით, მობრძანდით“, უკან-უკან მიდის, მერე ისევ მოდის, ლევანთან ხელჩამორთმეული დგას და ლიას უღიმი.*

*ახლა ტახტზე სხედან, მანსტრო სიყვარულით ჩამოსცქერის, ესენი ემორცხვებიან, ის გრძნობს, თვალებს ხრის და ვაი? ფლოსტები შუა ოთახში. ტერფებზე დაიხედა ეჭვით — იქნებ მაინც... არა. ფეხშიშველაა. თავის თავს ჩაუცინა, მივიდა ფაჩუჩებთან, მოირგო და აკრეფილი ნაფეხურებით ოთახში გაიარ-გამოიარა. იცინიან.*

იცინიან, იცინიან...

*ლიაც იცინის, აფრასავით გამორკალული, შებინდების ჟამს, ფეხქვეშ დაგებული ზღვით — წვივებს ულოკავს ბებერი ხვადი, გახედნილი და მხედრიანი... მისი მხედარი კი, ყველა ქალთქალი, უნაგირში ამყადა მნათი, ქეჩოში წავლებული ყვითელი ხელით აოკებს უგუნურს და მიმალვამდე, სანამ ხელებალმართული ჩაესვენება, აქეთა ქალსაც შემოსცინებს თვალეებში წამით.*

— კარგია, ლევან, მოგზაურობა, პარიზი, რომი, რიო, — ბოთლი სარეცხივით ჩანურა ჭიქაში, მორჩენილია ვაჟა.

— გრანდე?

— რათა, დეჟანეირო. აი რას ვფიქრობ ხოლმე, ახლა ნუ დამინწყებ, კოპერნიკიო, გალილეო, და მიზიდულობის კანონიო კიდეც... ნუ დამინწყებ, კარგი?

— კარგი, ვაჟა, გეყოფა.

— გლობუსი გინახავს, ლევან, შენ?

— მრგვალია, ვიცი.

— ვის აშაყ-ჰიკი!.. მრგვალია, ხო.

— მერე?

— მერე და დედამინაც ხომ დიდი გლობუსია და ხომ ურტყამს ერთ წრეს ოცდაოთხ საათში.

— ურტყამს.

— ჩვენც ხომ ზედ ვასხედვართ და ურტყამთ?

— კარგი რა, თავი დამანებე...

— მიხვდი, ბიჭო, კაი, კაი, ნუ მიხვდები, ახტი ახლა და, ვთქვათ, დაეკიდე ჰაერში, ვთქვათ, ოთხი საათი კონნიალობ და ჩამოხტი, პარიზში. პარიზი

მოვიდა, რა, თავისით, ამ ტრიალ-ტრიალში. შენ არხენინად იყურები ქვემოთ, იქ კი — პოლონეთი, გერმანია, ბელგია, ალბათ, ქალაქები, მინდვრები.

ბახუსი წამოეპარა ფეხის წვერებზე, უკნიდან აუფარა თვალეები: „ვინ ვარ?“ — ლევანი. „სწორია“ — აკანტურებს გაბანჯგვლულ თავს.

— მესაზღვრეები ჩამოგადგებენ, როცა ჩაგივლიან... გამოკიდებულხარ სარეცხივით, თანაც მერიდიანი ზუსტად უნდა მიუმაჯგვო.

— რაო?

— პარალელი უნდა დაუმიზნო-მეთქი სწორად, თორემ იტრიალებს, იტრიალებს, ჩამოხტები და დგაფ, ადრიატიკაში...

— მაგის მეტი რა მიფიქრია, პარალელიც ზუსტი უნდა და ახტომის სიმალლევც, არადა სადმე გამოედები — აქ მთელმა კავკასიონმა უნდა გამოგიაროს, კარპატები, ალპები, იალბუზი, ეიფელი, სკოპი, ნოტრ-დამი... — გრაფინში წყალი შეყანყალა, — იცი, ლევან, ჩემი ბავშვობის აღმოჩენაა ეგ და ვერა, ვერ გავაბათილე ბიჭო, ვერაფრით.

წავიდა ვაჟა. შეძვრა პალტოში, აალაგა პატიოსნად სუფრა და შეძვრა პალტოში, არ მიუტოვებია, მხოლოდ წავიდა ვაჟა. უნდა ხომ მართლა წასულიყო და წავიდა ჰო, დამშვიდობებით, კოცნით, მოკითხვით წავიდა ვაჟა. მოვიდა მეფისტრო, გაუცინა: „დათვერი, ლევან?“ დაიხარა, ლევანის სიგარეტზე მოუკიდა, ბახუსს თვალი ჩაუკრა... აი, ამ ბახუსს, აქ რომ შემონოლილა თბილად და თაბაშირი აღარ ეყოფოდა, ახლა ეს დახვევია კისერზე. მანსტრო ბნელში უხმაუროდ მიდი-მოდის, თაროსთან ჩერდება, წიგნს არჩევს, სავარძელში ჩაშვებული ფურცლავს. თითქმის ციციანათელა დაჰფარფატებს, მალა აფრენილი ბრიალდება და ოთახში თვალეები ელავენ. „რას კითხულობს ამ უკუნში“...

„თუთის აბრეშუმხვევია, პეპელა, ნამდვილი აბრეშუმხვევების — *bombicydae* — ოჯახისა. განვითარების ფაზებია: კვერცხი ანუ გრენა, ჭია ანუ მუხლუხი, ჭუპრი და ბოლოს — პეპელა. კვერცხიდან გამოსული ჭია აბრეშუმგამომყოფი ჯირკვლებიდან პირველივე ასაკში გამოყოფს ძაფს, ხოლო მეხუთე ასაკისათვის ჯირკვლები ინტენსიურად ეზრდება და სხეულის საერთო მასის ორმოც პროცენტს აღწევს — ადამიანზე რომ გადავიანგარიშოთ, კიდურების გარდა სულ ჯირკვლები გამოდის — ამის შემდეგ ჭია წყვეტს კვებას, ადის ცახზე და ახვევს პარკს. პარკში ჭია ჭუპრად იქცევა. ეს მეტამორფოზის ფაზაა. მისგან გამოსული პეპელა კი ზრდასრული ფაზაა“. მანსტრომ გადახსნილი ნახევრები ისევ შეატყუპა და წიგნი მუხლებზე ჩამოიღო:

„გინდა სოჭოზეც წაგიკითხო? თუმცა არა, ისე გეტყვი: ხოჭოც ახვევს გორგალს, ოლონდ საკუთარი სხეულიდან არა — ნეხვიდან. მერე კობტად ასუფთავებს, წმენდს და იცი რატომ? სორომდე რომ ადვილად მიაგოროს და რამენაირად შიგ შეათრიოს... საკვებად“. მძიმედ წამოდგა, წიგნი მუხლებიდან დაუცურდა, იატაკზე უნდა დაცემულიყო — ხმა არ ყოფილა. მანსტრო არსად არ წასულა, მარტო ადგა და... გაქრა.

სიჩუმეს დანებდა ყველაფერი, სიჩუმის ხმა ისმოდა ოთახში, იტრიალა ერთხანს, იბზრიალა, შეგუნდავდა მერე, შეიკრა ერთიანად და სავარძელში ჩაეშვა: „რაო, იუზგარ, მათავე კონსერვატორია? კომპოზიტორობ? ეეე, სპორტს მიჰყოლოდი, ბიჭო, შენ რომ ფინტებს აცეკვებდი, მთელი მეზობლობა შუშაბანდებიდან დასაბერტყი ხალიჩებივით იყო გადმოფენილი. ნახე? ვოლგები, ფული, სახელი, გოგოები, რამე... ან ის გიტარა



გაგეყოლა მაინც, იდგებოდი ლოთიანად: ვაარდზე მეტი ეკაალი აქვთ ლამაზებებს... ჰო, ამებს აღარ მღერიან — ეჯუ, პეჯუ და მიდი — მთელი მსოფლიო! ეჯუ, პეჯუ და მიდი, კიდევ ერთი კრუგი — ეჯუ, პეჯუ და აქაც ხომ ყველა ხელისგულზე დაგისვამდა“.

„შავგოგია ხარ, გიცანი. წადი, შემევი, ბიძაჩემო“. „ვაჰ! ლევანა ყოფილხარ... მე კიდევ რეზიკა მეგონე. იცი, რას გეტყვი? შენ რაღას დაყილობ, გგონია რეზიკაზე უკეთესი ხარ? აი მე, რა ვქნა, რიჟასთან ვნახე შენი ნახატები, — არ მამწონს, ჰო, ფიროსმანიც არ ამგვანებდა, თანაც სულ აქედან ხატავდა ბემურაზი, მაგასთან კაცი ზურგით მჯდომი არ მინახამს, მაგრამ ის — ფიროსმანი იყო, მამაჯან, შენ — ჩვენუნელი ლევანა ხარ, ფეხბურთში შენ არ ვარგოდი და ხმაც რომ ფარშევანგისა დაგყვა? ჩხუბი კი იცოდი, ბიჭო, იცოცხლე... მამალი მგელი დგებოდი, იუზბარ, — არ დადექი.“

„მკვდარი ხარ, შავგოგია, ახლაც თოვლი გაყრია საფლავზე და თავი დამანებე... სიზმარში მკვდარი ცუდია“.

„ვაი, გეძახი რო? არ გეძახი. იყავი მანდ, სატანჯველი ბევრი დაგრჩა, მოჰკიდე-მათავე და მერე გავარჩიოთ. მაინც რა გაკლდათ, ოქროებო — გვარიშვილობა, ძმაცაცობა, ნათესავ-მომსველელი თუ პატრონი... დაისწავლე რაღა, აეს წესები. ცხოვრება ნარდის თამაშია: არ მოიგებ — წააგებ. ნიჩია არ მოდის. თქვენ გეთამაშებიან — ესენი მითომც არაფერი, ჰოდა გიგებენ და მოგიგებენ კიდევაც“.

*გაჭენებულ თეთრ რაშზე ამხედრებული კაცი უდაბნოში მიცურავდა, ხან გამოიკვეთებოდა, ხან ისევ ქარსა და აბორიალებულ ქვიშაში დნებოდა. ეს სად იყო, მუხლებამდე ჩაფლული, მძიმედ, მძიმედ მიაქოშინებდა ტყვიადქცეულ სხეულს და რაღა დაწევა, თვალდან არ მოსწყვეტოდა, იმას ლამობდა. მზის ნაცვლად შუბის ბუნიკი ერთო უდაბნოში, დეზები ელავდნენ ბორიყაში და მხედარი იქროდა უსასრულოდ გადაულღელი, ჯიშტად მიერქუში, რას არ მისცემდა, რომ შეეძახა, მოცდა ეთხოვა — ვერ დაჰკადრებდა საკუთარ თავსაც... ხმა მასთან იყო, ხმა მაინც იყო, ის სანეტარო თქარათქური და კიდევ რაღაც ძალიან ხმამაღალი ჩურჩული, — გასნი!*

*ქარიშხალმა შემოუტია, მძიმე საბანი დაახუთა ზედ, ჩაფლო, ჩაბუთნა მშვიერ სტომაქში. იდაყვებით დაფორთხილდა, ქვენარმავალივით გაიკლაკნა, გასხლტა ქვიშიდან — დაგორებულზე მოეჩვენა, რომ აღარ ჩანდა...*

*ავარვარებულ სილაზე პირდაღმა ეგდო, დახეთქილი, ქვიშით ნატანჯი ტუჩები მინის მცხუნვარ ყურს ჩასჩურჩულებდნენ — ნუ მიმატოვებ, ნუ მიმატოვებ...*

\* \* \*

ალიონზე გარძისფერდა სოფელი, მამლებმაც წამოუყვივლეს — ნელ-ნელა ღრუბელივით გამოჩნდა თოვლი, გარშემო, ყველგან.

ტყის პირზე მიხრაშიხრუშობდა ნაბახუსევი, მხრებანურული ბიჭების წყვილი. თავებზე ორთქლი მისდევდათ — საუბრობდნენ.

— თოჯინები არიან ყველანი, ვნებიანი თოჯინები, — ცის გადახსნას გაეტაცნა ერთი, ნიკაპანული მიჰყვებოდა ღრუბელს, — ჰოდა მეც ვეთამაშები, — თოვლს დასწვდა, შეაგუნდავა, ხელთათმანში ასტუნავებს, — ასე სჯობია, დაშორება აღარ მჯიჯგნის, ღალატი აღარ მირევს გულს, — და მოუქნია ალიონს.

მეორე თავჩაკიდული მისდევს, ჩუმი, ჩუმი.

\* \* \*

აი ახლა, სძინავს მას, ლევანს, სამად ჩაკეცილს — თავი ლამის მუხლისთავებში ჩაურგია, სულ პატარა ადგილი უჭირავს ლოგინში, როგორც ოდესღაც, უსასკობისას ეძინა დედაზე ჩაყუყულს. ახლანდელი დედამინა კი ბრუნავს, ქოშინებს, მიიბურთება უსასრულობაში, ლევანსაც მიაქანებს სადღაც და იხვევს კოჭივით დროს.

ლევანს ესიზმრება, რომ მირბის უდაბნოში, ქვიშით გადატყაული, ბრბო მოსდევს ყიყინით, ალიაქოთში ვერ არკვევს, რა უნდათ, ამიტომ გარბის, გარბის. და ძალა აღმართს ხნავს — ეწვივან.

უკან — ოკეანე, წინ — ყიყინი და ხელების როკვა. მორჩა.

და მაინც გაიბრძოლა, უკანასკნელად გაექანა, აინია ცოტაზე — ჩამოვარდა, აინია ისევ და ისევ ჩამო — არა აინია, აინია და ისინი ხომ ეტანებიან, მაგრამ სადღა... ზღვისკენ განქარდა, იქით, ღრუბლებში და თითქოს მოეშვა, არა აიტაცა, აიტაცა ახლა რაღაცამ და ნეტარება მოასკდა ღვარად, წალეკა სიყვარულმა, თავისუფლებამ მოაჯადოვა — გასწორდა, განდიდდა, გაავსო სივრცე, სხეული ვერ იგრძნო, დაგუბებული გასკდა რაღაცა და მარტოობის მსუთველი ჩარჩოდან ამოვარდნილი — გათავისუფლდა.

## კანონი

ამ ქვეყანაზე ერთი უცნაური კაცი ცხოვრობდა. ოდესღაც ღია ცის ქვეშ ნახირს მწყემსავდა და სხვა არაფერი ედარდებოდა. შემდეგ რაღაც დაემართა, მწყემსობაზე გული აიყარა და უცხო საქმეს ჩაუდგა კვალში. ერთბაშად შეიცვალა ცხოვრება, ახლა მიზეზს ვეღარც თავად ხსნიდა და სხვებიც ხომ ვერა და ვერ ხვდებოდნენ. ერთი ეგ არის, ზედმეტი ფიქრითა და განსჯით თავი არ დაუტანჯავს — ნაღდად თუ დაიჯერა არჩეული გზის გარდუვალობა. ხელობა არ ეთქმოდა ამ საქმეს, რადგან ვერც არჩენდა, ვერც სახელსა და ბარაქას მატებდა ნამწყემსარს, თუმცა ის ამას უკვე აღარ დაგიდევდათ.

გზები შეჰყვარებოდა უზომოდ. ერთ ცვრიან დილით გაღვიძებულს მთები და ნახირი დაუგდია, ბარში დაშვებულა, მიწაზე. იმ დღიდან გზებსა და ბილიკებზე აღმა-დაღმა დაეხეტება, თავჩაქინდრული მიუყვება სავალს. დროდადრო დაიხრება, ქვას ან ქარისაგან შემოყრილ ხრეშს დასწვდება — გზის პირს გადაყრის. სულ ეს გამხდარა ამ კაცის საქმე — ეს არის ჩემი ხელობა და სხვა არაფერი მეძალეაო — ჯიშტად პასუხობს მომკითხავთ და ისინიც აღარ აჯინდებიან — გიჟად თუ თვლიან, საწყალს.

ალიონზე, ხის ძირში მიძინებულს, სხივი მიაკვლევს, წარბებს შეუთამაშებს — თანდათან წამწამებში გაებლანდება — დაინაპრალეს და თვალებში ჩაელვრება... ძილწამოხდილი მზეს ახედავს, ხელს გაუნწვდის და ორივენი იცინიან. სამოსიდან ხალისით წამოწეული ღამის მტვერს ჩამოიბერტყავს, წყაროსთან ჩაფაციცებული ჩაიჩოქებს, თვალების ცეცხლს ამოინამავს, თავს გაიგრილებს — ტყის ნუგბართა და მეცხვართაგან ნაწილადები საგზლით დანაყრებული, მხიარულად შეუყვება კაცის ბედივით დაკლაკნილ ბილიკებს — არც დასაწყისი და არც ბოლო რომ არ უჩანთ. ფეხტიტველს უყვარს სიარული, ასე უფრო გრძნობს ბილიკების სატიკვარს და ვერც კუქნა ქვები უსხლტებიან განუკითხავად.



ბევრჯერ უნახავთ გლეხებს უცნაური შრომით გართული ნამწყემსარი — ჯოხი მხრებზე აქვს გადებული, ხელებიც ზედ გარდიგარდმო გაუყოლებია, ბილიკს თავდაკიდული მიუყვება, ფეხებს ჩასცქერის და ახერხებულ მისამღერს არგებს მათ მონაცვლეობას:

— ჰერდიაო, ბერდიაო!

დადის ასე კაცი ლურჯ ცასა და ბულა მთებს შორის, ნაფოტა ტბების გაყოლებაზე გაჭრილ ბილიკებზე, დადის და ცხოვრობს. დრო გაუჩერდაო, სწორედ რომ მასზე უთქვამთ — რაც მწყემსობა მიატოვა, მას აქეთ აღარც შეცვლილა. წლების ხეტიალს გრუზა თმა და მარდი ტანფეხი არ გაუხუნებია, არ შეუღახავს. ვინ იცის, რამდენი ბილიკი გალია ასე ქვების ძებნა-კარგვაში, რამდენი გზა ჩაასუფთავა მუყაითად... გზაზე მავალს ხიფათი და ფათერაკი ბღუჯად ეყრებოდა თავზე, ბედსაც მისთვის მხოლოდ კბილებისა და ხანჯლის პირის ჩვენება ემეტებოდა — არ აკლებდა ცდას, როგორმე გზიდან აეშორებინა — მარტო რომ იყო, იმიტომ.

მუდამყამს ღიმილგადაფენილი ნამწყემსარი კი, ღილინითა და ხალისით მიმხიარულებდა და საქმის მიტოვებას არცა ფიქრობდა. მაინც მოხდა რალაც. ერთმა შემთხვევამ ააფორიაქა კაცი, ეჭვი ჩაუგდო სულში — სლიპინა, ხვლიკცანცალა ეჭვი. მადლობა უფალს, გონს მალე მოეგო, გამოდევნა უწმინდური და გზას დაუბრუნდა.

გაზაფხულის ისეთი დილა იდგა, ბუნების გამოღვიძებას ვნების ოხშივარი რომ სდის, ზამთარში დაგუბებული სიცოცხლის ჟინიც თავანყვეტით გარეთ მოჰხეთქავს. ნამწყემსარი შარას მხნედ ჩასდგომოდა, ჯოხიც ილღიაში ამოედო — მალიმალ უნევდა დახრა. კარგა ბლომად ქვების გადაყრამ მოუწია მამინ, უამრავ ხალხს ევეო ამ გზაზე და სადაც ბევრი ხალხი მიდი-მოდის, იქაც მეტი ქვა ყრია. ერთ ჯერზეც რომ წამოიმართა, შუა გზაზე გახირულ ხურჯინაჩოჩებულ გლეხსა ჰვიდა თვალი — შელოცვილივით მას მოჰფითებოდა. ნამწყემსარს არ გაჰკვირვებია, ნაჩვევი იყო შემხვედრთა გაცვებას. დააჩერდებოდნენ უპრინადა, სულსაც მოითქვამდნენ; მემრე წყალობანარევი ღიმილით, ხანაც ქირქილითა და თავის კანტურით გაცვლებოდნენ. ეს ბედოვლათი კი არა ჩქარობდა — ნაკვერჩხალა თვალებიდან მოდენილმა გაცვებამ ნამწყემსარს სული შეუბორკა, მხრები მოუნურა და შეაყოვნა. ესამუშა კაცს, ეძნელა ბანარევით დაგრეხილ წარბებს შეფარებული ეს მზერა. მაინც ჩამოიგდო და ის იყო საქმეს უნდა მიბრუნებოდა, რომ გლეხმა შეაყოვნა:

— რასა შვრები?

— ქვებსა ვყრი.

— რათა, ჰა? — ქუდიდან კითხვის ნიშნებივით გამოფარჩხული ყურები ჯიუტად ითხოვდნენ პასუხს.

რა ეღონა? ჯოხი გამოიგდო ილღიდან, მიწას დააბჯინა, ზედაც ჩამოეყრდნო და გლეხს დაუყვავა, — ჯო, ქვიან გზაზე უფრო მარჯვედ დადიხარ თუ უქვოზე? „ახლა კი გვეშველაო“, — ფიქრი დააყოლა ზედ, მოტრიალდა და „ჰერდიაო-ბერდიაო“-თი მოშორდა აბეზარს. ის კიდევ არ დაცხრა — გამოუდგა, დაკვესებული თვალები ცხვირწინ შეაგება, — უქვოზე!

— ჰოოდა, მეც მანდა ვარ! — სალოკი თითი აღუმართა, გაუცინა და ისევ გაინაპირა. ის იყო ჯოხი დაიიღლიავა, რომ თვალები ხურჯინისაკენ გაექცნენ და გაქვავდა კაცი — ხურჯინი ქვებით იყო ამოტენილი. მას შემდეგ, რაც მწყემსობა დააგდო, პირველად შეუქანდა გული, — რა, შენც გზებიდან ქვებსა ჰკრიფავ?

იმან პასუხი დაუხანა, მერე კაცისათვის არც შეუხედავს, ისე მიუგდო:

— ვანყო! — ხურჯინიდან კაკვით გამოიჩიჩქნა, გზის პირს მიაბაჯბაჯა, კენესით დააგდო და ზედაც ჩამოჯდა.

ახლა ნამწყემსარს დაუდგა გაცვების ყამი. ხელისგულით სახე ჩამოიწურა, კეფა დაიქექა და იჭვით დაეკითხა, — მოიცა, კაცო, რატომ?

— ისე.

— ფეხი რომ ვინმე წამოსდოს? — მაშინვე მიხვდა, ბრიყვულად რომ მოჰკითხა. წამით დაფიქრდა და თავიდან მოჰყვა, — ხელობა იცი რამე?

გლეხმა ზანტად ამოხედა, გაბუნდლულ წვერულვაში უგერგილო ღიმილი ამოუკრთა, თვალდაჭუტულმა მიუგო, — საქმე არ არის, მე რომ არ მემარჯვებოდეს!

— მერე, კაცო, ქვებს როდისლა აწყობ?

— მოცლისას. თანაც საქმეზე წასული ემ ხურჯინსაც ავიყოლებ ხოლმე.

ნამწყემსარმა ტუჩები მოილოკა, ნერწყვი გადაყლაპა და ჩაილაპარაკა:

— ქვებს სადლა ხვეტავ?

— რიყეზე ჰყრია უთვალავი, სულ ნარჩევი. ხალხიც ბლომად ეტანება.

— ვინ ხალხი?

— ხალხი, რალა! აბა იქიდან ქვებს მარტოკინა კი არ ვეზიდები, — შეიცხადა წყენით.

— სხვები სახლების ასაშენებლად ეზიდებიან.

— ჰო! ეგეთებიც მხვდება. მეტი წილი კი ჩემსავით ირჯება.

„ერიჰა!“ — დალონდა კაცი. „ესენი ერთმანეთის გზებზე ქვების დაწყობაში თუ ასე გამეცადინდნენ, მარტოდ რალას აუვალ განმენდას...“ — წამით სხივი ჩაუქრა და თვალი ამოულამდა, წამით სულშიც უწმინდური შეეპარა და ყველაფრის მობილწვა სცადა... მხოლოდ წამით. გაქცეული თავი დაიბრუნა, აცდენილს ჩაუშუსლა და სულში ჩააცქერდა: „ამას, ქვები, უთუოდ საცალფეხო ბილიკებზეც ექნება დაწყობილი!“ — ეჭვმა ამოსძახა ბილწად. უკან მიაბრუნა და წყნარად დაიწყო:

— კაცო, ძმაო! აბა დაფიქრდი, შენი საქმე უფრო იოლია თუ ჩემი. სად რიყიდან ქვების ზიდვით წელი იწყვიტო, გატენილი ხურჯინი აღმა-დაღმა ათრიო და სად პირიქით: გზაზე არხენად ისეირნო — დაიხარო, აილო ქვა და მოისროლო დასაქცევში...

— ჰო, სიმართლე შენია, — არ შეედავა ის.

— მერე?

— რაც სხვებისა ვნახე, მეც იმას მივდი. შენი მენახა, შენ მოგყვებოდი, აბა!

მერე რალაცამ ჩააფიქრა გლეხი. თვალი მიწას დააწყვიტა — იქ ილო მისი ცხოვრების აზრი. პეშვებით ის აწვდიდა სიცოცხლეს და მკვდარსაც ის ჩაიმიწებდა სამუდამოდ. ყველაფრის პასუხიც იქ იძებნებოდა... თავი აილო ბოლოს:

— დიდი ხანია, რაც ემაგას სჩადი?

— მწყემსობა რაც დავაგდე, მას აქეთ ასე ვარ.

— ჰოო... ალბათ, ფათერაკიც შეგყრია.

— მომხდარა.

— ბალღებიც ხომ გნოვობენ და ხალხიც ძალღებს გიხელებს — თუმც კი შენზე ლოცულობს... ადვილია, მამა გიცხონდა...

— ახლა რას იზამ? — არ დააცალა ნამწყემსარმა.

— დაასუფთავე! — ამოთქვა გლეხმა და მძიმედ წამოიწია, — მე მაინც ჩემი ხურჯინის

მეტის გამწმენდი არა ვარ! — ქვემოდან დაავლო ხელი, დაეჭიდა ოხვრით და ამოატრიალა.

ქვეები მოსწყენდნენ გზის პირს და რიხინ-რიხინით დაეშინდნენ თავვევს, ხევში, ყირამალათი მიანყდნენ იქ მიკლაკნილ ღელეს, დგაფადგუფი აუტყხეს. დინებაშელახულ ღელეს კალაპოტი აუტალახდა, ანკარა წყალმაც ფერი იცვალა და მიყრილ ქვებზე მღვრიედ დაიგუბა.

გლეხი წამოიმართა, ხევს ჩაშტერებულ ჩაჩოქილ წამწყემსარს გვერდი უქცია, ცარიელი ხურჯინი მხრებზე მოიგდო და დაუმშვიდობებლად იქით გასწია, საიდანაც მოდიოდა.

ქვემო დინებამ თავისი ქნა, ტალახი თანდათან ჩარეცხა და ჩაიყოლა — ღელემ სული მოითქვა, დაწყნარდა, დაინმინდა. ფსკერზე დამარხული ქვების თავზე ახლა უკვე კამკამა წყალი იცინოდა.

წამწყემსარი ხალისით წამოიმართა, მზეს ხელი მოუჩრდილა — დაიმედა, წინ კიდევ მთელი დღე ედო, და შეუყვავა თავის საქმეს.

მას აქეთ ჯოხზე ხელგაჯვარული მიტორტმანობს გზებსა და ბილიკებზე... და ისმის ტყიდან თუ ბარიდან, მთიდან თუ ხევიდან:

— ჰერდიაო, ბერდიაო!...

იქნებ ყური თქვენც მოგიკრავთ?

## წაცხვარი

ერთი ცხვარი იყო, სხვებზე კველუცი, უცხო და კოხტა. მოწყენით გადახედავდა დანარჩენებს, ამოუშვებდა თავისოდნა ოხვრას: — ოჰ, ღმერთო! რა შეგცოდნე, ამ სამწყემსად და საკრეჭად გაჩენილ ბენავებში რომ გამრიე, ასეთი ლამაზი და ტურფა! — ბალახს უხასიათოდ წინკნიდა, გორგონად მისდევდა ფარას, ნაპირ-ნაპირ, და გულიც სულ მუდამ გაქცევაზე უთამაშებდა. ერთხელაც დრო იხელთა, ჩამოსცდა მწყემსებს და ტყეს მისცა თავი.

უჰ, შენი გულისა... რა ნაძვნარი და მუხნარი, ჩიტები და გვრიტები, რა გალობა, რა წყალობა არ შემოეგება! მისუნსულებს დუმების ქნევით, მარცხნივ-მარჯვნივ ბალახს წინკნის, სადღაც ტოროლა მღერის, სადღაც ჩიხვი ჭახჭახებს, კამკამა ცას მერცხლები ჭრიან და ხაზავენ — მართლაც რომ სანახავია! ასეთ ედემს, ასეთ ჰანგებს აბა ის ჩაჩურა მწყემსები გააგონებდნენ სწორედ, მარტო „ჰაე! ჰაუ! იჰოო!“ რომ ეკვრათ ხმელა მჭადით გამოტენილ პირზე.

მიიწინებდა ბედნიერი, ამაყი, მიიწინებდა და მიადგა ტბას. ტბა ისეთია, როგორც მუჭში გამომწყვდეული ცა — ლურჯი, თვალკრილა. ჩაუხედა, იქიდანაც ცხვარმა ამოსცინა, ლამაზმა, კოხტამ; გაეზადრნენ ერთმანეთს.

მაგრამ ეს რა ხდება?

ტბა თანდათან მოილუშა, აიფოფრა, აიქოჩრა და სხაპასხუპით მოაყარა ტალღები: — ასეთი ჭუჭყიანი, ლაფიანი, ამ ტყეში არავინ მეგულუბა: შემომბედე ჩქარა, უნდა გაგბანო!

„სად წყალი და სად კიდევ ჩემი ჯიში“, — შემფოთდა ცხვარი და მოცოცხა იქიდან. მოდუნდულებს ლალად, თავზე ჩიტები დახვევიან, უჟღურტულებენ, უგალობენ სიცოცხლეს. აყოლა სცადა: — მევე, მევე, მევე... საიდანღაც ყვავი გამოუდგა: — შენა და მე, კაცო,

მეები ვყოფილვართ. ჰოდა ერთად უნდა ვიმღეროთ!

მოღის ცხვარი, ზურგზე ყვავი წამოსჯდომია, მოიღვირან ხალისით: მევე, ყვა! მევე, ყვა! მევე, ყვა! — რა კოხტები ვართ, რა საამოდ ვგალობთ. ბოლოს თავად დაილაღნენ, ყურები აენვათ, ჩიტებიც ხომ სიცილით დაგუდეს: — გუგული და ბულბული თქვენთან რა მოსაჯიბრიაო. „სამაგიეროდ ლამაზი ვარ!“ — ჯიუტად გაიფიქრა ცხვარმა და დალილმა მოღზე წაუჩოქა. ყვავიც გაუფრინდა ზურგიდან, — მაგათ სიმღერისა რა გაეგებათ, — დაუყვავა მალღიდან და გაქრა შავი კვამლივით.

დარჩა ცხვარი მარტო, იცოხნება უგემურად. ირგვლივ კი თითქოს ცისარტყელა დამსხვრეულა და მდღლოზე ჩამოცვენილა — ათასფერი ყვავილი ყელყელაობს, თავს იწონებს. ნაღვლიანი მზერა ესროლა ბედის რჩეულებს და თავზე დაიხედა... „მერე რა, რომ ფერადი არა ვარ, მაინც ლამაზი თეთქმის“, — დაიჟინა გულში. იქვე ბრძენი ბუთელმდა, დალილს, მხეცების დარიგება-გარიგებაში დასთენებოდა ლამე, მიუხედა ფიქრებს, პანტისოდენა თვალი გადმოუკარკლა, — სილაამაზეში ყვავილს ჯერაც ვერავინ გასჯიბრებია, რადგან ყვავილი თავად სილაამაზეა! — დაარიგა მთქნარებით, შეიფერთხა მხრები და ისევ ძილს შეერია.

წამოლასლასდა ცხვარი იქიდანაც, — „რას იზამ, ხუჭუჭა თმა და ხორცი ხომ მაინც მაქვს ყველაზე კარგი“, — დააიმედა თავი, თუმცა ვეღარც ხასიათი მოიბრუნა და ვეღარც ძალ-ღონე.

ამასობაში ტყე გაღრმავდა, გახშირდა. მოიბურა და მოიქუფრა არემარე... ხელგამონვდილი ტოტები სხულზე წაეტანენ, მუჭებში ჩაიტოვეს ფაფუკი ბენვი. მოჯახირობს საცოდავად, წვალობს და ცოდვილობს, ის ოხერი ბარდები არ იქნა და აღარ დაეხსნენ, ერთიანად შემოაფლითეს ლამაზი ქურქი. ასე ჩამოძინძილმა, შელახულმა, როგორც იქნა, გაიბილიკა, რომ მუხიანში მგელი შემოეფეთა ზედ ცხვირზე. რუხი, ჩლახუნა, წითელი ენა გამოუგვერდებია და მიწაზე მათრახივით მოსდევს:

— ვაი? ამას ვის ვხედავ... რა ჯიში, რა ცხოველი ხარ? — დაეკითხა ეჭვით.

— ევეჰ ცხვარი ვარ, ცხვარი... — გამოელაპარავა ბედსალი.

— ჰა, ჰა, ჰა, — ბებრულად აჩიფჩიფდა მგელი; მერე სიცილი ერთბაშად მოისპო და ბრაზით დაიღრინა, — მაიმუნობას თავი ანებე! ცხვარზე ცხრა მთას იქით დავენეტები, მთელი ჯელობა მეცხვარე ბომბორებთან ბრძოლას შევალე და გინდა დამაჯერო, რომ აქ დაყილობ?

— ნამდვილად ცხვარი ვარ, ფარას გეფიცები, — მიუგო თვალცრელიანმა ობოლმა, — ხომ იცი, რა გემრიელი ხორცი მაქვს... შემჭამე! გეტყობა, გშია, — მოსდის ლაპალუპით ცრემლები, ბედზე გამწყრალა მეტად.

— მდა! ააა... — შეყოყმანდა მგელი, მუხასთან მივიდა, ჩაჯდა, უკანათათით კინკრისო დაიქექა, — ტყეში თუ ვინმე იჭმება, ყველას პირზე ვცნობ. სოფელში ხომ ვცნობ და ვცნობ... შენ ვინ ოხერი ხარ, რა ვიცი, გამეცა! ხათაბალას არ გადამკიდო, — დაასკვნა ბოლოს და წამოდგა.

მიჩლახუნობს ბილიკზე, თან თავისთვის



ჩიფჩიფებს: — კაცი ღორმუცელა არ უნდა იყო; მე რომ ეგ საფრთხობელა შემესანსლა, რა იცი, რა მუცლის გვრემა ამიტყდებოდა! — დაასვენა კმაყოფილმა და გაძუნძულდა მგლურ საქმეებზე.

„ეპე! აღარც გემრიელი დავრჩი, აღარც ხუჭუჭა-ლამაზი და აქ ხომ ჩემი მეე-ც არავის ატკობს...“ — გაიფიქრა ნაცხვარევემა და გაქუსლა შინისაკენ.

# ნ ა ნ დ ა ი ა

მარლენი მიდიოდა, მიდიოდა და ველარ ჩერდებოდა. ქარი ხეებს მჭკნარ ფოთლებს სტაცებდა და ჰაერში აქერქებდა. შეჩერდა. სიგარეტი ფეხსაცმელსა და ასფალტს შორის ჩაჭყლიტა, მაჯაზე დაიხედა — დროა.

ქალაქის განაპირა მშვიდ სინამდვილეში, განათებული სკვერების მიღმა, სახლები ჩანციკნიკბულიყვნენ. მანქანები მოძრაობდნენ — წყნარად და თითქოს. მარლენმა ლაბადის საყელო აინია, მხრები შეათამაშა და პირველივე კოტეჯის კარს მიადგა.

ზარი. კარს მიღმა ხმაური გამოისმა და ვილაც გამოეშურა იქიდან.

მიიხედ-მოიხედა, გვერდით, აკვარიუმივით ვილაში, ჩრდილები დაიზღაზნებოდნენ უცხო მელოდიაზე. „მოვასრჩობ, თუ გამიძალიანდა და თუ არ გამიღო... აქედან ვესვრი!“

ზღურბლზე აშკარად იაპონელი ქალბატონი წარუდგა, თავისნაირი ხელჩვილიანი: — ვინ გენბავთ, სერ?

- ეს როუჩ სტრიტია?
- დიას.
- რა ნომერი?..
- ჩვიდმეტი-სამოცი, ფოსტის ყუთზე აწერია...

„ნომრებიც რომ ყირაზე აქვთ, ამათი...“ — უკაცრავად მემ, შემეშალა.

გამობრუნებულმა იგრძნო, რომ ისევ ვერ შეძლებდა. „არადა შინ დაბრუნებას ისევ ციხეში ყურყუტი სჯობია აქ... მაინც ვიზამ, ამათი ქალაჩუნა დედა“...

კერძო სკვერზე მოაბოტებდა, ყვავილნარზე გამოჯლიგინდა, იმ კოხტა და მოვილი სკვერზე; აქაურთა თითოეულ ოჯახს რომ ჰკიდია სამკაულად კოხტა სახლის კისერზე, — ფუ, ამათი... — ასფალტზე გადმოხტა, ვარდის ეკლებს იცლიდა ლაჯებიდან, — მაინც ღირდეს რამედ ეს ბალახი, ერთ ქეიფად ზედ, საჭიდაოდ, ანდა ისე, საძოვრად, ფუ, ამათი... — თავჩაქინდრული გაუყვა ფერად ქუჩას, ნაპატივები, გრძელი მანქანებით, ციცქნა მდელოებით და მათ უკან გამობეყილი სახლებით. იქიდან მომდინარე ეკრანული დიალოგები თუ მუსიკა ენაცვლებოდა გზად: „მართლა ასეთი ბედნიერები არიან თუ? მაინც ვიქნები, თუნდაც სინგ-სინგში... მაინც ვიზამ, მე ამათი...“ ტროტუარს გასწვრივ ვილაც უხეირო იკაკვებოდა პირაფჩენილი „ფორდის“ მოტორში. „რომ ავუარო, დაეჭვდება, არადა, ერთი მაგის ზანგი დედაც...“

— ჰეი, სერ! უკაცრავად, ხომ ვერ მომანვებოდი?

- ოოო, კეიჰ!
- ნაკუზული, ასფალტზე ლანჩების ტყაპატყუბით მიარბენინებდა მანქანას, — „როდემდე ვუგორო ამ ლენჩს ეს ტაჩკა — გათავდა ამერიკა!“ — ფიქრობდა ლოყით ცივ ბამპერს მიხუტებული. დაიქოქა ბოლოს.

— გმადლობთ, სერ, ჩაჯექით, მიგიყვანთ.

„ტაქსი ყოფილა, ფერზე ვერ მივხვდი“, — იდი ზნაემ კუდა? — ოფლს ინმენდა, ცხვირ-სახოცით კისერში ჩამძვრალი.

— ფარდენ? — ვერ გაიგო კეთილმა ზანგმა. მარლენი იჯდა ნიუ-იორკის ყვითელ ტაქსიში — უფულო, ნისიად, უაზროდ, უმისამართოდ, დაუსაბუთებელი და დაბღვერილი ათვალეიერება და ცეცხლმოკიდებულ მოთამაშე რეკლამებს, თან ვერ გაეგო, ბოლოს და ბოლოს, რა უნდოდა აქ.

დილით, როდესაც ნიუ-იორკში წინადღეა, თბილისის ერთ-ერთ გარეუბანში, თექაზე, ბეტონის ჯუნგლებში მეხუთეკლასელები გალულ ბიჭს პანლურობდნენ:

— მამამისი ამერიკაში გულაობს. ეს აქ... ველოსიპედის თხოვება კი ენანებათ, ამათი... მარალაზე გამოუგზავნა.

ჯინსებიანი ბიჭი სანაგვე ბუნკერთან მიმდგარი ზღუქუნებდა თავისთვის — იტრიალებდა მუჭებს აცრემლებულ თვალებზე.

და დაჯლიგინებდა დათხრილ ქუჩებში აღმადღმა პრიალა, ჭრელი ველოსიპედი — უცხო დჩყიტებოდა ავაზაკთა ლაჯებს ქვევიდან.

# მნიხური ქანო ნუ პუნა დეთვიც გათეთრებიც ნახავი

ბალახნარში გაგორებულ დათვს მალე მოზერდა უქმად კოტრიალი, ხენემა და თაფლზე ოცნება. „პოო, — ფიქრობს, — ამნაირ შუაპაპანაქება, ჩემი შესაფერი კეთილი საქმე შექნა და თავი მესახელებინა, კარგი იქნებოდა“

ხედავს: ტყიდან ორი მგელი გამოძუნძულდა — გაზანთული, ბენვარეული, სოფლიდან ცარიელ-ტარიელზე გამოპანლურებული. ძლივს და მოლასლასებენ და კუდებიც ფეხებში ებლანდებათ.

„აბა ამათ დამიხედეთ, — გული აუჩუყდა დათუჩის, — ამათი ცოდვით რატომ ტყე არ იწვის და ზეცა არ ნითლდება... რა მახადია, რით შევეწიო ამ საწყლებს“. მოიძია სამალავი, ააფოთფოთა, მიჩხრიკ-მოჩხრიკა ხმელი ფოთლები და ვინ იცის როდის ნაპოვნი საპონი შერჩა დრუნჩს წინ. „მოიცა, კაცო, ამით არ არის, ადამიანები ერთმანეთს რომ ბანენ და რეცხავენ? — მოიფიქრა და გაიხარა დათუჯრად, — დავბან ამ საცოდავებს, მკბენარებს გავაცლი, გავხეხავ გემოზე... ეგენიც გაილაღებენ და მეც ტყეში კეთილი სახელი გამივარდება!“

თქმა და ქმნა ერთი იყო. გამოგორდა სამალავიდან, ცხვირწინ აებურთა მანანალაებს და გვარინად გადაუქანა გულელები.

— ბოთებო, — დატუქსა მამაშვილურად, — დაიხედეთ თავზე, აბა თქვენ სოფელში გასაყენები ხართ?..

მგლები მორჩილად გალურსულან, მუხლები უქანკალებთ შიშისაგან.

— ჯანდაბას თქვენი ქეციანი თავი, იღბალს მადლი უთხარით, მე რომ შემხვდით! — ქდავს მორჩა დათუჩა, ორივეს ქეროში სწვდა, ერთი მარჯვენა ბლუჯში ასნია და მეორე — მარცხენაში.

დათვის ტორებზე ჩამოკონწიალებულებს ლაფი წურწურით გასდით, ჩურჩხელებივით გაშეშებულან და ერთმანეთს მზერითლა შესჩივიან.

ბევრი აღარ უფიქრია დათუჩას, მგლებიანად ლელისაკენ წაბაჯბაჯდა, ჩააგნო მოზრდილ გუბებს, შეაბოტა შუაგულში. გემრიელად ჩააყურყუმელავა ორივენი, დაასველა და დააღბო, დრუნჩით საპონი გაუსვ-გამოუსვა, კარგად ააქაფა და ერთიმეორეზე ხეხვას მისდგა, ნეკნების ლანალუნი აუყენა, ააყმუვლა.

კარგად რომ დარეცხა, გულდაგულ განურა ორივენი და იქვე, ხის ტოტზე გადააფინა გასაშრობად, თავადაც დაბლიდან მიუჯდა, ჩრდილში. „ძლივს ხალხს არ დაგამსგავსეთ, ასე არ სჯობიაო?!“ — აპლიმილა აცახცახებულებს.

ინინწკლებიან მგლები და „ცხიკ! ცხიკ“ — აქვთ ერთი ვაი-უშველებელი.

ტყეში ფაჩუნი გაისმა, დათვმა დააყურა, — ვილაცები მოიპარებიან, მოსუნსულებენ. დავითო შამბნარში დაიმალა. „ერიჰაა, ერთი ამათ დამიხედეთ?“ ლელესთან კვერნა, მაჩვი და მეღია მოსუნსულდნენ, წყალს დაენაფნენ. დათუჩას ისევ ეშმაკობამ შეუნთო ტანში. გამოდანდალდა ბუჩქებიდან. ლელის პირზე წაატანა სამთავეს, უთაქა და პანლურის კვრით შერეკა ადგაფუნებულ წყალში; თავადაც ჩაჰყვა, მოიძია საპონი და მისდგა ახლა მათ ბუბნვას. ააქაფა მთელი ლელი, შრომობს და აღარაფერი ეყურება.

გაისარჯა დათათა, დაბანა მხეცუნები, გააქათქათა, ამოწურა, შეაბერტყა ერთიმეორეს და გაფინა გასაშრობად — ერთი მაყვლის ბუჩქზე, სხვებიც — ძეძვზე და ბარდებზე. დაიღალა თავადაც, მიეგდო იქვე, ერთი ამოიხვნეშა და ტკბილად ჩაეძინა.

შუბს გადანვერილმა მზემ უკანასკნელად გაიბრძოლა, გასაშრობად გაფენილ მხეცუნებს სულ ბული და ორთქლი აადინა. გადახედეს ერთმანეთს — აუჰ, როგორ ბზინავენ, როგორ დაუხტით ათინათი განკრიალებულ ბენვზე.

გააპარეს მზერა დათუჩისაკენ, გუბის პირას წამოარხენინებული, ნატალახარი, მიზელილ-მოზელილი, ტანზე ნახევრად ტყეაყოლილი, ნებიერად ფშვინავს, ხანდახან წაიქექება ზანტად. ეეჰ, აბა ვინ გაუბედავს გაბანვას, რომელს აქვს მაგის ძალა?

გამოეცალნენ იქაურობას, მოსდეს მთელ ტყეს დათუჩის მექისეობის და მისი აბანოს ამბავი.

ბოლოს ხმამ იარა და მეფეთ მეფის — ლომის

ყურამდეც მიალწია.

ტყის თავყრილობის მოწვევა ბრძანა მეუფემ. უამრავი ნადირი მოაწყდა მბრძანებლის კარს. როდესაც ყველა შექუჩდა, ლომმა პირსახოცისოდენა ენით ტუჩები მოინმინდა, დაამტქანარა და იქუხა:

— განბანილები მომგვარეთ!

ჯამათი გაიპო და დაბანილები წინ წამოყარეს

— ადრე როგორ იყვნენ? — იკითხა ლომმა. ვერავინ შებედა პასუხი, ბოლოს ვეზირთუხუცესმა ვეფხვმა ივაჟკაცა.

— ტურტილიანები და ზინტილიანები, ბინძურები დათვივით.

— რაო? — დაიღრიალა მბრძანებელმა, — აბანო გაუხსნია, მექისეობა უკისრია და თავად გაუბანელი დადის!? აბა ვინ გამეგზავნება დათვის გასარეცხად?!

თავი ჩამალა სუყველამ.

— თქვენო მაღალმეუფებავ, — ტკბილად შეაპარა ბრძენთა ბრძენმა ბუმ, — მექისე ხომ მობანავებე ძლიერი უნდა იყოს.

— ლაჩრები ყოფილხართ ყველანი, დათვზე კი აყვიობთ... — განრისხდა მეფეთ მეფე, — ახლავე აქ მეახლოს, მეფე გწყალობს-თქო, მე თავად განვბან! — ბრძანა.

ბუნაგში აცნობეს დათუჩას ხელმწიფის ბრძანება. ჯერ გამწვანებულა, შემდეგ გალურჯებულა და ბოლოს შიშისგან მთლად დაკარგვია ფერი, მოუცოცხია იქიდან, მიძუნძულებს და ფიქრობს:

— ჰაი, გიდი! რაც მოგივაო დავითაო, ყველა შენი თავითაო! — ლომი ხომ მუდამ ლომია, კარგად მოეხსენება მაგის ტორებისა და ძალღონის ამბავი. მაგრამ, რომ დაიბანოს და დაბილოს, ხომ სულიც აღარ ამოჰყვება წყლიდან, ნეკნები კი არა, ტყავიც არ დარჩება მთელი.

მირბის გულგახეთქილი დათუჩა, გადაიარა მთები და ტყეები, გამოდევნებული ლომის ღრიალი და ტორების ხმა ესმის გამუდმებით. მთლად გათეთრდა შიშისა და დარდისაგან. მიალწია მარადიული ყინულის სამეფოს, სადაც მხოლოდ პინგვინები და სელაპები ბინადრობენ, და დასახლდა იქ.

ის არის სწორედ, აღმა-დაღმა რომ სცემს ბოლთას თეთრ უდაბნოში, ერთი დრუნჩილა შერჩა შავი და იმასაც, თუ ვინმემ აბანო უხსენა, თათებში მალავს, ხომ ხედავთ, თოვლივით თეთრი ვარ და დაბანა სულაც არ მჭირდებაო.






„მოგვის დღიური“ ანუ „ლოცვადმავლობა“ (1987 წ.), როგორც მეორენაირად იხსენიებენ ამ წიგნს, ლეგენდარული სანტიაგოს გზით პაულო კოელიოს მოგზაურობის აღწერაა. შუა საუკუნეებიდან მოყოლებული ამ გზას მილიონობით ლოცვადმავალი იყო ადევნებული. ამ გზაზე მწერალი ხვდება მისტიკურ ეტიკ-მეგზურთ და დემონურ მაცნე-მახარობელთ, სწავლობს ჭეშმარიტების ბუნების გაგებას, შინაგანი ძალის შესაძენად ეცნობა მისტიკური RAM ორდენის საფარჯიშოებსა და რიტუალებს.

„მოგვის დღიურს“ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კოელიოს როგორც მწერლის ჩამოყალიბებაში. მართალია, ეს მწერლის პირველი წიგნია, მაგრამ სიღრმითა და საზრისის ძიებით იგი არაფრით ჩამოუვარდება ფენომენალურ „ალქიმიკოსს“.

1986 წელს, როცა კოელიო ლოცვადმავლობადა, სანტიაგოს გზა სულ 400 პილიგრიმმა გაიარა. მომდევნო წელს, „მოგვის დღიურის“ გამოქვეყნების შემდეგ, ეს გზა უკვე ნახევარ მილიონზე მეტი ლოცვადმავლის ფეხქვეშ მოექცა.



საულო საულო

## მოგვის დღიური

### მიძღვნა

ლოცვადმავლობას თუ მწირობას, ანუ სულის ზრდასა და წმინდა ადგილთა მოლოცვას რომ ვინცებდი, აგრე მეგონა, ეგ არის და ჩემი სიყმანვილის ერთ-ერთი ყოვლის უფრო სანუკვარი ოცნება მისრულდება-მეთქი. შენ ჩემთვის მოგვიდონ ხუანი იყავი და სასწაულებრივის ძებნა-ძიებაში კასტანედას საგა ცხადში გამოვიარე.

თუმცადა ჩვეულ სიკერპეს არ იშლიდი და ჯიუტად უძალიანდებოდი შენი გმირად გახდომის ჩემს ყოველ საცადისს. ეს ამბავი ძალზე ართულებდა ჩვენს ურთიერთობას, ვიდრე არ შევიგნე, რომ ყოველივე სასწაულებრივი ჩვეულებრივი ადამიანების გზის ბინადარია. ამის შეცნობა თუ გაგება დღეს ჩემი ერთ-ერთი ყველაზე უფრო ძვირფასი ავლა-დიდება გახდა, რაც ხელ-ფეხს მისხნის რაგინდარა საქმის საკეთებლად. და სანამ პირში სული მიდგას, ის ბოლომდის ჩემთან იქნება.

ამიტომაც, ამ შეცნობა-გაგებისათვის მადლიერების ნიშნად — რა შეცნობა თუ გაგებაც ან სხვა ადამიანთაც უნდა გაფუზიარო — ეს წიგნი შენ გემძღვნება, პეტრუსეს.

ავტორი

### წინათქმა

წარმოიდგინეთ რამირ პირველის ზეობა, ბრძოლა ლოგრონოსთან და თეთრონზე ამხედრებული იაკობი, რომელიც ძლევაშოსილ ქრისტიანულ მხედრობას მეთავეობს და აბდურაჰმან მეორის წინამძღოლობით მოსაგრე მავრთ ამარცხებს. იმ შორეული ხანიდან მოკიდებული, ვისაც კი ადგილ-მამული ჰქონია კამპუს-სტელაში, პედროს მთის ძირას გაშენებულ პატარა ქალაქში, სადაც ხსენებული ღირსმოსავგონარი

ბრძოლა გაიმართა, მოციქულ იაკობს ყოველწლიურად სუყველა ღვინოსა და ხორბალს სწირავს. ბრძოლის შემდგომ, მალევე, როს იქაურთ ირწმუნეს, რომ წმინდანის სხეული იქ იყო დამარხული, ეს პატარა ქალაქი სალოცავ ადგილად იქცა. 997 წელს მავრთ იავარყვეს ის ადგილი, 809 წლიდან 814 წლამდე ფრანგთ ეჭირათ იქაურობა, მაგრამ ეს უკვე წმინდა მხარე იყო, იქით მიმავალ გზებს კი მაგია, ანუ გრძნებით შემკვრელი ძალა იფარავდა. სუყველა გზა, ოღონდ ჩვენთა ოცნებათავენ თუ მიყვავართ, მაგიური, ანუ გრძნებით შეკრული გზაა, ხოლო ვინც თავისი ოცნების ასახდენად მაგიას თუ გრძნებას არის აყოლილი, იმას გზა ეჭირება. ადამიანის სული, რომელიც ადამიანის დროიდან ყოველგვარ სახსარს ეძებს, რაც რამ წუთისოფლის საიდუმლოთა გამოცნობაში წაადგება, რაგინდარა სინათლეს იყენებს, უკეთუ იმ საიდუმლოთა გაერომცველი წყვიდადის გაფანტვა შეუძლია. მშვენიერიცა და საოცარიც ეს წიგნი იმით არის, რომ წამკითხველს გპირდება: შენს გასავლელ გზას ისე გაივლი, მზე მალლა იქნებაო, შენს ოცნებასაც აიხდენ და შენს მახვილსაც ხელთ მოიგდებო.

სანტიაგო, ანუ წმინდა იაკობი უფროსი, ერთი თორმეტი მოციქულთაგანი, იოანეს ძმა და მეზადური იყო. ქრისტე რომ შეიპყრეს, იერუსალიმი დაავლო, მაგრამ სიკვდილით რომ დასაჯეს, კვალად მიბრუნდა იქ და ახალი სარწმუნოების ქადაგად დაეცა. თანაც ისერიგად მგზნებარე შეიქმნა, რომ ჰეროდე აგრიპამ სიკვდილი მიუსაჯა 44 წელს.

და როგორც სანტიაგოში, პაულო კოელიოშიც თვალადასაჩენია რწმენა და აღმავრენა. როდესაც პაულოს გავეცანი, ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ ვინმეს შეეძლო ჩემთვის ახალი და უცნობი სამყაროს აღმოჩენა. და თექვსმეტი წლისანის სიყვარულისა და ოცი წლისანის ფილოსოფიის მსგავსად, მან თვალცხადივ დამანახვა, რომ ეს სოფელ-ქვეყანა ბევრად უფრო დიდი

და განუზომელია, ვიდრე ჩვენ წარმოგვიდგენია. იმისათვის, რათა დაფარულსა და დამალულს მიაგნო, მკაცრი ლოგიკის მოკავშირედ ზემოთაგონების თვალისმომჭრელი ცეცხლი უნდა გაიხადო. იმათ, ვინც თავისი ოცნების მოსახელთებელ გზაზე შემდგარი, ტრადიციულ ფილოსოფოსთა თვალსაზრისით შეუძლებელი უჩვეულო მოვლენები სულიერი მხედველობის შესაძლებლობას უქმნიან.

და პაულოსა და პეტრუსის საუბარ-საუბარში გზათვითონ ჩვენშივე ჩნდება. აგერ, მიდიან, თავიანთ სავალს, თავიანთ საგზაურს მიჰყვებიან პეტრუსი და პაულო, პეტრე და პავლე. წმინდა პეტრე, იაკობი და იოანე არცროდის არ ეგრძნობიერებოდნენ წმინდა პავლეს — პირიქით: ვითარცა გულდაჯერებულნი კაბალისტნი, ისინი ფრიად მნიშვნელოვან ხარკს უხდიდნენ ათასგვარ წარმართულ საიდუმლოებას. წმ. პავლე, რომელიც ინტელექტუალურად იმათზე მაღლა იდგა, რამეთუ გაცნობიერებული იყო, ძალაუვნებურად იტანდა წყენას იმ ხალხისგან, ვინც აბრალებდა, ეგაო გნობისით, ანუ ბერძნული მისტიციების სიბრძნით მონამლულიაო. და სულაც არა შემთხვევითად ჰქვიათ პეტრე და პავლე „მოგვის დღიური“ ალწერილ გზას ადევნებულთ. აგერ, მიდიან, მიბასობენ დაგზიურებულნი, ცოტ-ცოტას ყლურწავენ კიდევ, ძალას იკრებენ და საკუთარი თავისთვის არცრა სამყაროს აღმოჩენა არ ეძნებებდებო.

რწმენამ და სასოებამ (აღმაფრენამ) გულმონყალე-ბასთან (სიყვარულთან) უნდა მიგვიყვანოს. პაულო სამივე ამ ღირსებით მადლობილი ადამიანია. მერედა, განა რწმენამ არ შეახვედრა სანტიანო ცხოვრებას? განა სასოებამ არ აადგენა გზას ცათაფრენაშემდგარი? ნუ დაგვაკინწყდება, რომ ბერძნულად „ენტუზიაზმი“ ღვთაებრივის სინონიმი, ხოლო სიტყვასიტყვით „საკუთარ თავში ღმერთისახლებულს“ ნიშნავს. ჭარბად მადლცხებულია პაულო აგრეთვე სიყვარულით, რომელ-

საც ბერძნული ტრადიციის მიხედვით ყოფს ეროსად, ფილოსად და აგაპედ. სიყვარულის ეს უკანასკნელი და უმნიშვნელოვანესი იპოსტასი ოდესლაც ითარგმნებოდა როგორც „ტრაპეზი“, რაც უნდა იქნებოდეს დიალოგის გვახსენებს. პლატონის „ნადიმის“ ხომ აგრეთვე უფრო თხრობაა, ვიდრე დიალოგი, მერე რა ვუყოთ, თუ გერმანულ ფილოსოფოსთა ლათინური ტრადიციით დამკვიდრებულ სიტყვა „ნადიმს“ სიტყვა „სიმპოზიუმი“ დაამჯობინეს. ამჟამად ნადიმობა და სიმპოზიუმი პრინციპულად სხვადასხვა ხასიათის მოვლენებია, მაგრამ საჭმლის მსგავსად, ცოდნა, რომელიც გვეძლევა, ხომ შეიძლება, რომ გავსინჯოთ, დავაჭაშნიკოთ, და თუ გვეგება, მივირთვათ და შევირგოთ კიდევ. როგორც ცოდნა, ისე საჭმელი, სიყვარულის საგნისა არ იყოს, თვითონ ჩვენზე შემადგენელი ნაწილი ხდება. ბერძნები კიდევ ერთხელ გამოადგნენ მართალნი.

ასეთია „დღიური“. ეს საკუთარ თავთან შეხვედრაა. ეს დიდი ოცნებაა, რომელიც გრძელი და ძნელი გზის ბოლოში მოინაგრება. ამ გზის დაქნა სუყველას ძალუძს, ვისაც კი ამის სურვილი გაუჩნდება. კოელიო თავისი საყვარელი უილიამ ბლეიკით ეუარება ადრინდელ ტრადიციას და თავის საკუთარსა ქმნის. მან გლამური, ანუ გრძნება, ქარიზმაზე გაცვალა, სტერეოტიპები კი — მოელვარე სიმბოლოებზე. ხილული სამყაროს საგნები „დღიურის“ ავტორისთვის წარმოსახვის თვალეზითაც ჩანან. მოივარგა რა ბლეიკის გაკვეთილები, იგი თავისი საკუთარი, არანასესებები შემართებით აღიჭურვა და შეიძლო, რომ ერთმანეთის პირისპირ დაეყენებინა ვეფხვი (გამოცდილება) და კრავი (უმანკობა) და ორთავე განესაზღვრა როგორც ერთნაირად მშვენიერი, რამეთუ ერთიცა და მეორეც „უკვდავის“ ხელით შექმნილა და თვალთ დანახულა. პაულო კოელიოს გზა თვალწარმტაცი და ნაყოფიერია — ალალი იყოს ჩვენი ტაში. ღმერთმა ქნას, თითოეულ ჩვენგანს ჩვენ-ჩვენი საკუთარი გზა დაგვექნას.

**კლაუდია კასტელიო ბრანკო**

## პირველსათქმელის მაგივრად, ანუ ოცი წლის შემდეგ

საფრანგეთის სამხრეთით მდებარე პატარა ქალაქის ბალში ვზივარ.

და მთებს რომ გავყურებ, მაგონდება, როგორ ვიარე ფეხით ოცი წლის წინათ ამ მთებში, სანტიანოს გზასთან პირველად შეუღლებულმა.

და დრო თითქოს უკან მიედინება: ცოტაც, და მოსალამოვდება, მაგიდაზე ერთი ფინჯანი ყავა და ერთი ჭიქაც მინერალური წყალია, ირგვლივ ადამიანები ირევიან და ჟრიაშობენ. ამ სცენას მხოლოდ ამჯერად ლეონის დაბლობები უწვევენ დეკორაციის მაგივრობას და ჟღერს ესპანური მეტყველება, კარზეა, ახლოვდება ჩემი დაბადების დღე, და უკვე გავლილ-დაკეცილია იმ გზის ნახევარზე მეტი, სანტიანო-დე-კომპოსტელაში რომ მივყავარ. წინ ვიყურები და ვხედავ ერთფეროვან პეიზაჟსა და ეტიკს, ანუ მეგზურს, რომელიც აგრეთვე ყავას შეექცევა თითქოსდა არსაიდან უცაბედად გაჩენილ ბარში. უკან ვიყურები, და იგივე ერთფეროვანი პეიზაჟია, სხვაობა მხოლოდ ის არის, რომ მტვერში ჯერეთ კიდევ ჩანან ჩემი ლანჩების ანაბჭებები, მაგრამ ისიც ცოტა ხნით: სანამ ჩამოლამდებოდეს, ქარი ეგრევე წაშლის ნაფხურებს. აგრე მგონია, ყველაფერი მელანდება-მეთქი. მაინც რა მინდა, რა მესაქმება აქ? ეს კითხვა არა და არ მასვენებს, თუმცაღა უკვე რამდენიმე ვკირა გამოხდა.

რა მესაქმება და ჩემს მახვილს დავეძებ. რიტუალს ვასრულებ, RAM-ად წოდებული პატარა ორდენის რიტუალს, რომელი ორდენიც კათოლიკურ ეკლესიას ეკუთვნის და სხვა არცრა სასწაული არ იცის, არცრა საიდუმლო, თვინიერ სოფელ-ქვეყნის სიმბოლური ენის გაგების საცადისისა. ჩემის ფიქრით, შევცდი, ყოველგვარი სულიერი ძიება მოკლებულია აზრსა და ლოგიკას და ბევ-

რად აჯობებდა, უკეთუ ბრაზილიაში ვიჯდებოდი და კვალად ჩემს საქმენებს მივხედავდი. მეეჭვება, რომ გულწრფელი და უზაკველი ვიქნები სულიერ ძიებათა ჟამს, რამეთუ უზომოდ ძნელია პოვნა უფლისა, რომელიც ცხადად არცროდის არ გვეხილებ-გვენახვება, ძნელია აგრევე ლოცვად დგომა განსაზღვრულ დროს, ჭირს უჩვევ გზათა ზედა ხეტიალიც და იმ ბრძანებათა სიტყვა-მუხუბრუნებლად მორჩილება, სუყველა უკლებლივ უაზრო რომ მეჩვენება.

დაიხ, დაიხ, სწორედ ეს მაფიქრებს — ჩემი გულწრფელობა მაეჭვებს. რაც ერთად მოვდივართ, პეტრუსი სულ მიმტკიცებდა, ეს გზა სუყოველ კაცს ეკუთვნისო, ეს გზა ჩვეულებრივი ხალხის გზააო, და თავისი ამ ჩიჩინით სასონარკვეთილებაში მაგდებდა. მე კი მეგონა, ჩემი ევჯომ განუზომელი ძალისხმევა საჩინო რამ ადგილს მიმიჩენს-მეთქი იმ მცირეოდენ რჩეულთა შორის, რომელნიც სოფელ-ქვეყნის დიად არქეტიპთ მიახლოებიან. ჩემი ვარაუდით, ბოლოსა და ბოლოს უცილოდ დადასტურდებოდა სუყველა იმ ამნის ქვმარიტება, რომ ტიბეტელ ბრძენკაცთ არაერთი განმგებელთ-მოძღვარი ჰყავთ, რომ გრძნება-ჩხიბვით შეიძლება სიყვარულის იქ გამოხმობა, სადაც ურთიერთლტოლვა წამლადაც არა ჩანს, რომ ზოგ-ზოგი წეს-ჩვეულების აღსრულებისას უმაღ მოიხილავ, ვითარ გაიდება შენ წინაშე სამოთხის ბჭე-კარი.

პეტრუსმა კი, რჩეულნი არ არიანო, მითხრა. რჩეული, სხვათაგან გამოყოფილი და უპირატესია სუყველა, ვინც იმის მაგივრად, რომ თავს იმტვრევდეს, მაინც რა მინდა, აქ რა მესაქმებაო, რაღაცის ქმნას ანდა თავის გულში აღმაფრენის გაღვიძებას გადაწყვეტს. სამოთხის კარიბჭესთან რუდუნებას მივყავართ, უფალთან კი

— ჩვენსავე გარდამქმნელ-გადამხალისებელ სიყვარულს. და სულიწმიდასთან უწინარესად აღმაფრენა გვაკავშირებს და არა ასჯერ თუ ათასჯერ გადაკითხული კლასიკური ტექსტები. სასწაულთაც იმის რწმენის წყურვილი ხდის შესაძლებელს, რომ თავად ცხოვრება სასწაული და არა ყბადალებული „საიდუმლო რიტუალი“ ანდა „კურთხევის წეს-ჩვეულებანი“. და ადამიანს ადამიანად მხოლოდ თავისი ბედისწერის აღსრულების გადწვევტილება აქცევს და არა წუთისოფლის იდუმალებისა გამო ტვინის ყელეტა თუ ჩირთიფირთი.

და აი აქა ვარ. უკან კი იმ გზის ნახევარზე ცოცხათი მეტი დარჩა, რომელ გზასაც სანტიაგო-დე-კომპოსტელაში მივყავართ.

იმ დღეს ლეონში, ან უკვე აგრე შორეულ 1986 წელს, ჯერეთ კიდეც არ ვიცი, რომ ექვს თუ შვიდ თვეში წიგნს დაწერე ყოველივე იმის შესახებ, რაც რამ ამ გზაზე მოვიხილე და განვიცადე, რომ ჩემს სულში უკვე ეპირება განძეულის საძებნელად წასვლას მწველსი სანტიაგო, რომ ქალი, სახელად ვერონიკა, აბს აბზე გადაყლაპავს თავის მოსაკლავად, რომ პილარი მალე ჩაიშუხლებს რიო-პედრას ნაპირზე და ატირდება, და დღიურის წერას დაიწყებს. არცრა ეს ამბავი ჯერეთ კიდეც არ ვიცი. მხოლოდ გალიზიანებასა და დაძაბულობას ვგრძნობ და პეტრუსთან საუბრის გაბმის თავი არა მაქვს, რამეთუ ამწუთას მივხვდი: ველარცროდის ვერ მივუბრუნდები ჩემს ძველ საქმეებსა და საზრუნავს, თუნდაც ამას მოჰყვეს გვარიანი თანხა ყოველი თვის ბოლოს, ჩემი კარგი უცვლელი გუნება-განწყობილება და ის სამუშაო, რომელიც ჩემთვის უცხო არ არის და არცთუ ცუდად გამოდის. სხვა გზა არა მაქვს, უნდა გამოვიცვალო და დავიძრა ჩემი ოცნების მიმართულებით, რაგინდ უაზრო-ბავშვური და სრულიად აუხდენელიც არ უნდა ჩანდეს, — სხვა სიტყვებით თუ ვიტყვი, მწერალი უნდა გახდეს. სულის სიღრმეში, საკუთარი თავის უწუმრად, სანერად მუდამ მექავებოდა ხელი, მაგრამ ვერა და ვერ გამებედა ამ ტვირთის ზურგზე მოგდება.

პეტრუსი ბოლომდე ცლის თავის ყავასა და მინერალურ წყალს, მთხოვს დანახარჯის გადახდას და გზის მალევე განგრძობას, რაკი შემდგომ ქალაქამდე სულ რამდენიმე კილომეტრია დარჩენილი. ჩვენ გვერდით ამვლელ-ჩამვლელნი მიმოდიან, ერთმანეთში საუბრობენ, თან ცალი თვლით ორი შუახნის პილიგრიმისკენ იყურ-

ბინ და, ალბათ, ფიქრობენ: „ქვეყნად, იცოცხლე, ბლომად იპოვებიან შერევილი, რომელიც მუდამ მზად არიან დიდი ხნის წინათ გარდაცვლილი წარსულის გასაცოცხლებლად“\*. მზე უკვე შუბის ტარზე იხრება, სიცხე 27 გრადუსზე ნაკლები არ იქნება, მე კი შეათავედ ვეკითხები ჩემს თავს, მაინც რა მინდა, აქ რა მესაქმება-მეთქი.

მე რა, ცვლილებათა მომხრე ვიყავი? მგონი, რომ არა, თუმცაღა ამ გზამ სავსებით გამომცვალა. მე რა, საიდუმლოთა ამოცნობა მსურდა? ალბათ, დიხ, მსურდა, თუმცაღა ეს გზა უსუსტრად ჩამაგონებდა, ქვეყნად არცრა საიდუმლოება საერთოდ არ არისო, რამეთუ, ქრისტეს თქმით, არა არის რა დაფარული, რომ არ გაცხადდეს. ერთი სიტყვით, ყველაფერი პირიქით მოხდა მოსალოდნელთან შედარებით.

...ვდგებით და მდუმარედ განვაგრძობთ გზას. საგონებელსა ვარ მიცემული, ეჭვი და ურწმუნოება მტანჯავს, პეტრუსი კი, ალბათ, მილანში მიტოვებულ თავის სამუშაოზე ფიქრობს, ხოლო აქ იმიტომ აღმოჩნდა, რაკი ტრადიციის რალაც წეს-ჩვეულებას მისდევის, ოღონდ, უფრო შესაძლებელია, თავადაც იმას ელოდებოდეს, ნეტავი როდის დასრულდება ეს მოგზაურობა და როდის მივუბრუნდები ჩემს საყვარელ საქმიანობასო.

მთელ დანარჩენ დღეს დუმილში ვლევთ. იმხანად ჯერეთ კიდეც არ იყო ფიჭური ტელეფონი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა. და ამიტომ ჩაკეტილნი ვართ ჩვენი იძულებული ურთიერთობის ნაჭუჭში. სანტიაგო-დე-კომპოსტელა ჯერეთ კიდეც წინ არის, იმის წარმოდგენაც კი არ შემიძლია, რომ გზა არა მარტო ამ ქალაქში, არამედ მსოფლიოს მრავალ სხვა ქალაქშიც მიმიყვანს. არც მე და არც პეტრუსს ფიქრადაც არ მოგვდის, რომ ლეონის დაბლობზე ჩამომდგარ ამ დაისის ჟამს იმის მშობლიურ მილანისკენაც მიჭირავს გეზი, სადაც ათ წელიწადში მოვხვდები, და უკვე ხელთ მექნება წიგნი, რომელსაც „ალქიმიკოსი“ ერქმევა. მივალ, მივდივარ ჩემი საკუთარი ბედ-იღბლის შესახვედრად, რომელზედაც აგრე ძლიერად ვოცნებობდი და რომელსაც აგრე ხშირად ვეუარებოდი.

მივალ, მივდივარ, რათა ჩემი ალორძინების ამბავი დავწერო.

*ბაულო კოელიო,  
სენ-მარტენი, 2006 წლის იანვარი*

**იმათ თქვეს: „უფალო, აბა, აქ ორი მახვილია“. მან კი უთხრა იმათ: „კმარა“.**  
**ლუკას სახარება 22:38.**

## პროლოგი

— ანლა ილონე რამე, შენ წინაშეა RAM თავისი საღმრთო სახით, შეახე ხელი ცხოვრების სიტყვას და მოინაგრე ძალა, რომელიც უფლისა მოწმეობისათვის დაგეჭირვება.

მოძღვარმა მალა აღმართა ჩემი ქარქაშიანი ახალი მახვილი. კოცონს მიმატებული ფიჩხი ტკრიციალით აბრიალდა, რაც კარგის მომასწავებელი იყო: მაშასადამე, ერთი შვიდთა საიდუმლოთაგანი უნდა განგვეგრძო. დავიხარე და შიშველი ხელებით დავიწყე ჩემ ქვეშ მინის თხრა.

რასაც გიყვებით, 1989 წლის 2 იანვრის ღამეს მოხდა, აგულისა ნეგრას (შავი ნემსები) სახელით ცნობილი მთაგრეხილის ერთ-ერთ მწვერვალზე ვიყავით ასულნი. ჩემ და მოძღვრის გარდა, ამ ამბავს ესწრებოდნენ: ჩემი ცოლი, ჩემი მონაფე, ადგილობრივ მცხოვრებთაგან შერჩეული ყოლაუზი და უმსხვილესი კონგრეგაციის წარმომადგენელი, რომელი კონგრეგაციაც მთელი მსოფლიოს ებოტერიკულ ორდენტ აერთიანებს და რომელსაც „ტრადიცია“ ჰქვია. ხუთივენი — ყოლაუზის

ჩათვლით, წინასწარ გვეყავდა გაფრთხილებული, რაც უნდა მომხდარიყო, — შევიკრიბენით RAM ორდენტის ოსტატად ჩემი კურთხევის ცერემონიაზე.

და აი, გავთხარე არცთუ ღრმა, მაგრამ საკმაოდ გრძელი ორმო. და ამ წამის მნიშვნელობის ღრმა შეგნებით ხელი შევახე მინას, თანაც რიტუალურ ფორმულას წარმოვთქვამდი. ზედდატანებაზე თავს წამომადგა ცოლი და მახვილი გადმომცა, რომელსაც მთელი ათი წელიწადი ვიყენებდი, როცა კი ვმოგვობდი და სათანადო წესს რასმე ვასრულებდი. მრავალგზის აზარათავებული მახვილი ორმოში ჩავდე, მინა წავეყარე, მოვასწორე, და ამასობაში მიმოგონებდა გამირბინა თავში სუყველა გადატანილმა განსაცდელმა, ყველაფერმა ერთად, რაც რამ შეცნობილი მქონდა, და არა ერთმა და ორმა იმ ზებუნებრივ-

\* იმ წელიწადს, როცა ლოცვად ვიყავი მავალი, სანტიაგოს გზაზე სულ 400 კაცმა გაიარა. 1999 წელს, არაოფიციალური რიცხვით, აქ მოხსენიებულ ბართან დღეში 400 კაცი გადიოდა



მა მოვლენამ, რომელთა გამომხმობაც ჩემი ძველი ერთგული მახვილის წყალობით მესწავლა. ან ამ ჩემს მახვილს მინა შეჭამს — მსწრაფლ მკვეთელი ფოლადი და ვადის ხე, ანუ კოტა, იმ წყაროსთან გამოკვეთავენ, საიდანაც ისინი თავიანთ ძალას იცემდნენ.

მოძღვარი მომეახლოვა, ძირს, მინაზე, ახალი მახვილი დადო — ზედ იმ ადგილას, სადაც ქვემ ძველი ეფლა. სუყველა იქ დამსწრემ ფართოდ გაშალა ხელები და მოძღვრის ნებით ჩვენ გარშემო უცნაური, არცრის გამსინათებელი, მაგრამ აშკარად ხილული შუქი გაჩნდა, და ან, გარდა იმისა, რომ კოცონის უთვალავი მოყვითალო ათინათი გაციკროვნებდა, ყველანი რალაც სხვანაირად გაგებრწყინდით. მოძღვარმა თავისი საკუთარი მახვილი ამოიწვავა, ჯერეთ შუბლზედ შემახო, მერე — ერთ მხარზე, მერე — მეორეზე, და წართქვა:

— RAM ორდენის ძალმოსილებითა და სიყვარულით ამიერიდან და სიცოცხლის ბოლომდე ამ საზოგადოების ოსტატად და რაინდად დამინიშნისხარ. R - რეგნუმ, A - აგნუს, M - მუნდი\*. დაიხსომე, მახვილსა ამას ქარქაშის ტყვედ ნუ აქცევ, რამეთუ იარაღი უმოქმედობით ჟანგდება. ოლონდ, როს იშიშვლებ, უკან მანამ აღარ ჩააბრუნო, სანამ კეთილსა რასმე არ იზამ, გზას არ გააკაფვიანებ და მტრის სისხლით არ გააძლებ.

და მახვილის წვერი ოდნავ წამკრა შუბლში. ამ ნუთიდან ჩემი დუმილი აღარ ეგებოდა. რის თავიც მქონდა და რაც შემეძლო, უნდა გამომეჩინა. გარშემომყოფთაგან არცვის არ დავუმალავდი და არ დავუფარავდი სასწაულთა მოხდენის არცრა ახალშემენილ ცოდნას. ამ ნუთიდან მოგვი გაეხდი, გრძნეული.

და ხელი გავიწოდე ახალი მახვილისკენ, რომლის მსწრაფლ მკვეთელი ფოლადიც არცროდის არ დალაბრდება და არ დაიკბილება, რომლის კოტა-ვადის შავსა და წითელ ხეს ვერცროდის ვერ შეჭამს მინა. მაგრამ როგორც კი ჩემი თითები ოდნავ შეეხნენ ახალ შავქარქაშაიან მახვილს, მოძღვარმა ანაზდად წინ გადმოდგა ნაბიჯი და ისე მონყვევით დამაღვა ფეხი ხელზე, რომ ტკივილისგან შევყვირე და ეგრევე გაუშვი მახვილს.

გაოგნებული, შემცბარი შევყურებდი მოძღვარს. უცნაური რამ შუქი გაქრა, და კოცონის ანარეკლში ის მოჩვენებასავით ჩანდა, სახის მოხაზულობა მთლად ფანტასმაგორიული გაუხდა.

ყინულოვანი მზერა რომ მიმომავლო, მან ჩემს ცოლს თავისთან მიუხმო და ახალი მახვილი გადასცა. მერე კი მე მომიბრუნდა:

— აიღე ეგ შენი ხელი, მაგან გაცდუნა! ტრადიციის გზა ერთ მუჭა რჩეულთა კი არა, სუყველას გზა! თავი მგონიაობით ძლევამოსილად მიგჩინე, მაგრამ ეგ შენი ძლევამოსილება ჩირადაც არა ღირს, რამეთუ სხვა კაცთა თანა გაუზიარებელია. ხელი არ უნდა ნაცდენოდა, უნდა უარგეყო, ვალდებული იყავი, და მახვილიც სამართლიანად დაგინარჩუნებოდა, რადგან სულით სპეტაკი დაშთებოდი. მაგრამ, რისიც მემინოდა, გადამწყვეტ წამს წაბორძიკდი და წაიქეცი. ამაღ საკუთარი სისხარბისა გამო დასჯილი კვალად უნდა შეუდგე შენი მახვილის ძებნას, მედიდურობისა გამო დასჯილმა კი ჩვეულებრივ კაცთა შორის უნდა ექებო, ხოლო სასწაულთმოქმედებით გატაცებისა გამო დასჯილს მრავალი დაბრკოლების გადალახვა და არცთუ ნაკლები სიძნელის დაძლევა მოგიხდება, სანამ იმას ისევ მოიპოვებდე, რაც ლამის სულ იოლად არ ჩაგივარდა ხელში.

\* Regnum — ზეობა, agnus — ტარიგი, mundi — მშვიდობა.

მომეჩვენა, რომ ფეხქვეშ მინა მეცლებოდა. კვლავინდებურად მუხლებზე ვიდექი. მეტყველების უნარი წამრთმეოდა და არაფერზე აღარ მინდოდა ფიქრი. ჩემი ძველი მახვილი მინაში ეფლა და ან უკვე ველარ მოვივარგებდი, ხოლო უახლოდ აღუჭურველი თავად სათავეს მიეუბრუნდი და ამნუთას ყოვლის უფრო ჩვეულებრივ კაცად ვიქეცი — უმწეო და უძლურ კაცად. გულსავსების დღეს, კურთხევის ჟამს ხელზე რომ შემდგა, მოძღვარმა უკან მომისროლა — სიძულვილისა და დედამინის სამყაროში გადამიძახა.

ყოლაუზმა კოცონი ჩააქრო. ცოლი წამოდგო-მაში შემეშველა. ხელთ ჩემი ახალი მახვილი ეჭირა, რომელსაც, ორდენის კანონთა თანახმად, თითსაც ვერ დავაკარებდი, უკეთუ მოძღვარი ნებას არ დამრთავდა. ყოლაუზის ფარანს მდუმარედ ადევნებულთ ტყე გავიარეთ და ვინრო ყამირგზაზე დავეშვით, სადაც მანქანები გვეყენა.

არცვინ არ გამომშვიდობებია. ცოლმა მახვილი საბარგულში ჩადო და მანქანა დაქოქა. სანამ ის ოკრობოკრო და ოღროჩოღრო ადგილთ ნელა უვლიდა გვერდს, კრინტი არცვის არ დაგვიძრავს.

— დანყნარდი, — მითხრა მან გულის გასაკეთებლად, — დარწმუნებული ვარ, რომ იპოვი. მოძღვარმა რა გითხრა-მეთქი, ვკითხე.

— სამი რამ მითხრა. ჯერეთ ერთი, თბილად უნდა გვცმოდა, რადგან ზემოთ იმაზე მეტად ციოდა, ვიდრე მეგონაო. მეორეც, რაც მოხდა, სულაც არ აკვირვებს: მსგავსი რამ თურმე ბევრს გადახდენია მანდ, სადაც შენ იყავი, და მესამეც, შენი მახვილი განსაზღვრულ საათს, განსაზღვრულ დღეს და იმ გზის განსაზღვრულ წერტილში დაგელოდება, რომელი გზის გავლაც მოგინებს. ვერ გეტყვი, არ ვიცი, რა დღე და საათი იქნება. მან მხოლოდ ის ადგილი დამისახელა, სადაც მახვილი უნდა გადავმალო, რათა მერე შენ მოიძიო.

— რა გზა უნდა გაიაროსო, რა თქვა? — ვკითხე აფორიაქებულმა.

— გასაგებად არ განუმარტავს. მარტო ის მითხრა, ესპანეთის რუკაზე შუა საუკუნეების დროინდელი გზა იპოვოს, რომელსაც სანტიაგოს გზა ჰქვიაო.

ბაჰადასის აეროპორტში მებაჟე დიდხანს ათვალიერებდა მახვილს, მერე კი მკითხა, რა მიზნით მიგაქვთ, რას უპირებთო. „ისეთს არაფერს, — მივუბო, — მეგობრები დაგვიბრდნენ, შეგიფასებთო, ჩვენ კი აუქციონზე გავიყნანეთ-მეთქი“. ტყვილი წაგვადგა: მებაჟემ გვიჩინა, მახვილი დეკლარაციაში შეიტანეთ და აქეთობისას თუ სირთულეს რასმე წააწყდეთ, დეკლარაცია წარმოადგინეთო.

ავტომობილების გამქირავებელი კომპანიის დახლთან მივედით და დავადასტურეთ ჩვენი დაკვეთა ორი მანქანის დაქირავების თაობაზე. სანამ ერთმანეთს დავმორდებოდით და სხვადასხვა მხარეს წავიდ-წამოვიდოდით, რესტორანში წახემსება გადავწყვიტეთ.

მთელი ღამე თვალი არ მოგვეხუჭა — გადაფრენის შიშმა თავისი ქნა, გულს გვიწვრილებდა იმის წინათგრძობა, რაც მინაზე დაშვების მერე გველოდა, მაგრამ ახლა ორივენი აწრიალებულნი ვიყავით: ძილი არც ერთს არ გვეკარებოდა.

— დანყნარდი, — მეათასედ მიმეორებდა ცოლი, — საფრანგეთში რომ ჩახვალ, იქ სენ-ჟან-პიე-დე-პორში მადამ დებრილს მონახავ. ის მოგიძებნის საჭირო ხალხს, ვინც სანტიაგოს გზაზე დაგაყენებს.

— შენ რას იზამ? — მეათასედ ვკითხე, თუმცა პასუხი წინასწარ ვიცოდი.



— რას ვიზამ და იქ წავალ, სადაც წასასვლელი ვარ და იმას ვიზამ, რაც დამევალა. მერე რამდენიმე დღე მადრიდში დავრჩები და დავბრუნდები ბრაზილიაში. იქაურ საქმეებს უშვნივად მივხედავ და არცთუ შეწვნივ უარესად.

— ეჭვიც არ მეპარება, — უნდომანდოდ მივუგე, რადგან არ მინდოდა ამ თემაზე ლაპარაკის გაგრძელება.

თუმცაღა მოსვენება მქონდა დაკარგული ბრაზილიაში დარჩენილი საქმეებისა გამო. აგულის ნეგრასზე მომხდარი ამბის შემდეგ უკვე ორ კვირაში ყოველივე ზედმინუენი ვიცოდი, რაც კი რამ სანტიაგოს გზას შეეხებოდა, ოღონდ მთელი შვიდი თვე გახდა საჭირო, ვინემ ყველაფერზე ხელს ავიღებდი და გზას დავემწყემსებოდი. ფხვს მანამ ვითრევედი, ვაჯანჯლებდი წასვლას, სანამ ერთხელაც დილით ცოლმა არ მითხრა, დრო იწურებაო. უკეთუ გუდა-ნაბადს არ ავიკრავდი და გზას არ დავადგებოდი, ტრადიციაც გულდან გადამვარდებოდა და RAM ორდენიც. მოძღვარმა შეუსრულებელი რამ დამაკისრა და ჩემი ცხოვრების წესსა და რიგს აგრე ჰაიპარად ვერ უკუვაგდებ-მეთქი, ვცადე ცოლისთვის ჩემი მდგომარეობის ახსნა. ცოლმა პასუხად გამიღიმა და მითხრა, ტყუილად ნუ ედები ღობე-ყორეს, მთელი ეს შვიდი თვე სულ წასვლა-არწასვლაზე ფიქრობ და სხვა რამ არც გაჯავრებსო. მერე, ვითომც არცრა განსაკუთრებული ამ ამბავში არ იყო, ორი ავიაბილეთი აიღო უკვე გაფრენის თარიღადინშული.

— აქ რომ ვართ, სულ შენ გამოა, — პირქუშად ვუბნებოდი ახლა რესტორნის მაგიდასთან მჯდარი. — მგონი, სწორად არ მოვიქციე, როცა სხვას გადავანყვეტინე მახვილის საძებნელად ჩემი წასვლის ამბავი.

ცოლმა, სისულელის ლაპარაკს ის გვირჩევნია, რაც მალე დავემშვიდობებით ერთმანეთს, ჩვენჩვენს მანქანებში ჩავსხდებით და წავალთ-წამოვალთო.

— ნუ იგონებ, შენს გადასანყვეტს არცროდის ვისმეს არ გადასანყვეტინებდი, მით უმეტეს, ამისთანა მნიშვნელოვან საქმეში. წავედით. უკვე გვიანია, — მითხრა ცოლმა და წამოდგა, ჩანთის თასმა მხარზე გადაიდგო და სადგომისკენ გაეჩქარა.

არ შემიჩერებია, არ ნახვიდე-მეთქი, არ მითქვამს, ჩემთვის ვიჯექი მაგიდასთან და ვუყურებდი, როგორ დაუდევრად მიჰქონდა ილიაში ამოჩრილი ჩემი მახვილი: ცოტაც, და დაუტყურდებოდა. უეცრად შეჩერდა, მაგიდასთან მობრუნდა და სმიანად ჩამპროშტნა. ამ კოცნამ უცებ მიმახვედრა: ესპანეთის იქით გზა არა მქონდა. რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, ყველაფერი იქნებ ყირამალაც დადგეს და ჩაიფუშოს, მაგრამ პირველი ნაბიჯი გადადგმულია. და ცოლი გულში ჩავიხუტე, ამ ჩახუტება-ჩაკონებაში მთელი ჩემი სიყვარული ჩავაქსოვე და ვილოცე ყველაფრისათვის, რაც რამ მწამდა, სუყველასათვის, ვისაც ვენდობოდი, და ზეცას შევუნუკვე, ცოლთან და მახვილთან ერთად დაბრუნება შემაძლებინე-მეთქი.

— მართლა, ლამაზი მახვილია, არა? — მეზობელი მაგიდიდან მომესმა ქალის ხმა.

— კარგი, ეგრე იყოს, — გამოეხმინა მამაკაცის ხმა, — ზუსტად მაგისთანას გიყიდი. აქ, სადაც კი სუვენირებით ვაჭრობენ, სუყველგან სავსეა ეგენი.

საქესთან ერთი საათის ჯდომამ დალილობაც მაგრძნობინა და უძილოდ გატარებული ღამეცა, გარდა ამისა, აგვისტოს პაპანაქებისგან ისე იყო ჰაერი გავარვარებული, რომ, მართალია, თავისუფალ გზატკეცილზე კი მიქროდა, მაგრამ

მანქანამ გადახურება დაიწყო. მცირე ხნით ერთ-ერთ პატარა დაბაში ჩამოხდომა გადავწყვიტე: გზის მარჯვენაღები იუნყებოდნენ, რომ ეს დაბა ეროვნული ძეგლი იყო. და დამრეცი გორაკის ფერდობს რომ შევუდექი, მესხიერებაში ერთხელ კიდევ გადავჩხრიკე ყველაფერი, თუ რამ სანტი-აგოს გზაზე გამეგონა.

როგორც მუსლიმური ტრადიცია ითხოვს, რომ სუყოველი მართლმორწმუნე ცხოვრებაში თუნდაც ერთხელ წინასწარმეტყველი მუჰამადის კვალდაკვალ უნდა შევიდეს მექასა და მედინაში, ამისდა მსგავსად ქრისტიანობის პირველმა ათასწლეულმა სამი გზა იცოდა, სამივე წმინდანთაგან პატივმოსილი, რომელთა ზედაც მავალ ყოველთაგანს ღვთის კურთხევა და ცოდვათა გამოსყიდვა ელოდა. პირველი გზა რომში მიდიოდა წმინდა პეტრეს ტაგრუტთან: ამ გზას დამწყემსებულთ თავიანთ სიმბოლოდ ჯვარი აირჩიეს და რომელიო შეირქვეს. მეორე გზას იერუსალიმში მიჰყავდა მლოცველნი უფლის საფლავთან; ამ გზით მავალნი პალმეიროდ იწოდებოდნენ იმ პალმის რტოთა სამახსოვროდ, რომელი პალმის რტოებითაც ქალაქის მცხოვრებნი ქრისტეს გამოცხადებას მიემშვიდობებოდნენ. დაბოლოს, მესამე გზა წმინდა იაკობის — ჩვენებურად სანტიაგოს — გვამთან ბოლოვებოდა; ის გვამი იბერიის ნახევარკუნძულზე იმ ადგილას იყო დაფლული, სადაც ერთხელ ღამით მავანმა მხრემ მოიხილა, ვითარ დაჰკამკამებდა მინდორს მცხინვარე ვარსკვლავი. თქმულებისდაკვალად, არა მარტო სანტიაგო, არამედ თვით ყოველწმინდა ქალწული სუფევდა იმ მხარეში მაცხოვრის სიკვდილისთანავე, იქაურთათვის ღვთის სიტყვა მიჰქონდა და მოაქცევდა, მოაქცევდა სარწმუნოებად. ადგილსა ამას კომპოსტელა ეწოდა — ამ სახელში გაერთიანებულია სიტყვები „კამპო“, ანუ მინდორი, და „ესტრელა“, რაც ვარსკვლავს ნიშნავს — და მალე დაბად გადაიქცა, სადაც ქრისტიანული სამყაროს ყოველი მხრიდან თავს იყრიდნენ ღოცვადმავალნი, რომელთაც პილიგრიმთ უხმობდნენ, და ამ ღოცვადმავალთ, ანუ მწირთ, თავიანთ სიმბოლოდ ნიჟარა გაიხადეს.

უმალლესი გაფურჩქვნის ხანაში, რაც XV საუკუნეზე მოდის, ირმის ნახტომს თუ ცის იკანკლედს (ღამ-ღამ ღოცვადმავალთ ადგილმდებარეობის გარკვევაში რომ შეეწნოდა) ევროპის ყოველი კუთხიდან წლითწლიობით მილიონზე მეტი კაცი იყო ადევნებული. და ამჟამადაც მისტიკოსნი, მორწმუნენი თუ სწავლულნი ფხვით გადიან შვიდას კილომეტრს, საფრანგეთის დაბა სენ-ჟან-პიე-დე-პორს ესპანეთში\* მდებარე წმ. იაკობ კომპოსტელელის ტაძრისგან რომ აშორებს. ფრანგი მღვდლის ემერიკ პიკოს წყალობით — მან 23 წელს წმინდა ადგილნი მოილოცა კომპოსტელაში — ეს გზა ახლაც ზუსტად იგივეა, რომელიც შუა საუკუნეებში მრავალ სხვასავით განვლეს კარლ დიდმა, წმინდა ფრანცისკ ასიზელმა, დედოფალმა იზაბელა კასტილიელმა, ხოლო ჩვენს დროში — პაპმა იოანე XX-მ.

საქმე ის არის, რომ პიკომ თავის მოგზაურობაზე ხუთი წიგნი დანერა და როგორც წმ. იაკობის თავგამოდებული მიმდევრის — პაპი კალიკსტეს თხზულებანი, ისე წარმოადგინა, რის გამოც ხსენებულ წიგნთ მოგვიანებით „Codex

\* საფრანგეთის მინა-წყალზე გამავალი სანტიაგოს გზა რამდენიმე გზისგან შედგება, რომლებიც თავს იყრიან ესპანეთის ქალაქ პუენტე-დე-ლა-რეინაში. ქალაქი სენ-ჟან-პიე-დე-პორი ერთ-ერთ ამ გზაზეა. ეს გზა არც ერთადერთია და არც ყველაზე უფრო გამოცხლებული.

Calixtinus“ ეწოდა. მეხუთე წიგნში პიკო ჩამოთვლის იმ ბუნებრივ ნიშნებს, წყარო-ფონებს, სასწრაფოებს, ქარვასლა-ფუნდუკებსა და ქალაქებს, რაც რამ გზად მობიხილა. ხელმძღვანელობს რა პიკოს შენიშვნებით, საზოგადოება „Les Amis de Saint-Jacques“, ანუ „იაკობის მეგობარნი“, სულ იმის თვალყურის დევნებაშია, რომ არ განადგურდეს და პირველსახეშენარჩუნებული დარჩეს ამ გზის თითოეული ნიშანსვეტი, რომელიც კი ლოცვადმავალთ ადგილმდებარეობის გარკვევაში ეხმარება.

სანტიაგოს ხატი ფრიად წაადგა ესპანელთ X საუკუნეში, როცა დაიწყო რეკონკისტა, ანუ ომი მავრებთან, რომელთაც ნახევარკუნძული დაიპყრეს. სანტიაგოს გზის მთელ სიგრძეზედ რამდენიმე სამხედრო-რელიგიური რაინდთა ორდენი გაჩნდა, და მოციქულის ნეშტი ძალუმ, თუმცაღა არანივთიერ თილისმად გადაიქცა, ესპანელთ მომხდურ მუსლიმთ რომ აგერიებინებდა, ისინი კი, მუსლიმნი, თავიანთ მხრივ, ირწმუნებოდნენ, ვითომ ფასდაუდებარი რამ წმინდა ნაწილის — თვით წინასწარმეტყველი მუჰამადის ხელის მქონებელნი იყვნენ. ხოლო რაჟამს რეკონკისტა ძლევამოსილად გასრულდა, რაინდთა ორდენთ ისეთი ძალა შეიძინეს, რომ თვითონ სახელმწიფოსთვისაც საშინაო შეიქმნენ და რათა ამ ორდენთა და არისტოკრატთა შორის უთანხმოება არ ჩამოვარდნილიყო, საქმეში „კათოლიკე მეუფეთა“ ჩარევა გახდა საჭირო. ამა მიზეზისა გამო ნელ-ნელა დავიწყებას მიეცა სანტიაგოს გზა, და თუ არა მხატვრული გენიის იშვიათი გამონათებანი — როგორც, მაგალითად, ბუნიუელის „ირმის ნახტომი“ ანდა ხუან მანოელ სერატის „მწირია“, — დღეს ცოტა ვისმელა თუ ეხსომებოდა, რომ ამ გზას ათასობით ადამიანი იყო დამწყემსებული, რომელთაც წაღმართ ამერიკა გააკაცრიელეს.

დაბას, სადაც მივედი, სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა. დიდი ხნის ძებნის შემდეგ ერთ პატარა ბარს მივაღექი, შუა საუკუნეების დროინდელ ძველ შენობაში შეყუჟულს. მასპინძელს ტელევიზორისთვის თვალის არ მოუშორებია, — რაღაც სერიალს უჩვენებდნენ, — ისე შემეხმინა, ახლა სიესტაა, ბატონო, და მარტო დამთხვეული თუ გავა გარეთ ამისთანა პაპანაქებაშიო.

რამე გამაგრებელი მომიტანე-მეთქი, ვუთხარი, და ეკრანს მივაჩერდი, მაგრამ ჩემი აზრები სადღაც შორს ქროდნენ. მთელი არსებით იმის ფიქრში ვიყავი, რომ გაცივდა კიდევ ორი დღე-ღამე და XX საუკუნის მინურულს ბედის ვარსკვლავი მცირე რამ ნაწილს მარგუნებდა დიდი კაცობრიული გამოცდილებისას, თვით იმ გამოცდილებისას, რომელმაც ტროიდან წამოიყვანა ულისე, ლამაზში ახეტიალა დონ კიხოტი, ქვესკნელში ჩაიყვანა ორფევსი და დანტე, ხოლო ქრისტეფორე კოლუმბი ამერიკის საქებნელად გაუყენა გზას. მე კი უცნობ-იდუმალისკენ ვეპირებოდი წასვლას.

ცოტა გონს რომ მოვეგე, მანქანასთან მივბრუნდი. ჩემს მახვილს გინდაც ვერ მივაკვლიო, სანტიაგოს გზით სიარული უთუოდ იმით გასრულდება, რომ საკუთარ თავს მაინც ვიპოვი.

## სენ-ჟან-პიე-დე-პორი

ქალაქის მთავარ ქუჩაზე ბერიკები და მესაკრავენი მოძრაობდნენ, რომელთაც ზოგს ნითელი, ზოგს მწვანე და ზოგსაც თეთრი ტალავერი ემოსა, ანუ აქ საფრანგეთის ბასკონიის ყველანაირ ფერს მოიხილავდით. კვირადღე იყო. ორი დღე და ღამე საქვსთან ნაჯდომს ერთი სული მქონდა,

სანამ ხალხის ზეიმს შევეურთდებოდი. თუმცა წინ მაღამ დებრილთან შეხვედრა მელოდა. დუნდგოში გავლა ჭირდა, მაგრამ მაინც ფრთხილად მივარღვევდი, თუმცა ხან ვინ შემიკურთხებდა, ხან ვინ და, როგორც იყო, ქალაქის ძველ უბანში გავედი, სადაც მაღამ დებრილი მეგულეობდა. აქაც კი, პირენეებში, ამ სიმაღლეზე, კარგა გვარიანად ცხელოდა, და, მანქანიდან რომ გადმოვედი, წურწურით გამდიოდა ოფლი.

კარზე დავაკაკუნე. კიდევ ერთხელ. კიდევ. ჩამიჩუმი არ ისმოდა. გულდამძიმებული და დაბნეული ვიდექი. როგორც ცოლმა მითხრა, მგონი, სწორედ დღეს უნდა ვყოფილიყავი აქ. მაგრამ მერე რა, კაციშვილი არ მესმინებოდა. იქნებ ისიც იქ არის, ბერიკაობის მონაწილეა, ანდა იქნებ ძალიან გვიან მოვედი და ამიტომ აღარ მხვდება. სანტიაგოს გზა ისე გასრულდა, ჯერეთ არც დაწყებულა.

უეცრად კარი ყუნწამდის გაიღო, და გარეთ პატარა გოგოცუნა გამოვარდა. მოულოდნელობისგან შემკრთალმა დამტკრეული ფრანგულით ვკითხე, მაღამ დებრილის ნახვა თუ შეიძლება-მეთქი. გოგოცუნამ გაიცინა და თითი შიგნითა სახლისკენ გაიშვირა. მხოლოდ ახალა მივხვდი ჩემს შეცდომას: კარი, რომელსაც უზარმაზარ შიდა ეზოში შევყავდით, სადაც შუა საუკუნეების ჟამინდელი აივანიანი სახლები ემკვირვინენ, თურმე ღია იყო, მე კი შეღება ვერ გავხვდი.

ეზოში შესული იმ სახლისკენ გავემართე, საითაც წელან გოგოცუნამ თითი გაიშვირა. შევედი. მავანი ხნიერი დედაკაცი, გვარიანად ჩასუქებული, ბასკურად თათხავდა ერთ წიწიკანა ყმანვილს, რომელსაც მუქი თაფლისფერი თვლები ჰქონდა. სხვა რა გზა იყო, დავდექი და დავეწყე ლოდინი, სანამ ურთიერთობა გაირკვეოდა, და ბოლოს და ბოლოს გაირკვა: საწყალი ბიჭი თათხავათხვით სამზარეულოში მიაბრძანეს. დიასახლისი მხოლოდ მაშინლა მომიბრუნდა და ისე, რომ არც უკითხავს, რა გნებავთო, მსუბუქად მუჯღუგუნის კვრით მეორე სართულზე ამიყვანა, რომელიც მთლიანად ერთი პატარა ოთახისგან შედგებოდა. ეს იყო წიგნებით, სანტიაგოს გამოსახვლებებითა და გზასთან დავაკვირებული ათასგვარი სამახსოვრო ნივთებითა თუ საგნებით გადაჭდილი კაბინეტი. დიასახლისმა თაროდან წიგნი გადმოიღო და, ჩემთვის დაჯდომა არც შემოუთავაზებია, სანერ მაგიდასთან მოეწყო.

— თქვენ, ალბათ, კიდევ ერთი პილიგრიმი ხართ, — მითხრა მიუკიბავ-მოუკიბავად, — სიაში უნდა შეგიყვანოთ.

მას შემდეგ, რაც თავი წარვედგინე, ვიერიები თუ ჩამოიტანეო, მკითხა. ეს ვიერიები დიდი ნიჟარებია, უსალმრთოესის, ანუ წმინდანის საფლავზე ლოცვადმავალთ რომ ესიმბოლოება, და ღვთისმლოცველთ ერთმანეთის ცნობაში ეხმარება\*.

სანამ ესპანეთში წამოვიდოდი, ჯერეთ კიდევ შინ, ბრაზილიაში, მოვიწახლეთე ყოვლადწმინდა ქალწულის ტაძარი, რომელიც აპარესიადა დე ნორტეს სახელით არის ცნობილი, და ვიყიდე იქ ეგრეთ წოდებული ვიზიტაცია — წმ. ელისაბედთან სტუმრად მისული ღვთისმშობლის ხატი, რომელიც სამ ნიჟარაში იყო ჩასმული.

— ლამაზია, მაგრამ მკვიდრი ვერ არის, — განმიცხადა დიასახლისმა და უკანვე მომცა ნიჟარებიანი ხატი, — ადვილი შესაძლებელია, რომ გზაში დაგეშალოს.

\* სანტიაგოს გზამ ერთადერთი კვალი დატოვა ფრანგულ კულტურაში, თანაც მის იმ სფეროში, ეროვნული სიამაყის საგანს რომ წარმოადგენს — გასტრონომიაში: „coquilles Saint-Jacques“, ანუ სავარცხლურები, რაც სუფრაზე ნიჟარით მოაქვთ.

— არ დამეშლება. მოციქულის ტაგრუცთან დავდებ.

ყველაფრიდან ჩანდა, რომ მაღამ დებრილი დიდ დროს არ დამითმობდა. მალევე გადმოვიცა ბარათი, რომლის წყალობითაც გზის გასწვრივ განლაგებულ მონასტრებში თავის შეფარება შემეძლო, ზედ სენ-ჟან-პიე-დე-პორის ბეჭედიც დაასვა, რათა დაედასტურებინა ადგილი, საიდანაც ღვთისმლოცველობა დავიწყე, და დამილოცნიხარო, მითხრა, ან წადი, გზას ბარაქა დააყარეო.

ეტიკი სადღაა, მეგზური-მეთქი, ვკითხე.  
— ახლა რა, ეტიკიც მომინდომე? — გაიკვირვა მან, თუმცა თვალები რაღაც სხვაგვარად გაუბრწყინდა.

და ჩემთვის ნათელი გახდა, რომ ზოგი რამ ძალიან მნიშვნელოვანი ვიგულმავიწყე. სიჩქარეში ვერ წარმოვთქვი ძველი სიტყვა — ერთგვარი პაროლის მსგავსი, რომლის მეოხებითაც იცნობიან ისინი, ვინც ტრადიციის ორდენთ მიეკუთვნება, ანდა ადრე მიეკუთვნებოდა. ამ დაუდევრობის გამოსწორებას დავეშურე და ის სიტყვა-ნიშანი წამოვილულულე. მაღამ დებრილმა ეგრევე გამომგლიჯა ხელიდან ბარათი.

— ეს თქვენ არ დაგჭირდებათ, — თქვა მან და დაზვინული ძველი გაზეთების ქვეშიდან მუყაოს კროჭი, ანუ კოლოფი გამოაცურა, — იმის მიხედვით ივლით და შეიარაღებთ, როგორც თქვენი ეტიკი გადაწყვეტს.

კოლოფიდან შლაპა და კაპიუშონიანი ლაბადა ამოიღო — ორივე ძველი, მაგრამ მშვენივრად შენახული. ოთახის შუაში დადექიო, მთხოვა, და ლოცვა დაიწყო. მე რე თავზე შლაპა დამახურა და მხრებზე ლაბადა მომასხა. შევამჩნიე, რომ შლაპის ცასა და ლაბადის კალთას ნიჟარები ჰქონდა ჩაკერებული. დასახლის ლოცვა არ შეუწყვეტია, ისე აიღო კაბინეტის კუთხეში მიყუდებული არგანი და მარჯვენა ხელში დამაჭერინა. არგანზე წყლის პატარა მათარა იყო მიმაგრებული. რაღა თქმა უნდა, ალბათ, მაგრა გამოვიყურებოდი: ქვემ ჯინსი-ბერმუდები და „I LOVE NY“ წარწერიანი მაისური მეცვა, ზემოდან კი — შუა საუკუნეების სამოსელი შემოსა.

მაღამ დებრილი ზედ მომადგა, ორივე ხელი თავზე დამადო და, თითქოს ტრანსშიაო, წართქვა:

— აგრემც წმინდა მოციქული იაკობი გვარავდეს; ნეტამც ეპოვინებინოს ის ერთადერთი რამ, რასაც ეძებ და რაც უნდა აღმოაჩინო; ნუმც გაჭიანურებულა შენი მგზავრობა, ნუმც შეწყვეტილა ვადამდე და იმდენ ხანს გაგრძელებულიყოს, რამდენსაც გზის წესი და რიგი, გზის აუცილებლობა მოითხოვს... მდუმარედ დაემორჩილე ეტიკსა შენსა, თუნდაც ისეთი რამ გიბრძანოს, რომ ის ბრძანება მომაკვდინებელ საფრთხედ, მკრეხელობად ანდა აბდაუბდად გეჩვენოს. დაიფიცე, ყველაფერს გავეუგონებ და დავუჯერებთქო.

დავიფიცე.

— აგრემც გარდასულ დროთა ღვთისმლოცველთა სული გვარავდეს. შლაპა მზისგან და ავზრთაგან დაგიცავს, ლაბადა — მტერთაგან და ბედითი საქციელისგან. ნუმც დღე მოგვლბოდეს და ნუმც ღამე ლოცვა-კურთხევა უფლისა, სანტი-აგოსი და ყოვლადწმინდა ქალწულისა. ამინ.

და კვლად ისეთივე გახდა, როგორც ადრე იყო — ფიცლავ და არცთუ გაუღიზიანებლად შლაპაც მომხადა, ლაბადაც და კოლოფში ჩატენა. მათარამიმარებული არგანი ისევ კუთხეში მიდგა და, დარწმუნდა რა, რომ პაროლი დავიხსოვებ, წასვლა მიბრძანა, რამეთუ ჩემი ეტიკი თურმე სენ-ჟან-პიე-დე-პორიდან ორიოდ კილომეტრში მიცდიდა.

— ორკესტრს ვერ იტანს, გაგონებაც არ უნდა, — ამიხსნა მაღამ დებრილმა, — თუმცაღა მუსიკას ორი კილომეტრის მანძილზეც ვერ დაემალე-ბას, რაღა პირენები და რაღა საუკეთესო რეზონატორი.

და კიბე-კიბე სამზარეულოსკენ გაეჩქარა, რა არი ცოტა კიდევ ეჯენჯა თვალენაღვლიანი ყმანვილი. მანქანას რა ვუყო-მეთქი, დავეკითხე უკვე წამავალი. გასაღები დატოვეთო, მირჩია მაღამ დებრილმა, ვინმე გადააყენებსო. მანქანის საბარგული ავხადე, დახვეულსაძინებელტომორიანი ტავარჯუხი ამოვიღე, ნიჟარებში ჩასმულ ღვთისმშობელს რაც შეიძლება ღრმად მივუჩინე ადგილი, ტავარჯუხი ზურგზე მოვიგდე და, აჰა-მეთქი, გასაღები გავუწოდე დიასახლისს.

— ციხესიმაგრის კედლის გასწვრივ გაუყევით ქუჩას ზედ ქალაქის კარიბჭემდე და გახვალთ კიდევ ქალაქიდან, — მითხრა მან, — ოღონდ სანტი-აგო-დე-კომპოსტელაში რომ მიხვალთ, ჩემ მაგივრად წაიკითხეთ „ავე მარია“. უამრავჯერ მითელია ეგ გზა, ან კი იმასლა ვჯერდები, რომ ახალ პილიგრიმთა თვალეში ვკითხულობ ალტ-აცებას, რასაც თავად უკვე ვეღარ განვიცდი — ხანი თავისას შვრება. უამბეთ ჩემი ნათქვამი მოციქულს და კიდევ ისიც უთხარით ჩემზე, მალე მოვა-თქო, ოღონდ სხვა გზით მოვა-თქო, ის გზა ბევრად მოკლეა და უფრო ადვილად მივალ...

ქალაქი ესპანური კარიბჭის გავლით დავტოვე, რომელიც ოდესღაც რომაელთა ლეგიონთ ჰქონდათ ამოჩემებული, შემდგომ — კარლოს დიდის რაზმით და ნაპოლეონის პოლკით. მდუმარედ მივდიოდი, შორიდან მუსიკის ხმა მიყურებოდა, — და უცებ სენ-ჟან-პიე-დე-პორის შორიხალში შემორჩენილი ძველი დასახლების ნანგრევებთან ისერი-გად ავლელდი, თვალზე ცრემლი მომადგა. იქ, იმ ნაოხართან, თითქოს თავრეტი დამესხა, დავრაც-რაცდი — ხუმრობა ხომ არ იყო, ცოტაც და სანტი-აგოს გზას დავადგამდი ფეხს.

დილის შუქით გაცისკროვნებულმა პირენების პანორამამ, რომელი შუქის ციალიც თითქოს კიდევ უფრო ძლიერდებოდა მუსიკის ხმათაგან, ისეთი შეგრძნება გამიჩინა, რომ რასღაც დასაბამიერს და კაცთა მოდგმისგან ფარსავად დავიწყებულს ვუბრუნდებოდი. მაგრამ რა იყო ეს, გაგებაში არ ვიყავი. ამ უცნაურმა და უჩვეულოდ ძლიერმა შეგრძნებამ ამასწრაფა, ფეხი ამ-აჩქარებინა, რა არი რაც შეიძლება მალე მივსულიყავი იქ, სადაც, მაღამ დებრილის თქმით, ეტიკი მელოდებოდა. ნაბიჯი არ შემინელებია, ეგრევე გავიძრე მაისური და ტავარჯუხი ჩატენე, რომლის თასმებიც სულ უფრო მაგრად მაჭერდა შიშველ მხრებზე, სამაგიეროდ სიარულში მოფლემილ სპორტულ ჩლარტებს ფეხზე ვერცა ვგრძნობდი. ორმოც წუთში, სანამ ერთ მიგდებულ ჭას მივადგებოდი, ჯერეთ კლდესავით აყუდებული უზარმაზარ სიპ კაჭარს გვერდი ავუქციე. ჭასთან ასე ორმოცდაათიოდე წლის კაცი იჯდა — შავთმიანი, ბოშასა ჰგავდა — და ხალთაგუ-დაში იქექებოდა.

— მშვიდობა მითქვამს, — ვუთხარი ესპანურად იმ მოწინებ-მოკრძალებით და რიდით, რასაც მუდამ ვგრძნობ, როცა კი ახალ ვისმე ვეცნობი. — ალბათ, მე მიცდი. პაულო ვარ.

მან თავის საქმიანობას თავი მიანება და თხემით ტერფამდის ცივად და სულაც არა გაკვირვებულმა შემათვალეირა. მეც მომეჩვენა, რომ საიდანღაც ვიცნობდი ამ ადამიანს.

— ჰო, შენ გიცდი, ოღონდ არ მეგონა, თუ აგრე ადრიანად დამადგებოდი. რა გინდა? ამ კითხვისგან რამდენადმე დაბნეულმა მი-



ვუგე, მგონი, შენა ხარ ის კაცი, ვინც მახვილის საძებნელად ირმის ნახტომის კვალდაკვალ უნდა გამყვეს-მეთქი.

— ეგ რა ბედენაა, — თქვა მან, — თუკი გინდა, გიპოვი. გინდა? ოღონდ ახლავე გადაწყვიტე.

უცნაური საუბარი გამოგვივიდა, მაგრამ დადებული ფიცი მახსოვდა და ჰოვობის თქმას იმ აზრით დავეპირე, რომ მახვილის პოვნის თავის თავზე აღების შემთხვევაში უამრავ დროს დამიზოგავდა და მალე დავბრუნდებოდი ბრანზილიაში, სადაც ის ადამიანები მელოდნენ და ის საქმეები, რომელთა დაკონტროლება არ შეეძლო. არ გამოვრიცხავდი, რომ იქნებ სულაც ხრიკს რასმე მიმართავდა, მაგრამ პასუხი ვითომ მაინც რატომ არ უნდა გამეცა?! და ის იყო პირი დავაღე, რათა მეპასუხა, მიინდა-მეთქი, რომ ჩემს ზურგს უკან ხმა გაისმა, რომელმაც ძლიერი აქცენტით წარმოთქვა ასეთი რამ: „იმის გასაგებად, მთა მაღალია თუ არა, ზედ ასვლა აუცილებელი არ არის“.

ეს პაროლი იყო! შემოვბრუნდი და დავინახე ორმოციოდე წლის კაცი, ხაკისფერი ბერმუდები და ოფლით გაჟღენთილი მაისური ეცვა. დაჟინებული მხერა მიეცივებინა ბოშისთვის. ნახევრად შეჭალარავებული იყო, სახეგარუჯული. მივხვდი, რომ სიჩქარეში უსაფრთხოების ელემენტარული ნესები ვიგულმავინე და, ცოტას განყდა, სხეულიცა და სულიც პირველსავე შემხვედრ უცნობს არ ჩავუგდე ხელში.

— ხომალდს ნავსადგურში არცრა ხიფათი არ ეშუქრება, მაგრამ იმისთვის კი არ შეუქმნიათ, რომ ღუზაზე იდგეს, — გასაგონად გავეხმიანე.

ამაობაში კაცი თვალს არ აცილებდა ბოშას, ის კი — კაცს. რამდენიმე წუთს უცქერდნენ ისინი ერთმანეთს და ამ ურთიერთიღრღიტში არც შიში ჩანდა, არც გამოწვევა. მერე ბოშამ ხალთაგუდა ძირს დადო, ერთი აგდებულად გაიღიმა და სენ-ჟან-პიე-დე-პორის მიმართულებით დაიძრა.

— მე პეტრუსი\* მევია, — ჩაილაპარაკა კაცმა, როცა ბოშა კაჭარს მიეფარა, რომელსაც სულ ცოტა ხნის წინათ ავუქციე გვერდი, — სხვა დროს უფრო ფრთხილად იყავი.

ბოშისა და თვით მადამ დებრილისგან განსხვავებით, ის თითქოსდა კეთილად განწყობილი მეჩვენა. მან მიინიდან აიღო ხალთაგუდა, რომლის წინა მხარეს ნიჟარა იყო გამოსახული, — იქიდან ღვინიანი ბოთლი ამოაძვრინა, მოსვა და გამოიწინოდა. მეც მოვსვი და, ის ბოშა ვინ იყო-მეთქი, ვკითხე.

— ვინაიდან საზღვრიდან შორს არა ვართ, ამ გზას უკვე დიდი ხანია, რაც ბასკონიის ესპანური ნაწილის კონტრაბანდისტები და ტერორისტები ეტანებოდა, — ამისხნა პეტრუსმა, — პოლიცია აქ თითქმის არცროდის არ არის.

— ეგ ვერაფერი პასუხია. რა ვიცი, ერთმანეთს ძველი ნაცნობებივით კი უცქეროდით და. მეც ისეთი გრძობა მაქვს, თითქოს მეცნაურება. ალბათ, ამიტომაც მივმართე.

პეტრუსმა ერთი ჩაიფხუკუნა და, წასვლა სჯობს წარმავალისაო, თქვა. ავიკარი გუდა-ნაბადი, და დავიძვარი. ოღონდ ამ ჩაფხუკუნებამ ცხადი გახადა ჩემთვის, რომ მეგზურ-ყოლაუზი ჩემი იმაზევე ფიქრობდა, რასაც მე ჩავეგდე საგონებელში.

ორივენი ეშმაკს ვიყავით გადაყრილნი.

\* სინამდვილეში პეტრუსი კი არა, სხვა სახელი ჰქვია. ვინაიდან არ მინდოდა ამ ადამიანის პირად ცხოვრებაში შეჭრა, სახელი გამოვუცვალე — თუმცა ეს თითქმის ერთადერთი შემთხვევაა მთელ ამ ნივთში.

რამდენიმე ხანს მდუმარედ მივაბიჯებდით, და მადამ დებრილის სიმართლეში დავრწმუნდი: სამ კილომეტრზეც ხმინობდა ორკესტრი, რომელიც განუწყვეტილად უკრავდა. ძალიან მინდოდა, რომ შევკითხვოდი პეტრუსს, ვინა ხარ და საიდან ხარ, რას საქმიანობ და აქ როგორ მოხვდი-მეთქი, მაგრამ წინ ერთად გასავლელი შვიდასი კილომეტრი გვედო, და ვიცოდი, ადრე თუ გვიან აუცილებლად დადგებოდა ის წუთი, როცა ყველა ამ კითხვას პასუხი გაეცემოდა. თუმცა ბოშა თავიდან არ გამომდიოდა, ასე რომ, მაინც ვერ მოვიტყინე და დავარღვიე დუმილი:

— პეტრუს, რატომღაც მგონია, რომ ის ბოშა ეშმაა, უწმინდური.

— ჰო, ეშმაა, — და ამ სიტყვების გაგონებაზე შიშისა და შვების ნახავი გრძობა დამეფლა, — ოღონდ არა ის ეშმა, რომელსაც ტრადიციით იცნობდი.

ტრადიციით კი ეშმა სულია, არც კეთილი და არც ბოროტი: ჰგონიათ, სულ ის ინახავს, რაც რამ ქვეყანაზე საიდუმლოა, ადამიანის შეგნებისთვის მისანვდომი, ძალაც ერჩის და განაგებს კიდევ მატერიალურ სამყაროს. დაცემული ანგელოზია, თავის თავს კაცთა მოდგმას აკუთვნებს და მუდამ იმის მომხრეა, რომ ადამიანს ურთიერთხელსაყრელი, ასე ვთქვათ, პირობებით გაურიგდეს — მიმციათ მომცია უნდაო, ანუ შენც გამინე სამსახური და მეც გაგინევო.

მაგ ბოშას ეშმაკისგან რა განასხვავებს-მეთქი, დავეკითხე.

— ჯერ სადა ხარ, გზაში ეგეთები ბლომად შეგვხვდებიან, — გაიცინა პეტრუსმა, — თავად მიხვდები სხვაობას. მანამ კი, არსი რომ მოახელო, სცადე იმასთან შენი საუბრის სრულად განსვენება.

მეხსიერებაში იმ ორიოდ საცოდავ წინადადებას დავუწყე ჩხრეკა, მე და ბოშამ ერთმანეთში რომ გავცვალ-გამოვცვალეთ. მგონი, შენ გიცდიდიო, მითხრა, ფიქრი ნუ გაქვს, მახვილს გაპოვნინებო.

ეგ სიტყვებით, მომიგო პეტრუსმა, ზედამოჭრილი იმ ქურდის სიტყვებია, რომელსაც დანაშაულზე წაასწრესო, — ბოშა ხომ სხვის ტავარჯუხს ქექავდაო, — მაგ სიტყვებით იმას დროის მოგება და უკან დასახვეი გზის პოვნა უნდოდაო. ამასთანავე, იქნებ სულაც სხვა, ბევრად უფრო ღრმა რამ აზრი ჩადო: მაგ სიტყვებით ბოშამ სწორედ ის გითხრა, რისი თქმაც სჭირდებოდაო.

— რომელი ერთი ვირწმუნო?

— ერთიცა და მეორეც. ნივთიერი სამხილით მოხელთებულმა ბაცაცამ ასლი ის სიტყვები გითხრა, რა სიტყვებითაც უნდა მოემართა შენთვის. მან, ეტყობა, თავიც იქო საზრიანობისათვის, ნამდვილად კი მხოლოდ და მხოლოდ ზენარი ძალის იარაღი იყო. ჩემს გამოჩენაზე რომ დამფრთხალიყო და მოეკურცხლა, ეს ლაპარაკი აღარ დაგეჭირდებოდა. მაგრამ შემხედა თუ არა, იმის თვალეში ეშმის სახელი ამოვიკითხე, რომელსაც ბევრჯერ შეხვდები გზაში.

პეტრუსის აზრით, ეს შეხვედრა კეთილის მომასწავებელი რამ ნიშანი იყო, რამეთუ ეშმამ ამთავითვე გამოიმუღავნა თავი.

— ასეა თუ ისე, ამოიგდე თავიდან ეგ შენი ბოშა, რადგან, როგორც უკვე გითხარი, მაგისთანა ბევრი შეხვდება შენს გზაზე. იქნებ ეგ ყველაზე მთავარიც არის, მაგრამ ერთადერთად ნუ წარმოიდგენ.

მწირი მცენარეულობა, მსგავსი იმისა, უდაბნოში იშვიათად რომ გვხვდება, კორომებმა, ანუ აქა-იქ ჯგუფ-ჯგუფად მდგარმა ხეებმა შეცვალეს. ალბათ, პეტრუსი მართალია: მოსახდენი თავისთა-



ვად უნდა მოხდეს. დროდადრო იგი დუმილს არღვევდა და იმ ადგილებში მომხდარ ისტორიულ ამბებს ყვებოდა, რა ადგილებსაც გზადაგზა გავდიოდით. ერთხელაც ის სახლი მოვიხილე, სადაც დედოფალმა სიკვდილის წინ უკანასკნელი ღამე გაატარა, არ გამოშპარვია არც ჭიუხზე შესკუპებული პატარა სამლოცველო — იმ წმინდანის განმარტოებული სავანე, რომელ წმინდანსაც იქაური მრავალრიცხოვანი მოსახლეობა სასწაულმოქმედად მიიჩნევდა.

— სასწაულმოქმედება დიდი საქმეა. შენ რას იტყვი? — დამეკითხა ჩემი მეგობარი.

ჭოობა ვუთხარი, ოღონდ დავძინე, არცროდის ცხოვრებაში ნამდვილი სასწაული არ მინახავს-მეთქი. ჩემთვის ტრადიციის სწავლება უფრო ინტელექტუალური თვალსაზრისით ხდებოდა, მაგრამ მჯერა, რომ ჩემი მახვილის პოვნისთანავე მეც შევიძლებ იმის ქმნას, რასაც ჩემი მოძღვარი იქმნა-მეთქი.

— ...თუმცა არც სასწაულია, რაც ჩემს მოძღვარს ხელწიფება, ვინაიდან არც ერთი ჩემი მოძღვრისმიერი სასწაული არცრა ბუნების კანონს არ ცვლის და არც კიდევ ეწინააღმდეგება იმ კანონს. ის დალოცვილი ოდენ იყენებს ამ იდუმალ ძალებს, რათა... — და ენა მუცელში ჩამივარდა, რამეთუ არ შემეძლო ასხნა, რარიგ ახერხებდა ჩემი მოძღვარი სულთა ხორცშესხმას, საგანთა ერთი ადგილიდან მეორე ადგილას გადადებ-გადმოდებას და, როგორც არაერთხელ შევსწრებივარ, — ღრუბლიან ამინდში მოქუფრული ცის გაიალკიალებას და ლაჟვარდის ნაფთევებისა თუ გუბებების გამოჩენას.

— ეგება მაგას სულაც იმიტომ შვრება, რა არი დაგანახვოს, ხედავ, რა ცოდნა და ძალა მაქვსო? — ივარაუდა პეტრუსმა.

— ეგება-მეთქი, — მივუგე არცთუ მაინცდამაინც გულდაჯერებულად.

და იქვე ქვაზე ჩამოვსხედით, რადგან პეტრუსმა, სიარულში მოწევას ვერ ვიტანო, ფილტვებში ნამეტანი ბევრი ძირიფი ჩამდის, ბოლი კი გულს მირევსო, თქვა.

— დიახაც მაგიტომ არ გადმოგცა შენმა მოძღვარმა მახვილი. იმიტომ, რომ არ იცი, რარიგ ახერხებს მაგ საოცარ ამბებს. იმიტომ, რომ მთავარი დაგვინყებია — შეცნობის გზა სუყველასთვის ხსნილია, ყველაზე უფრო ჩვეულებრივ ადამიანთათვისაც. ამ ჩვენი მოგზაურობის დროს ზოგიერთ რამ სავარჯიშოსა და რიტუალს გასწავლი, რაც RAM ორდენში მიღებულია. სუყოველ ადამიანიშვილს თავისი არსებობის ამა თუ იმ ჟამს საცნაური უხდება სულ ცოტა რომელიმე სავარჯიშო თუ რიტუალი. და, უნდა ითქვას, უკლებლივ, უგამონაკლისოდ, სუყველას აკვლევნი ისინი, ვინც ეძიებს, ვინც მოთმინებითა და ჯიუტად ეძიებს. მოპოვებით კი იმ გაკვეთილებიდან მოიპოვებენ, რომელთაც ცხოვრება გვაძლევს.

RAM ორდენის რიტუალები ისერიგად უბრალოა, რომ შენისთანა ადამიანებს, ანუ ყველაფრის გართულება ვისაც გიყვართ, ხშირად უყურადღებოდ გრჩებათ, არცრად მიგაჩნიათ. თუმცა სწორედ იმ რიტუალების წყალობით ეძლევა ადამიანს ყველაფრის მიღწევის საშუალება და სწოც — ყველაფრისა, გესმის? — რაც კი სწადს.

იესო ქება-დიდებას ასხამდა ზეციერ მამას, ოდეს მოიხილა, რომ თავისი მოწაფენი სასწაულთ ახდენდნენ და სატიკვართ კურნავდნენ, და მადლსა სწირავდა დამბადებელს, რამეთუ ღმერთმა მნიგნობართა და ბრძენთ დაუმალა ეს საიდუმლონი, ჩვეულებრივ, უბრალო ადამიანთ კი გაუმხილა, ბოლოსა და ბოლოს, თუკი ადამიანს ღმერთი

თი სწამს, ისიც უნდა სწამდეს, ვალდებულია, რომ ღმერთს სამართალი არ ეშლება.

პეტრუსი საცვებით მართალი იყო. ნამდვილად უმაღლესი უსამართლობა იქნებოდა, უკეთუ ჭეშმარიტი შეცნობა თუ შეეძინებოდა ოდენ განსწავლულ კაცთ შეეძლებოდათ, ვისაც დროცა აქვს და არც ფულზე შეიჭრის ხელს ძვირფასი ნიგნების შესაძენად.

— სიბრძნის ჭეშმარიტი გზა ოდენ სამი ნიშნით იცნობა, — განაგრძობდა პეტრუსი, — ჯერ ერთი, აგაპეთი, ანუ სიყვარულით უნდა დაიწყოს, ოღონდ ამაზე მოგვიანებით გიამბობ. მეორეც, ცხოვრებაში პრაქტიკულად უნდა გამოგადგეს, სხვანირად სიბრძნე უსარგებლო, გამოუსადეგარი გახდება და დაჟანგდება, დაღაბრდება, ვითარცა მახვილი, რომელიც ერთხელაც არ მოუქნევიათ. მესამეც, ეს ისეთი გზაა, რომელზედაც შენ შემდეგ სხვანიც შეძლებენ გავლას.

მთელი დარჩენილი დღე ვიარეთ, და მხოლოდ დაისის ჟამს, მზემ მთათა მწვერვლებს მიღმა რომ იწყო დახდომა, გადანვიტა პეტრუსმა მუხლიდან ქარის ამოლება. ჩვენ გარშემო უკანასკნელ მზის სხივებში ჯერეთ ისევ ბრწყინავდნენ პირენების ყველაზე მაღალი მწვერვალები.

პეტრუსმა მთხოვა, რომ მინის პატარა ნაჭერი მომეკალიფებინა და ზედ მუხლი მომეყარა.

— RAM ორდენის პირველი საიდუმლო ალორძინების უნარია. ამ საქმეში ზედიზედ შვიდი დღე უნდა ირუდუნო, თანაც სულ იმის ცდაში უნდა იყო, რომ მუდამ ახლებურად, სხვაგვარად შეიგრძნო სამყაროსთან შენი პირველი კავშირი. ხომ გახსოვს, რარიგ გეძნებოდა იმის გადანყვება, რომ ყველაფრისთვის თავი მიგენებებინა და აქ ჩამოსულიყავი, რათა სანტიგაგოს გზას დამწყემსებოდი და შენი მახვილი გეპოვა. მაგრამ ეგ გაძნელება მხოლოდ და მხოლოდ იმ ამბავმა წარმოქმნა, რომ საკუთარი წარსულის ტყვე იყავი. დამარცხება უკვე ბევრჯერ გენახა და ახალი მარცხი გაშინებდა; რადაც-რადაცები უკვე მოპოვებულად გიჩნდა და მონაპოვრის დაკარგვისა გეშინოდა. თუმცაღა მახვილის პოვნის სურვილიმა მაინც გადაძალა და გადაწონა ყოველივე დანარჩენი. და რისკის განწევა გადანყვიტე.

დავეთანხმე, ოღონდ დავძინე, რაც რამ შიში მიხსენე, არც ერთი დღესაც არ მასვენებს-მეთქი.

— მაგას მნიშვნელობა არა აქვს. ვარჯიში ნელ-ნელა მოგხსნის ტვირთს, რომელიც თავად მოიგებ ზურგზე.

და პეტრუსმა მიჩვენა RAM ორდენის პირველი საიდუმლო — მარცვლის სავარჯიშო.

## მარცვლის სავარჯიშო

ძირს მუხლებზე დაეშვი. მერე ჩაცუცქედი, ჩაპუ-პუხდი და ისეთნირად დაიხარე, თავი მუხლებს რომ შეეხოს. ახლა მუხლებზე შემოიხივე ხელები და ჩანასახის მდგომარეობაში ჩაიყენე თავი. და მოდუნდი, მოეშვი, ნუ იქნები დაჭიმული და დაძაბული. ისუნთქე ღრმად და მშვიდად. მალე თავს პანანინა მარცვლად იგრძნობ ნიადაგის სიმყუდროვესა და იდუმალებაში. შენ გარშემო ყველაფერი სითბოს ასხივებს და საამო შეგრძნებას შეგრძნებაზე გძღვნი. ღრმა, გულის ძილსა ხარ მიცემული. მაგრამ აგერ თითი გაგენძრა. მარცვლას მარცვლობა აღარა სწადს — დაბადება სურს. ნება-ნება იწყებ ხელების გატოვებას, და სხუელი თანდათან გისწორდება, ნელში იმართები, თუმცა კვლავინდებურად ჩაცუცქედი ხარ. მძიმე-მძიმედ დგები. მთელი ამ ხნის განმავლობაში თავი წარმოდგენილი გაქვს მარცვლად, რომელიც ღვიდება და ის ღვივი ნიადაგის სიღრმიდან ჯიუტად ცდილობს თავის ამოყოფას.

ან უკვე სამზერზე მოვლინების ყაზი დამდგარა. ნელა წამოიშრებოდა. სხეულის სიმძიმე ჯერეთ ერთ ფეხზე გადაგაქვს, მერე მეორეზე. და წონასწორდები, როგორც ის ღვივით თუ ღოჯით, სასიცოცხლო სივრცე ბრძოლით რომ მოიპოვებ. აგერ, უკვე ფეხზე ხარ მთელი ტანით ამართული. წარმოიდგინე, რომ შენ გარშემოა მინდორ-ველი, მზე, წყალი, ქარი, თავს დაგტრიალებენ ფრინველნი. უკვე ნახარები ღვივით ხარ, მინის ზედაპირზე ამოსული, აღმონაცენი. ნება-ნება აღმართე ხელები ცისკენ. მერე ნაეპოტინე, ნაეტანე, რაც ძალი და ღონე გაქვს, ნაენოდე, ვითომ საცაა უზარმაზარ ცხრათვალა მზეს უნდა მისწვდე, რომელიც თავს დაგაკაშკაშებს, თავისკენ გიზიდავს და ძალ-ღონეს გმატებს. სხეული სულ უფრო და უფრო გეჭიმება, ყოველი კუნთი გიხვედება, შენ კი იზრდები და იზრდები, ტანსაყრი — და ორთოდენა ხდება, ვეებერთელა, დაძაბულობა მატულობს და უკვე გაუსაძლისია, საშინლად მტკივნეული. როს იგრძნობ, რომ ტკივილის ატანის თავი აღარა გაქვს, — წამოიყვირე და გაახილე თვალები.

ეს სავარჯიშო შვიდი დღე ზედიზედ ერთსა და იმავე დროს გაიმეორე.

— ამით დაინწყე.

თავი ისე დავდრიკე, მუხლებს შუა მოვიქციე, ღრმად ჩავისუნთქე და დავინწყე რელაქსაცია. სხეული ეგრევე დამემორჩილა — ალბათ, იმიტომ, რომ მთელი დღე ვიარეთ და ქანცგანწყვეტილი ვიყავი. ცხადად მეყურებოდა მინის ხმა — ყრუ და ხრინწიანი ხმა — და თანდათან გამარცვლებოდა, მარცვლად გადაქცევა დავინწყე. არცრაზე არ ვფიქრობდი. ირგვლივ ბნელოდა, და მინის შუაგულში ძილი მერეოდა. წამერთ რალაც შეინძრა. ეს რალაც ნაკვთმა — ჩემი არსების რალაც უმცირესმა ნაწილმა სცადა ჩემი გამოფხიზლება და თან მეჩიჩინებოდა, აქედან უნდა ახვიდე, რადგან „იქ, ზემოთ“ რალაცა სხვა ამბავიაო. მე თავი საძილედ მიკვდებოდა, მაგრამ უმცირესი ნაწილი თავისას არ იშლიდა — და აკი მიაღწია კიდევ იმას, რომ თითები გამიცვიდნენ, თითებმა ხელები ამიმორჩავეს, ოღონდ ეს არც თითები ყოფილა და არც ხელები, ეს პანანკინტელა, ერთი ბენო ღვივით იყო, რომელიც თავგამოდებით ებრძოდა დედამინის ძალას, რათა „იქ, ზემოთ“ აელწია. ვიგრძენი, როგორ აჰყვავდა სხეული ხელების მოძრაობას. სუყოველი წამი მარადიულობად ჩანდა, მაგრამ მარცვალს დაბადება და იმის გაგება ექირვებოდა, რა იყო თავად და რას წარმოადგენდა. გასაოცარი ძალისხმევით ჯერეთ თავმა, მერე კი მთელმა ტანმა იწყო წამოწევა. ოღონდ ნელა, საშინლად ნელა, და სანამ წამოვიმართებოდი, იმ ძალის დაძლევა მიხდებოდა, ქვევით, სიღრმეში, ისევე დედამინის ღურღუმში რომ მენეოდა, სადაც ჯერეთ კიდევ სულ ცოტა ხნის წინათ მშვიდად მეძინა საუკუნო ძილით. ვატყობდი, რომ ვიმარჯვებდი, ჩემი გამქონდა, და ანაზღაურლად თითქოს რალაცა გატყვრა, აინგრა, და წელში გავსწორდი, გავიმართე, და ის ძალა, რომელიც კვალად მინისკენ მხრიდა და მდრეკდა, გაქრა. მოკლედ, ამოვხეტქე მინა და იმას მივუახლოვე, რაც „იქ, ზემოთ“ იყო.

„იქ, ზემოთ“ კი მინდორი დამხვდა. მზის სიბო ვიგრძენი, კოლოს წული და შორიასლო ჩამდინარე წყლის ზვირთის დგაფუნი მომეყურა. თვალბდახუჭული მძიმე-მძიმედ წამოვდექი. მეჩვენებოდა, ცოტაც და, წონასწორობას დაკარგავდი, კვალად მინაში აღმოვჩნდებოდი, მაგრამ სინამდვილეში ზრდას განვაგრძობდი, ტანსაყვრიდი. მალე ხელებიც გავშალე, ტანში გავიმართე და ვიდექი აგრე, აღორძინებული, ოცნებად

კი ისლა დამრჩენოდა, რომ გარედანაც და შიგნიდანაც მზის შუქის კაშკაშა ნიაღვართ განვებანე, რომელი შუქიც ოდენ იმას მენუჯვოდა, ოღონდ მეგვარა და მეხარა, ოღონდ ღრმად დაფხვს-ვიანებულყავი, ტანი ამეყრა და თვით ცისთვის მიმენვდინა ტოტები. სულ უფრო და უფრო ვიძაგრებოდი, ვიჭიმებოდი, რამდენი კუნთიც მქონდა, სუყველა ერთად მტეხდა, და ვგრძნობდი, ამ გამაღლება-გამაღლებაში იმსიმაღლე გავხდი, თუ მოვინდომებდი, მთებსაც ჩავიკრავდი გულში. და ტანი ჩემი კვალად სულ ზევით-ზევით და სულ სიგანეში მიინეგდა, სანამ კუნთების ტკივილი ისე აუტანლად არ მექცა, რომ ვეღარ გავუძელი და შეღონებულმა შევყვირე.

და გავახილე თვალები. პეტრუსი წინ მედგა, ილიმოდა და ენეოდა. დღის შუქი ჯერეთ კიდევ ძალას ინარჩუნებდა, მაგრამ გაკვირვებული და გასახტებული დავრწმუნდი, რომ ჩემ მიერ გონებაში წარმოდგენილი მზე ცაზე უკვე აღარ იყო. აგინერო, რა გრძნობებითაც ვიყავი-მეთქი მუყრობილი? — დავვეითხე ჩემს მეგზურ-ეტიკს, პასუხად მან თავი გააქნია:

— ეგ ყველაფერი ძალიან პირადულია, შენი გრძნობები შენადვე უნდა დაიტოვო. მე, აბა, როგორ განვსჯი, რასაც შენ განიცდიდი? შენი გრძნობები შენია, ჩემი ხომ არ არის.

მერე, ღამის თევით აქ დავრჩებითო, თქვა. იქვე პატარა კოცონი დავანთეთ, რაც ბოთლში ღვინო იყო დარჩენილი, გამოვცალეთ, და ხელდახელ რამდენიმე სენდვიჩი გავამზადე, ბატის ღვიძლის პაშტეტისანი, ანუ ფრანგული ფოიეგრას, რომელიც სენ-ჟან-პიერ-დე პორში მისვლის წინადღეს ვიყიდე. პეტრუსმა ფშანში ორიო-დ მოზრდილი თევზი დაიჭირა და კოცონზე შეწვა. ნავახშმნი ჩვენ-ჩვენს საძილე ტომრებში შევწეეთ.

ცხოვრებაში ბევრი რამის მომსწრე და მნახველი ვარ, მაგრამ სანტიაგოს გზაზე გატარებულ ამ პირველ ღამეს ვერცროდის ვერ დავივიწყებ. ზაფხულის ღამე ცივი გამოდგა, პირში კი ჯერეთ ისევე ვგრძნობდი იმ ღვინის გემოს, რომლითაც პეტრუსი გამიმასპინძლდა. მალლა ცას ავყურებდი, და ჩემს თავზე გადაჭიმული ირმის ნახტომი სრულად მახილვებინებდა მთელ მანძილს, რომლის გავლაც გველოდა. სხვა ვითარებაში ამ საზარელ სივრცეს იქნებ ნალველი, უიღბლობის შიში და საკუთარი აზარაობის შეგნებაც ჩაენერგა ჩემში. მაგრამ ახლა ახლად გაჩენილი მარცვალი ვიყავი. ჩემდა უნებურად აღმოვაჩინე, რომ რაც არ უნდა კარგი, რაც არ უნდა წყნარი იყოს მინაში ძილი, ცხოვრება ბევრად მშვენიერია „იქ, ზემოთ“. და აღორძინებითაც იმდენჯერ ავღორძინდები, რამდენჯერაც მოვიპრიანებ, — მანამდე, სანამდეც ჩემი ხელები არ მოიცავენ მთელ დედამინას, საიდანაც მოვვლინებულვარ.

## შემოქმედი და ნაქმედი

ექვსი დღე პირენეებში ვიარეთ, ვინ მოთვლის, რამდენჯერ დავითავადამართეთ და რამდენჯერ შევიადმართეთ, და მუდამ, როგორც კი მზე ყველაზე მაღალ მწვერვალთ ოქროთი ავარაყებდა, სავარჯიშო გაიმეორეო, მთხვოდა პეტრუსი. მესამე დღეს გზაზე შეხვედრილმა ყვითელმა ბეტონის ნაჭერმა გვამცნო, რომ საზღვარი გადავლახეთ და იმიერიდან ესპანეთის მინაზე მივაბიჯებდით. ჩემმა ეტიკმა ნელინელ ამოიდგა ენა და თავის თავზე ზოგი რამ მიაბო — თურმე

იტალიელი იყო და სამრეწველო დიზაინის\* სპეციალისტი.

— იმდენი საქმის მიტოვება მოგიხდა, რათა პილიგრიმს მახვილის საძებნელად გამოემყოლოდი, ალბათ, შენუხებული ხარ, არა? — დავეკითხე.

— უნდა ზოგი რამ აგიხსნა, — მომიგო მან, — მე სულაც იქ არ მოგდევ, სადაც შენი მახვილია. ის მხოლოდ და მხოლოდ შენ უნდა იპოვო. მე აქ მარტო იმისთვის ვარ, რათა სანტიანგოს გზით გატარო და RAM ორდენის მცირეოდენი რამ სიბრძნე გადმოგცე. თუ როგორ გამოიყენებ ჩემს რჩევა-დარიგებას თუ დათათბირებას შენი მახვილის მოსაპოვებლად, შენ იცი და შენმა ფხიანობამ.

— ჩემს კითხვაზე მაინც არ მიპასუხე.

— კაცი მოგზაურობაში ვერ ატყობს, ისე იბადება მეორედ. სულ ახალ და ახალ ვითარებაში ხვდება. ერთ ქალაქია დღეს მეორე ქალაქია დღე უცვლის, გარშემო უმეტესად უცხო მეტყველებანი ესმის. ის ჩვილ ყრმასა ჰგავს, დედის საშობიდან ეს-ეს არის მოვლენილს. და მეტ ყურადღებას უფრო იმას უთმობს, რაც ირგვლივ აკრავს, რადგან იმაზე და მოკიდებული, გადარჩება თუ არა. სუყოველი კაცის მიმართ ის ფრთხილი და გულისხმიერია, ვინაიდან გაჭირვების უამს იმ კაცთ უნდა აღუპყრო ხელი. და ზეციერთა წამიერ წყალობას ღვინად აღიქვამს და, სანამ პირში სული უდგას, არ იგულმავინყებს.

ამავე დროს, რამდენადაც იმისთვის ყოველივე უცხო და ახალია, ის ოდენ სილამაზეს ამჩნევს და ბედნიერია უკვე იმიტომ, რომ ცოცხალია. ამ მიზეზით რელიგიური მწირობა, ანუ წმინდა ადგილთა მოლოცვა, მუდამ იყო წვდომისკენ მიმავალი ერთ-ერთი ყოველის უფრო პირდაპირი და მოკლე გზა. სიტყვა „ცოდვა“, ლათინურად — pecus, თავდაპირველად „მტკივან ფეხს“ ნიშნავდა, ესე იგი ფეხს, რომელსაც გზის დაკეცვის უნარი არ შესწევს. ცოდვისგან თავის დასაღწევად კი სულ წინ სიარულია საჭირო, რა ახალ და უჩვევ ვითარებაშიც არ უნდა მოხვდე, უნდა შეითვისო და შეეფუო, თანაც არ დაგავინყვდეს, ცხოვრება მოიფუა, და რაც შეიძლება მეტი და მეტი ლოცვა-კურთხევა უნდა გაამეტებინო.

ნუთუ მართლა ფიქრობ, რომ ვლელავ იმ ხუთი თუ ექვსი პროცენტისა გამო, რომელთაც თავი მივანებე, რათა შენთან ერთად დავედგომოდი ამ გზას?

პეტრუსმა აქეთ-იქით გაიხედ-გამოიხედა და მზერა იმ მთის წვერზე შეაჩერა, სადაც თხები ძოვდნენ. ერთ-ერთი, ჩანს, ყველაზე ყოჩაღი, ისეთ ჭიუხზე ამძვრალიყო, გაგიკვირდებოდა, ან როგორ მოხვდა იქ, ან როგორ უნდა ჩამოსულიყო. ნეტავი რას იზამს-მეთქი, სანამ ამ საგონებელში ვიყავი, თხამ ისკუპა და ჩემთვის უხილავი წაყვანილთა თუ კლდის ქიმ-ქიმ დაეშვა, ანვეს შეერია. ჩვენ გარშემო სოფელ-ქვეყანა გაურკვეველ ფორიაქს შეეპყრო და ისეთნაირად სუნთქავდა, დაშოშმინებისა არცრა ეტყობოდა რა — ჯერეთ

\* კიდევ ერთხელ უნდა დავადასტურო, თუ რა მართალია კოლინ უილსონი, რომლის აზრითაც, სამყაროში შემთხვევით არაფერი არ ემთხვევა ერთმანეთს. ერთხელ საღამოს მადრიდის სასტუმროში, სადაც ჩამოვსტი, პოლში რომ ვიჯექი და გაზეთებს ვფურცლავდი, ყურადღება მივაქციე პრინც ასტურიელის პრემიის მინიჭების გამო დაბეჭდილ რეპორტაჟს — მიქცევით კი ყურადღება იმიტომ მივაქციე, რომ დაჯილდოებულია რიცხვში იყო ჩემი თანამემამულე ფურნალისტი რობერტო მარინიო. წარმოიდგინეთ ჩემი გაკვირვება, როცა ბანკეტის მონაწილეთა ამსახველ სურათს დავაკვირდი და ერთ-ერთ მოხდენილ სმოკინგთან მამაკაცი ჩემი მეგზურ-ეტეკი ვიცანი. სურათის წარწერა გვამცნობდა, რომ ეს იყო „ერთი ყველაზე გამოჩენილი ევროპელი დიზაინერთაგანი.

ზრდაც უნდა განეგრძო და ქმნაც, რისთვისაც უსუსტარი მოძრაობა და მოძრაობა იყო გარდაუვალი. შეგრძნება იმისა, რომ ბუნება სასტიკია, უამისად დიდი მინისძვრის ანდა მომაკვდინებელი ქარაშოტის დროს ჩნდება, მაგრამ ახლა მიგზვი — რაც ხდებოდა, ეს მხოლოდ გზის დაუდგრომლობა თუ დაუდგრობა იყო. თვით ბუნებაც მუდმივად გზაშია, მუდმივად წვდომის ძიებაშია.

— ბედნიერი ვარ, აქ რომ აღმოვჩნდი, — ჩაილაპარაკა პეტრუსმა, — იმიტომ, რომ რა სამუშაოც მივატოვე, ახლა მნიშვნელობა აღარა აქვს, ხოლო რა სამუშაოთაც ამ მოგზაურობის შემდეგ გავასრულებ, ბევრად უკეთესი იქნება.

მასსოვს, კარლოს კასტანედას რომ ვკითხულობდი, საშინლად მინდოდა ძველ შამან დონ ხუანთან შეხვედრა. და ახლა, იმის ხილვისას, თუ როგორ გასცქეროდა მთებს პეტრუსი, მომეჩვენა, რომ გვერდით ვილაც მედგა, ვინც ძალიან ჰგავდა ამ პერსონაჟს.

მეშვიდე დღის მინურულს, ხშირი ფიჭვნარი რომ გავიარეთ, ერთი გორაკის წვერზე მოვექცით. აქ კარლოს დიდს ესპანეთის მინაზე თავისი პირველი ლოცვა აღვევინა, და ძველ ობელისკზე გამოყვანილი ლათინური წარწერა ითხოვდა, რომ ამ მოვლენის აღსანიშნავად ყველა გამვლელს ხმამაღლივ ან თავისთვის წაეკითხა „სალვე რეგინა“. მე და პეტრუსმა ყურად ვიღეთ ეს მოწოდება. მერე ჩემმა ეტიკმა სავარჯიმოს უკანასკნელად გამეორება მიბრძანა.

ქარი ქროდა, ციოდა. ის იყო დაუარება დავაპირე, ჯერეთ აღრეა, რა არი, სამი საათია-მეთქი, მაგრამ პეტრუსმა, სიტყვას ნუ მიტრიაზავებ, ქენი, რასაც გეუბნებიანო.

და მუხლებზე დავეშვი. ყველაფერი ჩვეულ-ღებრივი წესით ხდებოდა მანამ, სანამ ხელები არ გავშალე და მზე არ წარმოვიდგინე. და რანამსაც უზარმაზარმა მნათობმა ჩემ წინ ცხრავე თვალი ააბრიალა, ვიგრძენი, რომ უკიდურესად უჩვეულო აღტყინება მიპყრობდა. ჩემი კაცობრიული მესხიერება თანდათან ქრებოდა, და სავარჯიმოს უკვე ვეღარ ვასრულებდი, თითქოს ნამდვილად ხედ ვიქციე. და ძალიანაც კმაყოფილი ვიყავი ამით, უფრო მეტიც — თავს ბედნიერად ვგრძნობდი. მოკაშკაშე მზე თავისი ღერძის გარშემო ბრუნავდა, რაც ადრე არცროდის არ ყოფილა. აგრერიგად გულსავსემ უფრო განზე გავშალე ტოტები, რომელთა ზედაც ქარი ფოთოლთ ბნელსმინად ამრიალებდა, და გავიტრუნე, ნეტავი ამ ადგილიდან ფეხი აღარ მომაცვლევინა-მეთქი, ვნატრობდი. უცებ რალაც შემეხო, ვიგრძენი, — და იმწუთას, თვალის დახამხამებაში, ჩამოხნულდა.

ეგრევე ვჭყიტე თვალები. პეტრუსი ლოყებზე ხელებს მიტყაპუნებდა, ხანაც ანგარიშმიუცემლად მანჯლრევედა, მაჯანჯლარებდა.

— არ დაგავინყდეს, რისთვის ხარ აქ მოსული! — მრისხანედ იმეორებდა იგი. — არ დაგავინყდეს, რომ კიდევ ბევრი რამის შეცნობა მოგიწევს, სანამ შენს მახვილს მიაგნებდე!

ქარი ძვალ-რბილში მატანდა და აძაგძაგებულ იმინაზე დავჯექი.

— მუდამ აგრეა ხოლმე?

— თითქმის მუდამ, — მომიგო პეტრუსმა, — მეტადრე შენისთანებისთვის, ვინც წვრილმანების ტყვეობაში ექცევით და მთავარს ივიწყებთ.

მან ტავარჯუხიდან სვიტერი ამოიღო და გადაიცვა. მეც პერანგი გადავიცივი ფეხბურთელის მაისურზე, რომელსაც „I LOVE NY“ ეწერა. ნამდვილად ვერ ვიფიქრებდი, რომ ბოლო ათი წლის



მანძილზე არნახულად ცხელ ზაფხულში — როგორც დაახლოებით იუწყებოდნენ გაზეთები — სიცივე ამიტანდა. სქელი პერანგი ქარისგან კი მიცავდა, მაგრამ ნაბიჯი ავაჩქაროთ-მეთქი, ვთხოვ პეტრუსს, რა არი ცოტა გავხურებულ-ლიყავი.

გზა დათავკვევდა, და სიარული გაადვილდა. აგრერიგად იმიტომ გავითომე-მეთქი, ვარაუდი გამოვთქვი, რაკი უხეიროდ ვიკვებებით, მარტო თევზზე და ხიჩატელზე\* ვართ-მეთქი. პეტრუსმა ამიხსნა, მაგიტომ კი არ გაითომე, უკვე ძალიან მაღლა ამოვდით და მთამ გიხამაო.

ხუთასიოდე ნაბიჯის შემდეგ გზა უხვევდა — და იქ უკვე უეცრად შეიცვალა გარემო. თვალნი გადაგვეშალა ალაგ-ალაგ სერებიან-გორაკებიანი ვრცელი ტრამალი. მარცხნივ კი გზა ქვემოთ ეშვებოდა, სადაც ორასიოდე მეტრში საკვა-მურებაბოლებული კოპნია ქათქათა ქალაქი გაჭიმულიყო.

ნამერთ ნაბიჯი ავაჩქარე, მაგრამ პეტრუსმა შემაჩერა.

— ან, მგონი, ზუსტად ის დროა, რომ RAM ორდენის მეორე საიდუმლოს გაზიარო, — მითხრა მან, მიწაზე დაჯდა და მანიშნა, შენც დაჯექიო.

სხვა რა გზა იყო, დავემორჩილე, თუმცა არ მესიამოვნა, რომ შევეყოვნდით. საკვამურებაბოლებული პატარა ქალაქი ანდამატური ძალით მიზიდავდა თავისკენ და უცებ წამომავიდა, რომ მთელი ერთი კვირა ადამიანების თვალის დამკვრელი არ ვიყავი და ან ტრიალ მინდორში ვათევი ღამეს ღია ცის ქვეშ, ანდა მუხლჩაუხრელად მივუყვებოდი გზას მზის დახლოვამდე. გარდა ამისა, სიგარეტი გამომელია და საშინელი რამ თუ-თუნის დალევა მიხდებოდა, რომელ თუთუნსაც პეტრუსი გრეხდა და ისე ეწეოდა. ოცი წლის თუ ხარ, არც ცარიელი თევზის ჭამა გიჭირს და არც ღამე საძილე ტომარაში შეძრომა, ის კი არა, მოგონს კიდევაც, ოღონდ აქ და ახლა, სანტიაგოს გზაზე, ყოველივე ამას ცოტა ძალისხმევა როდი უნდოდა. სანამ პეტრუსი, ჩემდა გულის გამანყალებლად, თუთუნს იმზადებდა, მე იმაზე ვოცნებობდი, ერთი ჭიქა ღვინით შევმთბარიყავი ტავერნაში, სადამდეც სულ ხუთი წუთის სავალილა იყო.

მაგრამ პეტრუსს აშკარად არ სციოდა თავის სვიტერში, თავი მშვიდად ეჭირა და უგული-სყუროდ გაჰყურებდა თვალგადაუნდენელ ვაკიანს.

— ჰა, როგორ მოგეწონა პირენეებზე გადასვლა? — მკითხა მან ცოტა ხანში.

— ძალიანაც მომეწონა, — მივუგე უნდომანდოდ, რაკილა ლაპარაკის გაგრძელება არ მინდოდა.

— მოსაწონი რომ არ ყოფილიყო, ერთი დღის სავალს ექვსი დღის სავალად არ გამოვიზოგავდით. ყურებს არ დავუჯერე, ეს რა მითხრა-მეთქი, მაშინ მან რუკა ამოიღო და ჩვენ მიერ გამოვლილი მანძილი მიჩვენა — ჩვიდმეტი კილომეტრი. აღმართ-დაღმართი, რასაკვირველია, გზას აჭიანურებდა, მაგრამ ექვს საათზე მეტი იმის გავლას მაინც არ უნდოდა.

— შენ ისე ხარ გართული იმ შენი მახვილის ძებნით, რომ ზოგი რამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გამოგეპარა — იმისკენ სვლაა საჭირო. შენ მარტო სანტიაგო გახსოვდა, მარტო სანტიაგოს იყავი მიჩრებული — ის კი აქედან არა ჩანს, — და ვერ ამჩნევდი: ზოგ-ზოგ ადგილს ოთხჯერ-ხუთჯერ გავდიოდით, ოღონდ სხვადასხვა მხრიდან.

\* არ ვიცი, რა ერქვა ამ მონითალო ველურ ხილს, მაგრამ პირენეებში ხეტიალის დროს იმდენი ვჭამე, ახლაც გული მერევა იმის მარტო დანახვაზეც კი.

მხოლოდ ახლავა, პეტრუსის სიტყვების შემდეგ, წამომავიდა, რომ პირენეების ყველაზე მაღალი მწვერვალი — მონტე-იჩაშეგი — დროდადრო მარცხნიდან ჩანდა, დროდადრო მარჯვნიდან. თუმცა, ამ ამბისთვის ყურადღება რომც მიმიქცია, მაინც ვერ მივხვდებოდი, ერთ ადგილას ვტრიალებდით თუ არა.

— ხან რომელი გზით მომყავდი და ხან რომლით, ხანაც იმ საიდუმლო ბილიტ მოვდევიდით, კონტრბანდისტები რომ იყენებენ. შენ ვალდებული იყავი, რომ ეს შეგემჩნია. მაგრამ იმიტომ ვერ შეამჩნიე, რომ შენთვის არ არსებობდა თვითონ გზის პროცესი. არსებობდა მხოლოდ საბოლოო წერტილში მისვლის შენი სურვილი.

— ვთქვათ, და მაინც რომ მივხვდრილიყავი?

— მაშინ სხვა ხერხს რასმე მოვიგონებდი, გზაში შვიდ დღეზე ნაკლები რომ არ ვყოფილიყავით, რადგან RAM ორდენის საიდუმლოთა მიხედვით ასლი ეს ვადაა დაწესებული.

გაოცებისგან სიცივეც ვიგულმავიწყე და ქალაქიც.

— მიზნისკენ როცა მიდიხარ, — განავრძობდა პეტრუსი, — ძალიან მნიშვნელოვანია იმ გზისთვის ყურადღების მიქცევა, რომელსაც მისდევ. გზა — დიახაც გზა — გვიკარნახებს მუდამ ყველაზე საუკეთესო მარშრუტს და გვამდიდრებს, როდესაც ვთელავთ და ვკეცავთ. უკეთუ ამას სექსს შევადარებთ, შეიძლება თქმა: წინასწარი ალერსი ბევრად უფრო მძაფრსა და ძლიერსა ხდის ორგაზმს. ამას სუყველა დაგიდასტურებს.

იგივეა მიზანიც, რომელიც დასახული გაქვს. ის იქნებ კარგიც გამოდგეს ანდა უარესიც — იმისდა მიხედვით, თუ რა გზა გაქვს არჩეული მიზნის მისაღწევად, და იმისდა კვალად, თუ როგორ გაივლი ამ გზას. ამიტომაც არის ეგზომ მნიშვნელოვანი RAM ორდენის მეორე საიდუმლო. ამ საიდუმლოს აზრი ის არის, დაფარულსა და დამალულს იქ მივაკვლიოთ, რასაც ყოველდღიურად ვხედავთ და თვალი ისე გვაქვს შეჩვეული, ვეღარც კი ვამჩნევთ.

და პეტრუსმა სიჩქარის სავარჯიშო მასწავლა.

### სიჩქარის სავარჯიშო

**ოცი წუთის განმავლობაში ორჯერ შეამცირეთ ის სიჩქარე, რა სიჩქარითაც ჩვეულებრივ მოძრაობთ. ყურადღებით დააკვირდით ყველაფერსა და ყველას, რაც და ვინც თქვენ გარშემოა — საგნებს, ბუნებას, ადამიანთ. საუკეთესოა ამ სავარჯიშოსთვის სადილ-თუკან დრო.**

სავარჯიშო იმეორეთ ერთი კვირა.

— ქალაქში, სადაც ყოველდღიურად უამრავი საქმე გვაქვს, ამ სავარჯიშომ სულ ოცი წუთი უნდა დაიჭიროს. მაგრამ, რადგან მე და შენ სანტიაგოს საოცარ გზას მივდევთ, ჩვენ ერთ საათს წავგართმევს.

ამასობაში კვლავ სიცივემ ამიტანა და პეტრუსს მავდრებელი მზერა მივაპყარი, მაგრამ იმან ისე დაიჭირა თავი, ვითომ ვერც მამჩნევდა, რა დღეში ვიყავი: წამოდგა, ტავარჯუხი მოიკიდა, და სასოწარმკვეთი ზოზინით შევუდექით ქალაქამდე დარჩენილი ორასი მეტრის გავლას.

თვდაპირველად მხოლოდ ტავერნას გავცქეროდი — ძველბურ ორსართულიან სახლს, რომელსაც ხის აბრა ჰქონდა კარებზე მიკრული. მაღე ისე ახლოს მივედით, სახურავქვეშ ამოკვეთილი აშენების წელიც გავარკვეე — 1652. ვმოძრაობდით, მაგრამ მეჩვენებოდა, რომ ადგილიდან არ ვიძვროდით. პეტრუსი ძლივს მიათრევდა ფეხებს, მეც უკან მივიჩანჩალებდი. მერე ხალთაგუდიდან საათი ამოვიღე და მაჯაზე შევიბი.



— ეგრე უფრო უარესია, — მითხრა მან, — იმიტომ, რომ დრო მუდამ ერთსა და იმავე რიტმში არ მდინარებს. დროის რიტმს ჩვენ განვსაზღვრავთ.

და წამისწამ საათის ცქერამ პეტრუსის სიმაღლეში დამარწმუნა. რაც უფრო ხშირ-ხშირად დავყურებდი ციფერბლატს, მით უფრო ნელა მილოღავდა ისარი. მეც ავდექი და ჩემი ეტიკის რჩევას დავყვივი, საათი შევიხსენი და ჯიბეში ჩავიდე. გულისყურის სხვა რამეზე გადატანა ვცადე: თვალღებვა დავუწყე გარემო პეიზაჟს, ვაკვირდებოდი ყოველ ქვას, რომელიც კი ფეხებში მედებოდა, თუმცა თვალი ერთთავად ტავერნისკენ გამიბრბოდა — და დავრწმუნდი, რომ ერთი მტკაველი რა არის, ერთი მტკაველითაც არ ვიყავით მიახლოებულნი. მერე ახლა მევე დავუწყე ჩემს თავს რაღაც-რაღაცა ამბების მოყოლა, მაგრამ არაფერი გამომივიდა, სავარჯიშო ისე მაფორიაქებდა, თავი სად მება, აღარ ვიცოდი. და როცა ველარ მოვითმინე და კვლავ ამოვიღე საათი, დაკინახე, რომ მხოლოდ თერთმეტი წუთი გასულიყო.

— წამებად წუ იქცეე ეგ სავარჯიშო, მაგისტრის სულაც არ მოუგონიათ, — შემეხმინა პეტრუსი, — შენთვის უჩვევ სიჩქარეში ტკობის მოპოვებას ეცადე. ყოველდღიურობის ნირის შეცვლით თავს ახალ კაცად იშობ. ერთი სიტყვით თავად გადაწყვიტე.

ბოლო წინადადება ისე ლბილად წარმოთქვა, ცოტა გულზე მომეშვა. მეტი რა გზა მქონდა, თუკი ჩემი გადასაწყვეტი იყო, გარემოებით უნდა მესარგებლა. მეც ავდექი და ერთი ღრმად ჩავისუნთქე, თავს ძალა დავატანე, რომ არც არაფერზე არ მეფიქრა და ისეთ მდგომარეობაში ჩავმდგარიყავი, როცა დრო სადღაც შორს იდენდა და მე არანაირად არ შემეხებოდა. სულ უფრო მეტად ვწყნარდებოდი და თანდათან სრულიად სხვა თვალთ მოვიხილე ყოველივე, რაც ჩემ გარშემო იყო. და წარმოსახვა, ადრე ჩემს წინააღმდეგ ამბობებულნი, ახლა მოკავშირე მიხდებოდა. გაცქქეროდი ჩემ წინ გაშლილ პატარა ქალაქს და ათასგვარ ამბავ-ხაბარს ვუგონებდი: ვთხზავდი, როგორ დაეფუძნებინათ და რარიგ აეშენებინათ, როგორ დადიოდნენ გზად იქ წმინდა ადგილთა მოსალოცავად მავალნი და პირენების ცივ ქართაგან შეცივებულნი რარიგ შეჰხაროდნენ იქაურთა სიტბოსა და სტუმართმოყვარეობას. და დადგა ის წუთიც, რაჟამს ამ პატარა ქალაქში რაღაც ბრძნული და იღუმალი ძალის სუფევა ვიგრძენი. და ჩემმა წარმოსახვამ მთელი ის არემარე რაინდებით აავსო, ის მიდამო კი ბრძოლის ველად აქცია. თვალცხადლივ ვხედავდი, ვითარ ელავდნენ მზეზე ფოლადისპირიანი მახვილნი, ცხადადვე მესმოდა მეომართა საბრძოლო საძახელი. და პატარა ქალაქი უფრო დიდ რაღაცად წარმომიდგა, ვიდრე წინაწინაწარ ადგილად, სადაც ერთ ჭიქა ღვინოსა და თბილ საბან-ზედსახურს შემომთავაზებდნენ, — ახლა ის ისტორიული ნიშანსვეტი გახდა იმ ადამიანის საგმირო საქმეთა აღსანიშნავად, ვისაც ყველაფერზე ხელი აეღო იმის გულისათვის, რათა ამ დასაკარგავში დამკვიდრებულიყო. მივხვდი, თუ რა იშვიათად ვაქცევდი ყურადღებას ჩემ გარშემო განვხილ სოფელ-ქვეყანას.

ხოლო სინამდვილის აღქმის უნარი რომ დამიბრუნდა, უკვე ტავერნის კართან ვიდექით და პეტრუსი მეპატიჟებოდა, შევიდეთო.

— გეპატიჟები, — მითხრა პეტრუსმა, — დავლიოთ და ცოტა ადრე დავწვეთ დასაძინებლად, რადგან ხვალ დიდ მოგვთან უნდა წარგადგინო. მთელი ღამე უსიზმრო ძილქუში მანვა. და როდესაც რონსევალად წოდებულ პატარა ქალაქს

დღის შუქმა პირი ჩამობანა, პეტრუსმა ჩემი ნომრის კარს მოაკაკუნა. ღამე ტავერნის მეორე სართულზე გავათიეთ, რომელიც სასტუმროს მაგივრობას ეწეოდა.

თითო ფინჯანი შავი ყავა დავლიეთ, ზეითუნის პური მივაყოლეთ და გზას გავუდექით. მივხვდი, რომ რონსევალის პატარა მივარდნილი ქალაქი არ იყო, როგორც თავდაპირველად მეგონა: იმხანად, როცა სანტიაგო-დე-კომპოსტელას უამრავი ლოცვადმავალი მიანყდა, იქ, რონსევალში, იდგა იმ მხარეში ყველაზე უფრო დიდი მონასტერი, რომელიც მიწებს თვით ნავარის საზღვრამდე ფლობდა. ამის კვალი დღევანდლამდე შემორჩენილი — აქა-იქ კიდევ შეხვდებით სახლებს, ადრე სამონასტრო სავანეს რომ ეკუთვნოდა. ერთადერთი საერო ნაგებობა ტავერნა იყო, სადაც ღამე გავატარეთ.

ნისლში სამონასტრო ეკლესიამდე მივედით. შევედით. რამდენიმე თერნ-სეტაკად მოსილი მონაზონი მოვიხილეთ. ისინი დილის პირველ მესას ასრულებდნენ. გაგებით არც ერთი სიტყვა არ გამეგებოდა, რამეთუ ისინი ბასკურად ლოცულობდნენ. პეტრუსი მერხზე ჩამოჯდა და თავის გვერდით დაჯდომა მთხოვა.

ეკლესია თავისი სიგანე-სიმაღლით უზარმაზარი იყო და იქ გამოფენილ ხელოვნების ფასდაუდებელ ნაწარმოებთ თვლა არა ჰქონდა. პეტრუსმა ჩურჩულით მითხრა, რომ ეს საუფლო სახლი პორტუგალიის, ესპანეთის, საფრანგეთისა და გერმანიის მეფეთა და დედოფალთა შემონირულობით აეშენებინათ, ხოლო ადგილი ასაშენებლად ოდესღაც თვით კარლოს დიდს შეერჩია. მთავარ საკურთხეველთან რონსევალელ ყოვლად წმინდა ქალწულს — რომლის ხატი ვერცხლისგან იყო ჩამოსხმული, სახე კი კეთილშობილი ჯიშის ხეთაგან გამოეკვეთათ — ხელთ სპეკალთაგან ქმნილი ყვავილებით დამშვენებული რტო ეჭირა. საკმლის სურნელმა თუ კილამონმა, დიდებულმა გოთიკამ და მლოცველთა გუნდმა ისეთ მდგომარეობაში ჩამაგდო, ადრე ტრადიციის რიტუალთა შესრულებსას რომ განვიცდიდი ხოლმე.

— მოგვი სადღაა? — მოვიკითხე, პეტრუსის მიერ წინააღმდეგ ნათქვამი რომ გამახსენდა.

მან უსიტყვოდ წამისყოფით მიმანიშნა ერთ ხეხელა, შუახნის სათვალთან მონაზონზე, რომელიც მთავარ საკურთხეველს გარშემოვლებულ გრძელ მერხზე სხვებთან ერთად იჯდა. წუთუ შესაძლებელია: ბერი ერთჟამიერად მოგვიც იყოს? ძალიან მინდოდა, რომ ეს მესა რაც შეიძლება მალე დამთავრებულიყო, მაგრამ პეტრუსმა ხომ მითხრა, დროის დინებას მხოლოდ და მხოლოდ ჩვენ განვსაზღვრავთ, და ჩემი გულის მღრღნელი მოუთმენლობის წყალობით მსახურება ერთ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა.

როცა ბოლოსა და ბოლოს უკანასკნელი სიტყვები მიწყდა, პეტრუსმა მერხზე მიმატოვა და თვითონ მონაზონთა კვალდაკვალ უკანა კარით გავიდა. ვათვალღებდი ტაძრის ბრწყინვალე მორთულ-მოკაზმულობას და მესმოდა, რომ უნდა მელოცა, მაგრამ ლიტონი სიტყვით ღვთის მონოდებას ვერა და ვერ ვახერხებდი. მთელი გულისყური ვერაფერზე ვერ გადამიქონდა: წმინდანთა განმოსახლებანი იმ უსასრულოდ შორეულ დროებათა კუთვნილებად მეჩვენებოდნენ, რომელიც დროებანიც ჩავლილია და აღარცროდის აღარ დაბრუნდებიან, როგორც რომ კვლავ აღარცროდის აღარ დადგება სანტიაგოს გზის ოქროს საუკუნე.

პეტრუსი კარებში გამოჩნდა და უსიტყვოდ მიმიხმო.

მონასტრის შიდა ბაღში შევედით. შუაში შა-

დრევანი იდგა, ქვის ფიალის ქიმზე ჩამომჯდარი გვიცდიდა სათვალისანი მონაზონი.

— მამაო ხავიერ, ეს ის პილიგრიმია, რომელზეც გელაპარაკეთ, — წარმადგინა პეტრუს-მა.

მონაზონმა ხელი გამომინოდა; მივემშვიდობეთ ერთმანეთს, და გავჩუმდით. ველოდებოდი, ცოტაც, და რალაცა მოხდებოდა-მეთქი, მარტო მამლების ყვირილი და ხანაც იმ ქორ-ბურაულთა კიპკივი ისმოდა, ყოველდღიური ნადირობისთვის გასაფრენად რომ ემზადებოდნენ. მონაზონი გაუგებარი გამომეტყველებით შემომტყუროდა — დაახლოებით ისევე, როგორც მადამ დებრილი, როცა ძველი სიტყვა წარმოვთქვი, — და, ბოლოს, მაინც პირველმა დაარღვია ხანიერი და შემლონებელი დუმილი:

— ვგონებ, ძვირფასო, ცოტა არ იყოს, ადრე დაგიწყია ტრადიციის საფეხურთა ავლა.

უკვე ოცდათვრამეტი წლისა ვარ და სუყველა ორდალია\* პატიოსნად გამოვიარე-მეთქი, მივუგე.

— სუყველა, ოღონდ ერთის გამოკლებით — უკანასკნელისა და ყოვლის უფრო მნიშვნელოვნის გარდა, — წართქვა მან, და ისევ ისე გულგრილად მიმზერდა, — უიმისოდ კი, რაც რამ გისწავლია, არცრად არა ღირს.

— მაგიტომაც ვადგავარ სანტიაგოს გზას.

— ეგ არცრის საწინდარია. გამომყევით.

პეტრუსი ბაღში დარჩა, მე კი მამა ხავიერს ავედევნე. რამდენიმე დახურული ტალანი რომ გავიარეთ და გვერდი ავუქციეთ იმ ტაგრუსს, სადაც მეფე სანჩო მძლავრის ნეშტი ესვენა, ერთ მცირე საჟამნოში მოვხვდით, რომელიც როსნევალის მონასტრის ძირითად შენობათაგან რამდენიმე მოშორებით იდგა.

შიგ არცრა იყო, ერთი მაგიდის გარდა, რომელზედაც წიგნი და მახვილი ეწყო. მაგრამ ის ჩემი მახვილი არ ყოფილა.

მონაზონი მაგიდას მიუჯდა, ჩემთვის დაჯდომა არ შემოუთავაზებია. მერე ერთი ბლუჯა რალაც ბალახი მოივარგა და ცეცხლი წაუკიდა, საჟამნო კვამლის მსუბუქმა სურნელმა მოიცვა. წამისწამ მომხდარი სულ უფრო და უფრო მახსენებდა მადამ დებრილთან შესხედრას.

— უწინარესად უნდა გაგაფრთხილოთ, — წართქვა მამა ხავიერმა, — წმინდა იაკობის გზა ოთხთაგან მხოლოდ ერთია. ეს ყვავის გზაა. თქვენთვის ძლიერების მომნიჭებელი კია, მაგრამ ჯერ კიდევ საკმარი არ არის.

— დანარჩენი სამი რომელია?

— ორი მაინც ცნობილია თქვენთვის. პირველი იერუსალიმის, ანუ გულის, გრაალის გზაა. ის სასწაულთა ქმნის უნარს განიჭებს. მეორე, რომის, ანუ ჯვრის გზა, სხვა სოფელ-ქვეყნებთან ურთიერთობას გასწავლის.

ერთი აგურილა გვაკლია, და ბანქოს დასტაც მთლიანად შეივსებოდა-მეთქი, — გავიხუმრე.

— მართალი ბრძანდებით, — გაიცინა მამა ხავიერმა. — ეგ საიდუმლო გზაა. თუკი ოდესმე მოგიხდათ მაგ გზით სიარული, კრინტი არ უნდა დაძრათ, ვალდებული ხართ. ჯერ მაგას თავი დავანებოთ. სად არის თქვენი ნიჟარები?

ტავარჯუნი გავხსენი და ვიზიტაციის ღვთისმშობლის ხატისანი ნიჟარები ამოვიღე. მონაზონმა ისინი მაგიდაზე დააწყო, ხელები ზედ მიმოატარა, ნებისყოფა სრულად დაძაბა და, შენც ეგვე გაიმეორეო, მთხოვა. კეთილსურნელება სულ უფრო მძაფრდებოდა, თვალეები გახელილი გვქონდა. და უცებ შევამჩნიე, რომ ზუსტად იგივე მოვლენა

ხდებოდა, რაც იტალიაში\* — სამივე ნიჟარში შუქი ჩადგა, რომელიც არცრას არ ასინათებდა. მამა ხავიერის ხორხიდან ამოსულმა ხმამ წართქვა:

— სადაც შენი საუნჯეა, შენი გულიც იქ იქნება.

ეს იყო ფრაზა ბიბლიიდან. ხმა კი განაგრძობდა:

— ხოლო სადაც გულია, ქრისტეს მეორედ მოსვლის აკვანიც აქ იქნება. ვითარცა ეს ნიჟარები, ლოცვადმავალიც მხოლოდ და მხოლოდ გარსია. ოდეს გარსი გიხივება, რაც ცხოვრების ზედა ფენაა, თავად ცხოვრება გამოჩნდება, რაც აგაპესგან\*\* შედგება.

როგორც კი მონაზონმა ხელები მოაშორა, ნათება გაქრა. მერე ჩემი სახელი, მაგიდაზე რომ წიგნი იდო, იქ ჩანერა. მთელ სანტიაგოს გზაზე ჩემი სახელი სამად სამჯერ დაინუსხა — მადამ დებრილის წიგნში, მამა ხავიერის წიგნში და — უკვე მერე — ძლევა მოსილების წიგნში ჩემივე ხელით.

— მორჩა და გათავდა, — ჩაილაპარაკა მონაზონმა, — გზა ხსნილი გაქვს. ყოვლადწმინდა ქალწულმა როსნევალებმა და წმინდა იაკობმა დაგლოცონ.

— სანტიაგოს გზა მთელ ესპანეთში ყვითლად არის აღნიშნული, — წართქვა მან, როცა ისევ იქ მივბრუნდით, სადაც პეტრუსი გველოდა, — უკეთუ გზა აგებნეთ, ამ ნიშანთ დაუწყეთ ძებნა — ხეებზე, ქვებზე, გზის მაჩვენებლებზე, — გინალმართებენ, სწორ გეზს გაპოვინებენ.

— ეგ არ მაშინებს, კარგი ყოლაუზი მყავს.

— ეცადე, რომ უწინარესად საკუთარი თავის იმედი გქონდეს. მაშინ, ალბათ, აღარ მოგიხდება ექვის დღე ზედიზედ პირენეებში ტრიალი.

ჩანს, პეტრუსს უკვე ეთქვა ჩემი დაუდევრობის ამბავი.

დავემშვიდობეთ ერთმანეთს, და ჩვენ ჩვენს გზას დავემწყემსეთ. როსნევალიდან რომ გამოვდიოდით, ნისლი უკვე მთლად გაიფანტა. თვალწინ ლარივით სწორი გზა გადაგვეჭიმა, და ყვითელ ნიშანთ დაუწყე ძებნა, რომელთა შესახებაც პადრე ხავიერმა გაიხსენა. ტავარჯუსს დამძიმება შევატყვე — მართალია, პეტრუსმა დამიშალა, არ გინდაო, მაგრამ ტავარჯუსში ერთი ბოთლი ღვინო მაინც ვიყიდე. როსნევალის შემდეგ მთელი ჩვენი გზის სიგრძეზე კიდევ ბევრი ქალაქი უნდა შეგვხვდეს, თუმცა ჭერქვეშ ძილი თითქმის აღარსად არ მომიწევს.

— პეტრუს, რატომ იყო, რომ პადრე ხავიერი ქრისტეს მეორედ მოსვლაზე ისე ლაპარაკობდა, თითქოს ეს მოსვლა ახლა ხდებოდეს?

— ეგრეა, ეგრე. ეგ მუდამ ხდება. ამაშია შენი მახვილის საიდუმლოება.

— და კიდევ... მგონი, მოგვს შეგახვედრებო, გრძნეულსაო, მითხარი, სინამდვილეში კი მონაზონს შევხვდი. რა აქვს საერთო კათოლიკურ ეკლესიასთან მაგიას?

პასუხად პეტრუსმა მხოლოდ ერთადერთი სიტყვა წარმოთქვა:

— ყველაფერი.

## სისასტიკე

— აგერ აქ, ამ ადგილას გაიგმირა სიყვარული, — თქვა გლენმა ბერიკაცმა და თითი კლდის

\* შუა საუკუნეებში ბრადებულის გამოცდა ცეცხლით, გახურებული შანითი და მდულარე წყლით. ვინც წაშვას გაუძლებდა, უდანაშაულოდ ჩათვლიდნენ. ცნება გაჩნდა წმინდა ტრიბუნალის, ანუ ინკვიზიციის ხანაში.

\* აგულის ნეგრას (შავი ნემსები) მწვერვალის მეორე სახელწოდება

\*\* ანტიკური ცნებაა, მოყვასის სიყვარულს ნიშნავს. ბერძნულ ფილოსოფიაში განასხვავებდნენ „აგაპე-ს ცნებას, როგორც მოყვასის საკეთილდღეოდ მიმართულ მოქმედ სიყვარულს, და „ეროს-ის ცნებას, როგორც კმაყოფილების მომგვრელ ვნებან სიყვარულს.

ძირას შეყუყული პატარა სალოცავისკენ გაიშვირა.

ხუთი დღე ზედიზედ მუხლი არ ჩაგვიხრია, გაჩერებით მხოლოდ იმის გულისთვის შევჩერდით, რათა ცოტა წაგვეხეხა და წაგვეძინა. პეტრუსი თავის ცხოვრებაზე ბევრს არას მიყვებოდა, უფრო მეტად ბრაზილიასა და ჩემს სამუშაოზე მეკითხებოდა. ხშირად მეუბნებოდა, რომ მოსწონდა ჩემი ქვეყანა, და კორკოვადოს მთაზე ხელებგაშლილი ქრისტე მაცხოვარი ბევრად უფრო ესათნებოდა, ვინემ ჯვარცმულად გამოსახული. პეტრუსი ყველაფრის მიმართ იჩენდა გულისყურს, მაგრამ მეტადრე ბრაზილიელ დიაცთ უტრიალებდა, ესპანელი ქალებივით ლამაზები არიან თუ არაო, კითხულობდა ცნობისმოყვარეობაატანილი. სიცხე იმხანად მართლაც გაუსაძლისი დაიჭირა, და თითქმის სუყველა სახემს-სასაუზმესა და პატარა სოფელში, გზად სადაც კი ვჩერდებოდით, ხალხი ერთპირად გვალვას უჩიოდა. პაპანაქებისა გამო ესპანელებსავით ჩვენც სიესტის დაცვა დავინწყეთ და დღის ორი საათიდან ოთხამდე ვისვენებდით, როცა მზე ნამეტნავად აჭერდა.

იმ დღეს ზეთისხილის კორომს შევაფარეთ თავი, სადაც გლეხმა ბერიკაცმა ღვინო მოგვართვა. ესპანელთ ჩვეულებად მოსდევთ ყოველგვარ ამინდში ღვინის სმა, ასე რომ, ვერც გაგანია სიცხე უშლით ხელს — უკვე არა ერთი და ორი საუკუნეა, რაც ამ წესსა და რიგს უღალატოდ იცავენ.

— რა იგულისხმეთ, აქ სიყვარული გაიგმირაო, რომ თქვით? — დავევითხე ბერიკაცს, რადგან მომეჩვენა, რომ ლაპარაკის საღერღელი ჰქონდა აშლილი.

— მრავალი საუკუნის წინათ სანტიაგოს გზით ერთი ლოცვადმავალი პრინცესა, სახელ-გვარად ფელიცია აკვიტანელი, უკან რომ ბრუნდებოდა, უცაბედად ყველაფერს დაეუარა დედამიწის ზურგზე და საცხოვრებლად აქ დარჩენა გადაწყვიტა. აქ სიყვარული გაიგმირა-მეთქი, რომ ვთქვი, ის იყო, იმაზე ვთქვი — მთელი თავისი სიმდიდრე უქონელთ დაურჩავა, თავად კი უმწეოთა მოვლა-პატრონობას მიჰყო ხელი.

პეტრუსი თითქოს გულგრილად კი იქცეოდა, ბერიკაცს ვითომ ყურს არ უგდებდა, მაგრამ, თუთუნს მოსანევიად რომ იმზადებდა, შევატყვევ, რომ სმენად იყო ქცეული.

— და მაშინ პრინცესას მამამ თავისი ვაჟი, ჰერცოგი გილიერმო, გაგზავნა დის შინ წასაყვანად. ფელიციამ კი უარი სტყვიდა, არ გამოგყვებო. რაკი დაყოლიების იმედი გადაეწურა, განუმაგებულმა ჰერცოგმა ღვიძლი და პირდაპირ ემაგ ეკლესიაში გაგმირა, აქედან რომ მოჩანს. ეგ ეკლესია კი ფელიციამ თავისი ხელით ააგო, რათა ადგილი ჰქონოდა, სადაც უპოვართ უწამლებდა და ღმერთს ლოცვას აღუვლენდა.

როცა ჰერცოგი გონს მოეგო და მიხვდა, რაც ჩაიდინა, ადგა და მოსანანიებლად რომში წავიდა პაპთან. პაპმა საკანონოდ, ანუ ცოდვის შესანანებელ გადასახადად, იმავე სანტიაგოს გზით წმინდა ადგილთა მოლოცვა განუწესა. და სწორედ მაშინ მოხდა ფრიად საგულისყურო რამ: ჰერცოგი უკვე უკან რომ ბრუნდებოდა, ზუსტად ამ ადგილას ანაზღაურე იგივე დაემართა, რაც ერთხელ იმის დას მოუვიდა. აქედან ფეხი აღარ მოუცვლია, ფელიციას აშენებულ მაგ ეკლესიაში დარჩა და მთელი სიცოცხლე ღარიბ-ღატაკთ შეეწეოდა.

— ეგ ნაცვალგების კანონია, — გაიცინა პეტრუსმა.

ბერიკაცმა ჩემს ეტიკს ვერ გაუგო, მაგრამ მე მივხვდი, რისი თქმაც უნდოდა. გზადგზა ჩვენ არაერთხელ მოგვსვლია თეოლოგიური კამათი

ღვთისა და ადამიანის ურთიერთობაზე. ტრადიციიში მუდამ არის უფალთან კავშირი, თუმც სულაც არა უბრალო-მეთქი, ჩემსაზე ვიდექი ხოლმე. უფლისკენ მიმავალ გზას არცრა საერთო არა აქვს სანტიაგოს გზით იმ ლოცვადმავლობასთან, — თავის მღვდლებ-მოგვებიანად, ბოშებ-ემშაკებიანად და სასწაულმოქმედ წმინდანებიანად — რასაც ამჟამად ვასრულებთ-მეთქი, ვუბნებოდი. მეჩვენებოდა, რომ ეს ყოველივე პრიმიტიული და ქრისტიანობასთან ძალიან მჭიდროდ დაკავშირებული იყო. გულს მაკლდა ის ხიბლი, ლაზათი და აღტყინება, ტრადიციის რიტუალთ რომ ახასიათებდა. პეტრუსი სულ იმის მტკიცებაში იყო, სანტიაგოს გზის მთავარი ღირსება სისადავეაო. ამ გზით სიარული სუყველას ფეხენიფება, რამეთუ თავისი არსით გასაგებია სულაც არა დიდ სიბრძნეში განაწული ჩვეულებრივი ადამიანისთვის, და ამიტომაც მხოლოდ ასეთ გზას შეუძლია ჩვენი უფალთან მიყვანაო.

— ღმერთი შენცა გნამს და მეცა მნამს, — თქვა ერთხელ პეტრუსმა, — ასე რომ, ღმერთი ორივესთვის არსებობს, შენთვისაც და ჩემთვისაც. მაგრამ, თუკი ვისმე არა სწამს, ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ ღმერთმა არსებობა შეწყვიტა. ეს აგრეთვე არც იმას ნიშნავს, რომ ურწმუნო ადამიანი ცდება.

— ეგ როგორ? მაშ, აბა, ღვთის არსებობა ადამიანის სურვილსა და პირადულ ძალაზეა დამოკიდებული?

— ოდესღაც ერთი მეგობარი მყავდა, რომელიც სულ გადაბმულად სვამდა, გამოფხიზლება რა იყო, არ იცოდა, მაგრამ ყოველ საღამოს ძილის წინ სამჯერ უნდა წაეკითხა „ავე მარია“. დედამ ბავშვობიდან მიაჩვია ამ ამბავს. ის კი არა, გაღმეილიც რომ იყო და პირში ენა არა ჰქონდა, ძილის წინ აუცილებლად სამჯერ კითხულობდა ამ ლოცვას, თუმცა ღმერთი სულაც არა სწამდა. რომ მოკვდა, ტრადიციის ერთ-ერთ რიტუალს ვესწრებოდი და ძველთა სულს დავევითხე, ჩემი მეგობარი ამჟამად სად არის-მეთქი. შენს მეგობარს არცრა უჭირს, ნათელშიაო, მიპასუხა სულმა. აი ხომ ხედავ, ურწმუნო კი იყო, მაგრამ ყოველდღე ლოცულობდა და ცხონდა.

ისტორიამდელ გამოქვაბულის ადამიანს ღმერთის ხილვა ბუნების ამა თუ იმ მოვლენაში შეეძლო — ჭექა-ქუხილში, ქარიშხალში, მიწისძვრაში. რაკი ღმერთის ხელი ბუნების მოვლენებში დაინახა, ადამიანმა ღმერთის ყოფნა მალე ცხოველებშიც შეამჩნია, მერე კი კორომნიც, ანუ ჯგუფად მდგარნი ხენიც, საღმრთოდ მიიჩნია, იქაც ქვეყნის დამდგენის ძალა დაიგულა. ძველ ისტორიაში ისეთი დროებანიც ყოფილა, როცა ღმერთის პოვნა მართო კატაკომბებში შეიძლებოდა, თუმცა მაშინაც კი, უკეთუ სიყვარულის სახეს შეიძენდა, ღმერთი თავისი თავით ავსებდა ძეხორციელის გულს და არცროდის არ იღლებოდა ამ საქმიანობით.

ჩვენს დროში გადანყვიტეს, რომ ღმერთი მართოდენ კონცეფციაა, რომლის სამართლიანობის დამტკიცებაც სამეცნიერო მეთოდებით არის შესაძლებელი. თუმცაღა, როგორც კი ამ წერტილს აღწევს, ისტორია უკან ტრიალდება და ყოველსავე თავიდან იწყებს. ასეთია ნაცვალგების კანონი. პაღრე ხავიერმა იესოს სიტყვები რომ მოივარგა, სადაც ჩვენი საუნჯეა, ჩვენი გულიც იქ არისო, დიახაც სიყვარულისა და კეთილ საქმეთა მნიშვნელობის უსაკუთრესად აღნიშვნა ენადა. უფლის სახეს იქ მოიხილავ, სადაც იმის ხილვა გსურს. და რომც ვერ მოიხილო, მნიშვნელობა არა აქვს — ოლონდაც ამ დროს კეთილს რასმე საქმეს უნდა ასხამდე ხორცს. ფელიცია აკვი-



ტანელმა ეს ეკლესია რომ ააგო და უპოვართ ხელი აღუპყრო, მან ვატიკანელი ღმერთი იგულ-მავენიცა და ქვეყნის დამდგენის ძალა სრულიად მარტივად და ყოვლის უფრო ბრძნული ხერხით — სიყვარულით გამოავლინა. ასე რომ, ბერიკაცი სავსებით მართალი იყო, როცა ამბობდა, აქ სიყვარული გაიგვირავა.

ბერიკაცი ამასობაში თავს ძალიან უხერხულად გრძობდა, რადგან ჩვენი საუბრის არც ერთი სიტყვა არ ესმოდა.

— შურისგებისა თუ სამაგიეროს კანონმა თავისი ქნა, როცა ფელიციას ძმამ იმ კეთილ საქმეთა განგრძობის აუცილებლობა იგრძნო, რომელი საქმენიც თავად შეწყვიტა. ყოველივე ნებადართულია და შეიძლება, გარდა ერთისა: არამც და არამც არ ეგების სიყვარულის გამოვლინების შეწყვეტა. თუკი ეს მაინც მოხდა, ვინც ავად ჩარია სიყვარულში ხელი, აღორძინებითაც იმანვე უნდა აღორძინოს.

ჩემს ქვეყანაში სამაგიეროს მიზღვის კანონი იმ აზრით ესმით-მეთქი, ავუსხენი, რომ აწინდელ ცხოვრებაში ვინც შეჭირვებულია და იტანჯება, წინარე ცხოვრების შეცდომებისთვის აგებს პასუხს და ამგვარად ისჯება-მეთქი.

— ეგ სისულელეა! — მომიგო პეტრუსმა, — ღმერთმა შურისგება არ იცის. ღმერთი სიყვარულია. ერთადერთ სასჯელად ის მხოლოდ იმას იყენებს, რომ სიყვარულს ვინც ნირს უცვლის, თავადვე აღორძინებინებს.

მაშინ ბერიკაცმა, უკაცრავად ვარ, მაგრამ წავალ, ჩემს საქმეს მივხედავო, თქვა. ჩიტს აფრენა უნდოდა, ხელის აქნევას უცდიდაო, პეტრუსსაც ისე დაემართა ბერიკაცის ნათქვამზე. იმის წასვლა იყო, და ჩვენც ჩვენს გზას ბარაქა დავაყარეთ.

— სიტყვების ფუჭი ხარჯვაა, — წარმოთქვა პეტრუსმა, ზეთისხილის კორომს რომ მივუყვებოდით, — ღმერთი ჩვენ გარშემო ყველაფერშია. ის უნდა იგრძნო ან განიცადო. სულ ტყუილად ვეცადე, რომ ეს რაც შეიძლება მალე გამეგებინებინა შენთვის. ვერც ლოგიკურმა მსჯელობამ მიშველა. განაგრძე სიჩქარის სავარჯიშო, ივარჯიშე და დღით დღე სულ უფრო ცხადად იგრძნობ შენ გვერდით ყოვლადღლიერის ყოფნას.

ორ დღეში შენდობის წვერად წოდებულ მთას ზედ მოვექცით. ასვლას რამდენიმე საათს მოუწოდებ, ხოლო ზემოთ რომ აღმოვჩნდით, მთვრალი ტურისტების დანახვამ შემაცბუნა — მზუზე ირუჯებოდნენ და ლუდსა სვამდნენ. სუყველა მანქანაში რადიო ბოლომდე ამოწნაო, ყურთასმენა აღარ იყო. მთის წვერზე თურმე სხვა მოკლე გზაც ამოდიოდა, და ისინი იმ გზით ამოსულიყვნენ.

— აგრეა ახლა ყველგან, — დაასკვნა პეტრუსმა, — შენ კი, ალბათ, ფიქრობდი, რომ აქ სიღის რომელსამე რაინდს მოიხილავდი, მავრთა გზაკვალის მოდარიალეს.

დაშვებისას უკანასკნელად შევასრულე სავარჯიშო „სიჩქარე“. თვალწინ კიდე ერთი ტრიალი ტაშირი გადაგვეშალა, ცისფერი მთებით შემოქობილი, სადაც მარტო გვალვისგან დახრუჭული იშვიათი მცენარეულობა ჩანდა. ხის ქაჭანება არ იყო, ხირხატი ნიადაგი აქა-იქ ნარ-ეკალს დაეფარა. სავარჯიშოს შემდეგ პეტრუსმა რაღაცა მკითხა ჩემს სამუშაოზე, რომელიც უკვე კარგა ხნის გადავწყვეტილი მქონდა. შუა გზაში მიტოვებული ჩემი საქმეებისა გამო თითქმის აღარც ვღელავდი. მხოლოდ საღამოობით თუ შემასხენებ-

და ხოლმე თავს საფიქრალი და ისიც უკვე უმნიშვნელო მეჩვენებოდა. მომწონდა, რომ აქ ვიყავი და სანტიაგოს გზას მივუყვებოდი.

ჩემი გრძნობები პეტრუსს რომ გავუზიარე, გამეხუმრა, ემანდ ფელიციას აკვიტანიელის ამბავი არ დაგემართოსო.

მერე დაფერხდა და ტავარჯუხი ძირს დადევ, მთხოვა.

— გარშემო მიმოიხედე და მარჯვე რამ ორინტირი მოინიშნე, — მითხრა მან.

კარგა შორს ეკლესია რომ ჩანდა, იმის თავზე აღმართული ჯვარი შევარჩიე.

— თვალი არ მოსწყვიტო, ისე იცქირე იქით, მთელი გულისყური კი ჩემს სიტყვებზე გადაიტანე. თუნდაც სხვა რამ გრძნობაც გაგიჩნდეს, ყურადღებას ნუ მიაქცევ. რასაც მე გეტყვი, მარტო ისა ქენი.

მოშვებული, მოდუნებული ვიდექი და ჯვარს თვალს არ ვაშორებდი, პეტრუსი კი ზურგიდან წამომადგა, კეფასა და კისერს შუა წერტილი მიპოვნა და თითი დამაჭირა.

— გზა, რომელსაც შენ მიჰყვები, ძლიერების გზაა. და მხოლოდ იმ სავარჯიშოებს გაგაცნობ, რომელთაც ურთიერთდამოკიდებულება აქვთ მაგ ძლიერებასთან. ამჟამინდელი ჩვენი მოგზაურობა თავდაპირველად ნამებად იმიტომ გეჩვენა, რაკი მიზნის რაც შეიძლება მალე მიღწევა ოცნებად გქონდა გადაქცეული, ახლა კი უკვე კმაყოფილებას განიჭებს. ან ძიების სიხარულსაც განიცდი და თავგადასავლებითაც ტუბები. თანაც გზადაგზა შენს თავში რაღაც მნიშვნელოვანს აღივებ — შენს საკუთარ ოცნებებს აჯეჯილებ.

ოცნებას არცროდის არ უნდა დაეუარო! ოცნებები ისევე კვებავენ ჩვენს სულს, როგორც რომ საზრდო კვებავს სხეულს. ცხოვრებაში რამდენჯერაც არ უნდა ნავიმტვრიოთ კისერი და რამდენჯერაც არ უნდა გაგვიცრუვდეს იმედი, მაინც უნდა ჯიუტად ვიოცნებოთ. თუ ეს არ გვიხერხდება, მაშინ გულგრილობა გვიპყრობს და აგაპე ველარ დაისადგურებს ჩვენს სულში. ამ მინდვრებზე, ახლა ჩვენ თვალწინ რომ გამოვლიან, ბევრი სისხლია დაღვრილი. აქ ესპანელთ არა ერთი და ორი სასტიკი ბრძოლა გაუმართავთ მავრთა წინააღმდეგ. ვინ იყო მართალი და ვის მხარეზე იყო სამართლიანობა, ამას უკვე მნიშვნელობა აღარა აქვს — მთავარია იმის გაგება, რომ ორივე მტრული მხარე სამართლიან ომს ეწეოდა.

სამართლიან ომს იმიტომ ვენევი, რომ ამას ჩვენი გული გვთხოვს. საგმირო საქმეთა დროებაში — მოხეტიალე რაინდთა ჟამს — ეს უბრალო ამბავი იყო. ჯერ კიდევ ბევრი იპოვებოდა დასაპყრობი მიწა, გასაქანი ჰქონდა ღვანლსა და გმირობას. მაგრამ დღეს, როცა აგრეერიგად შეიცვალა ცისქვეშეთი, ეს სამართლიანი ომი ბრძოლის ველებზე კი არა, ჩვენს სულებშია.

სამართლიან ომს ჩვენი ოცნებების გულისთვის ვენევი. როცა, როგორც იტყვიან, ახალუხლები ვართ და ჩვენი ნანატრ-ნანადის ხორცის შესხმას ვინყებთ, გაბედულება, იცოცხლე, არ გვაკლია, მაგრამ აზრიანად ბრძოლა არ ვიცით. მერე, მოგვიანებით, რის ყოფით ნელ-ნელა ვსწავლობთ ბრძოლის ხელოვნებას, ოღონდ იმ დროისთვის შემართებასა და სითამამის ვკარგავთ, რაც ბრძოლისთვის ფრიად აუცილებელია. ამიტომ საკუთარ თავს ვუპირისპირდებით და საკუთარი თავის წინააღმდეგ ვინყებთ ბრძოლას. საკუთარი თავის მტრები ვხდებით. და ვამტკიცებთ, ვითომ ის ჩვენი ბავშვური ოცნებები სისულელე იყო, რომელთა ცხოვრებაში განხორციელებაც შეუძლებელია, ანდა ვითომ ყოველგვარ ოცნებას



გამოუცდებლობა და ცხოვრების უცოდნელობა აჩენს. რალა ბევრი გავაგრძელო, ვდგავართ და უმონჯალოდ ვხოცავთ ჩვენს ოცნებებს, რადგან სამართლიან ომში ჩართვა გვეშინია.

პეტრუსმა თითი უფრო მაგრად დამაჭირა. მაშინ შევნიშნე, რომ ეკლესიის თავზე აღმართულმა ჯვარმა მოხაზულობა შეიცვალა და ფრთაშესხმულ ძეხორციელად გადაიქცა. ანგელოზად. ნამერთ თვალები დავახამხამე და ჯვარი ისევ ჯვარი გახდა.

— პირველი ნიშანი იმისა, რომ საკუთარი ოცნების კვლა დავინწყეთ, — განაგრძობდა პეტრუსი, — ის არის, როცა უცაბედად აღმოვაჩინეთ, რომ დრო არა გვყოფნის. ყველაზე უფრო დატვირთულ და მოუცლელ ადამიანთ, რომელთაც ვიცნობდი, ყოველთვის ჰყოფნიდათ დრო თავიანთი უამრავი საქმის თავდასადგმელად. ისინი კი, ვინც სულ ცუდაობაშია, თავს მუდამ დალილილად გრძობენ, ჩხირიც რომ გადააბრუნონ, დღე ნამეტანი მოკლეაო, ჩივიან. სინამდვილეში კი უბრალოდ სამართლიან ომში ჩაბმა აშინებთ.

მეორე ნიშანი იმისა, რომ ოცნება გველუშება, გამოცდილების შექენაა. ამ დროს ცხოვრებას ერთ დიდ თავგადასავლად აღარ აღვიქვამთ და ის აზრი გვიჩნდება, რომ ძალიანაც ბრძნულად, სამართლიანად და სწორად მოვიქცევით, თუკი ცხოვრებისგან მეტისმეტად ბევრს არ მოვიტხოვთ. როცა ჩვენი ყოველდღიური არსებობის კედლიდან გარეთ თავის გამოყოფას ვცდილობთ, ჩვენამდე მტერისა და ოფლის სუნი აღწევს, ვხედავთ მეომართა მწყურვალ მზერას, გვესმის შუბრორთა ლენვის ხმა, შევიგრძნობთ დამარცხების სიმწარეს. მაგრამ ვერა და ვერ გავგიგია ის დიდი სიხარული, რომელიც პირთამდე უსვლას გულს სუყვევს, ვინც იბრძვის, რამეთუ იმ ბრძოლათათვის მნიშვნელობა არა აქვს არც გამარჯვებას და არც დამარცხებას — მნიშვნელობა მხოლოდ იმასა აქვს, რომ ისინი სამართლიან ომს ეწევიან.

დაბოლოს, დაკარგული ოცნების მესამე ნიშანი დამშვიდება. ცხოვრება კვირა საღამოს ემსგავსება: ცხოვრებისგან ბევრს არცრასლა ვითხოვთ, მაგრამ შეწირვითაც თითქმის არცრასა ვწირავთ. თავი უკვე მოზრდილად მიგვაჩნია, მონიფულად, და ჩვენი ფიქრით, ბოლოს და ბოლოს დამთავრდა ბავშვური ოცნებობანას და ყმანვილკაცური ოცობობობის ხანა, და მხოლოდ და მხოლოდ იმას ვეწნრაფვით, როგორც იტყვიან, რამენიარად წარვემატოთ სამუშაოსა და პირად ცხოვრებაში, და ჩვენს გაკვირვებას საზღვარი არა აქვს, როცა ჩვენი ტოლები უცებ აცხადებენ, რომ ცხოვრებისგან კიდევ რალაცა უნდათ. სულის სიღრმეში, რა თქმა უნდა, ნამდვილად ვხვდებით, რაც ჩვენს თავს ხდება, და ისიც ვიცით: იმიტომ ხდება, რა არი უარი ვთქვათ ჩვენი ოცნებისათვის ბრძოლაზე — უარი ვთქვათ სამართლიან ომში ჩაბმაზე.

სამრეკლოს მოხაზულობა თუ მოყვანილობა კვლავ და კვლავ იცვლებოდა, ახლა იმის მაგივრად ფრთებგაშლილ ანგელოზსა ვხედავდი. თვალებს ხამუშ-ხამუშ ვახამხამებდი, მაგრამ ანგელოზი არა ქრებოდა. ძალიან მინდოდა, რომ პეტრუსთან ერთად მემსჯელა იმაზე, რასაც ვხედავდი, მაგრამ სათქმელის დამთავრება ვაცალე.

— როცა ოცნებაზე ხელს ვიღებთ და სიმშვიდეში ვივანებთ, — განაგრძო ცოტა ხნის შემდეგ პეტრუსმა, — წყნარი ცხოვრების მოკლე შამი გვიდგება. მაგრამ მერე ერთიანად დახოცილი ოცნებები ლპობასა და ხრწნას იწყებენ, მთელ არსებობას გვიშხამავენ და გვიწამლავენ. თავდაპირველად ჯერ ახლობლების მიმართ ვხდებ-

ით სასტიკნი, შემდეგ კი საკუთარი თავის მიმართაც. დიახაც მაშინ უჩნდებათ ადამიანთ ათასგვარი სულიერი და ხორციელი სატიკვარი. ჩვენს სილაჩრეს სწორედ იმ ამბავთან მიყვავართ, რასაც ვერიღებოდით, როცა ბრძოლაზე ხელს ვიღებდით, — გულგატეხილობასა და მარცხთან. ხოლო შემდგომ, ერთ მშვენიერ დღეს, დამალ ოცნებათა სიმყრალე პირდაპირ აუტანელი ხდება, სულს გვიხუთავს და სიკვდილს გვანატრებინებს, სიკვდილს, რომელიც ერთხელ და სამუდამოდ გვიხსნის ჩვენი თავდაჯერებულობისაგან, ჩვენი საქმეებისაგან და კვირასალამოების მომაკვდინებელი სიმშვიდისაგან.

ან დარწმუნებული ვიყავი, რომ ნამდვილად ვხედავდი ანგელოზს, და ყური ველარ მივადევნე, რასაც პეტრუსი ამბობდა. მან, ჩანს, იგრძნო ეს ჩემი უგულსყურობა, რამეთუ კეფიდან თითი ამალო და დადუმდა. მოჩვენებამ კიდევ რამდენიმე ხანს გასტანა და გაქრა. იმის ადგილას კვლავ სამრეკლო გაჩნდა.

მცირე ხანს ორივენი ვდუმდით. პეტრუსმა თუთუნი დაგრიხა და გააბოლა. მე ხალთაგუდიდან ღვინიანი ბოთლი ამოვიღე და მოვიყუდე. ღვინო თბილი იყო, თუმცა თავისი გემო არ დაჰპარგოდა.

— რა მოიხილე? — მკითხა პეტრუსმა. ანგელოზის ამბავი ვუთხარი. თანაც დავუხუსტე, როგორც კი თვალებს დავახამხამებდი ხოლმე, მოჩვენება უმალ ქრებოდა-მეთქი.

— შენც უნდა ისწავლო სამართლიანი ომი. ცხოვრების ასავალ-დასავალი უკვე არ გეშლება, თუ ატეხა, იცი, როგორც უნდა მოიქციე, არცრა გამონვევასაც არ გაუქცევი, ფათერაკებისთვისაც მზადა ხარ, ოღონდ ზებუნებრივის აღიარება ჯერ კიდევ არა გწადს.

პეტრუსმა თავისი ტავარჯუხიდან წვრილმანი რალაც ამოიღო და გამოიწოდა. ოქროს ქინძისთავი იყო!

— ეს ბებიაჩემის ნაჩუქარია. RAM ორდენში სუყველა ბრძენკაცს ჰქონდა მსგავსი წვრილმანი რამ. ამას „სისასტიკის წვერი“ ჰქვია. შვილზე პირველად რომ მოიხილე ანგელოზი, თვალებს არ უჯერებდი, ვინაიდან ის ისეთი რამ იყო, რასაც მიჩვეული არა ხარ. ცამყარის შენეულ სურათში ეკლესია ეკლესიაა, მოჩვენებანი კი მხოლოდ იმის შემდეგ ჩნდებიან, ტრადიციის წესჩვეულებანი რომ აღგაგზნებენ.

არა, ვერე არ არის-მეთქი, სიტყვა გაუტრიზავე, ჩემი მოჩვენება იქნე სულაც იმან გამოიწვია, რაკი კეფასა და კისერს შუა განსაზღვრულ წერტილში თითს მაჭერდი-მეთქი.

— სწორი ხარ, მაგრამ ეგ არაფერს არ ცვლის. ფაქტი ის არის, რომ შენ უარყავი მოჩვენება. ფელიცია აკვიტანიელსაც, ალბათ, მსგავსი რამ მოჩვენა, და მთელი თავისი სიცოცხლე იმას შესწირა. რასაც ის სჩადიოდა, საბოლოოდ ყოველივე სიყვარულის მოქმედება იყო. იგივე მოსდის სუყოველ ადამიანს დღენიდად: ჩვენ მუდამ ვიცით, რომელია ყოვლის უფრო უკეთესი გზა, მაგრამ ყველაზე ჩვეულს მივდევთ.

პეტრუსმა გზა განაგრძო და მეც უკან ავედევნე. ოქროს ქინძისთავი, რომელიც ხელში მეჭირა, მზის სხივებზე ელავდა.

— ჩვენი ოცნების გადარჩენის ერთადერთი ხერხი საკუთარი თავის მიმართ სულგრძელობის გამოჩენაა. თვითგვემის სულ მცირე ცდაც კი უცილობლად უნდა ჩავახშოთ! და რათა ვიგრძნოთ, რა სასტიკნი ვართ საკუთარი თავის მიმართ, სულიერი ტანჯვა-წამების განცდის სუყოველი ცდა — სულერთია, რამე დანაშაულით იქნება

გამონვეული ეს სულიერი ტანჯვა-წამება, სირცხვილით, გაუბედაობით თუ სილაჩრით — ფიზიკურ ტკივილად უნდა ვაქციოთ. სულიერი ტკივილის ფიზიკურ ტკივილად გადაქცევისას იმის ცხადად დანახვის შესაძლებლობა გვეძლევა, თუ რარიგ გვგნებს და გავზნევს სულიერი ტკივილი. და პეტრუსმა სისასტიკის სავარჯიშო შემასწავლა.

**სისასტიკის სავარჯიშო**

ყოველთვის, როგორც კი თავში ისეთი რამ მოგევა, რაც საკუთარ თავზე ცუდს გაფიქრებინებს, — გინდ ეჭვიანობა იყოს, გინდ საკუთარი თავის სიბრაღული, შური, ანუ მწუხარება სხვისა კეთილსა ზედა, სიძულვილი და ასე შემდეგ, — ადექი და:

სალოკი თითის ფრჩხილი ცერის ძირა ნუნაში შეისე და მანამ აჭირე, სანამ ძლიერ ტკივილს არ იგრძნობ. მთელი გულისყური იმ ტკივილზე გადაიტანე: ის შენი სულიერი ტანჯვა-წამების შესატყვისი იქნება. სავარჯიშოს შესრულება მხოლოდ მაშინ შეწყვიტე, როცა ავი აზრები შეგეშვებიან.

ეს იმდენჯერ გაიმეორე, რამდენჯერაც აუცილებელი გახდება, სანამ მსგავსი აზრები თავს არ დაგანებებენ (თუნდაც ამისათვის კვლავ და კვლავ მოგიხდეს ფრჩხილის მთელი ძალით დაჭერა). დროთა განმავლობაში მტანჯველი აზრები სულ უფრო იშვიათად შეგანუხებენ და ბოლოს და ბოლოს მთლად გაქრებიან, მაგრამ ვიდრე არ გამქრალან, სავარჯიშო უეჭველად უნდა შეასრულო, როგორც კი საჭიროებას იგრძნობ.

— ძველად ამისთვის ოქროს ქინძისთავს იყენებდნენ, — თქვა მან, — ჩვენს დროში კი ყველაფერი შეიცვალა, ზუსტად ისევე, როგორც სანტიაგოს გზის გარემო პეიზაჟი.

პეტრუსი მართალი იყო. ახლა, როცა მთებიდან დავეშვით, ზემოდან რაც ვაკიანად ჩანდა, ლადირი, ანუ გორაკთა წარზიდული სერი გამოდგა, პირდაპირ ჩვენ ცხვირწინ აღმართული.

— გაიხსენე, როდის იყავი დღეს შენი თავის მიმართ სასტიკი, და შეუდექი ამ ვარჯიშს.

ვცადე გახსენება, მაგრამ ვერცრა წამომავონდა.

— მუდამ ეგრეა. სწორედ მაშინ ვხდებით კეთილნი საკუთარი თავის მიმართ, როცა სიმკაცრეა საჭირო.

უცებ გამახსენდა, როგორ მოვინათლე თავი ჩერჩეტად, როცა დავინახე, რომ ის მანძილი, რომელიც მე რის ვაივავალახით ავიარე შენდობის წვერამდე, ტურისტებს მანქანებით არხენინად ამოველოთ. და გულისხმას ჩავხვდი, მოვისაზრე, რომ უსამართლოდ და სასტიკად მოვექციე ჩემს თავს: ტურისტები ხომ უბრალოდ გასართობად და მზის მოსაკიდებლად ეძებდნენ ადგილს, მე კი ჩემს მახვილს დავეძებდი. რასაკვირველია, იმნუთას მართლაც ჩერჩეტად ვიგრძენი თავი, მაგრამ სინამდვილეში სულაც არ ვიყავი შტერი და ჩერჩეტი. ფრჩხილი ძალდაძალ შევასე ცერისძირა ნუნას და მწვავე ტკივილი ვიგრძენი. იმისდა მიხედვით, რარიგადაც გულისყური გადამქონდა ტკივილზე, შესაბამისად თანდათან ის შეგრძნებაც მიწვდებოდა, რომ ჩერჩეტი ვიყავი.

პეტრუსს წვლილად, დოსტოლოვს ჩაუწუნიგენ ეს ჩემი ამბავი, მან პასუხად გაიცინა, მაგრამ სიტყვა არ დაუძრავს.

იმ საღამოს ფრიად მოხერხებულ სასტუმროში გავერდით ერთ პატარა სოფელში, სადაც ის ეკლესია იდგა, რომლის სამრევლოც შორიდან დავინახე. ნავახშმევს, საჭმელს უფრო კარგად მოვინელებთო, სოფლის შუკა-შუკა გასეირნება გადავწყვიტეთ.

— საკუთარი თავის ვნების მრავალ ხერხს შორის ყველაზე მტიკივნიული ის არის, სიყვარულს რაც ეხება. რატომღაც მუდამ გვანვალბებს ის ამბავი, თუ ვისმე არ ვუყვარვართ, ანდა თუ ვინმე მიგვატოვა, ან, პირიქით, თუ ვინმე გადაგვეკიდა და თავს არ გვანებებს. თუ მარტონი ვრჩებით, ახლა სიმარტოვე გვანვალბებს და გვტანჯავს, თუ ვქორწინდებით, ცოლქმრობას უმალ მონობად ვაქცევთ. საშინელებაა, საშინელება! — ბრაზიანად წარმოთქვა პეტრუსმა.

მაღე იმ მოედნამდე მივედი, სადაც ის ეკლესია იდგა, რომელიც გზიდან თვალში მომხვდა. პატარა ეკლესია იყო, უბრალოდ ნაგები, არავითარი ხუროთმოძღვრული ზედმეტობის ნიშანწყალი არ ეტყობოდა. სამრევლოს შპილი თითქოს ცას მიბჯნოდა. იქნებ ანგელოზი კიდევ დავინახო-მეთქი, თვალი გავაფაციცე, მაგრამ არაფერი არ გამომივიდა.

პეტრუსი ჯვარს უმზერდა და მომეჩვენა — ეგ წამდვილად ხედავს-მეთქი ანგელოზს, მერე უცებ ხმა ამოიღო და მივხვდი, რომ ვცდებოდი.

— ოდეს ძე ღვთისა დედამინაზე ჩამოვიდა, თან სიყვარული მოგვიტანა, მაგრამ ადამიანთ სიყვარული უმსხვერპლოდ და უტანჯველად არ ესმით და ამიტომაც მაღე ჯვარს აცვეს იესო. სხვაგვარად არცვინ ირწმუნებდა იმ სიყვარულს, ქრისტემ თან რომ მოგვიტანა, რამეთუ ადამიანები მიჩვეულნი არიან ტანჯვას თავიანთი ყოველდღიური ვნებებისა გამო.

ქვის ყორეზე ჩამოვსხედით და თვალი ეკლესიისკენ გაგვექცა. პეტრუსმა კვლავ დაარღვია დუმილი.

— პაულო, იცი, რას ნიშნავს სიტყვა „ბარაბა“? „ბარ“ ძეს ნიშნავს, ხოლო „აბა“ — მამას.

პეტრუსი გაშტერებული უცქეროდა სამრევლოს წვერზე აღმართულ ჯვარს. თვალები უბრწყინავდნენ და ვიგრძენი: რაღაცით იყო აღფრთოვანებული. ეგების, თუმცა მთლად დარწმუნებული არ ვიყავი, იმ სიყვარულით, რომლის გამოც ამდენს მიაბობდა.

— განგებულება ღვთაებრივი დიდებისა ეგ-ზომ ბრძნული იყო! — წარმოთქვა მან და უკაცრიელი მოედანიც დაბგერდა, თითქოს დაეთანხმათ, — როდესაც პონტოელმა პილატემ ხალხს არჩევნის მოხდენა შესთავაზა, მან სინამდვილეში არცრა არჩევანი არ დაუტოვა სამსჯავროზე თავშეყრილთ. მან ხალხის წინაშე ორნი გამოიყვანა: ერთი გამოლტილი იყო და ძლივს იდგა ფეხზე, ხოლო მეორე, ბარაბა, როგორც ავაზაკს შეფერვება, ყინჩად თავანული გაჯგიმულიყო. ღმერთმა უწყოდა, რომ ხალხი სუსტის სიკვდილს ირჩევდა, რათა ზეციერს ამგვარად დაემტკიცებინა თავისი სიყვარული.

— მაგრამ, იმისდა მიუხედავად, ხალხი ვის აირჩევდა, სულერთია, ჯვარზე მაინც ძე ღვთისა უნდა გაეკრათ, — აგრე გაასრულა თავისი სათქმელი პეტრუსმა.

**მაცნე-მაუნყებელი**

— აქ მეზობირია, სად სანტიაგოს მიმავალი გზანი თავს იყრიან მრავლად.

პუნეტდე-დე-ლა-რაინს დილის კისკასზედ მივადექით — ქალაქის ეს სახელწოდება იმ ალალმის ცოკოლზე, ანუ ზეძირკველზე იყო ამოჭრეთილი, რომელიც შუა საუკუნეების დროინდელ სამოსელში გამოწყობილ ლოცვადმავალს — პილიგრიმს წარმოსახავდა: თავზე სამკუთხა ქუდი ეხურა, მხრებზე კაპიუშონიანი ლაბადა ესხა, კალთებში ნიჟარებჩაკერებული, ხელთ არგანი ეყურა. ეს ძეგლი იმ უდიდესი, ოლონდ ან თითქ-

მის დავიწყებული ლოცვადმავლობის პატივისცემის ნიშნად იყო დადგმული, მე და პეტრუსი ერთად რომ ვაღორძინებდით.

წინა ღამე ერთ-ერთ მონასტერში გავატარეთ, რომლისწინაირიც ბევრი დგას მთელი გზის გასწვრივ. მნათემ, პირმღიშარობით მოგვიკითხა თუ არა, გაგვაფრთხილა, სააბატოში დუმილის აღთქმას ვიცავთო. ერთმა ახალგაზრდა ტაბლისმიმგებელმა, ანუ მასპინძელმა ბერმა ცალკე სენაკები მიგვიჩინა, სადაც მხოლოდ ის ნივთები მოიქვევებოდა, რაც აუცილებლად საჭიროა: კაბიჩა, ბუე ერთგვარი ხის სანოლი, ძველი, მაგრამ გაქათქათებული ზენრებით განწყობილი, წყლიანი ტაკუჯი, ანუ სურა, და პატარა ტაშტი, ხელ-პირის დასაბანად. არც არავითარი წყალსადენის ონკანი იქ არ იყო და არც არავითარი ცხელი წყალი, გარედან კარზე სამონასტრო ტრაპეზის განრიგი ეკიდა.

დათქმულ დროს სატრაპეზოში ჩავედით. დუმილის აღთქმისა გამო მონაზვნები ერთმანეთში მხოლოდ და მხოლოდ მზერის წყალობით ერთიერთობდნენ, და მომეჩვენა, რომ თვალები სუყველას უფრო მეტად უბრწყინავდა, ვიდრე ჩვეულებრივ ადამიანთ. ვინრო ტაბლებზე უკვე დაელაგებინათ საზრდელი. ჩვენ მიხაკისფერსამოსლიან მონაზონთა გვერდით დავსხედით. პეტრუსი მოპირდაპირედ დაგებულ ტაბლასთან მოხვდა და იქიდან მანიშნა თავისი გასაჭირი, და უშალ მივხვდი, რისი გაგებინებაც სურდა: კვდებოდა, ისე უნდოდა მოწვევა, მაგრამ როგორც ჩანდა, დილაშდე ვერას გახდებოდა. იგივე მელოდა მეც და მთელი ძალით კარგა ღრმად შევირჭე სალოის ფრჩხილი ცერისძირა ნუნაში. არ მინდოდა, რომ ვეზომ ამაღლებული გარემოება საკუთარი თავის მიმართ სისასტიკის გამოვლენით ჩამეშამებინა.

ვახშმად ბოსტნეულის შეჭამანდი, თევზი, პური და ღვინო მოილეს. პურის გატეხამდე ლოცვა აღავლინეს და ჩვენც შევუერთდით, მონაზონთა კვალდაკვალ ვიმეორებდით სიტყვებს. მერე, სანამ ჩვენ ვტაბლობდით, ანუ ვჭამდით, ერთ-ერთი მონაზონი კორინთელთა მიმართ წმ. პავლეს წერილს კითხულობდა:

— არამედ სოფლის უმეცარნი ამოარჩია ღმერთმა, რათა შეერცხვინა ბრძენკაცნი, და სოფლის უძლურნი ამოარჩია ღმერთმა, რათა შეერცხვინა ძლიერნი, — მაღლად სუსტი ხმით წარმოთქვამდა მონაზონი, — ჩვენ უგუნურნი ვართ ქრისტეს გულისთვის... და გავხდით განახვეტი სოფლისა, ყველაფრის ნაგავი დღესაქამომდე... რადგან ღვთის სასუფეველი არის არა სიტყვაში, არამედ ძალაში.

წმ. პავლეს შეგონებანი მთელი ვახშმის მანძილზე გაისმოდა და სატრაპეზოს შიშველი კედლები თითქოს ბანს აძლევდნენ.

პუნტე-დე-ლა-რაინში რომ შევდიოდით, მე და პეტრუსი სწორედ ბერებთან გატარებულ წინა ღამეზე ვმსჯელობდით. ვალიარე, რომ მაღულად გავაბოლუე ჩემს სენაკში და შიშს ვყავდი ატანილი, ემანდ მონასტრის ბინადართაგან ვინმემ სიგარეტის ბოლის სუნი არ იკრას-მეთქი. პეტრუსმა მხოლოდ გაიცინა — და ვეჭვობ, რომ ისიც ჩემსავით მოიქცა თავის სენაკში განმხოლოებული.

— წმ. იოანე ნათლისმცემელი უდაბნოში განმარტოვდა, ხოლო ქრისტე ცოდვილთა შორის ქადაგებდა და მთელი ცხოვრება ხიზნობდა, — წამოიწყა პეტრუსმა, — მეც ეს გზა მგონია უპირატესი.

და მართლაც, უდაბნოში გატარებული დროის გარდა, იესო მუდამ ხალხში ტრიალებდა.

— იმისი პირველი სასწაული ვილაცის სუ-

ლის ცხონება, სნეულთა განკურნება და ეშმაკის განკვეთა კი არ ყოფილა, არამედ წყლის თავანკარა ღვინოდ გადაქცევა იყო, რაც იმ უბრალო მიზეზისა გამო მოახდინა, რომ მასპინძელთ ღვინო შემოაკლდათ.

ამის თქმა იყო და პეტრუსი ეგრევე შედგა. ეს იმდენად მოულოდნელი იყო, შევცბი და ადგილზევე გავშეშდი. ხიდის ყურთან ვიდექით, რომელ ხიდსაც თავისი სახელი დაენათლებინა მთელი დაბა-ქალაქისათვის. პეტრუსი წინ გზას არ უყურებდა, მდინარის პირას ორი პატარა ბიჭი ბურთს რომ აგორებდა, იმათ არ აცილებდა მზერას. ბიჭები რვა-ათი წლისანი იქნებოდნენ, ეტყობოდათ, რომ ვერც გვამჩნევდნენ. ხიდზე ასვლის მაგივრად პეტრუსი რატომღაც ნაპირისკენ დაეშვა და ბიჭებთან მივიდა. მე, როგორც ყოველთვის, ახლაც უკან ავედევნე, ხმაამოუღებლად მივყვებოდი, არცრა მიკითხავს.

ბიჭები კვლავინდებურად ყურადღებას არ გვაქცევდნენ. პეტრუსი ძირს დაჯდა და იმათ თამაშს დაუწყო ყურება, ხოლო ბურთი ჩვენ ახლო რომ დაეცა, დაავლო ხელი და მე გადმომიგდო.

ბურთი ჰაერშივე დავიჭირე და, აბა, რა მოხდება-მეთქი, ხელიდან აღარ გავუშვი. უფროსი ბიჭი დაგეზილი წამოვიდა ჩემკენ. ვიფიქრე, გადავუგადე-მეთქი, მაგრამ პეტრუსი ისე უცნაურად იქცეოდა, გადავწყვიტე, მოდი, ჯერეთ გავარკვევ, რა ხდება-მეთქი.

— მომე, ძია, ჩემი ბურთი, — მითხრა ბიჭმა, რომელიც ორ მეტრში იდგა ჩემგან, და შევაცქერდი, თვალი შევაცვიე. ჩემდა გასაკვირად, რალაც მცნო ამ პატარა ბიჭში. იგივე განცდა დამეუფლა, რაც ბოშის დანახვისას დამემართა.

ბიჭუნამ რამდენჯერმე გამიმეორა, ბურთი დამიბრუნეო, მაგრამ ყური რახან არ ვათხოვე, დაიკუზა და ქვას წამოავლო ხელი.

— გადმომიგდე, თორემ, იცოდე, შიგ შუბლში მოგხვდება! — შემიყვირა გაბრაზებულმა.

პეტრუსი და მეორე ბიჭი დუმილით გვადევნებდნენ თვალყურს. მუქარამ, ცოტა არ იყოს, გული მომაყვანინა.

— არ გაბედო. თუ მომარტყი, ვერ გადაამირჩები, — ვუთხარი გამოსასროლად ქვამომარჯვებულს.

ბიჭი ჩემმა ნათქვამმა შეაფრთხო, ქვა გადაავლო და ახლა სხვა ხერხი სცადა მოსადგომად.

— აქ პუნტე-დე-ლა-რაინში ერთი კიდობანაკი, ზანდუხჩა, მდიდარ პილიგრიმს ეკუთვნის. ნიჟარებზე და ხალთაგუდებზე გატყობთ, თქვენც მოგზაური მლოცველები ხართ. თუ ბურთს დამიბრუნებთ, იმ კიდობანაკს მოგცემთ. ნაპირზე ქვიშა-შია ჩაფლული.

— მე ეს ბურთი უფრო მჭირდება, — ვუთხარი, ოღონდ მაინცდამაინც მაგრად ნათქვამი არ გამომივიდა.

ისე, მართალი რომ ითქვას, რასაკვირველია, კიდობანაკის მოცემა მერჩინა. თანაც მომეჩვენა, რომ ბიჭი ტყუილს არ ამბობდა, მაგრამ პეტრუსს ბურთი, ალბათ, რალაცისთვის სჭირდებოდა, ასე რომ, იმისი განაწყენება არ მინდოდა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჩემი ეტიკი იყო, მეგზურთ.

— რად გინდა, ძია, ბურთი? — მწვიტინებდა ბიჭი, — შენ დიდი კაცი ხარ. მთელი ქვეყანა მოვილილი გაქვს. მე კი ჩვენი მდინარის მეტი არაფერიც არ მინახავს. მარტო მაგ ბურთით ვერთობთ ბიჭები. მოგვეცი რა, გეხვენები!

ბიჭის სიტყვები გულზე მომხვდა, მაგრამ ამ მდგომარეობამ და გრძნობამ, თითქოს, არ ვიცი, ნაკითხული, არ ვიცი, განცდილი რომ მქონდა, კვლავ უარი მათქმევინა.



— ვერა, ვერ მოგცემ, ეს ბურთი მე მჭირდება! ფული არ გირჩევნია? ახალს იყიდი. ეს უკვე ჩემია.

ამის თქმა იყო, და დრო თითქოს წამიერ გაჩერდა. თუმცა პეტრუსი გვერდით არ მედგა და კისერზე თითს არ მაჭერდა, მაგრამ ირგვლივ ყველაფერი უეცრად შეიცვალა — თვალის დახამხამებაში შიშისმომგვრელ გადახრუკულ უდაბნოში აღმოვჩნდი, ვერც ერთ მხარეს თვალს ვერ ვატანდი, იქ არც პეტრუსი იყო, არც მეორე ბიჭი, უმცროსი. მხოლოდ ის ბიჭუნა მედგა გვერდზე, წელან ბურთზე რომ მელაპარაკებოდა. ახლა უფრო დიდი ჩანდა, სიბრანხეგადავლილი, გამომეტყველებადამინებული. ოღონდ თვალბეჭდებში ცბიერება ჩასდგომოდა და ამან რატომღაც შემაკრთო.

მოჩვენებამ სულ ერთ წამს გასტანა. მერე ისევ პუნტე-დე-ლა-რაინში გავჩნდი — იმ ადგილში, სადაც თავს იყრის სანტიაგოს სუყველა გზა, ევროპის სხვადასხვა მხრიდან მომავალი. ჩემ წინ პატარა ბიჭი იდგა, ბურთი დამიბრუნეო, მეხვეწებოდა, და გულის ამაჩუყებლად ნაღვლიანი სახე ჰქონდა.

პეტრუსი მომეახლოვა, ბურთი გამომართვა და ბიჭს გადასცა.

— აბა, სად არის შენი დაპირებული კიდობანაკი თუ ზანდუხჩა? — ჰკითხა მან ბიჭს.

— რა კიდობანაკი, რის ზანდუხჩა? — გაიკვირვა ბიჭმა, მერე ხელი წაავლო თავის ამხანაგს და ორივენი გაიქცნენ, წყალში მოადინეს ტყაპანი.

ჩვენ ნაპირიდან გზაზე ავედით და ხიდზე გადავედით. ის იყო პეტრუსისთვის უნდა მეკითხა, რა მოხდა-მეთქი, და ისიც უნდა მეთქვა, როგორ აღმოვჩნდი უდაბნოში, მაგრამ მან უცაბედად სიტყვა გადააბრუნა, გეზი შეუცვალა ლაპარაკს, მაგაზე მერე ვისაუბროთ, როცა აქაურობას გავეცლებითო, მითხრა.

ნახევარ საათში გზის იმ მონაკვეთს მივალწიეთ, სადაც რომის ქვაფენილია შემორჩენილი. იქვე ახლოს, ძველი ხიდის ნანგრევებზე მოვეწყვეთ სასაუბროდ, საჭმელი ბერებმა გვინუზულეს — ჭვავის პური, იოგურტი და თხის ყველი.

— მითხარი ერთი, რატომ არ აძლევდი, რად გინდოდა ის ბურთი? — მკითხა პეტრუსმა.

მე სულაც არ მინდოდა, ოღონდ შენ ისე იქცეოდი, მომეჩვენა, რომ რაღაც მნიშვნელოვანი ამბისთვის გჭირდებოდა-მეთქი, განვუმარტე.

— ეგ მართლა მნიშვნელოვანი ამბავი გამოდგა. მაგან შენი პირადი დემონი დაგამარცხებინა.

ჩემი პირადი დემონი? არცრა უფრო უცნაური არა გამიგონია რა მთელი ჩვენი მოგზაურობის მანძილზე! ექვს დღეში, რაც აქეთ-იქით დავბორიალობთ პირენეებში, უკვე მოვასწარი შეხვედრა გრძნეულ მღვდელთან, რომელსაც არცრა უგრძნეულია, და კარგა გვარიანად გადატყავება ცერისა, რომელსაც მუდამ ვიჯიჯგნი, როცა კი შავნალვლიანობა მიპყრობს, ანდა რამე დანაშაულის, ან არასრულფასოვნების გრძნობა მიჩნდება. თუმცა პეტრუსი ამ საქმეში მართალი გამოდგა — ცუდს რასმე ბევრად უფრო იშვიათად ვფიქრობ საკუთარ თავზე, მაგრამ რაღაც პირადი დემონი რომ არსებულა, აქამდე არცროდის არ მსმენია, და ამ სიახლის მონელება ადვილი არ იყო.

— დღეს, იმ ხიდთან, უჩვეულო სიცხადით ვიგრძენი, თითქოს ვიღაცა გვედგა გვერდით და რაღაცის გამო გვაფრთხილებდა. თანაც ის აფრთხილება უფრო მეტად შენ გეკუთვნოდა და არა მე, რადგან ძალიან მალე სწორედ შენ მოგელის სამართლიანი ომი.

სანამ არ გასცნობიხარ შენს პირად დემონს,

ის ჩვეულებრივ რომელიმე შენი ახლობელი ადამიანის სახით წარმოგიდგება. ამიტომაც გავიხედ-გამოვიხედე და როგორც კი ის ორი მობურთაღი პატარა ბიჭი დავიხანხე, ვიფიქრე, რომ იქნებ სწორედ იმ პატარა ბიჭების საშუალებით მოხერხებინა იმას შენი გაფრთხილება. მაგრამ ეს უბრალოდ წინათგრძნობა იყო. დარწმუნებით კი, ნამდვილად შენს პირად დემონთან რომ გვეკონდა საქმე, მხოლოდ მაშინ დავრწმუნდი, როცა შენ ბურთის დაბრუნებაზე უარი უთხარი.

მე კიდევ ერთხელ გავეუმორე პეტრუსს, ბურთი შენი გულისთვის არ დაგუბრუნე. მე მეგონა, რაღაცისთვის გჭირდებოდა-მეთქი.

— მე მჭირდებოდა? სიტყვაც არ დამცდენია. უცაბედად გული წამომერია. შესაძლოა, სულაც საჭმლის ბრაღი იყო, რომელსაც დაქიმითებული ვეცი უზმოდ ერთი საათის სიარულის შემდეგ. და ამასთანავე ისეთი გრძნობა მქონდა, რომ ის ბიჭი სადღაც მყავდა ნანახი.

— შენმა დემონმა სამივე კლასიკური ხერხი მოსინჯა: მუქარაც, დაპირებაც და თავის შეცოდებაც. მოსალოცად გაქვს საქმე, — ჩინებულად გეჭირა თავი.

ამის თქმა იყო, და წამომავიწყდა, როგორ ჰკითხა პეტრუსმა ბიჭს კიდობანაკის ამბავი. იმ დროს, როცა ის ეკითხებოდა, გადავწყვიტე, რომ ბიჭს არცრა სათქმელი არა ჰქონდა — უბრალოდ გამაცურა. თუმცა, შესაძლოა, იმ კიდობანაკში თუ ზანდუხჩაში მართლაც რამე რელიკვია-მეთქი, ვფიქრობდი, ვინაიდან, ჩემი ვარაუდით, დემონებს ტყუილი დაპირება არ უნდა სცოდნოდათ.

— როცა ბიჭმა წმინდა ნაწილთა ამბავი ვერ გაიხსენა, შენი დემონი უკვე გაქრა, — თქვა პეტრუსმა.

და იქვე დასძინა:

— სწორედ ის დროა, უკანვე გამოიხმო, ძალიან წაგადგება.

ძველი ხიდის ნანგრევებზე ვისხედით. პეტრუსმა ნასუფრალ-ნახორხალი ერთად მოაგროვა და ქალადღის პაკეტში ჩაყარა, რომლისთანავე პაკეტი ბითაც ბერებმა მოგვამარაგეს. გარშემო რაც მომცრო მინდვრები იყო, ყველგან გუთნეული გაეშალათ და კვალში გუთნისდედები მისდევდნენ, თუმცა ისინი ჩვენგან იმდენად შორს იყვნენ, არ მესმოდა, რას ლაპარაკობდნენ. ნახნავი მინა და ტალღა-ტალღა მიყრილი გორაკები ერთობლივად საოცარ სურათსა ქმნიდნენ. იქვე, ჩვენს ფეხებთან, თითქმის უხმაუროდ დიოდა გვალვისგან გვარიანად ჩამოკლებულ-დამშრალი ნაკადული.

— სანამ სოფლად გავიდოდა, იესო ჯერ უდაბნოში წავიდა და იქ დაელაპარაკა თავის პირად დემონს, — განაგრძო პეტრუსმა, — მან იმისგან გაიგო ყოველივე, რისი გაგებაც კაცხორციელთა შესახებ აუცილებელი იყო. ოღონდ დემონს ნება არ მისცა, რომ თამაშის თავისი წესები მოეხვია — და დიახაც ამით მოერია იმას.

ერთმა პოეტმა ოდესღაც თქვა, ადამიანი კუნძული როდიაო\*. სამართლიანი ომის გადასახდელად მხარდაჭერა გეჭირდება. მეგობრები უნდა გვეყავდნენ. უკეთუ ისინი ჩვენ გვერდით არ აღმოჩნდებიან, ჩვენს მთავარ იარაღად მარტოობა უნდა ვაქციოთ. და მაშინ რაც გარს გვარტყია, ყოველივე შეგვეწვევა მთავარი მიზნისკენ წინ წაწვევაში. ჩვენ გარშემო კი რასაც ხელს დავადებთ, ის გამოგვაჩენინებს სამართლიან ომში გამარჯვების მოსაპოვებლად საჭირო გამბედაობას. უამისოდ, ანუ იმის შეუგნებლად, რომ ყველაფერი

\* ინგლისელი პოეტის ჯონ დონის (1572-1631) გამოთქმა.



და ყველას თავი გვჭირდება, უბრალოდ ყოყორა მკვეხარებად გადავიქცევით და ბოლოს და ბოლოს დიხასაც ყოყორება და ქედმაღლობა დაგველუპავს, რამეთუ მეტისმეტად თავდაჯერებულმა მეომარმა ვაითუ ვერც შენიშნოს ბრძოლის ველზე დარწყმული უამრავი მახე.

პეტრუსის მიერ მეომრებსა და ბრძოლაზე ჩამოგდებულმა სიტყვამ კვლავ წამომავიკაროს კასტანედა თავის დონ ხუანიანად. და ამ დროს ჩემდა უნებურად ამეკვივია ფიქრი: „ნეტავი ბებერი შამანი დილაადრიანად, სისხამზე თუ აწყებინებდა მეცადინეობას თავის მონაფეს, ჯერეთ კიდევ მანამდე, სანამ ის თავის საუბრეს მოინებებდა?“

ამასობაში პეტრუსი განაგრძობდა:

— ფიზიკური სოფლის საზღვრებს გარეთ, რომელი სოფლის ძალებსაც ვეყრდნობით, ჩვენ გვერდით ორი ძირითადი სულიერი ძალა სუფევს: ანგელოზი და დემონი. ანგელოზი ღვთიური მადლის გამოვლინებაა, ნიადაგ გვიცავს, იმას გამოხმობა არ უნდა. ანგელოზის სახე სულმუდამ ჩანს, ოღონდ თუ სოფელ-ქვეყანას სიყვარულით უმზერ. იმის დანახვა ყველგან შეგიძლია, მდინარის დაკლავნილ კალაპოტშიც, მინდვრად გამოსულ გლეხკაცშიც და ლურჯ ცაზე აცურებულ ღრუბლებშიც. ანგელოზის სახის ანაბეჭდს ინახავს უცნობ რომაელ ლეგიონერთა ხელით აგებული ეს ძველი ხიდიც. ჩვენი წინაპრები იმას მფარველ ანგელოზს უხმობდნენ.

დემონიც ანგელოზია, ოღონდ დამოუკიდებელი, მემბოხე ანგელოზი. მე უფრო მაცნე-მაუნყებლად მიჩვენია იმისი მოხსენიება, რადგან ის აბამს კავშირს შენსა და გარესქნელს შორის. ძველად იმის განსახიერებდა ითვლებოდა მერკური, ანუ ერმი, ჰერმესი, ღმერთების მაცნე-მაუნყებელი. არე იმის საქმიანობისა მატერიალური, ნივთიერი სოფელ-ქვეყანაა. იმისთვის თვალის შესწრება შეიძლება, მაგალითად, ეკლესიის ოქროკაზმულ მორთულობაში, რადგან ოქრო მოიპოვება მიწაში, ხოლო დემონი მიწისქვეშა სამეფოს ნაშეიერია. ის ყოველგვარ სამუშაოშია დაბუდებული, ფულთან ჩვენს ურთიერთობაშიც. თუ გავათავისუფლებთ და გავუშვებთ, ჩვეულებრივ ქრება. თუ განვდევნით, ყოველსავე კარგს დავეკარგავთ, რის სწავლებაც კი იმას შეუძლია, რადგან დემონი მრავლისმცოდნეა და ჩინებულად ერკვევა ამ სოფელ-ქვეყნის ამბებშიც და ამსოფელქვეყნელთა ასავალ-დასავალშიც. ოღონდ თუ ერთი მოგვხიბლა და თავისი ძლიერების ბადეში გაგვკვია, ვეღარც დავუსხლტებით, თავისად გაგვიხდის, და აღარც სამართლიან ომს გადაგვახდევინებს.

ასე რომ, მაცნე-მაუნყებელთან ურთიერთობის ერთადერთი ხერხია მეგობრობა, ყურადღება იმისა, რასაც გირჩევს, ანუ როგორც ძველად იტყოდნენ, რასაც გივაზირებს, და, თუ აუცილებელია, მეოხების თხოვნა, ოღონდ თამაშის წესები არამც და არამც არ უნდა აკარნახებინო. შენ სწორედ აგრე მოექცევი იმ პატარა ბიჭს. არაფრისდიდებით არ უნდა დავუშვათ, რომ მაცნე-მაუნყებელმა თავისი წესები მოგვახვიოს: ამისათვის საჭიროა, ჯერ ერთი, გაგება, თუ რა გვინდა, და მეორეც, სახელის ცოდნაც და სახით ცნობაც იმისი.

— მერე მაგას როგორ გავიგებ? — დავეკითხე გაცნებელი.

და მაშინ პეტრუსმა მაცნე-მაუნყებლის რიტუალი შემასწავლა.

**მაცნე-მაუნყებლის რიტუალი**

1. დაჯექი და სრულად მოდუნდი, რაც შეიძლე-

ბა გაიფანტე გონება, თავი არ შეიკავო, აზრები თავისუფლად მიუშვი ნებაზე. ცოტა ხნის შემდეგ დაიწყე გულში გამოვრება: „მოვდუნდი, ძილქუშმა წამიძლო“.

2. როცა იგრძნობ, რომ გონებაში სხვა, უცხო აზრები აღარ დაგრჩა, შენგან მარჯვნივ აბურბურებული ცეცხლის ალი წარმოიდგინე, თითქმის ხანძარი. მერე წყნარად თქვი: „ჩემი ქვეცნობიერებისათვის თავის ჩენა მიბრძანებია. მიბრძანებია აგრეთვე, რომ თვითონაც გაცხადდეს და თავისი მაგიური საიდუმლონიც გააცხადოს“. მერე სულ ცოტა დაიცადე, მარტო ცეცხლს დაჰყარე გულსიყური. უკვეთ სახე რამ გაჩნდა, ის შენი ქვეცნობიერების გამოვლინება იქნება. ეცადე იმ სახის დახსოვებას.

3. შენგან მარჯვნივ ცეცხლი არ ჩააქრო და დაიწყე ისეთივე, როგორც იტყვიან, დორჩაურის, ანუ აბურბურებული ცეცხლის ალის წარმოდგენა მარცხნივაც. როცა ეს ალიც აკაშკაშდება, წყნარად, რაც შეიძლება დინჯად წარმოთქვი შემდეგი სიტყვები: „დაე მფარავდეს მაცნე-მაუნყებლისგან მოხმობილი ძალა ტარიგისა, რაც გამოვლენილია სუყოველ საგანსა და სუყოველ მშენიერიერ-სულდგმულში! გამომეცხადე ანვე (მაცნე-მაუნყებლის სახელი)!“

4. დაელაპარაკე მაცნე-მაუნყებელს, რომელიც ორ ცეცხლს შუა უნდა გამოჩნდეს. ემსჯელე შენს გადასაჭრელ ამბებზე, რჩევა სთხოვე და უბრძანე, თუ რამ უცილობლად საბრძანებელია.

5. როცა საუბარს დაამთავრებთ, მაცნე-მაუნყებელს გზა გაუთავაზე და უთხარი: „მადლობას გწმინდავ ტარიგის სასწაულისთვის, აგრერიგად რომ მომახდენინე! დაე უმაღლ დამიბრუნდეს ჩემი (მაცნე-მაუნყებლის სახელი), როცა კი უნდა ვუხმო და სადაც უნდა იყოს, დაე მფარავდეს ყოველ ჩემს საქმეში!“

**შენიშვნა:**

პირველი გამოხმობისას (თუ პირველი გამოხმობებისას — ეს იმ ადამიანზეა დამოკიდებული, ვინც რიტუალს ასრულებს), როცა გულისყურს იკრებ, — მაცნე-მაუნყებლის სახელს ნუ წარმოთქვამ. უბრალოდ თქვი ხოლმე „იგი“. თუ რიტუალი სწორად შესრულდა, მაცნე-მაუნყებელმა მაშინვე ტელეპათიურად უნდა გაცნობოს თავისი სახელი. თუ სენსი არ გამოგივიდა, მანამ იმცდელე, სანამ იმის სახელს არ შეიტყობ, და მხოლოდ მაშინ გაუბი საუბარი. რაც უფრო ხშირად ვასრულებთ რიტუალს, მით უფრო ძლიერად იგრძნობა მაცნე-მაუნყებლის ჩვენ გვერდით ყოფნა და მით უფრო სწრაფად მოქმედებს იგი.

— ამის შესრულება უკეთესია საღამოთი ან ღამით. დღეს, თქვენი პირველი შესვედრის დროს, ის თავის სახელს გაგიმხელს. საიდუმლოდ შეინახე, არცვის არ გააგებინო, მეც კი. ვისაც შენი მაცნე-მაუნყებლის სახელი ეცოდინება, ის გიხელქევეთებს.

პეტრუსი წამოდგა, და გზა განვაგრძეთ. მალე ერთ მინდორს მივაღებეთ, სადაც ადგილობრივი გლეხები ოფლს ღვრიდნენ. მივემშვიდობეთ და ჩვენს სავალს მივყეთ.

— თვალსაჩინოებისთვის შეიძლება თქმა, რომ ანგელოზი შენი აბჯარ-აბგარია, მაცნე-მაუნყებელი კი — შენი მახვილი. აბჯარი ყოველგვარ ვითარებაში გიცავს, ხოლო მახვილი, ადვილი შესაძლებელია, გაგანია ბრძოლაში დაკარგო, არც ის არის გამორიცხული, იმით უნებლიეთ მეგობარი შემოგაკვდეს და, გარდა ამისა, იმას თავისი პატრონის წინააღმდეგ დატრიალებაც შეუძლია. რისთვისაც ინებებ, მახვილს იმისთვის გამოიყენებ, ოღონდ... ზედ დაჯდომა არა ღირს, — და პეტრუსმა გადაიხარხარა.

დაბა-ქალაქში სადილად გაეჩერდით. ახალ-გაზრდა ოფიციატი, რომელიც გვემსახურებოდა, მეტად ცუდ გუნებაზე იყო. არც კითხვებზე გვაძლევდა პასუხს და თევშებსაც დაუდევრად აწყობდა, ხოლო ყოველივე ამასთან ერთად ისიც მოახერხა, რომ პეტრუსს პირდაპირ შორტზე გადასხა ყავა. მაშინ კი ჩემი ეტიკი სრულიად გარდაისახა — გამძვინვარდა და დაწესებულების პატრონის მოყვანა მოითხოვა, მაჩვენეთ ერთი, ვინ აჩერებს ამ თავგასულ, უნიათო და უზრდელ ოფიციატსო, ხმამალა გამოსხატავდა თავის აღშფოთებას. პეტრუსს მამაკაცთა ტუალეტში მოუხდა გასვლა და შორტის გახდა, შეფუცხუნებულ მეპატრონეს კარგა ხანს გამოჰყავდა ყავის ლაქა, მერე გაატანა და გარეთ გაიკიდა შარვალი გასაშრობად.

სანამ ველოდით, როდის მოიყვანდა ნაშუადღევის მცხუნვარე მზე — ორი საათი იყო — პეტრუსის შორტს წესრიგში, საკმარისი დრო მქონდა ჩვენი დილანდელი საუბრის ასანონ-დასანონად. რაც პეტრუსმა მდინარის პირას შეხვედრილ ბიჭზე თქვა, ვაღიარე, რომ ბევრი რამ ყურადსაღები იყო. მით უმეტეს, უდაბნო და ვილაცის სახე მომელანდა. მაგრამ მაცნე-მაუნყებლის ამბავი კი რამდენადმე პრიმიტიულად მეჩვენა. XX საუკუნის მცხოვრები სულ ოდნავადაც წიგნიერი ადამიანისთვის ნამდვილად უკვე არაფრის მთქმელია ჯოჯოხეთის, ცოდვისა თუ ემ-მაკის ცნებები. ტრადიციაში, რომლის მოძღვრებასაც მნიშვნელოვნად უფრო დიდხანს მივდევდი, ვიდრე სანტიაგოს გზას, მაცნე-მაუნყებელი, პირდაპირ და მიუკიბ-მოუკიბავად, ემ-მაკის სახელით ცნობილი სულია, დედამინის ძალთა განმეგებელი, რომელიც მუდამ ადამიანის სასარგებლოდ მოქმედებს. ამ სულს ხშირად იყენებენ მაგიურ ადათ-წესებში, მაგრამ არცროდის არ მიმართავენ როგორც მეგობარს ანდა მრჩეველს ყოველდღიურ ცხოვრებაში. პეტრუსი კი ჩემს დარწმუნებას ცდილობდა, რომ მაცნე-მაუნყებელთან მეგობრობა კეთილად ნამადგებოდა და თუ მარჯვედ გამოვიყენებდი ამ მეგობრობას, სამსახურშიც წარვემატებოდი და საერთოდ — სოფელ-ქვეყანაშიც. თვითონ ეს იდეა გულწრფელად მიწიერი, და კიდევ მეტიც — ბავშვურად მიამიტური მეჩვენა, მაგრამ მაღამ დებრილს რახან შევფიცე, მეგზურს სიტყვის შეუბრუნებლად დავემორჩილები-მეთქი, ფიცს სად გავექცეოდი. და კვლავ მომიხდა ფრჩხილის შეთხრა ანთებიან და გასისხლიანებულ თითში.

— ისე არ უნდა ვცემოდი, — თქვა პეტრუსმა, როგორც კი კაფედან გამოვედით, — იმან ყავა მე კი არა, იმ ქვეყანას გადაასხა, რომელიც აგრერიგად მოსძულებია. ეს სოფელ-ქვეყანა უზარმაზარია და ბევრ ისეთ რასმე იტევს, რაზედაც იმ ჩვენს ოფიციატს წარმოდგენაც არა აქვს. მონაწილეობით კი იმის მონაწილეობა ამ სოფელ-ქვეყნის საქმეებში იმით განისაზღვრება, რომ ყოველდღე სისხამზე დგება, კაფეში ფეხათრეული მიდის, იქ სრულიად შემთხვევით შესულ ხალხს ემსახურება, ხოლო ღამით სარცხინელს ხელით ინვალებს, რასაც ძველები ხელითდაცემას, ჩუკენობას ეტყოდნენ, და ქალებზე ოცნებობს, რომელთაც ვერცროდის ვერ შესწავლება.

დადგა დრო, როცა ჩვეულებრივ ვიფერხებდით დასასვენებლად და ჩვენს სიესტას ვინყებდით ხოლმე. ამჯერად კი პეტრუსმა გზის განგრძობა გადაწყვიტა. ჩემი თავმეუკავებლობისთვის ვისჯებო, თქვა. და თუმცა მე ცუდი არცრა ჩამიდენია, მაგრამ სხვა რა ჩარა იყო, მაინც კუდში უნდა ავდევნებოდი და მეჩანჩალა თავარა

მზეში. გზაში სამართლიან ომზე და იმაზე ვფიქრობდი, რომ მთელ დედამინის ზურგზე მიმოდანტული მილიონობით ადამიანი ბევრ ისეთ საქმეს ჩაჰკირკიტებდა, რაც გულზე სულაც არ ეხატა. მერე რა ვუყოთ, თუ სისასტიკის სავარჯიშოს გამო ცერიდან სისხლი მდიოდა, სამაგიეროდ ის სავარჯიშო ნამდვილად ნამადგა. მიგხვდი, როგორ ვლალატობდი საკუთარ თავს, როცა ხან იმისთანა საქმეს ვკიდებდი ხელს, სულ რომ არ მიტაცებდა, და თანაც ისეთ გრძობებს მიჩენდა, რაც არაფერში რომ არ მჭირდებოდა. და ვინატრესავით, ნეტავი პეტრუსი სხვა რამეშიც გამოდგეს-მეთქი მართალი, კერძოდ: მაცნე-მაუნყებელი ნამდვილად არსებულყოფი და პრაქტიკულ საქმეებზე დავლაპარაკებოდი, ყოველდღიური გადასაჭრელი ამბების მოგვარებაში მეოხება მეთხოვნა. და ამიტომაც ერთი სული მქონდა, სანამ მოსალამოვდებოდა.

ამასობაში პეტრუსი ისევ და ისევ ოფიციატზე მსჯელობდა. ბოლოს და ბოლოს, როგორც იყო, დაირწმუნა თავი, რომ სწორად მოიქცა, ხოლო თავისი ეს მოსაზრება ამ შემთხვევის შესაფერი სახარებისეული ამბით გაამაგრა:

— ქრისტემ მრუშს მიუტევა, ხოლო ლეღვის ხე დაწყევლა, რაკი იმ ხემ არცრა ნაყოფი არ მიაგო. არც მე ვაპირებ დაუსრულებლად მადლის მქმნელად და კეთილმონყალედ ყოფნას.

საქმე დამშია! მერე, რა კობხად გამოსდის ყველაფერი. ბიბლია კიდევ ერთხელ წამოიშველა.

ესტელიას რომ მივალნიეთ, თითქმის ცხრა საათი იყო. შხაპი გადავივლე და საქმელად ჩავედით.

ამ გზის პირველი გზამკვლევის ავტორი, ემერიკ პიკო, ესტელიას აღწერდა, როგორც „ფრიად ნაყოფიერ ადგილს, სადაც კარგ პურს აცხობენ, ჩინებულ ღვინოს, ხორცსა და თევზს მოგართმევენ. წყალი მდინარე ეგაში კამკამა და ანკარაა, რასაცა შინა გასჭირს ნათელი, ვითარ ბროლი“.

მდინარის წყალზე ვერაფერს ვიტყვი, ოღონდ რესტორნის მენიუს რაც შეეხება, პიკო მართალი გამოდგა, თუმცაღა რვა საუკუნეა გასული. დავსხედით თუ არა, ჩაშუშული ცხვრის ფეხი და ღვინო „რიოხა“ შემოგვთავაზეს, მეტად ილბიანი წლის მოსავლისა. სუფრას კარგა ხანს შევრჩით, როგორც იტყვიან, ხან მთისა ვთქვით, ხან ბარისა, თან სიამოვნებით ვწრუპავდით შუმ ჭაჭანაურს. დაბოლოს, პეტრუსმა, ახლა კი დროა შენი წასვლისა შენს მაცნე-მაუნყებელთან პირველი კავშირის დასამყარებლადო.

ცოტა ხანს ქალაქში ვინრიალეთ, შესაფერის ადგილს ვარჩევდით. აქა-იქ ვინრო შესახვევები პირდაპირ მდინარისკენ ეშვებოდნენ — მთლად როგორც ვენეციაშია, და გადავწყვიტე, სადმე მდინარის პირას მომეკალათებინა. რაკი იცოდა, რომ ცერემონიის დროს თავხელმართოკა უნდა ვყოფილიყავი, პეტრუსი ფეხს ითრევდა, შორიას-ლო მომდევდა.

დიდხანს ვიჯექი და უბრალოდ გავყურებდი მდინარეს. წყლის ჩხრიალის ხმას სულ უფრო და უფრო შორს მივყავდი ამ სოფელ-ქვეყნიდან და ღურღუმ სიმშვიდეში ვიძირებოდი. თვალმდახუჭულმა ჩემგან მარჯვნივ ცეცხლის პირველი სვეტი წარმოვიდგინე. ჯერეთ გამიჭირდა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს საქმე მომიმარჯვდა.

რიტუალით დაწესებული სიტყვები წარმოვთქვი თუ არა, ცეცხლი მარცხნივაც გაჩნდა, ნამდვილი დოჩხაური. ორ ცეცხლს შუა განათებული სივრცე სრულებით ცარიელი იყო. მე კვლავ იქით განვაგრძობდი ცქერას და ვცდილობდი, არც არაფერ-

ზე მეფიქრა, რა არი გამოჩენის საშუალება მიმეცა მაცნე-მაუწყებლისთვის. მაგრამ იმის მაგივრად ჩემ თვალწინ ანაზღადა ნაირ-ნაირი მოჩვენებები ჩნდებოდნენ — პირამიდაში შესასვლელი, ოქრომოსილი ქალბატონი, ცეცხლის გარშემო მროკავი ვილაც შავკანიანები. სახეები მსწრაფლ ენაცვლებოდნენ ერთმანეთს, და მე ჩემდათავად ხელს არ ვუშლიდი. თავდაპირველად ჩემ თვალწინ გზის ის მონაკვეთები გაკრთნენ, პეტრუსთან ერთად რომ გამოვიარე, — გზანვრილები, სასაუზმეები, ტყის ბარდნარები, — და მერე უცვრივ, სავსებით არათანამიმდევრულად, ორ ცეცხლის სვეტს შუა გამოჩნდა ის გადაბუგული უდაბნო, რომელიც დილით მოვიხილე. იქ, პირდაპირ ჩემკენ მზირალი, სახესანდომიანი კაცი ვინმე იდგა, თუმც თვალეში ცბიერების ნაპერწკლები უროკავდნენ.

მან გამიცინა, მეც პასუხად ღიმილი შევაგებე ტრანსიდან გამოუსვლელად. აიო, თავმოხინძული გუდა მიჩვენა, მერე გახსნა და შიგ ისე ჩაიხედა, მე რომ არა დამენახა რა. შემდეგ გონებაში სახელი „ასტრანინი“\* გამიჩნდა.

გულში იმნაირად წარმოვიდგინე ეს სიტყვა, რომ იმისი გამოსახულება ცეცხლის სვეტებს შუა აცეკვდა; მაცნე-მაუწყებელმა პასუხად თავი დამიქნა, რაც დასტურს ნიშნავდა, სწორად გამიგეო, — და ახლა უკვე სახელიც ვიცოდი, რა ერქვა.

სავარჯიშოს დამთავრების დროც დადგა. რიტუალთ დაწესებული სიტყვები წარმოვთქვი და ცეცხლი ჩავაქრე — ჯერეთ მარცხნივ, ხოლო მერე მარჯვნივ. და გავახილე თვალეები — ჩემ წინ მდინარე ეგა დიოდა.

— ბევრად უფრო ადვილი საქმე გამოდგა, ვიდრე მეგონა, — იმის შემდეგ ვუთხარი პეტრუსს, ყველაფერი ზუსტად რომ აღვუწერე, რაც რიტუალის დროს ხდებოდა.

— ეგ შენი პირველი კავშირი იყო. აუცილებლად უნდა გასცნობოდი და დამეგობრებოდი. მაცნე-მაუწყებელთან ბაასი და საუბარი სარგებლობას მხოლოდ იმ შემთხვევაში მოგიტანს, თუკი ყოველდღე გამოუხმობ და დანვრილებით იმსჯელებ შენს გადაუჭრელ ამბებზე. არ იგულმავინყო, უტყუარი და ნატყუარი შენვენის ერთმანეთისგან გარჩევაც უნდა ისწავლო. ყოველი შესვედრისას მახვილი ხელსატაცად გქონდეს.

— მახვილი ჯერეთ არა მაქვს და ხელი რას უნდა ვტაცო, — გავუტრიზავე სიტყვა.

— მით უკეთესი, — ის დიდად ვერცრას გავნებს, მაგრამ სულერთია — მაინც არაფერი არ შეარჩინო.

რიტუალის შემდეგ პეტრუსს დავცილდი და სასტუმროში, ანუ, როგორც აქ ძველებურად ეძახდნენ, უცხოთსადგურში დავბრუნდი. უკვე ლოგინში ვინეკი, რომ ის საწყალი ოფიცინატი წამომავონდა, რომელიც სადილობისას გვემსახურა. და გავიფიქრე, ნეტავი ერთი ისევ მიმოიყვანა იქ და იმ ყმანვილკაცისთვის მაცნე-მაუწყებლის\*\* რიტუალი მასწავლებინა-მეთქი. ერთი სული მქონდა, სანამ გავაგებინებდი, რომ ადამიანს ყველაფრის შეცვლა შეუძლია თავის ცხოვრებაში, თუკი მართლაც ძალიან მოინდომებს. ისე, კაცმა

\* რასაკვირველია, ეს გამოგონილი სახელია.

\*\* მაცნე-მაუწყებლის რიტუალში ჩემი პირველი ცდის ეს აღწერა სრული არ არის. სინამდვილეში პეტრუსმა დანვრილებით ამისხნა იმ მოჩვენებათა და მიმოგონებათა აზრი, ცეცხლის სვეტებს შორის რომ გაკრთნენ ჩემ თვალწინ, ამისხნა აგრეთვე იმ გუდის მნიშვნელობაც, რომელიც ასტრანინმა მიჩვენა. მაგრამ მაცნე-მაუწყებელთან ყოველი ადამიანის შესვედრა რახან სულ სხვადასხვაგვარია, ვარჩიე, რომ თხრობა ჩემი პირადი გამოცდილებით არ დამეტვირთა, რათა ნეგატიური აზრით არ მომეხდინა ზეგავლენა სხვათა გამოცდილებაზე.

რომ თქვას, უცვბ მაინც რატომ მომეპრიანა მთელი ქვეყნიერების გადარჩენა? მე ხომ ჯერეთ ჩემი თავის გადარჩენაც მიჭირს!

## სიყვარული

— მაცნე-მაუწყებელთან ლაპარაკი სულაც არ ნიშნავს სულების სამყაროს შესახებ შეკითხვებს, — მისხნიდა მეორე დღეს პეტრუსი, — მაცნე-მაუწყებელი მხოლოდ ერთ როლს ასრულებს: ის მატერიალურ სამყაროში გვეხმარება და დახმარებაც მხოლოდ იმ შემთხვევაში ძალუძს, უკეთუ ზუსტად იცი, რა გინდა.

დაბა-ქალაქში იმის გულისთვის გავჩერდი, რათა ცოტა რამ დაგველია. პეტრუსმა ლუდი შეუკვთა, მე მინერალური წყალი მოვიტხოვე. მაგიდასთან მჯდარი ჩემდა უნებურად ვაყოლებდი თითს ჭიქის დაორთქილ ზედაპირს, რალაც აბსტრაქტული ფიგურები გამომყავდა, გუნებაზე ვერ ვიყავი.

— შენ ამბობ, რომ მაცნე-მაუწყებელმა იმ ბიჭში იმიტომ გამოივლინა თავი, რომ რალაცის გამო ჩემი გაფრთხილება უნდოდა?

— დიახ, და თანაც ძალიან სასწრაფოდ, — დამიდასტურა პეტრუსმა.

ჩვენ კიდევ ვილაპარაკეთ მაცნე-მაუწყებლებზე, ანგელოზებსა და დემონებზე. ჩემთვის ძნელი იყო ტრადიციის მისტიკური რიტუალების მიმართ ეგზომ პრაქტიკული მიდგომის გაზიარება. პეტრუსი ჯიუტად ამტკიცებდა, ადამიანი თავის წილ მისაგებელს მუდამ უნდა მოითხოვდესო. მაშინ იესოს სიტყვები შევახსენე იმის თაობაზე, რომ უმალ აქლემი გაძვრება ნემსის ყუნწში, ვიდრე მდიდარი შევა ღვთის სასუფეველში.

— მაგრამ იესო ჰგონებდა, რომ ის კაცი, ვინც თავისი ბატონის ვერცხლს ვერცხლი მიუმატა, საზღაურს იმსახურებდა. და ხალხს მარტო იმიტომ კი არ სჯეროდა ქრისტესი, რომ ენამჭერი იყო და დამაჯერებელი ლაპარაკი იყო, — იმას კიდევ სასწაულთა ქმნაც და თავის მიმდევართა დაჯილდოებაც მოეთხოვებოდა.

— აბა, აბა, ჩემს დაწესებულებაში უფალს ნუ ბილწავთ, — უცვბ ჩაგვერია ბარის პატრონი, რომელიც თურმე ყურს გვიგდებდა.

— არცვინ არ ვბილწავთ, — მიუგო პეტრუსმა, — ქრისტეს ნაბილწვა ქრისტესავებ სახელით ცოდვის ჩადენას ნიშნავს. გაიხსენე, რა მოხდა ოდესღაც ამ მოედანზე.

ბარის პატრონი წამიერ ჩაფიქრდა, მერე ფიცხლად წარმოთქვა:

— მე მაგ საქმეში სრულებით არ ვურევივარ. მაშინ სულ პატარა ბიჭი ვიყავი.

— დამნაშავენი, რა თქმა უნდა, მუდამ სხვები არიან, — ნაიბურტყუნა პეტრუსმა.

ბარის პატრონი სამზარეულოში გავიდა. მხედველობაში რა გქონდა-მეთქი, ვკითხე პეტრუსს.

— ორმოცდაათი წლის წინათ, ჩვენს კულტურულ XX საუკუნეში, მოედანზე, ამ დაბა-ქალაქში ბოშა ცოცხლად დაწვეს. კუდიანობა დააბრალებს, ნაწილნი ზიარებისა, ანუ წმინდა საუფლო ძღვენი შებლალაო. იმ ათასგვარ სიმხეცეში, რაც მაშინ ხდებოდა, სამოქალაქო ომის ჟამს, ეს შემთხვევა მალე მივივინყეს. ამჟამად აღარცვის არ ახსოვს. აქაურთა გარდა.

— შენ როგორღა გაიგე?

— სანტიაგოს გზით აქ უკვე გავლილი ვარ. ცარიელ ბარში ვისხედით და ვსვამდით, მზე უღმერთოდ აჭერდა, სიესტის დრო იყო. რამდენიმე წუთში კვლავ გამოჩნდა ბარის პატრონი, ოლონდ მარტო კი არა, სამრეველო მღვდლის თანხლებით.



— ვინა ბრძანდებით? — მკაცრად გვკითხა პადრემ.

პეტრუსმა ჩვენს გუდახალთებზე ამოქარგული ნიჟარები უჩვენა. მთელი თორმეტი საუკუნის სიგრძეზე ამ ბარის, ანუ, უფრო სწორად, სატრაპეზოს გვერდით გზად დადიოდნენ პილიგრიმნი, და ადათ-წესი ყოველგვარ ვითარებაში სტუმართმოყვარეობის, ესე იგი ტაბლაკეთილობის გამოჩენას ითხოვდა. მღვდელმა კილოს დაუწია.

— როგორ მოხდა, რომ სანტიაგოს გზით მავალ მსხემთ იესოს ძრახვა იკადრეთ? — ისეთ-ნაირად გვითხრა, თითქოს კატეხიზისის ერთ-ერთი კითხვა ჩაიკითხაო.

— არც ერთ ჩვენგანს იესო არ უძრახავს. ჩვენ იმ დანაშაულთ ვძრახავდით, ვითომ ქრისტეს გულისთვის რომ სჩადიდოდნენ. ერთ-ერთი ასეთი დანაშაული იყო იმ ბოშისთვის ანგარიშის გასწორება, რომელიც ამ მოედანზე დანვს.

რაკი პეტრუსის ტავარჯუხზე ნიჟარის ნიშანი დანახა, ბარის პატრონმაც უფრო თავაზიანად დაგვიჩვენა ლაპარაკი.

— იმ ბოშის მიერ ნაქნარი ჯადო დღესაც ისევ ისეა, — ჩაილაპარაკა მან მღვდლის გამკიცხავი მზერის ქვეშ.

პეტრუსი დაგულისყურდა. მღვდელი ზოგიერთ უგუნურ მრევლთაგანზე ალაპარაკდა, უაზრო ზღაპართ ჰყვებოდა, რომელთაც ეკლესია არა ცნობსო, მაგრამ ბარის პატრონი თავისას განაგრძობდა:

— სიკვდილის წინ იმ ბოშას აქაურთათვის დაუბარებია, თქვენი ქალაქის ყველაზე ნორჩი მცხოვრები ვინც არის, სულ იმაში გადავლენ, რაც ჩემში ეშმაკებიაო, ხოლო როცა ის დაკაცდება, დაბერდება და მოკვდება, ეშმაკი ახლა სხვა ბაღში გადაინაცვლებენო. და აგრე იქნება დაუსრულებლადო.

— ჩვენში ნიადაგი ისეთივეა, როგორც ამ მხარის სუყველა სხვა დაბა-ქალაქში, — ბრახგარეული ხმით წარმოთქვა მღვდელმა, — რალა ჩვენ და რალა სხვანი. გვალვისგან ყველანი ერთნაირად ვიტანჯებით, ხოლო სხვაგან თუ კარგი მოსავალია, არც ჩვენ ვუჩივთ მოუსავლიანობას. მთავარია, ამინდი შეგვწოდეს. ჩვენში არაფერი ისეთი არ ხდება, რაც გარშემო სადმე არ მომხდარა ან არ მოხდება. ასე რომ, ამ კაცის მონაყოლი მტკნარი სისულელეა.

— არაფერი ისეთი იმიტომ არა ხდება, რაკი ჯადოს გავემიჯნეთ, — შეესიტყვა ბარის პატრონი.

— ოჰო! მამ, აბა, ნება გვიბოძეთ და შეგვახედეთ, რა ჯადოა მაგისთანა! — თქვა პეტრუსმა.

მღვდელმა ჩაიცინა და, რას ამბობენ, თვითონაც არ იცინაო, თქვა, ბარის პატრონმა კი პირჯვარი გადაინერა. ოღონდ ადგილიდან ფეხი არც ერთს არ მოუცვლია.

პეტრუსმა ანგარიში გაასწორა და კვლავ თავისაზე დადგა, იქნებ ვინმე გამოგვყვეს და ის შეჩვენებული თუ ჯადონაქნარი კაცი გვაჩვენოსო. მღვდელმა ან ბოდიში მოიხადა, უნდა წავიდე, ეკლესიაში გადაუდებელი საქმე მელოდებაო, და ისე უმაღ გაქრა, ხმის ამოღება ვერცვინ ვერ მოვასწარით.

ბარის პატრონმა დამფრთხალმა შეხედა პეტრუსს.

— ნუ გეშინიათ, — დაამშვიდა ჩემმა ეტიკმა, — თქვენ მარტო ის სახლი გვიჩვენეთ, სადაც ჯადოა დაბუდებული. ჩვენ კი შევეცდებით, კრულე-ბა ავხსნათ და იმისგან ვიხსნათ ქალაქი.

ბარის პატრონი ჩვენთან ერთად გამოვიდა მტვრიან, შუადღის აღმურადენილ ქუჩაში. ქალაქის

განაპირამდე გამოგვყვა და დაგვანახვა ის სახლი, რომელიც სხვათაგან გვერდზე იდგა, თითქმის ზედ გზის პირას.

— საქმელსაც აქ გადავცემთ ხოლმე, ტანსაცმელსაც, ყველაფერს, თუ რამ საქიროა, — ბოდიშანი კილოთი წარმოთქვა მან, — ჩვენი პადრე კი აქამდეც არ მოდის.

ბარის პატრონს დავემშვიდობეთ და სახლისკენ წავედით. ის კიდეც ცოტა ხანს იდგა, ეტყობა, იფიქრა, სახლს გვერდს აუვლიან და თავიანთ გზას გაუყვებიანო, მაგრამ პეტრუსს გვერდის ავლა არც უფიქრია, ეგრევე კარს მიადგა და დააკაკუნა. მე უკან მივიხედე — ბარის პატრონი აღარსად ჩანდა.

კარი ვინც გაგვიღო, შესახედად სამოცდაათი წლის დედაკაცი იქნებოდა. თითქოს სტუმრების მისვლა გაუხარდაო, დედაკაცის გვერდით კუდს აქიციებდა ვეებერთელა შავი ნაგაზი. დიასახლისმა, რა გნებავთო, იკითხა და, სარეცხი მაქვს, თანაც ცეცხლზე საქმელი მიდგასო, დასძინა. ჩვენი მისვლა რალაც არ გაჰკვირვებია. ბევრ ჭერის მაძიებელ პილიგრიმს, ვისაც ყური არ მოუკრავს ამ კრულეებისა თუ ჯადოს ამბისთვის, ამ კარზე, ვინ იცის, რამდენჯერ დაუკაკუნებია-მეთქი, ვივარაუდე გულში.

— ლოცვადმავალი ხალხი ვართ, კომპოსტელაში მივდივართ. ცოტა ადუღებული წყალი გვინდა, — სთხოვა პეტრუსმა, — ვიცი, უარს არ გვეტყვიო.

დედაკაცმა, რომელსაც აშკარად უკმაყოფილო გამომეტყველება ჰქონდა, შინ შეგვიშვა. განკრი-ალეზულ, მაგრამ ღარიბულად განწყობილ პატარა სასტუმრო ოთახში შევედით. იქ ერთი და-გლეჯილტყავიანი დივანი, კომოდი, პლასტიკატ-გადაკრული მაგიდა და ორი სკამი იდგა. კომოდზე იესოს წმინდა გულის გამოსახულება, ზოგიერთი წმინდანის ხატი და სარკის ნატეხთა-გან ნახელოვნები ჯვარცმა ეწყო. ოთახში ორი კარი იყო, ერთ-ერთი, როგორც მივხვდი, საძინებელში გადიოდა. დიასახლისი პეტრუსთან ერთად მეორე, განის კარით სამზარეულოში გავი-და.

— ადუღებული წყალი როგორ არა გვაქვს, — თქვა დედაკაცმა, — რამეში ჩაგისხამთ და წადით, გზას ბარაქა დაყარეთ.

მე ვეებერთელა ნაგაზთან მარტო დავრჩი. ძალი კუდს აქიციებდა, წყნარად იქცეოდა და ცხოვრებით აშკარად კმაყოფილი იყო. დედაკაცი მალევე შემობრუნდა, ხელში წყლით სავსე ძველი თანაჯა, ანუ თუნუქელა ეჭირა, რომელსაც პეტრუსს აჩეჩებდა.

— წაიღეთ ეს ადუღებული წყალი და წადით! ღმერთმა ხელი მოგიმართოთ!

მაგრამ პეტრუსი ადგილიდან არ იძვროდა. მან ტავარჯუხიდან ერთი ჩაყრა ჩაის პარკუჭუნა ამოიღო, მდულარეში ჩააგდო და სტუმართმოყვარეობისთვის მადლობის ნიშნად ჩაით უნდა გაგიმასპინძლედო, უთხრა დედაკაცს.

დედაკაცმა უხალისოდ და უნდომანდოდ მაინც მოითანა ორი ფინჯანი და პეტრუსთან ერთად მიუჯდა მაგიდას. მე თან ნაგაზს ვათვალეირებ-დი, თანაც იმათ საუბარს ვუგდებდი ყურს.

— ქალაქში მითხრეს, რომ ამ სახლს ჯადო აქვს ნაქნარი, — ფრიად დარბაისლური კილოთი დანიყო პეტრუსმა.

ამის თქმა იყო, და ძალს ცეცხლი ჩაუდგა თვალეში. თითქოს მიხვდა, რაც ითქვა, დიასახლისი მაშინვე წამოდგა მაგიდიდან.

— ეგ სიცრუეა! ძველი ბრმარწმენაა! თუ შეიძლება, მალე მიირთვით თქვენი ჩაი. ათასი საქმე მაქვს სახლში.



ნაგაზმა იგრძნო, რომ დიასახლისს გუნება-განწყობილება შეეცვალა. გაინაბა და ყურები დაცქვიტა. პეტრუსი კი ისე იჯდა, ვითომც არაფერიც არ მომხდარაო. ჩაიანი ფინჯანი პირთან კი მიიტანა, ოღონდ არც მოუსვაშს, ეგრევე დადაც მაგიდაზე.

— ძალიან ცხელია, — თქვა მან, — ცოტა გაცივდეს.

მაგრამ დედაკაცი მაგიდასთან აღარ დამჯდარა. ჩანდა, ჩვენი იქ ყოფნა ძან არ უნდოდა, თავპირი ჩამოსტიროდა და, ალბათ, ნანობდა კიდევ, რომ საერთოდ ზღურბლზე ფეხი გამდგოვადგმევი. შემამჩნია, ძალღს თვალს რომ არ ვაშორებდი, და ნაგაზს თავისთან დაუძახა. ისიც უშალ დაემორჩილა, ოღონდ ისევ ჩემკენ მობრუნდა და მომაჩერდა.

— აი რატომ ჩასახლდა შენი მაცნე-მაუნყებელი გუშინ იმ ბიჭში. სწორედ ამიტომ, — თქვა პეტრუსმა.

ანაზდად მივხვდი, რომ სულაც მე არ ვუყურებდი ნაგაზს. ზღურბლს როგორც კი გადმოვაბიჯე, იმან დამაპიპნოხა და თვალის არიდების საშუალება არ მომცა. დიხხაც ნაგაზი მიყურებდა და მასრულეზინებდა თავის ნებას. რალაც ძლიერი მოთენთილობა ვიგრძენი. ძილი მომერია, აქვე ამ გადატყავებულ დივანზე მიგდება და დაძინება მომინდა, მზარავდა ისევ სიცხეში თრევა. უცნაური რამ ხდებოდა ჩემს თავს და ვიგრძენი, რომ ცოტაც, და რალაც მახეში მოვხვდებოდი. ნაგაზი კი ისევ ისე მომჩერებოდა, და რაც უფრო ხანიერ მიყურებდა, მით უფრო მინდებოდა ძილი.

— ჰა, დალიე, — მითხრა პეტრუსმა და ჩაიანი ფინჯანი გამომიწოდა, — რახან სენიორას ჩვენი დიდხანს დარჩენა არ უნდა.

მცირედ კი შევყოყმანდი, მაგრამ მაინც ავიღე ფინჯანი და ცხელი ჩაის ერთმა ყლუშმა ცოტა გრძნობაზე მომიყვანა. რალაცის თქმა დავაპირე, კითხვა მინდოდა, ძალღს რა ჰქვია-მეთქი, მაგრამ ხმამ მიღალატა. რაც პეტრუსს ჩემთვის არცროდის არ უსწავლებია, რალაც ისეთმა გაიღვიძა და მძიმედ იჩინა ჩემში თავი. ანაზდად ლაპარაკის დაუწყებელი სურვილი ვიგრძენი. პირზე მომადგნე სრულიად უცნობი სიტყვები, რომელთა აზრი თავად არ მესმოდა. ერთი გაფიქრება ისიც კი გავიფიქრე, პეტრუსმა ჩაიში ნამდვილად რალაც ჩამიყარა-მეთქი. გარემომცველი საგნების მოხაზულობა ნელ-ნელა იღლანებოდა და ძლივს მესმოდა, რა ჯიქურ მიმართავდა დედაკაცი პეტრუსს, ჩემი სახლიდან ახლავე მიბრძანდითო. მეყსეულად უცნაური, ანგარიშმიუცემელი ღზინითა და სიამით ავივსე. და გადავწყვიტე, რომ მაინც წარმომეტქვა ხმამალა ის უცნობი სიტყვები, პირზე რომ მომდგომოდნენ.

მარტო ნაგაზსლა ვარჩევდი მკაფიოდ. და როგორც კი ორიოდ სიტყვა წარმოვთქვი გაუგებარ ენაზე, პასუხად ღრენა შემომესმა. ძალღს ჩემი ენა ესმოდა! აღგზნებული სულ უფრო ხმამალა და სწრაფად ვმეტყველებდი. ძალღს ალაზე დაჯდა, ეშვები დაკრიჭა, ახლა უკვე დასტურ ის სათნო ოთხფეხი აღარ იყო, პირველად რომ ვნახე, ახლა ავად და თვალბედითად მიყურებდა და არც გამოიკვირებოდა, თუ ამ წუთში მეცემოდა კიდევ. მაგრამ ვიცოდი, რომ ჩემივე წარმოთქმული სიტყვები მიცავდნენ, და სულ უფრო მალლად ვლაპარაკობდი, თანაც ვგრძნობდი, რომ რალაც ახალი, ადრე ჩემთვის უცნობი ძალა გადმომჩქეფდა და ის არ აძლევდა ნაგაზს ჩემზე მოვარდნის ნებას.

ამ წუთიდან, რაც კი რამ ხდებოდა, ყოველივე დაყოვნებულ გადაღებას დაემსგავსა. ვხედავდი, როგორ მოიწედა ჩემკენ დიასახლისი, რომელიც

რალაცას გულშემზარავად კიოდა, როგორ მომადგა ზედ და მუჯღუგუნის კვრით როგორ მაგდებდა გარეთ. ვხედავდი, როგორ სტაცა პეტრუსმა ხელი და როგორ შეაკავა. ძალღს კი არცვის არავითარ ყურადღებას არ აქცევდა. პირდაღრენილი და ეშვებგადმოყრილი კვლავინდებურად მარტო მე მიყურებდა. ერთი ცდა ვცადე, იქნებ როგორმე ჩავხვდე იმ ენას, რომელზედაც ვლაპარაკობ-მეთქი, მაგრამ როგორც კი ვჩერდებოდი და ამ ამბავს ვუფიქრდებოდი, ჩემს შიგნშიგან ძალა კლებულობდა, ნაგაზი კი მიახლოვდებოდა. მაშინ ენაში გარკვევის ყოველგვარ ცდაზე ხელი ავიღე და რაც ძალი და ღონე მქონდა, უცნობი სიტყვების წამოყვირება დავიწყე, დედაკაცი კი მოძახილს მეუბნებოდა! ნაგაზმა დაიყეფა, მაგრამ ვიცოდი: სანამ ვლაპარაკობდი, არცრა მემუქრებოდა. ულუმელად, ანუ მოულოდნელად ვილაცის კისკისი გაისმა, გაგებაში არ ვიყავი, მეჩვენებოდა თუ მართლა კისკისებდა ვინმე.

მერე თვალის დახამხამებაში და ერთჟამიერად მოხდა ყველაფერი — ოთახში ქარი შემოვარდა, ნაგაზმა კი დაიყმუვლა და დასაძგერებლად ისკუბა ჩემკენ. მე სახეზე ხელი ავიფარე, რალაც წამოვიყვირე და შესაბამელად მოვეზადე. ნაგაზი მთელი თავისი სიმძიმით დამეძგერა და დივანზე ზღართანი მოვადინე. რამდენიმე წამს ერთმანეთს პირდაპირ თვალბეში ვუცქეროდით, მერე ნაგაზი გადახტა და გარეთ გავარდა.

უცებ რატომღაც გული ამომიჯდა, მდულარება წამსკდა და ავზლუქუნდი. ჩემი ახლობლები წამომავონდნენ, ცოლი, მეგობრები. ერთდროულად უდიდეს სიყვარულსაც განვიცდიდი და რალაც გაუგებარ ბედნიერებასაც, რომელიც ერთბაშად გაჩნდა, როგორც კი მოულოდნელად ყველაფერს მივხვდი იმ ოთხფეხზე.

პეტრუსმა მკლავში ხელი გამომდო და გარეთ წამიყვანა, უკნიდან დედაკაცი გვეგველმედა. ქუჩაში ირგვლივ მიმოვიხედე: არსად ძალღს ჭაჭანება არ იყო. პეტრუსზე ჩამოკიდებული სულ ვტიროდი მთელი ის დრო, ვიდრე თვალისმომჭრელი მზისგან აღმურადენილ გზას მივუყვებოდით.

გზის შემდეგი მონაკვეთი მეხსიერებიდან ამომვარდა. რომ გამომეღვიძა, შადრევანთან ვინექი. პეტრუსი სახეზე წყალს მასხამდა, კეფას მისველებდა. ცოტა დამალევიინე-მეთქი, ვუთხარი. არ შეიძლებაო, ამიხსნა, ერთი ყლუშპიც თუ მოსვი, ეგრევე გული აგერევაო. ოდნავი გულის ზიდელი კი მქონდა, მაგრამ საერთოდ თავს ჩინებულად ვგრძნობდი — ამქვეყნად ყველასა და ყველაფერის მიმართ აუნერელი სიყვარულით ყელამდე ვიყავი სავსე. გარშემო ვიყურებოდი და ყურს ვუგდებდი გზის ორსავე მხარეს წამოზრდილ ხეებს, მზერით ვესიყვარულეობდი იმ პატარა შადრევანს, რომელთანაც შევჩერდით, ვგრძნობდი გრილი ნიავის ალერსიან ქროლას, ტევრში რომ ჩიტები გალობდნენ, ის გალობაც მესმოდა. ირგვლივ ყველაფერში ჩემი ანგელოზის სახეს ვხედავდი, ყველაფერი პირწავარდნით ისე იყო, როგორც პეტრუსი მიხსნიდა. მერე იმ დედაკაცის სახლის ამბით დავგულისყურდი, დიდი ხანია, რაც იქიდან წამოვდით-მეთქი? — ვკითხე, სულ თხუთმეტი წუთიაო, მიპასუხა.

— ალბათ, გაგება გინდა, რა მოხდა, არა? — დამეკითხა პეტრუსი.

მართალს თუ ვიტყვი, ახლა ეს ამბავი ჩემთვის სულერთი იყო. უბრალოდ ვიდექი და შევზაროდი სიყვარულის იმ გრძნობას, მთელი ჩემი არსება რომ მოეცვა. ნაგაზიც, დედაკაციც და

ბარის პატრონიც შორს დარჩენენ ჩემგან — უკვე მკრთალ მოგონებად მეჩვენებოდა თავს გადნახადი, რასაც არცრა საერთო არა ჰქონდა იმასთან, ახლა რომ განვიცდიდი. თავს საუცხოოდ ვგრძნობ, გზა განვაგრძობ-მეთქი, მივუგე პეტრუსს.

ალარ დავყოვნებულვართ, წამოვდექით და კვალად სანტიაგოს გზას დავემწყემსეთ. ახალ გრძნობათაგან ისე ვიყავი გაბრუებული, დღის მთელი დარჩენილი წაწილი ვდუმდი. ხან თავში გამიელვებდა ხოლმე აზრი, რომ პეტრუსმა ჩაიშრა რალაცა ჩამიყარა. მაგრამ ამას მნიშვნელობა არა ჰქონდა, მნიშვნელოვანი ის იყო, რომ ვხედავდი მთებს, ფშა-ნაკადულებს, გზის პირებში ათასფრად ამოჩუხჩუხებულ ნაირ-ნაირ ყვავილთ. და ყველგან ჩემი ანგელოზის კვალს ვგრძნობდი.

საღამოს რვა საათისთვის სასტუმროს რომ მივადექით, ჯერეთ კიდევ ნეტარების მდგომარეობაში ვიყავი. თუმცა შეგრძნებათა სიმძაფრემ რამდენადმე იკლო. მისვლისთანავე სასტუმროს პატრონს მივანოდე ჩემი პასპორტი, რომელიც რეგისტრაციისთვის სჭირდებოდა.

— ძალიან კარგი, ბრაზილიიდან ბრძანებულხართ! მე იქ ნამყოფი ვარ. იპანემაზე ვცხოვრობდი სასტუმროში.

ამ უადგილო, უსაზრო შეტყობინებამ წამერთრეალობაში დამაბრუნა. როგორი ამბავია — წმინდა იაკობის გზას მიუყვები და უცებ მრავალი საუკუნის წინათ დაარსებულ პატარა დაბაში გადააწყვედი სასტუმროს პატრონს, რომელიც თურმე იპანემის პლაჟზე ისვენებდა.

— ბარემ დავილაპარაკოთ, — ვუთხარი პეტრუსს, — ძალიან მინდა იმის გაგება, რაც დღეს იქ მოხდა.

ნეტარების გრძნობა წარსულს ჩაბარდა, გაქრა. საქმეში გონება ჩაერთო და გონებასთან ერთად განუტყველის შიშიც დამიბრუნდა. ამას გარდა, უმწვავესი და გადაუდებელი მოთხოვნილება გამიჩნდა, რომ კვლავ მეგრძნო ფეხქვეშ ნიადაგი.

— ვახშმის შემდეგ, — გაისმა პასუხად.

პეტრუსმა მასპინძელს ტელევიზორის ჩართვა სთხოვა. ოღონდ უხმოდ. ეს ყველაზე საუკეთესო საშუალებაა, რომ მეტისმეტად ბევრი არა შემეკითხო რაო, რადგან ეკრანზე დანახული შენს ყურადღებას მიიქცევსო. მერე კი, ყველაფერი წვლილად მიაბე, რაც დაგამახსოვრდაო. დამახსოვრებით ყველაფერი მახსოვს, გარდა იმისა, შადრევნამდე როგორ მივედი-მეთქი, ვუთხარი.

— ეგ არც მნიშვნელოვანია, — მიპასუხა პეტრუსმა.

ტელევიზორის ეკრანზე რალაც ფილმი დაიწყო ქვანახშირის შახტებზე. მსახიობთ საუკუნის დამდეგის სამოსელი ემოსათ.

— გუშინ, ზემთაგონებამ რომ ჩამჩურჩულა, შენს მაცნე-მაუნწყებელს სასწრაფოდ რალაცის შეტყობინება უნდაო, აშკარა გახდა, რომ შენი ბრძოლა სანტიაგოს გზაზე საცაა დაიწყება, შენ აქ იმიტომ ხარ, რათა შენი მახვილი მოიძიო და RAM ორდენის რიტუალები შეისწავლო. მაგრამ ყოველთვის, როცა კი მეგზურს თუ ეტიკს, როგორც გინდა, ისე თქვი, ლოცვადმავალი ამ გზით მოჰყავს, ისინი — თუნდაც ერთხელ — გაუთვალისწინებელ მდგომარეობას რასმე აწყდებიან. ამ მდგომარეობის აზრი იმის პრაქტიკული შემომეებაა, თუ რა შეისწავლა ლოცვადმავალმა. შენს შემთხვევაში მსგავსი შემომეება იმ ნაგაზთან შესვედრა გამოდგა.

შებმა-შეტაკების დეტალებსა და იმ ამბავსაც, თუ დემონები ხშირად ცხოველებად რატომ გვეჩვენებიან, მერე აგისხნი. ან კი ერთი რამის

გაგებაა მთავარი, ანუ ის დედაკაცი უკვე შეეჩვია თავის ჯადოს. გარშემომყოფთა დამოკიდებულებას თავის მიმართ ის ისე აღიქვამდა, როგორც ჯეროვანს და ნორმალურად მიაჩნდა. მან ისწავლა მცირედით და დაკმაყოფილება, თუმცა ცხოვრება, ჩვენდა გასაკვირად, სულგრძელია და მუდამ ჩვენი დასაჩუქრების მოწადინება.

ის საცოდავი ეშმაკთაგან რომ დაცალე და უწმინდურება დააყრევინე, მაგით თავისი ჩვეული სამყაროს შინაგანი წონასწორობა დაურღვევ. როგორმე ერთხელ ერთად განვსაჯოთ, რატომ არიან ზოგჯერ ადამიანები ეგზომ სასტიკნი თავიანთი თავის მიმართ. ხშირად, როცა ცდილობ, იქნებ რამენაირად დაარწმუნო მავანნი და მავანნი, თქვენს ცხოვრებაში ადგილი სიკეთესაც და სულგრძელობასაც მოექვევებო, ისინი თვითონ ამ აზრს უარყოფენ, როგორც ეშმაკისეულ მონაჩმასს და მცირედითაც კმაყოფილნი არიან, ვინაიდან წაგებისა ეშინიათ. მაგრამ კაცი თუ სამართლიან ომში ჩაბმას აპირებს, ეს ქვეყანა ფასდაუდებელ საუნჯედ უნდა ესახებოდეს, რომელი საუნჯეც მხოლოდ იმის მოლოდინშია, რომ აღმოაჩინონ და ბრძოლით მოიპოვონ.

გესმის თუ არა, რატომ ხარ აქაო, სანტიაგოს გზას რატომ ადგახარო, მკითხა პეტრუსმა.

რატომ და, ჩემს მახვილს ვეძებ-მეთქი, მივუგე.

მერედა, რისთვის გინდა ის შენი მახვილიო, მითხრა.

რისთვის და, ტრადიციის ძალასა და სიბრძნეს მაზიარებს-მეთქი.

ვიგრძენი, რომ პეტრუსი დიდად არ გაუხარებია ჩემს პასუხს, მაგრამ ის მაინც თავისას განაგრძობდა:

— შენ აქ ხარ და შენი ჯილდოს მიღებას ესწრაფვი. რაკი ერთი გაბედე და ირწმუნე შენი ოცნება, ახლა ყველაფერს ღონობ, რათა აიხდინო კიდევ. რასაკვირველია, ბევრად აჯობებდა, უკეთუ უკეთესად გაიზრებდი, რისი გულისთვის ეძებ იმ შენს მახვილს, და ამას ჯერ კიდევ მანამ იზამდი, სანამ იპოვიდე. ოღონდ ერთი რამ, რაც უეჭველად შენს სასარგებლოდ შეტყვევებს, ის არის, რომ ჯილდოს მიელტვი. სანტიაგოს გზას მეტადრე იმიტომ ასდევნებიხარ, რაკი შენი მომჭირნეობისა და რუდუნებისთვის საზღაურის მიღება გნადს. შეგამჩნიე: ჩემგან ნასწავლ სუყოველ სავარჯიშოს ჯიუტად ასრულებ, ანუ რაც რამ ახალ ჩვევას იძენ, უმალ საქმეში გამოყენებას ცდილობ. ეს ძალზე პოზიტიური მიდგომაა.

ერთადერთი, ჯერხანად თუ რამე გაკლია, ეს RAM ორდენის რიტუალთა შენს საკუთარ ინტუიციასთან შეხამების უნარია. ყური დაუგდე შენი გულის ხმას — დიახამც ის გასწავლის სწორ გზას და მახვილს გაპოვინებს. უკეთუ გულის ხმის გაგონებას ვერ შეიძლებ, RAM ორდენის სუყველა რიტუალი და სავარჯიშო ერთიანად ტრადიციის უსარგებლო სიბრძნეში ჩაიკარგება.

პეტრუსი ამის თაობაზე ადრეც მელაპარაკა, ოღონდ სხვაგვარად, და თუმც თანახმა კი გავუნდი, მაგრამ ახლა სულ სხვა რამის გაგონებას ვისურვებდი. ორი გარემოება ამ ამბავში აუხსნელი ჩანდა: უცნობი ენაკავი, რომელზედაც ვმეტყველებდი, და გაუგონარი გრძნობა სიყვარულისა და ის ბედნიერება, რაც ძაღლის გაგდებისთანავე განვიცადე.

— ლხინითა და სიამით შენი ავსება იმით იყო გამოწვეული, რომ აგაპემ შეგიპყრო.

— შენ უკვე პირველად არ ახსენებ მაგ აგაპეს, ოღონდ ერთი წესიერად ვერ ამიხსენი, რა არის მაგისთანა. ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, რომ

ეგ სიყვარულის რაღაც უმაღლესი ფორმაა.

— მართალი ბრძანებაა. დადგება დრო და ნამდვილ სიყვარულსაც ჩახვდები, რომელი სიყვარულიც სულ ერთიანად ნთქავს მყვარებელს. ჯერხანად კი იმას დასჯერდი, რომ ეს სიყვარული თავის ნებაზე გამოვლინდა შენში.

— რაღაც მსგავსი უნინაც განმიცდია, ოღონდ ძალიან წამიერად და ცოტა სხვაგვარად. ასეთი რამ ჩვეულებრივ მაშინ მომსვლია, პროფესიულად რომ წარვმატებულვარ, ანდა რომელსააქემში გამიმარჯვია, ან თუ მიგრძნია, რომ ფორტუნა მწყალობდა. ოღონდ როცა კი ამგვარი გრძნობა გამჩენია, ყოველთვის გული დამხურვია და ჩამთხრობია, რადგან ამ გრძნობის სრულად დახარჯვა მაფიქრებდა — ვაითუ ჩემს ბედნიერებას სხვათა თვალში შური აღედრა და ვაითუ არც ვიყავი ამ ბედნიერების ღირსი.

— აგაპეს ვინც არ განიცდის, სუყველა ზუსტად ეგრე იქცევა, — მიპასუხა მან, ტელევიზორის ეკრანს მიჩერებულმა.

მაშინ აღარ დავაყოვნე და, ანაზღეულად რომელ ენაზე ავლაპარაკდი-მეთქი, ვკითხე.

— ეგ ამბავი ჩემთვის სრული მოულოდნელობა იყო, — მომიგო პეტრუსმა, — ვინაიდან სანტიაგოს გზისთვის უცხო რამ პრაქტიკას შემასწარი. ეგ ქარიზმაა, ზეგარდმო ნიჭი, ანუ ღვთის საბოძვარი, და RAM ორდენის რიტუალებშია მოქცეული, რომელი რიტუალებიც რომის გზაზეა წარმოქმნილი.

ქარიზმის თაობაზე ზოგი რამ გაგონილი მქონდა, მაგრამ პეტრუსს უფრო წვლილად განმარტება ვთხოვე.

— ეგ სულიწმიდის ნიჭი, ანუ საბოძვართ ეკუთვნის, ნიჭი თუ საბოძვარი კი ღვთის მადლია, რაც ადამიანებში ვლინდება, თანაც სულ სხვადასხვანაირად: ზოგს განკურნების ნიჭი დაჰყვება, ზოგს სასწაულთა მოხდენისა, ზოგსაც მერმისის განჭვრეტისა. შენ კი ენაკავთა ნიჭი გეზობა, იგივე, რა ნიჭიც მეერგასე დღეს, ანუ სულიწმიდის მოფენის დღეს, მოციქულთ ეწყალობათ.

უცნობ, თუ უფრო სწორად, იდუმალ ენაზე ლაპარაკის უნარს სულიწმიდასთან პირდაპირი ურთიერთობა გვანიჭებს. ეს ენა განკუთვნილია ერთად თავმოყრილი, მოჯარული ზღვა ხალხის წინაშე ქადაგებისთვის, ეშმათა გაძევებისთვის — როგორც ეს შენს შემთხვევაშიც მოხდა, — და აგრეთვე უჩვეულო სიბრძნის ნიშანია. ამ გზაზე გატარებულმა დღეებმა და RAM ორდენის რიტუალებმა, რომელთაც გულმოდგინედ სწავლობდი, იმ საფრთხესთან ერთად, რომელშიც ნაგაზის თავდასხმამ ჩაგაგდო, შემთხვევით გააღვიძეს შენში ენაკავთა ნიჭი. არა სამუდამოდ — ცოტა ხნით. უნდა იცოდე, ის აღარ დაგიბრუნდება, უკეთუ, მახვილს რომ იპოვი, რომის გზით წასვლას არ გადაწყვეტ. მაგრამ, ასეა თუ ისე, ეს ამბავი კეთილის მომასწავებელია.

ვიდექი და დადუმებულ ეკრანს შევცქეროდი. ქვანახშირის მალაროების ნაცვლად ეკრანზე ერთმანეთის მონაცვლე კადრები კრთოდნენ — კაცები და ქალები გაუთავებლად რაღაცას ლაპარაკობდნენ, ლაქლაქებდნენ, დაობდნენ, დროდადრო კი ერთმანეთს კოცნიდნენ.

— და კიდევ ერთი რამ უნდა გითხრა, — დასძინა პეტრუსმა, — გამორიცხული არ არის, რომ ისევე შეხვდე იმ ძაღლს. ოღონდ მერე ნულა ეცდები შენში ამ ნიჭის გაღვიძებას — მაინც არა გამოგივა რა. ზეშთაგონებით მოიქეცი. მე კი ამჯერად RAM ორდენის კიდევ ერთ სავარჯიშოს შეგასწავლი, რაც ინტუიციას, ალღოს ავითარებს. ინტუიციის წყალობით შენი სულის საიდუმლო ენას დაუფლები, ხოლო ის ენა მთელი

შენი ცხოვრება გზად და ხიდად დაგედება.

პეტრუსმა სწორედ მაშინ გამოართო ტელევიზორი, როცა ცოტა თავი და ბოლო გავეუგე სიუჟეტს. მერე ბართან მივიდა და ერთი ბოთლი მინერალური წყალი იყიდა. ცოტა დავლიეთ და ქუჩაში გავედით, დარჩენილწყლიანი ბოთლი პეტრუსმა თან წამოიღო.

სუფთა ჰაერზე დავსხედით და რამდენსააქე ხანს ვდუმდით. ჩამიჩუმე არ ისმოდა, ღამეულ ცაზე ირმის ნახტომის ციალმა კვლავ გამახსენა სანუკვარი მიზანი — მახვილის პოვნა.

ოდნავ მოგვიანებით პეტრუსმა წყლის სავარჯიშო ამიხსნა.

## სავარჯიშო ინტუიციის გასაპიტიარებლად

(წყლის სავარჯიშო)

შეარჩიე სწორი ზედაპირი, რომელიც წყალს არ უშვებს, და წყალი ზედ ისე დაასხი, პატარა გუბურა გაჩნდეს. რამდენსააქე ხანს უბრალოდ უცქირე წყალს. მერე რაღაც ჩიჩინი დაუწყე, ნურცრა მიზანს რასმე ნუ დაისახავ. მაგალითად, უმიზნოდ გაავლ-გამოავლე ზედ ხელი, არცრა სურათის მოხაზვაზე არ იფიქრო.

ეს სავარჯიშო ერთი კვირა ყოველდღიურად შეასრულე, ათ წუთზე ნაკლები დრო არცროდის არ დაუთმო.

არავითარ პრაქტიკულ შედეგებს არ ესწრაფო, ამ სავარჯიშომ უბრალოდ თანდათანობით უნდა გაგივითაროს ინტუიცია, ალღო. როცა შენი ინტუიციური უნარი სხვა დროსაც იჩენს თავს (მეცადინეობის დროის გარდა), მუდამ ენდე.

— რაღაც დავიღალე, წავალ, დავიძინებ, — თქვა მან, — ოღონდ შენ დღესვე შეასრულე სავარჯიშო. შენი სულის სიღრმეში ჩაბუდებული ინტუიცია, ანუ ძველების ენაზე ჩმუნვა, გრძნობით მიხვედრა, თუგინდ ალღო თქვი, უნდა გამოაღვიძო. ლოგიკა ნუ გაგიტაცებს, რადგან წყალი მედინი, ანუ მდინარი მატერიიაა, მეტად ძნელი დასამორჩილებელია, სამართავად კი კიდევ უფრო ძნელი სამართავია. თუმცა თანდათან, ნელ-ნელა, ნება-ნება სწორედაც წყალი დაგეხმარება სოფელ-ქვეყანასთან ახალი ურთიერთდამოკიდებულების დამყარებაში.

და ვიდრე კარებს მიეფარებოდა, დააყოლა:

— ნაგაზი სუყველას როდი ესმარება.

ვიჯექი და ღამის სიგრილეს შუბლმიშვერილი ჩემებურად ვნეტარებდი. სასტუმრო სხვა სახლებისგან განზე იდგა, ასე რომ, ქუჩაში მარტოდმარტო ვიყავი. და წამომავიდა აქაური სასტუმროს პატრონი, რომელიც იპანემის პლაჟზე ისვენებდა: აქ, ამ გვალვიან და გავარვარებული მზისგან გადაბუგულ ადგილას რამ ჩამოიყვანაო, ალბათ, იფიქრა-მეთქი ჩემზე, უნებლიეთ გავივლე გულში.

რადგან მეც ძილი წამომერია, სასწრაფოდ ვარჯიშის დაწყება გადაწყვიტე. დარჩენილი მინერალური წყალი პლასტმასის ბოთლიდან ცემენტის იატაკზე დავასხი და საჭიროებისდაგვარი პატარა გუბურა გავაჩინე. თავში არავითარი მოსაზრება არა მქონია, თუ რა უნდა მექნა, და ამას არც ვესწრაფოდი. ჩავუცქედი და თითი გრილი წყლის ზედაპირს მივავლ-მოვავლე, მაინცდამაინც დიდ დროს არ გაუვლია, და ვიგრძენი, რომ ჰიპნოზურ მდგომარეობაში ვექცეოდი, რაც ძალიან ჰგავდა იმ შეგრძნებას, რასაც ცეცხლის ყურებისას განვიცდით. არცრაზე არა ვფიქრობდი, უბრალოდ ვთამაშობდი — წყლის პატარა გუბურას ვეთამაშებოდი. გუბურის საზღვრებიდან სხვადასხვა მხარეს რამდენიმე ხაზი



გავავლე და გუბურა სველ, ნოტიო მზეს დაემს-  
გავსა. მაგრამ სუყველა ხაზი მალევე გაქრა, ისევე  
გუბურაში ჩაიწურა. მერე გუბურას ხელისგულის  
ტყაპუნდი დავეწყე — და პანანინა მუქ ვარსკვე-  
ლავენება ქცეული აშხვეფებული წყლის წვეთები  
ცემენტის ნაცრისფერ ზედაპირს წინწკლავდნენ.  
კიდევ კარგა ხანს ვატყაპუნე ხელი სულ ერ-  
თიანად ჩანთქმულმა ამ უსაგნო მეცადინეობასა  
თუ სავარჯიშოში, რასაც არავითარი საგანგებო  
რამ მიზანი არა ჰქონია რა, მაგრამ სიამოვნებას  
მგვრიდა. გონება მთლიანად გამომეთიშა, და ისეთი  
შეგრძნება დამეუფლა, რასაც ადრე ხანგრძლივი  
რელაქსაციისა და მედიტაციის გზით ვაღწევდი.  
თანაც, ამავე დროს, სადაც შიგნიშიგან, სადაც  
ჩემი ცნობიერება ვერც ატანდა, როგორც  
ვგრძნობდი, ჩემში უცნობი რამ ძალა იღვიძებ-  
და, რომელიც მზად იყო თავის გამოსავლინე-  
ბლად.

გუბურას ხანიერად ვეთამაშე — აშკარად  
მიჭირდა სავარჯიშოს შეწყვეტა. უკეთუ პეტრუსი  
რალაც მსგავს რასმე ჩვენი მოგზაურობის  
დასაწყისშივე შემასწავლიდა, ამ ამბავს უჭკვე-  
ლად დროის ფუჭ ხარჯვად ჩავთვლიდი. მაგრამ  
ახლა, როცა არა ერთ უცნობ ენაკავზე  
ვემტყველებდი და ავსულ ქასქანჯიელთაც ვდევნი-  
დი, პატარა გუბურის წყალი წამერთ იმ ძაფად  
იქცა — თუნდაც დუნე და სუსტ ძაფად, —  
ირმის ნახტომთან რომ მაკავშირებდა, რომელიც  
თავს დამკაშკაშებდა. წყალში არეკლილი ვარსკვე-  
ლავები უცნობ თანავარსკვლავედებად ლაგდე-  
ბოდნენ, და ისეთი შთაბეჭდილება მექმნებოდა,  
რომ დროს ფუჭად კი არ ვკარგავდი, არამედ  
სრულიად ცამყართან ურთიერთობის მავან ახალ  
ენას ვქმნიდი. ეს დასტურ სულის ის საიდუმლო  
ენა იყო, რომელიც ყველასა აქვს, ოღონდ ცოტა  
ვისმე თუ ეყურება.

რომ გამომეღვიძა, კარგა გვიანი იყო. სას-  
ტუმროს შესასვლელის თავზე დაყენებული ნათურა  
უკვე ჩაქროთ, ჩემს ნომერში სულ ფხაკერფით  
შევედი. ოთახში კვლავ ვუხმე ასტრაინს. უმაღ-  
ლამომეცხადა და ბევრად უფრო მკაფიოდ ჩანდა,  
ვიდრე სულ პირველად, და შევბედე — ცოტა  
რამ მახვილზეც ვუამბე და ცხოვრებაში როსი  
მიღწევაც მინდოდა, ისიც ვუთხარი. ეს ჩემი მაც-  
ნე-მაუნყებელი ჯერხნობით არ მეპასუხებოდა,  
მაგრამ პეტრუსმა როგორც ამისხნა, უკეთუ ას-  
ტრაინს ცისმარე დღე გამოვუხმობდი, თანდათან  
ის ჩემს მხარდამჭერ ცოცხალ და აქტიურ ძალად  
გადაიქცეოდა.

## ქორწილი

ლოგრონიო სანტიაგოს გზაზე მდებარე ერთ-  
ერთი მოზრდილი ქალაქია, უკეთუ სათვალავში  
არ ჩავალთ პამპლონას, სადაც არ გაფრერებულ-  
ვართ. როს მოსალამოებულზე ლოგრონიოს მი-  
ვალნიეთ, იქ თურმე დიდ ზეიმს რასმე ეპირე-  
ბოდნენ, და პეტრუსის წინადადება იყო, რომ  
თუნდაც დილამდე მაინც დავყოვნებულებავით  
ქალაქში.

რაკილა ამ ხნის განმავლობაში მრავალ სოფელ  
ადგილას სინყნარესა და სიმშვიდეს მივეჩვიე,  
პეტრუსის იდეას სულაც არ აღუფრთოვანებო-  
ვი. ნავაზთან რომ ამბავი შემემთხვა, იმის მერე  
უკვე ხუთი დღე იყო გასული, ყოველ საღამოს  
ვეძახდი ასტრაინს და წყლის სავარჯიშოს ვას-  
რულებდი. ამ ხუთმა დღემ სულიერად დამაწყ-  
ნარა და დამამშვიდა, რადგან შევიგნე, რომ სან-  
ტიაგოს გზა ფრიად მნიშვნელოვანი იყო ჩემს  
ცხოვრებაში, და ახლა სულ უფრო ბევრს ვფიქრობ-  
დი იმაზე, რაც უნდა მერე მექნა, როცა ლოცვადა-

მავლობა გასრულდებოდა. თუმცა უდაბური ად-  
გილიც ბევრი გამოვიარეთ და მცირე საქმი-  
თაც თავი ძლივს გაგვეკონდა, მუდამ დღე გაუთავე-  
ბელი სიარულით ქანცგანყვეტილი ხომ ფეხზე  
ძლივს ვიდქით, მაგრამ ეს ყველაფერი მაინც  
მშვენიერი იყო.

ხოლო ლოგრონიოს რომ მივადევით, ყოვე-  
ლივე უკან დარჩა, მინდვრების ცხელი, ოღონდ  
კამკამა ჰაერის ნაცვლად ახლა ბენზინის ბუღს  
ვსუნთქავდით, ქალაქი გაზეთებისა და ტელევი-  
ზიების ხალხს ეპყრა, ირგვლივ მანქანების ტევა  
არ იყო. პეტრუსი პირველსავე ბარში შევიდა,  
რათა გაეგო, რა ხდებოდა.

— რა, არ იცით? პოლკოვნიკი მ. დღეს ქალ-  
იშვილს ათხოვებს! — უთხრა პეტრუსს ბარმენმა,  
— მთავარ მოედანზე ყველა მსურველისთვის  
პურმარილს გაშლიან, ასე რომ, დღეს ადრე და-  
ვიკეტები.

სასტუმროში, ცხადია, ადგილები არ იყო,  
მაგრამ ბოლოსა და ბოლოს მოვახერხეთ და ერთი  
ხნიერი ცოლ-ქმრის ოჯახში მოვეწყვეთ, რომელ  
ცოლ-ქმარზეც აშკარად შთაბეჭდილება მოახდინეს  
პეტრუსის ტავარჯუხზე გამოსახულმა ნიჟარებმა.  
შხაპი გადავივლე, წამოვიცვი ის ერთერთადი  
შარვალი, თან რომ მიქონდა წამოღებული, და  
ქალაქში გავედი.

თავიანთ შავ ფრაკებში ოფლმოდენილი ათო-  
ბით მსახური და ოფიციალტი საბოლოოდ აპუნინ-  
ალაზათიანებდა მთელ მოედანზე დადგმულ მაგ-  
იდებს. ესპანეთის ტელევიზიის გადამღებთა  
ჯგუფი საქორწილო ზეიმის სამზადისს იღებდა.  
ჩვენ პატარა ვინრო ქუჩას გავყვეით, რომელიც  
სანტიაგო ელ რეალის სამრევლო ეკლესიისკენ  
მიდიოდა, სადაც ცერემონია უნდა დაეწყებოდა.

ეკლესიასთან სულ ერთიანად გამოწვეპილ-გა-  
მოპრანჭული ქალაქელი ხალხი გროვდებოდა.  
ქალებს სიცხისაგან სახეზე მაკიაჟი ადნებოდათ,  
თეთრად გამოკვანწული ბავშვები მოუსვენრად  
ცქმუტავდნენ და ჭუჭყუნებდნენ. ატკრცილდა  
ფეიერვერკი, ვეება შავი ლიმუზინი მთავარ შესას-  
ვლელთან მიგორდა. სასიძო მოზრძანდა. ეკლე-  
სიაში ჩემი და პეტრუსის ადგილი აღარ იყო, ასე  
რომ, მოედანზე მიბრუნება გადავწყვიტეთ.

პეტრუსმა გარეშემო ხეტიალი მოიპრინა და  
წავიდა, მე კი ერთ-ერთ მერხზე ჩამოვჯექი, ცერ-  
ემონიის დამთავრებასა და ბანკეტის დაწყებას  
დაველოდე. გვერდით ბატიბუტის გამყიდველი  
მედგა თავის ხონჩინად: ჩანდა, ცოტაოდენი ფულის  
შოვნას იმედოვნებდა, როცა ხალხი ეკლესიიდან  
გარეთ გამოიხენცებოდა.

— ქორწილის სტუმრები ბრძანდებით? —  
დაგულისყურდა მებატიბუტე.

— არა, პილიგრიმები ვართ, კომპოსტელაში  
მივდივართ, — მივუგე.

— მადრიდიდან იქით პირდაპირი მატარებე-  
ლი მიდის, ხოლო პარასკევს თუ წახვალთ, სას-  
ტუმროში უფასო ნომერი შეგხვდებათ.

— კი, მაგრამ ჩვენ ლოცვადმავლობას ვას-  
რულებთ.

მებატიბუტემ აღმაცერად გადმოხედა და  
ხმაში პატივგარეულმა წარმოთქვა:

— ლოცვადმავლობას მხოლოდ წმინდანები  
ასრულებენ.

გადავწყვიტე, რომ არ შევკამათებოდი ამ სა-  
კითხისა გამო. არცრა მიკითხავს, ისე მაუნყა,  
ჩემი ქალიშვილი უკვე გათხოვდა და გამოთხოვ-  
და კიდევცო.

— ფრანკოს დროს მეტი ზნევეთილობა იყო,  
— დაიჩივლა მან, — მაშინ ოჯახურ კავშირს  
ფასი ჰქონდა.

მართალია, უცხო ქვეყანაში კი ვიყავი და



აჯობებდა, თუ პოლიტიკაზე სიტყვას არ ჩამოვაგდებდი, მაგრამ მეზატიბუტემ ისეთი რამ თქვა, უპასუხოდ ვერ დავტოვებდი. მეც ავდექი და პირდაპირ მივახალე, ფრანკო დიქტატორი იყო და ამიტომ იმის დროს უკეთესი ვერც ვერაფერი ვერ იქნებოდა, ვიდრე დღეს არის-მეთქი.

მეზატიბუტე წამოჭარხლდა.

— ეგეთი ვინა ბრძანდებით, რომ ეგრე ლაპარაკობთ?

— ბრძანება რა შუაშია, თქვენი ქვეყნის ისტორია ვიცი. ჩემთვის ცნობილია, რომ ხალხი აქ თავისუფლებისათვის იბრძოდა. ნამიკითხავს იმ მრავალი დანაშაულის შესახებაც, ფრანკოელნი ესპანეთში სამოქალაქო ომის დროს რასაც სჩადიოდნენ.

— წაგიკითხავთ? მე კი დღეის ამას იქით იცოდეთ, სწორედ იმ ომში ვიბრძოდი! ლაპარაკის უფლება იმიტომ მაქვს, რომ აქ ჩემი ახლობლების სისხლის დაღვრბილი. სულაც არ დავეძებ, რომელი წიგნიდან რა ამოგიკითხავთ, — მე მხოლოდ ჩემი ოჯახის მდგომარეობა მანადვლებს. დაახ, ფრანკოს წინააღმდეგ ვიბრძოდი, გამარჯვებით კი იმან გაიმარჯვა, მაგრამ უკეთესი ცხოვრება დადგა. გაჭირვებული კაცი არ მეთქმის, ჩემი ფარდული მაქვს, ბატიბუტეს ვყიდი. და სოციალისტების მთავრობა, ახლა სათავეში რომ არის, არც არაფერში არ წამდგომია. ამისთანა მძიმე ცხოვრება არცროდის არა ყოფილა.

უცაბედად პეტრუსის ნათქვამი წამომავიწყდა იმის თაობაზე, რომ ადამიანებს ხშირად ცხოვრების ნასუფრალით უხდებათ თავის გატანა. კონფლიქტი კიდეც უფრო არ გავამწვავო-მეთქი, ავდექი და სხვა მერხზე გადავჯექი.

პეტრუსი როგორც კი მობრუნდა, მეზატიბუტესთან ჩემი დავის ამბავი უკლისად ჩაუწინგენ.

— მოსაზრებათა განხილვა მუდამ ერთსა და იმავე რასზე ემსახურება, — თქვა მან, — ამდგვარი განსჯა-განხილვა ადამიანებს ეხმარება საკუთარი თავის დაჯერებაში, რომ ისინი მართლანი არიან. ასე რომ, იცოდეთ, მე იტალიის კომუნისტური პარტიის წევრი ვარ და არ მეგონა, თუ ფაშისტებს მხარს უჭერდი.

— რას ლაპარაკობ?! — აღშფოთებულმა ვუთხარი.

— რას ვლაპარაკობ და, ეგ მეზატიბუტე საბოლოოდ დაარწმუნე, რომ ფრანკო კარგია. ადრე იქნებ არც გაეგებოდა, რატომ იყო კარგი. ახლა უკვე იცის.

— მართლა? მაინც რამდენი ხანია, რაც იტალიის კომუნისტური პარტიის წევრთ სულიწმინდის მადლისა გჯერათ?

— კაცნი ვართ, გვინდა, არ გვინდა, მუდამ გვაფიქრებს, რას იტყვიან მეზობლები ჩვენზე, — გაიცინა მან და პაპი წარმოსახა, აივნიდან ხალხის მაკურთხებელი.

და ცაში კვლავ აიჭრა უამრავი შუშხუნა, ხოლო მემუსიკენი ესტრადაზე ავიდნენ და საკრავების აწყობას შეუდგნენ. ზეიმის დაწყებას აღარცრა უკლდა.

ცას თვალს ვერ ვაშორებდი. ბინდი ხშირდებოდა, აქა-იქ პირველი ვარსკვლავები დაჩნდნენ. პეტრუსი ოფიციალტის საქებნელად წავიდა და ორი ღვინით სავსე პლასტმასის ჭიქა მოიტანა. ერთი მე გამომიწოდა და თან დააყოლა:

— ამბობენ, ზეიმის დაწყებამდე ცოტას დალევს საქმეს ადგებაო. რა იცი, მეზატიბუტე იქნებ დაგავიწყოს კიდეც.

— ის ისედაც უკვე დავინწყებული მყავს!

— მაგ ამბავს მთლადაც ნუ გააარაფრებ! რაც

მოხდა, ეს სიმბოლური გზავნილია: იმის ნიშანია, რომ არასწორად მოიქეცი, ეგრეა. მუდამ სხვათა ჩვენს რჯულზე მოქცევას ვესწრაფვით, ვცდილობთ, რომ ჩვენს მსოფლგაგებას ვაზიაროთ ისინი. ჩვენი აზრით, რაც უფრო მეტი ადამიანი ირწმუნებს ჩვენს სასოება-სარწმუნებელს, მით უფრო მალე იქცევა სინამდვილედ ჩვენი ესა თუ ის წარმოდგენა. არაფერიც.

მიმოიხედე გარშემო. საცაა დიდი დღესასწაული დაიწყება. საზეიმო ცერემონია. დღეს ერთდროულად სულ სხვადასხვაგვარ ოცნებებსა და იმედებს ესხმის ხორცი: მამას ქალიშვილის გათხოვების იმედი უსრულდება, ქალიშვილს — გაბედნიერების იმედი, სასიძოს — დაოჯახების იმედი, რაც ძალიან კარგია, რადგან სუყველა ცალ-ცალკე ოცნებობდა და ახლა უნდათ, რომ სხვათაც დაანახვონ, როგორ აუხდათ ოცნებები. ეს ზეიმი სულაც იმიტომ არ ეწყობა, რათა ვინმე რამედი დაარწმუნონ, ამიტომაც აქ ნაღდი ლხინი და მხიარულება იქნება. ყველაფერი იმას მეტყველებს, რომ აქ ის ადამიანები არიან თავშეყრილნი, ვინც სამართლიან ომს ეწეოდა თავისი სიყვარულის გულისთვის და გაიმარჯვა.

— მაგრამ, პეტრუს, სანტიაგოს გზით რომ მიგყავარ, განა შენც რალაცაში ჩემს დარწმუნებას არა ცდილობ?

მან ყინულივით ცივი მზერა შემავლო.

— მე მარტოოდენ RAM ორდენის საქმიანობას გასწავლი. მახვილის საპოვნელად კი გულის სიღრმეში დაფარული გზა, ჭეშმარიტება და ცხოვრება უნდა შეიცნო.

პეტრუსმა ხელი ცისკენ აიშვირა, სადაც უკვე მკაფიოდ ჩანდნენ ვარსკვლავები.

— ირმის ნახტომი კომპოსტელასკენ მიმავალ გზას გვიჩვენებს. არ არის რელიგია, რომელსაც სუყველა ვარსკვლავის ერთად თავმოყრა შეეძლოს. ხოლო ასეთი რამ თუკი მოხდებოდა, ცამყარი გიგანტურ სიცარიელედ გადაიქცეოდა და თავისი არსებობის აზრს დაკარგავდა. თითოეულ ვარსკვლავს — და თითოეულ ადამიანს — თავისი საკუთარი სივრცე და თავისი განსაკუთრებული თვისებები აქვს. არიან ცისფერი, ყვითელი, მწვანე და წითელი ვარსკვლავები, არიან აგრეთვე კომეტები, ანუ კუდიანი ვარსკვლავები, მეტეორები, ანუ ცისიერნი, მეტეორიტებად რომ ცვივიან დედამიწაზე, არსებობს უამრავი ვარსკვლავიერი ნისლოვანება და უამრავივე ბაკმი, ანუ ხილული ნათლის სარტყელი, პლანეტათა თუ ცთომილთა გარეშემო მოვლებული. რაც რამ აქედან, დედამიწიდან, ჩანს, როგორც ერთგვაროვანი დიდძალი პანანინა ლაქა, სინამდვილეში ყველაფერი უთვალავი სხვადასხვა საგანი და მოვლენაა, მიმოფანტული სივრცეში, რომლის არსშიც ჩანვდომა კაცობრიული გაგების უნარს აღემატება.

და კვლავ ტვრციალით აიჭრა ცაში ურიცხვი ფერადი შუშხუნა, რომელთაც წამიერ ვარსკვლავნიც კი დაჩრდილეს. მოციმციმე მწვანე ნაპერწკლების ბურჯლალი გადამლილი ჩამოწვიმდა მინაზე.

— წელან ფეიერვერკის მხოლოდ ხმის გაგონება შეგვეძლო, ახლა კი, როცა ბინდი ჩამოწვა, უკვე დანახვაც შეგვიძლია, — თქვა პეტრუსმა, — და ეს ერთადერთი რამ ცვლილებაა, რასაც შეიძლება რომ სასოებდეს ადამიანი.

ნეფე-პატარძლის ეკლესიიდან გამოსვლას ყრიამულითა და შეძახილებით შესვდა ხალხი, ზოგნიც სულ ახლოს მიიჭრნენ და ბლუჯა-ბლუჯა აყრიდნენ ბრინჯს. დედოფალს, თექვსმეტიოდენ წლის კნაჭა გოგოს, მაგრად ჩაველო ხელი კოხტად გამონყობილი ნეფისთვის. ახალჯვარდან-

ერილთ უკან მაყრიონი მოჰყვა, და ყველანი მოედ-  
ნისკენ გაემართნენ.

— აგე პოლკოვნიკი... აუ, რა კაბა აცვია  
პატარძალს! რა ლამაზია! — დაიყვირეს ბავშვ-  
ვებმა ჩვენ შორიასლო.

სტუმრებმა თავ-თავიანთი ადგილები დაიკავეს  
მაგიდებთან, ოფიციალტებმა ღვინო დაასხეს, იგ-  
რიალა ორკესტრმა. მეზატიბუტეს გარშემო პა-  
ტარებს ჟივილ-ხივილი გაჰქონდათ, სუყველანი  
ერთდროულად აწვდიდნენ ხურდა ფულს, სიმინ-  
დიან პაკეტებს ართმევდნენ და ძირსა ფანტავდ-  
ნენ. მომეჩვენა, რომ ლოგრონიოელთათვის, ამ  
სალამოს მაინც, მთელმა დანარჩენმა ქვეყნიერე-  
ბამ — თავის პრობლემებიანად: უმუშევრობითა  
თუ ატომური ომის მუქარით, მრავალი ბოროტ-  
მოქმედებითა და ათასი სხვა უბედურებით —  
უბრალოდ შეწყვიტა არსებობა. დღეს აქ ზეიშია,  
მოედანზე დადგმულ მაგიდებთან ყველასთვის  
მოიძებნება ადგილი და არცვინ დაჩაგრულად  
არ იგრძნობს თავს.

ჩვენკენ მეტელევიზიითა პატარა ჯგუფი გამო-  
ეჩქარა და პეტრუსი სწრაფად შებრუნდა, ზურგი  
შეაქცია. მეტელევიზიონი ჩვენი გვერდის ავლით  
ერთ-ერთ სტუმარს მიადგნენ, რომელიც ჩვენგან  
ორიოდე ნაბიჯზე უჯდა მაგიდას. შევხედე თუ  
არა, მაშინვე ვიცანი: ანტონიო მანოლო იყო,  
რომელიც მეხიკოში მყავდა ნანახი როგორც  
ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატზე ჩამოსულ  
ესპანელ გულშემატკივართა თავკაცი. ინტერვიუ  
რომ დამთავრდა, მივედი მანოლოსთან და, ბრა-  
ზილიდან ვარ-მეთქი, ვუთხარი, რის პასუხადაც  
მან ვითომც გულისწყრომით მომიგო, თქვენ მსოფ-  
ლიო ჩემპიონატის პირველ ტურში ესპანელთ  
გოლი მოგვპარეთ\*.

მაგრამ მერე გულში ჩამიკრა და დასძინა,  
ბრაზილიას მსოფლიოში საუკეთესო ფეხბურთელე-  
ბი მალე კვლავაც გამოუჩნდებიანო.

— მითხარი ერთი, თამაშის ყურებას როგორ-  
და ახერხებ, თუ მიწვევასკენ სულ კურთუკულმა,  
ზურგშექცეული დგახარ და შენს ტორსიდას  
დირიჟორობ? — ვკითხე ალაღად დაგულისყურე-  
ბულმა.

ეს ამბავი ყოველთვის მაკვირვებდა, როცა კი  
მატჩების ტრანსლაციას ვუყურებდი.

— ტყუილია უფრო მეტი სიამე, ვიდრე ჩვენს  
ფანატებში გამარჯვების რწმენის მხარდაჭერაა.

და მერე, თითქოს ისიც სანტიაგოს გზას იყო  
ადევნებული, წარმოთქვა:

— რწმენის უქონელ ტორსიდას უკვე პრაქ-  
ტიკულად მოგებული მატჩის ჩაფლავება შეუ-  
ძლია.

მანოლოს ახლა სხვა ადამიანები შემოეხვივნენ,  
საუბარი გაუბეს, მე კი ვიდექი და რაც იმან  
მითხრა, იმაზე ვფიქრობდი. ის არცროდის არ  
დამწყემსებია სანტიაგოს გზას, მაგრამ ესმოდა,  
რა არის სამართლიანი ომი.

პეტრუსი სადღაც ხეების ჩრდილს თავშეფარე-  
ბული აღმოვაჩინე, სადაც, ალბათ, სტუმრებისკენ  
მიმართულ სატელევიზიო კამერებს ემალებოდა.  
მსოლოდ როცა იუპიტერები ჩაქრნენ, მაშინლა  
გადანწყვიტა მან თავშესაფრიდან გამოსვლა და  
ცოტა მოწყდა, მოეშვა. თითო ჭიქა ღვინო კიდევ  
ავიღეთ, მე კანაპედან ჩვენთვის თევში მოვახ-  
ელე, პეტრუსმა კი მაგიდასთან ადგილი გამო-  
ძებნა, სადაც სხვა სტუმრებთან ერთად მოვენ-  
ყვით.

\* 986 წელს მეხიკოში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე  
ესპანეთისა და ბრაზილიის გუნდების შეხვედრისას ესპანელთა  
მიერ გატანილი ბურთი მსაჯმა არ ჩათვალა, რადგან ვერ დაინახა,  
რომ ძელზე ასხლტული ბურთი ვერ კარის ხაზს გადასცდა და  
მერეღა გამოგორდა უკან.

ახალჯვარდანერილნი უკვე ჭრიდნენ ვეება  
საქორწილო ღვეხელს. სტუმრები ხმამაღლივ  
ულოცავდნენ გაბედნიერებას.

ერთმანეთი, ალბათ, ნამდვილად უყვართ-მეთ-  
ქი, ვთქვი!

— რა თქმა უნდა, უყვართ, — დასტური  
დამცა მუქ კოსტიუმში გამონკეპილმა კაცმა, გვერ-  
დით რომ მიჯდა, — აბა, როგორ? სხვა მიზეზით  
რა, განა ვისმე მოჰყავს ცოლი?

უცებ მეზატიბუტეზე ჩემი და პეტრუსის ლაპარ-  
აკი გამახსენდა, და ხმამაღლა პასუხის გაცემას  
მოვერიდე. მაგრამ ჩემი მეგზური არ გაჩუმებუ-  
ლა.

— მაინც რომელი სიყვარული გაქვთ მხედ-  
ველობაში: ეროსი, ფილოსი თუ აგაპე?

ჩემ გვერდით მჯდომ კაცს სახეზე გაოგნება  
აღებუქდა. პეტრუსი წამოდგა, სასმისი შეავსო  
და, ცოტა გავიაროთო, შემომთავაზა.

— სამივე ბერძნული სიტყვა სიყვარულს აღნი-  
შნავს, — დამიწყო ახსნა მან, — რასაც დღეს მე  
და შენ ვხედავთ, ეს ეროსია, ანუ ორი ადამიანის  
დამაკავშირებელი სიყვარულის გრძნობა.

ნეფე-დედოფალი ფოტოგრაფს უღიმოდა და  
მილოცვებს შეჰხაროდა.

— ამ ორთ, მგონი, მართლაც უყვართ ერთ-  
მანეთი, — თქვა მან, ნეფე-პატარძალს თვალშე-  
ჩერებულმა, — და სჯერათ, რომ თავიანთი სიყ-  
ვარული სულ უფრო გაძლიერდება. მალე ესენი  
დედ-მამას გამოეყოფიან და თვითონ მიხედავენ  
თავიანთ ოჯახს, ერთად გასწევენ ცხოვრების  
ჭაბანს. ერთ უღელში შებმა კი აკეთილშობილებს  
და ღირსეულსა ხდის სიყვარულს. ნეფე ჯარში  
წავა თავისი ვალის მოსახდელად. პატარძალი კი  
შინ დატრიალდება, რაც ოჯახისთვის საჭიროა,  
ყველაფერს ისწავლის და კარგი დიასახლისი  
დადგება, რადგან პატარაობიდანვე ამზადდნენ  
ამ ამბისთვის. მოსიყვარულე ცოლ-ქმარს მალე  
შვილებიც დაეხვევიან, და ორივენი ალაღად  
მიიჩნევენ, რომ რაღაც ახალი შექმნეს. ერთი  
სიტყვით, ეს წყვილი სამართლიან ომში ჩაებმე-  
ბა. და თუნდაც კარგა ბლომად თავსატეხიცა და  
თავსამტვრევიც გაუჩნდეთ, არაფერია, მაინც სვე-  
ბედნიერნი იქნებიან.

თუმცა საქმე იქნებ სულ სხვანაირადაც წარი-  
მართოს. კაცმა ვაითუ თავი შეზღუდულად იგ-  
რძნოს, რადგან თავისი ეროსის, ანუ სხვა ქალთა  
მიმართ თავისი სიყვარულის გამოხატვის უფლე-  
ბა არ ექნება. ქალმა კი ვაითუ დაიდარდოს,  
ქმრის გულისთვის ბრწყინვალე კარიერა დავეკარ-  
გეო. მაშინ იმის მაგივრად, რომ კვლავაც ის  
აზრი უტრიალებდეთ, მხარიმხარმიცემულნი რა-  
ღაცას საერთოს, საზიაროს ვქმნითო, პირიქით,  
ერთიც გაქურდულად იგრძნობს თავს, მეორეც  
და დასკვნიან, ჩვენს სიყვარულს აზრი არა აქვ-  
სო. ამ დროს ეროსი, ანუ ის მთავარი რამ, რაც  
ამ ორ ადამიანს აერთიანებდა, თავის მეორე  
მხარეს, ანუ ცუდ პირს გამოაჩენს. და ყოველის  
უფრო კეთილშობილური გრძნობა, უფალმა კაც-  
თათვის რომ განჭვრიტა, მძულვარებისა და ნგრე-  
ვის წყაროდ იქცევა.

გარშემო მიმოვიხედე, და დავინახე, რომ დამ-  
სწრეთაგან ბევრი იყო ეროსით გადაჯაჭვული.  
წყლის სავარჯიშომ გულის ხმა გამოიღვიძა და  
ადამიანთ ახლა სულ სხვანაირად ვხედავდი. არ  
ვიცი, გზაში გატარებულმა მარტოობის გრძელ-  
მა დღეებმა იჩინა თავი, თუ იქნებ სულაც RAM  
ორდენის პრაქტიკა გამოვლინდა ამდაგვარად,  
მაგრამ ჩემთვის ცხადი გახდა, რასაც პეტრუსი  
აღწერდა როგორც სიკეთის ეროსს და ბოროტე-  
ბის ეროსს.

— ერთი რამ ფრიად საგულისყუროა, — გა-

ნაგრძო მან, ისევ ნეფე-დედოფალზე თვალშეჩერებულმა, — ეროსი — მნიშვნელობა არა აქვს კეთილია თუ ბოროტი — ყველა ადამიანს სხვადასხვა ევლინება. ეს იმის მსგავსი რამ ამბავია, რასაც წელან ვარსკვლავებზე გეუბნები. ეროსის გვერდის ვალა არცვის არ ძალუძს. ეროსი სუყველას სჭირდება, თუმცა ის ხშირად გვაიძულებს, რომ თავი ამ სოფელ-ქვეყნისგან მოწყვეტილად და მარტოობის მახეში გაბმულად ვიგრძნოთ.

ორკვსტრმა ვალსი დაუკრა. სტუმრები წყვილ-წყვილად გამოდიოდნენ ასფალტის პატარა მოედანზე ესტრადის წინ, სადაც ორკვსტრანტები ისხდნენ. ღვინოს უკვე თავისი ექნა, ირგვლივ ხმამაღალი ლაპარაკი და სიცილი ისმოდა. ჩემი ყურადღება ერთმა ცისფერკაბიანმა ქალიშვილმა მიიპყრო: ამ ქორწილს ის, მგონი, მხოლოდ იმისთვის ელოდა, რა არი ცეკვის საშუალება მისცემოდა — ოცნებად ჰქონდა გადაქცეული, რომ ვალსში ვისზე დაებზრიალებინა, ვის ჩასახუტებლად გამოწვდილ მკლავებსაც ჯერეთ კიდეც გოგობისას ზმანებებში ხედავდა. ქალიშვილი თვალს არ აცილებდა მეგობარ ბიჭებში ჩამდგარ ერთ ღია ფერის კოსტიუმში გამოწყობილ ჭაბუკს. ბიჭები რალაცას უყვებოდნენ ერთმანეთს და ვალსიდან წყვება არც შეუმჩნევიათ. არ შეუმჩნევიათ ბიჭებს აგრეთვე ის ცისფერკაბიანი ქალიშვილიც, იქვე შორიასლო რომ იდგა და იმედის თვალთ უცქეროდა ერთ იმათგანს.

ჩემდა უნებურად შემომანვა ფიქრი პატარა ქალაქების ცხოვრებაზე და ქორწინებაზე, რაზეც მავანი და მავანი ბავშვობიდანვე ოცნებობს.

ცისფერკაბიანმა ქალიშვილმა შემნიშნა, რომ ვუთვალთვალედი და თავის დაქალთ მიამურა. როგორც კი ის გაუჩინარდა, იმისაგან თვალდადგმულმა ჭაბუკმა უმალ ძებნა დაუნყო, ხან საით გაიხედა, ხან საით. მაგრამ დარწმუნდა თუ არა, თავის დაქალბშიაო, ისევ შეწყვეტილ საუბარს მიუბრუნდა.

პეტრუსს ორივენი დავანახვე. იმანაც ცოტა ხანს უყურა, როგორ აპარებდნენ ისინი თვალს ერთმანეთისკენ, მერე ის-ის იყო გვერდზე გადადგმული ღვინიანი სასმისი პირთან მიიტანა და თქვა:

— ეგენი ისე იქცევიან, თითქოს თავიანთი სიყვარულისა რცხვენიათო.

ვიღაც გოგონა, ჩვენ გვერდით რომ იჯდა, ერთობ თვალდაჭყეტილი გვიყურებდა მე და პეტრუსს. ის დაახლოებით ორჯერ ახალგაზრდა იყო ჩვენზე. პეტრუსმა სასმისი ასწია, ვითომ იმის სადღეგრძელოსა სვამდა. გოგონამ შეცბუნებულმა გაიცინა, მერე იქვე ახლოს მსხდომი მშობლებისკენ გაიშვირა ხელი, როგორც ჩანს, გვანიშნა, არ შემოძლია, ვერ მოვალ თქვენთანო.

— ეს უკვე ლამაზი მხარეა სიყვარულისა, — ჩაილაპარაკა პეტრუსმა, — ტრფიალია ორი უცხოტომელის მიმართ, საიდანღაც რომ მოსულან, ხვალ კი ისევ განაგრძობენ გზას იმ თვალგადაუნდენელ სოფელ-ქვეყანაში, სადაც მოხვედრას იქნებ ოცნებობდეს კიდეც ეგ სახემცინარი ცირა.

ლაპარაკზე ეტყობოდა, რომ ღვინოს პეტრუსიც შეექვიფიანებინა.

— დღეს უნდა სიყვარულზე ვილაპარაკოთ! — შესძახა ჩემმა მეგობრმა იმაზე უფრო ხმამაღლა, ვიდრე საჭირო იყო, — მოდი და ნამდვილ სიყვარულზე ვილაპარაკოთ, იმ სიყვარულზე, რომელსაც უჭირავს ეს ქვეყნიერება, და რომელიც ჭემ-მარიტად აბრძენებს ადამიანთ!

ერთ კარგად ჩაცმულ ქალს, ჩვენ გვერდით რომ მიმოდოდა, თითქოს აინუნშიც არ მოს-

დიოდა ეს ბედნიერი დღე, ხან ერთ მაგიდასთან მიდიოდა, ხან მეორესთან და ჭიქებს, ჭურჭელს, სუფრის იარაღს ასწორებდა, აწესრიგებდა, რაც თავითავს არ იყო მოყვანილი.

— ხედავ ემაგ ქალს? — დამეკითხა პეტრუსი, — სუფრის იარაღს თავის ადგილს რომ უჩინს? როგორც გითხარი, ეროსს მრავალი სახე აქვს, და ეგ ერთ-ერთია. აგრე გამოიყურება უბედური სიყვარულის, ანუ იმედგაცრუებისა თუ გულგატეხილობის ერთი ვარიანტთაგანი. ეგ ქალი, რასაკვირველია, ნეფესაც აკოცებს და პატარძალსაც, ოღონდ გულში ღრმად არის დარწმუნებული, რომ ქორწინება ყულფში თავის გაყოფაა. ხომ ხედავ, როგორ აწესრიგებს გარშემო ყველაფერს, ხელშეუხებელი არცრა დარჩა მაგიდებზე, და ამას იმიტომ სჩადის, რაკი თავად მაგის სულში სრული უწესრიგობა სუფევს. ხოლო აი ისე, — მან ერთ-ერთ ცოლ-ქმარზე მიმანიშნა: ქმარი განსაკუთრებულად არცერთი გამოიჩინოდა, ხოლო ცოლი ზომაზე მეტად იყო შედევილიცა და გაჩეჩილიც, — ისე გამოიყურება საყოველთაოდ მიღებული ეროსი. ეს საზოგადოებრივი პირობითობისთვის გადახდილი ხარკია, რომელშიც ვნების ნატამალიც არ ურევია. აგრეა, როცა ცოლი თავის როლს კისრულობს, გარესკნელთან, ანუ გარესამყაროსთან ყოველგვარ კავშირს წყვეტს და უარს ამბობს სამართლიან ომზე.

— შენს მსჯელობაში, პეტრუს, რალაც ბევრი სიმწარეა. ნუთუ ამათგან აღარავის შველა აღარ შეიძლება?

— რასაკვირველია, შეიძლება. იმ ცირას, ჩვენ რომ თვალს გვიპრანავდა ანდა ახალგაზრდებს, რომლებიც ცეკვავდნენ, ჯერჯერობით გაეგებათ, რა არის სიკეთის ეროსი. და თუკი თვალთმაქცურად არ მოიქცევიან სიყვარულის მიმართ, როგორც უფროსი თაობა იქცეოდა და სცოდავდა, სულ სხვანაირი გახდება ჩვენი ნუთისოფელი.

მან ხნიერი წყვილი დამანახვა, ერთ-ერთ მაგიდასთან მჯდომარე.

— ეგენი სხვათ არა ჰგვანან. მაგათ არც ყალბობისა ეტყობათ რამე, არც სიმრუდისა. გლეხები ჩანან. შიმშილი თუ გაჭირვება მუდამ იძულებულსა ხდიდა, რომ ერთმანეთის მხარდამხარ ეშრომათ. მაგათ იგივე აქვთ ნასწავლი, რასაც შენ ახლა სწავლობ როგორც RAM ორდენის პრაქტიკულ გამოცდილებას, თუმცალა გაგონილიც კი არა აქვთ ამ ორდენის ამბავი. რადგან ეს ქვეყანა ოდენ საგარჯილოდ უჩანთ, ეგენი სიყვარულს თავიანთი გარჯიდან და შრომიდან ხაპავენ, შრომა-გარჯაში იხვეჭენ სიყვარულისთვის საჭირო ძალას. ამ შემთხვევაში ეროსი თავის ყველაზე უფრო მშვენიერ სახეს აჩენს, რამეთუ ფილოსს ერწყმის.

— ეგ რალაა?

— რალაა და სიყვარულია, რომელიც მეგობრობის სახეს იძენს. ეს იგივეა, რასაც მე განვიცდი შენ მიმართ და ბევრი სხვა ადამიანის მიმართაც. როცა ეროსის ცეცხლი აღარ გიზგიზებს, ქორწინებას ნგრევისგან ფილოსი იცავს.

— აბა, აგაპე?

— მაგაზე ჯერ ადრეა ლაპარაკი. აგაპე სიყვარულის ორსავე სხვა ფორმაშია — ეროსშიც, ფილოსშიც, — ოღონდ შენთვის ეს ჯერჯერობით მხოლოდ სიტყვებია. ნამო, ჩვენც საერთო ლხინს შევუერთდეთ, აგრე აჯობებს. ხოლო ყოველისმომცველ სიყვარულზე მოდი, ნუ ვილაპარაკებთ.

და პეტრუსმა კიდეც დაისხა ღვინო.

მოედანზე გამეფებული საზეიმო განწყობილება გადამდები გამოდგა. პეტრუსი კარგა გვარიანად შეთვრა, და პირველად, ცოტა არ იყოს, გამიკვირდა



კიდევ, მაგრამ მერე გამახსენდა, რომ ერთხელ უკვე ამისხნა, — RAM ორდენის პრაქტიკას მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, თუ იმის ძალა ჩვეულებრივ ადამიანთ შესწევთ.

და ამ საღამოს პეტრუსი ყველაზე უფრო ჩვეულებრივ ადამიანად მეჩვენებოდა, რომელიც არაფრით არ განსხვავდებოდა იმათგან, ვინც გარს გვეხვია. ყველას ეფერებოდა, ესიყვარულებოდა, ყველას მხარზე ურტყამდა ხელს და ყველას ებაახებოდა, ვისაც კი იმასთან ლაპარაკი ენადა. ცოტა უფრო გვიან ისე დათვრა, მხარში შევუდექი და ბორძიკ-ბორძიკ ძლივს მივიყვანე სასტუმროში.

სასტუმრომდე დიდი გზა არა გვქონდა გასავლელი, მაგრამ მაინც მოვასწარი შექმნილი ვითარების გააზრება. ჩემი მთვრალი მეგზურის მხარდაყრდნობილი უცებ მივხვდი: მთელი ჩვენი მოგზაურობის მანძილზე პეტრუსს ერთხელაც კი ოდნავადაც არ უტვია, რომ ჩემზე უფრო ალმატებული, უფრო ბრძენი და უცოდველი გამოჩენილიყო. ის მხოლოდ ღ ორდენის პრაქტიკით შექმნილ თავის გამოცდილებას მიზიარებდა. ოღონდ ამასთანავე მუდამ ხაზს უსვამდა, მე ისეთივე ვარ, როგორიც სუყველაა, ვინც ეროსიც უწყის, ფილოსიც და აგაპეცო.

და ამ ამბავმა ძალა გამოათვცა.

სანტიაგოს გზა ჩვეულებრივ ადამიანთ ეკუთვნის.

## ალმაფრენა

„უკეთუ ადამიანთა და ანგელოზთა ენით ვლაპარაკობ... წინასწარმეტყველების ნიჭიც რომ მქონდეს... სრული რწმენაც რომ მქონდეს, ხოლო სიყვარული არა მქონდეს, არარაობა ვიქნებოდი“.

პეტრუსი კვლავ იშველიებდა წმ. პავლეს, რომელიც, როგორც ის ფიქრობდა, ყოვლის უკეთესად გადასცემდა ხალხს ქრისტეს სიტყვებს. მთელი დილა წინ ვიარეთ, ხოლო სადილთუკან მდინარის პირას სათევზაოდ მოვეწყეთ. ანკესს ერთი თევზი არ გაჰკარებია, მაგრამ პეტრუსს ეს სულაც არ ანალვლებდა. როგორც ის ამბობდა, თევზაობა ადამიანისა და სოფელ-ქვეყნის ურთიერთობის ძირითადი სიმბოლოა: რისი მიღწევაც გვინდა, ვიცით, და თუკი საჭირო შეუპოვრობას გამოვიჩინოთ, მივალწევთ კიდევ ჩვენსას, ოღონდ მიზნამდე როდის მივალთ — ეს უკვე ღვთის წყალობაზე უკიდია.

— სანამ რაღაცას მნიშვნელოვანს გადავწყვეტდეთ, სასარგებლოა რისამე აუჩქარებელ ჭკრეტას მივცეთ თავი. — თქვა პეტრუსმა, — ბუდას მიმდევარნი ბერნი მიყურადებულნი არიან, როგორ იზრდებიან მთები, მე კი თევზაობას ვამჯობინებ.

მაგრამ ამგვარ პაპანაქებაში წითელ მცონარ თევზთ, თითქმის წყლის ზედაპირზე რომ დაცურავდნენ, სატყუარას გადაყლაპვა არ სურდათ. ადგილის გამოცვლა საქმეს არა შეელოდა. ამიტომაც იქვე ახლოს გასეირნება ვარჩიე. და ძველი გავრანებული სასაფლაოს ალაყაფის კარებამდე მივედი ზედ მდინარესთან — ეს ალაყაფის კარები წარმოუდგენლად დევერხინა იყო, დიდი და სრულებით არ შეეფერებოდა იმ ერთ მტკაველ მიწას, ფავნისად, ანუ სასაფლაოდ რომ გამოეყოთ, — მერე კი ისევ პეტრუსთან მივბრუნდი, რომელიც კვლავ ანკესმოვარებული იჯდა. და შევეკითხე, იცოდა თუ არა რამე ამ სასაფლაოს შესახებ.

— ეგ ძველად პილიგრიმთა სასაფლაოს ალაყაფის კარები იყო, — მიპასუხა მან, — ის სასაფლაო დიდი ხანია, რაც დაიკვტა, მერე კი ვიღაცას აზრად მოუვიდა მაგ კარების ჭიშკრად

გამოყენება, ხოლო ჭიშკრის უკან სასაფლაოს მონყობა.

— რომელიც იმ სასაფლაოსავით გავერანდა. — რას იზამ, ამქვეყნად ყოველივე ხანმოკლეა.

როცა ვუამბე, რა საზიზღრადაც იქცეოდა გუშინ ქორწილში, როგორ ძრახავდა და კილაგდა სუყველა იქ დამსწრე სტუმარს, პეტრუსი განცვიფრდა. მან დარწმუნება დამიწყო, რასაც გუშინ ვამბობდი, არცრა იმაზე მეტია და არცრა იმაზე ნაკლები, ცხოვრებაში მე და შენ რაც განგვიცდიო. ყველანი ეროსს დავეძებთ, და მერე, როცა ეროსი ფილოსად იქცევა, გვგონია, სიყვარული მოკვდაო. არ გვესმის, რომ სწორედაც ფილოსს ძალუძს სიყვარულის უმაღლეს ფორმასთან — აგაპესთან ჩვენი მიყვანა.

მიაბზე მაგ აგაპეზე რამე-მეთქი, ვთხოვე. პეტრუსმა, აგაპეზე ლაპარაკს აზრი არა აქვს, თავად უნდა განიცადო, მომიგო პასუხად. და დღეს, თუ მოხერხდა, შევეცდები, რომ აგაპე ერთ-ერთი რომელიმე მხარე გიჩვენო. ოღონდ იმისათვის, რათა ეს მოხერხდეს, ჩვენი გარემოცველი ცამყარი — როგორც რომ თევზაობისასაც — ჩვენს მხარეზე უნდა იყოს, რა არი ნაგვეშველოს სასურველის მიღწევაში.

— მაცნე-მაუნყებელი გშველის, ხელს გიმართავს, მაგრამ არის ისეთი რამ, რაც მაცნე-მაუნყებლის ძალის საზღვრებს გარეთაც არის, შენი ნება-სურვილის ძალისაც და თვითონ შენისაც.

— რა არის მაგისთანა?

— რა არის და, ღვთიური ნაპერწკალი, რომლის მაღლითაც წარმატება ადამიანი.

როცა მზემ ცოტა შეასუსტა თავისი აუტანელი მცხუნვარება, კვლავ სანტიაგოს გზას დავუბრუნდით. იმჟამად სრულიად უკაცრიელი, ის მინდვრებსა და ვენახებზე გადიოდა. მალე გზატკეცილი გადავჭერით — ისიც სრულიად უდაბური — და ისევ ტყე-ტყე წავედით. შორს სანლორენსის მთის, კასტილიის სამეფოს ყველაზე მაღალი ნერტილის, მწვერვალი მოჩანდა. მე ძალიან გამოვიცვალე იმის მერე, რაც პეტრუსს პირველად სენ-ჟან-პიე-დე-პორში შევხვდი. ბრაზილია და ყველა ჩემი წამოწყებული და შუაგზაზე მიტოვებული საქმე, ადრე აგრერიგად რომ მალეღვებდა, ან სულ გადამავინწყდა. ერთადერთი, რაც ცოცხალი რჩებოდა, ჩემი მიზანი იყო, და ყოველამ ხანგრძლივ ველაპარაკებოდი ასტრანიის, რომელიც სულ უფრო საცნაური და ახლობელი მიხდებოდა.

ვხედავდი, როგორ გამუდმებით მომიჯდებოდა ხოლმე გვერდით, და შევამჩნიე, რომ მარჯვენა თვალი ნერვიულად უთამაშებდა, ხოლო თუ ჩემს მოსაზრებას რასმე ან ვარაუდს ვიმეორებდი, რათა დავრწმუნებულიყავი, გავაგებინე-მეთქი, ბაგეზე დამცინავი ღიმილი უჩნდებოდა. ჯერეთ კიდევ რამდენიმე კვირის წინათ — ლოცვადმავლობის დასაწყისში — სერიოზულად ვშიშობდი, რომ გზის ბოლომდე მისვლას ვერ შევძლებდი. იმ დღეს, როცა გზად როსსეველს გავდიოდით, ყოველივე სამომავლო რამ საშინელ სევდასა მგვრიდა, და დაუყოვნებლივ სანტიაგოში მოხვედრა მინდოდა, კვალად ჩემი მახვილის ხელში ჩაგდების ჟინი მკლავდა და ერთი სული მქონდა, მალე ჩაებმულიყავი იმ ბრძოლაში, რომელსაც პეტრუსი „სამართლიან ომს“ ეძახდა. ან კი ცივილიზაციის სუყოველი სიკეთე, რომელთა განშორებაც ეგზომ ძნელი იყო, გულიდან გადამავრდნოდა. და აწმუთას შეყოლიებული ყვავი მხოლოდ ჩემ ზემოთ მობდღვრიალუ ცხრათვალა მზეს და აგაპეს შეცნობის მძაფრ წადილს.



მალე ღელე-ხევში დავეშვით, ღელეს გადავედით და რის ვაივგალახით ავიარე ციცაბო ნაპირი. აქ ადრე, ალბათ, ღრიალით დიოდა წყალუხვი ბობოქარი მდინარე, ავად რომ ბურღავდა დედამიწას ღრმად ჩამარხულ ათასნაირ ნიაღვისულ საიდუმლოთა ძებნაში. ან კი ის მდინარე ღელედ ქცეულიყო, რომლის გადავლაც სულ ადვილად შეიძლებოდა თავთხელში. მაგრამ იმისგან გათხრილი ღრმა კანიონი — წყლის მთავარი ნაჯაფარ-ნამუშაკევი — შემორჩა, ასე რომ, მოპირდაპირე ნაპირზე ასვლა სულაც არ იყო იოლი. სწორად ბრძანა პეტრუსმა ამ რამდენიმე საათის წინათ: ამქვეყნად ყოველივე ხანმოკლეაო.

— პეტრუს, ოდესმე თუ გყვარებია ვინმე?

ეს კითხვა თითქოს თავისით მომწყდა ბაგეთაგან და მევე გამიკვირდა ჩემი სითამამე. ამ წუთამდე თითქმის არც არაფერი არ ვიცოდი ჩემი მეგზურის პირადი ცხოვრების შესახებ.

— თუ ქალებზე მეკითხები, ისინი ბევრნი მყავდნენ. სუყველა ნამდვილად მიყვარდა. ოღონდ აგაპეს შეცნობა მარტო ორთან მენერა.

პასუხად მე ჩემი ამბავი მოვაყოლე. ისე ხშირად ვმიჯნურდებოდი, მეშინოდა, ვაითუ არჩევანი ვერავისზე ვერ შევაჩერო-მეთქი, ვუთხარი. და თუკი კვლავაც ასეთნაირად გაგრძელდა, მარტოსული სიბერე მელოდებდა, რაც ძალიან მაშინებს-მეთქი.

— მომვლე ქალს დაიჭერ ვისმე, — გაიცინა პეტრუსმა, — თუმცა არა მჯერა, რომ სიყვარული წყნარი სავანე იქნება შენთვის სიცოცხლის ბოლოს.

შებინდება დაახლოებით ცხრა საათზე დაიწყო. ვენახები უკან დარჩა და თითქმის უდაბურ ადგილს მივდევდით. გარეშემო მიმოვიხედე და შორს კლდეებს შუა ერთ პატარა სავანეს ვკარი თვალი, რომლის მსგავსიც ბევრი გვხვდებოდა გზაში. ცოტა კიდევ ვიარეთ, მერე ყვითლად დათარჯულ მარშრუტს გადავუხვიეთ და ქოხს რასმე მივუახლოვდით.

ზედ რომ მივადექით, პეტრუსმა რალაც სახელი დაიძახა — ვერ გავარჩიე, რა სახელი, — და შედგა მიყურადებული. პასუხი არცვის არ გაუტია. პეტრუსმა კვლავ დაუძახა, და კვლავაც არავინ არ გამოხმაურებია.

— კარგი, მაინც შევიდეთ, — გადანყვიტა მან.

და შევედით.

ოთხი შეთერთებული კედელი. ღია კარი — უფრო სწორად, კარი საერთოდ არ ება, შესასვლელს ერთ ანჯამაზე ჩამოკონწიალებული ნახევარმეტრიანი ფიცარი ჰქონდა აფარებული. შიგ პირველად ყვერბი მოგვხვდა თვალში, საცეცხლური, ძირს, სოხანზე, რამდენიმე ჯამი ეწყო. ერთ-ერთში ხორბალი ეყარა, მეორეში — კარტოფილი.

უჩუმრად დავსხედით. პეტრუსმა გააბოლა და, უნდა დავუცადოთო, თქვა. დალილობისგან ფეხებს ვედარ ვგრძნობდი, რაკი დავჯექი, ადგომა აღარ მინდოდა, მაგრამ რალაც მაფორიაქებდა ამ ქოხში, მოუსვენრად ვიყავი. გვერდით პეტრუსი რომ არ მყოლოდა, ეს მოუსვენრობა უთუოდ შიშად გადამექცეოდა.

— ვინცა აქა ცხოვრობს, ძილით სადღა სძინავს? — ისე, სიტყვაზე ვიკითხე.

— მანდ, სადაც შენა ზიხარ, — მიპასუხა პეტრუსმა და სოხანზე მიმითითა.

გადაჯდომა დავაპირე, მაგრამ მან არ დამანება. არ გადაჯდო, მიბრძანასავით. გარეთ, ალბათ, სუსხმა იმატა, რადგან სიცივემ ამიტანა. თითქმის მთელი ერთი საათი ვიცადეთ.

პეტრუსმა კიდევ ორჯერ გასძახა ვილაცას, შემდეგ კი გაჩუმდა. ის იყო გავიფიქრე, ახლა კი ჩვენს გზას გავუდგებით-მეთქი, რომ პეტრუსი მოულოდნელად აძრახდა:

— აქ აგაპეს ორი გამოვლინებიდან ერთ-ერთია, — მაუწყა მან და მესამე სიგარეტის ნამწვი ჩააქრო, — არა ერთადერთი, ოღონდ ყოვლის უფრო ხალასი. აგაპე არის სრულქმნილი სიყვარული, ყოვლისმომცველი სიყვარული, რომელიც სულ ერთიანად ნთქავს იმ ადამიანს, ვისაც ჩაუსახლდება. ვინც აგაპე შეიცნო, ის ხედავს, რომ ამქვეყნად, სიყვარულის გარდა, არცრას მნიშვნელობა არა აქვს. ამდაგვარ სიყვარულს განიცდიდა ქრისტე ადამიანთა მიმართ, და იმისი სიყვარული იმზომ ძლიერი იყო, რომ სანუთრო წაღმა შეატრიალა, ისტორიის ჩარხის ბრუნვა შეცვალა. მან თავისი განდგომილობით ისეთი რამ მოიმოქმედა, რაც მბრძანებელთა ამა სოფლისათა მთელი თავიანთი სპა-ჯარებიანად ვერ შეიძლეს.

ცივილიზაციის ათასწლოვანი ისტორიის სიგრძეზე ბევრ ადამიანს მოუხდა ყოვლისმომცველი სიყვარულის შეცნობა. და ისინი სოფელ-ქვეყნისთვის იმზომ ბევრის მიცემას ეპირებოდნენ, — სოფელ-ქვეყანა კი ძალიან ცოტას ითხოვდა, — რომ ჩვეულებრივ მიდიოდნენ უდაბნოებსა და სადმე განმარტოებულ სავანეებში, რადგან სიყვარული, რომელსაც ისინი განიცდიდნენ, სუყველას ცვლიდა, ასხვაფერებდა, ისინი წმინდა განდევნილი ხდებოდნენ, რომელთა სახელები დღესაც ვუწყით.

მე და შენ, სულ სხვაგვარი აგაპეს მიმყოლთ, იმ ადამიანთა მკაცრი, დუხჭირი ცხოვრება იქნებ შემზარავადაც მოგვეჩვენა. მაგრამ ყოვლისმომცველი სიყვარულით შეპყრობილთათვის ყოველივე დანარჩენი — აბსოლუტურად ყოველივე — სავსებით კარგავს თავის მნიშვნელობას. ეს ადამიანები მარტო ამ სიყვარულის გულისთვის-ლა ცოცხლობენ.

პეტრუსმა მიაბო, რომ ამ ქოხში ცხოვრობდა ვინმე ბერი, სახელად ალფონსო, რომელსაც კომპოსტელაში თავისი პირველი ლოცვადმავლობის დროს შეხვედროდა, როცა ის თურმე ახლო-მახლოში საზრდოდ კენკრასა და ხიჩატელს რასმე აგროვებდა. ჩემი მეგზური, რომელიც ჩემზე ბევრად განათლებული კაცი იყო, მიყვებოდა პეტრუსი, ალფონსოს მეგობარი გამოდგაო, ასე რომ, სამივემ ერთად შევასრულეთ რიტუალი აგაპე, ანუ ცისფერი სფეროო. ასეთი მართლაც საოცარი რამ შთაბეჭდილება ჩემს ცხოვრებაში არცრას არ მოუხდენიაო, აღიარა პეტრუსმა. ის კი არა, ახლაც რომ ვასრულებ ამ სავარჯიშოს, ეს ქოხი და თვითონ ალფონსო რომ არ წარმომიდგეს, არ შეიძლებაო. არასოდეს ადრე არა მსმენია, რომ პეტრუსს აგრე მღელვარედ და გზნებით ელაპარაკოს.

— აგაპე ყოვლისმომცველი სიყვარულია, — კიდევ ერთხელ გაიმეორა მან, თითქოს ამ ფრაზამ ყველაზე უკეთესად განსაზღვრა სიყვარულის ეს უჩვეულო ნაირსახეობა, — მარტინ ლუთერ კინგმა ერთხელ როგორღაც შენიშნა, როცა ქრისტე ამბობდა, გიყვარდეს მტერი შენიო, მხედველობაში აგაპე ჰქონდაო. იმიტომ რომ „შეუძლებელია შენი მტრის სიყვარული, ვინც შენი ბოროტ-მოხარულია, ვინც სულ იმის ცდამია, რომ ჩვენი ისედაც არცთუ იოლი ცხოვრება სრულიად გაუსაძლისი გახადოს“, მაგრამ აგაპე ბევრად მეტია, ვიდრე ჩვეულებრივი აზრით გაგებული სიყვარული, რომელიც ვინმესადმი შინაგან სწრაფვას ან ლტოლვას გულისხმობს. ამ გრძნობის წყალობით, სულ ერთიანად რომ გვიპყრობს და არცრა

თავისუფალ უჯრედს წამლადაც არ გვიტოვებს, უმალ იცარება აგრესიის ყოველგვარი საცადელი.

შენ უკვე ისწავლე საკუთარი თავის აღორძინება, შენი თავის მიმართ სისასტიკის უარყოფა, შენს მაცნე-მაუნყებელთან ურთიერთობა, მაგრამ რასაც ახლა აკეთებ, და ისიც, რასაც სანტიაგოს გზის გავლის შემდეგ მიაღწევ, აზრს მხოლოდ მაშინ შეიძენს, თუ იმ ყველაფერს ყოველსმომცველი სიყვარული გააცისკროვნებს.

შენ აგაპეს ორ იპოსტასზე ლაპარაკობდი-მეთქი, შევახსენე პეტრუსს. და რახან განდევნილი არა ხარ, როგორც ჩანს, არც პირველ ფორმას იყენებ-მეთქი.

— ბატონი ბრძანდები. შენცა და მეც, და იმ ხალხის უმრავლესობა, ვინც სანტიაგოს გზას ადგას და RAM ორდენის პრაქტიკას სწავლობს, აგაპეს სხვაგვარად განვიცდით — ის აღმაფრენად, ანუ შთაგონებად გვევლინება.

ძველად ამ შთაგონებას ტრანსის, ანუ ექსტაზის — ღმერთთან კავშირის სახე ჰქონდა. აღმაფრენა ის აგაპეა, რომელიც მიმართულია რაღაც ნივთიერისა თუ გონების თვალთ განჭვრეტილისკენ. ეს ყველას გამოვლილი გააქვს. როს ვინმე გვიყვარს ან რაღაც მთელი სულითა და გულით გვწამს, თავს წუთისოფლის ბორბალზე უფრო ძლიერად ვგრძობთ და გასაოცრად გულდაჯერებულნი ვხდებით, რაც იმის შეგნებიდან გამომდინარეობს, რომ ვერცვინ რწმენას ვერ შეგვირყევს. ეს უჩვეულო ძალა ბევრს რასმე დროულად და მართებულად გვანყვეტინებს, და უკვე მიზანმიღწეულთ ხან თავად გვიკვირს, რაც შევძელით და გავახერხეთ. შეძლებით კი იმიტომ შევძელით, რომ როცა სამართლიან ომს ეწევი, არცრა დანარჩენს მნიშვნელობა აღარა აქვს, და აღმაფრენის ტალღა ჩვენი მიზნისკენ მიგვაქანებს.

აღმაფრენა მთელი თავისი ძალმოსილებით ჩვეულებრივ ჩვენი ცხოვრების პირველ წლებში ვლინდება. იმხანად ჯერ კიდევ ფუფალად სახელდებული ზეციერის ხმა გვესმის და თამაში ისე გვიტაცებს, რომ თოჯინები ცოცხლდებიან, ხოლო კალის ჯარისკაცუნები ნამდვილ ჯარისკაცთ არ ჩამოუვარდებიან. ქრისტე რომ ამბობდა, სასუფეველი ცათა შინა ყმანვილთ ეკუთვნითო, აღმაფრენად გამოვლენილი აგაპე ჰქონდა მხედველობაში. ყმანვილთ აინუნშიც არ მოსდიოდათ არც სასწაულნი, რომელთაც ის ახდენდა, არც იმისი სიბრძნე, არც ფარისეველნი, არც მოციქულნი. ყმანვილნი თამაშ-თამაშ აღმაფრენით მიდიან ქრისტესთან.

პეტრუსს გულახდილად გაფუზიარე, რაც მხოლოდ დღეს გახდა ჩემთვის ცხადი: სანტიაგოს გზამ სულ ერთიანად შემიპყრო. ესპანეთის ცის ქვეშ პეტრუსთან ერთად გატარებულმა დღეებმა და ღამეებმა თითქმის გადამაეციწყეს მახვილი, რომელსაც დავეძებდი, და ისინი მექცნენ ღირებულ და თავისებურად ერთადერთ შთაბეჭდილებად. ყოველივე დანარჩენმა კი თავისი წინანდელი მნიშვნელობა დაკარგა.

— აგერ დღეს მე და შენ თევზაობა გვინდოდა, თევზი კი ანკესს არ მოჰყვა, — განაგრძო პეტრუსმა. — ჩვენი აღმაფრენა ჩვეულებრივ ამდაგვარ წვრილმან და ნაკლებმნიშვნელოვან უსიამოვნებათა მსხვერპლი ხდება, რომელი უსიამოვნებანიც არცრა სახსენებელია სიცოცხლის სიდიადესთან შედარებით. აღმაფრენას ხშირად სულ უმნიშვნელო რამ მარცხი ან ის ხელის მოცარვა გვაკარგვინებს, რაც გარდაუვალია სამართლიან ომში. და რადგან ვერ გაგვიგია, თუ რაზომ დიდია აღმაფრენის ძალა, რომელსაც გამარჯვებისკენ მიყვავართ, ამიტომაც არცთუ

იშვიათად ხელიდან ვუშვებთ, შეველევიტ ხოლმე და, ის კი არა, ვერც ვამჩნევთ, რომ იმასთან ერთად ხელიდან გვისხლტება ცხოვრების ჭეშმარიტი აზრიც. მერე კი ვდგავართ და ლამის მთელ ქვეყნიერებას დავაბრალავთ ჩვენი ნაღვლიანობაც და მოწყენილობაც, ჩვენი მარცხიცა და ზიანიც. არადა არ გვინდა იმის გაგება, რომ ჩვენივე მიზეზით დაკვარგეთ ეს აღმაფრენად გამოვლენილი მომსვრელ-გამაცამტვერებელი და ყოველსგამამართლებელი ძალა — აგაპე.

ანაზად მდინარის პირას მიგდებული სასაფლაო გამახსენდა. უაზროდ დევერხინა, დიდი ალაყაფი დაკარგული აზრის სრული განსახიერება იყო. იმ ალაყაფის უკან მხოლოდ მკვდრები დარჩენილიყვნენ.

პეტრუსი თითქოს მიმიხვდა მიმოგონებას, რაღაც მსგავს ამბავზე აღაპარაკდა.

— იმ დღეს, ალბათ, ძალიან გაგიკვირდა, ოფიციალტს რომ ვეცი, რომელმაც ყავა გადამასხა შორტზე. მართალი გითხრა, ჩემი ჭუჭყიანი საგზაო შარვლის დარდი სულაც არა მქონია, უფრო იმ ბიჭის მდგომარეობამ შემანუხსა, — თვალბზე შევატყვე, რომ აღმაფრენა, როგორც გადაჭრილი ვენიდან სისხლი, ისე გადმოსდიოდა. სიცოცხლითა და ძალ-ღონით საგვე ჭაბუკი ჩემ თვალწინ ნელ-ნელა გვამი ხდებოდა, ცხედარი, რადგან აგაპეს ძალას კარგავდა. ცხოვრებაში ბევრი რამ მინახავს და ბევრ რამესთან შეგუებას მივეჩვიე... მაგრამ შეხედულებამაც და საქციელმაც იმ ბიჭისამ, რომელსაც ამქვეყნად არცთუ ცოტა სიკეთის ქმნა შეეძლო, მომშალა და თავზარი დამცა. ოღონდ ვიცი, რომ ჩემმა გულისწყრომამ გულში გადარჩენილი ნაპერწკალი გამოუღვიძა და შეუჩერა, თუნდაც მცირე ხნით, აგაპეს სიკვდილი.

შენ რაც გეხება, უნდა იცოდე, — როცა ეშმაკის განდევნა შეიძელი, რომელიც ნაგაზად მოგველინა, აგაპე ყველაზე უფრო ხალასი სახით განიცადე. მართლაც ვაჟკაცურად მოიქეცი, და ვამაყობ, რომ შენი ყოლაუზი ვარ, მეგზური. ამიტომაც, რაც ამ გზას დავადექი, პირველად შევასრულებ შენთან ერთად მომდევნო სავარჯიშოს.

და შემდეგ პეტრუსმა აგაპეს რიტუალი — ცისფერი სფეროს სავარჯიშო შემასწავლა.

**„ცისფერი სფეროს“ სავარჯიშო**

მოსერხებულად მოეწყვე და მოდუნდი. არავითარი ფიქრი, ნურაფერზე ნუ იფიქრებ.

1. შეიგრძნე, რა სასიხარულო ამბავია, ცოცხალი რომ ხარ. გული მოსიყვარულე და ლალი იქონიე, აპყე შენს გულს და თავი მეცხრე ცაზე მოაქცევიე, სადაც ყოველდღიური ცხოვრების პატარ-პატარა პრობლემები უმნიშვნელონი და არაფრის მთქმელნი ჩანან. შენი ბავშვობის დროინდელი რომელიმე სიმღერა გაიხსენე და წაიღიღიე. წარმოიდგინე, რომ გული გიდიდდება, გეზრდება და თანდათან ჯერ მთელ ოთახს, მერე კი მთელ სახლსაც, სადაც ბინა დაგიდვია, — კაშკაშა ცისფერი ნათლით ავსებს.

2. ამ წუთამდე რომ მიხვალ, იგრძნე შენ გვერდით წმინდანთა ყოფნა (ანგელოზთა ან სხვა არსებობა), რომელნიც განამდნენ შენს ბავშვობაში. ეცადე, რომ დაინახო, როგორ გაიხლოვდებიან ისინი ყოველი მხრიდან, გიღიმიან, რწმენასა და ნდობას გიმტკიცებენ.

3. შემდეგ წარმოიდგინე, როგორ მოგადგნენ ზედ ისინი, სუყველა თავზე ხელს გადებს და ერთპირ გისურვებენ სიყვარულს, მშვიდობას, სრულიად სოფელ-ქვეყანასთან თანაზიარობას — ეს წმინდანთა ზიარებაა, შეიძთა საიდუმლოთაგანი.

4. ეს შეგრძნება როს გაგიმძაფრდება, წარ-

მოიდგინე, რომ შენი წილ-გვამის გავლით, როგორც მოციანგე მდინარე, დის ცისფერი ნათლის ღვარი. ეს ნათელი მთელ შენს სახლს მოედება, მერე გარემო სახლებს, მთელ ქალაქს, სრულიად ქვეყანას. დაბოლოს, უზარმაზარ ცისფერ სფეროდ გადაიქცევა, რომელიც მთელ ქვეყნიერებას მოიცავს. ეს დიდი სიყვარულის გამოვლინებაა, რაც შენი ყოველდღიური ცხოვრების საზღვართ გადადის, სულს გიმხნევებს და ძალ-ღონეს გმატებს, ენერგიით გმუხტავს და გამშვიდებს.

5. განაგრძე მეცადინეობა, ყველაფერი ილონე, რომ არამც და არამც არ ჩაგიქრეს ეგ მთელ ქვეყნიერებას მოდებული ნათელი, ანუ შენი გადახსნილი გულიდან ამოფრქვეული სიყვარული. სავარჯიშოს ამ ნაწილის შესრულება საჭიროა არანაკლებ ხუთი წუთის განმავლობაში.

6. ნელა და თანდათან გამოდი ტრანსიდან და ჩვეულ მდგომარეობას დაუბრუნდი. წმინდანთა გუნდი კვლავაც შენ გვერდით დარჩება. ცისფერი ნათელი ისევ მთელ ქვეყნიერებას იქნება მოდებული.

ეს რიტუალი შეიძლება, სასურველიც კია, რომ ერთმა არ შეასრულოს. ასეთ შემთხვევაში მონაწილენი ხელიხელჩაკიდებულნი არიან მთელი სავარჯიშოს მანძილზე.

— წაგეხმარები, აღმაფრენას გამოგაღვიძებინებ და თანდათან შევქმნი ძალას, რომელიც ცისფერი სფეროს სახით მთელ დედამიწას მოიცავს, — მითხრა მან, — რითაც დაგიმტკიცებ, თუ რა დიდი პატივისცემის გრძნობით ვარ გამსჭვალული როგორც შენი პიროვნების, ისე შენი ძებნა-ძიების მიმართ.

აქამდე პეტრუსს არანაირად — არც ცუდად, არც კარგად — არ გამოუთქვამს თავისი აზრი, როგორ ვასრულებდი სავარჯიშოებს. მან დამაწყარებინა პირველი კავშირი ჩემს მაცნე-მაუწყებელთან და დროულად გამომიყვანა ტრანსიდან, როდესაც მარცვლის სავარჯიშოს ვასრულებდი, მაგრამ არცერთხელ არ გამოუხატავს თავისი რამენაირი დამოკიდებულება ჩემი რომელიმე წარმატებისა თუ მიღწევის მიმართ. ვინ იცის, რამდენჯერ ვუთხარი, რატომ არ მეკითხები, როგორ ვმეცადინეობ, რას ვაკეთებ-მეთქი, ის კი მუდამ ერთსა და იმავეს მეუბნებოდა, როგორც შენს მეგზურსა და ეტიკს, ერთადერთ მოვალეობად მაკისრია, რომ ამ გზით გატარო და RAM ორდენის პრაქტიკა შეგასწავლო. ხოლო მიხარია თუ არ მიხარია, როცა წარმატები ხოლმე, ან მწყინს თუ არა მწყინს, როცა რასმე თავს ვერ ადგამო, ეგ ჩემი პირადი საქმეაო.

და ამიტომ რახან მითხრა, მომდევნო სავარჯიშოს შენთან ერთად მეც შევასრულებო, უცებ თავში დამკრა, ეტყობა, პეტრუსი ჩემით მთლად გულსავსედ ვერ არის-მეთქი. ყველაზე კარგად, რასაკვირველია, მე თავად ვიცოდი, რაშიც სუსტი ვიყავი და ხშირად ვეჭვობდი, ვაითუ სანტიაგოს გზა ბოლომდე ვერც გამატაროს-მეთქი. ერთი დაპირება დავაპირე, რომ ეს ყველაფერი პირდაპირ მეთქვა, მაგრამ სიტყვა შუაზე გამაწყვეტინა.

— ნუ იქნები სასტიკი შენი თავის მიმართ, თორემ ისე გამოვა, რომ წინა გაკვეთილები არ აგითვისებია. კეთილად მოექეცი საკუთარ თავს. დაიჯერე, რომ დაიმსახურე და მაღალი შეფასების ღირსი ხარ.

თვალეზე ცრემლი მომადგა. პეტრუსმა ხელი მომიკიდა და ქოხიდან გამომიყვანა. ღამე დღეს ჩვეულებრივზე ბევრად ბნელი იყო. გვერდიგვერდ

დავსხედით და სიმღერა წამოვიწყეთ. ჰანგი ჩემში თავისთავად იბადებოდა, ისიც ხალისიანად ამდევდა. სიმღერასთან ერთად ნები ნებსა ვკარი და სუსტი ტანის ხმაში თან მთელი ტანით ვირწნოდი. ტანის ხმა ნელ-ნელა მატულობდა, საგალობლად ქცეული სიმღერა კი ღამეულ წყვილადმი სულ მალ-მალა და მალა მიიწევდა, უდაბურ მინდორ-ველს ეფრქვეოდა და უსიცოცხლოდ აყუდებულ კლდეებში ხშიანობდა.

უცებ ჩემ თვალწინ წმინდანთა სახეები გაჩნდნენ, ხატები — პატარაობაში სუყველა მწამდა, ოღონდ მერე ცხოვრებამ გაგყარა, — და მაშინ მივხვდი, რაოდენ ბევრი რამ დავკარგე, როცა ჩემში აგაპეს ნაწილი ჩავკალი. მაგრამ ან ყოველსმომცველი სიყვარული სულგრძელად დამიბრუნდა, და წმინდანთა გუნდი ცით ისევე გულთბილად და ნაზად ჩამომლიმოდა, როგორც ამას არაერთხელ შევსწრებივარ ჩემს პატარაობაში.

ხელები გავშალე, აგაპეს ძალას თავისუფლად დინების სავალი დაუფდე, და ცისფერი ნათლის იდუმალმა ღვარმა განმიბანა სული, თუ რამ ცოდვა მქონდა, სულ ჩამომრეცხა. ჩემგან გამომავალმა ნათელმა ჯერეთ შემოგარენი დატბორა, მერე სრულიად ქვეყნიერებას მოედო, და ავტირდი. ავტირდი, რადგან ჩემში მკვდრეთით აღდგა ის აღმაფრენა, რომელსაც ბავშვობაში განვიცდიდი, სიცოცხლეს კვლავაც ყრმად მოვევლინე, და ამ წუთისოფელში აღარაფერს არ შეეძლო ჩემი ვნება. უეცრად ვიგრძენი, რომ მარჯვნივ ვილაცა მედგა გვერდით. ვიფიქრე, ალბათ, ჩემი მაცნე-მაუწყებელი თუ მოვიდა-მეთქი, რამეთუ მხოლოდ იმას შეეძლო ამ კაჟკაჟა ცისფერი ნათლის ხილვა, აგრერიგად რომ იღვრებოდა ჩემში და თანაც გადმოედინებოდა ჩემგან მთელი ქვეყნიერების დასატბორავად.

ნათელი სულ უფრო კაჟკაჟდებოდა, და ისეთი შეგრძნება გამიჩნდა, რომ ის, მთელ ქვეყნიერებას მოდებული, ახლა სუყველა ჭერქვეშ აღწევდა, თუ სადმე ერთი სახლი იდგა. ყოველს უფრო მივარდნილ და ყრუ ადგილთ ასინათებდა და დედამიწის ზურგზე თითოეულ ცოცხალ არსებას, თითოეულ მშენივერს თუნდაც წამიერად მაინც ეხებოდა.

...ვილაცამ თავისი ხელეუბნი წააშველა ჩემს აბყრობილ, თითქმის თვით ცამდე აწვდილ ხელებს. და იმწუთას ცისფერი ნათლის იმისთანა ნიაღვარი მეტკავა, მიკვირს, ცნობა როგორ არ წამერთვა. მაგრამ მაინც შევქელი და ნიაღვრად მოვარდნილ ცისფერ ნათელს კიდევ რამდენიმე წამს გაუჭელი, ვიდრე სულ არ მიწყდა და მიჩუმდა ჩემში აულერებული მუსიკა.

სრულ უილაჯობას კი ვგრძნობდი, ოღონდ ამავე დროს საოცრად თავისუფალი და უბედნიერესი კაცი ვიყავი იმის გამო, რაც ერთი წამის წინათ განვიცადე, და ერთბაშად მოვეშვი. ხელები, რომელთაც ორსავე მხრიდან ვეჭირე, მომესხნა. მივხვდი, რომ მარცხნივ პეტრუსი იყო, და სულის სიღრმეში უკვე საცნაურვეყვი, ვინც მარცხნივ მედგა.

თვალეები გავახილე და ჩემ გვერდით მართლაც ბერი ალფონსო დავინახე. მან გამიღიმა და ესპანურად მითხრა, საღამო მშვიდობისაო. პასუხად მეც ღიმილი შევაგებე, მერე ხელი გამოვართვი და მაგრად მივიკარი გულზე. არ შემწინააღმდეგებია, ოღონდ მალევე ფრთხილად გამაშვებინა.

გაგრძელება იქნება

თარგმნა  
გურამ გოგიაშვილმა





ხუან წარლოს  
ონეტი

ის ენა მდიდარი და არაერთმნიშვნელოვანია. ამ  
ენით იგი ქმნის საოცარ სამყაროს, სადაც პერ-  
სონაჟები კვლავ და კვლავ დაუღალავად მი-  
ისწრაფვიან თავიანთი აუხდენელი ილუზიების  
ახდენისაკენ.

ხუან კარლოს ონეტი დაიბადა 1909 წელს ურუგვაიში, მონტევიდეოში. 1963 წელს — ეროვნული ლიტერატურული პრემიის, 1980 წელს კი სერვანტესის პრემიის მფლობელი გახდა.

გარდა რომანებისა და მოთხრობებისა, ონეტი არაერთი ლიტერატურულ-კრიტიკული წერილის ავტორია. თავისი პირველი წიგნი სახელწოდებით „უფსკრული“ საკმაოდ გვიან, 1939 წელს გამოუშვა. ამავე სახელწოდების მოთხრობიდან იღებს სათავეს მისი თითქმის ყველა მომდევნო ნაწარმოები. ამავე წელს ონეტი ბუენოს-აირესში გადადის საცხოვრებლად და უნივერსიტეტში იწყებს მუშაობას. პარალელურად, წარმატებით საქმიანობს სხვა სფეროებშიც — მონტევიდეოს მუნიციპალური ბიბლიოთეკის დირექტორად და საინფორმაციო სააგენტო „როიტერის“ ჟურნალისტად.

1973 წელს, როცა არგენტინაში დიქტატურული რეჟიმი მყარდება, ონეტის აპატიმრებენ, რაც მთლიანად ცვლის მის ცხოვრებას. ციხიდან გამოსვლის შემდეგ ონეტი ესპანეთში გადადის საცხოვრებლად, სადაც სიცოცხლის ბოლომდე რჩება.

ლათინური ამერიკის ორი ისეთი დიდი მწერალი, როგორებიც არიან მექსიკელი კარლოს ფუნტესი და პერუელი ვარგას ლიოსა, მას თანამედროვე ლათინურამერიკული რომანის ფუძემდებლად მიიჩნევენ. ონეტის ნაწარმოებების მთავარი თემაა მეოცნებე ადამიანი, რომელიც არ თმობს ილუზიას, თუმცა გაცნობიერებული აქვს მისი აბსურდულობა. ონეტის ხშირად შიშის მწერალსაც უწოდებენ და ლაპარაკობენ დოსტოევსკის, ფოლკნერის, რობერტო არლუტის გავლენებზე მის შემოქმედებაში. მისი თხზულებებ-

## ხეთილი იყოს შენი მობრძანება, ბობ

დღითი დღე ბერდებოდა. სულ უფრო შორდებოდა იმ დროს, როცა ბობი ერქვა და საფეთქლებზე ქერა კულულები ეყარა. სახეზე ღიმილითა და გაბრწყინებული თვალებით უხმაუროდ შემოდიოდა ბარში, ხმადაბლა გვესალმებოდა და ხელის წელი მოძრაობით ყურთან თმას ისწორებდა. პიანინოსთან ახლოს, ლამპის ქვეშ ჯდებოდა ხოლმე და წიგნს კითხულობდა.

ხანდახან სულ ჩუმდებოდა და ფიქრებში ჩაძირულს შეეძლო საათობით ეცქირა ჩვენთვის ისე, რომ სახეზე ნაკვთიც არ გაჰკრთომოდა. დროდადრო თითებზე სიგარეტს სრესდა და ღია ფერის ტანსაცმლის საყვლოდან ფერფლს იფერთხავდა.

ახლა მას რობერტო ჰქვია, ხველებისას ჭუჭყიანი ხელს იფარებს პირზე და ნებისმიერი სასმელი ათრობს. უკვე აღარაფერი აქვს საერთო იმ ბობთან, გრძელ ღამეებში მხოლოდ ორ ბოთლ ლუდს რომ სვამდა და მაგიდაზე მუსიკალური აპარატისთვის გადადებული ხურდის მთელი გროვა ეყარა. როგორც წესი, მარტო იჯდა ხოლმე და

ფერმკრთალი და გარინდებული, ბედნიერი სახით უსმენდა მუსიკას. გვერდზე რომ ჩავუვლიდი, თავის დაკვრაც კი უჭირდა მოსასალმებლად. სანამ იქ ვიყავი, თვალს არ მაცილებდა და მეც ვცდილობდი, გამეძლო მისი დაჟინებული და დამცინავი მზერისთვის, ასე დაუფარავად რომ მაგრძნობინებდა სიძულვილს. შაბათობით ერთ ბიჭს ხვდებოდა ხოლმე, ისიც მასავით გიჟურად ახალგაზრდა იყო. საუბრობდნენ სოლოებზე, საყვირებზე, ორკესტრებზე და კიდევ იმ უსასრულო ქალაქზე, ბობი რომ ააშენებდა სანაპიროზე, როცა არქიტექტორი გახდებოდა. ჩემს დანახვაზე ლაპარაკს წვეტდა, მესალმებოდა და თან თვალს არ მაცილებდა. მისი ტუჩის კუთხეებს ჩურჩული და ღიმილი სხლტებოდა ხოლმე, რასაც მისი მეგობრის დაჟინებული მზერა მოჰყვებოდა. და ეს სიჩუმე კიდევ უფრო მიმძაფრებდა უხერხულობისა და დამცირების განცდას.

ხანდახან ძალას ვიკრებდი და ვცდილობდი, მისთვის თვალი გამესწორებინა. სახეს იდაყვზე ვაყრდნობდი და სიგარეტის კვამლს თავს ზემოთ



ვუშვებდი ისე, რომ თვალსაც არ ვახამხამებდი. ჩემი სახე ამ დროს ცივი და მელანქოლიური უნდა ყოფილიყო, ამიტომაც ძალ-ღონეს არ ვიშურებდი ამ გამომეტყველების შესანარჩუნებლად. იმ დროს ბობი ძალიან ჰგავდა ინესს. ეს მსგავსება კლუბის მეორე ბოლოდანაც ჩანდა, დარბაზის მიღმაც ატანდა და ხანდახან, როცა მას ვუყურებდი, მეგონა, ჩემ წინ ინესი იდგა. მაგრამ, ჩვეულებრივ, ბობის თვალებს გავურბოდი, მისგან ზურგმექცევით ვჯდებოდი და მეგობრებთან ხალისიან საუბარს გავაბამდი ხოლმე. ზოგჯერ ვმუნჯდებოდი და სევდიან სახეს ვიღებდი, რათა ბობს ეფიქრა, რომ მისი სიძულვილის მიუხედავად, რალაცით მაინც ვგავდით ერთმანეთს. ხანაც ერთ-ორ ჭიქას გადავკრავდი და გულში ვამბობდი: „მიდი, ბობ, გაიქეცი და დამაბუზღე შენს დაიკოსთან“, — თან ჩემს მაგიდასთან ჩამომხდარ გოგონებს ხელებზე ვეფერებოდი და ნაირ-ნაირ ისტორიებს ვთხზავდი მათ გასამხიარულე-ბლად, რათა მათ ხმაბლად სიცილს ბობის ყურამდე მიეღწია.

მაგრამ რაც უნდა ჩამედინა მაშინ, ბობი ყოველთვის აუღელვებელი რჩებოდა, თუმცა დარწმუნებული ვარ, ყველაფერს იმახსოვრებდა და ჩემს კომედიებსაც სათითაოდ ინერდა გონებაში.

კისრამდე შეკრული ლაბადა ეცვა და ხელები ჯიბეებში ეწყობ. თავის დაკვრით მომესალმა, ირგვლივ მიმოიხედა და გზა განაგრძო, თითქოს ამ ჩქარი მოძრაობით მომიშორაო. ვხედავდი, როგორ დააბიჯებდა მაგიდის გარშემო დაგებულ ხალიჩაზე თავისი ყვითელი რეზინის ფეხსაცმელებით. მერე თითოთ ყვავილს შეეხო, მაგიდის კიდესთან ჩამოჯდა და სიგარეტს მოუკიდა, თან ლარნაკს უყურებდა. ჩემ თვალწინ მკაფიოდ იკვეთებოდა მისი ჩაფიქრებული, ოდნავ გადახრილი პროფილი. პიანინოს ვიყავი მიყრდნობილი, როცა შემთხვევით მარცხენა ხელი კლავიშს ჩამოვკარი, მერე კი იძულებული გავხდი, ყოველ სამ ნუთში ერთხელ გამემეორებინა ეს მოძრაობა და თვალეში მეცქერა მისთვის.

იმნუთას მის მიმართ მხოლოდ ზიზღსა და სამარცხვინო პატივისცემას ვგრძნობდი და მსდლის სიმშაგით ვურტყამდი კლავიშს, რომლის ხმაც გამაყრუებლად გაისმოდა გარინდებულ სახ-



ლში. უცებ მომეჩვენა, რომ ამ ყველაფრის მიღმა ვარ და სცენას ზემოდან დავყურებ, როგორც კიბიდან ანდა კარში. ვხედავდი და ვგრძნობდი მდუმარე ბობს, საკუთარი სიგარეტის მთრთოლარე კვამლში გახვეული სიბრაღულით რომ მიმზერდა, მე კი ამ დროს, მაღალი და მოუქნელი, ოდნავ პათეტიკური და ოდნავ კომიკური, საღამოს ბინდში ზუსტად ყოველ მესამე ნუთს ისევ და ისევ ჯიუტად ვურტყამდი საჩვენებელ თითს კლავიშს. და მოულოდნელად მივხვდი, რომ პიანინოს ეს ხმა შემთხვევითი არ იყო, ეს ჩემი ამომახილი იყო, ჩემი სულის სიღრმეიდან ამომავალი ბგერა, რომლის თითოეულ ვიბრაციას ჩემი თითი უსასრულოდ იმეორებდა პიანინოზე. ეს იყო ბოლოს და ბოლოს მიგნებული ერთადერთი სავედრებელი სიტყვა, რომლითაც შენდობასა და თანაგრძნობას ვითხოვდი მისი უმონყალო ახალგაზრდობის წინაშე. ის ისევ გაუნძრევლად იდგა, როცა ინესმა საძინებლის კარი გამოაღო, კიბეს ჩამოუყვავა და ჩემთან მოიბრბინა. ბობი გასწორდა და ნელ-ნელა პიანინოს მეორე ბოლოსკენ დაიძრა. იდაყვს დაეყრდნო, ერთი ნუთით თვალი გამისწორა და შემპარავი ღიმილით მკითხა: „ეს ვისკის ღამეა თუ ლოგინის? დალუპვისა თუ გადარჩენის?“

გაოგნებისგან ხმა ჩამივარდა, დაკვრა შევწყვიტე და ხელი ნელ-ნელა ავიღე პიანინოდან. ინესი ჯერ კიდევ კიბეზე ადიოდა, როცა ბობმა მითხრა: „ეს, ალბათ, იმპროვიზაციაა, არა?..“

...სამი თუ ოთხი თვე საშინლად ვიტანჯებოდი, მაგრამ ღამლამობით კლუბში მაინც დავდიოდი. მახსოვს, მაშინ ჩოგბურთის ჩემპიონატი იყო და თუ ერთხანს კლუბში არ გამოვჩნდებოდი, ბობი განსაკუთრებული ზიზღითა და ირონიით სავსე თვალეებით მესალმებოდა ხოლმე, მერე კი კმაყოფილი სახით ვჯდებოდა თავის ადგილას.

როცა დრო დადგა და ინესზე დაქორწინება გადაწყვიტე, ბობმა ტაქტიკა შეცვალა. არ ვიცი, როგორ მიხვდა, რა ძლიერად მსურდა მის დაზე დაქორწინება და როგორი ძალით ვებლაუჭებოდი ამ შესაძლებლობას. ეს სიყვარული იმდენად აუცილებელი იყო ჩემთვის, რომ სრულიად მომწყვდიტა წარსულსაც და აწმყოსაც. იმ დროს ბობი სულაც არ მანადვლებდა, მხოლოდ მოგვიანებით მივხვდი, რომ რალაც ხდებოდა. ერთხელ, როცა კუთხეში უმოძრაოდ მდგარი კბილებში საღანძღავ სიტყვებს ვცრიდი, უცებ დავინახე, როგორ შეცვლილიყო მის სახეზე დამცინავი გამომეტყველება გულგრილობით. მიყურებდა და თითქოს თავისთვის რალაცის გათვლას ცდილობდა, თითქოს სახიფათო და რთული დავალების შესასრულებლად ემზადებოდა და საკუთარ ძალებს აფასებდა ბრძოლის წინ. მაგრამ მაშინ ამისთვის ყურადღება არ მიმიქცევია და როცა მის ცივსა და გაშეშებულ სახეს ვუცქეროდი, იმასაც კი ვფიქრობდი, რომ ყველა ჩემი საიდუმლო იცოდა. ამ ნანატრ ქორწინებას თითქოს ზედაპირზე ამოეტანა წლების ქვეშ დამარხული ჩემი ახალგაზრდობის დროინდელი სისპეტაკე, რითაც კიდევ უფრო ვემსგავსებოდი ერთმანეთს.

მივხვდი, რომ ბობი მხოლოდ ხელსაყრელ დროს ელოდა. როცა ის ღამე დადგა, მარტო ვიყავი. ბობი მომიახლოვდა, ჩემს მაგიდასთან ჩამოჯდა და ოფიციალტი ხელის მოძრაობით დაითხოვა. ერთხანს ვაკვირდებოდი მის სახეს. ძალიან ჰგავდა ინესს, როცა საუბრისას წარბებს ამოძრავებდა და ცხვირის წვერი ეჭყლიტებოდა ხოლმე.

„თქვენ ინესზე არ დაქორწინდებით“, — თქვა მან. შევხედე, გამელიმა და თვალი ავარიდე. „არა, მასზე არ დაქორწინდებით, ეს არ მოხდება, რადგან დარწმუნებული ვარ, გამოჩნდება ვინმე, საკ-

მარისად გაბედული, რომ ხელი შეგიშალოთ“. ისევ გამეღიმა: „ეს რომ რამდენიმე წლის წინ მომესმინა, აუცილებლად შევეცდებოდი ინესზე დაქორწინებას, ახლა კი ჩემთვის სულერთია, თუშეცა შემიძლია მოგისმინოთ, თუკი რაიმეს ახსნას აპირებთ“.

თავი გაასწორა და მდუმარედ განაგრძო ჩემი ყურება. ალბათ, სიტყვები მზად ჰქონდა და ელოდებოდა, როდის დავასრულებდი სათქმელს.

„იქნებ ამიხსნათ, რატომ არ უნდა დაქორწინდე მასზე?“ — ვთქვი ნელა და კედელს მივეყუდე. უცებ ვიგრძენი, რომ იმაზე მეტად ვძულდი, ვიდრე მეგონა, სახე გაფითრებოდა, ზიზღიან ღიმილს მოკუმული ტუჩებითა და კბილებით იკავებდა: „თავებად მომიწევს დაყოფა, თუ დავიწყე, მთელი ღამე ვერ მოვრჩები“.

„შეგიძლიათ, ორი-სამი სიტყვით მითხრათ“.

„მასზე ვერ დაქორწინდებით, რადგან ის ახალგაზრდაა, თქვენ კი ბებერი. არ ვიცი, ოცდაათის ხართ თუ ორმოცის, ამას არა აქვს მნიშვნელობა. თქვენ უკვე შემდგარი კაცი ხართ, უფრო სწორად, ვერშემდგარი, როგორც ყველა თქვენი ხნის კაცი, რომელიც განსაკუთრებულობით არ გამოირჩევა“.

ჩამქრალი სიგარეტი მოქაჩა, ფანჯარაში გაიხედა და ისევ მომიბრუნდა. თავით კედელზე ვიყავი მიყრდნობილი და თვინიერად ვუსმენდი.

„თქვენ, ალბათ, დარწმუნებული ხართ საკუთარ განუმეორებლობაში, დარწმუნებული ხართ, რომ ბევრი რამ გადაარჩინეთ გემის ჩაძირვისას, მაგრამ ეს ასე არ არის“.

ვაბოლებდი და მის პროფილს ვუმზერდი. მაღლიზანებდა, მაგრამ ყურადღებას არ ვაქცევდი, მხოლოდ გულგრილ ზიზღს ინვევდა ჩემში. დარწმუნებული ვიყავი, რომ რაც ინესზე დაქორწინება საბოლოოდ გადავწყვიტე, აზრს ვერაფერი შემაცვლევინებდა. ორივენი ერთ მაგიდასთან ვისხედით და მეც ისეთივე სუფთა და ახალგაზრდა ვიყავი, როგორც ის. „იქნებ გეშლებათ, დაასახელოთ ერთი მაგალითი მაინც, რაც ჩემში შეუმდგარია!“ „არა, არა, — მიპასუხა მან აჩქარებით, — არც ისეთი გულუბრყვილო ვარ, ამ თამაშში აგყვეთ. თქვენ ეგოისტი ხართ და ბინძურად მგრძნობიარე, ამოების მონა ხართ და იმ ყველაფრისა, რაც მის უკან იმალება. არსაითკენ არ მიისწრაფვით, ამის სურვილიც კი არ გაქვთ. ეს არის და ეს. თქვენ ბებერი ხართ, ის კი ახალგაზრდა. იმის გაფიქრებაც კი არ მინდა, რომ ის თქვენი გვერდით იქნება. თქვენი გინდათ, რომ...“

მასმინაც კი ვერ შევძელი, მისთვის სახე გამეპო. თავი ავარიდე, მუსიკალურ აპარატთან მივედი, რალაც მელოდია ავირჩიე და მონეტა ჩაეაგდე. ზანტად დავუბრუნდი ჩემს ადგილს და მუსიკაში ჩავიძირე. სევდიანი სიმღერა იყო. ვილაც ტკბილად მღეროდა, დიდი პაუზებით. ჩემ გვერდით ბობი ამტიკცებდა, რომ არავინ, მისი ჩათვლით, ღირსი არ იყო, ინესისთვის თვალბში ჩაეხედა. „საბრალო ბიჭი“, — გავიფიქრე აღფრთოვანებით. ამბობდა, რომ ყველაზე ამაზრზენი იმაში, რასაც ის სიბერეს უწოდებს და რაც მის ხრწნას განსაზღვრავს, არის ყველაფერზე მზა შეხედულებების ქონა, ყველა ქალის გაერთიანება სიტყვაში „ქალი“, რომლებსაც აიძულებ, მიიღონ ის ფორმა, რასაც შენი უბადრუკი გამოცდილება გკარნახობს. გამოცდილებაც კი არ არის მთლად შესაფერისი სიტყვა. უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ ეს არის ჩვევა, რომელსაც იძულებით ახვევ თავს საგნებს, რათა ისინი შენი სურვილისამებრ გარდაქმნა. მიახლოებით ამას ამბობდა. მსიამოვნებდა იმაზე ფიქრი, თვითონ მოკვდებოდა თუ რაიმე ხერხს

მოიგონებდა ჩემს მოსაკლავად, იმნუთას რომ მეთქვა, რა სურათებს ბადებდა ჩემში მისი ნათქვამი, რომ მასაც არა აქვს უფლება, თითის წვერით შეეხოს ინესს ან მისი კაბის კალთას, ანდა მისი ნაფხუტები კოცნოს...

პაუზის შემდეგ მუსიკა დამთავრდა, აპარატის შუქები ჩაქრა და სიჩუმე გაძლიერდა. „სულ ესაა“, — თქვა ბობმა და ნავიდა მისთვის ჩვეული თავდაჯერებული ნაბიჯით — არც ჩქარა, არც ნელა.

თუკი ოდესმე ინესის სახე ბობის ნაკვთებს აცოცხლებდა ჩემში, თუკი ყოფილა წუთი, როდესაც დამშური მსგავსება მაფიქრებინებდა, რომ ჩემ წინ ინესი კი არა, ბობია, — იმ უკანასკნელ დღეს, როდესაც გოგონას შევხვდი. ზუსტად ორი ღამის შემდეგ, შუადღისას დავთქვით მორიგი პაემანი, რაც ჩემი უიმედო მდგომარეობით იყო გამოწვეული. თავიდანვე ვგრძნობდი, რომ აზრი აღარაფერს ჰქონდა, არც ჩემს მჭევრმეტყველებას და არც ჩემს იქ ყოფნას, ჩემი სასოწარკვეთილი ვედრება ისე უცნაურად გაქრებოდა და მოკვდებოდა ღია მწვანე ფოთლების ქვეშ, მოედნის უზარმაზარ ცისფერ სივრცეში, თითქოს არც არასოდეს მეთქვას.

ინესის წვრილ და მოძრავ სახის ნაკვთებში ბობის სიძულვილი ამოვიკითხე, რაც გოგონას სინრფელესა და მღელვარებასთან იყო შერწყმული. მაგრამ როგორ მელაპარაკა მასთან, როგორ შევხებოდი ქალს, რომელიც ასე შორს ნასულიყო ჩემგან და ასეთი უცხო გამხდარიყო ბოლო ორი პაემნის დროს.

როგორ გამეცოცხლებინა გონებაში ქალის ორი სახე, რომლებიც ერთნაირი შეუპოვრობით განაგრძობდნენ არსებობას ორ განსხვავებულ დროს, ორ სხვადასხვა ადგილას — ქალი, გაქვავებული გრძელი სხეულით სავარძელში, საკუთარ სახლში და ქალი მოედნის სკამზე, დაჭიმული კისრით, წინ წამოწეული თვლებით, მოკუმული პირით, მუხლებში ჩაფლული ხელებით.

ვუყურებდი და ვგრძნობდი „არას“. დარწმუნებული ვიყავი, რომ მთელი ჰაერი მის ირგვლივ „არას“ მეუბნებოდა.

არ ვიცი, რა უამბო ბობმა ჩემ შესახებ ინესს. ნებისმიერ შემთხვევაში დარწმუნებული ვარ, რომ არ იცრუებდა, რადგან ვერაფერი, თვით ინესიც კი, ვერ აიძულებდა ტყუილი ეთქვა. მას მერე ინესი არ მინახავს, არც მისი უსიცოცხლო, გატანჯული არსება შემხვედრია სადმე. ვიცი, რომ ტანსოვდა და ბუენოს-აირესში აღარ ცხოვრობს. მაშინ, სიძულვილისა და ტანჯვის წუთებში, მსია-მოვინებდა კიდეც იმის წარმოდგენა, როგორ ფიქრობდა ბობი ჩემზე და სხვადასხვა შემთხვევას შორის ირჩევდა ერთს ან რამდენიმეს, რათა მოეკლა ინესი ჩემთვის და მე — ინესისთვის.

ახლა უკვე ერთი წელია, რაც ბობს ყოველდღე ვხვდები იმავე კაფეში, იმავე ხალხით გარშემორტყმულს. მას ახლა რობერტო ჰქვია და როცა ერთმანეთი გაგვაცნეს, მივხვდი, რომ არ არსებობს ზღვარი გუშინდელსა და ათი წლის წინანდელს შორის.

მის სახეზე კვლავ ჩანდა ინესის მქრალი კვალი და ბობის ტუჩის მოძრაობამ გოგონას თხელი სხეული კვლავ გააცოცხლა ჩემში, თითქოს მისი ჩემი, ჰაეროვანი ნაბიჯების სმა ჩამესმოდა და ისევ ის ცისფერი წრფელი თვალბი მიმზერდნენ მსუბუქი ვარცხნილობის ქვემოდან, რომელსაც ნითელი ბაფთით იმაგრებდა ხოლმე. მისი გამქრალი და სამუდამოდ დაკარგული არსება ცოცხლად და ხელშეუხებლად ინახებოდა ჩემში და შეუძლებელი იყო აგრეოდა სხვებში. იგი არავის ჰგავდა, რადგან სამუდამოდ ერთგუ-

ლი დარჩენილიყო საკუთარი თავისა. სამაგიეროდ, ძნელი იყო რობერტოს სახეზე ბობის კვალის ამოკითხვა და მისი ხელახლა შეზიზღება. პირველი შეხვედრისას საათები ველოდე მის მარტო დარჩენას. ვუცდიდი, როდის გამოვიდოდა სალაპარაკოდ, რათა თავს დავსხმოდი. ჯაშუშით ვაკვირდებოდი მის სახეს და ვხედავდი ინესს კაფეს მბრწყინავ ვიტრინებში, გულში შეურაცხყოფელ სიტყვებს ვიმეორებდი და ლმობიერ ტონსაც კი მივაგენი, რომლითაც ამ ყველაფერს ვეტყოდი. ის ადგილიც ვიცოდი მის სხეულზე, სადაც პირველად დავარტყამდი, მაგრამ დაღამდა თუ არა, მეგობრებთან ერთად გავიდა. გადავწყვიტე, ისევ დავლოდებოდი, როგორც წლების წინ ვუცდიდი ხოლმე მის მარტო დარჩენას...

იმ დღიდან, როცა ისევ ვნახე, ჩვენი მეორე მეგობრობა დაიწყო, რომელიც არ მსურს ოდესმე დამთავრდეს. ყოველგვარ თავდასხმაზე ფიქრს საბოლოოდ შევეშვი, გადავწყვიტე არასდროს მესენებინა ინესი და წარსული. ახლა სწორედ ამას ვაკეთებ ყოველ საღამოს ბობთან და დანარჩენებთან ერთად. ჩემს სიძულვილს მსურვალედ ვინახავ, თუმცა რობერტოსთან ცხოვრებასა და საუბარს ძველებურად ვაგრძელებ. ჩემი შურისძიების შესახებ არავინ იცის, მაგრამ ის ჩემთან ერთად ფეთქავს დღიდან დღემდე, მსურვალე და გამძვინვარებული. ჩვენ ვსაუბრობთ, ვიცინით, ვაბოლებთ, ყავას ვსვამთ.

გამუდმებით ვფიქრობ ბობზე, მის სინრფელზე. მის რწმენასა და გაბედულ ოცნებებზე. მახსენდება ბობი, რომელსაც მუსიკა უყვარდა, რომელიც ოცნებობდა, უკეთესი ცხოვრება ეჩუქებინა ადამიანებისათვის და თვალისმომჭრელი სილამაზის სუთმილიონიანი ქალაქი აეშენებინა მდინარის სანაპიროზე; ბობი, რომელიც ტყუილს ვერ ამბობდა, რომელიც სათავეში ედგა ახალგაზრდობის ბრძოლას სიბერის წინააღმდეგ; ბობი — მომავლისა და მსოფლიოს მბრძანებელი. გულგრილად ვფიქრობ ამ ყველაფერზე, გვერდით კი კაცი მიზის, რომელსაც ჭუჭყიანი ფრჩხილები აქვს და რობერტო ჰქვია, რომელიც საცოდავი ცხოვრებით ცხოვრობს, ერთ ბინძურ ადგილას მუშაობს და ცოლს „ჩემს ქალს“ ეძახის. კაცი, რომელიც გრძელ კვირებს კაფეს სავარძელში ჩაფლული ატარებს, დღიურ ხარჯებს ითვლის და ტელეფონით ლატარიას თამაშობს.

არავის არასოდეს ჰყვარებია არც ერთი ქალი ისე, როგორც მე მიყვარს მისი სიბინძურეში ჩაფლული ყოფა. არავინ აღფრთოვანებულა სიყვარულით ისე, როგორც მე — მისი შიშების შემხედვარე. ვუსმენ ეჭვნარევ გეგმებს, რომელთაც დანგრეული და შორეული ბობი მიზიარებს

ხოლმე ხანდახან და კიდევ ერთხელ ვრწმუნდები, რომ იგი ამ ჭუჭყით სამუდამოდაა გასვრილი. არ ვიცი, ოდესმე ისეთი სიხარულით თუ მივსალმებივარ ინესს, რა სიხარულით და სიბოთითც ვესალმები ახლა ბობს ზრდასრულ ადამიანთა ბნელ და მყრალ სამყაროში. აქ მან სულ ცოტა ხანია, რაც ფეხი შემოდგა და ამიტომ ჯერ კიდევ ნოსტალგია ტანჯავს. მინახავს, მთვრალი და ატირებული, როგორ იგინებოდა და იფიცებოდა, რომ აუცილებლად დაიბრუნებდა ბობის დროს. მერწმუნეთ, ამ წუთებში გული სიყვარულით მევსება და დედის გულივით მგრძობობიარე და სათნო ხდება. გულის სიღრმეში ვიცი, რომ ვეღარსად წავა, რადგან არსად აქვს წასასვლელი, მაგრამ მე სათუთი და მომთმენი ვხდები და ვცდილობ, ვანუგეშო. ემიგრანტების მსგავსად, ერთი პეშვი მშობლიური მიწა, ქუჩების ფოტოები და სიმღერები რომ მიაქვთ უცხო ქვეყანაში, მეც ვცდილობ, ბობს ისეთი გეგმები დავუხსახო, ისეთი დილები და მომავალი, სადაც ყველაფერი მისი ახალგაზრდობის საოცარი შუქით იქნება განათებული, იმ სამყაროს შუქით, საიდანაც მან ესესაა შემოაბიჯა. ბობიც მემორჩილება და ყოველთვის დაჟინებით მთხოვს, გავაორმაგო ჩემი დაპირებები. საბოლოოდ მის სახეზე ღიმილი ჩნდება და ამბობს, რომ აუცილებლად დაბრუნდება ბობის სამყაროს დრო. ამის შემდეგ მშვიდება და 30 წლის ასაკში ყოველგვარი წყენისა და წინააღმდეგობის გარეშე მორჩილად მიიწევს წინ, დაღუპულ ოცნებათა გვამებს და იმედების ამაზრზენ ნაშთებს შორის, რომლებსაც ასეთი დაჟინებული სისასტიკით თელავდა ათასობით უმისამართო ნაფეხური.

*ესპანურიდან თარგმნა  
ქეთი ჯიშიაშვილმა*





## სიმბოლო

ოცდამეორმეტე  
რიგში ზამთარია —  
ამინდი მლაშე და  
ამინდი მომჟავო.  
შენი არგუმენტი  
ტყვიანგამტარია  
დღეს,  
როგორც არასდროს,  
სუსტი და ბეჩავი,  
რომ რადგან აქამდე,  
როგორღაც მოხვედი  
და რადგან...  
(არც ღირდეს,  
ვინ იცის, ოცნებად!)  
ჯერ კიდევ სადა ხარ?!  
იმდენჯერ მოგხვდება  
ცხოვრება ტუჩებში,  
თვითონ გაცოდები...  
გინდა ამოშალო  
სული სხეულიდან,  
როგორც მიცემული  
თითქმის დავინწყებას,  
„ისე რა“ ლექსები  
ძველი რვეულიდან,  
სანამ გაზაფხულდა,  
სანამ დაიწყება  
ისევ იმედები,  
ოცნების გორები,  
ტკივილის მთები  
და ტანჯვის ტიანშანი...  
მიდი, ამოშალე  
და თვალგასწორებით  
სული, ნაზამთრალი,  
ზეცას მიაშავე!  
ოცდამეორმეტე  
რიგში ზამთარია, —  
ამინდი მლაშე და  
ამინდი მომჟავო...

## დასრულება

მიყვარხარ ასეთი: მშვიდი და მდუმარე —  
როცა არ სჭირდებათ ტექსტებს კორექცია.  
თვალეებით თანხმობა, თვალეებით უარი  
და ამ უსიტყვობის მთელი კოლექცია

შენგან ვისახსოვრე... და სადმე თუ არის,  
მაგ შენს დუმილშიაც არის პოეზია!  
მიყვარხარ ასეთი: მშვიდი და მდუმარე —  
როცა არ სჭირდებათ ტექსტებს კორექცია.



### გიორგი საჩარია

\* \* \*

მთვარე — ძალღიშვილი, ისე გაიტურა,  
თითქოს კვალში ედგა ღამის ტარანტული.  
ნასვლა გამიგია, მაგრამ — პოეტურად!  
არის მიტოვებაც, მაგრამ — გალანტური!

ბოლო სიგარეტიც ყავას შეეუხამე  
(სადღაც უნდა მეგდოს კიდევ ორი ღერი).  
წერა შემოძლია მხოლოდ შუალამით...  
სხვა დროს არ მაცლიან, თორემ — ვინ ოხერი.

რადაც უხეირო სასმელს მიძალღებით,  
გუშინ საღამოდან ვიკლავ მოშივბას.  
დილით მიპოვიან, ალბათ, მიცვალებულს...  
გარეთ ნერვიულად ყეფენ გოშიები.

ქალაქს გადავხედე — თვალი ამარიდა  
ისე მედიდურად, მისთვის დანაბერებს...  
მთელი დედამინა ჩემი ფანჯარიდან  
მოჩანს, დამიჯერე — ბევრი არაფერი...

და ეს ლექსიც თითქოს სხვათა შორისია —  
ფიქრიც მიძნელდება... იცი, გეფიცები,  
ყოფნას და არყოფნას, სადღაც შორისა ვარ,  
საფლავს მინანერი წლების დეფისივით.

## თხრობა

თბილისი... ღამე... წვიმა...  
გალაკტიონის ხიდი...  
კისერი... თოკი... ლოდი —  
რაც შეიძლება დიდი...  
ახლა რაც უნდა გითხრა,  
ალბათ შენც კარგად ხვდები —  
ვიცხოვრე... დავილაღე...  
კარგად იყავი... ვხტები!

\* \* \*

დაშვრა, როგორც იქნა, ღამე ბარბაროსი!  
 მთვარე ჩაიძირა ნისლთა მდინარეში.  
 კივის ჭოტი როგორც მოლა მინარეთში —  
 ალბათ პულსაციას თუ გრძნობს სამყაროსი...

თენდება... და ახლა, მთელ ამ ცისკარეთში,  
 მე ვარ ერთადერთი, როკვით და ციმციმით,  
 ნახევარ სიცოცხლის ვინც არის მიმცემი  
 ფინჯან ყავასა და ერთ ღერ სიგარეტში.

## მეორე მხარე

მაიორკასთან სულ სხვა არის ხმელთაშუა ზღვა  
 (ასეთ დროს შავ ზღვას, როგორც წესი,  
 არ იგონებენ)...  
 აქ განთიადი გახლეჩილი მზეა შუაზე  
 და შეღამებს ფერი დაჰკრავს ფლამინგოების.  
 და იბიცვიდან მონაბერი მსუბუქი ბრიზი,  
 აკვამარინის სამკაულებს ქვიშაზე ფანტავს.  
 პალმების ჩრდილქვეშ ირუჯება მედუზა გრილზე,  
 რომ მერე ვახშმად მიებაროს ლაგუნის ფანტომს.  
 არაფერია აქ სიკვდილზე უფრო უაზრო,  
 ხოლო სიცოცხლე, პირობითად — ალეგორია:  
 მაიორკასთან სულ სხვა არის ხმელთაშუა ზღვა  
 (ასეთ დროს გულრიფშს, როგორც წესი,  
 არ იგონებენ)...

## რე

მოდის, ცხოვრება შევაჯამოთ —  
 თუმცა არც ისე ადვილია!  
 ხორცი, რომელიც შეიჭამა,  
 სისხლი, რომელიც დაილია,  
 ფეხი, რომელიც წამოვკარით,  
 ხელი, რომელიც ჩაივქნიეთ,  
 გრძნობა, რომელიც ამოვკირეთ,  
 ეჭვი: „არ გვახსოვს“... „არ გვიქნია“...  
 ყველა მოშლილი პარაპეტი,  
 ყველა შებლაღვა სამარეთა,  
 და — არც ნაკლები და არც მეტი —  
 მზერა, რომელიც ავარიდეთ...  
 სიტყვა, რომელიც ვერ დავძარით,  
 ხმალი, ხელიდან განაგდები,  
 ყველა საყდარი და ტაძარი,  
 შეჩვენება და ანათემა.  
 მინა, რომელიც მივყარეთ  
 ზეცას, დაცემით შესაშური...  
 ჯვარი, რომელზეც მივკარით  
 ღმერთი, სახელად იეშუა.  
 მამა, რომელიც აღარც ვიცით...  
 დედა, რომელიც — უანგაროდ!  
 შვილი, რომელიც გავასხვისეთ,  
 ცოლი, რომელიც უარყავით —  
 სუფთა ფურცელზე ჩამოვწეროთ,  
 უნდა სულ რაღაც ათი წუთი...  
 გამოვითვალათ ქვეშმინერით  
 ყველა კუთხე და აზიმუტი,  
 სადაც ცხოვრებამ გადაგვხარა  
 (მანც დარჩება ფარატინად!)  
 და საუკუნის გასაყარზე,  
 როგორც მეფე და პალადინი,  
 შევდგეთ წარსულის შეჯამებით —  
 თუმცა არც ისე ადვილია! —  
 ხორცი, რომელიც შეიჭამა,  
 სისხლი, რომელიც დაილია...

## სამხრეთი

ბედთან ამბოხების მქვია ექსტრემისტი —  
 რა ვქნა, თავის დახრას არ ვარ მიჩვეული.  
 არრა მამადია გარდა ლექსების და  
 გარდა სიამაყის — რაღაც უჩვეულო.

ხელში გადავითვლი ხურდებს კარამბოლით —  
 ერთ ღერ კესანესაც ამით ვერ მიწვდები...  
 შენი ფანჯრებიდან ისმის „ამაპოლა“,  
 გვერდი ავუარო — გულიც გამისკდება!

მინდა შემოგძახო, მაგრამ რანაირი  
 განცდა მეუფლება: მტრული გაციებით,  
 ისე გამიცვიდი... ადრე სხვანაირად  
 იყო — გიხაროდი მეტად, გაცილებით.

და მეც გილოცავდი, შენთვის მოგონილებს,  
 დღეებს — სასწაულებს, ისე უცნაურად...  
 ახლა შენს სარკმელთან ვდგავარ უქონელი,  
 როგორც შემოდგომის ბოლო აზნაური.

აღარც სიგელი მაქვს, აღარც ჰერალდიკა —  
 წყალსაც ნაულია! ახლა მთავარია,  
 კეთილ მყვავილეს ერთობ ეგზოტიკურ  
 ლექსში გავუცვალო ივან და მარია.

ღია ფანჯარაში გესვრი ყოჩივარდებს,  
 მინდვრის ყვავილებით დაგვრევტ... გამეჩქეცი!  
 ბედთან უიმედო ჯანყის ყოჩი ვარ და  
 შენი სიყვარულის მქვია კამიკაძე.

## მარტი

მირტებს ვუმარტოვებ მანტოს და მანტიას —  
 დაე ბედის ხაზებს პასუხი გაეცეთ!  
 ყველაზე მარტივი მოტივი მარტია,  
 თებერვლის ამარტ-არტს სადმე რომ გაეჩქე.

და მერე მარტიდან წვიმების სეზონის  
 გარდაუვალობით განამებს ანანკე.  
 და არის აპრილი, უდავოდ, რეზონი  
 და მერე მაისი და მერე... მანამ კი:

ოთახში — სიბნელე. სიბნელის ოთახში —  
 საგანთა ქაოსი. ქაოსურ საგნებში —  
 ყოვლად უსარგებლო ნივთების ზარდახშა.  
 ნაცნობი ანფასი დაორთქლილ სარკეში.

კედელზე — ნახატი: მილანი, ლა სკალა.  
 ფანჯრებზე — არეკვლა ჰერბერთა პროფილის.  
 და ღამის ზენოლა — ცხრა გიგაპასკალი.  
 და მთვარე — სიგიჟის პერპეტუუმ მობილე.

უძილო თვალბში — სამყაროს სიმრუდე.  
 და ერთფეროვანი დღეების რიგები  
 ქრებიან ერთბაშად, ასტრალურ ბერმუდში.  
 და ისევ თავიდან და ისევ იგივე...

და მერე, მარტიდან, წვიმების სეზონის  
 გარდაუვალობით განამებს ანანკე.  
 და არის აპრილი, უდავოდ რეზონი  
 და მერე მაისი და მერე... მანამ კი:

მირტებს ვუმარტოვებ მანტოს და მანტიას —  
 დაე ბედის ხაზებს პასუხი გაეცეთ!  
 ყველაზე მარტივი მოტივი მარტია,  
 თებერვლის ამარტ-არტს სადმე რომ გაეჩქე.

## კარგად

განგრევს მოძრაობის ილუზია,  
გახრჩობს უძრაობის ანაკონდა.  
შუბლზე ნაოჭებად მიგლურსმია  
წლების ფრაგმენტული ამარკორდი.

ისმენ უღმერთობის რაფსოდებს,  
ბედთან უმიზეზო შედავებით.  
იცი — ყველაფერი აბსურდია!  
გულიც აღარ გწყდება, შედარებით...

აღარც თბილისური სანაპირო  
გხიბლავს... მით უმეტეს, ნარიყალა.  
გინდა გადახვეწა განაპირას,  
სადმე დედამიწის — დაილაღე!

სისხლის დადინებით ქუსლებიდან,  
გინდა გაქცევა და განაჩენად —  
წყვილი ფანჯარი და ფურცლები და  
წყალსაც ნაუღია დანარჩენი!

არც კი მიიხედო წარსულისკენ  
მზად ხარ, უზრდელოდ ისე გაქრე,  
რომ არ მოგინატრონ წასულიც კი,  
გინდა, უსაშველოდ გინდა, მაგრამ

გტანჯავს მოძრაობის ილუზია,  
გხუთავს უძრაობის ანაკონდა.  
შუბლზე ნაოჭებად მიგლურსმია  
წლების ფრაგმენტული ამარკორდი...

## საქართველო

ერთხელ, როცა წასული ჩემგან ქმართან დანვები,  
ჰკითხე მთვარის ბალებზე გადმოვლებულ იბისებს,  
ნითლად როგორ ენთება ფერმიმკრთალი ღანვები  
ევას, როცა ადამი მის სინმინდეს იფიცებს.

თუმცა ვიცი, ვერასდროს — ასე იყო მარადის —  
ფერით უხერხულობის შენ ვერ შეიმოსები,  
შენს ნერვს ვერ აათრთოლებს მწარე  
გესლი ლალატის,  
ქმარზე მეტად გხიბლავენ როცა ჩემი გლოსები.

და დადიხარ ცით-ცამდე გადადებულ ხიდზე,  
როგორც წმინდა სელენე — ღამეთა დედოფალი!  
ოცნებობ შარლ ბოდლერზე და მოპასან გი დეზე...

და რადგანაც ჰესპერი მხოლოდ ისე ციალებს,  
ვით შენს მკერდზე ბნეული მარტოხელა ოპალი,  
შეგნებულად არ ვანერ სონეტს ინიციალებს...

\* \* \*

### ფირუზ ბოლქვაძეს

ნამო, შევცვივდეთ ცხენისწყალში ბედაურებით!  
მორჩა! მომბეზრდა! დავილაღე ამდენ უნიჭო:  
დამრიგებლებით, ზემდგომებით, მეთაურებით...  
მღორე სიცოცხლეს მინდა მკერდი გადავუგლიჯო!

რა საერთო აქვს გაგიჟებას ღმერთის ნებასთან?!  
ქაფმომდგარ ტალღებს მიველწნოთ მსურვალ ტანებით!  
თუ სიკვდილია, დაე მოვკვდეთ უკვდავებასთან  
მჭიდრო შეხებით — არა მხოლოდ ხელნატანებით!

ვის რა ხელი აქვს, ვინ რას დანერს,  
უკეთ — ვინ უფრო?!  
ჯანდაბას დაფნა! უსაჩუქრონ ისე გოეთეს!  
ჩვენ ხომ სიცოცხლედ სხვანაირი გენამს  
და მით უფრო  
სიკვდილი გვხიბლავს სულ სხვაგვარი  
ქართველ პოეტებს!

ხომ გყავდა ქალი, ვინც გვიყვარდა  
თავდავინწყებით?!  
ხომ ვწერეთ ლექსი?!  
— არ გავქრებით ვიცი უკვალოდ! —  
და თუ ბედია, იქ დავმთავრდეთ, სადაც ვინწყებით,  
ასე ანაზღად, ასე ლალად, ასე უბრალოდ.

ნამო, შევცვივდეთ ცხენისწყალში ბედაურებით!..

## ლამა

ქარი უმონწალოდ ნამქერს ალახვინებს,  
თებერვლის მიღმა რომ ზამთრის ქალაქია.  
ლამის პროცესია მისდევს ბალდახინებს,  
დღეთა კუბოები მწკრივში ალაგია.

მზერა — უმიზეზო, სუნთქვა — ქაოსური,  
პულსი ვეღარ ითვლის, გული რასაც ფეთქავს...  
ისე ეტანება სისხლი აორტიდან  
ყელში არტერიებს, ლამის დამიხეთქოს.

არ ვიცი, რომელი რიცხვია რომელ თვის,  
წლებთან ალაბედზე ვაგორებ კამათლებს.  
დროა თვითმკვლელობის! და,  
როგორც ყოველთვის,  
სიცოცხლეს უსუსურ მიზეზით ვამართლებ.

სრული სიგიჟეა წასვლა უნაბიჯოდ!  
და არის დარჩენა, ჩქარი ნაბიჯებით,  
კიდეც — არჩევანი და უნდა გაფიქვნიოთ  
ყოფნა არყოფნისგან, მაგრამ... დამიჯერე,

არ არის საშველი! და ბოლოს დარჩება  
ამაოდ დაღვრილი ცრემლი — გალონებით —  
და ან გადავრჩებით, ან ვერ გადავრჩებით  
არაამქვეყნიურ რალაც კანონებით,

თუ ბედი ბედია! დაორთქილ ფანჯრებზე  
დახატე მაცხოვრის ფერმკრთალი პროფილი  
და მუქმინდისფრად შეღებე მაჯებით  
ზეცა, ულამაზო და უარყოფილი!

და ქარი... ქარი კი ნამქერს ალახვინებს  
თებერვლის მიღმა რომ ზამთრის ქალაქია.  
ლამის პროცესია მისდევს ბალდახინებს,  
დღეთა კუბოები მწკრივში ალაგია.

## Johnnie Walker

ნუ გემინია, ჯონი უოლკერ, დღეს არ დავთვრები,  
დღეს უნდა ერთი უმნიშვნელო წერტილი დავსვა!  
მოდ, ჩავეცოთ, მეგობარო, ერთად კარტები —  
ჩვენ ხომ ყოველთვის ვთამაშობდით წესების დაცვით...  
ჯანდაბას, რაც კი ნაგვიგია! ახლა კი — ვწვები!  
ბლეფია, ვიცი, გვატყუებენ, ძვირფასო უოლკერ, —  
„ნითელი ძაღლის“ ინსტინქტი მაქვს,  
— გუმანით ვხვდები,



მთელი ცხოვრება „ოაზისს“ და „კარიბულ“ პოკერს ვთამაშობ, მაგრამ... ზოგჯერ დგება წაგების ჯერი... თავში უხლიათ ეს ქონებაც, ეს არქონებაც, დაე იცოცხლონ, დაე მოკვდნენ ათას წლის მერე! ისეთი გარჯით ირჯებიან, რომ გეგონება, თეორიები ამოიცნეს ობრი დე გრეის...

რა დროს შიშია, რა დროს ძრწოლა და უძრაობა, როცა გველიან ტიტანები ველზე ფლეგრეის?! მოვიმიზეზოთ, ჯონი უოლკერ, ვთქვათ — უდროობა, არ დაიჯერო, რომ დროს ვუსწრებთ, რომ ჯერ ადრეა!

მესსაზე სხვებმა იარონ და... იდაყვზე კბენით ალსარებისთვის ტაძრებია და პადრეები... ჩვენ კი წავიდეთ ისე, როგორც ჯენტლმენებს შვენიტ (და ნუ იდარდებ, არ დავრჩებით ბედთან ვალეში), პროტესტის ნიშნად ჩავიდინოთ თუნდაც მკვლელობა და ღმერთს ჩავხედოთ თავხედური მზერით თვალეში, — იქნებ როგორმე გაამართლოს მოუცლევლობა...

ნუ გეშინია, ჯონი უოლკერ, დღეს არ დავთვრები, დღეს უნდა ერთი უმნიშვნელო ნერტილი დავსვა!

თეზურ ეზუტასი

# სულეიძენი საოცარი ბიჭია

„სულეიძენი საოცარი ბიჭია“, — მომესმა უკნიდან. „სულეიძენი საოცარი ბიჭია“, — გავიმეორე მეც გონებაში. დაბლა ჩასასვლელად ვიწრო კიბეს ჩავეყვი, რომელიც ორ მაღალ შენობას შორის ბეტონის ლურსმანივით არის გაჭედვლილი. კიბე ძალზე ვიწროა, ისეთია, ორი კაცი ერთმანეთს გვერდს თავისუფლად რომ ვერ აუქცევს. ერთ-ერთი ყოველთვის გახდება იძულებული, დასვრილ კედელს აეკრას და ტანსაცმელი გაითხოუნოს. მახსოვს, ერთხელ გავიფიქრე: რა ხელსაყრელი ადგილია ორპირი ქარისათვის-მეთქი. ქარი კი აქ არ ქრის. ამას გარდა, ზაფხულობით დახუთული ჰაერიც დგას. კიბე გრძელია და მათთვის, ვინც აღმა მიდის, აქაურობა კიბედ კი არა, დაუსრულებელ გოლგოთის გზად იქცევა. ჰოო, ლალი სიარულის მოყვარულები ამ გზას არ ეტრფიან, თუმცა კიბით მაინც სარგებლობენ. ახლომახლო უკეთესი ქუჩა მაღლა ასასვლელად არ არის. შემოვლითი გზები ნაკლებად დამრეცი და სიარულისთვისაც მოსახერხებელია, მაგრამ ისინი შორს არის და დროც მეტი სჭირდება მათ გავლას. რაც თავი მახსოვს, სულ წყევლიდნენ ამ კიბეს მასზე მოსიარულე მოხუცები. „დაწყველილი კიბე“ ამიტომაც შერჩა სახელად. ბავშვობაში კი უბნის ბიჭები ამ კიბეს ძალიან ვუმაღლოდით, რადგან...

...მე, აჰმედი და იბრაჰიმი ქვევით, კიბის ბოლოში, ვდგავართ. ერთმანეთს ვაგულიანებთ. აჰმედი ძალიან ნერვიულობს, სუნთქვაზე შევატყვე. იბრაჰიმი კი ცქმუტავს და აფორიაქებულ განწყობას ყალბი ღიმილით მალავს. „ლამაზი კბილები აქვს იბრაჰიმს“, — გავიფიქრე მე... ჩვენ ოთხიდან (მეოთხე ჰასანია, რომელიც ზევით, კიბის თავთან იცდის)

ყველაზე მეტად მაინც მე ვშფოთავ, რადგან ჩემი მოფიქრებულობა ყოველივე მუცელზე კუნთები მიტოკავს დროდადრო. სამივენი ჩუმად ვართ. სამივენი სიჩუმეს ვუსმენთ გაფაციცებით. ყური გვიჭირავს, ზევიდან მოცემული ნიშანი არ გამოგვეპაროს. სტვენას ველოდებით. ეს ის შეთანხმებული ნიშანია, რომლის მოლოდინმაც მთელი ქალაქის ღრიანცელი და ხმაური სიჩუმედ აქცია. ჩვენთვის არ არსებობს ამქვეყნად არანაირი ბგერა გარდა იმ ერთისა, რომელიც ჰასანმა უნდა ამოუშვას ბაგეებიდან. მე ნათლად ვხედავ ჩემს წარმოსახვაში, როგორ იტენის პირში ოთხ თითს ჰასანი, როგორი ძალისხმევით კუმშავს ფილტვებს და იქიდან გამოდენილი ჰაერი როგორ გარდაიქმნება იმ გამაყრუებელ სტვენად, რომელსაც ჩვენ ასე ველოდებით და რომელმაც ასე მისამარა მთელი ხმაური თავისივე მშობელ სამყაროში. ჭეშმარიტად, სამყარო ამნამს თავისივე პირმშოს სამარხად იქცა.

— ფუ! რა მყრალი სუნი! — იბრაჰიმი ზიზლით გადააფურთხა, — რომელმა ქენით? — იბრაჰიმი ჯერ მე მომაჩერდა, მერე ორივემ ერთად აჰმედს შევხედეთ. აჰმედი განითლდა...

...შიშისაგან დაემართაო, — ამისხნა შემდეგ იბრაჰიმი, როდესაც აჰმედი დაასაფლავეს. ეს ამბავი კი მაშინ გაგვახსენდა, როცა ეზოში მყოფთ გვერდით აჰმედის შვილიშვილმა ჩაგვიარა.

- მუსტაფა! — დავუძახე მე. მუსტაფამ ჩვენთან მოირბინა.
- ეფენდი?
- რამდენი წლის ხარ, მუსტაფა? — ვკითხე.
- თორმეტის, — მიპასუხა.
- მუსტაფა, ორი ჩაი გამოგვიტანე, — დაავალა

იბრაჰიმმა. ბავშვი უმალ გაიქცა. ორივემ თვალი გავაყოლებთ. რა მალე გაზრდილხარ-მეთქი, მინდოდა მეთქვა, მაგრამ ვერ მოვასწარი. ბავშვი უმალ გაიქცა. ორივემ თვალი გავაყოლებთ...

...„მომეჩვენა, თითქოს სტვენა გავიგონე“, — თავი იმართლა აჰმედმა, თან ჩვენი ყურადღების გადატანას შეეცადა. გამოუვიდა. ისევ ჩუმად ვართ. საფეხურებს ვითვლი. თავიდან კარგად დავინწყე თვლა, შემდეგ ნელ-ნელა, რაც უფრო მალა ადიოდა საფეხურების რიგი, მით უფრო ვეჭვობდი, ამერია-მეთქი. ისევ თავიდან ვითვლი. ისევ ამერია. კიდევ ცვადა და ამაოდ. ბოლოს გავბრაზდი და ხმამაღლა დავინწყე თვლა, თან საჩვენებელი თითი სათითაოდ მიუწვივრე საფეხურებს.

— ერთი... ორი... სამი... ოთხი... ხუთი...

— სამოცდაშვიდია, უკვე დავთვალე, — გამანყვეტილა იბრაჰიმმა.

— არა, მეტია, — ხმა ამოიღო ნათქვამში ღრმად დარწმუნებულმა აჰმედმა.

— მაინც რამდენი? — დაცინვით ჩააცვივდა იბრაჰიმი.

— რამდენი და ოცდათერთმეტი, — დამაჯერებლად თქვა აჰმედმა. მე და იბრაჰიმს სიცილი წაგვსკდა. აჰმედს ხოშიანი მუჯღუგუნე ნამოვარტყი კეფაში. აჰმედი განითლდა და უკან გადაგა\*.

...„ყველაფერი ჰასანის ოინები იყო. აჰმედს მაგან ასწავლა მოტყუებით ციფრებიდან იმ ერთადერთის სახელი, აჰმედს ასე უსასველოდ დიდი რომ ეგონა. სკოლაში აჰმედს არ უვლია და აბა, საიდან ისწავლიდა“, — იბრაჰიმმა ფეხები დაიბანა და სველი ხელი გამელოტებულ თავზე გადაისვა. ორივენი მეჩეთში შესასვლელად ვემზადებით. იბრაჰიმი მოყოლას განაგრძობს. მშვენივრად ვიცი ეს და სხვა დანარჩენი ამბებიც. ამაში იბრაჰიმიც დარწმუნებულია, მაგრამ ჩვენი ბავშვობის საერთო ამბებს ისე მიყვება, თითქოს პირველად მიშლიდეს უსსოვარი დროის მოგონებებს. მოგონებები კი თავზე საყრელად გვაქვს. ასე გულწრფელად მეც არაერთხელ მომიყოლია ძველი ამბები მისთვის. ბევრს ვიცინით ბავშვურ ოინებზე. ზოგჯერ სევდაშემოწოლილი ტირის კიდევც. ამ ბოლო დროს ცვდილობ, ხშირად ვინახულო იბრაჰიმი. სვედიანი გახდა, რაც უფროსი ვაჟის სიკვდილი აცნობეს. მას მაჰმუდი ერქვა. იბრაჰიმმა ხმა გაკმინდა. ჩვენ მეჩეთში შევდივართ...

...სიცილს მოვრჩით. სიჩუმემ ისევ დაისადგურა. ყველანი ჰასანის სტვენას ველოდებით. სადაცაა ყველაფერი გაირკვევა და ჩვენ ამქვეყნად გმირთა გმირები გაგხდებით. ვერავინ შეძლებს ჩვენს დამარცხებას. ერთ აუნერელი საგმირო საქმის ჩადენას ვაპირებთ. წარმომიდგენია, რა ამაყად გავდივარ ბიჭებში და თავს ვიქებ ყოველივე ამის გამო. „როცა გავიზრდები, მადლობის სათქმელად საგანგებოდ გავემგზავრები მექაში“, — მახსოვს გავიფიქრე მე...

...მე და აჰმედი ვსხედვართ ვინრო ქუჩის კუთხეში, აჰმედის ანტიკვარების მალაზიის წინ, და ჩაის მივირთმევთ.

— იბრაჰიმს და სულეიმანს მექაში რატომ არ გაჰყევი? — ვეკითხები.

— აი... მერე ვაპირებ წასვლას. შენ?

— ორი წლის წინ ვიყავი, მოვილოცე.

— ასე თქვეს, უამრავი მორწმუნე იყრის თავსო.

— ჰო, ძალიან. ამდენ მორწმუნეს ერთბაშად ვერსად ნახავ.

— მაინც რამდენი? ურწმუნოებს ვაჯობებთ?

— შენს თავს თუ აჯობე, ურწმუნოები ვერაფერს დაგაკლებენ.

— მეც მაგას არ ვამბობ?! — აჰმედი თავის ქნევით დამთანხმდა, თუმცა ვერც კი მიხვდა ბოლომდე ჩემს ნათქვამს. მე კი გაბელინა. საერთოდ, აჰმედი ჩემში სულ ღიმილს ინვევს. ბავშვობიდან ასე იყო. ჯერ მარტო ის რად ღირს, ანგარიშის უცოდინარი კაცი საკუთარ მალაზიაში ანტიკვარით ვაჭრობს და უცხო მხრიდან ჩამოსულებს ისმაილის ნაჩალიჩარ იაფფასიან ნივთებს ორმაგ ფასში ატანს. თვლა მაინც ვერ ისწავლა კარგად. ამაში მისი შვილიშვილი — მუსტაფა ეხმარება. ის სკოლაში დადის. ღიმილი არ მიქრება სახიდან.

— იბრაჰიმი დამწუხრებული გამეგზავრა მექაში. ხომ იცი, მისი მაჰმუდი სახლიდან წავიდა. ხალხი ამბობს, ისლამისტების სამოსს შეურთდაო. ნამდვილი მორწმუნეც ამას ჰქვია. მამამისი კი ამის გამო ნაწყენი დარჩა. ვერ გაიგებს იბრაჰიმისას კაცი ვერაფერს.

— იბრაჰიმს არაფერი შეეშლება, — ვთქვი მე.

— მეც მაგას არ ვამბობ?! — დაამტყნარა და ისევ დამეთანხმა „ყოველსმცოდნე“ აჰმედი. მე სევდა ვერაძენი და გამელინა, ჭიქებში ჩაი გავცივივობოდა...

...— მე წავალ! — აღმოხდა აჰმედს. შევატყვე, გასაქცევად უწევდა გული. იბრაჰიმს არაფერი გაუგია. ის სმენად იყო ქცეული.

— შეგეშინდა?! — დაცინვით შევეკითხე. ვიგრძენი, რომ ამით ჩემი შიშიც მას გადავბრალე. შიში კი იმდენი მქონდა მთელ სხეულში, ასი კაცის წინ მდგარ ძლევაშოსილ აბუ იბნ საიდის არმიას ეყოფოდა დასაფრთხობად და ფარ-ხმლის დასაყრელად.

— არა, არა! მამასთან უნდა წავიდე, ხალიჩების გადატანაში უნდა დავეხმარო!

აჰმედმა გზის იმ მხარეს გაიხედა, საითაც გაქცევას აპირებდა. მერე კი დაამაზა:

— თანაც ძალიან მომშივდა.

— ჰო, ისე კი მეც მშია! — ვთქვი მე.

სმენად ქცეული იბრაჰიმი გამოფხიზლდა და თვალი თვალში გამიყარა.

— არა უშავს, მოვითმენ, — მის მზერას ვეღარ გავუძელი და ნერწყვი გადავყლაპე.

— წავალ, პურს შევჭამ, — ჩაილაპარაკა აჰმედმა...

...ჩვენს სახლში პურს დედა აცხობდა ხოლმე, მაგრამ ერთხელ თონეში წასვლამ მომიწია მის მოსატანად. მამამ იმ დღეს ცხელი პური მოინადინა, ცივი არ ისურვა. გარეთ გავედი. ქუჩაში თითო-ოროლა კაცილა დაიარებოდა. ყველანი მეჩეთში იყვნენ შესული სალოცავად. თონეს მივუახლოვდი. კარი დაკეტილი დამხვდა. გადაწყვიტე, დავლოდებოდი და იქვე, კართან, მიწაზე დავჯექი. გრილი მიწა მესიამოვნა. თავი კედელს მივადე და თვალები დავხუჭე. მოლას ლოცვას გულში ბანს ვაძლევ. ფეხებზე ჭიანჭველები ამომაცოცდნენ, მაგრამ ჩამოფერთხვას არ ვაპირებ. რატომღაც მსიამოვნებს ბოლო დროს მსგავსი შეგრძნებები. ორიოდ ნუთი ვიყავი ასე განაბული. ალბათ, ჩამეძინებოდა კიდევაც, რომ არა რალაც გაუგებარი ხმაური. იმავე წამს თონის კარი გაიღო და იქიდან მოხუცი ამარის მესამე, ყველაზე ახალგაზრდა ცოლი გამოვიდა პურებით დატვირთული. არც დავუნახავარ, ისე ჩამიქროლა. სახეს ჩადრი უფარავდა, მაგრამ თვალები მაინც დავუნახე. ლამაზი ჰქონდა, იისფერი.

— აქ რას უზიხარ, ბიჭო? — მკითხა მეპურემ.

— პური მინდა, — წამოვდექი მე და შარვლის გაფერთხვა დავინწყე. გამიკვირდა, ჭიანჭველები რომ

\* ერთ-ერთ მუსლიმანურ ქვეყანაში ადგილობრივ უარგონზე სიტყვა „ოცდათერთმეტი“ მასტურბაციის სინონიმად გამოიყენება.

ვერსად დავინახე. თურმე არც ყოფილან. ამასობაში მეპურეს დავავიწყდი. გაღიმებული სახით კედელს მიეყრდნო. საღლაც, სივრცეს მიაჩერდა.

— ქალი კი არა, თაფლია, თაფლი! — თქვა ჩურჩულით. მეც იქით გავიხედე, საითაც ის იყურებოდა. ამარის მესამე ცოლმა ვინრო ქუჩაში შეუხვია და თვალს მიეფარა...

...— ნავალ, პურს შევჭამ! — გაიმეორა აჰმედმა და ნელ-ნელა უკან დაიხია.

— რაც გინდა, ის ქენი! — მიიძახა იბრაჰიმმა. მე და იბრაჰიმი ადგილზე გაუნძრევლად ვრჩებით. ქვეყნიდან ზევით კიბის ბოლოს ისე შევცქერით, როგორც მშვიდი ძაღლები სუფრას შორიდან. რაც დრო გადის, მით უფრო ახლოვდება გადამწყვეტი წამი. წინასწარ ვემზადები. გონებაში ათასნაირად ვხედავ, რა როგორ უნდა მოხდეს. ათასჯერ გადავამოწმე, რა როგორ უნდა გავაკეთო. „ვერაფერს მიხვდება, ვერაფერს იგრძნობს“, — განუწყვეტლივ ვიმეორებ ამ აზრს გონებაში, რათა ისედაც შერყეული გამბედაობა არ გამოქრეს. მე და იბრაჰიმი პირველ საფეხურზე ვდგავართ. აჰმედი ნელ-ნელა მიიპარება. უეცრად ჰასანის სტვენა გაისმა. ნახევრად შებრუნებული აჰმედი სადაც იდგა, იქვე გაიყინა. მე გულღვიძლი გადამიტრიალდა. შეიძლება გადავფითრიდი კედელს. იბრაჰიმმა პირველი ნაბიჯის გადადგმა მე მომანდო და მხარში ხელი ისე წამკრა, სამი საფეხური ჩემდა უნებურად ავირბინე...

...ყველანი იბრაჰიმის სახლისაკენ გავრბივართ. შორიდანვე ვამჩნევ მის ეზოში ჩოჩქოლს. ხალხი ბუდეაყრილი ფუტკარავით ირევა. კაცები უსაშველოდ ყიჟინებენ. იბრაჰიმის ცოლი თავში ხელს იშენს. ეტყობა, დიდხანს კიოდა და ახლა მისი პირიდან კისერგამოღარული ხბოს ხრილილა ისმის. „ჰყყყყყ... ჰყყყყყ...“ მეზობელი ქალები მოსვლაშიც ეხმარებიან და კვილშიც. იბრაჰიმს ხელები ცისკენ აქვს აპყრობილი. მზეზე მელოტი თავი უბრწყინავს. ხმას არ იღებს, მაგრამ ვიცი, ამწუთას ღმერთს ელაპარაკება. ახალგაზრდა კაცები, მაჰმუდის სიკვდილის გამო, სამაგიეროს გადახდით იმუქრებიან. მათ მუქარას იბრაჰიმის უმცროსი ვაჟი სულეიმანიც უერთდება და შურისძიებით ანთებული ავტომატით გამჭვირვალე ჰაერს ცხრილავს. იბრაჰიმი კი ცას ელაპარაკება. ტკივილი ადამიანს ცასთან ალაპარაკებს. მე ეს ვიცი...

...ფეხებს გაუბედავად ვდგამ კიბის საფეხურებზე. ნელ-ნელა მივიწევ მალლა. სისხლი ადუღებული მაქვს. სინითლეს ყვრიმალეზე ვგრძნობ. თვალეში მიბნელებდა. რომ არ წავიქცე, ხელებით კედელს ვეყრდნობი. კედლები უსაშველოდ მალალია, რის გამოც სინათლე მხოლოდ კიბის კენწეროდან მოედინება. ხელისგულებით ცივი კედლების შეგრძნება მსიამოვნებს. „ნეტავ, მალე მორჩეს“. უკან მოვიხედე. სულ რაღაც ათიოდე საფეხური მაქვს გავლილი. მეტი მეგონა. „ო, ალაჰ!“ სულმოუთქმელად ველოდები იმას, რასაც ჩავუსაფრდი. მისი გამოჩენა გარდაუვალია, უკან დახევა — შეუძლებელი. ძირს ვიყურები, რათა დაუმორჩილებელი ფეხი მყარად დავდგა. მხოლოდ ცის შუქითლა განათებულ საფეხურებზე ჩრდილი ჩამოიკლავს. „ის არის!“ ავიხედე. სინათლე თვალს მჭრის და მის სახეს ძნელად ვხედავ. კიბე ვინროა. გვერდს ვერაფრით ვერ ავუღვი. მიასლოვდები. ვუახლოვდები. ხუთი ნაბიჯიდან გვაშორებს ერთმანეთს. ოთხი... სამი... ორი... ერთი... და ფეხი მიცურდება. თავს ვეღარ ვიკავებ. ხელები ჩემდა უნებურად ნელზე შემოვხვიე. სახე კი პირდა-

პირ მის მკერდში ჩავრგე. მადისაღმძვრელმა სიკრილემ შემომიბერა. თვალები აღარ მჭირდება, რადგან საბოლოოდ დაებრმავდი. ყურები აღარ მჭირდება, რადგან სმენა დავკარგე. ენა აღარ მჭირდება, რადგან გამოუთქმელია ეს ყოველივე. მე გავარვარებული ლავა ვარ, რომელიც წამი წამზე ამოხეთქს და ირგვლივ ყველაფერს გააქრობს. მხოლოდ ერთ რამეს შეუძლია ჩემი დამშვიდება... ამარის მესამე, ყველაზე ახალგაზრდა ცოლმა მხარზე შემოდგმული დოქიდან წყალი გადამასხა.

— კარგად ხარ, ბიჭო? — თვალი გავახილეთ. სახისა რა მოგახსენოთ, მაგრამ თვალები ისევე ისეთივე იისფერი და ლამაზი ჰქონდა. მეტი ვერაფერი დავლანდე ჩადრში. ის კარგად მიხვდა ჩემს საქციელს, მაგრამ არ შეიმჩნია. მალევე გაუჩინარდა. იბრაჰიმი, აჰმედი და ჰასანი თავზე წამომადგნენ. ჰასანის მოლოდინში სუნთქვაც კი შეწყვიტეს.

— ქალი კი არა, თაფლია, თაფლი! — ბოლო მოვუღე მათ მტანჯველ მოლოდინს. ყველანი მალა ავედით. სველი თავი მზეს მივუშვირე გასაშრობად. მინარეთიდან მოლას ლოცვა მოისმა: „ალაჰ აქბააარ, ალაჰ აქბააარ!..“

...მე, აჰმედი და იბრაჰიმი მეჩეთის კუთხეში სკამებზე ვართ წამოსკუპებული. ხალიჩებით მოფენილი იატაკამდე არც კი მიგვიწვდება ფეხები. სამივეს სიმწრის ცრემლი მოგვდის. ზურგზე საცერემონიო მოსასხამი მოგვარგეს. სამივეს ხელები ფეხებს შორის გვაქვს ამოდებული. ირგვლივ ჩვენსავით პატარა ბიჭების ზღუქუნის ხმა ტრიალებს. ჩვენ მოგვისტუმრეს, ანი სხვებს გაუკეთებენ წინადაცვეთას.

— გენვის? — მეკითხება მამა.

— ცოტათი, — ამოვთქვი მე.

— არა უშავს, მალე გაგივლის. ამიერიდან დიდი კაცი ხარ! — მამა ჩამეხუტა და სამჯერ მაკოცა შუბლზე. ჩვენ მოვინათლეთ...

...კიბეს ბოლომდე ჩავყევი. სუნთქვა ამიჩქარდა. „ჩემი ხნის კაცი ამ კიბეს ალმა ვეღარ აუყვება“, — გავიფიქრე მე და ხვეწროვანი სევდა შემომეველო გარს. ისეთი, ხანში შესულთ რომ დაუფლის ხოლმე. კიბეს ჩამოვშორდი. მეზობელ ქალაქში მივდივარ. იქ ბევრი უცხოელი იყრის თავს. საინტერესო და სასარგებლო საქმეს შეიძლება გადააწყდეს კაცი. აჰმედს უცხოელების სიმრავლე აცოფებდა. რას იზამ, ვინც საკუთარ თავს არ იცნობს, უცხოს ერიდება. მე და იბრაჰიმი კი აქ ხანდახან გამოვჩნდებით ხოლმე. ქუჩაში დავსეირნობთ და ხალხს ვათვალისწინებთ. თეთრ სამოსელში გამოწყობილი ადამიანები კარგი სანახავია ამ ქალაქში. ხელში მუსტაფასათვის ნაყინი წიგნი მიჭირავს, რომელიც ორიოდ ნუთის წინ ვიყიდე აი, აქვე, მოსახვევში. მუსტაფა ხომ სკოლაში დადის. დარწმუნებული ვარ, გაუხარდება.

მზიანი ამინდია. არც ისე ცხელა, როგორც ყოველთვის. დღეს თეთრი ღრუბლები ძალიან უხდება ცას. მინარეთიდან მოლას ხმა გაისმა. სალოცავად გვიხმობს. ფეხი დავიბანე. მეჩეთში სუფთა შევდივარ. მოლა ღვთაებრივი არაბულით გვფენს ალაჰის მადლს. მისი ხმა ისე გვეფინება სახეზე, როგორც სამხრეთიდან მოტანილი უდაბნოს სურნელი. ყველანი ქედს ვიხრით მის წინაშე.

გარეთ გამოვედი. ქუჩები კვლავ ხალხით გაივსო. მოედანზე მივემართები. იქ ახალი მანქანა მინდა ვნახო. ჩემნაირი ცნობისმოყვარე სხვაც ბევრი აღმოჩნდა. როგორც იქნა, თვალი გავუსწორე დასავლეთიდან ჩამოყვანილ „ურჩხულს“. მსგავსი სილამაზე არსად მინახავს. ოქროსფერი, პრიალა ზედაპირით, სწორად გამოყვანილი ფორმებით. შავი რეზ-



ინის ბორბლები შიგნით ვერცხლისფერი რგოლით, სავეს მთვარეს რომ ჰგავს. ყველას ხელის შეხება უნდოდა. მეც შევეხე. ცივი რკინა ჩვენებური ჰავისაგან უკვე გამთბარიყო. ლაპლაპა ზედაპირი გველივით სრიალა ჰქონდა. კარგი რამ იყო. ყურებით გული რომ ვიჯერე, შემოვბრუნდი და უკან მოვიტოვე გაუგებარ ენაზე მოსაუბრე უცხოელები, რომელნიც, როგორც მე მგონია, მანქანის ლირსებებზე ლაპარაკობდნენ ასე გაუთავებლად. იქვე იბრაჰიმის უმცროსი ვაჟი — სულეიმანი შევნიშნე. ისიც იქაურობას ჩვეულზე მეტი სიდინჯით ათვალეირებდა. მისკენ მივემართები. „სულეიმანი“ — არ ესმის. ხალხის აულებელ კედელს მივარღვევ. „სულეიმანი“ — არ ესმის. როგორც იქნა, მიუუახლოვდი. ხელით გადავწვდი და მხარში ჩავავლე. ამ ქაოსიდან მინდა გამოვიყვანო. სწრაფად მოიხედა, მაგრამ ვერ დამინახა. მის მზერას ვიჭერ, თავზარდაცემისაგან გამ-

ემებულს. ისეთი სახე აქვს, როგორც იმით, ჩანაფიქრს რომ გაუშიშვლებენ. მოულოდნელობისაგან დაფეთებული რალაცას ხელი გამოჰკრა... ყველაფერი განათდა. ყელში სითბო ვიგრძენი. ქუხილის მერე ხმაური ნაშმივე მინყდა. ყურებში აუტანელი წუილილა მესმის. მუსტაფას წიგნი, შესაძლოა, გამივარდა კიდეც. არ ვიცი. ხელებს ვეღარ ვგრძნობ. სხეულზე ნელ-ნელა ტკივილი მემატება. ტანი არ მემორჩილება. ვერ ვმოძრაობ. ჰაერი მინდა ჩავისუნთქო, მაგრამ ყელში გაზიანი სასმელივით რალაც მილიტინებს. „ნეტავ, რა მოხდა?“ თურმე თვალშიც ვეღარ ვხედავ. ამას ახლა მივაქციე ყურადღება. ნელ-ნელა მიძლიერდება ჰაერის ნყურვილი. ჩავისუნთქო მინდა. „იბრაჰიმი ცას დაელაპარაკება“, — გამიელვა თავში, ნა-მიერად. ჰაერის ნყურვილმა ყოველგვარი ტკივილი და ფიქრი დამავიწყა. ჰაერი მინდა... ჰაერი მინდა... ჰაერი... ჰჰჰჰ...

# x m a u r i y u r e b s i



კუსტავ შაირინცი

მალაია სტრანაში\* არის სახლი, სადაც მხოლოდ ცხოვრებით უკმაყოფილო ადამიანები ბინადრობენ. ყველა, ვინც კი ამ სახლში შედის, თავისდა უნებურად უკმაყოფილო ხდება. პირქუში შენობა ღიპამდე მინაშია ჩასული.

სარდაფში, იატაკზე, რკინის ფილა დევს. ამ ფილას თუ აწევ, დაინახავ ცივ, სრიალაკედლებიან, მიწის სიღრმეში ჩასულ შავ ვინრო მალაროს.

უკვე ბევრს უცდია თოკით მალაროში ჩირაღდნის ჩაშვება. თუმცა ჩირაღდნის შუქი სულ უფრო და უფრო მკრთალი ხდებოდა. შემდეგ ქრებოდა და ამბობდნენ, მანდ ჰაერი არ არისო.

ამიტომაც არავინ იცის, სად მიჰყავხარ ამ მალაროს.

მაგრამ ის, ვისაც ნათელი მზერა აქვს, უშუქოდაც ხედავს წყვდიადში, იმ დროს, როდესაც სხვებს სძინავთ.

როდესაც ადამიანები ემორჩილებიან ღამეს და გონება ტოვებს მათ, ხარბი სულები წყდებიან გულის ქანქარას: ბინდში მომწვანოები, ბუნდოვანი კონტურებით, ამაზრუნეები, რადგან არ არის ადამიანების გულში სიყვარული.

ადამიანები გადაიღალნენ დღის საქმეებისგან, რომლებსაც მოვალეობებს ეძახიან; ძილი მათ სჭირდებათ იმისთვის, რომ აღიდგინონ ძალები და ხვალ, დღის სინათლეზე, ისევ გაანადგურონ თანამოქმედების სიხარული, ჩაიფიქრონ სულ ახალ-ახალი მკვლევლობები. ისინი იძინებენ და ხვრინავენ.

ამ დროს მათი ხარბი ჩრდილები სხლტებიან კედლებისა და კარების ხვრელებში, შრიალზე მგრძობიარე ღამეში. მძინარე ცხოველები გრძობენ თავის ჯალათებს და სიზმარში ყმუიან.

ჩრდილები უხმოდ ეპარებიან ძველ, პირქუშ სახლს და აღწევენ რკინისფილიან, ამოორებულ სარდაფში. რკინას არა აქვს წონა, როდესაც მას უხორცო ხელეები სწევენ. სიღრმეში მალარო განიერდება. იქ აჩრდილები იკრებიებიან. ისინი არ ესალმებიან და არაფერს

ეკითხებიან ერთმანეთს — აქ ყველა თავისთვისაა.

შუა დარბაზში, სტვენითა და კრაჭუნით, ცოფიანივით ტრიალებს წრის ფორმის ნაცრისფერი სალესი ქვა. ათასობით წლის წინ, ბევრად ადრე, ვიდრე პრალა ამენდებოდა, ეშმაკმა გამოანართო ის სიძულვილის ცეცხლში.

ჰაერის მკვეთ სალეს ქვაზე აჩრდილები ლესავენ თავიანთ ბრჭყალებს, რადგან დღისით ისინი ადამიანებმა დააბლაგვეს.

ონიქსის სურვილის ბრჭყალები, ფოლადის სიხარბის კაუჭები ისვრიან ნაპერწკლებს.

ბრჭყალები დანასავით ბასრი ხდებიან, რადგან ეშმაკს ეს სჭირდება სულ ახალ-ახალი ჭრილობების მისაყენებლად.

როდესაც ადამიანი ძილში ასწორებს თითებს, აჩრდილი ჩქარობს მის სხეულში დაბრუნებას: ბრჭყალები არ უნდა გასწორდეს, რომ ადამიანმა ვერ შეძლოს ლოცვისთვის ხელების შეტყუებება.

სატანის სალესი ქვა სულ ტრიალებს — გაუჩერებლივ, დღედაღამ.

ის იტრიალებს მანამ, სანამ დრო არ გაჩერდება და სივრცე არ დაიშლება.

თუ ყურებს დავიცობთ თითებით, ამ სტვენას ჩვენშიც გავიგონებთ.

\* მალაია სტრანა — ძველი უბანი პრალაში



# ავადმყოფი

როგორც ყოველთვის, სანატორიუმის საერთო ოთახში ხალხმრავლობა იყო. გამოჯანმრთელების მოლოდინში ყველა დუმდა.

არავინ ელაპარაკებოდა ერთმანეთს, იმიტომ, რომ არავის უნდოდა სხვისი ავადმყოფობის ისტორიისა და აქაურ მკურნალობაზე ჩივილის მოსმენა.

აუნერელი მონყენილობა სუფევდა. თეთრ მუყაოზე შავი პრიალა ასოებით დაწერილი ბილნი გერმანული გამონათქვამებისგან კი გული მერეოდა. ჩემ წინ, მაგიდასთან, პატარა ბიჭი იჯდა, რომელსაც ჩემდა უნებურად ვაქცევდი ყურადღებას. სხვა გამოსავალი არ მქონდა, რადგან მოუხერხებლად ვიჯექი.

უგემოვნოდ ჩაცმულს, ვინრო შუბლი და ჩლუნგი შესახედაობა ჰქონდა. ხავერდის ქურთუკის მანუეტებსა და პანტალონების ბოლოებზე, როგორც ჩანს, დედიკომ მაქმანები მიუკერა.

დრო მძიმე ტვირთივით დაგვანვა, პოლიპივით მოგვეწება.

სულაც არ გამიკვირდებოდა, თუ მთელი ეს ხალხი უცბად, ყოველგვარი მიზეზის გარეშე, ახტებოდა და ველური ღრიალით, ცოფიანივით, ნაფოტებად აქცევდა იქაურობას — მაგიდებს, ფანჯრებს, ლამპებს.

მე რატომ არ ვშვრებოდი ამას, თვითონაც ვერ გამიგია. ალბათ, მეშინოდა, რომ დროულად ვერავინ შემომიერთდებოდა და შერცხვენილს მომიწევდა ჩემს ადგილას დაბრუნება.

ისევ შევხედე თეთრ მაქმანებს და მძიმე, მტანჯველი სევდა ახალი ძალით დამეუფლა; ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ყელში უზარმაზარი ნაცრისფერი კაუჩუკის ბუშტი გამეჩხირა, რომელიც ნელ-ნელა, სულ უფრო და უფრო იზრდებოდა და ტვინისკენ მიიწევდა.

სევდიანი მარტოობის ჟამს იმაზე ფიქრი, რომ რალაცის შეცვლა შეიძლება, აუტანელ ტანჯვად იქცევა ხოლმე.

ბიჭი დომინოს ქვებს აწყობდა კოლოფში, დროადრო ციებცხელებიანივით ამოყრიდა მაგიდაზე და ისევ იწყებდა ჩანყობას. ამჯერად არც ერთი ქვა არ გამორჩენია. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ქვა ჩაანყო, კოლოფში ცარიელი ადგილი მაინც დარჩა. ბიჭმა არ იცოდა, რა ექნა. დედამისს

შეუჩნდა, რომ ეჩვენებინა ეს აშკარა ასიმეტრია. „დედა, დედა“, — ერთადერთი ესლა ამოიღწავლა საცოდავად.

ამასობაში კი დედიკო მეზობელ ქალს ელაპარაკებოდა მოსამსახურეებსა და სხვა არანაკლებ მნიშვნელოვან თემებზე, რომლებიც ქალის გულს აწუნებს. ცოტა ხნით შეწყვიტა საუბარი და უაზრო მზერით შეხედა კოლოფს, ისეთით, ხის ცხენებს რომ აქვთ.

— უკულმა ჩაალაგე, — უთხრა ბოლოს.

ბიჭის თვალბში იმედის ნაპერწკალმა იელვა და დაუჯერებელი მონდომებით შეუდგა საქმეს.

და ისევ უსასრულოდ ბევრი დრო გავიდა. გვერდით ვილაცამ გაზეთი ააშრიალა.

ისევ შევხედე იმ წარწერებს და მივხვდი, რომ მალე გავგიჟდებოდი.

აი, როგორც იქნა! — ეს გრძნობა გარედან მოდიოდა, ჯალათივით მახრჩობდა.

ბიჭს შევხედე — მივხვდი, რომ გრძნობა მისგან მოდიოდა. ახლა კოლოფი სავსე იყო, მაგრამ ერთი ქვა არ ჩაეთია!

ბიჭი ისევ დედას დაეძგერა და ლამის სკამიდან გადმოაგდო. იმან კი დაამთავრა მოსამსახურეებზე ლაყბობა, წამოდგა და უთხრა:

— გეყოფა თამაში! ახლა შენი ძილის დროა.

ბიჭს ხმა არ ამოუღია, იდგა და შემოიღწავლა თვალბებს აქეთ-იქით აცეცებდა. ცხოვრებაში არ მინახავს ასეთი ველური სასონარკვეთა.

სავარძელში ვერ მოვისვენე, მუშტები შევკარი — მეც რალაც დამემართა.

ისინი გავიდნენ, მე კი შევამჩნიე, რომ გარეთ წვიმდა. არ ვიცი, რამდენ ხანს ვიჯექი ასე. ჩემი ცხოვრების ყველაზე ბნელ მოგონებებს ჩავუღრმავდი. ისინი გაფართოებული თვალის კაკლებით უცქერდნენ ერთმანეთს, როგორც შავი ნერტილები დომინოს თეთრ ქვებზე, თითქოს რალაც გაუგებარსა და ბუნდოვანს ეძებდნენ. მე ვცდილობდი, მოგონებები მესხიერების მწვანე კუბოში ჩამეწყო, მაგრამ ყოველთვის ან ერთით მეტი, ან ერთით ნაკლები იყო.

თარგმნა არმენ არუთინოვმა



## „რა ამოქრავებს კიპარისის ზანს“



ინა კულიშოვა

ინა კულიშოვა თბილისელია, აქ დაბადებული და გაზრდილი. გარდა იმისა, რომ ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი და ჟურნალისტიკა, არის პოეტიც, შესანიშნავი პოეტი. ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტი დაამთავრა რუსული ფილოლოგიის განხრით, დისერტაციაც აქ დაიცვა 1998 წელს. თემად იოსიფ ბროდსკის პოეზია აირჩია. ბროდსკისთან, ამ უდიდეს რუს პოეტთან მის დამოკიდებულებაზე ინტერვიუში გიამბობთ, ახლა კი ორიოდ სიტყვით ისევ მის საქმიანობას შევხვები: ინას გამოქვეყნებული აქვს პუბლიკაციები საქართველოში, აშშ-ში, ისრაელში, რუსეთში, ევროპის ქვეყნებში. მისი ლექსები, თარგმნილი ინგლისურ ენაზე, შესულია ანთოლოგიებში „Modern poetry in translation“ (ლონდონი) და „Panatology women poets“ (აშშ). თარგმნის ებრაულ და ქართულ პოეზიას, არის საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალებისა და კონფერენციების მონაწილე. 2000 წელს ისრაელში გამოსცა პოეტური კრებული „На окраине слова“.

ინას სმირნოვების ულამაზესი სახლის ღია აივანზე შევხვდი. მთელი მისი პიროვნება — მომხიბლავი ქალური სილამაზე, ღირსეული თავდაჭერა, მშვიდი, კეთილგანწყობილი საუბრის მანერა, დახვეწილობა, ღრმა ინტელექტი და ერუდიცია, — მართალი გითხრათ, მოულოდნელობა იყო ჩემთვის. დამეთანხმებით, ალბათ, დღეს იშვიათია შეხვედრე იმგვარ ადამიანს, მით უმეტეს, ახალგაზრდა ქალს, რომელიც მკვეთრად გამოკვეთილი ინდივიდუალობაა პლუს ნიშნით.

ჩვენი შეხვედრის მიზეზი გახლდათ საერთაშორისო რუსულ-ქართული პოეტური ფესტივალი, რომელიც თბილისსა და ბათუმში ჩატარდა 4-13 ივნისს. მისი ორგანიზატორი იყო კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი „რუსული კლუბი“ და მისი პრეზიდენტი ნიკოლოზ სვენტიცკი. ინა კულიშოვა ფესტივალის ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო — პრესას, ტელევიზიასა და რადიოს კურირებდა. ჩვენი საუბარიც სწორედ ფესტივალით დაიწყო.

— რას ეტყობით ჩვენს მკითხველებს მონვეული სტუმრებისა და მათი მასპინძლების შესახებ, რა იყო ამ შეხვედრების მთავარი მიზანი?

— ფესტივალში მონაწილეობდნენ ცნობილი რუსი პოეტები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან — რუსეთიდან, აშშ-დან, იტალიიდან, ისრაელიდან, საფრანგეთიდან, ფინეთიდან, კანადიდან და ა.შ.. აგრეთვე ქართველი პოეტები. მათ შორის დავასახელებ ზვიად რატიანს, შოთა იათაშვილს,

ზურაბ რთველიაშვილს, რატი ამაღლობელს, კოტე ყუბანეიშვილსა და სხვებს.

— იცნობთ თუ არა თანამედროვე ქართველი პოეტების შემოქმედებას?

— დიახ, კარგად ვიცნობ. ცხადია, მაქვს მათ მიმართ ადამიანური და ლიტერატურული მეტნაკლები სიმპათიები. ძალიან მასხარებს მათი მონაწილეობა ფესტივალში.

— სამწუხაროდ, ისე მოხდა, რომ ქართველ და რუს პოეტთა ისტორიული მეგობრობა, გარემოებათა გამო, თითქოს წარსულს ჩაბარდა. ის მჭიდრო კავშირი, რომელიც არსებობდა რუს და ქართველ მწერალთა შორის, დღეისათვის აღარ არსებობს პიროვნულ დონეზე, ალბათ, არის ცალკეული შემთხვევა, მაგრამ, დამეთანხმებით, რაც იყო, ის ნამდვილად აღარ არის. ალბათ, ესეცაა ერთ-ერთი მიზეზი, რომ ჩვენთვის ნაკლებადაა ცნობილი, ვინ არიან დღეს წარმატებული, ნიჭიერი რუსი პოეტები. კომუნისტების ეპოქაში ყველამ იცოდა, ვინ იყო ვოზნენენსკი, ოკუჯავა, ახმადულინა, როჟდენსტვენსკი და სხვები. დღეს აღარაა ცნობილი თანამედროვეთა დიდი სახელები. იქნებ ამაზეც გვითხრათ რამე.

— რუსი პოეტები ჩემთვის განსაკუთრებული თემაა. დღეს რუსეთში, რუსულ პოეზიაში დიდია აქტუალური და მაღალხარისხოვანი თანამედროვე პოეზიის წილი. იმისათვის, რომ იცოდეთ, ახალგაზრდა პოეტთა რომელი ჯგუფი არსებობს, საჭიროა იტრიალო მათ წრეში, გეოგრაფიულად დამორებულიც რომ იყო, უნდა ცხოვრობდე ერთ საინფორმაციო-კულტურულ ველში — არადა, ისინი, საინტერესო და ნიჭიერი პოეტები, ნამდვილად არიან. ისიც უნდა ითქვას, რომ არსებობს მკვეთრად გამოკვეთილი თაობათა ზღვარი სხვადასხვა დონეზე — ესთეტიკურზეც და ეთიკურზეც. სავსებით მართალია, როცა ამბობთ, საქართველოში ნაკლებად იცნობენ რუს პოეტებსა და რუსეთის ლიტერატურულ პროცესებს საინფორმაციო იზოლაციის გამო. აქ, ჩვენთან, ცნობილი არიან თქვენ მიერ ჩამოთვლილი პოეტები და ამით შემოიფარგლება რუსული პოეზიის მასობრივი ნაცნობობა. ახმადულინა მართლაც კარ-

გი პოეტია, მაგრამ, მაგალითად, რუსეთში, ახალგაზრდა მწერალთა ელიტაში მას დიდად არ აფასებენ. შემიძლია დაგისახელოთ უფრო მეტად გამოჩენილი თანამედროვე პოეტები, მაგრამ ვშიშობ, სია გრძელი გამოვა. არა მხოლოდ რუსეთში, მთელ მსოფლიოში არიან გაფანტულნი რუს პოეტთა სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები. ჩამოვთვლი უფრო გამორჩეულ სახელებს: ნატალია გორბანევსკაია — ლეგენდარული პიროვნება. დაიბადა 1936 წელს, პოეტი, მწერალი. დისიდენტური მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწე, ჩეხეთში შეჭრის სანინააღმდეგო (1968წ.) საპროტესტო დემონსტრაციის მონაწილე წითელ მოედანზე. გამოიარა ციხეები, საგიჟე, 1972 წელს გათავისუფლდა და 1975 წელს ემიგრაციაში წავიდა. ცხოვრობს პარიზში. სხვათა შორის, ის აპირებდა ჩვენს ფესტივალზე ჩამოსვლას, მაგრამ ვერ შეძლო.

არის კიდევ სერგეი განდლევისკი — ერთ-ერთი პირველი თუ არა, უპირველესი პოეტი თანამედროვე რუსულ პოეზიაში. იგი მონაწილეა იმ ჯგუფისა, რომელმაც 70-იან წლებში დააარსა პოეტური კლუბი „მოსკოვის დრო“. დღეს „მოსკოვის დროის“ ხსენება ლიტერატურულ ელიტაში ესთეტიკური და ეთიკური ქცევის განსაზღვრული კოდების აღმნიშვნელია. სერგეი განდლევისკი მრავალი პრემიის ლაურეატია. მისი ლექსები თარგმნილია ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, იტალიურ, პოლანდიურ, ფინურ, პოლონურ და იაპონურ ენებზე, პროზა — ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, სლოვაკურ ენებზე. მონაწილეობდა ფესტივალებსა და გამოსვლებში ავსტრიაში, ინგლისში, ნიდერლანდებში, პოლონეთში, აშშ-ში, შვედეთში, იაპონიაში. ეს მხოლოდ მცირე ნაწილია მისი მდიდარი ბიოგრაფიისა.

თბილისში ჩეხეთიდან გვესტუმრა პოეტი და პროზაიკოსი ალექსეი ცვეტკოვი. ის 1975 წელს დააპატიმრეს და განდევნეს მოსკოვიდან. ცვეტკოვი აშშ-ში გადასახლდა, დაამთავრა მიჩიგანის უნივერსიტეტი, არის ფილოსოფიის დოქტორი. მუშაობს რადიო „თავისუფლებებში“. ლექსების გარდა აქვეყნებდა ესეებს, თარგმანებს. დღეისათვის ცხოვრობს პრალაში, თუმცა თავის სახლად აშშ მიაჩნია.

როგორც გითხარით, სია ძალიან გრძელი გამოივა. ამიტომ კიდევ მხოლოდ ერთს დაგისახელებთ. ბორის ხერსონსკი — შესანიშნავი პოეტი. გვესტუმრა უკრაინიდან. საბჭოთა პერიოდში დისიდენტი იყო. თანამშრომლობდა ემიგრანტულ გამომცემლობებთან. დღეისათვის გახლავთ ოდესის ეროვნული უნივერსიტეტის კლინიკური ფსიქოლოგიის გამგე. ლექსებისა და ესეების ნიგნის გარდა, დაწერილი აქვს შესანიშნავი ლექსები ბიბლიურ თემებზე. არის სხვადასხვა კონკურსის ლაურეატი.

ბალანსის დასაცავად ერთ ქალს პოეტსაც დაგისახელებთ — ალექსანდრა პეტროვას, პეტერბურგელს, რომელიც ჯერ იერუსალიმში გადასახლდა, შემდეგ კი რომში. იცით, საშა გამომიტყდა, რომ ახალგაზრდობაში ისე შეპყვარებია ქართული ენა, რომ თვითმასწავლებელი შეუძენია და ქართულის სწავლა დაუწყია. ახლაც, მან უარი თქვა ბერლინის პრესტიჟულ ლიტერატურულ ფესტივალში მონაწილეობაზე და საქართველოში ჩამოსვლა ამჯობინა...

— **ალბათ, ფესტივალზე მოწვეულმა სტუმრებმა გაიცნეს ქართველი პოეტები. როგორი ურთიერთობა დამყარდა მათ შორის?**

— შესანიშნავი. როგორც მოგახსენეთ, ფესტივალის ერთ-ერთი მიზანი სწორედ ქართველ

და რუს პოეტთა დაახლოება იყო. ქართული სტუმართმოყვარეობისა და პოეზიის სახელით ეს მშვენივრად მოხერხდა. არ შემიძლია არ ვახსენო კიდევ ერთი რუსი წარმოშობის პოეტი ანელიზა ალფეა. ის იტალიაში ცხოვრობს. შესანიშნავი პოეტი, ესეისტი და მთარგმნელია. მთლიანად თარგმნა იტალიურად პუშკინის პროზა, ტოლსტოის „ანა კარენინა“, გამოსცა თანამედროვე რუსული პოეზიისა და პროზის ანთოლოგიები. ასწავლის რუსული ენიდან თარგმანს რომის პირველ უნივერსიტეტში. ამჯერად გაიცნო ქართველი პოეტები და მიეცა შანსი, თარგმნოს მათი პოეზია. ჩვენი ფესტივალის ერთ-ერთი მიზანიც ხომ ეს იყო — თანამედროვე ქართველ პოეტთა პოპულარიზაცია. გარდა ამისა, და ეს ყველაზე მნიშვნელოვანია, აუცილებელია ძველი ტრადიციის აღდგენა, იმ ტრადიციისა, რომელიც აკავშირებდა ქართულ და რუსულ კულტურებს. საჭიროა ლიტერატურული ურთიერთობები. ფესტივალზე დამყარდა პიროვნული კონტაქტები, განიხილეს საგამომცემლო საქმეები, შეიმუშავეს ერთობლივი ლიტერატურული პროექტები და დასახეს თანამშრომლობის ახალი ფორმები.

— **თქვენ საკმაოდ ბევრი რუსი პოეტის სახელი ახსენეთ. თუმცა უამრავი კიდევ ყოფილა. გამოგიტყდებით და, არც ერთის შემოქმედებას, ჩემდა სამარცხვინოდ, არ ვიცნობ. არის თუ არა რომელიმე მათგანი თარგმნილი ქართულად?**

— მიჭირს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. ვფიქრობ, არავინ. ალბათ, უფრო განდლევისკი, ოლონდ ესეც საკითხავია. მათი თარგმნა მომავლის საქმეა და იმედი მაქვს, ფესტივალის მონაწილე ქართველი პოეტები შეეცდებიან, ქართველ მეითხველს გააცნონ შესანიშნავი რუსული თანამედროვე პოეზია. ასევე არ იცნობენ ქართველ პოეტთა შემოქმედებას რუსები. როგორც ცნობილია კრიტიკოსმა და პოეტმა ილია კუკულინმა თქვა, „ქართული და რუსული ლიტერატურა თავთავისთვის ცხოვრობენ და სხვადასხვა წესებით თამაშობენ“.

— **არ იქნება ინტერესმოკლებული, თუ გვეტყვით ორიოდ სიტყვით ლიტერატურულ პროცესებზეც, რასაც ადგილი აქვს თანამედროვე რუსულ ლიტერატურაში.**

— გრძელდება უანრთა გადაფასების პროცესი, იცვლება თვითშეგრძნებები. ლიტერატურა, პოეზია, უფრო „საზღვრისპირული“ გახდა თითქოს. მატულობს ავტობიოგრაფიზმი, ძალიან პოპულარულია დოკუმენტური პროზა, ფაქტისმიერი პოეზია. აქვეა ჩართული ჟურნალისტიკაც, ანუ შეიმჩნევა რეპორტაჟის ელემენტები, რომელიც ცვლის 80-იანი წლების დასასრულისა და 90-იანის დასაწყისის მეტაირონიას. არანაკლებ მნიშვნელოვან როლს ასრულებს ე.წ. „კლიური ცნობიერება“.

— **თქვენ მუდმივად წერთ ქართულ-რუსული ლიტერატურების ურთიერთკავშირის შესახებ, ესაუბრებით ამ თემაზე პოეტებს, კომპოზიტორებს, რეჟისორებს, ამასთან, კავკასიონის ორივე მხარეს. როგორია მათი დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ?**

— პრაქტიკულად ერთნაირი — სინანული. ისე მოხდა, რომ რეიგანის მიერ სრულიად მართებულად „ბოროტების იმპერიად“ მონათლული საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაიშალა კულტურული სივრცეც და ეს, მსუბუქად რომ ვთქვა, დამთრგუნველია. ჯერ არავინ გაღარბებულა იმით, რომ კითხულობდა — და არა გადაიკითხავდა — სხვა ერის ლიტერატურას.

ჩვენ დავრჩით ჩვენ-ჩვენთვის და თითოეული



ვცდილობთ, როგორც შეგვიძლია, ამოვტივტივდეთ. არის ერთგვარი კავშირი ჩვენს შორის, პირადი კონტაქტების დონეზე, ვინც ვის იცნობს, მასზე რეაგირებს. აღარ არის ის სისტემატურ-ობა, რეგულარულობა, ადრე რომ იყო, აღარ არის ისეთი მჭიდრო მეგობრული კავშირები, როგორც ჰქონდათ, მაგალითად, პასტერნაკსა და ტიცინან ტაბიძეს, რაც სამწუხაროა. მინდა გიამბოთ ერთი სასიამოვნო და საკვირველი შემთხვევის შესახებ. სამი წლის წინ ვმონაწილეობდი მოსკოვში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაში ბროდსკის შესახებ, რომელიც მიჰყავდა ევგენი რეინს (ბროდსკის უახლოესი მეგობარი, პოეტი). მთელი მსოფლიოდან ჩამოვიდნენ მეცნიერები და პოეტები, 100 კაცზე მეტი.

**— უკაცრავად, გაგანყვებიან, რა იყო თქვენი მოხსენების თემა?**

— ვკითხულობდი მოხსენებას ბროდსკისა და აზიის მეტაფიზიკურ შეუთავსებლობაზე. ამასთან, მოყვები თბილისში მისი ერთდღიანი სტუმრობის შესახებ — ის ძმებ ჭილაძეებთან ჩამოვიდა. დილით ჩამოვიდა და საღამოს გაემგზავრა. ეს იყო 1966 წელს. გამგზავრებისას ბროდსკიმ თამაზ ჭილაძეს აჩუქა ბიბლია. წარმოგიდგენიათ? თავისი ბიბლია. გარდა ამისა, მან რუსულად თარგმნა ოთარ ჭილაძის 5 ლექსი, რომლებიც გამოქვეყნდა „ლიტერატურნაია გრუზიაში“. რატომ ვყვები ამ ამბავს? ჩემს შემდეგ მოხსენებით გამოვიდა ერთი ვენეციელი, ხაზს ვუსვამ — არა იტალიელი, არამედ ვენეციელი. ეს გახლავთ განსაკუთრებული, ჩრდილოურად დასვენილი იტალიური ენაც და ცხოვრების განსაზღვრული წესიც. ის კითხულობდა მოხსენებას ბროდსკიზე და ერთ იტალიელ პოეტზე. სხდომის შემდეგ ჩვენ დიდხანს ვისაუბრეთ ოთარ ჭილაძის რამდენიმე სტროფზე, რომელიც მან ზეპირად იცოდა ბროდსკის თარგმანში. სწორედ ეს არის მთარგმნელის პროფესიონალიზმი, ღრმა ცოდნა და მოქნილობა.

**— რადგან ბროდსკი ახსენეთ, იქნებ გვიამბოთ მასთან თქვენს მიმონერაზე.**

— მართლაც ბევრი მთხოვდა და მთხოვეს, მოყვე მასთან მიმონერაზე, იმაზე, როგორ იმოქმედა ამან ჩემს ცხოვრებაზე. დღემდე ჯიუტად უარს ვამბობ, რადგან არასწორი იქნება, ვილაპარაკო საკუთარ თავზე, როცა გვერდით არსებობს გაცილებით მნიშვნელოვანი რამ. ბროდსკის სკოლა რომ გავიარე — მაქვს უფლება ასე ვთქვა — თავს უფლებას ვერ მივცემ, ვილაპარაკო საკუთარ თავზე, მით უმეტეს, კარგად მახსოვს დიდი ამერიკელი პოეტის რობერტ ფროსტის სიტყვები, რომლის გამეორებაც უყვარდა ბროდსკის: „ვთქვა, რომ ვარ პოეტი, იგივეა, ვთქვა, რომ ვარ კარგი ადამიანი“. ანუ იმის თქმა, რომ ვარ პოეტი, ისევე უხერხულია, როგორც საკუთარი კარგი ადამიანობის მტკიცება...

24 წლის ვიყავი, როცა მას წერილი მივწერე ისრაელში და ამასთან, გავეუგზავნე ჩემი ერთობ საშინელი ლექსებიც. ეს ის პერიოდი, როცა ჩვენთან არაფერი არ მუშაობდა, მათ შორის ფოსტაც და როგორი შოკი განვიცადე, როცა მითხრეს, რომ მან მიპასუხა. თანაც მაშინვე, პატარა ფურცლებზე და იმდენად თბილად, რომ დღემდე დაუჯერებლად მეჩვენება. რამდენიმე ამონარიდი წერილებიდან დაიბეჭდა სხვადასხვა წიგნში. შემიძლია, შემოგთავაზოთ პატარა ნაწყვეტი მისი წერილიდან. მას შემდეგ, რაც წერილში მესაუბრა ჩემს ლექსებზე (მზარავს იმის წარმოდგენა, რა გავეუგზავნე!), ის ცხოვრებისეული არჩევანის თემაზე გადავიდა: „არჩევანის გაკეთების იდეა ჩემთვის იდუმალია. ცხოვრება მცირე მოძრაობათა ჯამია და ადამიანი არა

იმდენად თავისი რწმენის, განზრახვების და გადაწყვეტილებების პროდუქტია, რამდენადაც თავისი ქცევებისა (უფრო მცირის, ვიდრე დიდის). ყოველ შემთხვევაში, მე ასე მგონია. პოეტი — ეს არა არჩევანია, არამედ შედეგია მის მიერ დაწერილისა, უფრო რაოდენობრივის, ვიდრე ხარისხობრივის“. ცხადია, მინდა ვილაპარაკო ბროდსკიზე, მის სიმაღლეზე. მთელი პასუხისმგებლობით ვამბობ, რომ ამ მასშტაბის ადამიანებს ღმერთი გვიგზავნის (თუ გნებავთ, გვათხოვებს ხოლმე დროებით) საუკუნეში ერთხელ და უფრო იშვიათადაც. ის გენიალური პოეტია, გენიალური მოაზროვნე და რასაც ბევრი ვერ ამჩნევს, მაგრამ ზოგიერთი მაინც ამჩნევს — ის ქადაგია. ამასთან, ისე, რომ ეს მისი სურვილი არ არის. ის არასოდეს დგება საგანგებოდ ამ პოზაში. ის გვასწავლის, როგორ უნდა იქცეოდეს დღეს ქრისტიანი. სწორედ ბროდსკიმ მასწავლა, რომ ყოველთვის არსებობს **შემდეგ**. ყველაფერში, ერთი მეტაფიზიკაში, რელიგიაში, ქცევებშიც, რომელთა შეზღუდვაც მხოლოდ ბიბლიური მცნებებია. ჩვენ უფრო რთულები ვართ, ვიდრე ეს წარმოგვიდგენია. მან (ბროდსკიმ), პუშკინის მსგავსად, გვასწავლა, როგორ არ უნდა ვაპატიოთ არაფერი საკუთარ თავს — „შენ თავად ხარ საკუთარი თავის საშინელი სამსჯავრო“. ბროდსკი ამბობს, რომ პოეტის ცხოვრება მუდმივი ცვალებადობაა. ესაა არსებობისთვის ერთადერთი შესაძლო რეალური მეთოდი. სოლომონ ვოლკოვთან საუბრისას ბროდსკიმ თქვა, რომ წერას მაშინ იწყებ, როცა წმინდანობისკენ მიისწრაფვი და ხელოვნება — ყოველდღიური ჩურჩულია ყურში. შესაბამისად, ერთ-ერთ ესეიში წერს, რომ „პოეტი პირველადი სიტყვის თანამდევია ექოს დამუშავებაა“. ბროდსკიზე ბევრი დამინერია, ბევრი მისაუბრია და რაც მთავარია, ბევრი წამიკითხავს. საუბარი უსასრულოდ გამიგრძელდება. მისი მეტაფიზიკური ჰორიზონტები თვალუწვდენელია და ძნელია ემოციურად ყოველთვის აუწყო მის ნააზრევს. ის თავდაყირა აყენებს აბსოლუტურად ყველაფერს, ნიდაგს გაცლის ფენქვეშ, ამოჰყავხარ დედის მუცლიდან, მაგრამ როგორც კი სულს მოითქვამ, აცნობიერებ: ეს ჭეშმარიტად ასეა!

იყო დრო უდიდესი პოეტებისა, შემდეგ კი დადგა ერთი უდიდესი პოეტის — ბროდსკის ხანა!

**— თქვენი დამოკიდებულება ბროდსკის მიმართ ნათელს ხდის თქვენს დამოკიდებულებას პოეზიასთან. იქნებ ზოგადად პოეტზეც გვითხრათ რამე?**

— ყოველთვის შეიძლება გაარჩიო ნამდვილი პოეტი გრაფომანისგან. ცხადია, ჯერ უნდა გახდეს კარგი მკითხველი, იხელმძღვანელო გემოვნებით, ზომიერების გრძნობით, ესთეტიკით. როგორც ამბობდა ბენედიქტ ეროფევი — „პატიოსნება და გემოვნება!“ დიდი პოეტი ენობრივი გარდაუვალობაა, მის შემდეგ აღარ შეიძლება წერო და ილაპარაკო ისე, როგორც მანამდე, მიუხედავად იმისა, ამ პოეტის ბევრი ლექსი გაქვს წაკითხული თუ ცოტა. სცადე, პუშკინის შემდეგ ალაპარაკდე პუშკინამდელ ენაზე. ეს იგივეა — თუ ბროდსკის შემდეგ ლექსის დაწერას აპირებ, ანგარიში არ გაუწიო ბროდსკის არსებობას. შეიძლება მის უარყოფით გავლენას გაექცე, მაგრამ ანგარიშგაუწევლობა შეუძლებელი იქნებოდა. დიდი ლიტერატურა გარდაუვალობაა, ესაა, ალბათ, მისი ძირითადი თვისება. სცადე და ქართულად წერე ისე, თითქოს სულაც არ არსებულა რუსთაველი, ვაჟა ან გალაკტიონი. აქ ოთარ ჭილაძესაც დავამატებდი. სია შეიძლება განავრცო. როგორ



იარსებებს მსოფლიო ლიტერატურა დიდი მწერლების გარეშე?! აღარ ჩამოვთვლი მათ. აუცილებელი არ არის, ყველა დიდი ნაწარმოები გიყვარდეს, მაგრამ მათი ცოდნა აუცილებელია, ამა თუ იმ აზრით. ანუ არსობრივად მათი ცოდნა უკვე სხვა ენობრივი ყოფიერებაა. „მეტაფიზიკა — უპირველეს ყოვლისა!“ — გალაკტიონისებურად რომ ვთქვათ. ვფიქრობ, ბიბლიური მცნებები სინამდვილეში ნამდვილი მეტაფიზიკაა, მათი ზნეობრივი არსი კი უკვე შედარებით დაბალი საფეხური, რომელიც უბრალოდ უფრო გასაგებია ნებისმიერისთვის. ადვილია თქმა: ეს არ შეიძლება, ეს — შეიძლებაო, მაგრამ რატომ? — ამაზე საუბარს სხვა საფეხოებში შევყავართ. შემოქმედის საქმეები შეუცნობელია და წინასწარ განუჭვრეტელი. სხვათა შორის, რაღაც ამდაგვარს ველოდებით, თუ გნებავთ, მოვითხოვთ პოეტისგანაც: სიზუსტეს, წინასწარ განუჭვრეტელობას, სრულიად მოულოდნელი მეტაფიზიკური სიღრმეებისა და სიმალეების წვდომას, რაც არსობრივად ერთი და იგივეა. ჭეშმარიტ პოეტს ყოველთვის ყველაფერი ეცოტავება. თუკი ვინმე ამბობს, რომ ის დაკმაყოფილდა, ან ეშმაკობს, ან საეჭვო პოეტია. მედლის მეორე მხარეა მუდმივი ლტოლვა კიდევ რაღაცისკენ, მუდმივი ნაკლებობა რაღაცისა, მეტწილად სიტყვებით გამოუთქმელისა.

სრულყოფილების უპირველესი ნიშანია აბსოლუტის წყურვილი. ეს პოეტში იმთავითვე დევს. ჭეშმარიტ პოეტებში ბევრი რამ მღვიძარებს, მოძრაობს, რაც ჩვეულებრივ ადამიანში ხშირად უბრალოდ მიძინებულია. პოეტის სულში, როგორც მიტოვებულ ციხე-დარბაზში, საოცრებები დაეხეტებიან — მოჩვენებები, დემონები, ანგელოზები... ისინი არასოდეს ასვენებენ. ამიტომაცაა, რომ პოეზია კი არ განუგეშებს, გართობს, — უფრო გფატრავს. პოეტი ერთგვარი მეტაფიზიკური ჯეკი-მფატრავია. ამიტომაცაა ალქმული მთელი სამყარო გაცილებით მძაფრად, ხოლო როცა პოეტს არ ეწერება, მაშინ იძინებს ყველაფერი, აბსოლუტურად ყველაფერი და რჩება მხოლოდ ჩვეულებრივი დედამიწის მიზიდულობა. ამიტომ ჩნდება შეგრძნება, რომ გიყდები, ამასთან, სამყაროს ალქმის ორივე შემთხვევაში

— მღვიძარობისასაც და გამორთულობის დროსაც. პოეტი ყოველთვის ცოცხლობს სამყაროს გონივრული და ირაციონალური ალქმის მიჯნაზე. იგი ცხოვრობს მინაზე და ხელით ზეცას ეხება. ეს კი ბადებს ტრაგედიას, საშინელებასა და შიშს. ამიტომაც პოეტის ცხოვრება წამება. ლექსის დონეზე შესაძლებელია მისი დაძლევა, ცხოვრების დონეზე — საეჭვოა.

— **უაღრესად საინტერესო და იდუმალ თემას — პოეზიას შეეხეთ. ისეთ სიღრმეებს წვდებით, საინტერესოა თქვენს პოეზიაზეც საუბარი. როგორ შეაფასებდით მას?**

— შეფასება მკითხველისთვის მიმინდვია, საკუთარ პოეზიაზე საუბარი არ მსურს...

— **მაშინ კვლავ ფესტივალს დავუბრუნდეთ. მე დავესწარი ფესტივალის ჩარჩოებში გამართულ მრგვალ მაგიდას, სადაც იყო მსჯელობა ქართულ-რუსულ ურთიერთობათა გაცივებაზე, დაშლაზე. როგორ ფიქრობთ, გაიდება ახალი ხიდები, ეშვებება თუ არა ამ ურთიერთობას, მაინც რა დაგვემართა?**

— რა იქნება მომავალში? არა ვარ დარწმუნებული, რომ აღდგება რუსეთ-საქართველოს ძველი კავშირი. რაღაც იქნება უეჭველად, მაგრამ სრულიად სხვაგვარად. უფრო პრაგმატულად, როგორც ყველგან. სამწუხარო ისაა, რომ დღევანდელი ქართველები ნაკლებს კითხულობენ. ჩვენი ახალგაზრდობა სწავლობს ინგლისურს და არა რუსულს, მაგრამ ამ ინგლისურით, სამწუხაროდ, არავინ კითხულობს დიდ ინგლისურენოვან ლიტერატურას. მეტი რაღა გითხრათ... შემდეგ კი, როგორც ჩემთვის არცთუ საყვარელი ნიკიტა მიხალკოვის ფილმშია (რას ვიზამ — ფილმი კარგია, ჩეხოვის მიხედვით) — „დაუსრულებელი პიესა მექანიკური პიანინოსთვის“: „უნდა გიყვარდეს, მაშენკა, უნდა გიყვარდეს“. უნდა გიყვარდეს და არა გეშინოდეს!

— **თავს უფლებას მიცემ და მადლობას გადაგიხდით პოეზიისა და ზოგადად ლიტერატურის მოყვარულთა სახელით, გისურვებთ დიდ სიკეთეს და სიხარულს.**

ესაუბრა მანანა ჯიქია



## წიგნის ფესტივალი



საქართველოში უკვე მეცხრედ ჩატარდა წიგნის ფესტივალი, რომელიც სულ უფრო და უფრო მრავალფეროვანი და საინტერესო ხდება. გასახარია, რომ ქართული წიგნების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება და გამოცემის ხარისხი უკეთესი ხდება. მართალია, წიგნების ფასი ხშირად მყიდველთა შესაძლებლობებს აღემატება, მაგრამ წიგნის ფესტივალზე ფასებიც შედარებით დაბალი იყო და მკითხველებმა შეძლეს დიდი ხნის წინ შეჩინული ლიტერატურის შეძენა.

ფესტივალზე საზოგადოების წინაშე პირველად წარდგა გამომცემლობა „პალიტრა L“, რომელმაც ყველას გასაკვირად წელიწად-ნახევარში გამოცემული სამოცდაათამდე წიგნი გამოიტანა. მისი სტენდის წინ მუდმივად ხალხმრავლობა იყო. განსაკუთრებით ბავშვები აქტიურობდნენ, რომელთათვის კარგად გაფორმებული მაღალი ხარისხის ლიტერატურა ევროპაში გამოცემულ ძვირფას წიგნებსაც უწევდა კონკურენციას. როგორც გამომცემლობა „პალიტრა L“-ის ფინანსურმა დირექტორმა ლალი ჯაფარიძემ გვითხრა, ყველაზე დიდი ინტერესი საბავშვო წიგნებმა გამოიწვია, თუმცა არც სხვა ლიტერატურა დარჩენილა უყურადღებოდ.

ფესტივალის ორგანიზატორს გია დარსალიას წლევეანდელი ფესტივალის მთავარ მოვლენად მიაჩნია ის, რომ ამჯერად მასში მონაწილეობდნენ ევროკავშირის წევრი ქვეყნებიც, ეს კი მხოლოდ და მხოლოდ უკეთესი მომავლის პერსპექტივაზე მეტყველებს. „თანაც, წელს ევროკავშირის საიუბილეო წელია — მისი დაარსებიდან 50 წელი გავიდა და ამ თარიღის აღნიშვნა სწორედ წიგნის ფესტივალის ფარგლებში მოხდა“.

წიგნის ფესტივალის ფარგლებში ჩატარდა რამდენიმე ლექცია და პრეზენტაცია. მკითხველებს წარუდგინეს პოეტთა ორდენ „სამკაულის“ პირველი ელექტრონული ალბომი „ამიშვი ცამდე“, რატი ამალაძის ლექსების კრებული, ლაშა ბუღაძის ახალი აუდიოწიგნი, ნინო სადღობელაშვილის „ბამბაზიის სამოთხე“.

წლევეანდელი წიგნის ფესტივალის ღონისძიებებიდან აღსანიშნავია ოთარ ჭილაძის რომანების ახალი გამოცემების პრეზენტაცია. როგორც აღმოჩნდა, რომანებს შორის „გოდორი“ განსაკუთრებული მოთხოვნით სარგებლობდა და ამჯერადაც ისე ქრებოდა სტენდიდან, როგორც ამ წიგნის გამოცემის პირველი ტირაჟი.

ჩვენი ქვეყანა რა დღეშია, ყველას მოეხსენება, მაგრამ მიუხედავად პოლიტიკური და ეკონომიკური სირთულეებისა, ქართველი ინტელექტუალური საზოგადოება არ ჩამორჩება მსოფლიოში მიმდინარე სამეცნიერო და კულტურულ მოვლენებს. სწორედ ამიტომ დახვდათ უცხოელ პროფესორებს ელენ პოლიტუ-მარმარინუსა და დიცა ფრანგუ-კიკილიას მომზადებული და ღირსეული აუდიტორია. საქართველოში ჩატარებულ წიგნის ფესტივალს მაღალი შეფასება მისცა ფრანგმა მწერალმა კლოდ დელარუმაც.

**ვაჟა გიგაშვილი, მწერალი:** „ძალიან მიყვარს წიგნის ფესტივალზე სიარული და წიგნების თვალიერება. დიდ სიამოვნებას მანიჭებს ახალგაზრდა ავტორებთან შეხვედრა და საუბარი. ვფიქრობ, ეს არის ერთ-ერთი ყველაზე კარგი ღონისძიება, რაც თბილისში ბოლო დროს ჩატარებულა“.

**ზურაბ ცხოვრებაძე, სასულიერო აკადემიისა და სემინარიის პედაგოგი:** „წიგნის პოპულარიზაციისკენ მიმართული ყველა ღონისძიება სასურველი და მისასალმებელია, მით უმეტეს, დღეს, როცა ახალგაზრდების ცხოვრებიდან მრავალი საცდური დევენის წიგნს. ეს ტრაგედიაა, რადგან კაცი მაშინ წყვეტს აზროვნებას, როცა ის წიგნს აღარ კითხულობს. სასულიერო ლიტერატურა სრული სახით ფართო საზოგადოების წინაშე ჯერაც არ წარმდგარა. ის იქმნება საპატრიარქოშიც, სხვადასხვა ეპარქიაშიც და ეკლესიის წიაღშივე რჩება. ვიმედოვნებ, მომავალში გაცვილებით მეტ საუკეთესო სასულიერო ლიტერატურას წარვადგენთ წიგნის ფესტივალზე“.

**გივი ალხაზიშვილი, მწერალი:** „წიგნის ფესტივალი მნიშვნელოვანი და საჭიროა. ეს პროპაგანდა იმ დროსა და სივრცეში, როცა წიგნის მიმართ დამოკიდებულება შეილახა, დაკნინდა... იქნებ ამ ფესტივალმა მაინც დაძლიოს წიგნის მოთხოვნაზე არსებული სიმწირე, თუმცა იმასაც გეტყვით, რომ ეს მხოლოდ საქართველოში არ ხდება. ამ დილემის წინაშე მთელი მსოფლიო დგას“.





## ილიას საიუბილეოდ

2007 წლის 15 მარტს თბილისის პირველი საჯარო სკოლისა (პროექტების კოორდინატორი — ცირა კილანავა) და სკოლა-კომპლექს „სადუნის“ (ნიგნის მოყვარულთა კლუბის ხელმძღვანელი — ელენე ბედუჟაძე) ინიციატივით გამოცხადდა რესპუბლიკური კონკურსი მოსწავლეთა შორის ილია ჭავჭავაძის შემოქმედების საუკეთესო მცოდნის გამოსავლენად.

ინიციატივას მხარი დაუჭირა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ და ფონდმა „ირმის ნახტომმა“, რომელმაც ითავა საინფორმაციო უზრუნველყოფა (სწორედ ამ ინიციატივის შემდეგ გაიხსნა ლილაკი სასკოლო ინიციატივებისთვის „ირმის ნახტომის“ ვებგვერდზე).

პროექტი მიძღვნილია ილიას საიუბილეო თარიღისადმი, მისი მიზანია ქართველი ერის ისტორიაში ამ ყოველმხრივ მნიშვნელოვანი ფიგურის კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია სკოლებში, საქართველოს სხვადასხვა კუთხისა და საზღვარგარეთ მცხოვრებ მოსწავლეთა დაახლოება, შეხვედრების მონყოფა და ა.შ., ასევე — განსაკუთრებით წარმატებულ კონკურსანტთა დაჯილდოება, ნახალისება, მათთვის ჯანსაღი კონკურენტული გარემოს შექმნა.

კონკურსი ორეტაპიანი იყო: პირველ ეტაპზე მონაწილეებს დაევალებათ არჩეული სექტორების მიხედვით (ილიას პროზა, პოეზია



და პუბლიცისტიკა) ტექსტების დამუშავება (კონკურსანტებისათვის სავალდებულო იყო ილიას ბიოგრაფიის ცოდნა).

20 მაისს თბილისის პირველ საჯარო სკოლაში ჩატარდა წერითი გამოცდა, რომელშიც მონაწილეობდა 126 კონკურსანტი. მეორე ეტაპზე 50 მონაწილე გავიდა (პროზის სექტორიდან — 30, პოეზიიდან — 7, პუბლიცისტიკიდან — 13).

1-ლ ივნიის სკოლა-კომპლექს „სადუნში“ შედგა შეხვედრა მეორე ეტაპზე გასულ კონკურსანტებთან. შეხვედრაზე მონაწილნი იყვნენ ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი მაია ნინიძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, უზრუნველყოფის „ჩვენი მწერლობის“ რედაქტორი, მწერალი როსტომ ჩხეიძე და ილია ჭავჭავაძის

საგურამოს სახლ-მუზეუმის დირექტორი, კრიტიკოსი ბატონი ანდრო ბედუჟაძე.

ქალბატონმა მაია ნინიძემ ისაუბრა ილიას პროზისა და პოეზიის სახისმეტყველებით სავსე იტხებზე, მათ ქრისტოლოგიურ გააზრებაზე.

როსტომ ჩხეიძემ ისაუბრა ილია ჭავჭავაძის ცხოვრების გზისა და მისი ადგილის შესახებ ქართველი ერის ისტორიაში, ანდრო ბედუჟაძემ კი ილიას პუბლიცისტიკაზე, მისი წერილების აქტუალობაზე, წარმატება უსურვა კონკურსის მონაწილეებს და მიიწვია საგურამოში დასკვნით ღონისძიებაზე, რომელიც გაიმართება 2007 წლის ოქტომბერს.

კონკურსანტებს მიეცათ საზაფხულო დავალება. დასკვნით ღონისძიებამდე იგეგმება სხვადასხვა ტიპის ღონისძიების ჩატარება.

## ლიტერატურული პრემია

2007 წლის ლიტერატურული პრემია „საბას“ დაჯილდოება, როგორც იქნა, გაიმართა. გაჭირვებულ აშინდს მზიანი დღე გამოუსწლტა თუ არა, ლიტერატურის თაყვანისმცემლები, ნომინანტები და მათი გულშემატკივრები „თი ბი სი ბანკში“ შეიკრიბნენ. ჟიურის შვიდი წევრის ვინაობაც მხოლოდ ამ დღეს გახდა ცნობილი. 2007 წლის „საბას“ ნომინანტების ბედნი ბიძინა მაყაშვილის, ანა კორძაია-სამადაშვილის, ზაზა აბზიანიძის, ლაშა ბაქრაძის, გივი შაჰნაზარის, მიხეილ ქავთარიასა და რატი აშალობელის ხელში იყო.

წლის საუკეთესო რომანისთვის ლაშა ბულაძე დაჯილდოვდა. „ოქროს ხანა“, ლაშას სხვა ნაწარმოებების მსგავსად, მკითხველმა დიდი ინტერესით მიიღო, მაგრამ ჟიურის ამ გადაწყვეტილებამ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ერთნი ამბობდნენ, რომ პრემიის ბედი გადაწყვეტილი იყო და ის დავით ქართველიშვილისთვის უნდა მიეცათ, რომ არა... წვიმა. დიას, მაშინ, როცა გადაუღებელი წვიმის გამო „საბას“ დაჯილდოება გადაიდო, რატომღაც აზრით შეიცვალაო (ბარემ აქვე გეტყვით, რომ დათო ქართველიშვილის ნომინირებულ რომანს „იყო სალა-



ნო, იყო დილა“ „ლიტერატურული პალიტრის“ მკითხველი მომდევნო ნომრიდან გაეცნობა). ზოგიერთის აზრით, არც გელა ჩქვანავა იყო ურიგო... მაგრამ შვიდკაცამ (კომისიამ, რა თქმა უნდა, და არა სახელგანთქმულმა თუმან-იშვილის დროინდელმა შვიდკაცამ) ასე ინება.

წლის საუკეთესო პოეტური კრებულის ნომინანტებს შორის



იზა ორჯონიკიძის „წვიმიანი გაზაფხულის ქრონიკას“ ლიტერატურის მოყვარულთა წრეებში პრემიის ერთ-ერთ ფავორიტად ასახელებდნენ. ზოგი შოთა იათაშვილს ანიჭებდა უპირატესობას, ზოგიც — ბათუ დანელიას. ჟიურიმ კი შოთა იათაშვილი არჩია (რომლის ახალ ლექსებსაც ჩვენს ჟურნალში იხილავთ). გემოვნებაზე არ დავობენო, — ჩაილაპარაკა დაჯილდოებაზე მიწვეულმა ერთ-ერთმა სტუმარმა...

აი, თარგმანში კი უმრავლესობას გაუმართლდა მოლოდინი — საუკეთესოდ ბაჩანა ბრეგვაძის თარგმანები აღიარეს.

განსაკუთრებული სიტუაცია შეიქმნა, როცა ჟიურიმ საუკეთესო პიესა საერთოდ ვერ გამოამუშავა. ხმები ისე გადანანილდა, რომ გამარჯვებულის გამოვლენა ვერ მოხერხდა.

საუკეთესო დებიუტანტის თაობაზე ჟიურისა და საზოგადოებრივი აზრი გაცილებით მეტად თანხვდებოდა, — როგორც ჩანს, ქეთი ქანთარია მოახერხა მკითხველის სიმპათიის მოპოვება.

მალხაზ ხარბედიას „პირადი ბიბლიოთეკა“ საუკეთესოდ აღიარეს ნომინაციაში: კრიტიკა, ესეისტიკა და დოკუმენტური პროზა.

თამაზ ჩხენკელი ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის დააჯილდოეს, რამაც ძალიან გაახარა ქართველი მკითხველი.

საუკეთესო კრებულად კი ლაშა იმედაშვილის „სამი მკვლევობა ძველ თბილისში“ დასახელდა.

დაჯილდოებაზე ხმაურიანი ვენებათაღელვა არ ყოფილა, მაგრამ ბევრმა გვარიანად ინერვიულა, ბევრიც თავისი რჩეულის უპირატესობაზე ხმადაბლა ლაპარაკობდა.

„ამ პრემიაზე წარდგენა რამდენჯერმე შემომთავაზეს. უარი ვთქვი ერთადერთი მიზეზით: ახალგაზრდებს მიეცით-მეთქი. ლიტერატურული პრემია აუცილებლად უნდა არსებობდეს ქვეყანაში. ეს საჭიროა მწერლებისათვის სტიმულის მისაცემად. ბევრი ლიტერატურული პრემია არსებობს საფრანგეთში, იტალიაში... ჩვენთან ეს ერთია — „საბა“. ჩემი აზრით, ისიც დიდი წინდაუხედაობა იყო, სახელმწიფო პრემია რომ გაუქმდა. ვიღაცამ მიიჩნია, რომ საბჭოეთის გადმონაშთი იყო. არ მომერიდება და ვიტყვი: ბრიყული გადაწყვეტილება იყო... ახლა „საბა“ არის ერთადერთი ლიტერატურული პრემია საქართველოში. იქაც ის გრძელდება, რაც საერთოდ ასეთ ღონისძიებებს ახლავს თან... ყოველთვის ღირსეული როდი იღებს. ასე იყო რუსთაველის პრემი-

ის მინიჭებისას, ასეა ნობელიანტების გამოვლენისას... „საბაშიც მსგავსი რამ ხდება“, — გვითხრა სახელმწიფო და აკაკი წერეთლის სახელობის პრემიების ლაურეატმა მწერალმა გივი ალხაზიშვილმა.

„გემოვნებაზე არ კამათობენ... ეს თუხაა. გემოვნებაზე კამათობენ — ეს ანტითუხაა. ამ ანტითუხის გარეშე ყოველი ნაწარმოები ან მხოლოდ უარყოფილი, ან მხოლოდ აღიარებული იქნებოდა, მაგრამ დამოკიდებულება ყოველთვის გემოვნებაა და დამოკიდებულებაზე კი კამათობენ“, — წერდა ოტია პაჭკორია... ასე რომ, ვიკამითოთ მომავალ „საბაზე“, ეს მხოლოდ სასიკეთოდ წაადგება ქართულ ლიტერატურას.

## უტოპია შერაქილავისთვის

როცა მწერალი დიდ, ცარიელ შენობაში რამდენიმე ერთმანეთისათვის სავსებით უცნობ ადამიანს გამოკეტავს, ორში ერთია: ან ძველ მამაპაპურ დეტექტივს კითხულობთ, ან მწერალმა რაღაც ფსიქოლოგიურ-დაძაბულის ჩვენება განიზრახა, მაგრამ სხვათაგან ნასესხები და უკვე გვარიანად გაცვეთილი ხერხი მოიშველია ისევე და ისევე იმ მამაპაპური დეტექტივებიდან.

ჯოზეფ კონოლის წიგნი „ანაბეჭდები“ ამ წესიდან ილბიანი გამონაკლისი გახლავთ. ის შენობაც უბრალოდ დიდი და ცარიელი კი არა, არამედ ტემპის პირას ერთი მიტოვებული სტამბაა — ვეებერთელა აგურის შენობა, მალალი ჭერით, უზარმაზარი ოთახებითა და საოცარი აკუსტიკით. აქ პუბლიკაც მეტად ჭრელი შეიკრიბა — მხატვარი-ავანგარდისტი ქალი, სამი ლონდონელი ძმა, ყოფით გატანჯული კლერკი, ნერვებდანყვეტილი მარტოხელა დედა, ხანში შესული მილიონერი არამიწიერი სილამაზის მქონე ნორჩი თანამგზავრით, კოლეჯციონერთა ოჯახი, მეორე მსოფლიო ომის ეპოქით რომ „დაავადებულა“ და პირდაპირ თავის კოლეჯიაში ცხოვრობს... და ბოლოს, ექსტრავაგანტური და გამოუცნობი ლუკასი, უზარმაზარი ქონების მემკვიდრე, რომელმაც თავი მოუყარა ამ შერევილებს და სტამბაში ცხოვრება შესთავაზა, რათა მტანჯველ ყოფას მოწყვეტილთ სწორედ აქ გამოველინათ თავიანთი ფარული ნიჭი, შესაძლებლობები და კომუნის პრინციპზე აგებულ საზოგადოებაში ბედნიერად ეცხოვრათ. ამ საწყისი მონაცემებით სრული უაზრობის წერა იოლზე იოლია, მაგრამ კონოლის, მართალია, ფილოსოფიურად ღრმა არა, მაგრამ მანქან კარგი და კეთილი წიგნი გამოუვიდა, რადგან წერს არა იმაზე,

როგორ აშენებდნენ უბედური, საბრალო ადამიანები ბედნიერ სამყაროს, არამედ თითოეულ მათგანზე. მათი მონოლოგებისაგან და დიალოგებისგან შედგება კიდევ კონოლის წიგნი „ანაბეჭდები“, რომელშიც ადამიანური ფაქტორი იოლად გადასძალავს უკვე კარგად ნაცნობ გაცვეთილ თემებსა და სახეებს. თითქოს ყველაფერი ნაცნობია და ათასჯერ გადაკითხული, მაგრამ შეხედავ ამ ყველაფერს ავტორის სიყვარულითა და დიდი ოსტატობით აღწერილი პერსონაჟის თვალებით და არც ჩრჩილის დაღრღინილი ჩანს სადმე და არც ფუჭი ლაყბობა. თურმე შეიძლება კარგი უტოპიის შექმნა მამინაც კი, როცა უტოპიის დრო კარგა ხანია ჩაბარდა წარსულს.

ყველა უტოპია, როგორც მათი ანტიპოდები, რა თქმა უნდა, ცუდად მთავრდება. არ შეიძლება ბედნიერი საზოგადოების აშენება მხოლოდ ფილანთროპების კეთილი ნებითა და დიდი ფულით, რადგან საყოველთაო ბედნიერების საზოგადოება (ანდა — რაც ის ჰგონიათ) ან საიმედოდ კომპოსტირებულ ტვინებსა და მძლავრ ძალურ აპარატს, ან — როგორც ეს კონოლის სტამბაშია — ცრემლებსა და ნუნუნს ეფუძნება. თუ სიმართლე გნებავთ, არც ყოფილა საყოველთაო ბედნიერების იდეა: „მოდი, ნათელი მოვფინოთ ყველაფერს: ჩვენ სამოთხე არ დაგვიკარგავს. მას ჩვენთვის სამოთხე არ უჩუქებია. მან მხოლოდ მიაყუჩა ტკივილი, რომელმაც მასთან მოგვიყვანა: ლუკასმა — ფოჯონებისაგან დაგვიფარა“, — დაასკვნის წიგნის ბოლოს ერთ-ერთი გმირი.

თავის სამყაროს კონოლი ასევე კლასიკურად და საინტერესოდ ანგრევს — რაც მთავარია, ძალზე ადამიანურად და მოულოდნელად. ადამიანები ხომ უფრო გამოუცნობნი და მოულოდნელნი არიან იდეაზე.

## სიყვარული თუ სიპართლე?

იუსეტ ბუშარდოს „მხედველობის მცდარობა“ რეალისტური ისტორიაა სიძულვილზე, სიყვარულსა და ადამიანურ ურთიერთობათა სხვა სიძნელებებზე. მოქმედება ხდება პარიზში, რომანტიკითა და ფლირტით სავსე ქალაქში. ქალმა კარიერა გაიკეთა, მაგრამ მარტოხელაა და ბავშვობიდანვე ტანჯავს თავისი ულაზათო გარეგნობა. მამაკაცი ჭკვიანია, ლამაზი, მაგრამ ბრმა და არ უნდა ვინმეს ტვირთად დაანვეს. როცა ვინმე უყვარს, შეიძლება ეჭვიანი და სასტიკიც იყოს. შემთხვევამ შეახვედრა ისინი ერთმანეთს და ახლა თითქოს ერთი

ხელის განვდენაზეა ბედნიერება, მაგრამ ქალს გამბედაობა არ ჰყოფნის, უთხრას, რომ ულაშა-ზოა, მამაკაცს კი გულწრფელობა და ქალის უსიტყვო ნდობა აკლია. ძალზე გულისამაჩუყებელი და უიმედო ისტორიაა — რას იზამ, სასწაული ხომ ზღაპრებში ხდება.

### ინგლისალი კონკია

ზღაპრები კონკიაზე თანამედროვე საგამომცემლო ბიზნესის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია. ცხოვრობდა ამქვეყნად ახალგაზრდა ქალი, ლამაზი და მორცხვი, ბევრს მუშაობდა, რომ ერჩინა თავი და ბავშვი, ლამაზობით კი ჩუმად წერდა (ან კომპიუტერზე კრეფდა ტექსტს), შემდეგ კი უგზავნიდა გამომცემლებს, რომლებიც მხრებს იჩქჩავდნენ და უკან უბრუნებდნენ ხელნაწერს. მაგრამ აი, გამოჩნდა პრინცი (რა თქმა უნდა, გამომცემელი) და აღტაცებულმა შეჰყვირა: „ეს ხომ შედევრია!“ — და შეიქნა ერთი განე-გამონევა, ვინ უფრო სწრაფად ჩაიგდებდა „ალმოჩენის“ ხელნაწერს, ვინ რამდენ და მეტ ფულს შესთავაზებდა და ერთ მშვენიერ დღეს მორცხვმა ქალმა მდიდარმა და სახელგანთქმულმა გაიღვიძა.

ამ სიუჟეტის კლასიკური ვარიანტი ჯოან როულინგის ისტორიაა, მაგრამ „ჰარი პოტერი“ მალე დასრულდება, პუბლიკას კი სულ ახალი და ახალი ნიგნები და იმის დამტკიცება სურს, რომ დღეს ყველა დიასახლისს ან მასწავლებელს შეუძლია აზრთა მბრძანებელი და მილიონერი გახდეს. და ექვზენ მთელ მსოფლიოში ლიტერატურული აგენტები ასეთ წყნარ, მორცხვ ქალიშვილებს. რედაქტორები ყურადღებით ათვალერებენ ყველა ხელნაწერს, — სად, სად არის ის ობოლი მარგალიტი? და აი, ისიც! გაიცანით დიანა სეტერფილ-

დი. ფრანგული ენის მოკრძალებული მასწავლებელი ჩრდილო იორკშირიდან. მისი „მეცამეტე ისტორია“ მაშინვე გაიყიდა — ინგლისელი მწერლების ნიგნების აუქციონის შედეგების მიხედვით, მას უკვე ეკუთვნის ავანსად 800.000 გირვანქა სტერლინგი და კიდევ მილიონი დოლარი ნიგნის ამერიკაში გამოცემისათვის უფლების მისაცემად. უკვე დადებულია რვა ხელშეკრულება თარგმანზე, კინომანგანტები კი მოსვენებას არ აძლევენ ეკრანიზაციის უფლების მოსაპოვებლად. სეტერფილდს უკვე უწოდებენ შარლოტა ბრონტესა და ახალ დაფნა დიუ მორიეს, რადგან მის ნიგნში, ბუნებრივია, არის საიდუმლოებანიც, ოდნავ გოტიკური ატმოსფეროც და, რა თქმა უნდა, იორკშირი. მოკლედ, ნამდვილი ინგლისური ნიგნია, მაგრამ კარგი თუ ცუდი — საკითხავია.

სეტერფილდი მას ხუთი წლის განმავლობაში წერდა. ლიტერატურულ კურსებზე კარგად შეისწავლა, როგორ მიეპყრო ლიტერატურული აგენტის ყურადღება და როგორ შეეთავაზებინა მომგებიანად გამომცემლისათვის ხელნაწერი. რა თქმა უნდა, არც ასე ადვილი ყოფილა ყველაფერი. 40 წლის დიანა სეტერფილდი, კლასიკური ფრანგული ლიტერატურის სპეციალისტი, კერძოდ, ანდრე ჟიდის შემოქმედების მკვლევარი, ლიტერატურულ კურსებზე მწერალმა ჯიმ გრეისმა შეამჩნია.

„მეცამეტე ისტორია“ 2006 წლის სექტემბერში გამოვიდა და თითქმის მაშინვე დაიკავა გაზეთ „ნიუ-იორკ თაიმსის“ ბესტსელერთა სიაში პირველი ადგილი.

ნაწარმოების გმირია ორი ქალი — ვიდა უინტერი, ცნობილი მწერალი, და მარგარეტ ლი, „ნიგნიერი“, ოდნავ არამქვეყნიური ქალიშვილი, მამამისის ნიგნის მალაზიაში რომ მუშაობს.



ვიდა მრავალი წლის განმავლობაში ატყუებდა ჟურნალისტებს, თავის ბიოგრაფებს თუ თავყვანისმცემლებს — მათ თავისი ცხოვრების სხვადასხვა ვერსიას სთავაზობდა და დაჟინებით ირწმუნებოდა, სწორედ დღეს სიმართლე მოგახსენეთო. ერთ მშვენიერ დღეს კი ვიდა თავის ბიოგრაფად მარგარეტს აირჩევს, რათა ამ გოგოს მაინც უთხრას სიმართლე. და იწყება თავისებური დეტექტივი — მარგარეტი დაუსრულებლად ცდილობს გამოიცნოს, როდის ამბობს ვიდა სიმართლეს და როდის იტყუება.

მარგარეტსაც აქვს თავისი საიდუმლო — ის სიამის ტყუპისცალია. მას რომ ეცოცხლა, მისი და უნდა დაღუპულიყო და ახლა მისი დის სული ერთთავად მის ახლოს ტრიალებს. მალე ვიდას ისტორიაშიც ამოტივტივდება ტყუპი და... კეთილი იყოს თქვენი მობრძანებები და იღუმალებათა, გამოუცნობი გმირებისა და ოჯახური საიდუმლოებების სამყაროში.

ჟურნალის ინტერნეტ-პარტნიორია ლიტერატურული პორტალი [www.lib.ge](http://www.lib.ge)

### ვინა ნოვარის სკანვორდის პასუხები

Complex block containing a portrait of a man and a large grid of numbers and symbols, likely a crossword puzzle solution.

Complex block titled 'გამოსათხოვარი' (Wanted) featuring a portrait of a man and text describing a reward for information regarding a person named 'ბატონი ამირანის ავტორობითა თუ თანავტორობით ორმოცამდე სხვადასხვა ჟანრის ფილმი გადაღებული, მათ შორის — ისეთი სატაპო სურათები, როგორიც არის „გიორგობისთვე“, „თუში მეცხვარე“, „რევორდი“.

ბატონი ამირანის ავტორობითა თუ თანავტორობით ორმოცამდე სხვადასხვა ჟანრის ფილმი გადაღებული, მათ შორის — ისეთი სატაპო სურათები, როგორიც არის „გიორგობისთვე“, „თუში მეცხვარე“, „რევორდი“.

ამირან ჭიჭინაძის ერთ-ერთი ბოლო ნაწარმოები, საყმაწვილო რომანი „ჭკუა“, პირველად ჩვენს ჟურნალში დაიბეჭდა, ხოლო შემდგომ, „მალიტრა L-ის“ მიერ ნიგნად გამოცემულმა, საუკეთესო საბავშვო ნიგნის ტიტული დაიმსახურა.

ბატონი ამირანის, ამ ჭკუმარტი ინტელიგენტთან, ღრმად ერუდირებულ, საოცარი იუმორის მქონე ადამიანთან ნაცნობობა ყოველთვის ნათელ მოგონებად დარჩება ჩვენთვის.

ღმერთმა ნათელი დაუმკვიდროს მის სულს...

**„ლიტერატურული პალიტრის“ რედაქცია**



# ლიტერატურული რეიტინგი

## წიგნის დასახელება და ავტორი

## სარეიტინგო ქულა

1. სატრფიალო ლექსების კრებული „მიყვარხარ“	58
2. გოჩა მანველიძე „თეთრი სიკვდილი“	55
3. ნოდარ დუმბაძე „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“	51
4. ქართული ხალხური ზღაპრები	43
5. ანა კალანდაძე „100 ლექსი“	41
6. ჟიულ ვერნი „საიდუმლო კუნძული“	43
7. ანტუან დე სენტ-ეგზიუპერი „პატარა პრინცი“	35
8. არტურ კონან დოილი	
„შერლოკ ჰოლმსის თავგადასავალი“	30
9. ნოდარ დუმბაძე „მე ვხედავ მზეს“	27
10. გოდერძი ჩოხელი „მე და მე“	20

რეიტინგი შედგენილია რეალიზაციის ბოლო თვის მონაცემებით, რომლებიც მოგვანოდეს წიგნისა და პრესის გავრცელების სააგენტო

„ელვასერვისმა“, წიგნის მაღაზიებმა: „პალიტრა L“-მა, „წიგნის სახლმა“, „პარნასმა“. რეიტინგში ამჯერად ლიდერ-

ობს პოეტური კრებული „მიყვარხარ“, რომელიც გამოცემულია „პალიტრა L“-მა გამოსცა. მეორე ადგილზეა გოჩა მანველიძის ახალი დეტექტივი „თეთრი სიკვდილი“. ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებები კვლავაც პოპულარულია. ამის დასტური გახლავთ ის, რომ ამ ავტორის იუმორითა და მწერლური ოსტატობით გაჯერებული ორი რომანი მოხვდა საუკეთესო ათეულში. პოზიციას არ თმობს ეგზიუპერის „პატარა პრინცი“, რომელიც უკვე მერამდენე თვეა არ ტოვებს ლიდერთა ათეულს.

რეიტინგში პირველად მოხვდა გოდერძი ჩოხელის ახალგაომცემული წიგნი „მე და მე“.

**გთავაზობთ ივნისის საზღვარგარეთული ბესტსელერების რეიტინგს, რომელიც მსოფლიოს რამდენიმე ყველაზე პოპულარული გამოცემის მიერ შედგენილი რეიტინგების შეჯერებით მივიღეთ.**

### მსაბავშვო ლიტერატურა

- ათასი გაცისკროვნებული მზე (A thousand splendid sun) ჰალედ ჰოსეინი.  
ორი ავღანელი ქალი დაუსრულებელ 30-წლიან ომს აპროტესტებს.
- არლექინი (the harlequin), ლორელ ჰამილტონი.  
ვამპირებზე მონადირე ანიტა ბლეიკს ვამპირთა ჯგუფი უთვალთვალვს.
- კარგი ბიჭი (The good guy), დინ კუნცი.  
უდანაშაულო მამაკაცი შემთხვევით აღმოჩნდება მკვლელობის მოწმე.
- კიდევ ერთი დღისთვის (for one more day), მიჩ ელბომი.  
გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილი მამაკაცი ცდილობს კავშირი დაამყაროს გარდაცვლილ დედასთან.
- გადასახედი (the ovarlook), მაიკლ კონელი.  
ლოს-ანჯელესელი დეტექტივი ჰაი ბოში არ ენდობა გამოძიების ფედერალურ ბიუროს და თავად ცდილობს გახსნას მკვლელობა ერთ-ერთი ფიზიკოსისა, რომელსაც ხელი მიუწვდებოდა რეაქტიული ნივთიერებაზე.
- ნავიგატორი (navigator), კლივ ქოსლერი.  
კურტ ოსტინი და მისი გუნდი დიდი ხნის წინ დაკარგულ ფინიკიურ ქანდაკებას ეძებენ.
- ბედისწერა და უბედურება (bad luck and trouble), ლი ჩაილდა.  
დეტექტივმა ჯექ რიჩერმა უნდა გაარკვიოს, ვინ ნადირობს ყოფილ სამხედრო გამომძიებლებზე.
- მექესე სამიზნე (the 6th target), ჯეიმს პატერსონი და მექსინ პეტრო.  
სან-ფრანცისკოელი დეტექტივი ლინდსეი ბოკერი და მკვლელობების ქალთა კლუბი ბავშვების გაუჩინარების საქმეს იძიებენ.
- მალული მსხვერპლი (the invisible prey), ჯონ სენდფორდი.  
მინეაპოლისელი დეტექტივი ლუკას დევენპორტი დაადგენს, რომ რამდენიმე მოქალაქის სიკვდილი პოლიტიკურ სკანდალს მოჰყვება.

30. ჰურინის შვილები (the children of hurin), ჯ. რ. რ. ტოლკინი.  
ბოროტ მბრძანებელს თავისი მეტოქის შვილების დახოცვა აქვს განზრახული.

### საბავშვო ლიტერატურა

- ახირებული ნენსი და ლეკვი პოში (FANCY NANCY AND THE POSH PUPPY), ჯეინ ო'კონორი, ილუსტრატორი რობინ პრეის გლასერი.  
ბავშვები გაიგებენ, რომელი ძალი გახდება ახირებული გოგონას საუკეთესო მეგობარი.
- ახირებული ნენსი (FANCY NANCY), ჯეინ ო'კონორი, ილუსტრატორი რობინ პრეის გლასერი.  
ახირებული გოგონა ნენსი სახლიდან მიდის.
- საძაგელი მარლეი! (bad dog, marley), ჯონ გროგანი.  
პატარა ყვითელ ბატკანს უსამოვნებები აქვს.
- მოტივტივე (FLOTSAM), დევიდ ვაისნერი.  
ზღვის ნაპირას უამრავი ნივთია გამორიყული. წყლის ზედაპირზე მოტივტივე ნაირ-ნაირი საგანი ბავშვებს ძალიან აინტერესებთ ხოლმე, თითოეულს ხომ თავისი ისტორია აქვს.
- მეკობრეები საფენებს არ ცვლიან (pirates don't change diapers), მელინა ლონგი.  
დამალული განძი რომ აღმოაჩინოს, მეკობრეთა მეთაური იძულებულია ძიძად დაინწყოს მუშაობა.
- ახალი მთვარე (NEW MOON), სტეფანი მაიერი.  
წიგნში მოთხრობილია ადამიანისა და ვამპირის სახიფათო სასიყვარულო ისტორია.
- გულადი (ironside), ჰოლი ბლეკი.  
ფერია ფერიების ქვეყნიდან სიყვარულისა და თავისუფლების საძიებლად მიდის.
- ჰუგო კაბრეტის გამოგონება (THE INVENTION OF HUGO CABRET), ავტორი და ილუსტრატორი ბრაიან სელზნიკი.  
დაობლებული ბიჭი ცდილობს ამოხსნას მამამისის უკანასკნელი გზავნილი.
- წიგნის ქურდი (THE BOOK THIEF), მარკუს ზუსაკი.  
ნაცისტურ გერმანიაში პატარა გოგონა წიგნებს იპარავს თავისი უფროსი ებრაელი მეგობრისათვის.
- მშიშარა ბიჭის დღიური (diary of wimpy kid), ავტორი და ილუსტრატორი ჯეფ კინეი.  
პატარა ბიჭს ყველაფრის ეშინია და თავის განცდებს მხოლოდ დღიურს ანდობს.











**სახელი**

# ნიგნები

www.elva.ge  
სახელი ნიგნებით

## გამომცემლობა „ალიონი“

სახელი	წილი
თ. ყიფიანი სამაგიდლო ენციკლოპედია „ყველაფერი ყველაფერზე“	12
ედ. შვედარდაძე „მემუარები“ (მგ.ყდ)	18
„მემუარები“ (რბ.ყდ)	12
გ. მანველიძე „თეთრი სიკვდილი“ (რბ.ყდ)	5.99
თ. ჭკუასელი „ზღვა იყო უფრო მშვიდი, ვიდრე ხმელეთი“ (რბ.ყდ)	5.99
ნ. დუმბაძე „მე ვხედავ მზეს“ (რბ.ყდ)	4.99
„მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ (რბ.ყდ)	4.99
„მზიანი ღამე“ (რბ.ყდ)	4.99
„მზო დებრუნდი, დებრუნდი“	12.99
გ. ჩოხელი „მე და მე“ (რბ.ყდ)	4.99
მ. მაჭავარიანი „დუმბილი რეკავს“ (რბ.ყდ)	6
ბ. აკუნინი „თურქული გამბიტი“ (რბ.ყდ)	5
„ლევიათანი“ (რბ.ყდ)	5
მ. ბურჭულაძე „შემლილი თაფლობის თვე“	5
„ფსიქოპათთა თამაშები“ (რბ.ყდ)	5
„შემოდგომა მშრალ ხიდზე“ (რბ.ყდ)	5
„მაჟი ნუარის სურნელი“ (რბ.ყდ)	5
თ. ფხაკაძე „ვნებანი“ (რბ.ყდ)	5
„ხაჭაპური“ (მგ.ყდ)	7.99
„ხაჭაპური“ (რბ.ყდ)	5.99
<b>ლექსების კრებული</b>	
„მიყვარხარ“ (მგ.ყდ)	8.99
„ფრანგული სამზარეულოს საუკეთესო რეცეპტები“ (მგ.ყდ)	12.99
ჯ. ქირია „როგორ იხსნეს პატარებმა ანბანი“ (მგ.ყდ)	7.99
ჯანი როდარი „ტელეფონით მოყოლილი ზღაპრები“ (მგ.ყდ)	7.99
„ქართული ხალხური ზღაპრები“ (მგ.ყდ)	7
„ჩემი პირველი სიტყვები“ (მგ.ყდ)	12.99
„ანბანი“ (მგ.ყდ)	12.99
<b>რაფაელ საბატინი</b>	
„კაპიტან ბლადის ოდისია“ (რბ.ყდ)	5.99
ედ. უსპენსკი „ნიანგი გენა და მისი მეგობრები“ (მგ.ყდ)	7
ყიულ ვერნი „საიდუმლო კუნძული“ (რბ.ყდ)	6
„80 დღე დედამიწის გარშემო“ (რბ.ყდ)	5
„80000 კილომეტრი წყალქვეშ“ (რბ.ყდ)	5
„კაპიტან გრანტის შვილები“ (რბ.ყდ)	7
ჯ. ლონდონი „თეთრი ეშვი“ (რბ.ყდ)	5
<b>საბავშვო ლექსების კრებული</b>	
„ვარსკვლავმა რა გიჩურჩულა“ (მგ.ყდ)	7
ო. იოსელიანი „დაჩის ზღაპრები“ (რბ.ყდ)	8
„დაჩის ზღაპრები“ (მგ.ყდ)	11
ა. კონან დოილი „დაკარგული ქვეყანა“ (რბ.ყდ)	5
„მოწამლული სარტყელი“ (რბ.ყდ)	3.50
„შერლოკ ჰოლმსის თავგადასავალი“ (რბ.ყდ)	5.99
ა. ჭიჭინაძე „ჭკუა“ (რბ.ყდ)	5

**სახელი**

**სახელი**

**სახელი**

**სახელი**

## ИЗДАТЕЛЬСТВО „ЭКСМО“

**Детский мир**  
Вымершие животные Полная энциклопедия  
Древний мир. Полная энциклопедия  
Мир динозавров.  
Иллюстрированная энциклопедия  
Мифы Древней Греции  
Современный атлас мира  
**История культуры народов мира**  
Пьюзо М. – Омерта  
Первый Дон  
Последний Дон  
Сицилиец  
**Русская классика**  
Есенин С.А. – Я, Есенин Сергей  
Достоевский Ф.М.  
Записки о русской литературе  
Шекспир У. – Кароль Лир  
**Зарубежная классика**  
Гюго В. – Собор Парижской Богоматери  
Человек, который смеется  
Данте Алигьери – Божественная комедия  
Три мушкетера  
Митчелл М. – Унесенные ветром  
Сервантес Мигель – Дон Кихот. Часть I  
Дон Кихот. Часть II

## გამომცემლობა „ელვი“

ს. მასხარაშვილი „მატიანე ქართველთა“  
**საბავშვო**  
„ერეკლე მეფის ისტორიები“  
„მფრინავების ისტორია“  
„გოლიათების ისტორია“  
„პრინცი და პრინცესები“  
„პერაკლეს საოცარი თავგადასავალი“  
„ჩემი პირველი სახარება“  
„ჩემი პირველი ენციკლოპედია“  
„ჩემი პირველი ბიბლია“

## გამომცემლობა „ინგალაჟი“

ტ. ტაბიძე „100 ლექსი“  
გ. ტაბიძე „100 ლექსი“  
ლ. ასათიანი „100 ლექსი“  
ტ. გრანელი „100 ლექსი“  
მ. გელოვანი „100 ლექსი“  
ა. კალანდაძე „80 ლექსი“  
მ. ფოცხიშვილი „100 ლექსი“  
მ. ლებანიძე „100 ლექსი“  
პ. იაშვილი „100 ლექსი“

## გამომცემლობა „ანბანი“

მარიო პიუზო „ნათლია“  
ი. გოგებაშვილი „ისტორიული მოთხრობები“  
ნ. სუხიტაშვილი „ჩემი პირველი ნაბიჯები ინგლისურში“  
**საყვანვილო ზიგლიოთაჟა**  
„აკაკი წერეთელი“

## გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“

თ. მანი „ბიძია თომას ქოხი“  
უ. ფოლკნერი „ავგისტოს ნათელი“  
ო. იოსელიანი „ბუნება ჩვენი მეგობარია“  
ი. გვარჯალაძე „ინგლისურ-ქართული ლექსიკონი“

სახელი	წილი
„ურუგვაიდან გერმანიაში“	2499

ბ: 42-43-40; 38-26-73; 38-26-74.

მისამართზე მიტანა